

ლეილა კომახიძე

საქართველოს კულტურის ისტორიის საკითხები:  
ნარკვევები აჭარაში მუსიკალური ხელოვნების განვითარების შესახებ  
(რეტროსპექტივა მე-19 საუკუნის დასასრულიდან)

თბილისი

2016

წიგნი ეძღვნება საქართველოს სამხრეთ-დასავლეთში კულტურის განვითარების საკითხებს. განკუთვნილია ხელოვნებათმცოდნეობის სპეციალისტების, სტუდენტებისა და კულტურის ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

**რედაქტორი:** ლალი ლორთქიფანიძე, ხელოვნებათმცოდნე.

*საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრულ ფონდში „ივერიელი“ გამოსაქვეყნებლად, წიგნის ელექტრონული ვერსია მომზადდა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის (სპეციალიზაცია: მსოფლიო მეურნეობა და საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები), საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის - რევაზ ლორთქიფანიძის მხარდაჭერით.*

"ნათელი გონება, რაც კარგ წიგნებს გვაწერინებს შიშსაც  
 აღგვიძრავს, ვაითუ არც ისე კარგია ვინმემ წაიკითხოსო"

ჟან დე ლა ბრიურერი

### წინასიტყვაობა

ჩემო ძვირფასო მკითხველო!

აჭარაში მუსიკალური განათლების განვითარების ისტორიის ასახვა დავისახე მიზნად - მინდა, ამ მოკრძალებული წვლილით, ჩემი გამოცდილება გადავცე და მოვახმარო ახალგაზრდა თაობის აღზრდის საქმეს. დიდი სურვილი მქონდა, შემოქმედ-პედაგოგების მოღვაწეობის ამსახველი ეპიზოდები წარმოემჩინა. რამდენად მოვახერხე - მკითხველმა განსაჯოს.

ქალაქ ბათუმის მუსიკალურმა საზოგადოებამ კარგად იცის, რომ ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორიასთან არსებულ ცენტრალურ სამუსიკო სკოლას და სამუსიკო სასწავლებელს ვეებერთელა ისტორია აქვთ. გვინდა აღვნიშნოთ, რომ წიგნის მომზადება და გამოცემა სამუსიკო სკოლის 100 წლის იუბილეს, სამუსიკო სასწავლებლის 70 წელს მიეძღვნა.

სათქმელი ძალიან ბევრია. ყველა საღად მოაზროვნე პედაგოგის მთავარი საზრუნავია ჩაუკვირდეს, ჩაწოდეს, რაიმე არ გამოგვრჩეს, რანი ვიყავით და რანი ვართ, რა უნდა ვაკეთოთ მომავალში. ეს უნდა გახდეს ჩვენი ახალგაზრდობისათვის სამომავლო-საპროგრამო ხედვის, პედაგოგებისათვის სასწავლო პროცესის უკეთ წარმართვის მიზანი.

აჭარის მუსიკალური ცხოვრების ისტორიის ღრმად შესწავლა, ვფიქრობ, მეტად მნიშვნელოვანი შენაძენი იქნება არამარტო კულტურის სფეროს მუშაკებისთვის, ამ დარგის დაინტერესებულ პირთათვის, მკითხველთა ფართო წრისათვისაც.

დარწმუნებული ვარ, ისინი ვინც ამ მეტად საჭირო საქმეს მიმოიხილავენ და აქტიურად ჩაებმებიან საშვილიშვილო საქმეში - გამოეხმაურებიან აჭარის მუსიკალური კულტურის წარსულის შესწავლას დღევანდელობასთან ერთად. ვფიქრობ, დიდი ილიასი არ იყოს, „...ნიშნად იმისა, რომ ჭეშმარიტება მეტად ღირს, ვიდრე საკუთარი თავი და საკუთარი სიცოცხლე“ - დიდ სიამოვნებას მოჰგვრის ყველას.

ძვირფასო მკითხველო! გთხოვთ თქვენს აქტიურ მხარდაჭერას, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ წარმოვაჩინოთ აჭარაში, კერძოდ ბათუმში, მუსიკალური განათლების

ისტორია. ჩვენ გვესახება, რომ იგი დღევანდელ ახალგაზრდობასთან თავისებური გადაძახილი იქნება – მუსიკალურ ხელოვნებაში მაძიებლობისა და გატაცებულობის „სენის“ გადაღების ესტაფეტა.

როცა საჭირვარამო პრობლემების გადაწყვეტა მოგვეძალება „დრო იყო ასეთი!“ – იმართლებს თავს ზოგიერთი. ხშირად საკუთარ გულისთქმას იმითაც ინუგეშებდა, რომ ჯერ კიდევ სამაგისოდ არა გვცალიაო. მე კი ვიტყვოდი, რომ ქართველი ხალხის სიყვარულით, წინაპართა პატივისცემით და მადლიერებით არის გამსჭვალული ამ წიგნის ყოველი სტრიქონი.

კვლავ უან დე ლა ბრუერს დავესესხებოდი „მე ვალს ვუბრუნებ ხალხს: იგია წყარო ჩემი შემოქმედებისა და ვით მას ეკადრებოდა, ისეთი რუდუნებით გადმოვეცი სინამდვილე, დავწერე წიგნი და ხალხსავე ვთავაზობ.

მოცლილობის უამს, იქნებ დააკვირდეს პორტრეტს, რაც ნატურიდან შევქმენი და თუ შეიცნობს ჩემს მიერ აღწერილ რომელიმე ნაკლს, გამოასწოროს... თავი და თავია ადამიანს გონება გაუნათოს და ჭეშმარიტება შთააგონოს“.<sup>1</sup>

დიდებული ნათქვამია!

ჩემი შემოქმედებისადმი გამოჩენილი ინტერესისათვის წინასწარ გიხდით მადლობას.

ოფიციალური მონაცემებით, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, კერძოდ ბათუმში, სამუსიკო განათლებას საფუძველი ჩაეყარა 1899 წლის 21 აგვისტოდან, როდესაც რუსეთის სამხედრო მინისტრმა გენერალ ლეიტენანტმა კუროპატკინმა დაამტკიცა ბათუმის მუსიკალური წრის წესდება, რომლის საფუძველზედაც შემუშავებული იქნა სამუსიკო სკოლის დებულება

ბათუმში სამუსიკო სკოლა დაარსდა ქალაქში არსებულ მუსიკალურ წრესთან. Xოლო, 1988 წლის 20 აგვისტოს, ამ სკოლის ბაზაზე, შეიქმნა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი. იგი დამტკიცებული იყო აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის მიერ. 1998 წლის 28 მარტს სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა კონსერვატორია.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1998 წლის დადგენილებითა და სახელმწიფო კონსერვატორიის დირექტორის ნოდარ ფაღავას ბრძანებით, სკოლასა და სასწავლებელს მიენიჭა ბათუმის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის (ამ სახელს სკოლა და სასწავლებელი ატარებდა 1933 წლიდან), სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ცენტრალური სამუსიკო სკოლისა და სამუსიკო სასწავლებლის სტატუსი.

1899 წლის 21 აგვისტოდან დღემდე, მთელი პერიოდი შეიცავს უნიკალურ ისტორიულ მასალას და, რა თქმა უნდა, ჩვენი მუსიკათმცოდნეების სამომავლო კვლევის პროგრამად უნდა იქცეს.

რეგოლუციამდელ რუსეთში სამუსიკო სკოლების უმრავლესობა (უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის ჩათვლით) ამა თუ იმ „საზოგადოებას“ ან „წრეს“ ემორჩილებოდა. ასეთი საზოგადოება ბევრი იყო რუსეთში. მათ ორი ძირითადი მიზანი ამოძრავებდათ: მუსიკის პროპაგანდა და სამუსიკო განათლების გავრცელება. ყველაზე

<sup>1</sup> უან დე ლა ბრუერი. ხასიათები. გამომც. "ნაკადული", თბილისი, 1978, გვ.24

მკლავრი საზოგადოება გახლდათ „რუსული საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოება“, რომელიც ჩამოყალიბდა პეტერბურგში ანტონ რუბინშტეინის ინიციატივით. „საზოგადოებას“ მტკიცე საარსებო ბაზა ჰქონდა, რადგანაც მთავრობის სუბსიდიისა და შემოწირულობების სახით, ყოველწლიურად, სერიოზული თანხა უგროვდებოდა. ეს კი საშუალებას აძლევდა თავისი განყოფილებები გაეხსნა რუსეთის ყველა საგუბერნიო და მსხვილ სამრეწველო ქალაქებში. „საზოგადოებამ“ დიდი პროგრესული როლი შეასრულა რუსეთის მუსიკალურ ცხოვრებაში და ასევე მის ფარგლებს გარეთაც.

ბათუმში, „რუსული საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების“ ხელშეწყობით, პეტერბურგიდან მივლინებით იგზავნებოდნენ სხვადასხვა სპეციალობის მუსიკოსები, რამაც დიდად შეუწყო ხელი პროფესიული სამუსიკო განათლების დანერგვას აჭარაში და კერძოდ – ბათუმში.

ნაშრომში ცენტრალური ადგილი ეთმობა ბათუმის სამუსიკო სკოლას და მათ ბაზაზე დაარსებულ სამუსიკო სასწავლებლის მოღვაწეობას. აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მთელი სასწავლო პროცესის მიმდინარეობა, ქრონოლოგიური თანმიმდევრობით და დოკუმენტური მასალების დართვით, გაშუქებულია მისი მოღვაწეობის ორივე – საკონცერტო და საგანმანათლებლო მხარის გათვალისწინებით. წარმოდგენილი კონცერტების ანალიზის მიზანს შეადგენს საზოგადოებაში მუსიკის პროპაგანდა. კონცერტებში მონაწილეობდნენ როგორც მოსწავლეები და პედაგოგები, ასევე მოწვეული მუსიკოს-შემსრულებლები. სასწავლებლის მიერ გამართული კონცერტების მიზანი იყო ყოველი დარგის მოსწავლის აკადემიური წარმატებების წარმოჩენა როგორც დახურულ ისე საჯარო კონცერტზე. ასეთ კონცერტებს ჩვეულებრივ სავარჯიშო – შეჯიბრებით საღამოებს უწოდებდნენ. მოსწავლეთა კონცერტებში დახმარების მიზნით ზოგჯერ პროფესიული მუსიკოსებიც მონაწილეობდნენ. მაგალითად, სიმფონიურ ორკესტრში, სხვადასხვა ანსამბლსა და საოპერო ნაწევებში შესრულებულ ყველა კონცერტის პროგრამებში გათვალისწინებული იყვნენ, როგორც მოსწავლეები, ასევე პროფესიონალები. ამას გარკვეული შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა.

წიგნში აღნიშნული საკონცერტო პროგრამები მუსიკის განათლების სფეროში მოღვაწეობის ნათელ სურათს იძლევა თუ რა ნაწარმოებები სრულდებოდა, როგორი იყო საზოგადოების რეაქცია, თუ როგორ ევოლუციას განიცდიდა სასწავლებელი მოსწავლეთა აკადემიური წარმატების თვალსაზრისით, თუ როგორ ვითარდებოდა ბათუმელი მუსიკის მოყვარულთა მხატვრულ-ესთეტიკური გემოვნება.

ნაშრომში ყველა პროგრამის მოყვანა, რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო, მხოლოდ რამდენიმე დართული და საკმაოდ ბევრია გამოყენებული, რათა გვეჩვენებინა, თუ როგორ მალდებოდა სკოლაში და სასწავლებელში აკადემიური დონე იმ დროს, ვიდრე იგი კონსერვატორიად გადაიქცეოდა.

ნაშრომში თავმოყრილია ბათუმში მოღვაწე მუსიკოსების, მასწავლებლების, სკოლის დირექტორებისა და სასწავლო ნაწილის გამგეების დაუღალავი და უანგარო შრომის ამსახველი მასალები, დირექციის სხვადასხვა ოქმები. მოცემულია მოკლე ბიოგრაფიული ცნობები სასწავლებელში ამჟამად მოღვაწე პედაგოგებზე. აუცილებელია მკითხველმა იცოდეს არა მარტო მათი ცხოვრება და მოღვაწეობა, არამედ მუსიკალურ-პროფესიული დონე, რაც გულისხმობს პედაგოგიური სისტემებისა და სწავლების საკუთარ წრეს, რომ თითოეული მათგანი ხელმძღვანელობდა სწავლების იმ მეთოდით, რომელიც მას ჰქონდა შეთვისებული თავისი პედაგოგისგან.

ჩვენდა საბედნიეროდ, სასწავლებელს აღზრდილი ჰყავს არაერთი სახელმძღვანელო შემსრულებლები, რომლებიც არა მარტო ჩვენს ქალაქში, არამედ მთელ რესპუბლიკასა და მის ფარგლებს გარეთაც მოღვაწეობენ. ასევე, წარმოდგენილია ცნობები ნორჩი პიანისტების შესახებ.

შრომაში ასახულია ბათუმში არსებული სხვადასხვა სამუსიკო საზოგადოებისა და სამუსიკო სკოლის მოღვაწეობა. ჯერ კიდევ ადრეული, კერძო, სამუსიკო კლასებიდან მოყოლებული, რომელთა წყალობითაც ხდებოდა პროფესიული სამუსიკო განათლების გავრცელება ბათუმში და შემდგომ მთლიანად აჭარაში, უნდა აღინიშნოს, რომ ამ კლასებს მაღალი კვალიფიკაციის პედაგოგები ხელმძღვანელობდნენ.

შექლებისდაგვარად გაშუქებულია ბათუმში ჩატარებული მუსიკალური კულტურის ღონისძიებების ამსახველი მასალები:

1992 წლის მუსიკალური ფესტივლი „ბათუმური შემოდგომა“, 1993 წლის ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ზ. ფალიაშვილის უკვდავი ოპერის „აბესალომ და ეთერი“ დადგმა; „ნორჩ ვირტუოზთა“ გალა-კონცერტი, 1994 წელს განხორციელებული რევაზ ლადიძის ოპერა „ლეღას“ პრემიერა; ქართველი კომპოზიტორის გიორგი ცაბაძის საიუბილეო ღონისძიება; 1995 წელს ჩატარებული კლასიკური მუსიკის „მე როიალი“ სადამო; ბათუმის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის დაარსება; 1996 წელს ჩატარებული „ნორჩ პიანისტთა“ კონკურსი, დავით ანდღულაძის სახელობის ტენორთა პირველი საერთაშორისო კონკურსი; 1997 წლის ვერდის ოპერის „აიდას“ პრემიერა, აჭარის ქალთა კამერული გუნდის გამოსვლა; 1998 წელს ჩატარებული საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების საფორტეპიანო განყოფილების მოსწავლეთა და საგუნდო კოლექტივის დათვალიერება-კონკურსი – კონცერტი ლიანა ისკაძისა და ავთო მამაცაშვილის კამერული ორკესტრის მონწილეობით; ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია – „მასწავლებლო, მასწავლებლობას გმირობად გითვლის ერი“. ქორეოგრაფიულ სკოლასთან კლასიკური ბალეტის კლასის გახსნა; ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსება; ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის წარმატებით მონაწილეობა ასპინდოსის საერთაშორისო ფესტივალზე; აჭარის სახელმწიფო საგუნდო კაპელის, დიდი სიმფონიური ორკესტრის და საბალეტო სკოლის შექმნის, 2000 წელს კონსერვატორიასთან არსებული საოპერო სტუდიის, სიმებიანი კვარტეტის კონცერტების შესახებ; საბავშვო ოპერისა და ბალეტის დაარსება 2001 წელს – ოპერა „პრინცესა ტურანდოტის“ დადგმა და ა.შ.

ნაშრომში მიზანშეწონილად ჩავთვალე მომეტანა საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ხელოვნებისა და კულტურის სასწავლო დაწესებულებათა რესპუბლიკური მეთოდური კაბინეტი, თბილისის, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის თეორიის კთედრის მიერ გამოცემული მეთოდური სახელმძღვანელო სამუსიკო სასწავლებლების მოსწავლეთათვის „მუსიკალური ნაშრომების ანალიზი“ (თბილისი 1991), რომლის შემდგენლები გახლავთ პროფ. ქეთევან თუმანიშვილი და უფროსი მასწავლებელი დოდო რუხაძე. გარდა ამისა წერილები: ეკა ჩახვიძე „საუბარი ფერის შესახებ“ და ვალტერ ჰესი „დოკუმენტები თანამედროვე ხელოვნების გასაგებად“.

შრომას დიდი პრეტენზიები არ გააჩნია. იგი პირველია აჭარაში პროფესიული სამუსიკო განათლების განვითარების წარმოჩენაში. ბუნებრივია, ყველა საკითხის განხილვა ჩვენთვის შეუძლებელი იყო. ავტორი სიამოვნებით მიიღებს მკითხველის ყოველგვარ შენიშვნას, დამატებით ცნობასა და წინადადებას.

დასასრულს, ჩემს მოვალეობად მიმაჩნია უღრმესი მადლობა გადავუხადო ყველა იმათ, ვინც გვერდში დამიდგა და საჭირო ცნობები და რჩევები მომაწოდა მოცემულ შრომაზე მუშაობის დროს.

პატივისცემით, ლეილა კომახიძე

15.05.2000

„ადამიანის უძვირფასესი საუნჯე მისი ვინაობა“

ილია ჭავჭავაძე

ცოტა რამ ჩემს შესახებ

მე გახლავართ ლეილა რევაზის ასული კომახიძე. მთელი ჩემი ცხოვრება ვემსახურები საქმეს, რომელიც ძალიან მიყვარს და, მართალი გითხრათ თავს ბედნიერად ვოვლი.

დავიბადე ბათუმში, 1939 წლის 6 აპრილს, თვალსაჩინო საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, აჭარის კულტურის მინისტრის, შემდგომ აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის რევაზ კომახიძისა და სკოლამდელი აღზრდის დამსახურებული პედაგოგის ეთერ ჩიჯავაძის ოჯახში.

მამაჩემი – რევაზ კომახიძე. მე შვილი ვარ და იქნებ უხერხულიც იყოს საკუთარი მამის დამსახურებაზე ლაპარაკი. იგი არც მას უყვარდა. ამიტომ ლაღო გუდიაშვილის შეფსებას მოვიტან „... საქართველოსათვის იგი იყო კულტურის მშენებელი, უკეთილშობილესი პიროვნება და ჰუმანური ადამიანი“.

მამას, და საერთოდ ჩვენს ოჯახს, ახლო ურთიერთობა, მეგობრობა გვაკავშირებდა ხელოვნების და მეცნიერების ისეთ დეპარტამენტში პიროვნებებთან, როგორებიც იყვნენ: ლაღო გუდიაშვილი, ალექსი მაჭავარიანი, მაშინდელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ნიკო მუსხელიშვილი, ვიცე პრეზიდენტი გიორგი წერეთელი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი ილია ვეკუა, აკადემიკოსი მამია კომახიძე და მისი მეუღლე აკადემიკოსი ნინო ჯავახიშვილი, მამია ხარიტონის ძე კომახიძე, სახალხო არტისტი ვასო გოძიაშვილი, აფხაზი მწერალი ბაგრატ შინკუბა, სხვები და სხვები...

მასხენდება, თბილისში მამას ვახლდი ჩემს ძვირფას ნათესავეებთან მამია კომახიძესა და ნინო ჯავახიშვილთან სტუმრდ. როცა გავიგეთ, რომ მოპატიჟებული ჰყავდათ სტუმართა არაჩვეულებრივ დიდებულთა წრე, უზომო იყო ჩემი ბედნიერება. ნინო ბიცოლამ სტუმრებთან წარმადგინა. მთხოვეს როიალზე დამეკრა ა. მაჭავარიანის „ხორუმი“. მეც შევასრულე. მაშინ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდას, სასწავლებლის მოსწავლეს, მეყო სითამამე, რომ ასეთ დიდბუნოვან ხალხთან გამეებდა დაეკრა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ალექსი მაჭავარიანმა შემაქო და მთხოვა კიდევ რაიმე შემესრულებინა.

განსაკუთრებით აღტაცებული იყო მამაჩემი და მითხრა – გილოცავ, შენ დღეს მასახელე, მეც ვუპასუხე: – შენ კი საუკეთესო თამადა იყავი-თქო.

მამას ძალიან უჭირდა ზეპირი სიტყვა. იტყოდა: – ხალხს რომ ვხედავ თითქოს გონება მეხსნებაო. მისი წყალობით იგი მუდამ წარმატებული იყო თავისი დრმა იურიდიული განათლებითა და ადამიანური სიყვარულის მაღალი თვისებებით. სწორედ



ამ თვისებებმა განაპირობეს მისი შთამბეჭდავი გამოსვლის დიდი აღიარება თბილისის 1500 წლისთავის ზეიმზე დედაქალაქის საოპერო თეატრში. აღფრთოვანებული საზოგადოებ დიდი ხნის მანძილზე სხვადასხვაგვარად გამოხატავდა თავის კმაყოფილებას, მრავალი იყო პირადი მოლოცვები, დეპეშები, წერილები.

აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე მოღვაწეობისას რესპუბლიკისათვის არაერთი დიდმნიშვნელოვანი საკითხი გადაუწყვეტია.

მოსკოვში, კრემლში, ერთ-ერთ პლენუმზე აჭარის სხვა ხელმძღვანელებთან ერთად, მამაც იყო მიწვეული. პლენუმის დაწყების წინ ნიკიტა ხრუშჩოვმა პლენუმის წევრებს გააცნო საქართველოს კომპარტიის მდივნის ვრცელი წერილი, სადაც დღის წესრიგში დაყენებული იყო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმება. აღნიშნულ წინადადებას აჭარის დელეგაციის უმრავლესობამ დაუჭირა მხარი. პასუხის გამცემი არავინ აღმოჩნდა. მაშინ რ. კომახიძემ ითხოვა სიტყვა და ნიკიტა ხრუშჩოვს მოახსენა: – „აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას სტატუსი მიენიჭა რუსეთისა და თურქეთის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ხელს აწერენ თვით ვლადიმერ ლენინი და ათა-თურქი (მამას აქვე დაუსახელებია აღნიშნული დოკუმენტის ნომერი და ხელმოწერის თარიღი), ამიტომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის გაუქმება დღეისათვის გამოიწვევს გარკვეულ გაუგებრობას“.

საკითხის განხილვა მოიხსნა.

1954 წლის სექტემბრიდან ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად დანიშნეს, სადაც შესაშური ტაქტიკითა და პრინციპულობით უძღვებოდა სმეცნიერო საბჭოს სხდომებს, თათბირებს თუ სხვა ღონისძიებებს.

1955 წელს ინსტიტუტის შრომებში მისივე ინიციატივით დაიბეჭდა პირველი სამეცნიერო სტატია – „ბათუმის წრსულიდან“. კრებულს თვითონვე რედაქტორობდა.

ასევე მნიშვნელოვანი იყო მისი სტატია „ავამაღლოთ სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის დონე“<sup>2</sup> რომელიც ეხებოდა სწავლა-აღზრდისა და სწავლების მეცნიერული დონის სრულყოფის საკითხებს.

დიდ ყურადღებას უთმობდა ქალთა კომიტეტების მუშაობას. ამ საკითხს მიუძღვნა სტატია „ქალთა კომიტეტები დიდი ძალაა“.<sup>3</sup>

ჩინებულად ესმოდა ბუნების დაცვის საკაცობრიო მნიშვნელობა და ყოველი დონით, პრაქტიკული და თეორიული მუშაობით, ესწრაფვოდა ამ საშვილიშვილო საქმის მაღალ დონეზე დაფუძნებას. იგი გახლდათ „ბუნების დაცვისა“ და საზოგადოება „ცოდნის“ გამგებობის თავმჯდომარე.

ამ ამოცანის განხორციელებას ეხმაურებოდა სტატიები: „თვალისწინებით გაუფრთხილდეთ ბუნებას, გავამდიდროთ მისი რესურსები“.<sup>4</sup>

<sup>2</sup> რ. კომახიძე. ავამაღლოთ სამეცნიერო პედაგოგიური მუშაობის დონე. გაზ. „ბატუმსკი რაბოჩი“, 1955 წ. 31 მარტი

<sup>3</sup> რ. კომახიძე. ქალთა კომიტეტები დიდი ძალაა. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1961 №58

<sup>4</sup> რ. კომახიძე. თვალისწინებით გაუფრთხილდეთ ბუნებას, გავამდიდროთ მისი რესურსები. გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1959 წელი. № 179

„ბუნება ხალხის სამსახურში“, <sup>5</sup> „მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია და ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების ზოგიერთი საკითხი“<sup>6</sup> და მრავალი.

რ. კომახიძემ ღირსეული ღვაწლი დასდო ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის ბლაგოვეგრადის ოკრუგისა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის სამეგობრო ურთიერთობას. პირველი დელეგაცია, მისივე ხელმძღვანელობით, ბულგარეთში ჩავიდა 1964 წელს, ამ ღონისძიებებს მიუძღვნა ღრმა შინაარსიანი და ღრმა შთაბეჭდილებებით აღსავსე სტატიები: „ათი დღე ბულგარეთში“, „ორი მხარის ძმური მეგობრობა“.<sup>7</sup>

იგი დიდი პატივით ეპყრობოდა ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მოღვაწეებს, მეცნიერულად აფასებდა მათ ღვაწლს. ამ მხრივ აღსანიშნავია უაღრესად ადამიანური სითბოთი დაწერილი სტატია „ჰაიდარ აბაშიძის ხსოვნას“<sup>8</sup>.

რ. კომახიძემ განვლო რთული, მძიმე და სახელოვანი გზა. იყო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მისი თავდადებული და მრავალმხრივი მოღვაწეობა სიცოცხლეშივე ღირსეულად ფასდებოდა. ჩვენი კუთხის გამორჩენილი მოღვაწე დავით მუშლაძე, თავის მემუარებში „რწმენით განვლილი გზა“, წერს „... თავს ვაღიარებ ვთვლი მოვიგონო ისინი, რომლებმაც განსაკუთრებით ღრმა კვალი დატოვე ჩემს მესხიერებაში, მნიშვნელოვანი როლი შესრულეს აჭარისა და მისი თითოეული რაიონის აღორძინების, ცალკეული დარგის განვითარების საქმეში. ასეთები იყვნენ... რევაზ კომახიძე.“<sup>9</sup>

საქართველოს უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარემ, აკადემიკოსმა გიორგი ძოწენიძემ მგზნებარე სიტყვა უძღვნა მას „...ყველგან შენთვის ჩვეული საქმისდმი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურე.“

... განსაკუთრებით ფართოდ გაიშალა შენი ნიჭი და გამოჩნდა სახელმწიფო მოღვაწის ფართო გაქანება აჭარის რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის პოსტზე, სადაც შენმა საფუძვლიანმა იურიდიულმა განათლებამ და მაღალმა ადამიანურმა თვისებებმა ნაყოფიერი ასპარეზი ჰპოვეს“.<sup>10</sup>

ამის უპირველესი მოწმობაა ის დიდი სიყვარული და პატივისცემა, რომელსაც მაღლიერი საზოგადოება იჩენდა და დღესაც იჩენს მის მიმართ. საერთოდ მამა ყველა გაჭირვებულის განმკითხავი და მშველელი გახლდათ. იგი მუდამ იმაზე ფიქრობდა თუ ვისთვის რა ერგო, რა ესიამოვნებინა და საკმაოდ კანონზომიერი იყო ის, რომ მას ხალხმა სიცოცხლეშივე სიყვარულით, „ხალხის ერთგული შვილი“ და „კეთილი სქმეების გამგებელი კაცი“ შეარქვეს.

პატივცემულ მკითხველო მე მუსიკოსი ვარ და განსაკუთრებული ყურადღება მინდა დავეთმო მამაჩემის აჭარის კულტურის მინისტრის პოსტზე მუშაობის პერიოდს.

აჭარის მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო შეიქმნა 1953 წლის 21 მაისიდან.<sup>11</sup> იმავე დადგენილებით განისაზღვრა

<sup>5</sup> რ. კომახიძე. ბუნება ხალხის სამსახურში. ჟურ. „ლიტერატურული აჭარა“ 1961 №5)

<sup>6</sup> რ. კომახიძე. მიწათმოქმედების ინტენსიფიკაცია და ბუნებრივი რესურსების კვლავწარმოების ზოგიერთი საკითხი გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1964 №108

<sup>7</sup> რ. კომახიძე. ათი დღე ბულგარეთში. ორი მხარის ძმური მეგობრობა. ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ 1964 წ. №26

<sup>8</sup> რ. კომახიძე. ჰაიდარ აბაშიძის ხსოვნას. ჟურნალი „ლიტერატურული აჭარა“ 1966 წ. №1

<sup>9</sup> აჭარის ასსრ ცსა

<sup>10</sup> ის. დ. მამულაძე. რწმენით განვლილი გზა. გამომც. „აჭარა“, ბათუმი. 1997 გვ.158.

<sup>11</sup> აჭარის ასსრ ცსა, 972. აღწ. 1, საქ. 1, ფურც. 3.

კულტურის სამინისტროს შტატი და სტრუქტურა. მასვე შეუერთდა კინოფიკაციის და რადიოფიკაციის სამმართველო, გამომცემლობა და წიგნის ვაჭრობა.<sup>12</sup>

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო ხელმძღვანელობდა ავტონომიური რესპუბლიკის ყველა ტიპის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებებს, სანახაობრივ და მასობრივ ღონისძიებებს. კულტურის სამინისტროს შექმნა იყო შორს გამიზნული ნაბიჯი, რადგან ამ უკნასკნელმა ხელი შეუწყო ავტონომიური რესპუბლიკის მშრომელთა, განსაკუთრებით კი მოსწავლე – ახალგზრდობის ესთეტიკურ და ეთიკურ აღზრდას, მათ მიეცათ საშუალება გაეუმჯობესებინათ თავიანთი დასვენებისაა თუ გართობის პირობები, აქმაღლებინათ კულტურული ინტელექტი.

კულტურის სამინისტროს დაარსების დღიდან რევაზ კომახიძე ინიშნება აჭარის ასსრ კულტურის მინისტრად.<sup>13</sup>

კულტურის სამინისტროს შექმნამ დადებითი როლი ითამაშა პირველყოფლისა სამუსიკო სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდებლობითი მუშაობის სრულყოფასა და ორგანიზებაზე. ზოგადი საგნების სწავლების შემოღებამ თანდთანობით აამაღლა კადრების მომზადების აკადემიური დონე, მოწვესრიგდა ადგილებზე სამუშაოდ განაწილების და ასევე მათი სასწავლებლებში განათლების მისაღებად გაგზავნის საქმეც.<sup>14</sup>

მეორე – 1954 წელს კულტურის სამინისტროს გადწვევტილებით ქობულეთში იხსნება სამუსიკო სკოლა, რომლის დირექტორად დაინიშნა არიანა ნიკოლაიშვილი. იგი დღემდე ეწევა ნაყოფიერ ადმინისტრაციულ და პედაგოგიურ მოღვაწეობას;

მესამე – მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ის, რომ ბათუმს, რომელსაც დამოუკიდებელი სამუსიკო სკოლა არ ჰქონდა, 1956-57 სასწავლო წლიდან იგი, როგორც დამოუკიდებელი ერთეული, გამოეყო სასწავლებელს და იწოდებოდა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 სამუსიკო სკოლად.

რ. კომახიძე ხალხური ხელოვნების შემოქმედების მოღვაწეებს ძალიან აფასებდა და ყველანაირად ცდილობდა ხელი შეეწყო მათთვის ღვაწლის ღირსეულად დაფასებაში. თავის სტატიაში “ხალხური ხელოვნების შემოქმედებითი გზა” – წერდა: „ოცდაათიან წლებში აჭარაში ხალხური ხელოვნების განვითარებაში დიდი ღვაწლი მიუძღვით ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებს: მ. კუხიანიძეს, ა. ფარცხალაძეს, დ. ჯავრიშვილს, ვ. გოგოტიძეს, ვ. კორშონს, ა. ერქომაიშვილს, ვ. ნინიძეს, ა. მეგრელიძესა და ნ. ჯიბლაძეს“.<sup>15</sup>

აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროს კითხვაზე „რა შედეგი მოგვცა საერთო განათლების საგნების სწავლების შემოღებამ?“ პასუხი ინახება საარქივო მასალებში 1953-54 სასწავლო წლის პირველი სემესტრის ანგარიშებში.

ცნობა-ანგარიშში წარმოდგენილია სამი საკითხი:

საკუთარი კონტინგენტი;

გამოცდებზე გამოცხადება;

<sup>12</sup> იქვე, ფურც. 4.

<sup>13</sup> აჭარის ასსრ ცსა, რ. 972. პირადი საქმე, ფურც. 7

<sup>14</sup> იქვე ფონდი 472, აღწ. 1, ფურც. 3-4-5.

<sup>15</sup> 5 რ. კომახიძე. „აჭარის კულტურის ისტორია“. გვ. 488

აკადემიური წარმატება საგნების მიხედვით.

ქართული ლიტერატურის, მათემატიკის, რუსული ენა და ლიტერატურის, ფიზიკის, ისტორიის, ქიმია (6 საგანი) სწავლების შემოღებით მივიღეთ შემდეგი შედეგები:

ჩამოყალიბდა სამუსიკო სასწავლებლის საკუთარი კონტინგენტი მოსწავლის ოდენობით. შეიქმნა სრული გარანტია იმისა, რომ მომავალი წლიდან ეს კონტინგენტი კიდევ უფრო გაიზრდებოდა და სასწავლებელი მიიღებდა სრულყოფილ სახეს მთლიანი სასწავლო გეგმით, ცენტრალური ქალაქების სამუსიკო სასწავლებლის მსგავსად;

მტკიცე საძირკველი ჩაეყარა ქ. ბათუმში მუსიკალური კადრების მომზადების, მათი შენარჩუნების და აღვილებზე დასაქმების ან უმაღლესი განათლების მისაღებად მათი გაგზავნის საქმეს;

სრული გარანტია შეიქმნა კურსდამთავრებულთა დენადობის აღმოსაფხვრელათ, რაც მტკიცე საფუძველი იყო იმისა, რომ კადრების მომზადების აკადემიური დონე თანდათან ამაღვლეოდა, რადგანაც ყველა საგანი სამუსიკო სასწავლებელში ისწავლებოდა და აღვილი არ ექნებოდა მოსწავლეთა გადატვირთვას ერთდროულად ორ სკოლაში სწავლით.

ხელს აწერენ: – დირექტორი ა. ფარცხალაძე, სასწავლო ნაწილის გამგე – თ. გათენაძე.

ცნობაში ასევე მოყვანილი იყო, რომ “წარმატებით მიმდინარეობს მზადება ახალი საბავშვო ოპერის „ჭიაკოკონას“ და ოპერა „მიხინარე მზეთუნახავის“ დასადგმელად.<sup>16</sup>

აქვე გვინდა შევნიშნოთ, რომ უკვე მოგვიანებით, 1956 წლის 4 ივნისს, აჭარის კულტურის მინისტრის ფაქტუმა დუმბაძე აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს რ. კომახიძეს თხოვნით მიმართავდა მ. ა. დოღენგო – დრაგოჟის სასცენო და პედაგოგიური მოღვაწეობის 50 წელთან დაკავშირებით მისთვის მიენიჭებიათ „აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის“ საპატიო წოდება.

მამაჩემს აჭარაში კულტურის ძეგლების დაცვა, აღდგენა, უპირველეს მისიად მიაჩნდა. მისი მოღვაწეობის პერიოდში აჭარაში დაიწყო კულტურის ძეგლების მოკვლევა და სარესტავრაციო სამუშაოები. ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა სხალთის ეკლესია. დაიწყო ჭვანის, დანდალოს დიუნებზე არსებული ძველკოლხური სამოსახლოს არქეოლოგიური შესწავლა, თამარის ციხის სარესტავრაციო სამუშაოები. ამ ძეგლის შესწავლისას დადგინდა, რომ უძველესი დასახლება ბათუმის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძველი წელთაღრიცხვით VIII-VII საუკუნეებში, – გონიოს ციხე... მამამ შესანიშნავად იცოდ თავისი ერის, თავისი ქვეყნის ისტორია და წარსული.

მამაჩემი შვილებს მარკუს ავრელიუსის სიბრძნით გვზრდიდა. ხშირად გვეტყოდა ხოლმე „...სიცოცხლე მოკლეა, ამიტომ სიმართლისა და კეთილგონიერების საქმეს უნდა მოვახმაროთ აწმყო“. რაც განპირობებული იყო მისი სულიერი სიფაქიზით, პატიოსნების მკაცრი წერილებით, მოკრძალების შინაგანი პათოსით, ინდივიდუალურობით, პიროვნების შეუვალი და ამაღლებული თვისებებით.

მასში თავმოყრილი იყო კაცური კაცის ყველა ღირსება: ძლიერი ნებისყოფა და სათუთი გული, სიხუმე და უჩინარი მღელვარება, უბრალოება, უპრეტენზიო აღამიანის

<sup>16</sup> აცა ფონდი (1202) 972. დამატ. №1ა 1, ფურც. 242 დან – 296 ჩათვლით.

თვისებები. იგი იყო ჩვენი მასწავლებელიც და მეგობარიც, პირდაპირიც და მოკრძალებულიც, მკაცრიც და დამთმობიც. მამის სახელის უკვდავსაყოფად დავარქვი ჩემს ვაჟს რევაზი. მინდა მას ჰგავდეს, მისი გული ჰქონდეს – მისი კაცთმოყვარეობა და ნიჭი. მისი სამართლისმოყვარეობა და ერთგულებ, პაპასავით უყვარდეს საქართველო, მისი მშობლიური კუთხე, მისი ბათუმი, ახლობლები და მეგობრები.

დღეს ბედნიერი ხარ მამა! ყველას ისევ ისე ახსოვხარ, ყველა გეფერება და გესათუთება, მოკრძალებით გიგონებს.

... და რაც მთავარია, შენი მშობლიური აჭარა, ბათუმი, ისე თავდადებით რომ გიყვარდა, მშვენივრება და ლამაზდება.

შ. რ. კომახიძე იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი იყო. სადოქტორო თემა დასაცავად მზად ჰქონდა, მგრამ მარადიულმა სიცოცხლემ მოუსწრო.

1958 წლის თებერვალში არჩეული იყო სსრკ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები: „საპატიო ნიშნის“, „შრომის წითელი დროშის“ ორდენები და სხვა ჯილდოები.

დედაჩემი – ეთერ ჩიჯავაძე. მშობლები შვილებს არ გვანებივრებდნენ და მზამზარეულს არაფერს გვაწვდიდნენ, თავიდანვე დამოუკიდებელ შრომას გვაჩვენებდნენ. გვასწავლიდნენ, რომ ადამიანს მაღალი პროფესიონალიზმი ამშვენებს, „კარგად ისწავლეთ და ცოდნით დაძლეეთ ყოველგვარ სირთულეებსო“. ხშირად შეგვახსენებდნენ სულხან-საბა ორბელიანის სიბრძნეს... „სიტყვა საქმიანი, საქმე სიტყვიანი“. შვილებს მათი გეჯეროდა და ნათქვამს მოკრძალებით ვასრულებდით. ოჯახში ისინი ყველანაირი წესების, თუ ტრადიციების მკაცრი დამცველნი იყვნენ და ამას მხოლოდ დამრიგებლური, ტბილი ენით აღწერდნენ. ჩვენ, შვილები, მათ არასდროს დავუსჯივართ და არც ჩვენ ვაძლევედით ამის საბაბს.

დედაჩემი, ეთერი ჩიჯავაძე, მამაჩემის სულის ტოლი და ერთგული თანამოაზრე, მშრომელი და მოსიყვარულე, პროფესიით მასწავლებელი იყო. მას ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. განსაკუთრებული ფუფუნებით არ გამოირჩეოდა. არადა ამის შესაძლებლობა მას უხვად ჰქონდა, როგორც საკუთრივ თავისი შეძლებული მშობლების, ასევე მამაჩემის თანამდებობით გათვალისწინებით.

დედაჩემის სამოღვაწეო ასპარეზი ადრეული ასაკიდან დაიწყო. იგი საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მუშაობდა. კარგი ორგანიზატორული ნიჭი ჰქონდა. იყო აჭარის საოლქო კომიტეტის ქალთა კომიტეტის გამგე, არაერთხელ არჩეულა ქალთა ყრილობის დელეგატად, ცაკის წევრად, იყო აჭარის ასსრ კომკავშირული მოძრაობის ვეტერანი, რესპუბლიკური მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერი, აჭარაში პიონერული ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი და ბათუმის პიონერთა პარკის პირველი დირექტორი. მისი დირექტორობის დროს კურორტ ბეშუმში გაიხსნა მოსწავლეთა დასასვენებელი ბანაკი. მას ერგო პატივი და ნდობა პირველს წაეყვანა მოსწავლეები დასასვენებლად. ეს იმ დროისთვის მეტად საპასუხისმგებლო და რთული იყო, იმდენად, რამდენადაც სამანქანო გზა ბოლომდე გაყვანილი არ იყო და გოდერძის უღელტეხილიდან ბავშვების გადაყვანა ცხენებით ხდებოდა. ასევე დიდი გამოცდილება ჰქონდა ბავშვთა სკოლამდელი აღზრდისა და განათლების საქმეში. დიდი ხნის მანძილზე ბათუმის №1 საბავშვო ბაღის უნარიანი ხელმძღვანელი და თვალსაჩინო დირექტორი გახლდათ. №1 საბავშვო ბაღში აღვიზარდე. იგი ტერიტორიულად იმყოფებოდა ამჟამინდელი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური ბიბლიოთეკის შენობაში, მემედ აბაშიძისა და ვაჟა-ფშაველას ქუჩების კვეთაში. ბაღში

კარგი აღმზრდელი პედაგოგები იყვნენ, ბავშვებს გვიხაროდა იქ მისვლა. კარგი პირობებიც იყო. დარბაზში როიალი იღბა და მუსიკის ჰანგების თანხლებით არაერთი საზეიმო „დილა“ ეწყობოდა. შემდეგ, ისევ დედაჩემის დირექტორობის დროს, ბაღი გადავიდა, შ. რუსთაველის ქუჩაზე, სადაც დღესაც ფუნქციონირებს.

დედაჩემი კარგი მომავლის იმედით იღწვოდა, იღწვოდა გულწრფელობით და მთელი მისი შთაგონებით. მას არაჩვეულებრივი სიმღერისა და ცეკვის ნიჭი ჰქონდა, ასევე მსახიობური მონაცემებით იყო დაჯილდოებული და კარგადაც ხატავდა. შესანიშნავი გარდასახვის უნარი ჰქონდა. ამ ნიჭმა ბევრჯერ გაუწია სამსახური, როგორც თავად მას სტუდენტურ წლებში, ასევე საკუთრივ თავისი შვილების აღზრდისა და პედაგოგიური სამოღვაწეო სარბიელზე მოღვაწეობისათვის.

მახსენდება მისი არტისტიზმით მოყოლილი ზღაპრები. მოგვითხრობდა ქრთულ ზღაპრებს, მითებს, ლეგენდებს და რაც მთავარია იქვე ჩანახატებს გაგვიკეთებდა. არ დამავიწყდება ზღაპარ „ნაცარქექიას“ ჩანახატების მთელი კოლექცია, ბოროტი დევის მთელი სერია შეგვიქმნა და ა.შ.

დედაჩემი, როგორც საკუთრივ თავისი პიროვნების წინაშე, ასევე დედაშვილურ ურთიერთობაში და საზოგადოებრივი აზრის წინაშე ყოველთვის მართალი იყო, ის თავისი საქმით, პირადი ცხოვრების გადასახედიდან სანიმუშო ქართველ დედად მესახება.

შვილების სკოლაში შესვლის შემდეგ დედამ მთელი ყურადღება, სიბო და სიყვარული ჩვენს სწავლა-აღზრდას მონდობდა. მართალია ძალიან ჭირვეულები არ ვიყავით, მაგრამ მაინც თავის ფრთხილ დამოკიდებულებას არ გვაკლებდა. ის ყოველთვის შეგვახსენებდა, რომ „ახალგაზრდობის აღზრდისა და განათლების ბედი სკოლაში წყდება და სწორედ ამ ასაკში უნდა შეიძინოთ და დაამკვიდროთ ცოდნა და სახელი“. მისმა დიდმა გარჯამ ნაყოფი გამოიღო, – სამივე შვილმა სკოლა ოქროს მედალზე დავამთავრეთ. სამივემ თბილისში მოვიღეთ უმაღლესი განათლება. სამივე შვილი ხალხის სამსახურში ვიდწვით.

უფროსმა მედეამ – თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა და ოთხი ათეული წლების მანძილზე კეთილსინდისიერად ემსახურება ავადმყოფებს. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ბათუმის ქალთა კონსულტაციას. მუშაობდა ბათუმის სამშობიარო სახლის ექიმ-გინეკოლოგად და საზოგადოებაში სარგებლობს დიდი ავტორიტეტითა და სიყვარულით. უმცროსმა ქალიშვილმა – ლეილამ თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორია დაამთავრა და წარმატებით ემსახურება მუსიკალური კადრების აღზრდის საქმეს. ოთარიმ – სამედიცინო განათლება მიიღო, იგი არის მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი, ხელმძღვანელობს აჭარის რესპუბლიკურ საავადმყოფოში მის მიერ დაარსებულ პროფტოლოგიის განყოფილებას. იგი აჭარაში ერთადერთია. საზოგადოებაში სარგებლობს კარგი ავტორიტეტით. სამივე შვილს შექმნილი აქვს ქართულ ტრადიციებზე დამყარებული ოჯახები, ჰყავთ შვილები, შვილიშვილები. ლეილას ვაჟი, რევაზი – ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორია. საპასუხისმგებლო დარგს ხელმძღვანელობდა აჭარაში, მოღვაწეობს თბილისში ეკონომიკის სამინისტროში.

ორიოდე სიტყვას მოგახსენებთ დედაჩემის მშობლებზე და მის დედმამიშვილებზე. როგორც ზემოთ აღვნიშნე დედაჩემის მშობლები შეძლებულები და ინტელექტუალები იყვნენ. მინდა მოგახსენოთ მათი ოჯახის შესახებ, ცხოვრების იმ სველიანი ეპიზოდის

შესახებ, მშობლიური კუთხის ისტორიული ბედუკუდმართობის შესახებ, რომელმაც მათი ოჯახი ორად გახლინა.

მოგეხსენებათ, პირველი მსოფლიო ომი 1914 წლის აგვისტოში დაიწყო.<sup>17</sup> ომის წლებში ერთა შორის ურთიერთობა უკიდურესდ დაიძაბა და ეროვნული საკითხი გააქტიურდა რუსული შოვინისტური და პანთურქისტული ექსპანსიური წრეები ერთნაირი მონღომებით და მიზანსწრაფულად ეწეოდნენ ანტიქართულ საქმიანობას. რუსმა შოვინისტებმა განგებ ასტეხეს განგაში ამ ომში აჭარელი მოსახლეობის ვითომდა თურქოფილური განწყობილების შესახებ. ეს იყო ბოროტი ცილისწამება. სინამდვილეში აჭარის მოსახლეობამ თავისი წვლილი შეიტანა პანთურქიზმის ლიდერთა ავანტიურისტული გეგმების ჩაშლაში. აჭარის ინტელიგენტური წრეები მემედ და ჰაიდარ აბაშიძეების, გულო კაიკაციშვილის, რეჯებ ნიჟარაძის და სხვათა შემადგენლობით ენერგიულად იბრძოდნენ, რათა მოსახლეობაში გაექარწყლებინათ ხოჯებისა და მოღების ისლამისტური საქმიანობა და აჭარა მკვიდრად შემოეყვანათ ქართული ეროვნული ინტერესების სფეროში. თურქი დამპყრობლები თავის მხრივ სისტემატურად აწეობდნენ თავდასხმებს მესხეთ-ჯავახეთის და აჭარის მიწა-წყალზე, უღეტდნენ მოსახლეობას, ანგრევდნენ და აპარტახებდნენ სოფლებს. ამ დროს გარეშე მტრული ძალები, მათ შორის, რუსეთიც მოქმედებდა. ქართველი ხალხი აჭარელ თანამემამულეთა დასხმარებლად ენერგიას და სახსრებს არ იშურებდა.

ქობულეთი, სადაც ჩემი დედის მშობლები ცხოვრობდნენ, ერთ-ერთ საომარ პლაცდარმს წარმოადგენდა. იქ იდგა, როგორც თურქეთის სამხედრო რაზმი, ასევე რუსეთის ჯარის ქვენაწილები. მათი მშვიდობიანი მოლაპარაკების და კულტურული მოსვენების ოჯახი გახლდათ ჩემი ბაბუას ნური ჩიჯავაძის და ჩემი ბებია ფადიმე ნიჟარაძის სახლი. ბებია – ფადიმე გახლდათ ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის გმირის დედა-აღა ნიჟარაძის შთამომავალი და ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და განმანათლებლის რეჯებ ნიჟარაძის და. ისინი ცხოვრობდნენ ქობულეთის ცენტრში, იქ სადაც დღეს, ქობულეთის მერიის შენობაა და მის ირგვლივ შემოგარენი, ზღვისპირა სკვერით ეს უზარმაზარი ტერიტორია მათი საკუთრება გახლდათ. მასსოვს დეიდა ნაზიკო, რომელიც უადრესად განათლებული პიროვნება იყო, თავისი ახალგაზრდობის წლების გახსენებისას მოგვითხრობდა, რომ „იმდენად დიდი და ლამაზი ეხო ერტყა ჩვენს სახლს. ცხენით ვჯირითობდით და ყველას უხაროდა ჩვენთან მოსვლა. როგორც წესი დედა აუცილებლად თავისი ტკბილეულით გაუმასპინძლდებოდა“. ბებია ფადიმე ცნობილი იყო როგორც კარგი დიასახლისი. ამ ეხო-კარის თავკაცს, ნური ჩიჯავაძეს და მის მეუღლეს ფადიმე ნიჟარაძეს შვიდი შვილი ჰყავდათ: ზექიე, სოფიო, მურადი, გულიკო, ნაზიკო, ფადიკო და მემედი.

სოფიო ჯერ კიდევ 16 წლის არ იყო თურქმა, სამხედრო ოდიაკმა შეიყვარა. დასაწყისში სულეიმანმა სოფიოს ხელი მშობლებს თხოვა, მაგრამ უარის მიღების შემდეგ გაიტაცა იგი. მშობლებმა შეძლეს ქალიშვილის უკან დაბრუნება. სულეიმანი კი იმუქრებოდა „აგაწიოკებთ არამარტო თქვენ, არამედ მთელ თქვენს მოდგმასო“. რამდენიმე თვის შემდეგ სტამბულიდან დაბრუნებული სულეიმანი კვლავ დაჟინებით ითხოვდა სოფიოს ხელს. მშობლები იძულებული გახდნენ დათანხმებოდნენ და სოფიო გაეთხოვებინათ. თურქეთში გამგზავრების წინ სოფიომ მშობლებს თხოვა უმცროსი და, რვა წლის გულიკო გაეტანებინათ. რათა ქართულად მოსაუბრე ჰყოლოდა გვერდით. სულეიმან ოდიაკმაზი შემდგომ თავისი ქვეყნის ცნობილი სმხედრო გენერალი,

<sup>17</sup> ა. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1981 წ. გვ. 171-172

შეძლებული და გავლენიანი პიროვნება გახდა. სტამბულში მათ შექმნეს ბრწყინვალე ოჯახი. შეეძინათ ორი ვაჟი ნეეზათი და ჯევათი.

ფადიმე ბებია კი „ცოცხლითაი დაკარგულ შვილებს ტიროდა“.

საბჭოთა წყობის დროს სახელმწიფო საზღვარი ჩაიკეტა. არანაირი ურთიერთობა, მიწერ-მოწერა არ იყო. ყველაფერი აიკრძალა.

ოჯახი ორად გაიყო...

არადა, სიტყვიერი გადმოცემით, თურმე სოფიო დეიდა ცდილობდა როგორმე სამშობლოში დაებრუნებინა გულიყო, მაგრამ მისი ყოველმხრივი მონდომება უშედეგო აღმოჩნდა და გულიყო დეიდაც იქ დაოჯახდა. მისი მეუღლე ლივიელი სამხედრო გენერალი ლევი ტეტიკი გახლდათ. მათაც არაჩვეულებრივად ბრწყინვალე ოჯახი შექმნეს და დიდებული მემკვიდრეობა შესძინეს შთამომავლობას. უფროსი ვაჟი ადრე გარდაცვლილა. ქალიშვილი ნერმინჯე სპეციალობით დიპლომატი იყო. მოღვაწეობდა ესპანეთში, ხოლო ნერმინეს ვაჟები, ორივე დიპლომატებია ერთი – ამერიკის შეერთებულ შტატებში, ხოლო – მეორე ლონდონში მოღვაწეობდა.

და მხოლოდ 1989 წელს, როდესაც გზა გაიხსნა საბჭოთა კავშირსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის, მქონდა ბედნიერება მომენახულებინა თურქეთი. გავემგზავრეთ მე, ჩემი მეუღლე სერიკო და ქალიშვილი ლალი. დიდად მაინტერესებდა გაცნობოდი ჩემთვის საოცნებო, სისხლით ახლობელ ნათესავეებს, სოფიო და გულიყო დეიდას და მათ ნამრავლს.

დადგა ნანატრი დღეც. როგორც კი სახელმწიფო საზღვარი გადაკვეთეთ და თურქეთში აღმოვჩნდით სულით ხორცამდე შემძრა მშობლიური კუთხის ისტორიულმა ბედუკუდმართობამ. ერთ-ერთმა ჩვენებურმა, ღრმადმოსუცებულმა ქალმა დაიხოქა და გულის სიდრმიდან ამოხეთქილი სიტყვებით მოგემართა: „აწი სიკვდილის არ მეშინია, გალმიდან გამოსულები გნახეთ“. ტრაბზონში, სამსუნში იზმირსა და ბურსაში ჩვენებურებთან და განსაკუთრებით ბავშვებთან შეხვედრამ არავინ დაგვტოვა გულგრილი. ისინი გვეხვეოდნენ, გვეფერებოდნენ და გვევედრებოდნენ, ჩვენებური ქითაფები (წიგნები) არ გაქვთო? განსაკუთრებით “დედა ენას” გუთხოვდნენ.

მგზავრობაში მეოფს ხშირად მახსენდებოდა XIX საუკუნის 80-იან წლებში სულმნათ ილიას მიერ ნათქვამი ამაღელვებელი სიტყვები: „...ოსმალის საქართველოს დიდი პატივსაცემი და სახელოვანი დეაწლი მიუძღვის ჩვენი ერის ისტორიაში... ჩვენ ვართ ერთის სისხლისა და ხორცისანი, ერთსა და იმავე ენით მოლაპარაკენი, ერთი ისტორიაც გვქონდა. იქ, ოსმალის საქართველოში, პირველად ქრისტიანობამ მოიკიდა ფეხი ანდრია მოციქულის მოძღვრებით... ჩვენი სასიქადულო შოთა რუსთაველი იმ მხარის კაცი იყო... ჩვენი სასიქადულო შოთა რუსთაველის იმ მხარის კაცი იყო... ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფნია, ჩვენის სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქედან ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს... მაგრამ XVII საუკუნიდან მოყოლებული ოსმალებმა ეს კუთხე საქართველოს მოსწყვიტეს და ჩვენი მოძმე ქრისტიანი ხალხი დარჩა უწინამძღვროდ, უმოძღვროდ, უეკლესოდ და სასოწარკვეთილი, მწარედ დაჩაგრული, უმოწყალოდ დევნილი და განადგურებული, ნელ-ნელა მიეცა მაჰმადიანობას“.



როდესაც სტამბულში ცისფერი მეჩეთის შესასვლელთან სალოცავად მისულმა ახალგაზრდამ ჩვენს დანახვაზე, თვალცრემლიანმა ბოდიშის მოხდით შემოგვივიღა: „თქვენებური ვარ... მაგრამ რჯულიც დაგვარგეთ, ენაც წაგვართვეს გული კი ვერაო“... მაშინ კიდევ ერთხელ დავრწმუნდი თუ რატომ გაიღო ასეთი დიდი მსხვერპლი ჩვენმა დიდმა მამულიშვილებმა.

სტამბულში ჩასულებმა ჩემი ახლობლების საცხოვრებელი სახლისკენ გავეშურეთ. დიდი ემოციური განცდის ქვეშ აღმოვჩნდი. როდესაც სტამბულის ევროპული ნაწილის ერთ-ერთ არქიტექტურულად ულამაზესი სახლის სადარბაზოს სართულებზე ასვლისას მოულოდნელად კარი გაიღო და ორი ულამაზესად წარმოსადეგი მანდილოსანი ხელჩანთებით, ერთი უკვე ასაკოვანი, მეორე კი ახალგაზრდა, ლამაზი ქალბატონების პირისპირ აღმოვჩნდი. ის-ის იყო თარჯიმანს უნდოდა მათი საშუალებით გაეგო თუ სად ცხოვრობდნენ ჩვენი ნათესავები, რომ უცებ შევერთი და გაოცებულმა, ჩემდა უნებლიეთ, აღვვლებით ძლივს წარმოვთქვი „ეს არის დეიდაჩემი“, გვერდზე მყოფნი გაოგნებულები და დაბნეულები იყვნენ. არადა ჩემთვის უცნობ ასაკოვან მანდილოსანსა და დედაჩემს შორის იმდენად ბევრი საერთო გარეგნული მსგავსება დავინახე, რომ თითქოსდა დედა გამიცოცხლდა. ისინიც ბუნებრივია გაოცებულნი და შემოფოთებულები გვიყურებდნენ, ხელჩანთებით და სამგზავრო ბილეთებით ხელში თურმე ესპანეთში მიემგზავრებოდნენ.

თარჯიმანმა გააცნო ჩვენი თავი. ჩემმა ინტუიციამ გაამართლა. მართლაც უკვე აღმოვჩნდი სისხლით ახლობელ, დვიძლი ნათესავების დეიდა გულიკოსა და მისი ქალიშვილის ნერმინეს გარემოცვაში.

გულიკო დეიდა და დეიდაშვილი ნერმინე სიხარულის ცრემლებით იღვრებოდნენ. ვტიროდით ჩვენც, ვეხვეოდით ერთმანეთს... იმ წუთებში საოცარი სურვილი დამეფულა. ვინატრე ... ვყოფილიყავი მშობლებთან ერთად, ჩემს დედ-მამასთან ერთად, რომ ნანახი და გაგონილი მათთვის გამეზიარებინა. ამ სურათის ასახვა მხოლოდ კინოკამერას შეეძლო.

არანაკლებ განცდათა გარემოცვაში აღმოვჩნდი, როდესაც სადარბაზო ოთახის ცენტრალურ ადგილას მრგვალ, მოჩუქურთმებულ მაგიდაზე ძვირფას ჩარჩოებში ჩემი წინაპრების – ბებიას, ბაბუას და მისი ნამრავლის ფოტოსურათები იყო გამოფენილი. არადა იმ სურათების ფოტოასლები მეც ხელთ მქონდა.

ესპანეთში გამგზავრება გადაიდო.

დეიდა გულიკო და ნერმინე ჩვენს სიყვარულს მოწყურებულები დიდ მზრუნველობასა და ყურადღებას იჩენდნენ. მათი წყალობით გავიცანით დეიდა სოფიოს ვაჟი ნეეზათ ოდიაკმაზი. ერთ-ერთ თვალსაჩინო საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, სტამბულის უნივერსიტეტის იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორს და პროფესორს, მწერალს, თურქეთში გამოცემული ენციკლოპედიის და საერთოდ მრავალი წიგნის ავტორს, რომელიც ძირითადად მსოფლიოს ხალხთა მეგობრობას ეძღვნება. მისი ძმის ჯევათ ოდიაკმაზის გაცნობა ვერ მოხერხდა, რადგან ცხოვრობდა ანკარაში და იმ დროისთვის სამსახურებრივი მივლინებით ამერიკის შეერთებულ შტატებში – ვაშინგტონში იმყოფებოდა. ისიც გავლენიანი პიროვნება გახლდათ. მინისტრთა საბჭოში მუშაობდა და თურქეთის სენატორი იყო.

სოფიოს დეიდას კი მშობლიური კუთხის, ქობულეთის, სიყვარულში დაუღვევია სული, მაგრამ წასულა არა როგორც სწეულებით გამწარებული, არამედ 81 წლის ასაკში, ლონდონში გამგზავრების წინ. მისი ცხოვრებისეული სტიქია მგზავრობა

ყოფილა და მისი სიცოცხლის მანძილზე არაერთი მსოფლიოს მნიშვნელოვანი ქალაქი მოუნახულებია. ამ მხრივ მას ოჯახური სიძლიერე და თბილი გარემოცვა უწყობდა ხელს ყოველთვის.

კვლავ დავუბრუნდეთ ადრეული პერიოდის ეპიზოდებს.

გადის წლები... და ბედუკუდმართი დროის სუსხი არც მერე მოჰკლებია ამ ოჯახს. ჩიჯავაძეებს ისევე დიდი პოლიტიკური ვითარებით გამოწვეული უბედურება დაატყდა თავს.

1922-1923 წლებში ხალხის სურვილის სპირისპიროდ ზოგიერთი კომუნისტი და კომკავშირული ხელისუფლების წაქეზებით ანგრევდა ეკლესია-მონასტრებს, ხოცავდა კულტის მსახურთ. გამეფებული იყო ნამდვილი ათეისტური დიქტატურა, რომელიც შეურაცხყოფდა ხალხის რწმენას, ტრადიციებს, ემუქრებოდა მის ზნეობას, კულტურას...

რეპრესიებმა მკაცრი და მასობრივი ხასიათი მიიღო 1223 წლის დასაწყისიდან. ხელისუფლების მიერ წაქეზებული ღარიბი გლეხობა დაერია მემამულეთა მიწების ჩამოსართმევად და საგლეხო კომიტეტებისათვის გადასაცემად. მემამულეებს ერეკებოდნენ სახლებიდან, იტაცებდნენ ქონებას, მცირეოდენი წინააღმდეგობის შემთხვევაში ადგილზე კლავდნენ.<sup>18</sup>

ჩიჯავაძეების ოჯახი ამ მკაცრი რეპრესიების ქვეშ აღმოჩნდა, რაც კი გააჩნდათ ყველაფერი ჩამოართეს. უფრო მეტიც 12 წლის გოგონას, კომკავშირულ ფადიკოს, დეიდაჩემს მისი გარდაცვლილი დედის ტირილის უფლებაც არ მისცეს, უჩივლეს... „კულაკ დედას ხმამაღლა ტირისო“...

უფროსმა დამ ნაზიკომ, რომელიც უკვე ბათუმში აჭარის საოლქო კომიტეტში ქალთა სექტორის გამგედ მუშაობდა, უმცროსი დის ფადიკოს, ძმების მურადის და მემედის მზრუნველობის პასუხისმგებლობა თავის თავზე აიღო და ახალგაზრდობის ბედნიერების წლები მათ აღზრდას მოანდომა.

დედაჩემს ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. მისი სწავლების პერიოდში პედინსტიტუტელი ახალგაზრდები ხარბად ეწაფებოდნენ ლიტერატურას. აწყობდნენ დისკუტებს, საღამოებს, მართავდნენ სპექტაკლებს. ასეთ წამოწყებათა ერთ-ერთი ინიციატორი და ორგანიზატორი „სტუდენტთა კომიტეტის“ თავმჯდომარე მამაჩემი რევაზ კომახიძე იყო. ამ კომიტეტის წევრი დედაჩემი ეთერ ჩიჯავაძეც გახლდათ. დრამატული წრის ერთ-ერთ სპექტაკლში „სასეირო“ მამაჩემმა მეზატონის მოჯამაგირე ბიჭის როლი შეასრულა. საინტერესოა, რომ ამ პიესში მას პირველად მოახლე გოგოს როლის შემსრულებლად პარტნიორად მისი მომავალი მეუღლე შეხვდა.

„სტუდენტთა კომიტეტის“ თავმჯდომარე რ. კომახიძე დიდ გულისყურს იჩენდა ინსტიტუტის ანსამბლებისადმი. შექმნილი იყო როგორც გალობის, რომელსაც ხელმძღვანელობდა გამოჩენილი ლოტბარი მელიტონ კუხიანიძე, ასევე ქორეოგრაფიული წრე, საქვეყნოდ ცნობილი ქორეოგრაფის დათა ჯავრიშვილის მეთაურობით.

ანსამბლებს არაერთი საინტერესო კონცერტი გაუმართავს ქალაქის მოსახლეობისათვის და დიდი სახელიც მოუხვეჭია. აჭარის მხარეთმცოდნეობის

<sup>18</sup> ა. სურგულაძე. საქართველოს ისტორია. თბილისი, 1991წ. გვ. 253

მუზეუმის ერთ-ერთ საგამოფენო დარბაზში შემონახულია და წარმოდგენილია ცეკვა „ფერხულის“ დიდი ფოტოსურათი, სადაც მოცეკვავეთა შორის დედანემიცი გახლავთ.

ჩემი მშობლები რევაზ კომახიძე და ეთერ ჩიჯავაძე სწავლაში გამორჩეულები იყვნენ. მამა საოცარი სიბეჯითით გამოირჩეოდა. მან გამოავლინა სწავლისადმი უჩვეულო სწრაფვის ინტერესი, რაც უპირველესად ხელმძღვანელებისა და პედაგოგებისთვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. იგი პირველი კურსიდან მესამე კურსზე გადაიყვანეს.

სიბეჯითემ და საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურმა მონაწილეობამ, როგორც მისი სტუდენტობის მეგობარი პროფესორი გრ. ერმოვი აღნიშნავდა, რევაზ კომახიძეს ინსტიტუტში ჩქარა შეუქმნა ავტორიტეტი.

ამ ნაკადის გამოშვება 1933 წელს შედგა. მათ რიცხვში მამა არ იყო, რადგან უფრო ადრე განაგრძო სწავლა მოსკოვის იურიდიულ ინსტიტუტში, სადაც სტალინის სახელობის სტიპენდიანტი გახდა. პროფესორმა ა. ალიმოვმა კათედრაზე დარჩენა შესთავაზა. მაშინ მამაჩემი 22 წლის იყო, მაგრამ სამშობლოში დაბრუნება არჩია და ქობულეთის პროკურორად დაიწყო მუშაობა. აქაც ჩვეული სიბეჯითე გამოავლინა და აჭარის პროკურორის მოადგილედ და სპეცსაქმეთა პროკურორად დააწინაურეს. 1948 წლის ოქტომბერში ქ. მოსკოვში საზოგადოებრივ მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურაში მიაღწინეს. აკადემიაში შესვლისთანავე მისმა პირველმა სასემინარო ნაშრომმა მიიქცია, როგორც ასპირანტთა ისე სემინარის ხელმძღვანელის ყურადღება.

დისერტაცია მაღალ დონეზე დაიცვა. იგი სამხრეთ დსავლეთ საქართველოდან პირველი იყო, ვინც იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სმეცნიერო ხარისხი მოიპოვა.

მოსკოვიდან დაბრუნებული მალე ავტონომიური რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს ჩაუყენეს სათავეში. საქართველოს ყოფილი იუსტიციის მინისტრის, ვასილ მამალაძის სიტყვით „რევაზ კომახიძე იყო არა მარტო ძლიერი იურისტი და უკეთესობილესი მოქალაქე, არამედ შესანიშნავი ხელმძღვანელიც, უადრესად პრინციპული და სამართლიანი“.

ერთი ეპიზოდის მინდა მოგახსენოთ. დედანემი თავისი მშობლიური კუთხის ქობულეთის, ადრეული პერიოდის გახსენებას ყოველთვის განიცდიდა, მაგრამ ჩვენ თავს გვარიდებდა და გაწონასწორებულად, მშვიდად ეჭირა თავი. სწორედ ასეთი წესით იცხოვრეს ნური და ფადიმე ჩიჯავაძეების შვილებმაც: ზექიემ, მურადმა, ნაზიკომ, ფადიკომ და მემედმა. თურქეთში მცხოვრებ ფადიკოს და გულიკოს განცდების შესახებ ჩვენ არაფერი ვიცოდით, მხოლოდ ჩვენი შეხვედრის შემდეგ ნათელი გახდა, რომ თურმე ჩვენი ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ეპიზოდს ისინი თვალყურს ადევნებდნენ და კარგადაც იცოდნენ, რომ უმცროსი და ფადიკო, რომელიც მათი ქობულეთიდან წასვლის შემდეგ მოვევლინა ქვეყნიერებას, ბედნიერად ცხოვრობდა, რომ მისი მეუღლე რევაზ კომახიძე აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე იყო. მამაჩემი, როგორც საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის მისიით მოსკოვში მყოფი ყრილობების დროს ჩემ დეიდშვილს ნერმინეს, როგორც მოსკოვში თურქეთის საელჩოში მომუშავე დიპლომატთან, რამდენჯერმე ჰქონია შესაძლებლობა შეხვედროდა და გაცნობოდა, მაგრამ თავს არიდებდა და ფრთხილობდ, რომ ჩვენიანებს კვლავ ახალი უსიამოვნება არ შეხვედროდათ. მამაჩემის გარდაცვალების შემდეგ, ჩვენმა ახლობლებმა სტამბოლიდან გამოგზავნილი ღრმა მწუხარებით აღსავსე წერილი მოგვწერეს და დედას თხოვდნენ წერილობით მაინც აღედგინათ ურთიერთობა. ბარათს მათი ოჯახის

წევრების სურათებიც ახლდა. დედას მაშინდელი გაბატონებული საბჭოური მკაცრი რეჟიმის გამო პასუხიც არ გაუცია. ისე კი მწარე ქვითინით იცრემლებოდა.

სიცოცხლე გრძელდება...

ნური და ფადიმე ჩიჯავაძეების ტრადიციებს აგრძელებდნენ მისი შვილები, აგრძელებენ შვილიშვილები, შვილთაშვილები და მათი შვილები...

და... დასაბამიდან ასე მოდის. „ერთი წავა და სხვა მოვა ტურფასა საბადნაროსა“... თაობა მოდის, თაობა მიდის, ქვეყანა კი რჩება უკუნითი უკუნისმდე. ერთმანეთის პატივისცემით და სიყვარულით აღზრდილი თაობები პატივით და სიამაყით მოიგონებენ ყველასათვის საყვარელ წინაპრებს. თაობებს გასწვდება და დაამშვენებს მათი ღამაზი სულის ჭაღარა.

1946 წელს, სწავლა დავიწყე ბათუმის მე-9 ქალთა ქართულ საშუალო სკოლაში, პარალელურად ვსწავლობდი ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში, ქალბატონ თ. ბოცვაძესთან ფორტეპიანოს კლასით. სკოლაში ხალისიანი, ინტერესიანი ატმოსფერო სუფევდა. სპეციალობასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მუსიკალურ თეორიული საგნების სწავლებას, ამავე დროს კრგი პროფესიონალი-სპეციალისტებიც გვასწავლიდნენ: თეორიულ საგნებში თვით სკოლის დირექტორი ა. ფარცხალაძე; გუნდს, ასევე მუსიკალურ ანბანს, თეორიას საუცხოო კაპელმეისტერი ვ. გოგიტიძე; სპეციალობას, საფორტეპიანო ანსამბლს, მუსიკის ლიტერატურას საუცხოო პედაგოგი ე. ნეიშტადტი. იგი მეტად ერუდირებული და უკეთილშობილესი პიროვნება გახლდათ. სოლფეჯიოს გვასწავლიდა პედაგოგი ვ. მოროშნიკოვა, ძალიან ნიჭიერი ჭკვიანი, ხალისიანი, ღამაზი, ყოველთვის მოხდენილ ფორმაში მეოფი. იგი საინტერესო არტისტული თხრობის მანერით გამოირჩეოდა. მისი ინიციატივით, სოლფეჯიოს გაკვეთილზე, სოლფეჯირებით და ტექსტით შეგვასწავლა ბავშვთა ოპერა პ. გრიგორიევის „მძინარე მზეთუნახავი“, სოლო თუ საგუნდო პარტიები. მახსოვს, ყოველივე ეს სრულდებოდა დიდი ენთუზიაზმით, გატაცებით და სიყვარულით, ძალდატანების გარეშე. მოსწავლეთა სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდნენ ა. ფარცხალაძე, ს. მიქელთაძე; რეჟისორები გახლდათ ჟორა მრავლაძე და ვიქტორია მოროშნიკოვა.

გრიგორიევის საბავშვო ოპერა „მძინარე მზეთუნახავი“ სრულდებოდა მაშინდელი ფილარმონიის დარბაზში.

ოპერის წარმატებით დადგამა ქალაქის უამრავი მოყვარული მოიზიდა. საზოგადოება მადლიერებას გამოხატავდა, განსაკუთრებით სამუსიკო სკოლის ყველა მონაწილე მოსწავლის მიმართ.

მასალები ინახება ფოტო არქივში.

1954 წელს ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაიდგა ა. ფარცხალაძის „ჭიაკოკონა“, ნ. მაღაზონიას საბავშვო პოემის საინტერესო სიუჟეტზე აგებული ოპერა-კანტანტა მთელი თავისი სრულყოფილებით წარუდგინეს მაყურებელს ახალგაზრდა ბათუმელმა მუსიკოსებმა.

ორკესტრი (დირიჟორები: ა. ფარცხალაძე, ს. მიქელთაძე) გუნდი, მთლიანად ადგილობრივი ძალებით იყო დაკომპლექტებული.

სოლო პარტიებს ასრულებდნენ: ტარიელ დავითულიანი, ლამარა ტუღუში, გულნარა ტურძელაძე, ვაჟა ყურშუბაძე, ნინო სარქისაგა, ვალენტინა კილაძე, ციური შერვაშიძე, ნოდარ ხუციშვილი და სხვები.

მსუბუქი, ჰაეროვანი, დიდი გემოვნებით დადგმული ქართული ხალხური ცეკვები – რომლის დამდგმელი იყო ცნობილი ქართველი ქორეოგრაფი, ჩვენი თანაქალაქელი, ალექსანდრე ჯიჯეიშვილი – აღაფრთოვანებდა მაყურებელს.

ასევე სამახსოვროდ შემომრჩა, ფარცხალაძის საავტორო კონცერტში ჩემი მონაწილეობა. საკონცერტო რეპერტუარში შევიდა საფორტეპიანო ანსამბლი, ცეკვა „ქართული“, რომელიც სრულდებოდა ორი როიალისათვის 8 ხელში. ალექსი ალექსევიჩიმა თვითონვე შეგვარჩია: მე, ნაწული ზამბახიძე, რუსიკო თავართქილაძე და რუსიკო გოგოლიშვილი.

– აბა ჩემო ოქროს ფონდო, მოკლე დროში უნდა შევისწავლოთ ეს ცეკვაო, – მოგვმართა მან და ყოველდღიური მეცადინეობით, ჩვეული იუმორითა და საცეკვაო ექსტიკულაციით შეგვასწავლა. უნდა გენახათ როგორი კმაყოფილებით და მშობლიური მადლიერებით გვესიყვარულებოდა კონცერტზე წარმატებული შესრულების შემდეგ.

ჩვენც გახარებულები ვიყავით. საამაყო იყო მისი შექება. ის კი თბილ სიტყვას ყველა ჩვენგანისთვის პოულობდა. ძალიან ვაფასებდით მის ყურადღებას და საქმიან შენიშვნას.

აი ასეთი, ერთიანი სულისკვეთებით ვიყავით განმსჭვალულნი ერთმანეთის მიმართ მასწავლებლები – მოსწავლე, ადმინისტრაცია თუ პედაგოგები. ეს სასიკეთოდ მოქმედებდა, როგორც სწავლების აკადემიურ დონეზე, ასევე კოლექტივის ერთსულოვნებაზე.

ასეთმა კეთილმა დამოკიდებულებამ გამიძლიერა სურვილი სამუსიკო განათლების სრულყოფილებიადმი და დიდი მონდომებით დავეწაფე საფორტეპიანო სწავლებას.

1954 წლიდან სწავლა გავაგრძელე ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში, საფორტეპიანო განყოფილებაზე. მისაღები გამოცდების ჩაბარების შემდეგ ფორტეპიანოს კლასს ვეუფლებოდი პედაგოგ რუსუდან ელიავასთან, რომელიც თბილისში გადავიდა საცხოვრებლად 1956-57 სასწავლო წელს. მე-4 კურსზე მეცადინეობა გავაგრძელე ახლად ჩამოსულ პედაგოგთან მ.შურთან.

სკოლაში ძალიან მობილიზებული ვიყავი. კარგ შედეგებსაც ვაღწევდი. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მე-4 კურსზე სწავლის პერიოდი. ჩემი საკონცერტო გამოსვლებით შესაძლებლობა მომეცა მონაწილეობა მიმედო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დეკადაში თბილისში. წარმატებული გამოსვლებისთვის დამაჯილდოვეს საქართველოს კულტურის სამინისტროს სიგელით; პროგრამაში ვასრულებდი ვერდი – ლისტის „რიგოლეტოს“ და ა. მაჭავარიანის „ხორუმს“.

აქტიურ მონაწილეობას ვღებულობდი სასწავლებლის კონფერენციებზე. ასე, მაგალითად, მუსიკის ლიტერატურაში პედაგოგ გ. ხუჭუას ხელმძღვანელობით (იმ პერიოდში იგი ამავე დროს ჩვენი სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო) წავიკითხე თემა რიმსკი-კორსაკოვის „შეკერეზადე“. თემა მეტად საინტერესო

გამომივიდა, მუსიკალური მასალის ილუსტრირებით, იმდენად კარგი, რომ სასწავლებლის სიგელი-დიპლომი დავიმსახურე.

1956-57 სასწავლო წელს წარჩინებით დავამთავრე სამუსიკო სასწავლებელი.

არასდროს დამავწყდება ჩემი პედაგოგებისა და აღზრდილების ამაგი. ზოგიერთ მათგანზე შეეჩერდები მხოლოდ.

დირექტორი – საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, კომპოზიტორი ალექსი ფარცხალაძე.

ალექსი ფარცხალაძე კარგი ორგანიზატორი, ყოველთვის მისაბაძი და ტონის მომცემი იყო. როდესაც ერთის ნააზრებს აიტაცებენ – განა არ არის ამაში სიკეთე?

„კარგ სიტყვას კარგი გამგონი სჭირდებაო“ უთქვამთ. დირექტორი და პედაგოგი ერთნაირი სულისკვეთებით იღწვოდნენ.

ა. ფარცხალაძე გარდა იმისა, რომ თეორიული საგნების არაჩვეულებრივი სპეციალისტი იყო, იგი ძალიან დიდ ყურადღებას აქცევდა სწორ აზრობრივ, ქართულ მეტყველებას. არავითარ შემთხვევაში უყურადღებოდ არ რჩებოდა მოსწავლის მიერ დაშვებული ენობრივი შეცდომა. შეცდომის არსს სწრაფ რეაქციას აძლევდა და მუსიკალური ენით ან ჰარმონიული შერწყმის შესაბამისობაში, იუმორში გადაიტანდა. იგი ცოცხალი სკოლა იყო, ენერგიული, მეტად საინტერესო პიროვნება, რომელიც მოსწავლისგან მოითხოვდა პროფესიულ, მუსიკალუ-ტერმინოლოგიურ აკდემიურ ცოდნას, რომელიც ქართულ ენასთან შერწყმაში აისახებოდა.

ა. ფარცხალაძის მოღვაწეობის პერიოდში სამუსიკო სასწავლებელი ნამდვილი მუსიკალური კულტურის ცენტრი იყო. ბატონ ალექსს საოცარი უნარი შესწევდა – სასწავლებელში მოეზიდა ნიჭიერი ახალგაზრდობა, ყოველმხრივ ხელი შეეწყო სწავლაში და ჩაენერგა მათთვის მუსიკისადმი სიყვარული.

არასოდეს დამავიწყდება სასწავლებელში ჩატარებული ღია საანგარიშო კონცერტები. რა ზეიმი იყო ჩვენთვის, რა გულის ფანცქალით მოველოდით დღესასწაულს, როგორ ვღელავდით კონცერტების წინ. პატარა დარბაზი მსმენელებს ვერ იტევდა, ხალხი ქუჩის მხრიდან თუ ეზოდან ფნჯრებს აწყდებოდა. ბატონი ალექსი ყოველთვის გვამხნევებდა სცენაზე გამოსვლის წინ. როგორი სასიხარულო და საამაყო იყო ჩვენთვის მისი შექება. თბილ სიტყვას ყველასათვის პოულობდა, ჩვენ კი ძალიან ვაფასებდით მის ყურადღებას და საქმიან შენიშვნებს.

ა. ფარცხალაძე სასწავლებელში ჩემი სწავლის პერიოდში მოსწავლეთა სიმფონიურ ორკესტრს ხელმძღვანელობდა და ჰარმონიას გვასწავლიდა.

ბატონი ალექსის მეუღლე, ქალბატონი მარი ზახაროვნა (ასე მივმართავდით) და დედაჩემი ეთერ ჩიჯავაძე ბავშვთა ბაღის გამგეები იყვნენ და ამავედროულად ახლო მეგობრობა აკავშირებდათ. ოჯახებით ხშირად ერთმანეთს ვსტუმრობდით. გულთბილი შეხვედრების დროს ბატონი ალექსი ხალხურ სიმღერებს და კლასიკურ მუსიკას გვასმენინებდა, თვითონ უკრავდა თავის ნაწარმოებებს.

ბატონი ალექსის უფროსი ვაჟი მერაბ ფარცხალაძე – დღეს კომპოზიტორია, მოღვაწეობს მოსკოვის კონსერვატორიაში. მეორე ვაჟი – გიზო არქიტექტორია, თბილისში მოღვაწეობს. მისი მეუღლე ნინა დავიდოვა-ფარცხალაძისა ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული, მუშაობს თბილისის №2 სამუსიკო სასწავლებელში.

ჭეშმარიტი ხელოვანი, სამშობლოსა და ერის მოსიყვარულე კაცი. საკუთარ სიამტკბილობას უარყოფდა და თავის შესაძლებლობებს წარმართავდა მხოლოდ ერთი მიზნისაკენ, რასაც მამა-პაპური მიწა-წყლის სიყვარული ჰქვია. სწორედ ამ სიყვარულმა ჩამოიყვანა ბათუმში 1930 წელს ახალგაზრდა კომპოზიტორი ალექსი ფარცხალაძე. მან გუმანით იგრძნო, რომ ბედუკუღმართობისაგან გაუბედურებულ აჭარას ესაჭიროებოდა უანგარო თანადგომა, რომლის მაგალითის მიმცემნი ბევრნი იყვნენ: ი. ჭავჭავაძე, ზ. ჭიჭინაძე, ძმები სერგეი და ივანე მესხები, გრიგოლ ვოლსკი, დავით კლდიაშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, შ. თაქთაქიშვილი და მრავალი სხვა.<sup>19</sup>

თბილისის კონსერვატორიაში ა. ფარცხალაძე სწავლობდა მ. ოპოლიტოვიანოვთან, ზ. ფალიაშვილთან, დ. არაყიშვილთან, ს. ბარხუდარიანთან და მ. ბაგრინოვსკისთან.

1930 წლიდან ა. ფარცხალაძემ თავისი შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა დაუკავშირა ბათუმს, სადაც იგი 1936 წლამდე სამუსიკო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა, ხოლო 1960 წლამდე ამავე სასწავლებლის დირექტორად. 1960 წლიდან ალ. ფარცხალაძე მოღვაწეობდა ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში დაწყებითი განათლების პედაგოგიკისა და მეთოდის ახალგაზრდა კათედრაზე და აგრძელებდა პედაგოგიურ საქმიანობას სამუსიკო სასწავლებელშიც.

სამუსიკო სასწავლებელში მუშაობის დაწყებით ეტაპზე იგი ხშირად აწყოდა ექსპედიციებს დასავლეთ საქართველოს რეგიონებში – აჭარაში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოში და ფონოგრაფზე იწერდა იქ გავრცელებულ ხალხურ სიმღერებს. აჭარაში შეკრებილი მასალების დამუშავების საფუძველზე ა. ფარცხალაძემ 1938 წელს გამოსცა აჭარული ხალხური სიმღერებისა და საცეკვაო მუსიკის კრებული. ეს იყო პირველი ნაშრომი აჭარული ხალხური მუსიკის შესწავლის ისტორიაში, რითაც ნიადაგი მოამზადა აჭარული ხალხური მუსიკის მეცნიერული შესწავლისათვის.

ა. ფარცხალაძის შემოქმედებითი მემკვიდრეობა მოიცავს ოპერას, სიმფონიას, კამერულ-ინსტრუმენტალურ მუსიკას. მის საგუნდო სიმღერებს ახასიათებთ რიტმულ-ინტონაციური სისხარტე, ჰარმონიული ენის სიმდიდრე და სისადავე, ფორმა-კუპლეტური. აღსანიშნავია: „ყვავილეული აჭარა“, „ახალგაზრდული მარში“, „ლაშქრული“, „ნორჩი თაობის სიმღერა“, „მეგრული მაყრული“; რომანსებიდან: „გამარჯვების სიმღერა“, „ჩემს ვარსკვლავს“, „თამარ ქალო“. მნიშვნელოვანია სიმებიანი კვარტეტი, საფორტეპიანო სიმღერები, სამხედრო აღლუმები, სიმფონიური ორკესტრისათვის „აჭარული სუიტა“, „ყოლსამა (განდაგანა)“, „სამშობლოს“ და სხვა.

ასევე ნაყოფიერი იყო მისი შემოქმედებითი მუშაობა თეატრალურ მუსიკაში.

1954 წელს, აპრილში ბათუმის საზოგადოებამ გულთბილად აღნიშნა ა. ფარცხალაძის შემოქმედებითი, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის 35 წელი; 1987 წლის აპრილში დაბადებიდან 90 წელი აღუნიშნეს, ხოლო 1997 წლის აპრილში დაბადებიდან 100 წლისთავის გამო აჭარის ხელისუფლებამ და კულტურის სამინისტრომ საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ფართო მასშტაბით ხსოვნის შემოქმედებითი საღამო გაუმართა.

ა. ფარცხალაძე გარდაიცვალა 1972 წელს.

<sup>19</sup> თ. კომახიძე. „ჭეშმარიტი ხელოვანი“ ა. ფარცხალაძის 100 წლისთავის გამო, გაზ. „აჭარა“. 1997, 30.04

მას უყვარდა ბათუმი. ბათუმელებიც, გაორმაგებული სიყვარულით, არასოდეს დაივიწყებენ.

**გურამ ხუჭუა.** თბილისის კონსერვატორიის წარმატებით დამთავრები შემდეგ, განაწილებით, ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში დაიწყო მოღვაწეობა. 1954 წლიდან სასწავლო ნაწილის გამგე იყო. ერთდროულად გვასწავლიდა მუსიკის ლიტერატურას.

იგი უაღრესად განათლებული, დიდად ერუდირებული ადამიანი და კარგი მუსიკათმცოდნე გახლდათ. პირველი შეხვედრისთანავე სტუდენტთა მოკრძალება და პატივისცემა დაიმსახურა. გამოირჩეოდა კარგი თხრობის მანერით, თავაზიანობით, ღრმა მსჯელობით და ცოდნით. სასწავლებელში მან პირველმა წამოიწყო მუსიკის ლიტერატურის კონფერენციები, დისკუტები. სასწავლო წლის დასრულებისას ეწყობოდა საანგარიშო კონცერტები, კურსდამთავრებულთა გამოსვლები. ტრადიციად დაამკვიდრა ლექცია-კონცერტების სერია, ყოველ კონცერტს წინ უძღოდა მოკლე შესავალი სიტყვა, ან ლექცია გარკვეულ თემაზე, რომელსაც შემდეგ მოსდევდა მუსიკალური ილუსტრაცია-კონცერტი. მე ერთ-ერთ ასეთ კონცერტში მივიღე მონაწილეობა. წავიკითხე რიმსი-კორსაკოვის „შეჭერეზადა“; მუსიკალური მასალა მოსმენილი იყო ფირფიტის საშუალებით.

1959 წლიდან გ. ხუჭუა დაინიშნა მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად. მისი მუშაობის პერიოდში სასწავლებლის საკონცერტო ცხოვრება აქტიურობით და მიზანსწრაფულობით გამოირჩეოდა. სწავლების დონე ძალიან მაღალი და შთამბეჭდავი გახლდათ.

1964 წლიდან გურამ ხუჭუა საცხოვრებლად თბილისში გადავიდა და მოღვაწეობდა №2 სამუსიკო სასწავლებელში.

მინდა მადლიერებით მოვიხსენიო ჩვენი დაუვიწყარი პედაგოგები, რომლებიც ჩვენთან ერთად იღწოდნენ, ზოგი სხვა ქალაქში გადავიდა საცხოვრებლად, ზოგი კი... აღარ არიან. ნათელში ამყოფოს ღმერთმა. ქართულ ენასა და ლიტერატურას გვასწავლიდა ლადო შარაშიძე. უაღრესად ერუდირებული პიროვნება. ამავე დროს აჭარის კულტურის მინისტრის მოადგილე გახლდათ. შემდგომში ხელოვნებათმცოდნე, სამხატვრო საბჭოს ხელმძღვანელი.

რუსულ ენასა და ლიტერატურაში – დასაწყისში ი. მადოიანი, შემდგომ მედიკო ბოლქვაძე – ყველასთვის სასიამოვნო და საყვარელი ქალბატონი; უცხო ენებში – ინგლისურში ასლან აბაშიძე, ფრანგულში – ნ. მხატვარი, გერმანულში – პ. გეგენავა, ისტორიაში – პ. ციცხვაია, გ. ლორთქიფანიძე. ესთეტიკაში – ლ. აბაშიძე; პედაგოგიკის საფუძვლებში – ქ. ხალვაში; ფიზიკაში – აკ. გოთუა; მათემატიკაში – ნ. ლორთქიფანიძე.

ჩემი სათაყვანებელი პიროვნება, უპირველესად ქალი... შემდგომ მოღვაწე პედაგოგი გახლდათ მედიკო ბოლქვაძე „ქალი ყოველთვის მომხიბვლელია და ყველა ქალი, საბედნიეროდ, მშვენიერია ყველა ასაკში“ – ამბობს მორის ფოცხიშვილი და ეს მართლაც ასეა.

კეთილშობილი მანდილოსანი ნიჭიერი პედაგოგი ქალბატონი მედიკო ყველასგან გამოირჩეოდა. მასში ჰარმონიულად იყო შერწყმული გარეგნული იერი, ფართო ერუდიცია და მაღალი სული. სწორედ ასეთი ქალბატონები ალამაზებენ იმ საზოგადოებასა და ქალაქს, სადაც იმყოფებიან და ცხოვრობდნენ.



„სილამაზე გადაარჩენს მსოფლიოსო” უთქვამს დოსტოევსკის. მედია ბოლქვაძე სავსებით იმსახურებს ამ ბრძნულ გამონათქვამს. იგი ახალგაზრდა თაობას ცოდნისკენ, წესრიგისაკენ, სილამაზისკენ მოუწოდებს.

ქალბატონი მედიკო როგორც პედაგოგი, ასევე არაჩვეულებრივად მომხიბვლელი, საინტერესო, მიმზიდველი ქალბატონია. მის მიმართ თუ გადაჭარბებული ქება გამოვიდა ნურავინ მიწყენს. ის ჩემი მასწავლებელი იყო. მან შეგვაყვარა რუსული ენა და ლიტერატურა. და კიდევ... უბრალოდ მიყვარს, მომწონს, ყველასთან სამართლიანი, ყველასთან ერთნაირი, კეთილი, სტუმართმოყვარე, ბრწყინვალე დიასახლისი, მეგობრული, ჭირში და ღხინში გვერდში მდგომი, მანდილოსანი რომელიც ამშვენებს ქუჩას, ყოველთვის თვალში რომ მოგხვდება თავისი ელეგანტური მომხიბვლელიობით.

ჩვენი სასიქადულო პროექტის, ჯემალ ქათამაძის სტრიქონები მშვენივრად მიესადაგება ქალბატონ მედიკოს „... თუ ყვავილობის წლები გამქრალა, ქალი ყოველთვის არის ლამაზი“. ის ყოველთვის ახალგაზრდული სიცხადით გვესახება და მუხრან მაჭავრიანის არ იყოს, ასეთმაქალბატონებმა „... იარონ, იარონ, იარონ, ამინ!“

.შ. ქალბატონ მედიკო ბოლქვაძეს სიყმაწვილის პერიოდში ა. ზელენცოვასთან სამუსიკო სკოლა აქვს დამთავრებული, ხოლო სამუსიკო სასწავლებელში პირველ და მეორე კურსზე სწავლობდა საფორტეპიანო განყოფილებაზე პედაგოგ ე.ვ.ნეიშტადთან. ასევე აღნიშვნის ღირსია აწ განსვენებული ცნობილი ქართველი დირიჟორის ვახტანგ ფალიაშვილის მეუღლე ეთერ თოფურაძე. იგი ბათუმელი გახლავთ, მუსიკალურ განათლებას ეზიარა ა. ზელენცოვასთან და შემდგომ სწავლა გაუგრძელებია ე. ვ. ნეიშტადთან.

ქალბატონ მედიკოს და ქალბატონ ეთერის დღემდე მეგობრული ურთიერთობა აქვთ.

1957 წლის ივლისში, მისაღები გამოცდების შედეგებით, ჩავირიცხე თბილისის ვ.სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში, საფორტეპიანო ფაკულტეტზე, პროფესორ ნელი ჩიქოვანის კლასში.

სტუდენტურ ცხოვრებაზე ბევრი კარგი რამ შეიძლება ითქვას. უპირველესად, ძალიან თბილ გარემოში გვიხდებოდა სწავლაც და ცხოვრებაც. საამაყო პროფესორ-მასწავლებლები გვყავდა. სტუდენტებიც არაჩვეულებრივები, ნიჭიერები იყვნენ. დღეს ისინი სახელმწიფო მუსიკოსები არიან: ვაჟა აზარაშვილი, გივი მუნჯიშვილი, შალვა დავითაშვილი (დავიდოვი), ნუგეშა მესხი... ეს ის პერიოდი გახლავთ, როდესაც თბილისში, ოპერისა და ბალეტის თეატრში ა. მაჭავარიანის ბალეტის „ოტელო“ დადგმა განხორციელდა ვ. ჭაბუკიანის შესრულებით, ის დროა როდესაც თბილისი თავისი დაარსების 1500 წლისთავს ზეიმობდა. საგასტროლოდ ჩამოვიდნენ ჩაიოვსკის სახელობის №1 საერთაშორისო კონკურსის პიანისტ ლაურიატები: ვან კლაიბერნი და აშკენაზი; ასევე: ჰ. ნეიჰაუზი, ლ. გოლდენგეიზერი, ემილ გილელსი, სვიატოსლავ რისტერი, ანი ფიშერი და სხვა გამოჩენილი ვირტუოზ შემსრულებლები. ქართველმა მუსიკოსებმა საერთაშორისო აღიარება მოიპოვეს. თავისი ხელწერით გამოირჩეოდნენ: ელისო ვირსალაძე, ლიანა ისაკაძე, მარინე იაშვილი, ირინე იაშვილი, ლექსო თორაძე და სხვანი. მართლაც რომ მუსიკალური ცხოვრების „ოქროს ხანა“ იყო!

1962 წლის ივნისში, თბილისის, ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის საგამოცდო საკვალიფიკაციო კომისიის გადაწყვეტილებით მომენიჭა შემსრულებლის, პედაგოგისა და კონცერტმასტერის წოდება.

შეუძლებელია არ მოვიგონო დღევანდელი ჩვენი ბათუმის საამაყო კონსერვატორიის, მაშინდელი სკოლისა და სასწავლებლის, ამ მშვენიერი შენობის გახსნის ზეიმი.

ბათუმის სამუსიკო სკოლა, რომელიც რუსეთის სამხედრო მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ კუროპატკინის მიერ იყო დამტკიცებული 1899 წლის 21 აგვისტოს, განთავსებული იყო ნინოშვილის ქ. №2-ში, ყოფილ ოფიცერთა სახლში. 1930-იანი წლებიდან სკოლა და სასწავლებელი ფუნქციონირებდა ვ. გორგასალის (ცხაკაიის) ქ. №4-ში.

1961 წლიდან სასწავლებელმა და სკოლამ ფუნქციონირება გააგრძელა ახლად აშენებულ შენობაში, დიმიტრი თავდადებულის (შაუმიანის) ქ. №20-ში.

აი, რას წერენ ახალი შენობის შესახებ „... ჩვენს თვალწინ აშენდა ეს ლამაზი სამსართულიანი სახლი. მის შესასვლელს დიდი ქართველი კომპოზიტორის ბარელიეფი ამშვენებს და იქვე წარწერაა „ ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი“.<sup>20</sup>

1998 წლის 26 მარტიდან სამუსიკო სასწავლებლის ბაზაზე ბინა დაიდო ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიამ.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის ახალი შენობის საზეიმო გახსნა 1961 წლის 11 მარტს მოეწყო. ზეიმზე ბევრი სტუმარი მოვიდა, მათ შორის იყვნენ სტუმრები საქართველოს დედაქალაქიდან: თბილისის სამუსიკო სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები და პედაგოგები, კონსერვატორიის პროფესორები, სტუდენტები, ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობები. სოლიდური გახლდათ ჩამომსვლელ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობა. სტუდენტ-შემსრულებლებთან ერთად გახლდათ დღეს უკვე სახელმწიფო ხელოვნების მოღვაწეები: ზ. სოტკილავა, ცისანა ტატიშვილი, ვაჟა აზარაშვილი, ნუგეშა მესხი... მიპატიჟება მივიღეთ თბილისის კონსერვატორიაში. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა.

საზეიმო საღამოს დაწყებამდე ყველანი ერთხელ კიდევ ათვალიერებდნენ შენობას, სამეცადინო ოთახებს, დარბაზებს. მათ ბევრი რამ აინტერესებდათ: ვინ ააშენა, ვინ იყო პროექტის ავტორი, რამდენი ოთახია, საკონცერტო დარბაზი რამდენ მსმენელს იტევს და ა.შ.

შენობის აგება ეკუთვნოდა მე-5 სამშენებლო სრესტს, პროექტის ავტორი გახლდათ არქიტექტორი ბ. კირაკოსიანი. საკონცერტო და სპორტული დარბაზის ფართობი განისაზღვრა 2290 კვ. მეტრით, 40 სამეცადინო ოთახით, 400 ადგილიანი საკონცერტო დარბაზით.

... საზეიმო საღამოზე მისასაღმებელი სიტყვით გამოვიდა აჭარის კულტურის იმდროინდელი მინისტრი ვ. ახვლედიანი, რომელმაც მიულოცა სასწავლებლის დირექციას, სტუდენტებს, პედაგოგებს, დამსწრე საზოგადოებას სასწავლებლის ახალი შენობის გახსნა, მადლობა გადაუხადა თბილისელ სტუმრებს, რომლებიც საზეიმო საღამოზე ჩამოვიდნენ.

სიტყვით გამოვიდნენ: თბილისის მე-4 სამუსიკო სკოლის დირექტორი ქ. ჯიქია, მე-5 სამუსიკო სკოლის დირექტორი ე. კილაძე, მშობელთა კომიტეტის თავმჯდომარე ა.

<sup>20</sup> გაზ. „საბჭოთა აჭარა“ 1961.15.03

ტკაჩოვი; მიესალმნენ მოსწავლეები: რ. ლორთქიფანიძე, ქ. გოგოლი. ბოლოს ვრცელი სიტყვით გამოვიდა გ. ხუჭუა – სასწავლებლის დირექტორი.

დიდ საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობდნენ, ნორჩი შემსრულებლები – ნ. კობალაძე, ს. კაპლანიანი, ნ. პასტუშინი, დ. გალდავაძე, სასწავლებლის სტუდენტები: ა. პლუნიკოვა, ლ. მგალობლიშვილი, ა. მხეიძე, ნ. დესელიძე, ბ. მელაძე, ვ. ლიაპინი. თბილისელი სტუმრებიდან: სკოლის მოსწავლეები ლ. გომაძე, ი. ცხოვრებაშვილი.

დიდი აღფრთოვანებით შეხვდნენ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის აღზრდილებს, იმხანად ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის სტუდენტებს ლ. კომახიძეს, რ. გოგოლიშვილს, ე. ცელოვანიკს, ლ. ნიქაბაძეს, გ. ახვლედიანს, თბილისის პედაგოგებს თ. საღარაძეს, ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობებს პეტრე თომაძეს და გურამ ზედგინიძეს. მახსოვს, შევესრულე რახმანინოვის №2 საფორტეპიანო კონცერტი, მეორე როიალთან პარტიას ასრულებდა მ. შური. ამ კონცერტმა იმენად შთაბეჭდილებით ჩაიარა, რომ მათთან შეხვედრისას ყოველთვის ტკბილ მოსაგონებლად მრჩება.

სასწავლების დირექტორმა გ. ხუჭუამ მადლიერება გამოხატა მშენებლების თამაზ დგებუაძის, თამაზ ხარაზის, ლერი ლესელიძის მიმართ. ხაზი გაუსვა მაშინდელი კულტურის მინისტრის ვახტანგ ახვლედიანის წვლილს, თუ როგორი ენთუზიაზმით ჩართო მშენებლობაში მთელი ქალაქის მოსახლეობა, ორგანიზაციები, განსაკუთრებით დრამატული თეატრის მსახიობები ი. კობალაძე და მ. ხინიკაძე. ისინი სასწავლებლისა და სკოლის პედაგოგებთან ერთად ობიექტებზე დიდი ენთუზიაზმით ეზიდებოდნენ საშენ მასალას.

მადლიერების ნიშნად ცირკის დირექტორმა დ. დავიდოვმა მშენებლობაში მონაწილე სამხედრო ნაწილის მოსამსახურეები უფასოდ დაასწრო ცირკში გამართულ წარმოდგენებზე.

მშენებლობაში აქტიურ მონაწილეობას დებულობდნენ საზღვაო სასწავლებლის კურსანტები დირექტორ ირაკლი ბერიძესთან ერთად და მხატვრებთან.

მშენებლობის დამთავრებასთან ერთად კულტურის მინისტრმა ვ. ახვლედიანმა დიდი ჯაფა გასწია ინსტრუმენტების შესაძენად. მისი პირადი ძალისხმევით მოსკოვიდან შექენილ იქნა როიალები, პიანინოები, სასულე ინსტრუმენტები და სხვა, ძვირად ღირებული, სასწავლო ინვენტარი.

1962 წლის 20 აგვისტოდან, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ, დღემდე ვემსახურები მუსიკოსების სწავლა-აღზრდის საქმეს.

ჩემი პედაგოგიური მოვაწეობა კი საკმაოდ ხანგრძლივ პერიოდს – 40 წელზე მეტს მოიცავს.

პედაგოგიურ მუშაობას ვუხამებდი საკონცერტმაისტერო შესრულებას პედაგოგ დ. ჯვარშიშვილთან ვოკალურ განყოფილებაზე 1962 წლიდან 1970 წლამდე. ეს ის დრო გახლავთ როდესაც ვოკალის კლასს ეუფლებოდნენ დღეს უკვე ჩვენი კოლეგები სულიკო გიორგაძე, ალა პლუნიკოვა და სხვანი.

1965 წლის აპრილიდან 1978 წლის მარტამდე ვასრულებდი სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობას.

ჩემი კურსდამთავრებულები ნაყოფიერ პედაგოგიურ საქმიანობას ეწევიან ძირითადად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამუსიკო სკოლებში, სასწავლებლებში და კონსერვატორიაში.

აღნიშვნის ღირსია ვიოლა ფხაკაძე. იგი წარმატებით მოღვაწეობდა კონსერვატორიაში და სამუსიკო სასწავლებელში, იყო პროფკავშირული ორგანიზაციის თავმჯდომარე. სვეტა კოლუაშვილი – სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი და კონცერტმასტერი; მარინა გეგოიანი, ნინო წითლიძე ცენტრალური სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე და ფორეპიანოს კლასის წამყვანი პედაგოგი, ასევე თინა ჯამბერიძე. თემურ კეჭაყმაძე – სასწავლებლის ყოფილი პედაგოგი და კამერული ანსამბლის განყოფილების გამგე. ასევე მოღვაწეობდა მოსკოვში, სხვანი და სხვანი. კურსდამთავრებულების დიდი ნაწილი მუშაობდა ბათუმი №1,2,3 მუსიკალურ სკოლებსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სხვა რაიონებში.

გაწეული შრომებისათვის ყოფილი საბჭოთა კავშირის მთავრობის 1970 წლის 26 მარტის ბრძანებულებით დაჯილდოებული ვარ „საპატიო ნიშნის“ ორდენით და 1988 წლის 6 აპრილს – „შრომის ვეტერანის“ მედლით.

ყველაზე დიდი ჯილდო კი ჩემი აღზრდილების მადლიერების წერილებია, რომლებითაც საესეა ჩემი საქადალდე და სათუთად ვინახავ. ერთ-ერთს მოვიტან მხოლოდ. სტილი დაცულია: „სიყმაწვილის წლები, სასწავლებელში სწავლის პერიოდში რომ გავატარე, ურთიერთობა მქონდა ისეთ პიროვნებასთან, როგორც არის ჩემი საყვარელი პედაგოგი ლეილა მასწავლებელი. მან საკმაოდ ვრცელი გზა გამიკაფა პიანისტურ სამყაროში. მიმდიდრებდა რეპერტუარს, მაყვარებდა მუსიკას, მელოდიკის თითოეულ ბეგრას. უნდოდა შეეტანა წვლილი ჩემი, როგორც პიანისტ-შემსრულებლის, ასევე უშუალოდ მუსიკოსის ჩამოყალიბებაში.

ხშირად მეუბნებოდა: „– მე შენში ვხედავ იმ გრძნობას, იმ შეხებას პიანისტური თვალსაზრისით, რომელიც ესაჭიროება კარგ ჩამოყალიბებულ პიანისტს“. რაღაც განსაკუთრებულსაც ხედავდა იგი ჩემში, მაგრამ მე ამისთვის არც გამბედაობა მყოფნიდა და ვერც იმ გრძნობების აღმოფხვრა შევძელი, რომელიც ამდენი ხნის განმავლობაში ჩემში იკეტებოდა.

ყველაფერ ამას თან ერთვოდა ჩემი არც თუ ისეთი თავდაუზოგავი შრომა, ბევრი გაკვეთილი, რომლითაც მე შემემძლო გამეგო და შემესწავლა ასეთი აუცილებელი, კარგი და სასარგებლო რჩევები, მუსიკალური მეთოდები, სამწუხაროდ, ჩემი დაუდევრობით, მე თავს ვარიდებდი ამ შეხვედრებს და ბევრი გაკვეთილი გამიცდენია კიდევ. და ამის მიზეზი იყო მხოლოდ და მხოლოდ ჩემი მოუმზადებლობა. მოუმზადებლობის გამო გაკვეთილზე მისვლა მერიდებოდა, მეძნელებოდა ჩემი აღმზრდელის განაწყენიანება, მაგრამ პირიქით გამომდიოდა. როდესაც გაკვეთილს ვაცდენდი იგი უფრო ბრაზდებოდა.

დღესაც ვერ მიპატიებია ჩემი თავისთვის ის გაცდენილი საათები, ის შეხვედრები, რომლებიც ჩემთვის საარგებლო იქნებოდა უთუოდ.

გარდა პედაგოგ-მოსწავლის ურთიერთობისა ჩვენში უშუალოდ მეგობრული დამოკიდებულებაც იყო.

ჩემს მიმართ იყო ძალიან გულისხმიერი, კეთილი, სათნო და ძალიან თბილი პიროვნება. მისგან ხმამაღალი შენიშვნაც არ მახსოვს. ზოგჯერ მე ამ მეგობრულ დამოკიდებულებას ბოროტად ვიყენებდი. ვმეცადინეობდი იმდენს, რამდენიც საჭირო იყო

ჩემთვის. და ისევ, და ისევ ეს აღმოჩნდა საზიანო ჩემთვის, რაც მე ძალიან გვიან გავიგე. იგი ძალიან მადელებს დღესაც.

აქედან გამომდინარე ჩემნაირი მოსწავლე იმსახურებდა სასტიკსა და მომთხოვნ პედაგოგს, რომლის შიში მექნებოდა და იქნებ იმ შიშის ნიადაგზე ჩამოყვალბებულებიყავი მუსიკოს-პიანისტი.

„მაგრამ განა გავიგებდით

მუსიკის აზრს შიშის ქვეშ?

იმ ბგერათა სილამაზეს

თუნდაც ლალი ნიჭის ქვეშ“.

მე დიდი მადლიერი ვარ ჩემი საყვარელი პედაგოგის – ლეილა მასწავლებლის, რომ მას არა შიშით, არამედ თბილი ურთიერთობით სურდაშეეთვისებინა ჩემთვის ის, რასაც მაშინ ვერც კი წარმოვიდგენდი. ეს იყო მუსიკა.

ჩემს პედაგოგში მე ვხედავდი ჭეშმარიტი ადამიანის იდეალს:

„მუდამ წყნარი და ხალისიანი,

საყვარელი და თავაზიანი,

ბუნებრივი და თანაც ჭკვიანი

ასეთი უნდა ადამიანი“

ს. ნიშნიანიძე

სოფიკო ნიშნიანიძე კონსერვატორიის სტუდენტი იყო.

ჩემთვის განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობის შესრულება. ვფიქრობ გარკვეული წვლილი შევიტანე კადრების მუსიკალური აღზრდის საქმეში. იყო წარმატებებიც და პრობლემებიც. ვიხსენებ ჩემს მუშაობას და გული სიამაყით მევსება – რა დრო იყო, რა ენერგია გვქონდა.

სასწავლო პროცესი ჩქეფდა.

კლასები გადატვირთული იყო, ფართობი არ გვეყოფნიდა. სწავლა იწყებოდა დილის 8 საათიდან და გრძელდებოდა საღამოს 8-9 საათამდე. სასწავლებელი ცხოვრობდა თავისი საკონცერტო პროგრამებით, რეპერტუარის ფართე დიაპაზონით. ასევე უცხოელ შემსრულებელთა საინტერესო საგასტროლო კონცერტებით.

მადლიერებით, კეთილად მინდა მოვიხსენიო ჩვენი ინსტრუმენტების ამწყობი ე. კიპო, რომლის დიდ ოსტატობაზე არაერთ ვირტუოზ შემსრულებელს აღუნიშნავს.

1960-1970 წლებში სამუსიკო განათლებამ განსაკუთრებული აღმავლობა განიცადა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა თანდათან იფარება მუსიკალური სკოლებით. სამუსიკო სკოლები იხსნება ბათუმში, მსხვილ დასახლებულ პუნქტებში, რაიონულ

ცენტრებში, მუსიკას ასწავლიან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, სამუსიკო კლასები ჩამოყალიბდა ზოგიერთ კულტსახლებთან, კლუბებში. ჭეშმარიტად ძლიერი იყო ახალგაზრდობის ლტოლვა სამუსიკო განათლების მიმართ. დიდი იყო კადრების მოთხოვნაც და კონტიგენტიც მაღალი გახლდათ.

ჩემი მუშაობის წლებში არაერთხელ აღნიშნულა, რომ ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში სწავლა სათანადო სიმაღლეზე იყო დაყენებული. როგორც წესი, აღნიშნული სასწავლებლის კურსდამთავრებულები სწავლას აგრძელებდნენ თბილისის კონსერვატორიაში, ზოგიერთი მათგანი უშუალოდ მოსკოვის, კიევის, ოდესის, ერევნის, ტალინის კონსერვატორიებში ეუფლებოდნენ უმაღლეს განათლებას.<sup>21</sup>

სწავლების ამ პერიოდს მიეკუთვნებიან დღეს უკვე საქვეყნოდ სახელმოსხვეჭილი ხელოვნების მოღვაწეები ალექსანდრე ხომერიკი, მარინე ჯახუტაშვილი...

სასწავლებლის ბაზაზე დაარსდა სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, ჩამოყალიბდა სხვადასხვა ანსამბლები. სისტემატურად იმართებოდა აკადემიური კონცერტები, სხვადასხვა მუსიკალურ საკითხებზე ეწყობოდა მოსწავლეთა დისპუტები, სამუსიკო სასწავლებლის ამსახველი ეპიზოდებით გამოდიოდა საგაზეთო და ფოტოსტენდები, ალბომები.

სასწავლებელი სისტემატურად მონაწილეობდა საქალაქო ღონისძიებებში. კულუარულ მომსახურებას უწევდა და საშეფო კონცერტებით გადიოდა ფაბრიკა-ქარხნებში, კოლმეურნეობებში, ჯარისა და საზღვაო ნაწილებში. განსაკუთრებით დამამახსოვრდა საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელ საერთაშორისო ლაურეატ ქალებთან შეხვედრა, კონცერტის მოწყობა-ორგანიზება. იგი ვითავეთ მე და დოდო ჯვარშიეშივილია. ერთად გავემგზავრეთ თბილისში. ჩამოვიარეთ ოჯახები. მოვიპატიუეთ სახელმოსხვეჭილი, საქვეყნოდ აღიარებული შემსრულებლები: მარინე და ირინე იაშივილები, ნადეჟდა ხარაძე და ნანა დიმიტრიადი, ლამარა ჭყონია თავისი ქალიშვილებით, ერთ-ერთი ქალიშვილი – ნათელა ჭყონია ჩვენი ყოფილი სტუდენტი გახლდათ. იმ დროს იგი ავსტრიის ქალაქ გრაციის ოპერისა და ბალეტის სოლისტი იყო.

ღონისძიებებს ესწრებოდნენ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის იმუამინდელი მთავრობისა და მინისტრთა საბჭოს თვალსაჩინო მოღვაწეები. კონცერტი მიმყავდა მე. ასე, რომ ჩვენს კონცერტს ერთგვარი პოლიტიკური დატვირთვაც ჰქონდა. დარბაზი ხალხით გადაჭედილი და მსმენელთა სასიხარულო ოვაციებით აღსავსე იყო. ეს დღე ნამდვილ ხელოვნების ზეიმად იქცა და იმდენად წმინდა დ ამაღლებული, რომ დიდხანს ჩვენი შთაბეჭდილების სასაუბრო თემა გახლდათ.

მაღალი აკადემიური მაჩვენებლებისათვის სასწავლებლის წამყვან პედაგოგებს: დ. ცინცილაძეს, დ. ჯვარშიეშივლს, მ. შურს მიენიჭათ აჭარისა და საქართველოს დამსახურებული პედაგოგების წოდება.

ჩვენი სასწავლებელი, მაღალი პროფესიული სწავლების მეთოდის უკეთ დანერგვის გასაცნობათ, უკავშირებოდა სხვადასხვა ქალაქის სამუსიკო სასწავლებლებს. ამ მხრივ აღნიშვნის ღირსია თბილისის მ. ბალანჩივაძის სახელობის №3 (დირექტორი ქსენია ჯიქია) და №2 (99დირექტორი თამაზ გადილია) ასევე ქუთაისის, ფოთის, თელავის სასწავლებლები. მეგობრული შეხვედრა-კონცერტები, ღია

<sup>21</sup> იხ. წარმოდგენილი ცხრილი №1 დანართში

გაკვეთილები, მათზე ურთიერთდასწრება ძალიან გვაახლოვებდა ერთმანეთთან და თავისი აკადემიური დონით ერთგვარად მაღლდებოდა სასწავლო პროცესი.

განსაკუთრებული შემოქმედებითი აღმავლობით ტარდებოდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებელთა ლექცია-თემატური ღია კონცერტები, ღია გაკვეთილები, მეთოდური კონსულტაციები, რომლებიც ძალიან ამაღლებდნენ ამა თუ იმ საგნის სწავლების შინაარსს.

სამახსოვროდ დამრჩა პროფესორების: პიანისტების – ნოდარ გაბუნია, ემილ გურევიჩის, ალექსანდრე ნიჟარაძის, გიზი ამირეჯიბის, ნელი ჩიქოვანის, თამარ ჩარეკიშვილის, ქსენია ჯიქიას, ნელი გაჩეჩილაძის, თამარ ჩხარტიშვილის, მედეა ფანიაშვილის, მანანა დოიჯაშვილის, რეზო თავაძის, ედიკო რუსიშვილის, ეთერ პაპაშვილის, ნანა დიმიტრიადის, ეთერ კილაძის, რომა გორელაშვილის; თეორეტიკოს-კომპოზიტორების – შ. ასლანიშვილის, ო. თაქთაქიშვილის, პავლე ხუჭუას, მიშა ყანჩელის, არჩილ ჩიმაკაძის, გულბათ თორაძის, სულხან ცინცაძის, ევგენი მაჭავარიანის; დირიჟორების – ოდისეი დიმიტრიადის, ზაქარია ხუროძის, სოსო კეჭეყმაძის, ვოკალისტების – ნადეჟდა ხარაძის, ნოდარ ანდლულაძის; მევიოლინეების – მარინა და ირინე იაშვილების; ვიოლონჩელისტის – ალ. ჭეიშვილის; კლარნეტისტის – რეზო ჯობლაძის და სხვათა დიდი ჯგუფების, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების, თანადგომ და თანამშრომლობა.

თავის მხრივ, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედკოლექტივი დახმარებასა და შემწეობას არ აკლებდა ბათუმისა და, საერთოდ, აჭარის რაიონების სამუსიკო სკოლებს, ამ სკოლათა პედაგოგებს. მათთვის აწყობდნენ საკონსულტაციო შეკრებებს, სემინარებს, კონფერენციებს, ოლიმპიადებს. უგზავნიდნენ საჭირო სასწავლო ინვენტარს, სახელმძღვანელოებს, ინსტრუმენტებს.

ამჟამად უფრო მაღალი და საპატიო ამოცანების წინაშე ჩვენი სასწავლებელი. მისი პროფესიული დანიშნულება, პროფესიული სამუსიკო განათლება უკვე ზენიტშია, სწორედ რომ ეპოქალურ აღზევებაშია. ყველანი ისტორიული მოვლენის მონაწილენი ვართ.

მუსიკალური კადრების მძლავრ სამჭედლოს ახლა უფრო მაღალი და საპატიო ამოცანები აქვს დასახული, რომელთა გადაწყვეტა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს პროფესიულ სამუსიკო განათლებას საქართველოში.

ონსერვატორიაშიც, დაარსდა ხელოვნების ინსტიტუტი, მანამდე კი, უფრო ადრე აუღერდა მუსიკალური ხელოვნების გვირგვინი – ოპერა, რომელმაც თავისი ცხოვრების მოკლე პერიოდში არნახული სახელი გაითქვა, ურთულესი საოპერო რეპერტუარით წარსდგა მაყურებლის წინაშე არამარტო საქართველოში, არამედ საზღვრებს გარეთაც. ოპერა ცხოვრობს თავისი წარმოდგენებით, გასტროლებით. მისი ახალგაზრდა სოლისტები მსოფლიო კონკურსების მონაწილეები და ლაურეატები ხდებიან.

ოპერა ჩვენი საქართველოს მშვიდობის, უკეთესი ხვალისდელი დღის იმედად და სასოებად იქცა. სათავე დაუდო ქართველი ხალხის ეროვნული კულტურის გადარჩენას, სულიერების აღორძინებას.

1963 წელს შევქმენი ოჯახი. მყავს მეუღლე – თეიმურაზ ლორთქიფანიძე, ინჟინერი, ბათუმის საყოფაცხოვრებო სამმართველოს უფროსი.

შვილები: რევაზ ლორთქიფანიძე – პროფესორი, დოქტორი – მსოფლიო მეურნეობისა და საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობების სპეციალობით. სადოქტორო დისერტაცია წარმატებით დაიცვა სანქტ-პეტერბურგში. არის ნიუ-იორკის პოლიტიკურ და კალიფორნიის მეცნიერებათა აკადემიების წევრი, საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა აკადემიის აკადემიკოსი.

ღალი ლორთქიფანიძე – ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის, სასწავლებლის პედაგოგი და კონცერტმეისტერი.

მყავს შვილიშვილები – მარიამ და სერგი ლორთქიფანიძეები, გიორგი აბულაძე.

ერთ-ერთი პედაგოგი შემეკითხა რა არის თქვენთვის სასწავლებელი? თან დაუმატა: გარდა პედაგოგიური მოღვაწეობისა.

სასწავლებელი ყოველთვის ახალი სიტყვის, ახალი განცდის მომტანი იყო და არის, რომელიც მთელი ჩემი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ყველაზე დიდ დროს სწორედ მის კედლებში მიხდება ყოფნა, არაჩვეულებრივად სასიამოვნო ხალხთან თანამშრომლობა და მოღვაწეობა. ისინი ყველანი საოცრად საინტერესო და სათაყვანოა ჩემთვის. რა თქმა უნდა ერთეულებიდან ყოფილა შურით გამოწვეული უარყოფითი განცდაც, რომლებიც ამბიციურ ხასიათებს ავლენდნენ, მაგრამ სამაგიეროს გადახდაზე არასოდეს მიფიქრია.

ვიდრე წარმატება მოვიდოდა, რამდენი მარცხი გამამხდენია... ცხოვრება ბრძოლაა... უმისოდ საინტერესოც არ იქნებოდა.

ჭიდილში ისახება კარგი.

ჩემს სიმდიდრედ პირველ ყოვლისა გამოცდილებას ვთვლი, მშვენიერი სიმღერისა არ იყოს „Мои года – мое богатство“

ვეწევი მეცნიერულ მოღვაწეობას, ვსწავლობ აჭარაში მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიას.

## საქართველო-რუსეთის კულტურული

### ურთიერთობა

უნდა აღინიშნოს ის უარყოფითი იმპერიული აქციები, რომლებსაც მიძიმე შედეგები მოჰყვა ქართული ეროვნული მუსიკალური კულტურის განვითარებაში. ეს გახლავთ ერთის მხრივ, თურქეთის ბატონობა; მეორე, მართმადიდებელი ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება. გაუქმდა კათალიკოს-პატრიარქის თანამდებობა (აღმოსავლეთ საქართველოში 1811, დასავლეთ საქართველოში 1814 წწ.) ქართული ეკლესია რუსული სინოდის საეგზარქოსოდ იქცა. რომლის პირდაპირი შედეგი იყო სასულიერო სემინარიებთან და ეკლესიებთან არსებული საგალობლო სკოლების გაუქმება.<sup>22</sup> მრავალსაუკუნოვანი ქართული გალობა განდევნილ იქნა ეკლესიიდან და მას გადაშენების საფრთხე შეექმნა. იგი ცალკეული პატრიოტი ენთუზიასტის მეცადინეობით ქართულ ოჯახებს შეხიზნული, განაგრძობდა ფიზიკურ არსებობას და მხოლოდ 60-იანი

<sup>22</sup> ქართული მუსიკის ისტორია, გამომც. „განათლება“, თბილისი, 1990. წიგნი 1 გვ.



წლებიდან შეიქმნა წინაპირობა მისი თანაფარდობითი აღორძინებისა, ისიც ეკლესიის ფარგლებს გარეთ.

ასეთი, ფრიად არაერთმნიშვნელოვანი და წინააღმდეგობრივი იყო საქართველოს რუსეთთან შეერთების ასპექტები. ასეა თუ ისე, ამიერიდან ქართული კულტურის, კერძოდ, მუსიკალური კულტურის განვითარება ხანგრძლივი დროით დაუკავშირდა რუსეთს. მივმართოთ კონკრეტულ ფაქტებს. თავდაპირველად საქართველო-რუსეთის კულტურული ურთიერთობა ხორციელდებოდა საქართველოში მეფის მთავრობის მიერ გამოსახლებულ დეკაბრისტთა და რუსეთში მცხოვრებ ქართველ მოღვაწეთა მეშვეობით.

რუსეთში მყოფ ქართველთა შორის აღსანიშნავია სახელმწიფო მოღვაწე, სწავლული და მხედართმთავარი დავით ბაგრატიონი, დიდად განათლებული პიროვნება, რომელიც ფრანგ განმანათლებელთა იდეებს იზიარებდა და რომელსაც ამის გამო თანამედროვენი „ქართველ ვოლტერიანელს“ უწოდებდნენ.

რუსეთში, XIX საუკუნის პირველ ნახევარში, კარგად იყო ცნობილი აგრეთვე ნიჭიერი ქართველი სწავლული თეიმურაზ ბაგრატიონი. თავისი ცხოვრების დიდი ნაწილი მან პეტერბურგში გაატარა და რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის საპატიო წევრი გახდა.

განცალკევებით დგას იოანე ბაგრატიონი (1768-1830 წწ.) გამოჩენილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, მხედართმთავარი, ფილოსოფოსი, ლიტერატორი და ენათმეცნიერი, რიტორი და ფიზიკოსი, ანთროპოლოგი და ანატომი, ისტორიკოსი და ხელოვნებათმცოდნე. ძნელია იმ დროს საქართველოში მსგავსი პიროვნების მოძებნა.

იოანე ბაგრატიონის შემოქმედება მეტად მრავალფეროვანი და მრავალმხრივია. კერძოდ, იგი მნიშვნელოვანია აგრეთვე მუსიკათმცოდნეობისათვისაც – განსაკუთრებით მისი ორი ნაწარმოები: „კალმახობა“ და „მუსიკის სახელმძღვანელო“.

თავის ნაწარმოებებში გი განიხილავს როგორც საეკლესიო, ასევე საერო მუსიკის მნიშვნელოვან საკითხებს, კერძოდ, ქართული გუნდის აღნაგობას, ქართული გალობის ჭრელებს, საცირკო ძილისპირებს და სხვა. ავტორი გვაწვდის საინტერესო მასალას ძველი საქართველოს მუსიკის მოღვაწეთა შესახებაც. იგი ქართული ორიგინალური გალობის აღმოცენებას XVIII საუკუნის მეორე ნახევარს მიაკუთვნებდა.

იოანე ბაგრატიონის მიერ ქართული მუსიკის სფეროში წამოყენებული საერთო დებულებების საშუალებით საფუძველი იქმნება მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად. მისი შრომები საშუალებას იძლევა დავადგინოთ XVIII საუკუნის გასულისა და XIX საუკუნის დასაწყისის ქართული მუსიკალური აზროვნების საერთო სახე და მეცნიერული დონე. ჯერ კიდევ 1816 წლიდან და, განსაკუთრებით კი, დეკაბრისტთა (1825 წ.) აჯანყების დამარცხების შემდეგ, როდესაც საქართველოში გადასახლებაში სისტემატიურად იგზავნებოდნენ „სამხედრო დამნაშავენი“, დეკაბრისტები და მათთან დაახლოებული პირნი.

ქართულ და რუს ხალხს შორის მეგობრული ურთიერთობისა და კულტურული კავშირის განმტკიცების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის მოწინავე რუსი ინტელიგენციის ჩამოსვლას, დეკაბრისტების იდეებს ეხმარებოდა თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი.

საქართველოში გადმოსახლებულ დეკაბრისტებსა და ქართველი საზოგადოების პროგრესულ წარმომადგენელთა (ა. ჭავჭავაძე, ს. დოდაშვილი, ზ. ჩოლოყაშვილი და

სხვა) შორის მტკიცე მეგობრული კავშირი დამყარდა. გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ოდეესკი, ბესტუჟევი-მარლინსკი, კიუხელბეკერი და სხვანი დაკავშირებულნი იყვნენ თბილისის მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებთან.

1816-1826 წლებში თბილისში მყოფმა პროგრესულად განწყობილმა პირებმა, რომელთაც საერთო ინტერესები, საერთო მისწრაფებები ამოძრავებდათ, თავი მოიყარეს გენერალ ერმოლოვის გარშემო. კიუხელბეკერმა მათ „ერმოლოვები“ უწოდა. მათ შორის იყვნენ ერმოლოვის ადიუტანტები – ი.ტალიზინი და ნ.ვოეიკოვი, მომავალი დეკაბრისტები – პ. კახოვსკი, ა.იაკუბოვიჩი, ს. კიუხელბეკერი, ძმები ა. და კ. რავესკები, გ. კოპილოვი, პ. უსტინოვიჩი, პ. მუხინოვი. ამ ჯგუფს შეუერთდნენ მოწინავე ქართველი საზოგადო და პოლიტიკური მოღვაწენი – ა. ჭავჭავაძე, ი. ჭილაძე და სხვები.

აღნიშნულმა გარემოებამ შეამჭიდროვა ისინი. ქართველებთან ურთიერთობამ რუსებს საშუალება მისცა ახლოს გაცნობოდნენ ერის კულტურას, ისტორიასა და ლიტერატურას. ამ წრის წევრებს შორის იყვნენ მუსიკის სფეროში საკმაოდ გათვითცნობიერებული პირნი, რის გამოც მუხიცირობამ მათ მოღვაწეობაში თვალსაჩინო ადგილი დაიკავა.

კულტურული ცხოვრების მნიშვნელოვან ნაწილად იქცა პუშკინის ჩამოსვლა თბილისში 1829 წლის 27 მაისს. მოწინავე ქართველი საზოგადოება აღტაცებით შეეგება მას. დიდი პოეტის პატივსაცემად იმართებოდა საღამოები, მეჯლისები. საზეიმო სადილზე ასრულებდნენ ქართულ სიმღერებს: მათ შორის იყო ცნობილი - „ახალ აღნაგო სულო“ და ცეკვები, რამაც პუშკინი აღტაცებაში მოიყვანა. ასევე მის წინაშე წარსდგა მესტვირე, ხოლო ორკესტრმა შეასრულა მარში ბუღაღერის ოპერიდან „თეთრი ქალბატონი“.

ცნობილი ფაქტია, რომ დიდმა რუსმა დრამატურგმა და კომპოზიტორმა, „საქართველოს სასიძომ“ აღექსანდრე გრიბოედოვმა პუშკინს გააცნო პოპულარული ქართული სიმღერა „ახალ აღნაგო სულო“, რომლის შთაბეჭდილებით პოეტმა შექმნა თავისი განთქმული ლექსი „ნუ იმღერ, ტურფავ“ „Не пой красавица при мне“. თავის მხრივ, კომპოზიტორმა გლინკამ პუშკინის ლექსზე და ზემოთ ხსენებული ქართული სიმღერის პანგზე დაწერა რომანსი „ქართული სიმღერა“ („Грузинская песня“).

აღექსანდრე ჭავჭავაძის ქალიშვილები ნინო და ეკატერინე, როგორც ცნობილია, უკრავდნენ ფორტეპიანოზე. ნინო ამ დროს გამოჩენილი კომპოზიტორების ნაწარმოებთან ერთად უკრავდა თავისი მეუღლის ა.გრიბოედოვის ნაწარმოებსაც.

XIX საუკუნეში ქართული მუსიკალური ფოლკლორის ერთ-ერთი ფრიად საინტერესო უანრი – ქალაქური სიმღერა ქართული ხალხური მუსიკის განუყოფელი ნაწილია. იგი ორი სხვადასხვა სტილისტური შტოს სახითაა წარმოდგენილი. პირველი მათგანა ე.წ. მგოსანთა ხალხურ-პროფესიული, ცალხმიანი პოეტურ-მუსიკალური შემოქმედება, რომელმაც ისტორიული განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა განვლო. უნდა ვიფიქროთ, რომ მისი ფორმირება დაიწყო ქალაქ თბილისის დაარსებიდანვე (458წ.) დიდი სავაჭრო გზების გზაჯვარედინზე განლაგებულმა ქალაქმა ოდიტგანვე მოიპოვა მთელი ამიერკავკასიის მსხვილი ეკონომიკური და კულტურული ცენტრის მნიშვნელობა. საქართველოს მომიჯნავე ქვეყნების მონოდიურ<sup>23</sup> კულტურებთან პერმანენტულ<sup>24</sup> კავშირს არ შეიძლებოდა ზეგავლენა არ მოეხდინა ქართულ ქალაქურ სიმღერაზე. ეს

<sup>23</sup> მონოლია – სიმღერა ერთ ხმაზე, გუნდის ან რაიმე საკრავის თანხლების გარეშე, ფართო გაგებით – ერთხმიანობაზე დამყარებული მუსიკალური სფერო.

<sup>24</sup> პერმანენტული – განუწყვეტელი, ერთმანეთიდან გამომდინარე განვითარება მუდმივად.

პროცესი განსაკუთრებით საგრძნობი ხდება XVII საუკუნის მეორე ნახევრიდან და მწვერვალს აღწევს XIX საუკუნეში, ქართული, სპარსული და სომხური ეროვნული მუსიკებისათვის დამახასიათებელ ინტონაციურ, კილოურ, რიტმულ თუ სხვა თავისებურებათა ორგანულ სინთეზზე, პირველი მათგანის საფუძველზე, მოგვცა ეროვნული ქართული მუსიკალური კულტურის ის დიდი და საინტერესო პლასტი, რომელიც ცნობილია „ძველი თბილისის სიმღერების“ სახელწოდებით. მისი თემატიკა: სიყვარული, მეგობრობა, პატრიოტიზმი, უმთავრესი სტილისტური ნიშნები კი – ცალხმიანობა, ორნამენტული მელოდიკა. ძველი თბილისის სიმღერამ წამყვანი ადგილი დაიკავა როგორც სახალხო მომღრღვების – მგოსნების, აშუღების საშემსრულებლო მოღვაწეობაში, ისე „სახანდური“ ტიპის ანსამბლების რეპუტაციაში.

მეორე შტო ჩაისახა XIX საუკუნის მეორე ნახევარში, როდესაც საქართველო თანდათანობით შეეთვისა ევროპულ მუსიკალურ ტრადიციას, რამაც ძალიან მაღე წარმოშვა ქალაქური ფოლკლორის მეორე შტო. „დასავლური“ ნეაპოლური რომანსებისა და იტალიურ საოპერო მელოდიებიდან გამომდინარე თავისებურებება ასახვა ჰპოვა ქართულ ქალაქურ ინტონაციურ მასალაში. ეს სიმღერები, როგორც წესი, სრულდება ერთ, ორ, ან სამ ხმად – გიტარის თანხლებით. ქალაქური ფოლკლორის ეს შტო თემატიკურად კიდევ უფრო მრავალფეროვანია.

ორივე ეს ინგრედიენტი<sup>25</sup> – „აღმოსავლური“ და „დასავლური“ – არსებობდა და ვითარდებოდა მჭიდრო ურთიერთობისა და ურთიერთგავლენის პირობებში. ძველი თბილისის XIX საუკუნის სასიმღერო კულტურა, პირველ რიგში, მისი აღმოსავლური შტო შემდგომ ასაზრდოებდა ქართული კომპოზიტორების შემოქმედებას, განსაკუთრებით, პროფესიული საკომპოზიტორო ხელოვნების განვითარების საწყის ეტაპზე და ნაწილობრივ შემდეგაც.

კულტურის სფეროში XIX საუკუნის დასაწყისში დიდი როლი შეასრულეს არისტოკრატიულმა სალონებმა. თუ საუკუნეების მანძილზე კულტურული მოღვაწეობის კერა-მონასტრები, ხოლო შემდეგ სამეფო კარი იყო, რუსეთთან შეერთების შემდეგ კულტურული საქმიანობის ცენტრმა არისტოკრატიულ სალონებში გადაინაცვლა. XIX საუკუნეში არისტოკრატიული სალონები როგორც ლიტერატურული, ასევე მუსიკალური და დრამატული ხელოვნების კერებად გადაიქცნენ.

XIX საუკუნის დასაწყისში ქართული ლიტერატურის წიაღში აღმოცენდა ახალი მიმართულება – რომანტიზმი, რომელმაც თავისებური სიახლე შეიტანა მხატვრულ აზროვნებაში და მაღე ლიტერატურის ჩარჩოებს გასცდა და ფართო საზოგადოებრივ მსოფლმხედველობად მოგვევლინა.

რომატიკოსები განსაკუთრებული გატაცებით ეკიდებოდნენ ხალხურ შემოქმედებას, რომელიც მათი შემოქმედების წყაროდ გადაიქცა. განსაკუთრებული ყურადღება წილად ხვდა ხალხურ სიმღერას. ხალხური, უპირატესად, ქალაქური სიმღერა, რომანტიკოსებისათვის ადამიანის შინაგანი განცდების გადმოცემის საშუალებად იქცა. უფრო მეტიც, ლირიკული, ქალაქური სიმღერის გავლენით, თვითონვე ქმნიდნენ როგორც სიმღერის ტექსტს, ასევე ჰანგებსაც. ქალაქური სიმღერა სავსებით შეესაბამებოდა ქართველი რომანტიკოსების ესთეტიურ პოზიციას, ამიტომ იყო, რომ რომანტიკოსებმა ფართოდ გაუხსნეს გზა თავიანთ სალონებში, რის შედეგადაც ქალაქური სიმღერა სალონის კულტურული ცხოვრების ერთ-ერთ მნიშვნელოვან კომპონენტად იქცა.

<sup>25</sup> ინგრედიენტი – შერწყმა

არისტოკრატიული საღონები (მამია გურიელის, გრიგოლ ორბელიანის, სოლომონ დოდაშვილის, რომან ბაგრატიონის, ვახტანგ ორბელიანის, მარიამ და მანანა ორბელიანების, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ალექსანდრე ორბელიანის, ალექსანდრე ჭავჭავაძის, დავით დადიანისა და სხვათა) ხელს უწყობდა ქართველი საზოგადოების გათვიცნობიერებას რუსულ-ევროპული მუსიკის სფეროში, ინტერესს აღძრავდა მუსიკალური შემოქმედებისა და იმპროვიზაციისადმი; პოპულარიზაციას უწევდა ისეთ უნივერსალურ საკრავს, როგორც არის ფორტეპიანო; ხელს უწყობდა საქართველოში ახალი ჟანრის – რომანსის აღმოცენებას.

1829 წლიდან იქმნება „მოყვარულთა წრე“. იგი აწყობდა ორ განყოფილებიან მუსიკალურ სადამოებს, კონცერტებს, სადაც პროგრამის რეპერტუარი საკმაოდ მრავალფეროვანი იყო და მონაწილენი საკმაოდ კვალიფიცირებულები.

გარდა ორკესტრებისა, XIX საუკუნის დასაწყისში საქართველოში გავრცელდა სოლო – საკრავებიც. კერძოდ: კლარნეტი, ფლეიტა, ვიოლინო, გიტარა. ბალალაიკა, ჩელო და ფორტეპიანო. პირველი ფორტეპიანო 20-იან წლებში თბილისში შემოიტანა მურავიო-კარსკიმ (შემდეგში ეს ფორტეპიანო გრიბოედოვმა შეიძინა). თბილისის მუსიკალური ცხოვრება არ ისახდებოდა მხოლოდ შემსრულებლობით. რუსული და დასავლეთევროპული მუსიკის სფეროში კარგად გათვიცნობიერებული პირნი ხშირად იყრიდნენ თავს და მსჯელობდნენ მოცარტის, ვებერის, როსინის, ქერუბინის და სხვა კომპოზიტორთა შემოქმედებასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

1844 წლის 27 დეკემბერს საქართველოში მეფისნაცვლად დანიშნეს გენერალ-ადიუტანტი გრაფი მ.ვორონცოვი. იგი შორსმჭვრეტელი, მოქნილი დიპლომატი იყო. მას კარგად ესმოდა, რომ ქართველი თავადაზნაურობისა და ინტელიგენციის მიმართ კეთილი განწყობით და ქართული კულტურისადმი ლოიალური დამოკიდებულებით უფრო მეტის მიღწევა შეიძლებოდა, ვიდრე ჟანდარმული მეთოდებით. ვორონცოვი ხელს უწყობდა ხვდასხვა კულტურულ წამოწყებას, რომელთაგან ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გახლდათ საოპერო თეატრის დაარსება თბილისში.

1845 წლის 20 სექტემბრიდან პირველად დაიდგა თეატრალური წარმოდგენა, უკრაინული ოპერა „შელმენკო-დენშიკი“. შემდგომ, თეატრის ადგილობრივი დასის გაძლიერების მიზნით, ვორონცოვმა მსახიობები საიმპერატორო თეატრებიდან „გამოიწერა“ – ჩამოდიან კამენსკი, პეტროვი, მალაგილი, შენინგი.

თეატრის შენობის აგების შემდეგ 1851 წ. გადაწყდა იტალიური საოპერო დასის მოწვევა. დირექციამ ვორონცოვს<sup>26</sup> მოახსენა, რომ მუსიკის გარეშე ვერავითარი სანახაობა ვერ მიიპყრობს მსმენელთა ყურადღებას.

ორკესტრის გაძლიერების მიზნით საზღვარგარეთ მიავლინეს დირიჟორი შენინგი. 1851 წლის ზაფხულის მიწურულში მან მუსიკოსები ჩამოიყვანა, ორკესტრი გამდიდრდა ახალი საკრავებითა და ნოტებით. დაიდო ხელშეკრულება იტალიური საოპერო დასის ხელმძღვანელ ბარბიერისთან, რომელსაც შეთანხმების საფუძველზე თბილისში 12 ოპერა უნდა დაედგა.

<sup>26</sup> მ. ვორონცოვი 1844 წლის 27 დეკემბერს საქართველოში მეფისნაცვლად დაინიშნა. გენერალ-ადიუტანტი, გრაფი (რუსეთის სამეფო კარის ერთგული მსახური), თბილისში ოპერის თეატრის ერთ-ერთი დამაარსებელი.

1851 წლის 8 ნოემბერს საზეიმოდ გაიხსნა თბილისის საოპერო თეატრი, ხოლო მეორე დღეს დაიდგა დონიცეტის ოპერა – „ლუნია დი ლამერმური“, მას მოჰყვა ვერდის „ერნანი“, დონიცეტის „ჯემა და ვირჯი“, როსინის „სეველიელი დალაქი“.

1852 წელს პეტერბურგიდან მოიწვიეს რუსული საბალეტო ჯგუფი.

1880 წლიდან თეატრის სცენაზე მუშაობა დაიწყო რუსულმა საოპერო დასმა: დაიდგა გლინკას, დარგომიჟსკის, ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, პ. რუბინშტეინისა და სხვათა ოპერები.

აქვე უნდა ვახსენოთ ცნობილი რუსი მომღერლები და პედაგოგები, რომლებიც ხანგრძლივი დროის მანძილზე ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ თბილისში: ვ.ხარუდნაია, ლ.იაკოვლევი, დ.უსატოვი (თ.შალიაპინმა როგორც მასწავლებელმა, სწორედ 1893 წელს თბილისის საოპერო სცენაზე აიდგა ფეხი).

საოპერო თეატრების სპექტაკლებმა თვალსაჩინო ადგილი დაიმკვიდრა საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში. ამრიგად, საოპერო თეატრის საქმიანობამ დიდი სიახლე შეიტანა საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში, თბილისის საოპერო თეატრმა ქართველ მსმენელს გააცნო ევროპული, კერძოდ, იტალიური საოპერო მუსიკა, ხოლო შემდგომ – რუსული კლასიკური ოპერებიც. ამით კი ნიადაგი მოუმზადა ეროვნული საოპერო ხელოვნების აღმოცენებას.

### „თერგდალეულები“

XIX საუკუნის მეორე ნახევარში იწყება ქართული ეროვნული კულტურის დასაცავად მთელი ქართველი პროგრესული საზოგადოება ფეხზე დადგა. დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ენიჭება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“, რომელიც დაარსდა ი.ჭავჭავაძის, დიმიტრი ყიფიანის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ცხვედაძის და ვახტანგ თულაშვილის თაოსნობით. 1879 წლიდან ეს საგანმანათლებლო ხასიათის ორგანიზაცია გვევლინება ქართული პროგრესული ძალების თავშეყრის ადგილად. იგი სათავეში ჩაუდგა სახალხო განათლებას და ქართული სკოლები გახსნა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთაც.

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება“, ქართველთა პრესა და ქართული თეატრი ქართველი ხალხის ეროვნულ-განმანათავისუფლებელი მოძრაობის გამაერთიანებელ ძალად იქცა.

ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასთან არის დაკავშირებული ცნობილ მეცნიერთა: ი.თარხნიშვილის, ვ.პეტრიაშვილის, პ.მელიქიშვილის, დ.ჩუბინაშვილის, ა.ცაგარელის, მ.ჯანაშვილის, დ.ბაქრაძისა და სხვათა სახელები.

„თერგდალეულთა“ განმათავისუფლებელმა იდეებმა თავისი გამოხატულება ჰპოვა აგრეთვე ლიტერატურაშიც, – რეალიზმის პრინციპებზე დამყარებულ კლასიკურ ნიმუშებში. ამ მიმართულებების მესვეურებად გვევლინებიან ი.ჭავჭავაძე და ა.წერეთელი, რომელთა შემოქმედებაში ნათლად არის ასახული XIX საუკუნის საქართველო. ასეთივე

შემოქმედებითი პრინციპებით ხელმძღვანელობდნენ ნნიკოლაძე, ს.მესხი, გ.წერეთელი, ალ. ყაზბეგი და ვაჟა-ფშაველა.

ამ პერიოდის თვალსაჩინო მუსიკოს-მოდერნიზატორები მკაფიოდ გამოიჩინეს დავით მანაბელი (1811-1875წწ.), რომან ძამსაშვილი (1853-1885წწ.), ფილიმონ ქორიძე (1829-1911წწ.), ხარლამპი სავანელი (1842-1890 წწ.) (პირველი ქართველი პროფესიონალი მომღერალი, პედაგოგი და გუნდის ხელმძღვანელი, პეტერბურგის კონსერვატორია დამთავრებული). მან 1874 წლის 24 აპრილს თბილისში დაარსდა მუსიკალური სკოლა, რომელიც 1886 წელს მუსიკალურ სასწავლებლად გადაკეთდა, 1917 წელს კი – კონსერვატორიად, ლადო აღნიაშვილი (1860-1904 წწ.), რომელმაც გააძლიერა ინტერესი საშემსრულებლო ხელოვნების მიმართ.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში სამოდერნიზაციო ასპარეზზე გამოდიან თვალსაჩინო ეროვნული საშემსრულებლო ძალები: პიანისტები: ალიოზ და ფელიქს მიზანდარი, მარიამ უნდილოვა-სარაჯიშვილი, ნინო ყიფიანი, ნინო მესხიშვილი, ბარბარე ამირეჯიბი, ეთერ ხიმშიაშვილი; ვიოლინოზე დამკვრელები: ა. ყარაშვილი, ვ. მანსვეტაშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, ა. ჯამბაკურ-ორბელიანი; ჩელოზე დამკვრელი ივანე სარაჯიშვილი, დირიჟორი ივანე ფალიაშვილი; მომღერლები: აბელიშვილი (ტენორი), მელიტონ ბალანჩივაძე (ბარიტონი), ა. ბერიძე (ტენორი), ვასილ გეგიძე (ტენორი), ხარლამპი სავანელი (ბარიტონი), ფილიმონ ქორიძე (ბანი), ჩიქოვანი (ტენორი), ბეჟან წინამძღვრიშვილი (ტენორი), ნ.ჯორჯაძე (ტენორი), ბირშერტ დოდაშვილი (ტენორი), ბურჯანაძე, დ.გედევანიშვილი, კლარა გურამიშვილი (კოლორატ. სოპრანო); ტენორები – ია კარგარეთელი, მ.მანაბელი, ულენტი, ალექსანდრე რჩეულიშვილი, თამარ რჩეულიშვილი (ლირიკული სოპრანო), კაზიმირ ცხომელიძე (ბარიტონი) და სხვები, რომელთა სახელებით ამჟამად ქართული საშემსრულებლო ხელოვნება:

**ალიოზ იოსების ძე მიზანდარი** (1838-1912 წწ.) – ქართული საფორტეპიანო სკოლის ფუძემდებელი, მუსიკალური ხელოვნების დიდი პროპაგანდისტი, თვალსაჩინო პედაგოგი და საზოგადო მოღვაწე. მუსიკაში მეცადინეობდა ლ. იანიშვესკისთან, თბილისში. თავისი შემსრულებელი განსაკუთრებულ მიდრეკილებას იჩენდა შოპენისა და ლისტის შემოქმედების მიმართ. 37 წლის პედაგოგიური მოღვაწეობით მრავალი პიანისტი აღზარდა (მათ შორის ა.თულაშვილი). 1865-67 წლებში მიზანდარი პარიზში ცხოვრობდა; თბილისში მომავალი ორი თვით გაჩერდა ვენაში, სადაც გაეცნო ჯ.როსინის, ფ.ლისტს, ა.მარმონტელს, ი.ბრამსს;

**ივანე თედორეს ძე სარაჯიშვილი** (1862-1898 წწ.) – ჩელოს სპეციალიზაციით;

**ალექსანდრე რაზმაძე** (1845-1896 წწ.). მან დაწერა ნაშრომები: „ჰარმონიის ამოცანათა კრებული“, „მუსიკის ისტორიის ნარკვევები უპირველესი დროიდან XIX საუკუნის შუა წლებამდე“ და სხვა. 40 რომანსისა და მცირე ფორმის საფორტეპიანო ნაწარმოებების ავტორია. მას ეკუთვნის ოპერეტა „ესპანელი რაინდი სულთანის ჰარამხანაში“;

**ანდრია ნიკოლოზის ძე ყარაშვილი** (1857-1925 წწ.) – პირველი ქართველი მევიოლინე, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე და კომპოზიტორი;

**ია გიორგის ასული კარგარეთელი** (1867-1939 წწ.) – ერთ-ერთი თვალსაჩინო და მრავალმხრივი ქართველი მუსიკოსი.

მისი რომანსებია: „შევიშრობ ცრემლსა“, „მშვენიერთა ხელმწიფე“, „თავო ჩემო“, „შემიყვარდა ეგ ხმა ტკბილი“, „თეთრი ვარდი“, „შენ რაღას ფიქრობ, არაგვო“, არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ“ და სხვა.

ზემოხსენებული რომანსები ყურადღებას იპყრობენ თავისი მელოდიურობითა და უშუალოდ. მათ საკმაოდ განვითარებული საფორტეპიანო თანხლება აქვთ.

**მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე** (1862-1937 წწ.) მისი პირველი ოპერა, „თამარ ცბიერი“, რომანსები – როდესაც გიცქერ, შენ გეტრფი მარად“, „იაენანა“ და სხვა ქართული კლასიკური მუსიკის პირველი ყლორტები არიან. გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის მ.ბალანჩივაძის შესახებ დაწვრილებით ქვემოთ გვექნება საუბარი.

XIX საუკუნეს<sup>27</sup> დიდი ისტორიული მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მუსიკალური კულტურისათვის. სწორედ ამ საუკუნეში შეიქმნა წინამძღვრები ქართული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების შემდგომი ყოველმხრივი და ინტენსიური განვითარებისათვის. ქართული მუსიკა, რომელიც ისტორიული ბედუკუდმართობის პირობებში (XIII საუკუნის 20-იანი წლებიდან) ფაქტიურად სრულ ვაკუუმში აღმოჩნდა და მხოლოდ აღმოსავლური ტრადიციის კულტურასთან (ძირითადად სპარსულთან) იმყოფებოდა მეტნაკლებ კონტაქტში. XIX საუკუნეში თანდათანობით ეზიარა მსოფლიო მუსიკალური კულტურის დიდებულ მონაპოვარს: ინერგება მუსიკალური ყოფის ახალი ფორმები. საფუძველი ეყრება მუსიკალური შემსრულებლობისა და მუსიკალური პედაგოგიკის თანამედროვე პრაქტიკას. ეს იყო ძალების მოკრებისა და შემოქმედებითი პოტენციის დაგროვების ხანა, პროცესისა, რომელმაც ნაყოფიერი მოსავალი მოიმკა უშუალოდ მის მომდევნო ისტორიულ ეპოქაში.

სამწუხაროდ, ეროვნული აღორძინების ამ დიდებულმა ეპოქამ ვერ წამოსწია არა თუ ილიას და აკაკის, არამედ მათი თანამოაზრეების რანგის კომპოზიტორების, თუმცა არ შეიძლება უდიდესი მადლიერების სიტყვებით არ მოვიხსენიოთ ის მართლაც და უანგარო აღამიანები როგორც იყვნენ: ხ.სავანელი, დ.მაჩაბელი, ფ.ქორიძე, ა. ყარაშვილი, ა. მიზანდარი, ი.კარგარეთელი და სხვები, რომლებმაც მოამზადეს ნიადაგი ეროვნული პროფესიული მუსიკალური ხელოვნების აღორძინებისთვის.

ილია ჭავჭავაძემ, რომელიც, საზოგადოდ, შორს იყო მუსიკოსის მოწოდებისგან (ამას იგი დიდი პიროვნებისათვის ჩვეული თავმდაბლობით აღიარებდა), ფაქტიურად წამოაყენა ეროვნული ოპერის შექმნის იდეა, როდესაც ლ.აღნიაშვილის გუნდის ერთ-ერთი კონცერტის შემდეგ სურვილი გამოთქვა, რომ „ჩვენმა დრამატულმა დასმა ეს ახალი საქმე, გუნდური გალობა ქართულის ხმებისა, ზედ გადააბას წარმოდგენებსა“ ეს ოცნება სამიოდე ათეული წლის შემდეგ ხორც ისხამს ზ.ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“.

XIX საუკუნის ქართული პროფესიული მუსიკის უმთავრესი და პრაქტიკულად ერთადერთი სტილისტური ხაზი დაკავშირებულია ქალაქურ სიმღერასთან, რაც შემთხვევითი არაა, რადგანაც სწორედ ეს საუკუნე იყო მისი გაფურჩქვნისა და არაჩვეულებრივი პოპულარობის „ოქროს ხანა“.

გარდა ამისა, უნდა გავითვალისწინოთ, რომ განსხვავებით ხალხური საგუნდო ეპოსის სიღრმისეული ფენებისაგან, ქალაქური სიმღერა იმ ხანად გაცილებით უფრო მისაწვდომი და მოსახერხებელი იყო საკომპოზიტორო, შემოქმედებით უფრო

<sup>27</sup> შესავალი ნაწილი ეკუთვნის გ.ტორაძეს. „ქართული მუსიკის ისტორია“. გამომცემლობა „განათლება“, თბილისი, 1999, გვ.87

მისაწვდომი და მოსახერხებელი იყო საკომპოზიტორო, შემოქმედებითი ათვისებისთვის. ქართული კლასიკური მუსიკალური მემკვიდრეობისა და ეროვნული მუსიკალური სტილის შექმნის ისტორიული მისია შეასრულეს დიდმა ქართველმა კომპოზიტორმა ზ. ფალიაშვილმა და მისმა გამორჩენილმა თანამედროვეებმა უკვე მომდევნო XX საუკუნის პირველ ათწლეულებში.

### სამუსიკო განათლება ბათუმში

ისტორიული მიმოხილვა. XIX საუკუნის მიწურული და XX საუკუნის დასაწყისი. სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის დაარსება

XIX საუკუნის 80-იანი წლებიდან საქართველოს უმშვენიერეს ქალაქ ბათუმში მუსიკალური ცხოვრება ინტენსიურად ვითარდებოდა. აქ თითქმის ყველა სახის კულტურული და საზოგადოებრივი დაწესებულება არსებობდა: საკრებულო, თეატრი, კლუბი, სადაც დროგამოშვებით იმართებოდა დრამატული და მუსიკალური სპექტაკლები, კონცერტები, ცნობილია, რომ ბათუმს საკუთარი ცირკიც კი ჰქონდა.<sup>28</sup>

1878 წელს, ბერლინის ტრაქტატით, ბათუმი გახდა შავ ზღვაზე ერთ-ერთი მოწინავე და ევროპულად მოწყობილი ქალაქი. დაიწყო მისი სწრაფი აღორძინება. მას ხელი შეუწყო, ერთი მხრივ, გეოგრაფიულმა მდებარეობამ (უმოკლესი სატრანზიტო გზა ევროპასა და აზიის ქვეყნებს შორის), მეორე მხრივ, ქალაქის პორტო-ფრანკოდ (თავისუფალ ნავსადგურად) გამოცხადებამ, რომელმაც მძლავრი გასაქანი მისცა ვაჭრობა-მრეწველობას, და ბოლოს, თბილისი-ბათუმის რკინიგზის ხაზის გაყვანამ, რომლითაც იგი სხვა ქალაქებს დაუკავშირა.

ფულისა და სამუშაოს მოსაპოვებლად როგორც საქართველოდან, ისე შორეული ადგილებიდან ბათუმში ბევრი ბედის მაძიებელი მიდიოდა. ესენი იყვნენ: შავი მუშები, ხელოსნები, მოსამსახურეები, ვაჭრები, კომერსანტები, სხვადასხვა დარგის სპეციალისტები, დიდი მეწარმეები. სწრაფად იზრდებოდა ქალაქის მოსახლეობა. თუ 1878 წელს ბათუმში სულ 3000 მცხოვრები ითვლებოდა, ათი წლის შემდეგ მისი მოსახლეობა 9000 კაცით გაიზარდა, ხოლო XX საუკუნის დასაწყისში 34000 გადააჭარბა. შეიმჩნეოდა დიდი ეროვნული სიჭრელე. ქართველობის გარდა, აქ ცხოვრობდნენ რუსები, ბერძნები, სომხები და სხვა ეროვნების ხალხი.

ბათუმი არამარტო ბედის მაძიებელს იზიდავდა, არამედ მრავალ ტურისტს და დამსვენებელს. თავისი ბუნებრივი სილამაზითა და კლიმატური პირობებით იგი შესანიშნავ ადგილს წარმოადგენდა დასვენებისა და დროსტარებისთვის. ტყუილად კიარ უწოდებდნენ ბათუმს პატარა ნიცას.

მას შემდეგ, რაც რუსეთის იმპერიას შეუერთდა, ქალაქმა ძალიან სწრაფად იცვალა სახე. ჩამოყალიბდა ადგილობრივი, ევროპულად განათლებული ინტელიგენცია, რომელმაც თავისი დალი დაასვა ქალაქის სულიერ ცხოვრებას. ბათუმში დაარსდა „საკრებულო“, სადაც იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, დრამატული სპექტაკლები და კონცერტები. 1879 წელს ჩამოყალიბდა ქართული დრამატული წრე, რომელიც პირველ ხანს ნათარგმნ პიესებს დგამდა, შემდეგ მას მოსდევდა სხვადასხვა მხატვრული კოლექტივი და წრე.

<sup>28</sup> არჩილ შველიძე. სამუსიკო განათლება საქართველოში. გამომც. „ხელოვნება“, თბილისი, 1976 ვვ. 288



მე-XIX საუკუნის 80-იან წლებში ბათუმში აღმოცენდა მუსიკალური წრე. მის მოღვაწეობას თვალს თუ გადავაავლებთ, შევნიშნავთ, რომ იგი თითქმის ფილარმონიული საზოგადოების როლს ასრულებდა. პირველ ხანს მუსიკალური წრე მარტო კამერული კონცერტების გამართვით კმაყოფილდებოდა, რასაც იგი საკუთარი ძალებით ახორციელებდა. შემდეგში იგი ისე მოღონიერდა, რომ ასეთ კონცერტებში პროფესიულ შემსრულებლებსაც იწვევდა. 90-იანი წლებიდან მოყოლებული აგრეთვე ბათუმში მოქმედებდა კამერული მუსიკის მოყვარულთა წრე, რომელიც ვიწრო ჩარჩოებით იყო შეზღუდული, თუმცა მისი წევრები ზოგჯერ სხვადასხვა საქველმოქმედო კონცერტში მონაწილეობდნენ.

1886 წლის აპრილის ბოლოს ბათუმს ეწვია ევროპაში მიმავალი პეტრე ჩაიკოვსკი. 1890 წელს ფილიმონ ქორიძემ<sup>29</sup> გამართა კონცერტი, რომელშიც მონაწილეობდა მისი მოწაფე, ახალგაზრდა ტენორი ვლადიმერ ჟღენტი.

კამერული კონცერტების გარდა „წრე“ ახერხებდა (საკონცერტო შესრულებით) სხვადასხვა საოპერო ნაწყვეტების ჩვენებას, რომლებშიც მონაწილეობდნენ როგორც წრის წევრები, ისე დაქირავებული არტისტული ძალები. 1895 წლიდან დიდი ქართველი პოეტის აკაკი წერეთლის შემოქმედებისადმი მიძღვნილ საღამოებზე სრულდებოდა კლასიკური და ხალხური მუსიკის საუკეთესო ნიმუშები.

1912 წელს ბათუმში გაიმართა თბილისის ოპერის თეატრის გასტროლები ს. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით. ბათუმელებმა მოუსმინეს რუბინშტეინის „დემონს“, ვერდის „ტრავიატასა“ და „რიგოლეტოს“, ჩაიკოვსკის „ევგენი ონეგინს“, პუჩინის „ჩიო-ჩიოსანს“, ბიხეს „კარმენს“, გუნოს „ფაუსტს“.

ბათუმი, როგორც ევროპული ტიპის საზღვაო ქალაქი, მრავალ თეატრალურ და მუსიკალურ კოლექტივსა და ცალკეულ შემსრულებელს იზიდავდა. ცნობილია, რომ ვინც ოდესაში მიდიოდა საგასტროლოდ, იგი უსათუოდ მოინახულებდა ბათუმს. ამ მხრივ თბილისთან შედარებით, ბათუმს უფრო მეტი სტუმრები ჰყავდა. სამწუხაროდ, ქალაქს არ გააჩნდა კეთილმოწყობილი სათეატრო შენობა, სადაც შესაძლებელი იყო დრამატული და მუსიკალური სპექტაკლების ჩვენება. 80-იან წლებში ბათუმში სახელდახელოთ აუგიათ ხის შენობა, რომელიც ანანიევს ეკუთვნოდა. აქედან წარმოსდგა მისი სახელწოდება – „ანანიევის თეატრი“. მალე ბათუმს შეემატა უფრო მოზრდილი და კეთილმოწყობილი ე.წ. „რკინის თეატრი“ (რკინეულობის მაღაზია ა.ტომსკიმ თეატრად გადააკეთა).

მართალია, არც ეს თეატრი გამოირჩეოდა კომფორტით და მხატვრული ბრწყინვალეობით, მაგრამ ანანიევის თეატრთან შედარებით, იგი საკმაოდ უკეთესი იყო. საბოლოოდ, ორივე თეატრმა დიდი როლი ითამაშა ბათუმის სულიერ ცხოვრებაში. ამ თეატრების სცენებზე ერთმანეთს ცვლიდნენ ქართული, რუსული, უკრაინული, ბერძნული, ფრანგული, იტალიური მუსიკალური და დრამატული კოლექტივები. მუსიკალური ჟანრებიდან განსაკუთრებული პოპულარობით სარგებლობდნენ კომედიები და ოპერეტები. 90-იან წლებში აქ იღვმებოდა კლასიკური ოპერეტები: „ბოკაჩიო“, „კორნევილის ზარები“, „დატაკი სტუდენტი“, „მშვენიერი ელენე“, „ბოშათა ბარონი“ და სხვა.

1890 წელს ბათუმს ეწვია ფრანგული „კომიკური ოპერის“ დასი კლოდიუსის ხელმძღვანელობით. მას თბილისის ორკესტრი ჰყავდა დაქირავებული. დასმა ფრანგულ

<sup>29</sup> ფილიმონ იესის ძე ქორიძე – დამატებითი ფურცელი

ენაზე უჩვენა ოპერები: „კარმენი“, „ორფეოსი ჯოჯოხეთში“, „მოგზაურობა ჩინეთში“ და სხვა. ფრანგული კომიკური ოპერის დასს საკმაოდ წარმატებები მოუპოვებია, მაგრამ ქალაქით უფრო მეტად იტალიური მოხეტიალე საოპერო დასები სარგებლობდნენ. 1892 წელს ბათუმში ჩამოვიდა იტალიური დასი, რომლის შემადგენლობაში იყო ცნობილი მომღერალი, პარიზის გრანდ ოპერის სოლისტი ფ.ვანდერიკი.

1891 წლის ივლისის დასაწყისში ბათუმს ეწვია მსოფლიოში გამოჩენილი პიანისტი, რუსეთის სამუსიკო საზოგადოებისა და პეტერბურგის კონსერვატორიის დამაარსებელი, თბილისის განყოფილებს მუდმივი წევრი ანტონ გრიგოლის ძე რუბინშტეინი.<sup>30</sup>

ბათუმში საგასტროლოდ ჩამოდიოდნენ რუსული საოპერო დასებიც, რომლებიც ოპერებს საკონცერტო შესრულებით უჩვენებდნენ. პირველი ასეთი სპექტაკლი-კონცერტები ბათუმში 1892 წელს ჩატარდა „რკინის თეატრში“, მონაწილეობდნენ თბილისის ოპერის თეატრის მომღერლები: ე.კარი, მ. მაქსაკოვი, ა. სეკორ-როჟანსკი და სხვები. როგორც იმდროინდელი ადგილობრივი პრესა იუწყებოდა, თბილისელი არტისტები გმირებსა და სათამაშო კოსტუმებში იყვნენ. აღნიშნულ წელს, ბათუმში ჩამოვიდა ცნობილი გუნდი დ.სლავეინსკის ხელმძღვანელობით, რომელმაც ორი კონცერტი გამართა. შემსრულებლებთან ცალკე უნდა დავასახელოთ ვოკალური ხელოვნების შესანიშნავი წარმომადგენლების: ახალგაზრდა შალიაპინის, ფიგნერის, ტარტაკოვის, ჯირალდონის, ქორიძის, მაქსაკოვისა და სხვა მომღერლების გამოსვლები.

ამ პერიოდში ბათუმში რევოლუციამდელი ქართული მუსიკის კონცერტებიც იმართებოდა. ვიდრე საქართველოში ეროვნული კომპოზიტორები გაჩნდებოდნენ, ეს კონცერტები მხოლოდ ხალხური სიმღერებითა და ცეკვებით ამოიწურებოდა.

როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის 60-იანი წლებიდან, „თერგდალეულებმა“, იტვირთეს „ჩვეულებისამებრ მამულსა სულა“, აღედგინათ ჩვენი მოღვაწეობის აზრი და მიზანი: „ჩვენის დაცემულის ვინაობის აღდგენა, ფეხზე დაყენება და დაცვა ყოველის მოსალოდნელი ფათერაკისაგან... ყველა, ვისაც რა შეუძლია, ამ მიმართულების ქვეშ უნდა მოიყაროს თავი და ერთად, ძმურად იმოქმედოს... ყმაწვილკაცობა უნდა მომზადდეს ბეჯითის და ზედმიწევნულ ცოდნითა“ – წერდა ი.გოგებაშვილი.

დიდ საკაცობრიო და აღმზრდელობით მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილი მუსიკალურ აღზრდას:

„სადაც მუსიკას, სიმღერას სათანადო ყურადღება არ ექცევა, სადაც არ იმართება მუსიკალური კონცერტები და სადამოები, რომლებიც საამოდ ახალისებენ ცხოვრებას... გასაკვირი როდია, რომ ასეთ პირობებში მოსწავლე დაღვრემით შეჰყურებს ცხოვრებას, რომ მისი გრძნობები უხეშ ელფერს იღებს, რომ იგი ვერ აფასებს ცხოვრების სიმშვენიერეს, ველურდება და ხშირად ამუღავნებს მხეცურ ინსტიქტებს...“<sup>31</sup>

დიდი პედაგოგი თვლიდა, რომ სიმღერა სამართლიანად ითვლება ჩვენს დროში სკოლის სულად და გულად. იგი უვითარებს ბავშვს სმენას, არჩევს ჰარმონიას, უსუსტებს და უსპობს ხეპრობასა და ზრდის მის გულში სინაზესა და სიფაქიხეს. ერთი სიტყვით აკეთილშობილებს მის ბუნებას.

<sup>30</sup> არჩილ მშველიძე. სამუსიკო განათლება საქართველოში. გამომც. „საქართველო“, თბილისი, 1976 წ. გვ. 141.

<sup>31</sup> ი. გოგებაშვილი, თბ, I გვ. 94.

იაკობს არ მოსწონდა ისეთი მუსიკა, სიმღერა, რომელიც „ნამდვილს აღტაცებას ვერ გამოგაცდევინებთ, ღრმად არ შეძრავს თქვენ გულსა, ციებ-ცხელებას ვერ დაჰბადებს თქვენს ნერვებში, ქარიშხალსა და დელვას ვერ გააჩენს თქვენს ბუნებაში და უძლეველ ძალით ვერ აგიტაცებთ მაღალ გრძნობათა სფეროში.“<sup>32</sup>

ოსტატურად შესრულებული სიმღერა, იაკობის აზრით, უდიდესი ძალაა, სიმპათიური ინტერნაციონალური მოვლენაა, სიმღერით ერთნაირად ტკბებიან, ქაღინი, კაცინი, პატარებიც, დიდებიც, განათლებულნიც, შინაურნიც და გარეუღნიც, ჩვენებურნიც და უცხოელებიც. სილამაზესავით სიმღერა მეტად სიმპათიური ინტერნაციონალური მოვლენაა – „მუსიკა, სიმღერა ადამიანს უძლიერებს სიხარულს, უნელებს სიმწუხრეს, უქარვებს დარდებს, ავებს მხნეობით, ფრთებს ასხამს ყოველს კარგს მისწრაფებას, აძლიერებს ეროვნულ გრძნობას, აერთებს ყველა წოდებას, ყველა კლასს, ჰქმნის ერთიანს ერსა“.

მუსიკალურ სფეროში თერგდალეულებს პროპაგანდას უწევდა ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების დიდი მცოდნე ძუკუ ლოლუა. შემდეგში როდესაც ეროვნულმა პროფესიულმა მუსიკამ ფეხი აიდგა და საკონცერტო ესტრადაზე ქართველ კომპოზიტორთა ჰანგებიც გაისმა, კონცერტებიც უფრო ხშირად იმართებოდა.

ბათუმში მუსიკალური ცხოვრება რომ საკმაოდ ინტენსიური იყო იქედანაც ჩანს, რომ ადგილობრივი გაზეთების ფურცლებზე რეგულარულად იბეჭდებოდა რეცენზიები, ქრონიკები. როგორც წესი მათი უმრავლესობა ხელმოუწერელია, მაგრამ რეცენზიების დონე ნათლად მოწმობს, რომ მათ ავტორებს მუსიკალური განათლება ჰქონდათ მიღებული და კრიტიკაც შეეძლოთ.

ამ პერიოდისთვის ბათუმში მუსიკალური ცხოვრება საკმაოდ მრავალფეროვანი და შინაარსიანი იყო. სამუსიკო განათლებისადმი ლტოლვა და ინტერესი ფეხს იკიდებდა. ქალაქში გამოჩნდა კერძო სამუსიკო კლასები. დაწყებით ეტაპზე ბავშვების მუსიკალური აღზრდა მიღებული იყო ყოველ შეძლებულ ოჯახში და ისინიც ფორტეპიანოზე დაკვრას აძლევდნენ დიდ უპირატესობას.

## კონსერვატორიის წარმოშობის მოკლე

### ისტორიული მიმოხილვა

მისი დაარსება საქართველოში, კერძოდ თბილისსა და ბათუმში

მსოფლიო მუსიკის ისტორიიდან ვიცით, რომ პირველი კონსერვატორია იტალიის სამხრეთ ქალაქ ნეაპოლში დაარსდა 1537 წელს, მაგრამ იმ დროს მას არ ჰქონდა დღევანდელი მნიშვნელობა. ტერმინი „კონსერვატორია“ ლათინური კონსერვარე – დან არის წარმომდგარი და ნიშნავს დაცვას, შენახვას, მზრუნველობას. ნეაპოლის კონსერვატორია სამუსიკო დაწესებულებას არ წარმოადგენდა. იგი, არსებითად, უპატრონო ბავშვთა თავშესაფარი იყო. მას ეწოდებოდა „ჩონსერვატორიო შანდა არია დი ჩორეტო“ (წმინდა მარია ლორეოს თავშესაფარი). იმ დროისათვის ასეთი

<sup>32</sup> ი გოგებაშვილი, თბ IV გვ. 198.

თავშესაფრები იტალიის ჩრდილოეთ ქალაქებშიც გაიხსნა, მაგალითად, ფლორენციასა, ვენციაში და სხვაგან.

ნეაპოლის კონსერვატორიებში ბავშვებს 7 წლიდან 11 წლამდე იღებდნენ. მათ სხვადასხვა ხელობასა და სიმღერა-გალობას ასწავლიდნენ, ვინაიდან მაშინდელ კონსერვატორიებს ძირითადად სასულიერო პირები ემსახურებოდნენ, სიმღერა – გალობას თავიდანვე დიდი ყურადღება ექცეოდა. კათოლიკური რელიგიის მსახურნი კონსერვატორიის შეგირდებისაგან გუნდებს აყალიბებდნენ და ეკლესიებში აგალობებდნენ.

XVII საუკუნის დასაწყისში იტალიაში ფეხს იკიდებს ახალი მუსიკალური ჟანრი – ოპერა. ამ დროს იტალიის მთელ რიგ ქალაქებში ზედიზედ არსდება საოპერო თეატრები, ფართო გასაქანი ეძლევა ვოკალურ-სცენურ ხელოცვნებას. ეს, რა თქმა უნდა, დიდ მოთხოვნებს იწვევდა მომღერალ-შემსრულებლებზე და განსაკუთრებით გუნდის მომღერლებზე. პირველ ხანებში ამ ძალებს კონსერვატორები აწვდიდნენ და უზრუნველყოფდნენ საოპერო თეატრებს. ამიტომ დაიბადა ახრი შექმნილიყო ბავშვთა ისეთ თავშესაფრები (კონსერვატორიები), სადაც მხოლოდ მუსიკალურ კადრებს მოამზადებდნენ. XVII საუკუნის მიწურულში იტალიაში არსდება ისეთი ტიპის თავშესაფრები, სადაც ღარიბ-ღატაკთა ბავშვებს 12 წლიდან იღებდნენ. მათ ასწავლიდნენ სიმღერა-გალობას და სხვადასხვა სამუსიკო საკრავებზე დაკვრას. იმისათვის, რომ ეს კონსერვატორიები ჩვეულებრივი ტიპის ბავშვთა თავშესაფრებისგან განესხვავებინათ მათ წინ უმატებდნენ ტიტულს – „მუსიკალურს“ ამგვარად, იტალიის კონსერვატორიებმა, რომლებიც თავდაპირველად უპატრონო ბავშვთა თავშესაფრებს წარმოადგენდნენ, თანდათან სპეციალური სამუსიკო სასწავლებლის პროფილი მოიპოვეს. თვით ტერმინმა „კონსერვატორიამ“ კი ახალი განსაზღვრა მიიღო. უნდა აღვნიშნოთ, რომ დასაწყისში კონსერვატორიას არ ჰქონდა უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის მნიშვნელობა, როგორც ეს დღეს აქვს. მაშინდელი კონსერვატორიები ჩვეულებრივი სამუსიკო სკოლები იყვნენ, სადაც ყოველგვარი პროგრამის გარეშე ასწავლიდნენ სიმღერას და სხვადასხვა საკრავებზე დაკვრას. იტალიის კონსერვატორიაში სწავლა უფასო იყო. მოსწავლეთათვის არსებობდა პანსიონატები. მთელ ხარჯებს სახელმწიფო და სხვადასხვა საქველმოქმედო საზოგადოება იღებდა. შემდეგში (XVII ს.) კონსერვატორიებში სწავლა შეეძლოთ გარეშე პირებსაც. მათვის შეღავათიანი გადასახადი იყო დაწესებული.

ზოგიერთ კონსერვატორიას, სადაც სპეციალურად მუსიკას ასწავლიდნენ, დაარსების დღიდანვე შეეცვალა პირვანდელი სახელწოდება, რადგან სიტყვა „თავშესაფარი“ შეუფერებელი იყო მუსიკალური დაწესებულებისათვის. ამის ნაცვლად შემოდებულ იქნა ტერმინები: მუსიკალური კოლეჯი, ლიცეუმი, ინსტიტუტი, აკადემია და სხვა. მაგალითად XVII საუკუნეში, როდესაც ნაპოლეონის რამდენიმე კონსერვატორია გააერთიანეს ერთ მთლიან სამუსიკო სასწავლებლად, მას ეწოდა „ჩჯლტგიო რეალ დი მუსიკა“ („სამეფო სამუსიკო სასწავლებელი“), მაგამ შემდეგში, სახელდობრ, XIX საუკუნეში, ბევრ მათგანს კვლავ დაუბრუნდა პირვანდელი სახელწოდება – კონსერვატორია. მაგალითად, „პაღერმოს მუსიკალური კონსერვატორია“, „მილანის სამეფო მუსიკალური კონსერვატორია“ და სხვა. უნდა აღვნიშნოს, რომ ამიერიდან მათ უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის მნიშვნელობა ენიჭებოდათ. იატლიის სამუსიკო სასწავლებელში (კონსერვატორიებში, ლიცეუმებში, კოლეჯებში, ინსტიტუტებში, აკადემიებში), დღიდან მათი აღმოცენებისა, მთავარი ყურადღება ექცეოდა სოლო და საგუნდო სიმღერებს, ხოლო თეორიული საგნებიდან – კონტრაპუნქტს. განსაკუთრებული განვითარება ჰპოვა ვოკალურმა ხელოვნებამ, რომელმაც უმაღლესი

გამოსატულება ოპერაში, ანუ როგორც იტალიაში უწოდებენ, მელოდრამაში ჰპოვა. მთელი გასული საუკუნე იტალიური საოპერო ხელოვნების ოქროს ხანას წარმოადგენდა.

იტალიის შემდეგ სპეციალური სამუსიკო სასწავლებლები არსდება ევროპის სხვა ქვეყნებშიც. აქედან ყველაზე უძველესია „პარიზის მუსიკალური კონსერვატორია“, რომელიც კომპოზიტორ ქერუბინის ინიციატივით დაარსდა 1794 წელს. იგი აღმოცენდა „ფორტეპიანოს, სიმფონისა და დეკლამაციის ინსტიტუტის“ საფუძველზე. მანამდე საფრანგეთში მუსიკას ძირითადად ეკლესიებთან არსებულ სამუსიკო სკოლებში ასწავლიდნენ, რომელთა მოღვაწეობას 1789 წლის დიდმა რევოლუციამ მოუღო ბოლო.

არსებობის პირველი დღიდანვე პარიზის კონსერვატორია უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის პროფილს ატარებდა. იმ დროს, როდესაც იტალიის კონსერვატორიაში უმაღლეს საფეხურზე იყო აყვანილი მხოლოდ ვოკალური ხელოვნება, პარიზის კონსერვატორიაში ყველა დარგი იდგა მაღალ დონეზე. აქ გამეფებული იყო მკაცრი პროფესიონალიზმი – შესრულების ვირტუოზული სტილი. პარიზის კონსერვატორიაში პირველად შემოიღეს ორღანისა და არფის კლასები. გარდა ამისა, პროგრამის მიხედვით, ყოველი დარგის მოწაფე ვალდებული იყო სხვადასხვა ანსამბლში მიეღო მონაწილეობა.

პარიზის კონსერვატორიაში სპეციალური თეორიული საგნებიდან პრიორიტეტს აკუთვნებდნენ არა კონტრაპუნქტს, როგორც ეს იტალიის კონსერვატორიებში იყო, არამედ ჰარმონიას. ხოლო სავალდებულო საგნებიდან – სოლფეჯიოს, მუსიკის ისტორიასა და ესთეტიკას. ამ საგნების შესწავლა აუცილებელი იყო ყველა დარგის მოსწავლეთათვის.

შემდეგში პარიზის კონსერვატორიის პრინციპზე აიგო უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლები ევროპის სხვა ქვეყნებში, მათ შორის რუსეთშიც. ზოგიერთ მათგანს ჩვენ ქრონოლოგიური თანმიმდევრობით წარმოვიდგენთ.

1811 წელს უმაღლესი სამუსიკო სასწავლებელი არსდება ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში. საზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სამუსიკო განათლების დარგში ჩეხებს მდიდარი ისტორია აქვთ. პრაღაში ვიდრე სამუსიკო ინსტიტუტი დაარსდებოდა, სამუსიკო სკოლებით იყო მოფენილი მთელი ჩეხოსლოვაკია. მათ იმდენად ბევრი მუსიკოსი ჰყავდათ, რომ ისინი საზღვარგარეთაც მოღვაწეობდნენ. XIX საუკუნის შუა წლებში ისინი, რუსეთის გზით, საქართველოში შემოვიდნენ და გარკვეული წვლილი შეიტანეს ჩვენი ქვეყნის მუსიკალური კულტურის განვითარებაში.

1821 წელს პრაღასა და ვარშავაში სასწავლებლებს სამუსიკო ინსტიტუტი ეწოდათ. ამავე წელს კონსერვატორია გაიხსნა ვენაში, 1822 წელს – ლონდონში, 1830 წელს – მადრიდში, 1832 წელს – ბრუსელში, 1834 წელს – ბუდაპეშტში, 1843 წელს – ლაიპციგში. ეს უკანასკნელი დაარსდა მენდელსონისა და შუმანის უშუალო თაოსნობით და წარმოადგენდა ერთ-ერთ ავტორიტეტულ სამუსიკო სასწავლებელს არა მარტო გერმანიაში, არამედ მთელ დასავლეთ ევროპაში. უმაღლესი სამუსიკო განათლების მისაღებად აქ მსოფლიოს ყოველი კუთხიდან აუარებელი ნიჭიერი ახალგაზრდა იყრიდა თავს. მათ შორის ბევრი რუსეთიდან იყო, ასევე საქართველოდან. 1867-1869 წლებში ლაიპციგის კონსერვატორიაში სწავლობდა ჩვენი თანამემამულე, მუსიკათმცოდნე, პიანისტი და კომპოზიტორი ალექსანდრე რაზმაძე (1845-1896 წწ.), რომელიც შემდეგ თვალსაჩინო როლს ასრულებდა მოსკოვის მუსიკალურ ცხოვრებაში.

რუსეთის პირველი კონსერვატორია დაარსდა 1862 წელს პეტერბურგში არტურ რუბინშტეინის თაოსნობით. იგი აღმოცენდა სამუსიკო კლასების საფუძველზე, რომლებსაც უკვე არსებობის სამი წლის ისტორია ჰქონდათ. 1866 წელს კონსერვატორია იხნება მოსკოვში. მისი ინიციატორი იყო ანტონ რუბინშტეინის ძმა ნიკოლოზ რუბინშტეინი. ორივე სასწავლებელი აგებული იყო პარიზის კონსერვატორიის პრინციპზე და თავიდანვე უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის პროგრამით ხელმძღვანელობდა.

პეტერბურგის და მოსკოვის შემდეგ კონსერვატორიები იხნება რუსეთის ხვა ქალაქებშიც, თუმცა ეს ხდება გაცილებით გვიან, მაგალითად, 1912 წელს სარატოვში 1913 წელს – კიევსა და ოდესაში, 1916 წელს – ხარკოვში. დიდი ბრძოლა და ძალისხმევა დასჭირდა აღნიშნული ქალაქების „სამუსიკო განყოფილებებს“, რომ მათთან არსებულ სასწავლებლებს კონსერვატორიად გარდაქმნის უფლება მოეპოვებინათ. რა თქმა უნდა, როგორც პედაგოგიური შემადგენლობით, ისე მოსწავლეთა აკადემიური დონით ზემოთხაზოთვლილი კონსერვატორიები გაცილებით დაბლა იდგნენ პეტერბურგისა და მოსკოვის კონსერვატორიებზე.

ამერიკის კონტინენტზე პირველი მუსიკალური სკოლა-კონსერვატორია გაიხსნა 1847 წელს ბრაზილიის დედაქალაქ რიო-დე-ჟანეიროში, შეერთებულ შტატებში კი – 1853 წელს ქ. ბოსტონში. თავისი სასწავლო პროგრამით ორივე კონსერვატორია უმაღლესი სამუსიკო სასწავლებლის პროგრამას ემყარებოდა. შემდგომ წლებში ამერიკის ტერიტორიაზე მრავალი კერძო სამუსიკო სკოლა გაიხსნა, სხვადასხვა სასწავლო პროგრამით და პროფილით.

ევროპისა და აზიის ზოგიერთ ქვეყანაში, გარკვეული ისტორიული და პოლიტიკური მიზეზების გამო, ამუსიკო სასწავლებლების გახსნა საგრძნობლად იკვიანებს. ასე, მაგალითად, ბულგარეთში ქ. სოფიაში კონსერვატორია დაარსდა 1921 წელს, ჩინეთში – 1927 წელს, შანხაიში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ზოგერთი საზღვარგარეთული კონსერვატორია თავისი სასწავლო გეგმითა და პროგრამით, ჩვეულებრივ საშუალო სასწავლებლებს უახლოვდება. იყო პირიქითაც. არსებობდა ისეთი სამუსიკო სკოლები, სასწავლებლები, კოლეჯები და ლიცეუმები, სადაც სწავლა უმაღლესი სასწავლებლის (კონსერვატორიის) დონეზე იყო დაყენებული. საზღვარგარეთის სამუსიკო სასწავლებლისათვის ეს მდგომარეობა დღემდე დამახასიათებელია.

ვინც საქართველოს სამუსიკო განათლების ისტორიას არ იცნობს, შეიძლება ეგონოს, რომ თბილისის სამუსიკო სასწავლებლის კონსერვატორიად გარდაქმნა მექანიკურად მოხდა. სინამდვილეში მას ხანგრძლივი მოსამზადებელი პერიოდი უძღოდა წინ.

სასწავლებლის კონსერვატორიად გადაკეთების აზრი ჯერ კიდევ 1891 წელს დაიბადა თბილისის „განყოფილების“ დირექციას. სწორედ ამისათვის მიავლინეს პეტერბურგში მ. იპოლიტოვ-ივანოვი, რომელიც არაოფიციალური მოლაპარაკებას აწარმოებდა „რუსული სამუსიკო საზოგადოების“ მთავარი დირექციის გავლენიან წევრებთან. იპოლიტოვ-ივანოვმა მაშინ ვერ შეძლო დაეთანხმებინა „ველიკოდერჟავული“ შხამით მოწამლული პიროვნებები, რომლებიც ცინიკურად გაიძახოდნენ კავკასიაში კონსერვატორიის დაარსება ძალზე ნაადრევიყო.

1914 წლის 22 სექტემბერს თბილისის „განყოფილების“ დირექციამ ვრცელი შუამდგომლობა გაუგზავნა „მთავარ დირექციას“ სადაც დაჟინებით მოითხოვდა

თბილისში კონსერვატორიის გახსნას. მასში ნათქვამი იყო: „საკმაო დრომ განვლო მას შემდეგ, რაც „მთავარმა დირექციამ“ დასვა საკითხი, რათა პირველ რიგში თბილისსა და კიევის სამუსიკო სასწავლებლები გარდაქმნილიყო კონსერვატორიად. კიევში გაიხსნა, რაც შეეხება თბილისს, ეს საკითხი სამწუხაროდ დღემდე გადაჭრილი არ არის. ამის მთავარ მიზეზად თქვენ იმ გარემოებას ასახელებთ, რომ თბილისის სამუსიკო სასწავლებელში დღემდე არ ისწავლება ზოგად-საგანმანათლებლო საგნები, მაგრამ ეს დაბრკოლება დღეს შეიძლება მხედველობაში აღარ მივიღოთ“... ასევე შუამდგომლობაში აღნიშნული იყო პირობა: „თუ კონსერვატორიის ტიტულს მოიპოვებდა, დაუყოვნებლივ ჩატარდებოდა დამატებითი ღონისძიებანი სასწავლო პროგრამების გასაფართოებლად, მათში შეტანილი იქნებოდა კონსერვატორიის პროგრამით გათვალისწინებული საგნები: ხელოვნების ისტორია, ესთეტიკა, დეკლამაცია და მიმიკა“.

შუამდგომლობას დართული ჰქონდა მომავალი კონსერვატორიის ხარჯთაღრიცხვა, სადაც აღნიშნული იყო შემოსავალი 53900 მანეთი, ხოლო გასავალი 57240 მანეთის ოდენობით. ამგვარად, გასავალი 3340 მანეთით აღემატებოდა შემოსავალს.

„მთავარმა დირექციამ“ კბილი გამოსდო 3340 მანეთის ზარალს და მოითხოვა განმარტება. ასევე იმ აზრს გამოთქვამდა, რომ სპეციალური თეორიული საგნების სწავლება ერთ პიროვნებას არ შეეძლო, საჭირო იქნებოდა დამატებით პედაგოგის მოწვევა, რაც, თავის მხრივ, ახალ ხარჯებს გამოიწვევდა. მოკლედ, „მთავარი დირექცია“ არ ჩქარობდა კონსერვატორიის გახსნას.

ხანგრძლივი ბჭობის შემდეგ „მთავარი დირექცია“ იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო და თბილისის „განყოფილების“ შუამდგომლობა დაეკმაყოფილებინა. სპეციალურად გამოტანილ დადგენილებაში კი ეწერა: „გარდაიქმნეს 1917 წლის პირველი სექტემბრიდან თბილისის სამუსიკო სასწავლებელი კონსერვატორიად“. საინტერესოა რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდნენ დადგენილების ავტორები. აი, ისიც: „თბილისს, რომელიც მთელი კავკასიის ინტელექტუალურ ცენტრს წარმოადგენს, უფლება აქვს ჰქონდეს კონსერვატორია... სათანადო სიმაღლეზეა სამუსიკო განათლება... რომელსაც საკუთარი შენობა აქვს, ფინანსური თვალსაზრისით, როგორც ჩანს, საიმედო მდგომარეობაში იმყოფება“.

ამგვარად, დიდი დავისა და ბრძოლის შემდეგ თბილისის „განყოფილებამ“ შეძლო გაეტეხა „მთავარი დირექციის“ წინააღმდეგობა და კონსერვატორიის გახსნის საკითხი თავის სასარგებლოდ გადაწყვიტა. ეს იყო მისი ყველაზე მნიშვნელოვანი გამარჯვება, რომლის მოპოვებას 26 წელი დასჭირდა.

პირველი საგაზეთო ცნობები სამუსიკო კლასების არსებობაზე გვხვდებოდა 1892 წლიდან. გაზეთი „ნათყმი“ 1892, 6 II, აქვეყნებს ინფორმაციას: „დავამთავრე კონსერვატორია, ვასწავლი როიალზე და კორნეტზე (ლითონის ჩასაბერი საკრავია, ლ.კ) დაკრას, იკითხეთ ა. ვაიცეხოვსკის ბინაზე“, ასევე „ნათყმი“ 1906, 8 I აცხადებს: „ვენის კონსერვატორიის კურსდამთავრებული მ. კირბისი ატარებდს ფორეპიანოს გაკვეთილებს“.

თავისთავად ცხადია, რომ ყოველი პედაგოგი რეკლამისათვის გაზეთს არ იყენებდა. ზოგიერთი, ალბათ, პატარა განცხადებითაც კმაყოფილდებოდა, რომელსაც ბინაში შესასვლელ კარზე აკრავდნენ. შემდგომ წლებში რამდენადმე გაიზარდა კერძო სამუსიკო კლასების რიცხვი, მაგრამ ბათუმის პირობებში ეს საკმარისი არ იყო.

მკითხველს მინდა შევახსენო. რომ ამ პერიოდისათვის იმდღავრა რუსეთის იმპერიამ. „რუსდებოდა ქართველობა... იყო სკოლები, მაგრამ არ იყო სწავლება ქართულად. სამხედრო პირები რუსეთის სახელმწიფო ინტერსებს იცავდნენ. განათლებული ქართველობა დაითრგუნა“. მიუხედავად ამ რთული პოლიტიკური და სამხედრო სიტუაციისა, რომელიც სუფევდა მთელ საქართველოში და განსაკუთრებით, აჭარაში, კერძოდ, ბათუმში, აქაური საზოგადოება ფარულად თუ მალულად ცდილობდა გზების გამონახვას სამუსიკო სკოლის გახსნის თაობაზე. ამ საკითხის გადასაწყვეტად აქაურ ინტელიგენციას ყოველთვის გვერდში ედგა „ქართული სამუსიკო საზოგადოება“, რომელიც დღენიადაგ ზრუნავდა სამუსიკო სკოლის გახსნაზე.

ადგილობრივი მოწინავე საზოგადოების ინიციატვით ბათუმში არსდება „მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა წრე“. „წრეს“ ჰქონდა წესდება. იგი აერთიანებდა ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ცალკეულ პედაგოგებს, რომლებიც სხვადასხვა საკრავებზე სწავლების კურსებს ატარებდნენ. ასე, მაგალითად: „ფორტეპიანოზე დაკვრის კურსები“, „სასულე ორკესტრის კურსები“, „მუსიკალურ საორკესტრო ინსტრუმენტებზე დაკვრის კურსები“, „სახალხო მუსიკალური ინსტრუმენტების კურსები“, ასევე სამხედრო პირებსაც, რომლებიც გაერთიანებულნი იყვნენ ბათუმის სამხედრო გარნიზონის კლუბში და ფლობდნენ თუ სწავლობდნენ სხვადასხვა სასულე ინსტრუმენტებს (საკრავებს).

ბათუმის ევროპული მუსიკალური კულტურის განვითარებაში მნიშვნელოვანი როლი მიუძღვის იმდროინდელ მოქმედ კათოლიკურ ეკლესიას. აქვე მინდა მოვლენებს წინ გავესწრო და ერთი ეპიზოდი მოვიყვანო.

ელენე დანელია 1908 წელს დაიბადა ბათუმში. მამამ – ვლადიმერმა, შეძლებულმა მეწარმემ შეიღებს კარგი განათლება მისცა. ელენეს გამორჩეული მუსიკალური ნიჭი აღმოაჩნდა და თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის ტუდენტი გახდა.

1930 წელს, მოსკოვიდან თბილისში ჩამოსულმა სპეციალისტებმა, რამდენიმე ახალგაზრდა შეარჩიეს მოსკოვის კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ელენე დიდ თეატრში მუშაობდა. ის კარგად ფლობდა ფორტეპიანოს, აკომპანიმენტს უწევდა ცნობილ მომღერლებს. მას კარგი ხმა და ვოკალური მონაცემები ჰქონდა.

1921-26 წლებში ელენეს მამას ვლადიმერს ქონება ჩამოართვეს, ხოლო 1937-ში არაკეთილსაიმედო პირთა, ე.წ. შავ სიაში შეიტანეს. დაიწყო ოჯახის წევრების დევნა და შევიწროვება. ამ პერიოდში ელენეს ემიგრაციაში წასვლის სურვილი გაუჩნდა, პარიზში მცხოვრებ დედის ძმასთან – ლონგინოს ბესელიათან, რომელმაც არსებული წყობილების წინააღმდეგ გამოსვლების შემდეგ, 1924 წელს დაოვა საქართველო.

ელენემ ემიგრირება ვერ მოახერხა, შემდეგ მეუღლე ომში დაედუპა და 1942 წელს ის მოსკოვიდან ბათუმში დაბრუნდა. მეგობრების თანადგომით განაახლა საქმიანობა თავისი პროფესიით, დაიწყო მონაწილეობა საქართველოსა და სხვა რესპუბლიკების ქალაქებში გამართულ კონცერტებში ნადეჟდა ხარაძესთან, კოსტა ყარალაშვილთან და სხვა ცნობილ მუსიკოსებთან ერთად. ელენე წლების მანძილზე უკრავდა ორღანს ბათუმის ღვთისმშობლის ეკლესიაში. სიცოცხლის ბოლო წლები ელენემ გაატარა მოსკოვში. ის 1990 წელს, 82 წლის ასაკში გარდაიცვალა.



ბათუმში იდგა ორღანი, სადაც სრულდებოდა მესები,<sup>33</sup> რეკვიემი<sup>34</sup> პასიონი<sup>35</sup>.

მომღერლები იყვნენ ფილიმონ ქორიძე<sup>36</sup> და გივი ძნელაძე. მეორეში კი თვით მელიტონ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი და მომზადებული ბათუმელ ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი ასრულებდა. ამასთან დაკავშირებით გახეთი „ივერია“ (1889წ. №136) წერდა: „...ორივე კონცერტს ხალხი ბლომად დაესწრო ...პირველ კონცერტში ...რეპერტუარში სულ ევროპული ხმები იყო... სულ სხვა იყო მ. ბალანჩივაძის მეორე კონცერტი. ეს კონცერტი იმითაა თავდაპირველად საყურადღებო, რომ ბათუმში თავი მოიყარა თოთხმეტმა ქართველმა ყმაწვილმა, რომლებმაც ერთი თვის განმავლობაში მელიტონ ბალანჩივაძის ლოტბარობით, შეისწავლეს რატილის მიერ ნოტებზე გადატანილი ქართული ხმები... ნუთუ, სასურველი არ არის რომ წელიწადში ერთხელ მაინც გამართონ ქართული კონცერტი?!“

თეატრმცოდნე გ. ბუხნიკაშვილს მიაჩნია, რომ ბათუმში ქართველ მომღერალთა გუნდების ისტორია სწორედ აქედან იწყება და ამ საქმის დამწყებად მელიტონ ბალანჩივაძე უნდა ვაღიაროთ.

ფრიად საიტერესო წერილით მიმართავს ქართველი საზოგადო მოღვაწე გრიგოლ ვოლსკი იაკობ გოგებაშვილს (1898 წელი. 31 მარტი):<sup>37</sup> „ერთი ფრიად მძიმე სათხოვარი მაქვს და იმედია აასრულებთ. ნამალავად და ჩუმიად გემართებს მოქმედება აჭარაში“... ლაპარაკია იმაზე, რომ სკოლების მზრუნველი ლევიცკი ქობულეთსა და ხულოში მასწავლებლად აგზავნიდა აზერბაიჯანელებს, რომლებიც ხვდებოდნენ, რომ იქ არაფერი ესაქმებოდათ და თვითონვე გარბოდნენ. ლევიცკი შემდეგ კი გზავნიდა ქართველს, მაგრამ უკრძალავდა ქართულად სწავლებას.“

აი, ასეთ მძიმე პირობებში უხდებოდა მოწინავე ქართველ ინტელიგენციას, მე ვიტყვოდი, დიპლომატიური მისიით საქმიანი მჭიდრო კონტაქტების დამყარება რუსეთიდან ჩამოსულ სამხედრო პირებთან, რათა მათი ოჯახის შვილების

<sup>33</sup> მესა – პასიონი, რეკვიემი საგალობელი ციკლია, რომელიც სრულდება კათოლიკურ ეკლესიაში დღის წირვის დროს. ის არის ექვსნაწილიანი: 1.უფალო შევიწყალენ; 2. დიდება; 3. მრწამსი; 4. წმინდა არს; 5.კურთხეულს არს; 6.ღვთის კრავი;

აღორძინების ეპოქაში, XIV საუკუნეში მესას წერდნენ, პელესტრინა, ლიუფაი, ქოსკენდერსი; XVII-XIX საუკუნეებში – ბახი, მოცარტი, როსინი, ლისტი და სხვანი.

<sup>34</sup> რეკვიემი – ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სიმწიდეც. სამღვლოვიარო ხასიათის მრავალხმიანი ციკლური საგუნდო ნაწარმოებია, რომელიც ჩამოყალიბდა კათოლიკური ეკლესიის პოლიფონიურ მუსიკაში, როგორც სულის მოსახსენებელი მესა. გამოცენილი კომპოზიტორების რეკვიემმა XVIII-XIX საუკუნეებში საკონცერტო ესტრადაზე გადაინაცვლეს და მიიღეს საერო ჟანრის ხასიათი, რომელსაც მხოლოდ ტრადიციული მოსახსენებელი ხასიათის ტექსტი შემორჩა.

<sup>35</sup> პასიონში – გადმოცემულია ქრისტეს ცხოვრება, წამება-გარდაცვალება. ცნობილია „ბახის“, „იოანეს“, „მათეს“, „ლუკას“, „მარკოზის“ პანსიონები.

<sup>36</sup> ფილიმონ ქორიძე (1829-1911წწ.) – ცნობილი საოპერო მომღერალი (ბანი), 80-90-იანი წლებს გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე. იგი იყო პირველი ქართველი მომღერალი, რომელმაც ვოკალური განათლება მიიღო პეტერბურგში, იტალიელი მომღერლის ფელიჩე რონკონის ხელმძღვანელობით. პროფესიული დაოსტატების მიზნით ქორიძე იტალიას გაემგზავრა. იგი 1879-1881 წლებში წარმატებთ გამოდიოდა საოპერო თეატრებში „კორეჯოს“ ფსევდონიმით. 1881-1883 წლებში თბილისში საოპერო სცენაზე მღეროდა. პეტერბურგის საიმპერატორო საოპერო თეატრში მას ნამდრი აქვს ივანე სუსანიანის და გუდალის (ა. რუბინშტეინის „დემონი“) პარტიები. 1883 წლიდან ცხოვრობდა ქუთაისში, სადაც ჩაება ფოლკლორულ საქმიანობაში. ქორიძე რიგი რომანსების, სიმღერების და საგუნდო დამუშავების ავტორია.

<sup>37</sup> იოზეფ რატილი – ცნობილი ჩეხი მომღერალი და ლოტბარი.

1890 წელს იოზეფ რატილი კმაყოფილი აღნიშნავდა: ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხობს, რომელსაც შეუღალახავად შერჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო, გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც შეუღალახავად შერჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო, გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს შეუძლებელია.

ინსტრუმენტებზე, სწავლის ინტერესებიდან გამომდინარე, „მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა წრესთან“ დაარსებულიყო სამუსიკო სკოლა და დიდი ენთუზიაზმით შედგომოდნენ ბათუმში სამუსიკო სკოლის ჩამოყალიბების იდეის განხორციელებას.

სწორედ ამ „მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა წრის“ ბაზაზე, რომელიც აერთიანებდა ვოკალურ, ინსტრუმენტალურ, საბალეტო და სხვადასხვა კურსებს, დაარსდა სამუსიკო სკოლა.

ამ ფაქტზე მიუთითებს აგრეთვე საარქივო მასალები. კერძოდ, რუსეთის სამხედრო მინისტრის გენერალ ლეიტენანტ კუროპატნიკის მიერ 1899 წლის 21 აგვისტოს დამტკიცებული ბათუმის მუსიკალური წრის წესდება, რომლის საფუძველზედაც შემუშავებულ იქნა სამუსიკო სკოლის დებულება.

იმის გამო, რომ 1899 წლიდან მუსიკალურ წრესთან არსებულ სკოლაში საქმის წარმოებისა და აღრიცხვიანობის დოკუმენტაცია სათანადო დონეზე არ იყო, მასალები არ მოგვეპოვება, რომელიც ასახავდეს სკოლაში სწავლების მიმდინარეობას. სამუსიკო სკოლის თანდათანობითი განვითარების ამსახველი სურათი კი ჩანს. რაც ხელთა გვაქვს, ვფიქრობ, ინტერესმოკლებული არ იქნება მკითხველისთვის. მხედველობაში მაქვს სურათები, წერილების მიმოწერა პეტერბურგიდან, ვარშავიდან, მოსკოვიდან. მოვიყვანო ზოგიერთ მათგანს.

ღია ბარათები და სურათები რაც კი დღეისათვის გაგვანჩია, თავისი სიძველით XX საუკუნისაა და ამდენად ვფიქრობ უნიკალურიც:

ორი ღია ბარათი პეტერბურგიდან, სადაც მის აღმატებულებას პეტრე სერგის ძე ზიკოვს მადლობასა და კმაყოფილებას გამოუთქვამენ სკოლაში მიღებული ცოდნისათვის (დათარიღებულია 1910, მეორე 1914 წლით);

წერილი ძველი რუსული დამწერლობითაა, თანაც სიძველით გაფერმკრთალებულია, მოსწავლე ემა ბოდროვსკაია პეტერბურგიდან ანა პეტრეს ასულ ზიკოვას სწერს, რომ „მადლიერია და აგრძელებს კონსერვატორიაში სწავლას“ (წერილი დათარიღებულია 1914 წლით);

ღია წერილი – მის აღმატებულებას ანა პეტრეს ასულ ზიკოვას (1910 წლის 31 დეკემბერი) ულოცავს ახალ წელს და მადლიერებას გამოხატავს;

მის აღმატებულებას ნინუცა პეტრეს ასულ ზიკოვას. მოსწავლე ადა (გვარი არ არის მითითებული) ვარშავიდან მოგზაურობაზე კმაყოფილებას გამოთქვამს და პირდება პეტერბურგიდან წერილის გამოგზავნას (დათარიღებულია 1910 წლის 1 სექტემბრით);

საინტერესოა პედაგოგ რიმა ფედორეს ასულის სურათზე მინაწერი, რომლის გვარი სამწუხაროდ არ არის მინიშნებული: „Моей милой сладкой и хорошей Римме федоровне от ученицы которая ее очень любит и всегда будет с удовольствием вспоминать (წერილი დათარიღებულია 1911 წლის 17 იანვრით, ავტორის სურათი არის, ვინაობა გაურკვეველია);

სურათი: „Дорогой искренне любмой Римме федоровне от ученицы Веры Паульсон (1. XII. 1915)“;

მოსწავლე თხოვს დიდად პატივცემულ ნანა პეტრეს ასულს (გვარი გაურკვეველია), მეცადინეობას 5. VII 1914;

მოსკოვიდან, ზიკოვას ქრისტეს აღდგომას ულოცავს მოსწავლე ე. ბანდროვსკაია. 17.IV. 10;

წერილი რიმა ფედორეს ასულის სახელზე 5.10.1913. (წერილი გაფერმკრთალებულია, არ იკითხება);

რიმა ფედორეს ასულს და ელენე სტეფანეს ასულ ვალჩუკს. წერილს უგზავნის მიტია დობროლიუბოვი (11.09.1910);

სულ 20-მდე წერილია.

ზემოხსენებულ წერილებზე და სურათებზე დაყრდნობით, შეგვიძლია თამამად ვიმსჯელოთ, რომ მოყვანილი პედაგოგების გვარი სახელი და აღნიშნული წლები ემთხვევა ბათუმში მოქმედი ვოკალური სტუდიის პერიოდს, რომელიც გაერთიანებული იყო ბათუმის სამუსიკო სკოლასთან და მოქმედებდა სამუსიკო სკოლის დაარსების დაწყებითი ეტაპიდან.

ჩვენს მიერ მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით ქალაქ ბათუმის სამუსიკო სკოლა, რომელიც დამტკიცებული იყო რუსეთის სამხედრო მინისტრის გენერალ-ლეიტენანტ კუროპატკინის მიერ 1899 წლის 21 აგვისტოს, შემდგომში უკვე აერთიანებდა სხვადასხვა მუსიკალურ დაწესებულებებს, ე.ი მაშინდელი ტერმინით „მუსიკალურ წრეს“.<sup>38</sup>

## მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა

### წრესთან არსებული სამუსიკო სკოლა

#### სამუსიკო სასწავლებლის დაარსება და კონსერვატორია

ბათუმის რუსეთთან შეერთებამ ქალაქს იერსახე შეუცვალა. იგი გახდა საქართველოში ერთ-ერთი მოწინავე და ევროპულად მოწყობილი ქალაქი. შეიქმნა „საკრებულო“, სადაც იმართებოდა ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, დრამატული სპექტაკლები და კონცერტები.

1879 წელს დაარსდა „დრამატული წრე“. 1880 წელს შეიქმნა „მუსიკალური წრე“, რომელიც ფილარმონიული საზოგადოების როლს ასრულებდა. კამერულ კონცერტებს მართავდა ჯერ თავისი ძალებით, შემდეგ კი იმდენად მოძლიერდა, რომ პროფესიონალ შემსრულებლებს იწვევდა.

1890 წელს დაარსდა „კამერული მუსიკის მოყვარულთა წრე“, რომელიც სულ მოკლე დროში იმდენად გაფართოვდა, რომ მას ეწოდა „მუსიკალური ხელოვნების მოყვარულთა წრე“. წრე აერთიანებდა: ვოკალურ სტუდიას, სასულე ორკესტრს, სამსახიობო წრეს, კონსერვატორიას, სტუდია – კონსერვატორიას, მუსიკალურ

<sup>38</sup> „წრე“ – დღევანდელი ხედვით, თამამად შეიძლება ვიგულისხმოთ, აერთიანებდა სხვადასხვა მუსიკალურ სპეციალობებს, სხვადასხვა განყოფილებებს, ან ფაკულტეტებს, ან მუსიკალურ ორგანიზაციებს.

საორკესტრო ინსტრუმენტებზე დაკვრის კურსებს, სახალხო სამუსიკო სტუდიებს, სიმფონიურ ორკესტრს, საბალეტო კურსებს, ოპერას, რუსული დრამის მუსიკომედიას, საგუნდო საოპერო სტუდიას. სამუსიკო განათლების ჩასახვისა და განვითარების ისტორია ბათუმში ყოველთვის იყო ადგილობრივი მოწინავე ინტელიგენციის წარმომადგენლებისა და ცნობილი რუსი მუსიკოსების მრავალმხრივი ნაყოფიერი მოღვაწეობის შედეგი.

1899 წელს ქალაქში არსებულ მუსიკალურ წრესთან გაიხსნა სამუსიკო სკოლა. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ იგი დაარსდა რუსეთის სამხედრო მინისტრის, გენერალ-ლეიტენანტ კუროპატკინის მიერ დამტკიცებული ბრძანების საფუძველზე.<sup>39</sup>

შემუშავდა ბათუმის მუსიკალური წრის წესდება, რომლის საფუძველზედაც ჩამოყალიბდა სამუსიკო სკოლის დებულება. იგი შემდგენიარადაა წარმოდგენილი:

### საერთო დებულება

ბათუმის მუსიკალურ წრესთან არსებული სამუსიკო სკოლა მიზნად ისახავს მსურველებს მისცეს იმისი საშუალება, რათა მიიღოს მუსიკალური განათლება.

სკოლის სახსრები.

თანხა, გაღებული ბათუმის სამუსიკო წრის ბიუჯეტიდან;

ნებაყოფლობითი შემოწირულობანი;

სწავლის ქირის შესატანი

3. სკოლა ექვემდებარება ბათუმის სამუსიკო წრეს, მას განაგებს დირექტორი, რომელსაც ნიშნავს წრის საბჭო და რომელიც აუცილებლად უნდა იყოს რუსეთის კონსერვატორიადამთავრებული.

„რუსული საიმპერატორო სამუსიკო საზოგადოების“ დებულების თანახმად მასში დაქვემდებარებული ყველა სასწავლო დაწესებულება სამ კატეგორიად იყოფოდა: დაბალ ანუ სამუსიკო კლასებად, საშუალო ანუ სამუსიკო სასწავლებლად და უმაღლეს ანუ კონსერვატორიად. ასეთივე პრინციპით გაგრძელდა პროფესიული სამუსიკო განათლება საბჭოური წყობის დროს და ასევე გრძელდება დღესაც.

ბათუმის სამუსიკო სკოლაში, პირველი სასწავლო წელი დაიწყო 1899-1900 წწ. სკოლა განთავსებული იყო ყოფილი ოფიცერთა სახლის ხის შენობაში. აქ ფუნქციონირებდა დიდი სამსჯელო და საცეკვაო დარბაზი. აღნიშნული შენობა 1900 წელს გაჩენილი ხანძრის დროს მთლიანად დაიწვა. მისი ხელმეორედ აღდგენა მხოლოდ 1902 წელს მოხერხდა. ამასთან დაკავშირებით სკოლა დროებით ფუნქციონირებდა „რკინის თეატრში“, რომელიც ბელგიელ კომერსანტ ლ. მარშოს ეკუთვნოდა.<sup>40</sup>

ბათუმის სკოლაში პეტერბურგის და მოსკოვის კონსერვატორია დამთავრებული „თავისუფალი ხელოვანის“ დიპლომით მოვლინებული გახლდათ: პეტრე სერგის ძე

<sup>39</sup> 1878 წელს, ბერლინის ტრაქტატით, ბათუმი ოსმალეთს ჩამოერთვა და რუსეთის ტერიტორიას შეუერთდა.

<sup>40</sup> თ.კომახიძე. აჭარის კულტურის ისტორია. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი. 1999, გვ 179, 180.

ზიკოვი, ანა პეტრეს ასული ზიკოვა, ელენე სტეფანეს ასული ვალჩუკი, რიმა ფედორეს ასული ბონდარეფსკაია, მარია სვიშჩევსკაია, ფ. ფრანცოვი, პ. კორკე და სხვები, რომლებმაც საფუძველი დაუდეს მუსიკალურ განათლებას ბათუმში.

ქ. ბათუმის სამუსიკო სკოლაში თავდაპირველად ორი განყოფილება იყო – საფორტეპიანო და ვოკალური. მალე ამ განყოფილებებს შეემატა სხვადასხვა საორკესტრო საკრავებზე დაკვრის სწავლება: კორნეტზე, საყვირზე, ვალტორნაზე, ტრომბონზე, სხვადასხვა დასარტყმელ ინსტრუმენტებზე, ვიოლინოზე და ვიოლონჩელოზე.

სასწავლო პროგრამაში, გარდა სპეციალური ინსტრუმენტებისა შეიტანეს მუსიკალური თეორიული საგნების შესწავლა. ეს იყო მუსიკალური ანბანი, ელემენტარული თეორია, სოლფეჯიო, ჰარმონია, გუნდი, სიმღერები და ანსამბლები.

პირველ, დაწყებით, ეტაპზე ვოკალურ განყოფილებაზე მოსწავლეთა კონტინგენტი შედარებით დიდი იყო.

სამუსიკო სკოლაში საჯარო კონცერტები იმართებოდა „რუსეთის სამუსიკო საზოგადოების“ მიერ დამტკიცებული სასწავლო გეგმით – თვეში ორჯერ, ძირითადად კვირას, დილით. დაწყებით ეტაპზე მოსწავლეები მეცადინეობების მეთოდებს შეუჩვეველნი იყვნენ, ამიტომ პედაგოგების რეპერტუარის შერჩევას განსაკუთრებული სიფრთხილით ეკიდებოდნენ და შესასრულებლად ტექნიკურად მარტივ ნაწარმოებებს აძლევდნენ. შემდეგ წლებში ეს წესი თანდათან შეიცვალა და პროგრამული მომთხოვნელობა იმდენად გაიზარდა, რომ დაწინაურებული მოსწავლეები კონცერტებში მოწვეულ მსახიობებთან ერთად მონაწილეობდნენ.

ამ წლებისათვის აგრეთვე შესამჩნევი გახდა კრიტიკული აზროვნების გამოცოცხლებაც. გახეთქებში მოკლე ინფორმაციებისა და რეცენზიების გვერდით იბეჭდებოდა კრიტიკული წერილებიც. ჩვენს ხელთ არსებული მთელი ეს მასალა მუსიკალური აზროვნების განვითარების ერთგვარ სურათს იძლევა. ასე, მაგალითად, 1906 წლის 22 აპრილის გაზეთ „შავი ზღვის მაცნე“ აქვეყნებს ინფორმაციას:

„სამშაბათს საზოგადოების საკრებულოს დარბაზში დაიდგა პირველი აქტი ოპერა „ტრუბადურიდან“ და ოპერა „აიდადან“, სადაც დიდი ოვაციები დაიმსახურა ქალბატონმა მარია ალექსანდრეს ასულმა სვიშჩევსკაიამ“.

1907 წლის 7 იანვრის ამავე გაზეთის ნომერში ვკითხულობთ: „სამშაბათს საზოგადოების საკრებულოს დარბაზში, ქალბატონ მ.ა. სვიშჩევსკაიას მონღომებით დაიდგა საბავშვო ოპერა გრიგორიევის „მძინარე მზეთუნახავი“. დიდი შრომის შედეგად დაიდგა ბრწყინვალე ოპერა. ყველა შემსრულებლის მომზადებამ დატოვა დიდი შთაბეჭდილება, რაც შეეხება გუნდურ სიმღერებს, რომლებიც ოპერის ძირითად ნაწილს წარმოადგენდა, მათი შესრულების დონე ძალიან მაღალი იყო“.

1904 წელი მეტად მნიშვნელოვანი იყო ბათუმის თეატრალურ ცხოვრებაში. ქალაქის მანეჟის შენობაში, რომელიც გახლდათ ამჟამინდელი ლერმონტოვისა და ერას ქუჩების კვეთაში<sup>41</sup> ე. ტურკინის მიერ დაარსებულ იქნა სახალხო თეატრი. თეატრის დაარსებამ ცხადია დიდად გაახარა ბათუმელი სცენის მოყვარულები. სპექტაკლები მიმდინარეობდა ქართულ და სომხურ ენებზე. იდგმებოდა დრამა, ვოდევილი, კომედია თუ ტრაგედია.

<sup>41</sup> თ. კომახიძე. აჭარის კულტურის ისტორია. ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, 1999 გვ.

1905 წლის 14 იანვრის გაზეთი „ცნობის ფურცელი“ მკითხველს აუწყებდა, რომ „...ეურადღებითა და ინტერესით მოისმინეს პიესა“, რომ ყოველი თეატრალური წარმოდგენა მუსიკის თანხლებით სრულდებოდა.

„მუსიკალური წრე“ „სამსახიობო წრესთან“ დაყრდნობით მოისაზრებოდა, როგორც საოპერო დასის შექმნის წინამორბედად.

„სამსახიობო წრემ“, რომელიც 1905-1908 წლებში ფუნქციონირებდა, კულტურული ცხოვრების სფეროში დიდი მასშტაბური მუშაობა ჩაატარა. ამ წრის მუსიკალური ნაწილის ხელმძღვანელი მარია ალექსანდრეს ასული სვიშჩევსკაია, რომელსაც რუსეთის კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული და მოწვევით იყო ჩამოსული, დაევადა ბათუმში საოპერო დასის ჩამოყალიბება.

შემორჩენილია ამ სამსახიობო წრის ერთ-ერთი საკონცერტო აფიშა, რომელიც დათარიღებულია 1907 წლის 25 აპრილით.

პროგრამით, პირველ განყოფილებაში წარმოდგენილი იყო (აფიშის სტილი დაცულია):

„ეს შენა ხარ – კავატინა ოპერა“ „ბალ-მასკარადიდან“;

რომანსი „შემიყვარე მე“ – მუსიკა რახმანინოვისა;

ოპერა „აიდას“ – მესამე აქტი, მონაწილეობდნენ:

აიდა – მარია სვიშჩევსკაია

ამონასრო – პ. კორპუსი

რადამესი – პ. ფრანცოვი

ოპერა „მძინარე მზეთუნახავი“.

მეორე განყოფილებაში – სრულდებოდა სხვადასხვა ცეკვები.

მინდა წარმოგიდგინოთ ის გულანთებული მამულიშვილები, რომლებიც დღენიადაგ ზრუნავდნენ ეროვნული თვითშეგნებისა და მათი ღირსებების დასაცავად. ისინი იბრძოდნენ მოსახლეობაში ქართული წერა-კითხვის გავრცელებისა და სწავლა-განათლების მსაღებად.

გულმხურვალე მამულიშვილები იყვნენ: მემედ აბაშიძე, შერიფ ხიმშიაშვილი, გულო კაიკაციშვილი, რეჯებ ნიუარაძე, ჰაიდარ აბაშიძე, რომლებიც აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნებამდე და მის შემდეგაც აჭარის მოსახლეობის განათლებასა და კულტურის ამაღლებათვის იბრძოდნენ. მათი ძირითადი მიზანი იყო ქართული სკოლების გახსნა, სახელმძღვანელოების გამოცემა, ბიბლიოთეკების ორგანიზაცია და ა.შ.

ამ საზოგადოებამ, ი. ჭავჭავაძის მეთაურობით, 1881 წელს ბათუმში გახსნა პირველი ქართული სკოლა, რომლის პირველი მასწავლებელი იყო ალექსანდრე ნანეიშვილი. იმავე წელს სკოლაში მიიღეს 28 ბავშვი, რომელთაგან 12 აჭარის მკვიდრი იყო.

მნიშვნელოვანი გახლდათ ის გარემოებაც, რომ სიმღერა, როგორც სწავლების საგანი ისწავლებოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების I-VI კლასებში. ასე იყო საბჭოთა პერიოდშიც, ასეა დღესაც.

1889 წელს ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის დამტკიცებული გეგმის მიხედვით ბათუმში აშენდა „წმინდა მარიამის სახელობის ქალთა გიმნაზია“ და ვაჟთა კლასიკური გიმნაზია.

განსაკუთრებული მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ მემედ აბაშიძის როლი ქალაქის კულტურულ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში. იგი იყო საქართველოს მწვერალთა კავშირის აჭარის განყოფილების თავმჯდომარე, მასთან ერთად მუშაობდა თბილისის უნივერსიტეტში არაბული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოს შედგენაზე, ბევრს ცდილობდა ბათუმში ქართული თეატრის დაარსება-გადღიერებაზე. ამ მიზნით ახლო ურთიერთობაში ყოფილა დიდ ქართველ რეჟისორ სანდრო ახმეტელთან.

ჩვენი სასიქადულო მსახიობის მურად ხინიკაძის მოგონებაში ვკითხულობთ: „მემედ აბაშიძე დაუღალავად ზრუნავდა ადგილობრივი ახალგაზრდობის აღზრდა-განვითარებისათვის. როდესაც სანდრო ახმეტელმა ბათუმიდან რუსთაველის სახელობის თეატრში აღსაზრდელად ახალგაზრდების ჯგუფი წაიყვანა, მემედ აბაშიძე ხშირად ჩამოდიოდა თბილისში, თეატრში შეივლიდა, სანდრო ახმეტელს ეტყოდა: აბა, შენ იცი, საშკა, ჩემი შვილებია შენთან და კარგად მოუარეო... ერთხელ ახმეტელმა გამოიძახა, მასთან მემედ აბაშიძე იჯდა. თუ იცნობო? – მკითხა ახმეტელმა. – როგორ არა-მეთქი. იგი მამაშვილურად მომეფერა, დამარიგა თქვენ იცით, კარგად ისწავლეთ, სამშობლო გაახარეთ, იცოდეთ, სირცხვილი არ მაჭამოთო. ახმეტელს მოუბრუნდა და უთხრა: გვეყო გასტროლიორები, ახლა საკუთარი თეატრი დაგვიარსე, მაგრამ იცოდე, საშა, პირველად აჭარის ცხოვრებიდან უნდა დადგა პიესაო.

1907 წელს საერთო ძალებით უჩვენეს ილია ჭავჭავაძის „გლახა ჭრიაშვილი“, ა.ცაგარელის „ხანუმა“ და ნ. აზიანის კომედია „გაცრუებული იმედი“.

1909 წლის 14 იანვარს ნინოობის დღესასწაულზე ბათუმში მოწვევით ჩამოვიდა აკაკი წერეთელი. ასევე, მომდევნო წელს, ნინოობაზე დაიდგა სპექტაკლი „ხანუმა“, სადაც ვოკალური და ინსტრუმენტალური კლასების მონაწილეობით სრულდებოდა როგორც ხალხური, ისე ქართული ქალაქური და ევროპული სიმღერები.

1917 წელს დაარსდა სასულე ორკესტრი, რომელშიც ძირითადად ადგილობრივი მსახიობები იყვნენ დასაქმებულნი. ხელმძღვანელი გახლდათ ტ. ხავთასი. სასულე ორკესტრი საკრებულოსთან არსებული იყო და ქალაქის კულტურულ ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა.

1912 წლიდან სამუსიკო სკოლას შემოუერთდა სამხედრო გარნიზონის კლუბთან არსებული სასულე ორკესტრი, რომელსაც ხელმძღვანელობდა მოსკოვის ფილარმონიის საორკესტრო განყოფილების კურსდამთავრებული პეტრე ალექსანდრეს ძე ვარძიელი. მასში ორკესტრის მსახიობები ძირითადად სამხედრო პირები იყვნენ.

პეტრე ვარძიელი. ბევრ ჩემ თანამოღვაწეებს დღესაც კარგად ახსოვთ, როგორც არაჩვეულებრივი, თავაზიანი პიროვნება და დიდებული მუსიკოსი. ის ავის საქმეს კეთილსინდისიერად უძღვებოდა, გახლდათ ორკესტრის მსახიობების პედაგოგიც და ხელმძღვანელიც. სასულე ორკესტრის მსახიობებს მთელი სერიული პროგრამა, დიდი რეპერტუარი შეასწავლა და ქალაქში საჯარო წარმოდგენებით დაიწყო სვლა. იგი კარგი მცოდნე და ენერგიული ხელმძღვანელი იყო. მან ბათუმში ჩამოსვლისთანავე

კავშირი დაამყარა ადგილობრივ მუსიკალურ წრეებთან და მათთან ერთად მონაწილეობდა საზოგადოებრივ – კულტურულ ცხოვრებაში. ეს ის წლებია, როდესაც ქართველი ხალხი უდიდესი ენთუზიაზმით შეუდგა საკუთარი ეროვნული მუსიკის აღორძინებას.

პეტრე ვარძიელი სხვადასხვა სასულე ორკესტრებს ხელმძღვანელობდა. 1938 წლის 15 სექტემბრიდან იგი ბათუმის ზ.ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის სასულე ინსტრუმენტების პედაგოგად იწვევს მუშაობას.

1921 წლის თებერვალში მტერი თითქმის ყოველი მხრიდან შემოესია დემოკრატიულ საქართველოს რესპუბლიკას და საფრთხე შეუქმნა მის დამოუკიდებლობას. 1921 წლის 17 მარტს ბათუმის ნავსადგურიდან, იტალიური გემით ემიგრაციაში წავიდა საქართველოს მენშევიკური, ეროვნული მთავრობა და მისი ადგილი საბჭოთა ხელისუფლებამ დაიკავა. შეიქმნა რევოლუციური კომიტეტი. რეკომის საარქივო მასალებიდან ჩანს, რომ 1921 წლის 24 მარტს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებთან ერთად, როგორც იყო ხელისუფლების ორგანოების ჩამოყალიბება, საფინანსო, ჯანმრთელობის დაცვისა და სხვა საკითხებთან ერთად განიხილა ხელოვნების განყოფილების შექმნის საკითხი, რომელსაც უპირველეს ამოცანად დაუსახა ხელი შეეწყო კულტურის აღმავლობასა და მასების მუსიკალური განათლებისათვის. საოლქო კომისარიატთან არსებული ხელოვნების განყოფილებას განაგებდა მ. გელოვანი,

ამასთან დაკავშირებით, თავის წიგნში „ქართული თეატრი ახალი ეპოქის მიჯნაზე“ გ. ბუხრიკაშვილი წერდა: „... სხვადასხვა ეროვნების ხალხი იყო თავმოყრილი იმ დროს ბათუმში. იყვნენ სხვადასხვა ეროვნების მსახიობებიც, ამიტომაც გარდა ქართული თეატრისა, შექმნილი იყო რუსული დრამატული და საოპერო დასები. დაარსდა აგრეთვე, ნახევრად პროფესიული დასები: ბერძნული, სომხური, სპარსული“.

1921 წლიდან ბათუმში იხსნება:

კონსერვატორია,<sup>42</sup> რომელმაც 1925 წლამდე იარსება. ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი შიშკოვი. თავისი არსებობის პერიოდში, კონსერვატორიას სტუმრად ეწვია თბილისის კონსერვატორიის დირექტორი, კომპოზიტორი და დირიჟორი ნ. ჩერეპინი;

ვოკალური სტუდია-კონსერვატორია და საოპერო თეატრი, რომელიც ფუნქციონირებდა 1921 წლიდან 1928 წლამდე. სტუდია-კონსერვატორიას ხელმძღვანელობდა მისი ერთ-ერთი დამაარსებელი, ქართული ვოკალური სკოლის გამომჩენილი მოღვაწე ევგენი ვრონსკი, რომელსაც უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა რუსეთში, შემდეგ კი იტალიაში. მასთან ერთად მოღვაწეობდნენ ვლ. ლავროვი, ვლ. კორშონი, ე. კარენი, მ. ბაუერზაკი და სხვები;

მუსიკალურ საორკესტრო ინსტრუმენტებზე დაკვრის კურსები (გულისხმობდა როგორც ხმიან, ისე სასულე, დასარტყმელ და კლავიშებიან საკრავებს) არსებობდა ბათუმის სამხედრო გარნიზონის კლუბთან. 1921-1925 წლებში ამ კურსებს ხელმძღვანელობდნენ ვლ. ლავროვი. ენეიშტადტი, კაზარიანი, ცვეტაევა და სხვები.

<sup>42</sup> ტერმინი „კონსერვატორია“ ისე არ უნდა გავივოთ, როგორც დღეს გვესმის, მე-19 საუკუნის 60-70-იან წლებში, მანამდე და შემოდგომაშიც ზოგიერთი საზღვარგარეთელი კონსერვატორია თავისი სასწავლო პროგრამებით დღევანდელ ჩვენს სამუსიკო სკოლებსა და სასწავლებლებს უდრიდა.



საბალეტო კურსებს სათავეში ედგნენ და მოღვაწეობდნენ; ედგარ კარენი (მოწვეული იყო თბილისიდან 1920-1922 წლებში, როგორც ბათუმის თეატრის ბალეტმეისტერი და მსახიობი); ოლღა ზაბუკიძე (1922-1933 წლებში მოწვეული იყო ოდესიდან); მელიტა ბაუერზაკი (მოწვეული გახლდათ პეტერბურგიდან, პრიმა ბალერინა 1921 წლიდან 1937 წლამდე. იგი ადრე მოღვაწეობდა მსოფლიოს პრესტიჟულ ოპერისა და ბალეტის თეატრებში;

ოპერა თავად აერთიანებდა მუსიკოსების დიდ ჯგუფს: სოლისტებს, გუნდს, ორკესტრს, ბალეტის მსახიობებს. იგი აკადემიურ თეატრთან, „შმავესკის თეატრის“ შენობაში, დაარსდა 1922 წელს. ფუძემდებლები გახლდნენ ვლ. კორშონი და ევ. ვრონსკი. ოპერა ძირითადად დაკომპოზებული იყო სხვადასხვა ქალაქებიდან მოწვეული, რუსეთის უმაღლეს სასწავლებლებში მირებული განათლების მსახიობებით და საოპერო ცენტრად ითვლებოდა ამიერკავკასიაში. თეატრმა 1928 წლამდე იარსება.

1924 წელს აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატთან შეიქმნა „სახალხო სამუსიკო სტუდია“. სტუდია აერთიანებდა საფორტეპიანო და ვოკალურ განყოფილებებს. საფორტეპიანოს ხელმძღვანელობდა გამგე – ე. ნეიშტადტი; პედაგოგებად მოღვაწეობდნენ: ე. ნეიშტადტი, ... დეკერი, ელენე სელზნიოვა, ... კაზარიანი; ვოკალურ განყოფილებას ხელმძღვანელობდა გამგე – ვლ. ლავროვი, პედაგოგები გახლდნენ პ. ზიკოვი, ა. ზიკოვა, ვლ. ლავროვი...

სულ მალე სტუდიას შეემატა სხვადასხვა საორკესტრო ინსტრუმენტებზე სწავლება.

1925 წლის 31 იანვარს ბათუმში გაიმართა „სახალხო სამუსიკო სტუდიის“ მოსწავლეთა საჯარო გამოცდა-კონცერტი, სადაც ყველა განყოფიების მოსწავლეები დებულობდნენ მონაწილეობას, ხოლო მომდევნო სასწავლო წლის 1926 წ. 4 სექტემბერს კი, შედგა პეტრე ზიკოვის კლასის მოსწავლეთა საჩვენებელი საოპერო სპექტაკლი. შესრულდა ნაწევები და არიები ვერდის ოპერა „აიდადან“, ა. რუბინშტეინის „დემონიდან“ და ჩაიკოვსკის ოპერა „ვეგენი ონეგინიდან“. ეს სტუდია ყოველწლიურად მართავდა საჩვენებელ და გამოსაშვებ კონცერტებს.

ბათუმში „სახალხო სამუსიკო სტუდია“ მეორე იყო, რომელიც ამავე წლებში ფუნქციონირებდა და მასში პედაგოგები მოღვაწეობდნენ, მხოლოდ იგი ექვემდებარებოდა აჭარის ასსრ კომუნალური მეურნეობის განყოფილების მუშაკთა კავშირის გამგეობას.

„სახალხო სამუსიკო სტუდიას“, რომელიც აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატთან არსებობდა, დიდ ქველმქმედებას უწევდნენ მოწინავე ინტელიგენცია, თანამდებობის პირნი, მაღალი რანგის ოფიცრები, სხვადასხვა დაწესებულების მოხელეები, სკოლის დირექტორები, მსხვილი ვაჭრები და კომერსანტები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბათუმის სამუსიკო სკოლის არსებობის ისტორია დაიწყო 1899-1900 სასწავლო წლის სექტემბრიდან, როდესაც რუსეთის სამხედრო მინისტრმა, გენერალ-ლეიტენანტმა კუროპატკინმა ბათუმის სამუსიკო სკოლა დაამტკიცა და ამ სკოლაში მხოლოდ რუსეთიდან ჩამოსულ პედაგოგებს „თავისუფალი ხელოვანის დიპლომით“ დართო მუშაობის უფლება.

„სახალხო სამუსიკო სტუდიაში“, სადაც სწავლება მიმდინარეობდა რუსეთის პროგრამული მოთხოვნებით და ასწავლიდნენ რუსეთის კონსერვატორიადამთავრებული პედაგოგები „თავისუფალი ხელოვნების“ დიპლომით, სულ მოკლე დროში, შეძლო

ქალაქის მოსახლეობაში დიდი სახელის მოხვეჭა. განვითარდა სწავლება, თანმიმდევრული ეტაპობრივი გზით.

ჩვენს ხელთა არსებული მასალების საფუძველზე მიმაჩნია, რომ „სახალხო სამუსიკო სტუდიის” ბაზაზე დაარსდა სამუსიკო სასწავლებელი.

სხვათაშორის არ შეიძლება დიდი მადლიერებითა და პატივისცემით არ მოვიხსენიო ჩემი პედაგოგი ე. ნეიშტადტი, რომელმაც ლომის წილი ჩადო და გზამკვლეობა გამიწია ამ ნაშრომზე მუშაობის დროს. ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის არქივში მის მიერ, თავის დროზე პირადი საქმის სწორი შევსებით მიმანიშნა, რომ სწორედ ამ „სახალხო სამუსიკო სტუდიის” ბაზაზე შეიქმნა სამუსიკო სასწავლებელი.

აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის კოლეგიის გადაწყვეტილებით აჭარისტანის სახელმწიფო სამუსიკო ტექნიკუმი გაიხსნა 1928 წლის 21 აგვისტოს. 1928 წელს გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორების შალვა თაქთაქიშვილის და მედიტონი ბალანჩივაძის მიერ დაარსდა სამუსიკო სასწავლებელი. დირექტორად დაინიშნა შალვა თაქთაქიშვილი.

ამასთან დაკავშირებით გაზეთ „ფუხარას” 1928 წლის 6 ნოემბრის წერილში „სამუსიკო სასწავლებელი აჭარაში” ნათქვამია: „სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებლის გახსნით აჭარის განათლების სახალხო კომისარიატს განზრახული აქვს ხელი შეუწყოს აჭარაში სამუსიკო კულტურის განვითარებას, მოამზადოს სპეციალისტ მუსიკოსთა, მომღერალთა და თეორიტიკოსთა კადრი და გააფართოვოს მასების მუსიკალური შემოქმედება. ამ მიზნით სასწავლებელში ამთავითვე გაიხსნება შემდეგი განყოფილებები: საფორტეპიანო, ვოკალური, თეორიული და საგუნდო. ახლო მომავალში გაიხსნება ინსტრუმენტალური განყოფილება. როიალის კლასის ხელმძღვანელად მოწვეულია ლენინგრადის კონსერვატორიის ლაურეატი – თავისუფალი ხელოვანი ბ. ი. ბეზროდნაია, თეორიულ და საგუნდო კლასების ხელმძღვანელობს სასწავლებლის გამგე შალვა თაქთაქიშვილი, სიმღერის კლასის ხელმძღვანელად მოწვეული ცნობილი იტალიელი მომღერალი, მსახიობი, კარლ ბარერა. სასწავლებელი განთავსებულია ნინოშვილის ქ. 2-ში.

აჭარისტანში სამუსიკო სასწავლებლის გახსნისა და ორგანიზაციის შესახებ, სახელმწიფო სამეურნეო სასწავლებლის საადმინისტრაციო განყოფილების და საორკესტრო ბიუროს გამგე სულხანიშვილი თავის წერილში აცხადებდა: „მეცადინეობა იქნება დღისით და საღამოთი. საორგანზაციო მუშაობა თითქმის დასრულებულია და უკვე მიმდინარეობს განცხადებების მიღება, წლის ბოლოს დაგეგმილია რამდენიმე საჩვენებელი კონცერტის მოწყობა.

საკონცერტო საქმის მოსაგვარებლად და ამ დარგში ერთგვარი ატესტაციის შესატანად განათლების კომისარიატთან ბარდება საკონცერტო ბიურო, რომლის საშუალებითაც ბათუმში მოწვეულ იქნებიან ცნობილი მსახიობები, რომლებიც დაკავშირებული იქნებიან როროგრც თბილისის, აგრეთვე მოსკოვის „საბჭოთა ფილარმონიის” საკონცერტო ბიუროსთან.

გარდა ამისა აჭარისტანის სამუსიკო საზოგადოების ორგანიზაციას განზრახული აქვს, ხალხური შემოქმედების შეგროვება-შესწავლა, პოპულარიზაციის ორგანიზაცია და იაფფასიანი კონცერტების მოწყობა. ამ მიზნით ამხ. შ. თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით მოწყობილ იქნება მოგზაურობა აჭარისტანის სოფლებში, სადაც ჩაიწერება ხალხური სიმღერები, საცეკვაო მოტივები და სხვადასხვა მულოდები”.

აჭარაში მუსიკალური კულტურის აღმავლობისათვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო 1928 წლის ნოემბერში სასწავლებელთან 38 კაციანი სიმფონიური ორკესტრის დაარსება, სადაც დირიჟორებად მიიწვიეს სასწავლებლის დირექტორი შალვა თაქთაქიშვილი და ვლ. ლაეროვი. ასწავლებლის სიმფონიური ორკესტრის დაარსებიდან ერთი- თვის შემდეგ, 1928 წლის 24 დეკემბერს სახელმწიფო თეატრში გაიმართა სიმფონიური ორკესტრის პირველი კონცერტი, რომელსაც ვრცელი რეცენზია მიეძღვნა.

შალვა თაქთაქიშვილს, როგორც სამუსიკო სკოლისა და სამუსიკო სასწავლებლი დირექტორს, საჭიროდ მიაჩნდა სასწავლებლის მოწყობის სრულყოფის ირგვლივ რჩევა-დარიგებისათვის მიემართა ბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისათვის. იგი, როგორც კონსერვატორიაში აღზრდილი, კარგად იცნობდა მუსიკაში სისტემატური მეცადინეობის წესებს. მან სასწავლო წესდებით, რომელიც აგებული იყო პეტერბურგის კონსერვატორიის წესდების საფუძველზე, სამუსიკო სასწავლებელში სწავლების მთელი პროცესი ოთხ კურსად დაჰყო. სპეციალობასთან ერთად, ყოველ კურსზე, უნდა ყოფილიყო რომელიმე სავალდებულო საგანი, როგორც წმინდა მუსიკალური, ისე ზოგადი ანუ, როგორც მაშინ ეძახდნენ სამეცნიერო – გიმნაზიის პროგრამის ფარგლებში. სქემატურად იგი შემდეგში გამოისახებოდა.

I კურსი – სპეციალობა (ე.ი. ის დარგი რომელიც ჰქონდა ამორჩეული მოსწავლეს); სავალდებულო საგნებიდან – მუსიკის ელემენტარული თეორია, სოლფეჯიო და ფორტეპიანო;

II კურსი – სპეციალობა; სავალდებულო საგნები: მუსიკის ელემენტარული თეორია, სოლფეჯიო და ფორტეპიანო;

III კურსი – სპეციალობა, სავალდებულო საგნები: მკაცრი სტილი (კონტრაპუნქტი), გუნდი და ფორტეპიანო;

IV კურსი – სპეციალობა, სავალდებულო საგნები: მუსიკალური ფორმები, ინსტრუმენტირება, მუსიკის ისტორია, ანსამბლი, გუნდი, ორკესტრი და ფორტეპიანო.

მეოთხე კურსზე მოსწავლეს უხდებოდა მეტი სავალდებულო საგნის შესწავლა. ეს გამოწვეული იყო იმით, რომ გარკვეული მომზადებისა და პრაქტიკული ცოდნის დაგროვების შემდეგ, ადვილად შეეთვისებინება ისეთი საგნები, როგორიც იყო მუსიკის ისტორია და ინსტრუმენტურა.

წესდება ითვალისწინებდა მიზერულ სწავლის ქირას. ამავე დროს ღარიბ და ნიჭიერ მოწაფეებს სწავლის ქირისაგან ათავსუფლებდნენ.

ცხრილი №2

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული ცენტრალური სამუსიკო სკოლის 1899-2001 წლების გრადაციული<sup>43</sup> მონაცემები

	რუსეთის სამხედრო მინისტრის გენერალ-ლეიტენანტის კურო-	ს კ ო ლ ა განთავსებული იყო
--	--	-------------------------------

<sup>43</sup> გრადაცია – თანდართული ამდღეობა, სტილისტიკური ფიგურა. მხატვრული სიტყვის გამომსახველობითი საშუალებათა აზრობრივი თუ ემოციური გაძლიერება ან შესუსტება. არსებობს გრადაციის ორი სახეობა: აღმავალი და დაღმავალი.

1899 წ. 21.08	პატკინის ბრძანებით ბათუმში არსებულ „მუსიკალური ხე-ლოვნების მოყვარულთა წრის“ ბაზაზე დაარსდა სამუსიკო სკოლა.	ნინოშვილის ქ. №2 ყოფილი „ოფიცერთა სახლში“.
1928 წ. 21. 08	აჭარის ასსრ განათლების სახახო კომისარიატის კოლეგიის გადაწყვეტილებით სკოლის ბაზაზე დაარსდა სასწავლებელი, აქედან მოყოლებული სკოლა და სასწავლებელი ერთ ხელმძღვანელის დაქვემდებარებაში იყო.	1930 წლიდან ფუნქციონირებდა ვ. გორგასლის (ცხაკაიას) №4-
1933 წ. 03. 10.	აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილებით აჭარის მუსიკალურ ტექნიკუმს (იმ პერიოდისთვის სკოლა და სასწავლებელი ეწოდებოდა) კომპოზიტორ ზ. ფალიაშვილის სახელი მიენჭა.	აჭარის ასსრ ცსა, ფ. 5. ანაწ. 1, საქმე 262 ფურც. 11.
1956 წ. 20. 08	აჭარის ასსრ კულტურის სა-მინისტროს კოლეგიის გადაწყვეტილებით (მინისტრი რევაზ კომახიძე), სკოლა და-მოუკიდებელი ერეული გახდა.	1961 წლიდან განთავსდა ახალ შენობაში დ. თავდადებულის (შაუმიანის) ქ. №20-ში
1998 წ. 26. 03.	კონსერვატორიის რექტორის ნოდარ ფალავას ბრძანებით, სკოლა იწოდება ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ცენტრალურ სამუსიკო სკოლად.	

ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის

სახელმწიფო №1 სამუსიკო სკოლა

1928 წელს კომპოზიტორ მ. ბაღანჩივაძისა და შ. თაქთაქიშვილის უშუალო ძალისხმევით ბათუმში დაარსებული სამუსიკო სასწავლებელი, რომელიც სამუსიკო სკოლის ბაზარზე შეიქმნა, სულ მოკლე დროში სერიოზულ სამუსიკო-საგანმანათლებლო კერად გადაიქცა. აქედან დაიწყო მუსიკალური სასწავლო-განათლების აღმასვლა. აღორძინება და განვითარება. 1933 წლიდან ბათუმის სამუსიკო სკოლას და სასწავლებელს დიდი ქართველი კომპოზიტორის ზაქარია ფალიაშვილის სახელი მიენიჭა.

1929 წელს ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად მოიწვიეს კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე, რომელმაც იმოდგაწა 1930 წლის 20 მარტამდე და მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ახალგაზრდა დაწესებულების განმტკიცებას.

მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე ქართულ მუსიკალურ ხელოვნებაში მ. ბალანჩივაძის ადგილი და მნიშვნელობა მკაფიოდ განისაზღვრა დიმიტრი არაყიშვილმა, „მ. ბალანჩივაძეს წილად ხვდა იშვიათი ბედნიერება – საფუძველი ჩაეყარა ქართული მხატვრული მუსიკისათვის და შემდეგ 50 წლის მანძილზე სიამაყით ეღვენებინა თვალი, თუ როგორ იზრდებოდა და ვითარდებოდა ეს შენობა“.<sup>44</sup>

მელიტონ ბალანჩივაძე ისტორიული როლის განსაზღვრისას მხედველობაში აუცილებლადაა მისაღები არა მარტო შემოქმედებითი, არამედ ნაყოფიერი საზოგადოებრივი, საშემსრულებლო და შემკრებლობითი მოღვაწეობა. იგი იყო ქართული ხალხური მუსიკის დიდი მოამაგე, მისი შემკრები და ენერგიული პროპაგანდისტი. აქტიურ მონაწილეობას იღებდა საქართველოში მუსიკალური განლაგების საქმის ორგანიზებაში.

1882 წლისათვის მ. ბალანჩივაძემ ნოტებზე გადაიტანა 17 ხალხური სიმღერა, მათ შორის: „ფაცხა“, „ავთანდილ გადინადირა“, „შაშვი კაკაბი“, „ნეტავი გოგოვ მე და შენ“, „გოგონა“, „კუჩხა ბედინერა“, „შავლეგო“, „მიორს თინა მა“, „ორირაო“ და სხვა. სამწუხაროდ ამ სიმღერათა კრებული დაუბეჭდავი დარჩა.<sup>45</sup>

მელიტონ ანტონის ძე ბალანჩივაძე დაიბადა 1862 წლის 24 დეკემბერს სოფ. ბანოჯაში, წყალტუბოს რაიონში, მღვდლის ოჯახში: იგი იზრდებოდა ინტენსიურ საშინაო მუზიციურების – სიმღერის გარემოცვაში. ბავშვობიდანვე შეიყვარა და შეისისხლხორცა ქართული ხალხური სიმღერა. მახვილი სმენითა და ლამაზი ხმით დაჯილდოვებული, იგი ადვილად ითვისებდა და ასრულებდა ხალხურ სიმღერებს (ჯერ ოჯახში, შემდეგ კი ხალხურ გუნდებში). მას ხშირად ესმოდა ქალაქური სიმღერები და რომანსები გიტარის აკომპანიმენტით. საშუალო განათლება მიიღო მელიტონ ბალანჩივაძემ ქუთაისის სასულიერო სასწავლებელსა და კლასიკურ გიმნაზიაში. 1877 წ. იგი შეიყვანეს თბილისის სასულიერო სემინარიაში, სადაც ორი წელი დაჰყო. აქ ჩარიცხეს გუნდში, რომლის ხელმძღვანელობისაგან – სიონის ტაძრის ლოტბარ გ. აუშევისაგან მომავალი კომპოზიტორი იღებს მუსიკის პირველ გაკვეთილებს, სწავლობს მუსიკის თეორიას, ეუფლება საგუნდო გალობის საფუძვლებს. 1880 წელს ფ. ქორიძის ხელმძღვანელობით 18 წლის ბალანჩივაძე თბილისის საოპერო თეატრის გუნდში ჩაირიცხა, გამოდიოდა ეპიზოდურ როლებში და ვალენტინის პარტიაც კი შეასრულა გუნოს „ფაუსტში“.

1882-1889 წ. იწყება მ. ბალანჩივაძის მუსიკალურ-საზოგადოებრივი მოღვაწეობა, როგორც ქართული ხალხური სიმღერების პროპაგანდისტისა და შემკრებისა. „ამ პერიოდისათვის მ. ბალანჩივაძემ მოაწყო ორი მუსიკალურ-ფოლკლორული ექსპედიცია აჭარაში, რომელთა მასალებმა სამწუხაროდ ჩვენამდე ვერ მოაღწიეს“<sup>46</sup> იგი აყალიბებდა საგუნდო კოლექტივებს და კონცერტებს მართავდა საქართველოს სხვადასხვა ქალაქებში, რამაც დიდი გამოხმაურება პოვა და მოწინავე ქართველი საზოგადოების მოწონება დაიმსახურა.

<sup>44</sup> იხ. „грузинская музыкальная культураЭ мя 1957ю стрю 109

<sup>45</sup> პ. ხუჭუა, ზაქარია ფალიაშვილი, გამომც. „ხელოვნება“ თბილისი 1974. გვ. 45.

<sup>46</sup> მ. ბალანჩივაძე ბათუმში გაზეთი ბათუმი. №6, 10 თებერვალი, 2001 წ. ლ. ჩხარიშვილი.

მელიტონ ბალანჩივაძე პირველად ბათუმში 1889 წლის ივნისში ეწვია. მან აქ ორი კონცერტი გამართა. ერთში მონაწილეობდნენ მომღერლები: ფილიმონ ქორიძე და გივი ძნელაძე, მეორეში კი თვით მელიტონ ბალანჩივაძის მიერ შედგენილი და მომზადებული ახალგაზრდა მომღერალთა გუნდი.

გაზეთი „ივერია“ (1889 წ. №136) წერდა: „... ეს კონცერტი იმითაა თავდაპირველად საყურადღებო, რომ ბათუმში თავი მოიყარა თოთხმეტმა ქართველმა მუსიკის მოყვარულმა ყმაწვილმა, რომლებმაც ერთი თვის განმავლობაში, მელიტონ ბალანჩივაძის ლობჯინაობით, შეისწავლეს შატილის მიერ ნოტებზე გადატანილი ქართული ხმები...“

1889 წელს წერს რომანებს: „ოდესღაც გიცქერ“, „შენ გეტრფი მარად“, „ნანა შვილო“ რომლებმაც ავტორს ფართო აღიარება მოუტანეს.

1889 წელს მ. ბალანჩივაძე პეტერბურგში მიემგზავრება მუსიკალური განათლების მისაღებად. კონსერვატორიაში ჯერ შედის ვოკალურ განყოფილებაზე პროფ. ვ. სამუხის კლასში, ხოლო ერთი წლის შემდეგ კონსერვატორიის დირექტორის – ანტონ რუბინშტეინის რჩევით გადადის საკომპოზიტორო განყოფილებაზე, სადაც სწავლობს დიდი რუსი კომპოზიტორი ნ. რიმსკი-კორსაკოვის ხელმძღვანელობით.

პეტერბურგში ბალანჩივაძემ 28 წელი დაჰყო. ეს მისი ცხოვრების მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია, როდესაც იგი მრავალმხრივ მუსიკალურ-საზოგადოებრივ, საშემსრულებლო (როგორც ქართული ხალხური სიმღერის პროპაგანდისტი, საგუნდო კოლექტივების ხელმძღვანელი) და შემოქმედებით მოღვაწეობას ეწევა.

1896 წელს ბალანჩივაძე იწყებს მუშაობას პირველ ქართულ ოპერაზე – „თამარ ცბიერი“, რომლის სიუჟეტურ და დრამატულ საფუძველად მან ა. წერეთლის დრამატული პოემა შეარჩია. 1897 წლის 20 დეკემბერს პეტერბურგში საკონცერტო შესრულებით გაუღერდა ნაწყვეტები „თამარ ცბიერიდან“. ეს დღე ისტორიული თარიღია ქართული მუსიკის მატიანეში. ოპერა დასრულდა და სცენაზე განხორციელდა 1926 წლის 6 აპრილს თბილისში. ოპერის დასრულებასა და სცენურ განხორციელებას დიდად შეუწყვეს ხელი კომპოზიტორის ვაჟმა ანდრია ბალანჩივაძემ, ლიბრეტო ავტორმა კ. ფოცხვერაშვილმა, რეჟისორმა ა. წუწუნავამ.

1927 წელს მ. ბალანჩივაძემ დაწერა კანტატა „დიდება ზაქესს“ ამ ჟანრის I ნიმუში ქართულ მუსიკაში. იგი შეასრულა ზაქესის საზეიმო გახსნის დღეს ორკესტრმა და 400 კაციანმა გუნდმა.

1828 წელს დაიწერა – „ქართული ეროვნული მარში“.

1933 წელს მ. ბალანჩივაძეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიენიჭა, ხოლო 1937 წელს მოსკოვში ქართული ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე მისი ოპერის წარმატებით შესრულების შემდეგ, იგი დააჯილდოვეს შრომის წითელი დროშის ორდენით.

1895-1917 წლებში ბალანჩივაძე პეტერბურგსა და ცენტრალური რუსეთის, უკრაინისა და პოლონეთის ქალაქებში დიდ საკონცერტო საშემსრულებლო საქმიანობას ეწეოდა მის მიერ ჩამოყალიბებული საგუნდო კოლექტივით, კონცერტებით პროპაგანდას უწევდა ქართულ ხალხურ სიმღერას. ამ კონცერტმა ფართო დემოკრატიულ საზოგადოებაში ქართველი ხალხის მუსიკალური კულტურისადმი ინტერესი გამოიწვია რუსეთში ცხოვრების დროს ბალანჩივაძე არ ივიწყებდა თავის სამშობლოსაც.

პერიოდულად ჩამოდიოდა სამშობლოში, იწერდა ხალხურ სიმღერებს, მართავდა ქართული ხალხური სიმღერის სადამოებს. მ. ბალანჩივაძე ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც სპეციალური წერილი უძღვნა ქართულ ხალხურ სიმღერას. „რუსულ მუსიკალურ გაზეთში“ (1899 წ. №11) დაიბეჭდა წერილი სათაურით – „ქართული ხალხური საერო სიმღერის შესახებ“.

მეტად მნიშვნელოვანია მ. ბალანჩივაძის საზოგადოებრივი და საქველმოქმედო მოღვაწეობა რუსეთში (განსაკუთრებით 900-იან წლებში). საკმარისია ითქვას, რომ მისი შემწევობით გამოიცა გლინკას წერილობითი კრებული (სანქტ-პეტერბურგი 1908, 250-ზე მეტი წერილი), რომელიც მოამზადა მისმა მეგობარმა, ცნობილმა რუსმა მუსიკათმცოდნემ ნ. ფინდელიჩენმა. ბალანჩივაძის ეს ღვაწლი არაერთგზის აღინიშნა რუსულ პრესაში. დიდ დახმარებას უწევდა რუსეთში ქართველ ახალგაზრდობას. 1906 წ. იგი არჩეულ იქნა მუსიკალურ საკრავთა პირველი სრულიად რუსეთის გამოფენის ჟიურის წევრად, „მუსიკის მეგობართა პეტერბურგის საზოგადოების“ ხაზინადარად. ახლო ურთიერთობა ჰქონდა მელიტონს თვალსაჩინო რუს მუსიკოსებთან – კომპოზიტორებთან, შემსრულებლებთან, მუსიკათმცოდნეებთან.

1917 წ. მ. ბალანჩივაძე საქართველოში დაბრუნდა. ცხოვრობდა ქუთაისში. 1919 წელს დაარსდა სამუსიკო სასწავლებელი, რომელიც დღეს მის სახელს ატარებს. სასწავლებელი ბალანჩივაძისა და მისი მოადგილის – ნიჭიერი, ენერგიული მუსიკოსის დ. ქუთათელაძის მეშვეობით დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვან მუსიკალურ-აღმზრდელობით ცენტრად იქცა. 1921 წ. კომპოზიტორი დანიშნეს საქართველოს განსახკომის მუსიკალური განყოფილების უფროსად.

მას 1923 წელს ირჩევენ „ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთა საზოგადოების“ საპატიო წევრად – 1928 წელს – საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ.

1929-1931 წლებში თაქთაქიშვილთან ერთად ბათუმში გვევლინება როგორც სამუსიკო სასწავლებლის დამაარსებელი – ბათუმის სკოლისა და სასწავლებლის დირექტორად მიიწვიეს. ამ დროის განმავლობაში ბევრი რამ კარგი, საჭირო და აუცილებელი გააკეთა სასწავლებლის საკეთილდღეოდ, მისი შემდგომი წინსვლისა და წარმატებისათვის, მისმა დაუღალავმა შრომამ და ზრუნვამ დიდად შეუწყო ხელი სასწავლო-აღმზრდელობით მუშაობის განმტკიცებასა და სამომავლო სათანადო ტრადიციების შექმნას, ადგილობრივი პრესა ამ პერიოდისათვის აღნიშნავდა: „სასწავლებლის ცხოვრების შინაგანი ინტერესი და წინსვლა თანდათან ძლიერდება“.<sup>47</sup>

1931 წლიდან კვლავ ქუთაისის სასწავლებლის დირექტორად გადაიყვანეს, სადაც გარდაცვალებამდე 1937 წლის 21 ნოემბრამდე მოღვაწეობდა.

მელიტონ ბალანჩივაძეს ბათუმის სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის კოლექტივთან შემოქმედებითი მოღვაწეობა არ შეუწყვეტია ბათუმიდან წასვლის შემდეგაც. უფრო მეტიც, ცნობილ კომპოზიტორს უზომოდ უყვარდა ბათუმი. ამის დადასტურებაა მისი წერილი, გაგზავნილი ალექსი ფარცხალაძისადმი: „ჩემო ლექსო, შენ იცი, როგორ მიყვარს ბათუმი, წყნარი, მშვიდი და სათნო გარემო. ივნისის დასაწყისში მანდ უნდა ვიყო, ყველაფერი მოამზადე, მომიკითხე ყველა ბათუმელი და ბათუმში მოღვაწე ყველა ხელოვანი“.<sup>48</sup>

<sup>47</sup> ლ. ჩხარტიშვილი. „მ. ბალანჩივაძე ბათუმში“. გაზეთი „ბათუმი“ №6 (181) 10 თებერვალი 2001 წ.

<sup>48</sup> ლ. ჩხარტიშვილი. „მ. ბალანჩივაძე ბათუმში“. გაზეთი „ბათუმი“ №6 (181) 10 თებერვალი 2001 წ.

მადლიერი ბათუმის მუსიკალური საზოგადოება მარადჯამს უკვდავყოფს მის სახელს, განსაკუთრებული დამოკიდებულებისათვის, იმ დიდი წვლილისათვის, ჩვენს ქალაქში, რომ მუსიკალური ხელოვნების განვითარებას დასაბამი მისცა.

1930 წლის 23 მარტის საბჭოთა კავშირის უმაღლესი განათლების კომისიარის დ. სამარნინის №144 ბრძანებით ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის ხელმძღვანელ-დირექტორად დაინიშნა კომპოზიტორი ალექსი ფარცხალაძე.

სასწავლებელს განსაკუთრებით დიდი ამაგი დასდო საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა არტისტმა, კომპოზიტორმა და პედაგოგმა ალექსი ფარცხალაძემ. იგი 1930 წლიდან მთელი 30 წლის მანძილზე სათავეში ედგა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სამუსიკო სასწავლებელში სასწავლო ნაწილის გამგის შტატი მონიშნება მხოლოდ 1930 წლიდან, როდესაც სასწავლებლის დირექტორი, მედიტონ ბალანჩივაძე სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაზე თბილისიდან იწვევს ა. ფარცხალაძეს. ა. ფარცხალაძე ხელმძღვანელობს როგორც სკოლას ისე ტექნიკუმის სასწავლო პროცესს. შემდგომში მან მთელი მისი შეგნებული ცხოვრება ბათუმში გაატარა.

ალ. ფარცხალაძის უშუალო ძალისხმევით და მაშინდელი ხელისუფლების დახმარებით სასწავლებელში მოწვეულ იქნენ: ვოკალური კლასისთვის – ბუენოს-აირესის ფილარმონიის კურსდამთავრებული, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, პროფესორი კარლ ბარერა; ვიოლინოს კლასისათვის – მოსკოვის ფილარმონიის კურსდამთავრებული, თავისუფალი ხელოვანი დოცენტი ტატიანა სკვარცოვა; როიალის კლასებისათვის კიევის სამუსიკო აკადემიის კურსდამთავრებული პედაგოგი, პიანისტი და თავისუფალი ხელოვანი გრიგოლ ბუჩინსკი; პეტერბურგის სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებული პედაგოგ-პიანისტი ელენე სელეუზნიოვა; ოდესის სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებული, პედაგოგი, თავისუფალი ხელოვანი ა. გედე; პეტერბურგის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, პედაგოგი, პიანისტი ნინო გოვიტიძე; ფორტეპიანოს კლასების ხელმძღვანელად დაინიშნა გრიგოლ ბუჩინსკი; საკომპოზიციო კლასის ხელმძღვანელად – კომპოზიტორი მედიტონ ბალანჩივაძე; თეორიული კლასის დეკანად დაინიშნა სრულიად საქართველოს მუსიკოსთა ასოციაციის წევრი, კომპოზიტორი ალ. ფარცხალაძე; ვოკალური კლასის ხელმძღვანელად – პეტერბურგის კონსერვატორიის პროფესორი, სახელმწიფო პრემიის ლაურიატი ბ. ბეზროდნაია; ვიოლინოს კლასის პედაგოგად თბილისის კონსერვატორიის დოცენტი არჩილ კოკოჩაშვილი.

გაიხსნა საოპერო-საგუნდო კლასი, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა გამოცდილი ქორმაისტერი, დირიჟორი, აჭარის დამსახურებული არტისტი – ვლადიმერ კორშონი...<sup>49</sup> აქედან მოყოლებული ყოველი სასწავლო წლის შედეგების დოკუმენტაცია წარმოებდა. სასწავლებლის გარკვეული წარმატებები მოწმობდა სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგიური საბჭოს სხდომების ოქმებითა და ბრძანებით.

აჭარის იმდროინდელი პრესა იუწყებოდა სამუსიკო სკოლასა და სასწავლებელში მისაღები გამოცდების ჩაბარების წესებს – მნიშვნელოვანი გახლდათ მისაღები გამოცდების მოთხოვნები. პრესა იუწყებოდა, რომ ბათუმში სამუსიკო ტექნიკუმი

<sup>49</sup> აჭარის ავტონ. რესპ. ცენტრალური არქივი, ფონდი 186, ანაწერი 1, არქივი 11, ფურც. 9.



სტუდენტებს მიიღებს შემდეგ სპეციალობებზე: საორკესტრო, საფორტეპიანო, ვოკალური, საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებებზე.

საინტერესოა მისაღები გამოცდების ჩაბარების განცხადების ტექსტი: (სტილი დაცულია). „სამუსიკო სასწავლებლის პრობლემები, რომელშიც აღნიშნულია: 1) მუსიკალურ სასწავლებელში მიიღებიან საბჭოთა კავშირის მოქალაქეები 16-25 წლამდე. ვოკალურზე 18 წლისანი (ხმის დადგომის შემდეგ). თუ მოსწავლემ სკოლა დაამთავრა ფრიადებზე. ე.ი. მას ყველა ძირითად საგანში ფრიადზე ნაკლები ნიშანი არა აქვს, იგი გათავისუფლდება საზოგადო საგნებში გამოცდებიდან, ხოლო სპეციალურ სამუსიკო თეორიული საგნების გამოცდებიდან არავინ არ გათავისუფლდება, ან ამ ტიპის სასწავლებელი უნდა ჰქონდეს დამთავრებული; 20 შემსვლელი, რომლებიც საგამოცდო სესიას არ დაესწრებიან, მუსიკალურ, სასწავლებელში მიღებული არ იქნებიან და მათ განმეორებითი გამოცდები არ დაენიშნებათ.

3. შემსვლელი გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: ა) სპეციალობაში; ბ) მშობლიურ და რუსულ ენაში (წერით და ზეპირად); გ) არითმეტიკაში; დ) ალგებრაში; ე) გეომეტრიაში; ვ) საბჭოთა კავშირის კონსტიტუციაში; ზ) გეოგრაფიაში.<sup>50</sup>

ასევე მკითხველთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება, 1930-1931 სასწავლო წლის 1 ნოემბრის მაუწყებელი პირველი ზარი. ეს დღე ნამდვილი ზეიმი იყო. აღ. ფარცხალაძე თავის სიტყვაში აღნიშნავდა „... აჭარისტანის სახელმწიფო სამუსიკო ტექნიკუმი იწყებს სრულიად ახალ საფუძველზე მუშაობას. დღემდე ნაკლებად დაფასებული და თითქმის დავიწყებული სამუსიკო განათლება დღეს ღირსეულ ყურადღებას იპყრობს. ტექნიკუმის წინაშე გარკვეულად დგას მისი დღევანდელი მნიშვნელობა, ღირსება, ხარისხი და ფორმა. სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ მტკიცედ უნდა შეიგნოს, რომ ის ემზადება მუსიკის დარგში სამუშაოდ, რომ ის იღებს გარკვეულ ვალდებულებას და სპეციალობას. ჩვენ, შესანიშნავი კადრები გვეყოლება, ამის თავდება ის ლტოლვა, რომელსაც ადგილი აქვს დღეს. ჩვენ გავხსენით ხუთი მეტად საინტერესო განყოფილება. 2-3 წლის განმავლობაში ჩვენ საკმაოდ გვეყოლება საკუთარი, ადგილობრივი კადრები ორკესტრისათვის, ანსამბლების პროფესიონალი შემსრულებლები, ჩვენ გავზრდით ვოკალურად დახვეწილ მომღერლებს, გვეყოლება მაღალი დონის საოპერო მომღერლები, ამით კი საფუძველი ჩაეყრება ადგილობრივ ოპერას აჭარაში, თქვენ ამავე დროს მიიღებთ საკომპოზიტორო ჩვევებს, ისწავლით დირიჟორობას, ჩანაწერსა და მეცნიერულ დასაბუთებას. ეს მეტად მნიშვნელოვანი დარგია და მითუმეტეს დღეს“.<sup>51</sup>

ამ წელს სამუსიკო სასწავლებელში ჩარიცხული კონტიგენტთა ეროვნული შემადგენლობა ასე გამოიყრებოდა: ქართველები 53-75 პროცენტი, რუსები 18.75 პროცენტი, სომხები 18.75 პროცენტი, ებრაელები 6.66 პროცენტი, უკრაინელები 2.23 პროცენტი, იტალიელები 2.33 პროცენტი.

1930 წლის 21 ივლისს, აჭარისტანის ხელოვნების კომიტეტის საბჭოს სხდომაზე სამუსიკო სასწავლებლის დირექტორი აღ. ფარცხალაძე თავის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნავდა, რომ „...სასწავლებელში ამ სასწავლო წელს სისტემატურად ეწყობოდა კონცერტები, ჩამოყალიბდა მხატვრული ერთეულები: საოპერო და ხალხური გუნდები,

<sup>50</sup> აჭარის ცსა, ფონდი 186, ჩანაწერი 1, გვ. 35, ფურცელი 3.

<sup>51</sup> აჭარის ცსა, ფონდი 186, ჩანაწერი 1, გვ. 11, ფურცელი 3-6

კამერული ორკესტრი... მიღწეული წარმატებები, მაღალი პროფესიული სპეციალისტების მოღვაწეობით აღინიშნებოდა”.<sup>52</sup>

ბათუმის სამუსიკო სკოლა და სასწავლებელი დაარსების დღიდან, 1955-1956 სასწავლო წლებში, გაერთიანებული იყო და ერთი დირექცია ხელმძღვანელობდა.

1956 წელს აჭარის ასსრ კულტურის მინისტრის გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწის რევაზ კომახიძის თანხმობით, ეს სკოლა დამოუკიდებელი ერთეული გახდა. იგი იწოდებოდა როგორც ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო №1 სამუსიკო სკოლა,<sup>53</sup> დირექტორად დაინიშნა თამარ გათენაძე. იგი ხანგრძლივი დროის მანძილზე უნარიანად უძღვებოდა სასწავლო-აღმზრდელობით საქმეს.

ზაქარია ფალიაშვილის ბათუმის

№1 სახელმწიფო სამუსიკო სკოლა

თამარ გათენაძე

ქალბატონი თამარი ცნობილი იყო როგორც შეანიშნავი დირექტორი, მომთხოვნი და პრინციპული ხელმძღვანელი, ჩინებული ორგანიზატორი, პროფესიონალი მუსიკოს-პედაგოგი.

დაიბადა 1920 წლის 7 თებერვალს, ბათუმში.

დედა – ფატი ბერიძე დიასახლისი გახლდათ. იგი მშვენივრად ფლობდა და უკრავდა ხალხურ ინსტრუმენტებზე, ასევე სასიამოვნოდ მღეროდა. სწორედ დედამ შთაუწერა თამარს მუსიკისადმი უსაზღვრო სიყვარული.

მამა – მემედ გათენაძე ცნობილი და აღიარებული პიროვნება გახლდათ. მას განათლება სტამბულში ჰქონდა მიღებული. მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე თბილისსა და გორში. სიცოცხლის ბოლო დროს აჭარის სოც.უზრუნველყოფის კომისარი იყო. სამწუხაროდ ის ვერ ასცდა 1937 წლის რეპრესიების სუსხს, გადასახლებაში გარდაიცვალა. 1957 წელს რეაბილიტირებული იქნა.

ქალბატონი თამარი 1928-1938 წლებში სწავლობდა და დაამთავრა ბათუმის №2 ქალთა პედაგოგიური სასწავლებელი. ამავე წელს მოეწყო ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, პარალელურად, 1931 წლიდან, სწავლობდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში, ფორტეპიანოს სპეციალობით, რომლის სრული კურსი 1942 წელს დაამთავრა. ქალბატონი თამარის პედაგოგიური მოღვაწეობა 1943 წლიდან დაიწყო ქედის რაიონის სოფელი სირაბიძეების ღვაწლიანი სკოლის რუსული ენის

<sup>52</sup> აჭარის ცსა. ფონდი 186, ჩანაწერი 1, გვ. 11, ფურცელი 3-6

<sup>53</sup> ცხრილი №2 სამუსიკო სკოლის გრადაციული მონაცემები.

მასწავლებლობიდან. შემდგომ ქედის რაიონის სოფელ ვაიოს რვაწლიან სკოლაში სასწავლო ნაწილის გამგედ მუშაობდა.

1946 წლის ოქტომბრიდან გადმოდის ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელთან არსებულ სამუსიკო სკოლაში, პედაგოგად.

1949-1954 წლებში აწინაურებენ მუსიკალური სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ, შემდეგ ისევ პედაგოგად მუშაობს.

1956 წლიდან, როდესაც მუსიკალური სკოლა დამოუკიდებელ ერთეულად გამოეყო სამუსიკო სასწავლებელს და იწოდებოდა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 სახელმწიფო სამუსიკო სკოლად, დირექტორად დაინიშნა, სადაც 1982 წლამდე, სიცოცხლის ბოლომდე მოღვაწეობდა. იგი მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობით ატარებდა მომავალ თაობათა აღმზრდელის უაღრესად საპატიო ტვირთს, მასთან ერთად ღირსეულად ასრულებდა ხელმძღვანელის კეთილშობილურ მოღვაწეობას.

ქალბატონი თამარი შესანიშნავი პედაგოგიური მოღვაწე იყო. მისი კლასის მოსწავლეები გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიურობით და საკონცერტო გამოსვლებით. ის იყო არაჩვეულებრივად კეთილშობილი, ზომიერი, თავდაჭერილი, მუსიკაზე უსაზღვროდ შეყვარებული. მასში უპირველესად ჩქეფდა ინტერესი არა პირადი სიამოვნებისადმი, პატივისა და სიმდიდრისადმი, არამედ ხალხისადმი სიყვარული, მათდამი თავდავიწყებითი მსახურება. მისი ამადლებული გრძნობით ნათლად გამოხატავდა ეროვნულ კოლორიტს და მზადყოფნას სამშობლოს საკეთილდღეოდ. მასთან, განგებამ იგი დააჯილდოვა ადამიანებთან ურთიერთობის ნიჭით.

ქალბატონ თამარს 1961 წელს აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული პედაგოგის წოდება, ხოლო 1967 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით საქართველოს დამსახურებული პედაგოგის წოდება.

ქალბატონ თამარს მეგობრების დიდი წრე ჰყავდა. ახლო ურთიერთობა აკავშირებდა თამარ ბოცვაძესთან, თამარ ჩანტლაძესთან, ფლორა ჯორბენაძესთან. ეს შესანიშნავ პედაგოგების ოთხეული, ყოველთვის ერთად წარმოგიდგებოდა. ასევე ახლო მეგობრობა და თანამშრომლობა აკავშირებდა საქართველოს კულტურის სამინისტროს მეთოდკაბინეტის დირექტორთან ქალბატონ ეთერი კილაძესთან. ქალბატონ ეთერ კილაძესთან ურთიერთობამ დიდად შეუწყო ხელი მუსიკალურ სკოლაში ფართო მეთოდური ხასიათის კონფერენციების, სემინარების, ლექცია-კონცერტები, ღია გაკვეთილების ჩატარებას.

აჭარის მუსიკალური სკოების პედაგოგისთვის მისი ინიციატივითა და ხელმძღვანელობით ჩატარდა არაერთი კვალიფიკაციის ასამაღლებელი სემინარები. სწორედ ამაში იყო მისი დამსახურება და პოპულარობა.

იგი ძალიან კოლეგიალური, თბილი, ყურადღებიანი, მზრუნველი და მოსიყვარულე იყო. მის მეგობრულ თუ დიდსულოვნებაზე მეტყველებს მინაწერი სურათზე, რომელიც ჩვენი დროის დამსახურებულ პედაგოგს მ. შურს საჩუქრად გაუგზავნა 1952 წელს სვერდლოვსკში. „Дорогая Мика посмотриш на этот снимок и вспомниш о нас – Тамара Гатенадзе“

არ შემიძლია არ გავიხსენო, 1969 წელს დეკემბერში ქალბატონ თამართან ერთად გამგზავრება უნგრეთის რესპუბლიკაში, კერძოდ ბუდაპეშტში, საბავშვო მუსიკის

კვირეულზე, სადაც მივლინებული ვიყავით საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ. ამბობენ მგზავრობაში შეიცნობო ადამიანს, იგი ძალიან გულისხმიერი, კეთილი დამოკიდებულებით გამოირჩეოდა, მით თხრობის მანერა კი – შეუდარებელი.

ბუდაბეშტში გატარებული დღეები ხალისიანი და შთამბეჭდავი იყო.

ქალბატონი თამარი ამაყობდა თავისი დედმამიშვილებით, ახლობლებით. განსაკუთრებით ესახელებოდა და დიდად აფასებდა მისი ძმის მერაბ გათენაძის მეუღლე, საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეს, აჭარის განათლების მინისტრს, ჩვენი რესპუბლიკის საპატიო ქალბატონის ნანი გუგუნავას.

ტრადიციები გრძელდება.

თამარის ძმისშვილი ინგა გათენაძე საერთაშორისო ასოციაციის „ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, აჭარის კულტურის ფონდის პრეზიდენტის, ქალბატონ მაგული გოგიტიძე-აბაშიძის მოადგილეა.

ქალბატონ ინგას ვუსურვებ დიდ სამოღვაწეო ასპარეზს.

#### თამარ ბოცვაძე

განსაკუთრებული პასუხისმგებლობით აღვიქვამ ჩემთვის ძვირფასი პედაგოგის გახსენებას.

ქალბატონი თამარი გახლდათ ჩემი დედმამიშვილების, კომახიძეების, უფროსი დის – მედეას (ჟუკა), ჩემი ძმის – ოთარის (ნური) და ჩემი მასწავლებელი. ჩემი მშობლები განსაკუთრებულ სითბოსა და მაღლიერებას გამოხატავდნენ მის მიმართ. მოწიწებითა და რიდით მოიხსენიებდნენ მას. მათი ასეთი დამოკიდებულება შინაგან სურვილს გვიღვიძებდა ღირსეულ პატივისცემით დაგვეფასებინა მისი ამაგი.

ქალბატონი თამარი არაჩვეულებრივად მიმზიდველი, მომხილველი, თავისი საქმის მცოდნე და ერთგული იყო. მომთხოვნელობითა და პუნქტუალურობით სამართლიანობის პრინციპებს ეყრდნობოდა. როგორც საკუთარი თავიდან ასევე სხვებისგანაც ითხოვდა შრომის სიყვარულსა და საქმისადმი თავდადებას. პედაგოგიურ საქმიანობას მშვენივრად უხამებდა საკონცერტმეისტერო მოღვაწეობას. სამუსიკო სკოლაში სწავლის დროს კარგად მახსოვს თ. ბოცვაძის საკონცერტო გამოსვლები. იგი ვოკალური განყოფილების კონცერტმეისტერი გახლდათ პედაგოგ არჩილ ბუთხუზთან.

მახსოვს, მაშინ მეშვიდე კლასში ვსწავლობდი. სამუსიკო სკოლას ეწვია გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი. ქალბატონი თამარი სტუმრისადმი მიძღვნილ „ლექცია-კონცერტში“ თანხლებას უწევდა ვოკალური განყოფილების სტუდენტებს. ვოკალისტებიდან მონაწილეობდნენ: მარია ჭოხონელიძე, მისმენდი დიასამიძე (ყელ-ყურ-ცხვირის ექიმი, თბილისში ცხოვრობდა), ჯემალ დიასამიძე (ცნობილი ინჟინერი, ბათუმში მოღვაწეობდა), ჭოლა სირაძე, ირაკლი ბერიძე და სხვები. „ლექცია-კონცერტი“ თემატური შინაარსით მიჰყავდა ქალბატონ თამარს. იმ დღეს იგი ფორმითა და შინაარსითაც იმდენად მშვენიერი და მოხდენილი გახლდათ, რომ დიმიტრი არაყიშვილმა აღტაცებით მიმართა ყელაფერთან ერად სილამაზის ეშხიც

შემატეთ ჩვენ სადამოსო. დ. არაყიშვილმა ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“ შესრულდა „თამარ დედოფლის კავატინა“, „შოას არია“, ასევე რომანსები: „ვარსკვლავიანსა ღამეს“, „მე შენ გელი“, „ივერიის მთებზე“, „ვარდ ყვავილთა სამეფოს მოდი“, „შემოდამება“, „ღამეა ბნელი“, „ურმულზე“. აგრეთვე პროგრამაში იყო დასავლეთ ევროპისა და რუსი კომპოზიტორების ვოკალური ქანრის ნაწარმოები.

ვიხსენებთ კონცერტის მსვლელობას და მეხსიერებიდან არ ამოდის ორი ბუმბერაზი პიროვნების დ. ყარყარაშვილისა და ა. ფარცხალაძის განსაკუთრებული, თბილი. კეთილმოსურნე დამოკიდებულება, მომღიმარი სხივით რომ ავსებდნენ გარემოს და ყველა შემსრულებელს მაღლიერი სიტყვებით ამკობდნენ.

თამარ ბოცვაძე, ფორტეპიანოს დაწყებითი სპეციალობის მასწავლებელი, გვინერგავდა მეცადინეობისა და სწავლების, მასთან ერთად დაუღალავი შრომის ჩვევებს: როგორ უნდა გვესწავლა, როგორ გადაგველახა ესა თუ ის სიძნელე. პირველივე გაკვეთილებიდან მუსიკის სიყვარულს გვინერგავდა, გვაჩვენებდა ბგერის, მელოდიური ხაზის, უფრო მეტიც, მუსიკალური შთაბეჭდილების, ემოციუობის რეაგირების გამოხატულებას.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ჰენრის ნეიგაუზის, გამოჩენილი საბჭოთა პიანისტისა და უდიდესი პედაგოგის სიტყვები: „და ასე, ამგვარად მუშაობა მხატვრულ სახეებზე უნდა დაიწყოს ერთდროულად, პირველი დაწყებით სწავლებასთან ერთად, ნოტებს შეთვისებასთან ერთად. ამით მე მინდა ვთქვა, ამბობს ჰ. ნეიგაუზი, პირველი შესრულება უნდა იყოს გამომსახველობითი, ე.ი. მხატვრული მუსიკალური სახეები უნდა ასახავდნენ მოცემული ნაწარმოების შინაარსს“.

ქალბატონი თამარი ერთ-ერთ პირველ ამოცანად მიიჩნევდა მოსწავლეში ცოცხალი, ბუნებრივი მუსიკის შეგრძნებას, რომელიც მის პატარა ფანტაზიებში თუ მოტივებში იქნება მოთავსებული. მუსიკალური ფრაზის ქვეყნადობის დროს არცერთი ბგერა არ უნდა რჩებოდეს უყურადღებოდ და არ უნდა იქმნებოდეს, მისი პირველადი საწყისის შექმნის, მუსიკალური სმენითი კონტროლის გარეშე.

დაწყებითი სწავლების პირველ ეტაპზე, სმენითი განვითარების მიზნით ბევრს გვამდერებდა, ჩვენთვის საყვარელ მელოდიებს ინსტრუმენტზე გვაკვრევინებდა. შემდგომ კი, სხვადასხვა ბგერიდან, ტრანსპონირების სახით გვაწყობინებდა.

ასევე გვიხსნიდა, რომ სმენას გააჩნია ექვსი მუსიკალური „აპარატი“ (ნაგულისხმევია შეგრძნება): მელოდიური, ჰარმონიული, პოლიფონიური, ბგერითი, ტემბრული, დინამიური. რომ უმრავლეს შემთხვევაში მოსწავლეებს გააჩნიათ შინაგანი სმენა, რომელიც მასწავლებლის ახსნის მნიშვნელობაშია და შესწავლაში. დაკვრისას მიღებული სწავლება ნაყოფიერად ითვლება, როდესაც მუსიკოსი ფურცლიდან კითხვისას მელოდიურ ხაზს ჰორიზონტალურად კითხულობს, სადაც ხედვითი და ერთდროული აღქმაა მოთავსებული.

სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა საფორტეპიანო სპეციალობით ე. ნეიშტადტის კლასით, 1940 წლიდან სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგია. 1953 წლიდან სამუსიკო სასწავლებლს კონცერტმეისტერი.

ქალბატონი თამარი ნიჭიერი ადმინისტრატორი გახლდათ. 1956 წელს, როდესაც სკოლა დამოუკიდებელი ერთეული გახდა, მას სასწავლო დარგის ხელმძღვანელობა მიანდეს. ისიც ამ მეტად მნიშვნელოვან პროცესს უძღვოდა დიდი შემოქმედებითი აქტივობით. იყო შეანიშნავი ხელმძღვანელი, უაღრესად პრინციპული და სამართლიანი.

არავითარ შემთხვევაში პედაგოგებს ერთმანეთთან არ დააპირისპირებდა, არც მოსწავლეს მოსწავლესთან არ დაამცირებდა, ამასთან თვალებით გაგრძნობინებდა თუ როგორ მოქცეულიყავი.

მახსოვს, ერთ-ერთ საუბარში ქალბატონმა თამარმა ბრძანა: „შენიშვნის მიცემის ფორმა არ უნდა იყოს უღირსი, დამამცირებელი, არამედ იგი უსათუოდ დამრიგებლური უნდა იყოს, სასურველია მიეცეს ინდივიდუალურად და არა საჯაროდ”.

ქალბატონი თამარის ქალიშვილმა ნონამ დაამთავრა თბილისის კონსერვატორია, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა თბილისში.

ტრადიციები გრძელდება...

ქალბატონი თამარის ძმისშვილი ინგა ბოცვაძე დღეს ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგი გახლავთ ბათუმის სამუსიკო სკოლაში და თავისი აქტიური ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობით დიდი წვლილი შეაქვს მოსწავლეთა მუსიკალური აღზრდის საქმეში.

#### ინგა ბოცვაძე

ეს ქალბატონი გახლდათ მუსიკალურ სამყაროში კარგად ცნობილი პროფესიონალი, აჭარის დამსახურებული პედაგოგი, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის მასწავლებელი.

მისი პირველი პედაგოგი თამარ ლილიენბახი გახლდათ. სკოლის შემდეგ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საქვეყნოდ ცნობილ პედაგოგ თენგიზ ამირეჯიბთან შეისწავლა საფორტეპიანო სპეციალობა და განაწილებით მშობლიურ სკოლაში დაბრუნდა. მას შემდეგ უკვე ნახევარ საუკუნეზე მეტია არაერთ მოზარდს შეუძღვა მუსიკის სამყაროში და ზოგს ისე შეაყვარა, რომ მათაც მუსიკა ცხოვრების მეგზურად გაიხადეს. დღეს ქალბატონი ინგა სიამაყით გვისახელებს რადენიმე მათგანს, მათ შორისაა ვახტანგ კონცელიძე – დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და სწავლა გერმანიაში გააგრძელა; ნინო ბარქაია – დაამთავრა თბილისის კონსერვატორია;

ქალბატონი ინგასთვის არ არსებობს ცუდი და კარგი მოსწავლე, არამედ მხოლოდ არიან შრომისმოყვარეები და ზარმაცები. ცდილობს იმ ზარმაცებსაც არ შეაძულოს მუსიკა, არამედ ისევე შეაყვაროს როგორც ბეჯითებს. ცდილობს ნაწარმოები თავად მოსწავლეს შეარჩევინოს. მას განსაკუთრებით უყვარს რამდენიმე კომპოზიტორი, მაგრამ მისთვის გამორჩეულია ბეთჰოვენი და შოპენი. ძალიან მოსოწნს მერი დავითაშვილის ნაწარმოებები. სწორედ მისი „ბუნება და ადამიანი” დაუკრეს დუეტში ინგა ბოცვაძის მოსწავლეებმა თამარ რომანაძემ და ანა ბაკურაძემ ლიტვის საერთაშორისო კონკურსზე და დიდი მოწონება დაიმსახურეს. მისი აზრით პედაგოგმა უნდა აუხნას მოსწავლეს – რა ჩადო კომპოზიტორმა ნაწარმოებში.

ქალბატონი ინგა სიამაყით ასახელებს თავის ნიჭიერ, გამოჩენილ მოსწავლეებს, რომლებიც სხვადასხვა კონკურსსა თუ კონცერტზე წარმატებით გამოდიოდნენ. მათ შორის არიან მიხეილ დუმბაძე, რომელმაც რეგიონალურ კონკურსზე გრან-პრი აიღო, მარიამ მიქელთაძე და მარიამ დავითაძე, ვაჟა მილორაგა და ზაური ბაკურიძე. 2012 წლისთვის მას უკვე 9 ლაურეატი ჰყავდა. თავად პედაგოგი მუდამ იმაღლებს ცოდნას. ყოველთვის სტუმრობს მუსიკალურ საერთაშორისო ფესტივალს თელავში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი პიანისტები ელისო ვირსალაძე და ელისო ბოლქვაძე.

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლის დირექტორი ნინო ჩაიძე აღნიშნავს: „ამ სკოლაში ვსწავლობდი და ინგა ბოცვაძე ყოველთვის გამოირჩეოდა, როგორც გარეგნობით ასევე საკუთარი მანერებით, პიროვნული თვისებებით. როგორც პროფესიონალს მთელი ქვეყნის მასშტაბით იცნობენ. ის საოცრად მდიდარი სულის, შრომისმოყვარე, გამორჩეული ხელწერის პედაგოგია. სწორედ ამიტომაცაა, რომ ნებისმიერ კონკურსზე მისი რომელიმე მოსწავლე აუცილებლად მოსწყვეტს ერთ ვარსკვლავს მაინც. ბევრი შენატრის ასეთ პედაგოგს“.

აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გურამ საღარაძე აღნიშნავს: „ქალბატონი ინგა ჩვენი სკოლის ერთ-ერთი წამყვანი და წარმატებული შემქმემდია, კარგი ადამიანური ბუნებით დამშვენებული. გამოირჩევა მაღალი გემოვნებით, სტილის, ფორმი, ნაწარმოებები ჟანრული თავისებურებების კარგი ცოდნითა და შინაარსის გახსნის უნარით. 2001 წელს ინგა ბიცვაძეს საუკეთესო პედაგოგთა შორის დასახელდა და მას ფულადი ჯილდოც გადაეცა.“

### ვერა გაბაი

არაჩვეულებრივად თავაზიანი, უწყინარი, მშვიდი, ზედმიწევნით პუნქტუალური, სიტყვის შემსრულებელი, არაჩვეულებრივად კეთილი პიროვნება. გამოირჩეოდა როგორც პედაგოგიურ ისე საკონცერტმაისტერო მოღვაწეობაში.

მისი საკონცერტმაისტერო თანხლება ძალიან უბრალო, ამავე დროს სხივი ბგერისა, ხასიათი, სტილი სავსებით ერწყმოდა შემსრულებლის სიმრერას, რითაც ფორმას ავსებდა თავისი დამხმარე წყაროებით.

1979 წლის ოქტომბერში, კიროვაკანში გამართული ფესტივალის, „ლორი 79“ ჟიურმა ვ. გაბაის ლაურეატობა მიანიჭა. იგი მკაფიოდ გამოირჩეოდა ფაქიზი, ზედმიწევნით სინქრონული აკომპანიმენტით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით. იგი ფესტივალში მონაწილე მოსწავლეებს ნ. გვარჯალაძეს და ჯ. დიასამიძეს (პედაგოგ მ. მახარაძის კლასი) საკონცერტმაისტერო თანხლებას უწევდა. ნ. გვარჯალაძეს მიენიჭა პირველი ადგილი.

დღეს ვ. გაბაი ისრაელში ცხოვრობს.

### ნინო ჩაიძე

ნინო ჩაიძე გახლავთ ბათუმის სამუსიკო თერთმეტწლედის დირექტორტი. მოსვლის დღიდან ერთგულებითა და პროფესიონალიზმით ეკიდება დაკისრებულ მოვალეობას. სარგებლობს კოლექტივის პატივისცემითა და სიყვარულით. მასში გაერთიანებულია მუსიკოს-ხელოვანის და ხელმძღვანელის საუკეთესო თვისებები. უადრესად კარგი ადამიანია, რაც კოლექტივის მხრიდან კეთილგანწყობას იწვევს. აქვს მოსმენის უნარი, რითაც ცდილობს მაქსიმალურად კარგად აღასრულოს თავისი უფლება-მოვალეობები.

ქალბატონი ნინოს მიზანია ძველი ტრადიციები და თანამედროვე ნოვაციები შეუთავსოს ერთმანეთს. აგრძელებს რა ძველი სამუსიკო სკოლის ტრადიციებს,

ცდილობს დანერგოს სიახლეებიც, რათა სამუსიკო სკოლის აკადემიური მომზადების დონე მაქსიმალურად გაიზარდოს. მან დაარსა აჭარის რეგიონალური კონკურსი, რითაც შეიქმნა კონკურენტუნარიანი გარემო, სადაც მრავალი ნიჭიერი ახალგაზრდა ღებულობს მონაწილეობას. ნინო დღესაც ათავსებს პედაგოგიურ და საკონცერტმაისტერო საქმიანობას. მინიჭებული აქვს პროფესორის წოდება.

მისი საშემსრულებლო ხელოვნებისთვის დამახასიათებელია არტისტიზმი, კლასიკური შესრულების მანერა, გამდიდრებული მუსიკალური სამყაროს მხატვრული სახეებით, ფანტაზიით.

ყოველთვის სასიამოვნოა სამუსიკო თერთმეტწლედში მოსვლა ყოველკვირეული აფიშების ნახვა, სტუმრებთან დაკავშირებული კონცერტები. ყოველივე ეს აქტიურ მუსიკალურ ცხოვრებაზე მეტყველებს. მისი დირექტორობის პერიოდში შეკეთდა და გაუმჯობესდა სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მხარე. მუსიკალური სკოლა აღიჭურვა ახალი გერმანული როიალებითა და სხვა სამუსიკო პროფესიული ინსტრუმენტებით, გარემონტდა კლასები.

2014 წელში განახლებული სკოლის გახსნის დროს მუსიკალურ თერთმეტწლედს ეწვია საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი და ბრწყინვალედ შეაფასა იგი.

გეინდა ქალბატონ ნინოს ვუსურგოთ შემდგომი პროფესიული წარმატებები ამ მეტად რთულ და საპასუხისმგებლო საქმიანობაში.

### შორენა ვაშალომიძე

ქალბატონი შორენა ვაშალომიძე წლების განმავლობაში მუშაობს ქალაქ ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სამუსიკო თერთმეტწლედის სასწავლო ნაწილის თანამდებობაზე. ის წარმატებით ახორციელებს პედაგოგიურ საქმიანობას. გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით.

დამთავრებული აქვს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია .მუსიკალურ გარემოცვაში სარგებლობს სიყვარულითა და პატივისცემით. არის ბუნებით მშვიდი, კომუნიკაბელური. ურთიერთობისას გაწონასწორებული, ყოველმხრივ დადებითი პიროვნებაა ოჯახშიც და სამსახურშიც. ასევე ის თავის მეუღლესთან ერთად ბათუმში კულტურულ-საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა. მისი მეუღლე იყო ქორეოგრაფი ბატონი თამაზ კილაძე.

ქალბატონი შორენა დღესაც დიდი რუდუნებითა და სულისკვეთებით უძღვება დაკისრებულ მოვალეობას.



ინგა ჭოხონელიძე 4.05.1947

უმაღლესი განათლება – თბილისი ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია.

პედაგოგი: პროფესორი ნანა დიმიტრიადი (თბილისი), მარი დავიდის ასული შური (ბათუმი)

ყავს აღზრდილები, რომლებიც დღესაც მუშაობენ სამუსიკო სკოლაში.

ვალერი მგზავრიძე – დაამთავრა კიევის ხელოვნებისა და კულტურის ინსტიტუტი, საფორტეპიანოს განხრით.

ქალბატონმა ინგამ დაარსა გონიოს სამუსიკო სკოლა, წლების მანძილზე გახლდათ დირექტორი. 1997 წელს საქართველოში ჩატარებულ კონკურსში პედაგოგებს შორის, მიიღო I ადგილი.

ეწეოდა საშეფო მუშაობას, დადიოდა მთიან აჭარაში და პროპაგანდას უწევდა სამუსიკო სკოლების გახსნას, ახალგაზრდა კადრების მომზადებას.

აქვს ორმოცდაათწლიანი სტაჟი. მიღებული აქვს მადლობები დირექციის მიერ 2000 წელს.

მეთოდური მეცადინეობები: მუშაობა პოლიფონიაზე, ქართული მუსიკა, სონატურ-ვარიაციულ ფორმაზე.

ნათელა ერქომაიშვილი 30.11.1938

უმაღლესი – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია. პედაგოგი – პროფესორი ო. კაიშაური. სისტემატიურად თანამშრომლობდა პროფესორ ალექსანდრე ნიჟარაძესთან. აქვს ორმოცდათხუთმეტწლიანი სტაჟი.

მოსწავლეები: დალი ჭელიძე (ამჟამად მუშაობს ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორიაში, პრორექტორის თანამდებობაზე); ვახტანგ კონცელიძე – პირველი აღიარება მოუტანა სკოლას; მიიღო მონაწილეობა თბილისის ადგილობრივი კონკურსში და გახდა I ადგილის ლაურეატი. ლადო კატაშვილი – აჭარისა და თბილისის ადგილობრივი კონკურსების ლაურეატი. ახლაც კარგად ფლობს ინსტრუმენტს.

მეთოდური მეცადინეობები – მუშაობა ნაწარმოებებზე “დაკერა მეთოდური მიმართულებებით”, ატარებს მასტერკლასებს საჯარო მომსმენით, არჩევს ნაწარმოებებს: შოპენის, შუმანის, ჩაიკოვსკის საბავშვო კრებულებიდან, არის ბუნებით ხელოვანი, დახატული აქვს ოდრი ჰეპბერნი, მიღებული აქვს მადლობები დირექციის მიერ 2014 წლის მუსიკის დარგში ნაყოფიერი მუშაობისათვის. ჯილდო გადაეცა აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრის თამამაიშვილის მიერ სახალხოდ ხელოვნების მუზეუმში.

ჟუჟუნა დოლიძე და მისი მასწავლებელი

სვეტლანა გიორგის ასული ესიავა

– ქალბატონო ლეილა! – სასიამოვნო ხმით მომმართა ერთხელ ჟუჟუნა დოლიძემ, სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა, მეტად საპატიო მანდილოსანმა.

– დიას, – შევეხმიანე მე.

– თქვენ მეტად აუცილებელი და კეთილშობილური საქმისთვის მოგიკიდიათ ხელი. თქვენს წიგნში ალბათ გაცოცხლდება აჭარის სამუსიკო ცხოვრება. გმადლობთ.

ერთ-ერთ მათგანზე მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება.

ჩემი სპეციალობის პედაგოგი სვეტლანა გიორგის ასული ესიავა მეტად საინტერესო პიროვნება იყო – კარგი პედაგოგი, პუნქტუალური, მაღალი ინტელექტის, დახვეწილი გემოვნებით. დედა გერმანელი ჰყავდა. ყველაფერს პუნქტუალური სიზუსტით მასწავლიდა, ძალიან დიდ დროს ანდომებდა ინსტრუმენტთან მოხდენილ ჯდომას, ხელების სწორ მოძრაობას, ბგერის ადების კულტურას და მოსმენას, თითების მოქნილობას, მელოდიურობას, ლეგატოს...

– მოკლედ, ჩემთვის ბედნიერი იყო ის წლები, იგონებს ქალბატონი ჟუჟუნა, მუსიკას, რომ ვეზიარებოდი... მეც სიამოვნებით ვუსმენდი და არ ვაწყვეინებდი, მინდოდა სამუსიკო სკოლაში მიღებული შვიდი წლის ემოცია ბოლომდე ეთქვა.

ასევე სიყვარულით იგონებს ქალბატონი ჟუჟუნა ყველა მის თანატოლს, პედაგოგებს და განსაკუთრებით თეორიული საგნების მასწავლებლებს: ა. ფარცხალაძეს, გ. საღარაძეს, გ. ნოლაიდელს, ს. მიქელაძეს. ისიც კი გაიხსენა თუ როგორი ენთუზიაზმით ძველი შენობიდან ახალში გადმოგვქონდა მოსწავლეებს ბიბლიოთეკის წიგნები და ნოტები.

რარივ სასიამოვნოა გავლილი ხნის შემდეგ, რომ ახსოვხარ და არ გივიწყებენ.

ნანა შალაძე

სამუსიკო სკოლის უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი ქალბატონი ნანა შალაძე საკუთარი ხელწერით ატარებს გაკვეთილებს. დიდი ინტერესით და თავისი საქმისადმი სიყვარულით არის გატაცებული, ყოველთვის ზრუნავს სწავლების მეთოდის სრულყოფისათვის.

როგორც წესი, ყოველი წლის დასაწყისში, მეთოდურ ღია გაკვეთილებს ატარებს, როგორც ინდივიდუალურად ასევე მისი კლასის მოსწავლეებთან ერთად, მოსწავლეთა კლასების მიხედვით.

ქალბატონი ნანას სწავლების მეთოდოლოგია, მაღალი პროფესიონალიზმითაა გამსჭვალული და მას გთავაზობს ძალიან უბრალოდ, დამაჯერებლად.

სასკოლო დონისძიებებში მისი აღსაზრდელები აქტიურად მონაწილეობდნენ.

მოსწავლეებს უნვითარებდა სიყვარულს ყველა ქანრის მიმართ. იქნება იგი პოლიფონიური, სონატური, პიესა თუ ეტიუდი. მისი თემატური შინაარსის კლასის კონცერტებს, ხასიათის სწორი წარმოსახვისთვის სცენარსაც კი ურჩევენ.

ამ მხრივ საინტერესო იყო შოპენის, უძველესი ქანრის საცეკვაო და კერძდ პოლონეზების შესრულება აჭარის სამხატვრო გალერეაში. გამოირჩეოდა მეოთხე კლასელი ღიკა ბიბინეიშვილის მიერ შესრულებული შოპენის №1 დო დიეზ მინორული პოლონეზი. სწორედ ამ ნაწარმოების შესრულებით გამოვლინდა ნორჩი მუსიკოსის კარგი პიანისტური შესაძლებლობები. სახასიათო პუნქტირებული რითმის აკორდიკას გამისებური პასაჟები ენაცვლებოდა, ხანაც შოპენისეული უშუალობით გამსჭვალული თემები.

პოლონეზების შესრულების სირთულე ფორმის მთლიანობაშია, ვინაიდან იგი ეპიზოდური ხასიათისაა. სწორედ ამ სირთულეს სძლია ნორჩმა მუსიკოსმა და ნაწარმოები სასიამოვნო მოსასმენი გახადა.

ღიკა ბიბინეიშვილის საშემსრულებლო შესაძლებლობანია კარგი სმენა, ემოციურობა, სცენური გამძლეობა და არტისტიზმი რაც კარგი წინამძღვრებია იმისა, რომ მისგან შესანიშნავი მუსიკოსი დადგება.

ასევე სამომავლო პერსპექტივით წარმოდგა მეოთხე კლასელი მარია ლომინაძე, რომელიც გატაცებით უკრავდა შუმანის „არაბესკას“.

ძალიან საინტერესო, და მე ვიტყვოდი, აუცილებელი მეთოდი გახლავთ დაწყებით ეტაპზე მშობლებს გაკვეთილებზე დასწრება.

სწავლების დაწყებით ეტაპზე მოსწავლეს მაწავლებლის მიერ საშინაო დავალების შესასრულებლად და დასახმარებლად მშობლის ხელი მნიშვნელოვანია. ამ პრინციპიდან გამომდინარე ქალბატონი ნინა ითხოვს გაკვეთილებზე მშობლების დასწრებას. უფრო მეტიც, ყოველ კვირით დღის პირველ ნახევარში, თავისი კლასის მოსწავლეებთან და მშობლებთან ერთად ბავშვებს ხელოვნებაზე ესაუბრებოდა, ასმენინებდა მუსიკალურ ნაწარმოებებს, ამდერებდა, მოსწავლეებს აჩვენდა ფურცლიდან კითხვას, ასევე თავიდანვე აჩვენდა პოლიფონიური აზროვნების პრინციპს, აწყობდა კონკურსებს მუსიკალური ანბანისა და თეორიის ირგვლივ. მოსწავლეებისგან შემდგარი ჟიური კი კრიტიკული ანალიზით შეფასებას იძლეოდა.

ყველაზე მთავარი ის არის, რომ თავიდანვე ეჩვევიან სწორ შეფასებას, მსჯელობის უნარს.

ქალბატონი ნანას მთავარი და მნიშვნელოვანი პედაგოგიური მეთოდი არის საკუთარი პროფესიისადმი, ხელოვნებისა და მოსწავლეებისადმი სიყვარულის გრძნობა. შეიძლება ზოგიერთმა პედაგოგმა ისიც კი შენიშნოს, რომ კლასში ყველა ნიჭიერი მოსწავლე ჰყავდა, მაგრამ თვითონ ხომ არასდროს უარს არ აცხადებდა „ძნელ“

მოსწავლეებზე. პირიქით, ისინი ზოგჯერ იწვევენ მის განსაკუთრებულ ინტერესს და მათთან მუშაობაში მიღწეულ წარმატებას მოაქვს მისთვის ჭეშმარიტი სიამოვნება.

ქალბატონი ნანა ორი ქალიშვილის დედაა. ორივე ხელოვნებითაა გატაცებული. უფროსი ქალიშვილი – სოფიკო სანიკიძე მხატვარია. უმცროსი ეკა – დედის კვალს გაჰყვა, თბილისის კონსერვატორია დაამთავრა და წელს მაგისტრატურის ასპირანტურაში ჩაერიცხა. ადრე, დაწყებითი რვა კლასის მუსიკალური განათლება პედაგოგ ირა ხერეთან მიიღო. ეკამ, ჯერ კიდევ მეორეკლასელმა, თავისი საკონცერტო გამოსვლებით, ა. ბალანჩივაძის საფორტეპიანო კონცერტის სამივე ნაწილის შესრულებით მოხიბლა ბათუმელი მუსიკოსები და გააოცა. ნორჩი მუსიკოსებიდან ეკა, დღეს უკვე, სულით მუსიკოსია. მისი პროფესორია მანანა დოიჯაშვილი.

ვულოცავ მას ესოდენ დიდ წარმატებებს,

აი, აქ ხდება საოცარი დამთხვევა. მანანა დოიჯაშვილი, ელისო ბოლქვაძე და ნანა შალაძე წარმოშობით ბათუმელები არიან.

ეკასაც დაეპყროს მათი მწვერვალები.

ფლორა ჯორბენაძე და მისი მეუღლე

ნიკოლოზ ფარნაოზის ძე კუხალეიშვილი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგის ფლორა გერმანეს ასული ჯორბენაძის დეაწლი დიდია სამუსიკო სკოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის მუსიკალურ აღზრდა-განვითარებაში. ის გარკვეული წლების მანძილზე სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე იყო. მას, როგორც პიანისტ-პედაგოგს არაერთი ნიჭიერი მუსიკოსი აღუზრდია, რომლებმაც დღეს დიდი მუსიკოსის სახელი დაიმკვიდრეს. ლამარა ჭყონია, ლიანა ნიქაბაძე, ლიანა წიკეპლაძე, დოდო ჯოჯუა, ლალი უმანკოშვილი, ლემანი ხარაზი, მედეა ცინცაძე, მარიზა მაზმანიშვილი და სხვანი.

ქალბატონმა ფლორამ მუსიკალური განათლება მიიღო მაშინ, როდესაც სასწავლებელს ხელმძღვანელობდა ჯერ კიდევ მისი დამაარსებელი, დირექტორი, მ. ბალანჩივაძე, შემდეგ კი ა. ფარცხალაძე. ფორტეპიანოში სწავლობდა გ. ბუჩინსკისთან.

1937 წლიდან ქალბატონი ფლორა მუშაობას იწყებს სამუსიკო სკოლის პედაგოგად და სამუსიკო სასწავლებელში კონცერტმეისტერად. სამუსიკო სკოლის პედაგოგია 1984 წლამდე. შემდეგ კი გადის დამსახურებულ პენსიაზე. პარალელურად 1949 წლიდან 1954 წლამდე სკოლის სასწავლო ნაწილის გამგეა.

40-50 წლებში ფლორა ჯორბენაძის ბიონა ერთგვარ მუსიკალურ სალონს წარმოადგენდა. აქ თავს იყრიდნენ როგორც გამომჩენილი პოეტები ისე მუსიკოს შემსრულებელნი, კომპოზიტორები, რომლებიც ჩამოდიოდნენ როგორც საკონცერტო, ისე მეთოდური პროგრამებით თუ სახელმწიფო გამოცდებზე დასასწრებად. ესენი გახლდნენ

დიმიტრი არაყიშვილი, იოსებ გრიშაშვილი, შალვა მშველიძე, ალექსი ფარცხალაძე, ლამარა ჭყონია, ეთერი კილაძე, შალვა ასლანიშვილი, ვიქტორია მიროშნიკოვა, გრიგორი ბუჩინსკი. ეთერი ყუფარაძე და სხვანი და სხვანი.

„ერთხელ, ზაფხულის დღეებში – იხსენებს მისი ყოფილი მოსწავლე ლიანა კოლუაშვილი – ქალბატონი ფლორა თავის ბინაში, აკომპანიმენტს უკეთებდა ლამარა ჭყონიას. ლამარას ჯერ კიდევ ისე არ იცნობდნენ. ასრულებდნენ ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისი“-დან მაროს ტირილს. ლამარს მომხიბვლელმა წკრიალა ხმამ ქუჩაში გამვლელები შეაჩერა და დიდი აპლოდისმენტების ქვეშ რამდენიმე სიმღერა შეასრულებინეს.

ქალბატონი ფლორას მეუღლე ნიკოლოზ კუხალეიშვილი სპეციალობით ინჟინერ-ეკონომისტი გახლდათ. მას კიევის სახალხო მეურნეობს ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული. ამავე დროს ფლობდა მშვენიერ ხმას და მღეროდა. დაოჯახების შემდეგ, მუსიკალური ხელოვნებისადმი დიდმა სიყვარულმა მიიყვანა სასწავლებლად ჯერ ბათუმის სასწავლებელში, შემდგომ კი თბილისის კონსერვატორიაში, სადაც უმაღლესი განათლება მიიღო ვოკალის კლასით.

ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში ვოკალის კლასს დაეუფლა ცნობილ პედაგოგთან მ.ა. დოლენგო-დრაგოშთან. მათ საოჯახო არქივში შემონახულია ა. ფარცხალაძის მიერ ნაჩუქარ ნოტებზე პ. ჩაიკოვსკის რომანსების კრებულზე მინაწერი „Кухалеишвили Николаю лауреату конкурса за лучшее исполнение“

ჩაიკოვსკის კრებულში საგულდაგულოდ შემონახულია პ. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსის პროგრამა; სადაც შესრულებული იყო პ. ჩაიკოვსკის რომანსები;

პირველი ადგილი გაინაწილა ვოკალური კლასის ორმა მოსწავლემ – კახლავსკაიამ და კუხალეიშვილმა, მეორე ადგილი – პორასკევიძემ, მესამე – სავიცაიამ.

#### 6. კუხალეიშვილს შეუსრულებია – „Сред мрачных дней“

ასევე საინტერესოა სადამოს პროგრამა, რომელიც ეძღვნებოდა დიდ რუს პოეტს მ. ი. ლერმონტოვს. შემსრულებლები მასწავლებელ მ. ა. დოლენგო-დრაგოშის ვოკალური კლასის მოსწავლეები. დათარიღებულია 1941 წლის 11 აპრილით.

ნიკოლოზ კუხალეიშვილი ასრულებდა:

1. დმიტრიევის ტრიოს „На севере диком“ მასთან ერთად ასრულებდნენ ეკ. დერკაჩი, ლ. გარდავა და ნ. კუხალეიშვილი.

2. მაიკოვსკის – „К портрету“

3 ვარლამოვის – „Блещет парус“.

1941 წლის 10 ივნისს პროგრამით შეასრულა: 1) ფარცხალაძის არია ახმეტას ოპერა „გულიზარი“; 2) ვასილენკოს – „იტალიური სერენადა“.

1945 წ. 12 თებერვალს გამოჩენილ ქართველ პოეტს იოსებ გრიშაშვილს ბატონი ნიკოლოზისათვის უჩუქებია ლექსი „გენაცვალე“ (რომელიც დასტამბა ლიტერატურა და ხელოვნებამ 1944 წ.) და მიუწერია „ნიკას ტკბილი სიმღერისათვის“.

ნიკოლოზ კუხალეიშვილი ხაიათდებოდა თავმდაბლობით, დიდი შრომისმოყვარეობით, დიდი პასუხისმგებლობით დავალებული საქმისადმი, უზომო სიყვარულით ხელოვნებისადმი, პრინციპულობით, რითაც დაიმსახურა აჭარის ხელოვნებისა და კულტურის მუშაკთა დიდი სიყვარული, აჭარის მთელი საზოგადოების პატივისცემისათვის ნ. კუხალეიშვილი დაჯილდოებული იყო საპატიო ჯილდოებით, სსრკ კულტურის სამინისტროს საქართველოსა და აჭარის უმაღლესი საბჭოების საპატიო სიგელებით.

ბატონი ნიკოლოზი 1944-1963 წლებში მუშაობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორად.

შემონახულია აჭარის ასსრ სახელმწიფო ფილარმონიის 1944-45 წ.წ. სეზონის აფიშა და პროგრამა, რომელიც აჭარის სახელმწიფო ქართული თეატრის შენობაში შედგა. დადგმა ეკუთვნოდა სამხატვრო ხელმძღვანელს არჩილ ჩხარტიშვილს. დადგმის მუსიკალური ხელმძღვანელი და რეჟისორი გახლდათ, აჭარის დამსახურებული არტისტი ვლადიმერ კორშონი. მონაწილეობდნენ: ე. კურტიდი, ნ. კუხალეიშვილი, კ. ვარობიოვა, ნ. ფხაკაძე (საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი), მ. ქორელი, ვ. ჩხაიძე, ა. შალოლაძე, ლ. სავანელი, ი. კაიკაციშვილი, კ. დოლონაძე.

გუნდის პარტიას ასრულებდა აჭარის სიმღერებისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი რესპუბლიკური ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის მელიტონ კუხიანიძის ხელმძღვანელობით.

აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი – ნიკოლოზ კუხალეიშვილი.

ქორმეისტერი – მირიან ჩხიკვიშვილი.

რეჟისორის თანაშემწე – ნ. კუხალეიშვილი.

ქორეოგრაფი – ვ. მაჭავარიანი.

ნარკვევს თან ერთვის „ქეთო და კოტეს“ პროგრამა, პარალელურად მ. კუხიანიძის სახელმწიფო ცეკვის ანსამბლის სოლისტი გახლდათ. მას უმღერია ელენე კურტიდთან, მედეა ქორელთან, ისკანდერ კაიკაციშვილთან და სხვა იმდროისთვის ცნობილ მომღერლებთან ერთად. მონაწილეობდა მოსკოვში აჭარის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადაში, რომელიც 1958 წელს ჩატარდა, რისთვისაც დაჯილდოვდა საქართველოს კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელით.

ქალბატონი ფლორას საოჯახო არქივი, ბევრ ფოტოსურათს მოიცავს, რომელიც ნმისი მუსიკალური ცხოვრების, მოგონებებით აღსავსე საინტერესო ეპიზოდებს (კადრებს) ასახავს. მართლაც, რომ „დრონი მეფობენ“, წავიდა ის ახალგაზრდული, სიყმაწვილის მშვენიერების წლები... ის როიალი კი ისევ იქ დგას, რომელიც ერთ დროს სასიამოვნო მუიკის ჰანგებით ატკბობდა გამვლელ-გამომვლელებს... დღეს ქალბატონი ფლორა 84 წლისაა.

გუსურვებ ჯანმრთელობასა და ხანგრძლივ სიცოცხლეს.

ახლა, კი ქალბატონი ფლორას პატარა შვილიშვილები ახმოვანებენ მას.

სწორედ ამ სასწავლებელმა დღემდე მუსიკოსების არაერთი თაობა აღზარდა, რომლებიც პედაგოგებად, შემსრულებლებად მოველინენ არა მარტო ბათუმს, არამედ

ჩვენნი ქვეყნის და უცხოეთის ქალაქებსაც. მათ შორის ბევრი ცნობილი მუსიკოსი და პედაგოგი გახდა. ასე, მაგალითად, ნ. ფაღავა, ზ. გოგიტიშვილი, მ. შური, რ. ჯიბლაძე, ს. კეჭაყმაძე, მ. ფარცხალაძე, ი. ვუტირასი, და-ძმა მიროშნიკოვები, პ. ფირცხალავა, ა. ხომერიკი, ა. ფიოლია, მ. თიროშვილი, მ. ტერზიანი, ევ. ცელოვალნიკი, კ. პლუჟნიკოვი, კ. ბაბასინოვა, ლ. კალანდია, ლ. გოგოლაძე, გ. გვარჯალაძე, მ. ჟორდანი, ს. ქილარჯიშვილი, მ. პატარავა, ვ. ხაჩანიანი, ს. თორელი, გ. გეგუჩაძე, ლ. ხარაზი, ლ. ნიქაბაძე, ო. ჭავჭავაძე, ნ. ლესელიძე, მ. ჯახუტაშვილი, ს. ბარდნაშვილი, ლ. ჭყონია, რ. ტაკიძე ბევრნი სხვანი და სხვანი.

### ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი

ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში ორასამდე პედაგოგი მოღვაწეობს. მათი უმეტესობა ყოფილი მოსწავლეები არიან, რომლებმაც წარმატებით დაამთავრეს სხვადასხვა ქალაქის პრესტიჟული კონსერვატორიები და მშობლიურ სასწავლებელს დაუბრუნდნენ. მათი უმეტესობა ნაყოფიერი შრომით ფგამოირჩევა. საქართველოს და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული პედაგოგების აქტიურმა წარმატებულმა მოღვაწეობამ მძლავრი ბიძგი მისცა ჩვენს ქალაქში სხვადასხვა სამუსიკო კოლექტივის ჩამოყალიბებას, განსაზღვრა მათი მაღალი პროფესიული დონე, რამაც განაპირობა ბათუმში სახელმწიფო კაპელის, სიმფონიური ორკესტრის, ოპერის თეატრის დაარსება-განვითარება.

ბათუმის სამუსიკო სასწავლებელმა დაიმკვიდრა მძლავრი პროფესიული სამჭედლოს სახელი. მის სიმძლავრესა და პროფესიონალიზმზე მეტყველებს ის უმნიშვნელოვანესი ფაქტი, რომ მის ბაზაზე დაარსდა ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია, რომელიც ზაქარია ფალიაშვილის სახელობისაა.

### ბათუმის საოპერო და სიმფონიური მუსიკის

#### ფესტივალების დამკვიდრების შესახებ

სულხან ცინცაძემ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის თავმჯდომარემ სხდომაზე თავის მოხსენებაში მართებულად აღნიშნა, რომ აჭარის მუსიკალური კადრების აღზრდის ისეთი ჩინებული კერა აქვს, როგორცაა კარგი ტრადიციების სამუსიკო სასწავლებელი. ამ სასწავლებელს ეხლა სათავეში ჩაუდგა ნათელი ნიჭისა და გონების, თავისი კუთხის საუკეთესო საქმისათვის დაბადებული კომპოზიტორი იოსებ ბარდნაშვილი, რომლის მაღალი პროფესიული ავტორიტეტი აღიარებულია ქართველ და საზღვარგარეთის მუსიკოსებს შორის. ახალი დირექტორის რამდენიმე თვის ნაშრომმა და სასწავლებლის სამომავლო გეგმების გაცნობამ დაგვარწმუნა ამ კომპოზიტორის ბრწყინვალე ორგანიზატორულ მონაცემებში.<sup>54</sup>

<sup>54</sup> ნ. ქავთარაძე. საქართველოს კომპოზიტორთა კავშირში. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 24.10.1986

მდიდარი მუსიალური ტრადიციების აჭარას, კომპოზიტორთა კავშირში შეხვედრა ვფიქრობ სასიკეთოდ წაადგება კულტურის მუშაკებს, ვიმედოვნებთ, რომ ძალებით საქართველოს ამ ულამაზეს კუთხეში აჭარელთა ნიჭი კიდევ უფრო აქტიურად გაშლის ფრთებს.

და, აი დიდი მოვლენის მონაწილენი გავხდით 1987 წლის 15 სექტემბერს გაიხსნა „ბათუმის მუსიკალური შემოდგომა“. ეს იყო საოპერო მუსიკის დღესასწაული – მნიშვნელოვანი მოვლენა არა მარტო აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის და მისი ქალაქის მშრომელების ცხოვრებაში, არამედ მთელი საქართველოს მუსიკალურ ცხოვრებაში. იგი მოეწყო რესპუბლიკაში საკონცერტო მოღვაწეობის შემდგომი ზრდის, მსმენელთა შორის მაღალი სულისკვეთების გაღვიძებისა და საოპერო მუსიკის პოპულარიზაციის მიზნით.

საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე ი. გამრეკელი.

„ბათუმის მუსიკალური შემოდგომის მონაწილენი გახლდნენ თბილისის საოპერო თეატრი, ბაქოს უზეირ ჰაჯიბეკოვის სახელობის ოპერიოსა და ბალეტის აკადემიური თეატრის, ერევნის ალექსანდრე სპენდიაროვის სახელობის ოპერიოსა და ბალეტის აკადემიური თეატრის მომღერლები, პ. ჩაიკოვსკის სახელობის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი, ლიტვისა და სომხეთის დამსახურებული არტისტი გელამ გრიგორიანი, სომხეთისა და საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ელვირა უზუნიანი, სომხეთის სსრ სახალხო არტისტი დ. პოლოსიანი, სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი რ. ბაბურიანი. აღსანიშნავია, რომ ისინი გამოვიდნენ ოპერა „დაისში“, რომელიც ერევანში დადგა სსრ კავშირის სახალხო არტისტმა, ზ. ფალიაშვილის სახელობის პრემიის ლაურეატმა პროფესორმა ზურაბ ანჯაფარიძემ.

მუსიკის დღესასწაული გაიხსნა, ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის შენობაში, ზ. ფალიაშვილის ოპერით „აბესალომ და ეთერი“. აგრეთვე პროგრამაში იყო ჯ. ვერდის ოპერები „ტრუბადური“, „რიგოლეტო“, „დონ-კარლო“ და ზ. ფალიაშვილის „დაისი“. სპექტაკლებს ღირიქორობდა სსრ. კავშირის სახალხო არტისტი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი ჯანსუღ კახიძე.

აღსანიშნავია, რომ „ბ. მ. შ.“ დამთავრდა ჯუზეპე ვერდის ოპერა „დონ კარლოსით“, სადაც მონაწილეობდნენ საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი, საქართველოს სსრ სახალხო არტისტი პაატა ბურჭულაძე და სსრ კავშირის სახალხო არტისტი ცისანა ტატიშვილი.

საოპერო დღესასწაულმა ხელი შეუწყო ჩვენი ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდას. ბათუმის მუსიკალური საზოგადოება ესაღმებოდა საოპერო მუსიკის კვირეულს. განსაკუთრებით საინტერესო იყო შეხვედრა თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის კოლექტივთან, რომლის ერთ-ერთი თვალსაჩინო წევრი გახლდათ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის აღზრდილი, იმ დროითვის რესპუბლიკის სახალხო არტისტი ა. ხომერიკი.

ბათუმის საზოგადოებრიობის საყოველთაო აზრი გახლდათ ის, რომ ფესტივალი იყო ჭეშმარიტად დიდი ზეიმი. სურვილი კი, მისი აუკეთესო დადგმები არ განისაზღვროს მხოლოდ კვირეულით, ხშირად გეკონდეს ჩვენი სასიქადულო ღირიქორების, ვოკალისტებისა და ბალეტის ოსტატების ხილვის საშუალება.



„ბათუმის მუსიკალურ შემოდგომას“ მიესალმა ჩვენი უხუცესი თანაქალაქელები, საქვეყნოდ აღიარებული ბერძენი დირიჟორი ოდისეი დიმიტრიადი: „...უსაზღვროდ ბედნიერი ვარ... რომ ჩემი მშობლიური ბათუმი საფესტივალო ქალაქი გახდა... .. და ძალიან მინდა იგი მუდამ იყოს, იმიტომ, რომ ბათუმი დიდი მუსიკალური ტრადიციების ქალაქია“.

„ბათუმის მუსიკალური შემოდგომა“, მეორედ, 1988 წლის სექტემბერში შედგა. ფესტივალის ორგანიზატორი გახლდათ ალექო ხომერიკი. სწორედ მისი პირადი მოწვევით ფესტივალის ზეიმში მონაწილეობა მიიღეს ბულგარელმა მომღერლებმა ლიუბომირ ვიდენოვმა და კონსტანტინე პლუჟნიკოვმა. გამორჩენილმა მომღერალმა ლ. ვიდენოვმა ჯერ კიდევ სოფიის კონერვატორიაში სწავლების დროს მიიღო აღიარება, მისი მშვენიერი მღერადი, ძლიერი ბარიტონით. ლ. ვიდენოვმა „ლა სკალას“ ოპერის თეატრში ვოკალში გაიარა სტაჟირება, სადაც შეხვდა ა. ხომერიკს. მათი მეგობრობა წლების მანძილზე მტკიცდებოდა, ის ძალიან მოხარული იყო მოწვევით და, რომ ჯანსუღ კახიძის დირიჟორობით მოუხდებოდა სიმღერა. ასევე დიდ კმაყოფილებას გამოხატავდა ისეთ პარტნიორებთან სიმღერას, როგორებიც არიან: ალექო ხომერიკი, მაია თომაძე, მანანა ეგაძე და სხვები.

საფესტივალო კულმინაცია გახლდათ ჯ. ვერდის „აიდა“, სადაც ლ. ვიდენოვმა შეასრულა ამონასროს პარტია. ფესტივალის პირველ დღეს შესრულდა ზ. ფალიაშვილის „დაისი“. ამჯერად შემსრულებლები გახლდნენ თბილისის ოპერისა და ბალეტის სოლისტები – ჩვენი თანაქალაქელი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ლამარა ჭყონია (მარო), რომლის ამოუწურავი ვოკალური შესაძლებლობანი მუსიკას მართლაც ადამიანის სულის უშუალო ენად აქცევდა. მისი არტისტიზმი და სასცენო კულტურა, განუმეორებელს ხდიდა მის მიერ განსახიერებულ გმირს. ლ. ჭყონია თავის უამრავ თაყვანისმცემლებს ყოველთვის ხიბლავს თავისი უნარით, მისი პლასტიკითა და ხმის ინტონაციით, დინამიკაში ხატავს დრმა ემოციურობის განცდების უმცირესს ელფერსაც კი. მას უნარი აქვს მთელი სპექტაკლის მანძილზე თავისი ჯადოსნური ჰანგებით დაიპყროს მსმენელის ყურადღება. განსაკუთრებით არიაში „შუქური ვარსკვლავი“ და ფინალურ სცენაში.

ტ. კრაწაშვილი (ნანო) გამოირჩეოდა მეცო სოპრანოს მშვენიერი ხმით, რომელსაც ჩინებულად ფლობდა.

საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი – ტ. გუგუშვილი მოგვევლინა მალხაზის როლში, საქართველო სსრ დამსახურებულმა ხელოვნების მოღვაწემ ჯემალ მდივანმა განასახიერა კიაზო. ბარიტონმა შექმნა ვაჟკაცური იერის, ნამდვილი ქართველი მეომრის სახე. მისი რაინდული გარეგნობა, მტკიცე ინტონაცია, ხმის ტემბრის ფერადოვნება, ენერგიული და ბუნებრივი მოძრაობა დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა. მკაფიოდ გამოხატა კიაზოს შეუდრეკელი ხასიათი, სულის დეღვა, შინაგანი ბრძოლა მოვალეობის შეგნებისა და შურისძიების გრძობას შორის. მესამე მოქმედებაში რეჩიტატივი – ძალიან შთამბეჭდავი იყო. შთამბეჭდავად განასახიერა ტ. ჭიჭინაძემ ცანგალა, საქართველოს სსრ დამსახურებულმა არტისტმა ნ. გელაშვილმა – ტიტოს სახე. მისი სასიამოვნო ხმა და შესრულება ჰარმონიულად ერწყმოდა ანსამბლის მთლიანობას ლხინისა და ცანგალასთან კონფლიქტის სცენებში. ორკესტრის დირიჟორი გახლდათ ირაკლი ჭიაურელი.

ოპერა „აიდა“ – შემსრულებლები გახლდნენ:

აიდა – საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მაია თომაძე;

ამნერისი – საქარველოს სსრ დამსახურებული არტისტი მანანა ევაძე;

რადამესი – საქართველოს სსრ სახალხო არტისტი ალექო ხომერიკი;

ამონასრო – ლიუბომირ ვოდენოვი – ბულგარეთი,

ფარაონი – ტ. ჭიჭინაძე;

რამფისი – გ. ასათიანი;

– მ. დავითაშვილი;

– ნ. გელაშვილი;

შემსრულებლები ყველანი ბრწყინვალედ წარსდგნენ, როგორც სოლო, ისე საანსამბლო ნომრებში.

როგორც ყოველთვის, გენიალურობით გამოირჩეოდა ჯანსუღ კახიძე. თავისი დირიჟორობით საოცარი ბგერებით იპყრობდა მსმენელს. ეს მართლაც ხელოვნების მშვენიერი ტრიუმფი იყო.

#### სიმფონიური მუსიკის ფესტივალი

1990 წლის ნოემბერში ბათუმში პირველად მოეწყო დასავლეთ საქართველოს სიმფონიური ორკესტრის რესპუბლიკური დათვალიერება. აქამდე იგი, როგორც წესი თბილისსა და ქუთაისში იმართებოდა.

ფესტივალი ჩატარდა ბათუმის ი.ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატულ თეატრში. დარბაზში ხალხმრავლობა იყო და დიდი ინტერესის მოლოდინში გახლდათ.

ფესტივალში მონაწილეობდა დასავლეთ საქართველოში არსებული სამივე სიმფონიური ორკესტრი – ქუთაისის, აფხაზეთისა და აჭარის მუსიკოსთა ანსამბლები.

პირველი სადამო სოხუმელ სტუმრებს დაეთმო. აფხაზეთის სიმფონიურ ორკესტრს დირიჟორობდა სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი ანატოლი ხაგბა. სიმფონიურმა ორკესტრმა შეასრულა როგორც ჟანრობრივად, ისე სტილისტურად მრავალფეროვანი პროგრამა.

შესრულდა პ. ჩაიკოვსკის მე-5 სიმფონია მი-ნორი. ორკესტრმა ხაზგასმით გადმოსცა მასშტაბური მუსიკალური ტილოს პირველი ნაწილის ნათელი, სრულქმნილი თემები გამომსახველობა. გამოკვეთილად იგრძნობოდა შერბილებული ონტრასტულობა, მელოდიის განვითარების სიღინჯე, დიდბუნოვნება. ასევე შთამბეჭდავად აჟღერდა გენიალური მეორე და გრაციოზული მესამე ნაწილები. მთლიანობაში პ. ჩაიკოვსკის ეს ქმნილება ღირსეულ დონეზე წარმოდგა.

მოწონება დაიმსახურა სოლისტ არდაშ ტერზიანის მიერ ორკესტრთან შესრულებულმა პ. პეტროვის სავიოლინო კონცერტმა. ემოციებით აგავასო სულხან ცინცაძის საორკესტრო სუიტამ, „ვენეციელი ვაჭრისათვის“ დაწერილი ნომრების

გამოყენებით. შესრულდა კომპოზიტორ ვ. ჭკადუას ორი საცეკვაო მელოდია ბალეტიდან „რიწა“.

სოსუმელ მუსიკოსთა გამოსვლა დამთავრდა ქართველთა კლასიკოსის ვ. დოლიძის უვერტიურით – ოპერიდან „ქეთო და კოტე“. შესაშური ერთიანობით გადმოიცა ამ პოპულარული ნაწარმოების ინაარსი.

ა. ხაგბას სადირიჟორო ხელოვნებამ ნამდვილად მოხიბლა ბათუმელთა გული, რაც კონცერტის დამთავრების შემდეგ ხანგრძლივი ტაშით დადასტურდა.

მეორე საღამოს მასპინძლობდა ქუთაისის სიმფონიური ორკესტრი. წმინდა სიმფონიური ჟანრის თხზულებები სცენაზე გადმოიტანა საკმაოდ დიდი სტაჟის მქონე კოლექტივმა. დირიჟორი ბუდაპეშტის, ლენინგრადის, პრადის, ნიუ-იორკის და სხვა საერთაშორისო მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსების ლაურეატი ვლადიმერ ბოგორადი გახლდათ.

პირველ განყოფილებაში შესრულდა პ. ჩიაკოვსკის მე-6 სიმფონია. ეს მსოფლიო მნიშვნელობის შედევრი ქუთაისელთა ინტერპრეტაციით დიდებულად ჟღერდა. მსმენელებს სულიერი სიამოვნება მიანიჭა ფ. ლისტის „პრელუდიებმა“ და რ. ვაგნერის ოპერა „რიენცის“ უვერტიურამ. ორივე თხზულების ჟღერადობა, სტილის, ფორმისა და შინაარსის გამოვლენა ტრადიციულ ასპექტში გადაწყდა.

ვ. ბოგორადის დირიჟორობისას შესასრულებელი ნაწარმოებების თითოეული ბგერა, ნაწილებზე, ცალკეულ მონაკვეთებზე და ფრაზებზე შესისხლხორცებული ჰქონდა და ამან განაპირობა შესაშური ურთიერთგაგება, რაც ორკესტრსა და მის ხელმძღვანელს შორის არსებობდა.

მრავალფეროვანი პროგრამით გამოვიდა აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი (სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი დირიჟორი დავით მუქერია). საღამო გაამდიდრა თბილისში მოღვაწე, ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულებმა, თანაქლაქელებმა მარინე ჯახუტაშვილის, ამირან მამალაძის, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დოცენტის, საქართველოს დამსახურებული არტისტის პიანისტ ედიშერ რუსიშვილის მონაწილეობამ.

პირველი განყოფილება ამჯერადაც პ. ჩიაკოვსკის ნაწარმოებს დაეთმო, მეოთხე ანუ ფა-მინორ სიმფონიას, რომელიც ბედისწერის თემით იწყება.

ის, რომ სამივე კოლექტივის საკონცერტო პროგრამაში ცენტრალური ადგილი ამ შემოქმედის ქმნილებებს ეჭირა, სხვა ობიექტურ მიზეზებთან ერთად, ცხადია, განაპირობა იმანაც, რომ წელს შესრულდა დიდი რუსი კომპოზიტორის დაბადების 150 წლისთავი.

ფესტივალის მინაწილე ანსამბლებს შორის აჭარის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრი ყველაზე ახლგაზრდა იყო. შედარებით მცირე სტაჟის მქონე მთავარ დირიჟორს დ. მუქერიას ხელი არ შეუშლია იმაში, რომ ისეთი რთული ნაწარმოები, როგორცაა პ. ჩიაკოვსკის მეოთხე სიმფონია ზეპირად წაეყვანა.

ნათქვამი ეხება სიმფონიის თითოეულ ნაწილს, როგორც ბედისწერის თემას, ისე მომდევნო, უაღრესად ლამაზ, ლირიკულ მელოდიებს, რაც მთავარია ბოლო ფრაგმენტს, სადაც გამოყენებულია რუსული ხალხური სიმღერა „მინდორს იდგა არყის ხე“.

ვიქტორ დოლიძის სახელობის კონკურსის ლაურეატია ამირან მამაღლის გამოსვლა, მისი დახვეწილი ვოკალური ტექნიკით, ლამაზი ტემბრის ხმით ერთობ მომხიბლავი გახლდათ. მან განცდების უშუალო გადმოცემით იმდერა ჟემრონის არია ვერდის ოპერიდან „ტრაავიატა“ და აბდულ-არაბი არია დ. არაყიშვილის ოპერიდან „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

დიოდი წარმატებით გამოვიდა და მსმენელმა აღფრთოვანებით მიიღო ვ. დოლიძის სახელობის კონკურსის ლაურეატი, თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბაღეის ეროვნული სოლისტი მარინე ჯახუტაშვილი. „ორი დრამატული შინაარსის არია ოპერებიდან პუჩინის „ტოსკა“ და ლალიძის „ლელა“ სულში ჩამწვდომად ისე მონარნარებდა, როგორც ეს მიღებულია ნებისმიერი დიდი ქალაქის მდიდარი ტრადიციებს მქონე კულტურის ცენტრებში. „არ გადავაჭარბებ, თუ ვიტყვი: „მსმენელთა წინაშე ისეა ინდივიდუალური ხელწერის, ჯერ კიდევ ბოლომდე გაუხსნელი ნიჭის მქონე მომღერალი“ – წერდა გ. საღარაძე თავის სტატიაში „სიმფონიური მუსიკის ხიბლი“.<sup>55</sup>

დასარულს ჭეშმარიტატ საზეიმო განწყობა შექმნა ე. რუსიშვილის გამოსვლამ. მან ორკესტრთან ერთად დაუკრა ფ. ლისტი „საფორტეპიანო ფანტაზია უნგრულ თემებზე“.

ელიშერ რუსიშვილი ჩვენთვის კარგად ნაცნობი ხელოვანია. მისი კამერული კონცერტები თუ კლასის კონცერტები, როგორც თბილისის კონსერვატორიის პროფესორი დიდძალ მსმენელს იზიდავს. აღიარებულ პიანისტს არც ამჯერად უღალატია საშემსრულებლო კრედოსათვის, პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალული ნაწარმოების მისეულმა ინტერპრეტაციამ დარბაზში მსხდომთა აღტაცება გამოიწვია. ამგვარ წარმატებას ხელი შეუწყო დავით მუქერიას ყურადღებამ და დირიჟორობამ. მისი ხელმძღვანელობით ორკესტრი სოლისტებთან შეთანხმებით და დინამიკური ნიუანსების ზომიერი გამოყენებით ასრულებდა საორკესტრო პარტია.

დავალიერების ჟიურის შემადგენლობაში შედიოდნენ საყოველთაოდ აღიარებული დირიჟორები: ზაქარია ხუროძე, რევაზ ტაკიძე, კომპოზიტორი იოსებ ბარდნაშვილი, მუსიკათმცოდნე რუსუდან წურწუშია, ამნანა ახმეტელი, ღია სეხნიაშვილი, მათი შეფასება, მსჯელობა დათვალიერების შედეგების ირგვლივ ობიექტური და მაღალპროფესიული იყო.

რიგით მე-5 სიმფონიური მუსიკის ფესტივალი, რომელიც ბათუმში პირველად ჩატარდა, ნამდვილ ზეიმად მოგვევლინა, რამაც გაამდიდრა ჩვენი ქალაქის მუიკალური ცხოვრება და გალაქტიონის სიტყვებით რომ ვთქვათ, აქაური კულტურის წინსვლას შეფერხება არ ექნება „ვიდრე ზღვა გრიად-გრიადებს“.

<sup>55</sup> გ. საღარაძე, სიმფონიური მუსიკის ხიბლი. გაზ. „აჭარა“, 1990 წ. 27 ნოემბერი.

ოპერის დაარსება და კონსერვატორიის აუცილებლობა

პირველი საოპერო კონცერტი ბათუმში ჩატარდა 1885 წელს. მას შემდეგ, განსაკუთრებით მე-20 საუკუნეში რამდენჯერმე ყოფილა ცდა ბათუმში დაეარსებინათ საოპერო თეატრი, მაგრამ ქალაქის ხელოვნებისა და კულტურის მუშაკების, მისი მესვეურების ცდა, სხვადასხვა მიზეზების გამო ოცნება, ოცნებად რჩებოდა.

ბათუმის საოპერო თეატრის დაარსება ჩვენი სახელმწიფოს შენების მიმდინარე პროცესების გადამკვეთ წერტილში აღმოჩნდა. ესაა ნგრევისა და შენების, დაცემისა და აღმავლობის, მტრობისა და სიყვარულის, განუკითხაობისა და თავდადების, ფუყე ამბიციურობისა და პროფესიონალიზმის შეპირისპირების პროცესები, რომელთაგან გამარჯვება მხოლოდ საყვარელს უწერია და ამ ჭეშმარიტებაში ბათუმის საოპერო თეატრს ესტაფეტა მტკიცედ უჭირავს.

ამ საოპერო თეატრის არსებობის მნიშვნელობა გაცილებით დიდია. იგი სცილდება ხელოვნების საზღვრებს და სახელმწიფოებრივ მოვლენად ცნობიერდება.

საოპერო თეატრის რეპერტუარის გარეშე წარმოდგენელია. და ბათუმის საოპერო თეატრი განსხვავებული თემატიკით, ჟანრითა და მასშტაბებით დგას ურთულეს ოპერებს. ბუნებრივია, პირველი სპექტაკლი ეროვნული ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ გახლდათ, მას მოჰყვა რ. ლალიძის „ლელა“, ჯ. ვერდის „აიდა“ და „ოტელო“.

„ბათუმის საოპერო თეატრის სცენაზე დადგმულმა სპექტაკლებმა პრემიერებიდან დაითქვა სახელი. სახელმოსხვეჭილი მუსიკათმცოდნე კრიტიკოსები აღფრთოვანებას ვერ მაღავედნენ. ყველანი ერთხმად აღნიშნავდნენ, რომ დიდი ხანია ჩვენ საოპერო სცენაზე არ გვიხილავს ბგერით, ფერით, პლასტიკით და რეჟისორული ჩანაფიქრებით შექმნილი ასეთი სახეიმი ატმოსფერო, ერთ მუშტად შეკრული დასი, რომლის რიგითი შემსრულებელი სოლისტის ტოლფას ენერგიას არ იშურებდა სპექტაკლის წარმატებისთვის.

ჩვენ მოვისმინეთ აკადემიურ დონეზე შესრულებული პარტიები, ვნახეთ ბრწყინვალე დეკორაციებით და კოსტუმებით დამშვენებული სპექტაკლები და მუსიკიდან ამოზრდილი ლეგენდად ქცეული გმირების სცენიური სიცოცხლე.

ბათუმის საოპერო თეატრის სპექტაკლები მსოფლიო სტანდარტების დონეზე დგას, საზღვარგარეთის ნებისმიერი თეატრის სცენას დაამშვენებს და ღრმად ვარდარწმუნებული მათს წარმატებებში.<sup>56</sup>

ოპერის საყოველთაო აღიარებამ საგრძნობლად გააძლიერა ლტოლვა ვოკალის დაუფლებისკენ.

ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში ფორტეპიანო წლების განმავლობაში წამყვან დარგს წარმოადგენდა. მისი მოღვაწეები თვალსაჩინო იყო და არის. ეს იმ მიზეზით აიხსნებოდა, რომ ამ საკრავს ჰქონდა ყოველთვის პროფესიული მნიშვნელობა და დიდი მოთხოვნა.

<sup>56</sup> ნ. ქავთარაძე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1995 წ. მაისი გვ. 13

დღეს სულ სხვა ატმოსფეროა. ყველას სურს იმდეროს, პროფესიული მომღერალი, სახელდობრ, ოპერის არტისტი გახდეს და ეს იმ არნახული პოპულარობის შედეგია, რითაც სარგებლობს ბათუმის საოპერო ქანრი. ამის დამადასტურებელი საბუთია მისაღები გამოცდები. ბათუმის სამუსიკო სასწავლებელს და კონსერვატორიას გაცილებით მეტი მომზადებული აბიტურიენტი მიაწვდა ვოკალურ ფაკულტეტს, ვიდრე სხვა სპეციალობას.

გთავაზობთ პრესის ფურცლებზე გამოთქმულ შეფასებებს ზოგიერთი დადგმების შესახებ:

### **„აბესალომ და ეთერი“**

1994 წლის 14 იანვარს ზ. ფალიაშვილის ოპერის „აბესალომ და ეთერის“ მაღალ მხატვრულ დონეზე დადგმისათვის ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

„ადამიანის სულის ზეიმი“ ასე შეაფასა ბათუმელთა სპექტაკლი საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ და სახელმწიფო მეთაურმა ე. შევარდნაძემ.

**ლია სეხნიაშვილი** – მუსიკათმცოდნე, საქართველოს კულტურის სამინისტროს განყოფილების გამგე: „დიდად სასიამოვნოა ჩემთვის საბაბი, რომლის გამოც ამჯერად ბათუმში ჩამოსვლა მომიხდა. მივესალმები მესამე საოპერო თეატრს საქართველოში და ყველას, ვინც ქვეყნისათვის ასეთ კრიტიკულ ვიტარებაში ამ დიდ საქმეს დაუდო სათავე. გადაუჭარბებლად ვამბობ: ჩვენ ვიხილეთ შესანიშნავი „აბესალომ და ეთერი“. დიახ, ეს არის ჩინებულად გააზრებული და განხორციელებული დადგმა, რომლის ყველა კომპონენტი სათანადო დონეზეა. ეს არის სპექტაკლი, გამსჭვალული მაღალი ჰუმანიტარული იდეალებით. სპექტაკლი სიკეთის, სიყვარულის უძღველობაზე.“

**ნათელა ვაჩნაძე** – ისტორიკოსი, პროფესორი: „ბედნიერი ვარ, რომ განვიცადე ის სიხარული და მრევლვარება ახალი თეატრის გახსნას მის პირველ სპექტაკლს რომ ახლავს ხოლმე. ბევრი კარგი დადგმა მინახავს ზ. ფალიაშვილის გენერალური ოპერისა, მაგრამ მსგავსი არასდროს არაფერი! ყველა კომპონენტი ბრწყინვალეა“.

**რევაზ ღლონტი** – საქართველოს წიგნის პალატის თავმჯდომარე: „ყველამ კარგად გავაცნობიერეთ თუ რა უდიდესი მნიშვნელობის მოვლენასთან გვაქვს საქმე, თუ რა ნიშნავს დღევანდელ საქართველოში ასეთი სპექტაკლის დადგმა, ახალი საოპერო თეატრის გახსნა. დიდი მადლობა აჭარის ხელისუფლებას, პირადად ბატონ ა. აბაშიძეს, რომლის ძალისხმევით გარეშე, ამ დიდ საქმეს თავი ვერ დაეღვებოდა“.

**ფრიდონ ხალვაში** – პოეტი: „დღეს ჩვენ დამწუხრებულ სამშობლოს სიხარული სჭირდება და დიდად მახარებს, რომ ეს სიხარული აქედან, ბათუმიდან დაიწყო, სადაც არა ერთხელ გადაიშალა ნათელი ფურცელი ისტორიისა ბათუმში ოპერის თეატრის გახსნით, ომი გამოვუცხადეთ მწუხარებას და ვაეხვებამთ მთელ საქართველოში“.

### **რ. ლალიძის ოპერა „ლელა“**

**ბიძინა კვერნაძე** – კომპოზიტორი: „ძალიან კმაყოფილი ვარ, არაჩვეულებრივია მხატვრობა, რეჟისურა, ქორეოგრაფია, კარგია გუნდი, დირიჟორი, გაოცებას ვერ ვფარავ, როგორ მოახერხეს მოკლე დროში ვოკალის ასე დამუშავება, ამისათვის ხომ უზარმაზარი შრომაა აჭირო“.

**სულხან ნასიძე** – კომპოზიტორი: „ბრწყინვალეა გუნდი, ორკესტრი, მოცეკვავეთა კოლექტივი, სოლისტები, დადგმა, მხატვრობა. ჩემს მიერ ნანახი პრემიერებიდან ბათუმის საოპერო თეატრის „ლელა“ ერთ-ერთი საუკეთესოა“.

**გიგა ლორთქიფანიძე** – რეჟისორი: „ გილლოცავთ ბათუმელებს ამ დიდ დღესასწაულს, მთელ საქართველოს ვულოცავ. ე მეორე დიდი გამარჯვებაა ქართული კლასიკური მუსიკის, ქართული თეატრისა“.

**ცისანა ტატიშვილი** – საქართველოს სახალხო არტისტი: „ეს იყო ზეიმი – ქართული სულის გამოსხივება. ძალიან მომეწონა მთელი სპექტაკლი, ორკესტრი, რომელსაც შესანიშნავად დირიჟორობ დ. მუქერია, არაჩვეულებრივია მხატვრობა, ბრწყინვალედ ასრულებდნენ პარტიებს მომღერლები ა. ხომერიკი. ის ძალიან ემოციური და კარგი პარტნიორია, მომეწონა ახალგაზრდა მომღერალი, ლელას როლის შემსრულებელი, მ. ზვიადაძე, შესანიშნავად ასრულებს გელას პარტიას ზ. ხამთაშვილი. ერთ სიტყვით არაჩვეულებრივი გრძნობა დამეუფლა.“

**ნ. გურაბანიძე** – ხელოვნებატმცოდნე, პროფესორი: „ბათუმის საოპერო თეატრმა ორი უზარმაზარი სიხარული მიანიჭა ქართველ მსმენელს. დღეს ჩვენ ვიხილეთ რ. ლალიძის „ლელა“, რომელიც დასადგმელად ძალიან რთულია თავისი დრამატული ბუნების, დიდი გუნდების, პლასტიკური მოთხოვნების გამო. ყველა სირთულე, რომელიც დგას: დირიჟორის, რეჟისორის, ქორმაისტერის და საერთოდ ყველას წინაშე კარგადაა დაძეული.“

**ჯ. ვიტკინსონი** – ინგლისელი ბიზნესმენი და პროდიუსერი: „საოცრად მოვიხიბლე, ეს იყო დიდებული სანახაობა და ეროვნული ჟღერადობის ამაღელვებელი სპექტაკლი. მიხარია, რომ მისი ხილვის საშუალება მომეცა. გმადლობთ ამ სიამოვნებისათვის“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პრემიების სახელმწიფო კომიტეტმა 1994 წელს მემედ აბაშიძის პრემია მიანიჭა ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში რ. ლალიძის „ლელას“ მაღალ მხატვრულ დონეზე განხორციელებისათვის:

**გაიოზ ჟორდანიას** – დამდგმელ რეჟისორს, ალექსანდრე ხომერიკს – თეატრის სოლისტს და ამხატვრო ხელმძღვანელს, დავით მუქერიას – მთავარ დირიჟორს, მირიან მშველიძეს – მხატვარს, უშანგი მერლიშვილს მხატვარს, ბექარ მონავარდისშვილს – ბალეტმაისტერს, ავთანდილ ჩხენკელს – ქორმაისტერს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტთან არსებული ლიტერატურის, ხელოვნება და არქიტექტურის სახელმწიფო პრემიების კომიტეტის გადაწყვეტილებით შოთა რუსთაველის სახელობის 1995 წლის სახელმწიფო პრემია თეატრის დარგში მიენიჭათ: გიოზ ჟორდანიას (რეჟისორი), ალექსანდრე ხომერიკს (სოლისტი), უშანგი იმერლიშვილს (მხატვარი), ბათუმის საოპერო თეატრში ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერის“, აგრეთვე რ. ლალიძის ოპერა „ლელას“ დადგმისთვის.

### რეცენზიები „აიდას“ შესახებ:

**ნინო რამიშვილი** – სახალხო არტისტი: „დღეს თბილისში ოპერა აღარ არის, დაიხურა ქუთაისშიც, ბათუმში კი არის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ეს დიდი

მიღწევას. დღეს რაც ვნახე და მოვისმინე ამას ნამდვილად არ მოველოდი, შესანიშნავი წარმოდგენაა. ორკესტრი, გუნდი, მომღერლები – ყოველივე უმაღლეს დონეზეა. არ შემიძლია არ აღვნიშნო ბატონ ვ. ლორთქიფანიძის დიდი დამსახურება. იგი აქაც მოწოდების სიმაღლეზე აღმოჩნდა”.

**გუნ ჩენჯვი** – საქართველოში ჩინეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი: „ძალიან კარგი სპექტაკლი იყო, ბევრჯერ მინახავს და მომისმენია ოპერა „აიდა“, მაგრამ დევანდელი წარმოდგენა განსაკუთრებული იყო. აშკარაა, რომ ქართველი ხალხი ძალიან დაწინაურებულია ხელოვნებაში. გულწრფელად მინდა მივულოცო და ვუსურვო მომავალი წარმატებები”.

**ჟან პოლ გობელი** – ვატიკანის წმინდა საყდრის ელჩი საქართველოში: „ვიცოდი, რომ საქართველოს კლასიკური მუსიკის დიდი ტრადიცია აქვს. ის რაც დღეს აქ ვნახე საუკეთესო დასტურია იმისა, რომ ქართველ ხალხს ნამდვილად შეუძლია შექმნას დიდი ხელოვნება. ერთი სიტყვით ჩემი შთაბეჭდილებები ბრწყინვალეა”.

**გიზო ჟორდანი** – რეჟისორი: „ბატონ გიგასთან ერთად, დავით მუქერიასთან, ალექო სომერიკთან, ყველა მონაწილესთან ერთად ვღელავდი, დღეს თავი მიმაჩნდა სპექტაკლის მონაწილედ. გულით ვულოცავ მათ წარმატებებს. ვერდის პარტიტურას შეეჭიდა ბათუმის საოპერო თეატრი, თანაც ასეთი წარმატებით. ეს არის ნაბიჯი წინ!

**ეთერ გუიგუშვილი** – პროფესორი: ეს არის ნამდვილი ზეიმი. არა მარტო ბათუმის თეატრისთვის, არამედ მთელი ჩვენი ქართული მუსიკალური ხელოვნებისთვის, მახარებს ახალგაზრდა მომღერლების წარმატება. განაკუთრებით ამონასროსა და აიდას პარტიების შემსრულებლების. გუნდი, მოცეკვავეები, ქორეოგრაფიული ნამუშევარი, ყველაფერი შესანიშნავად შეკრა რეჟისორმა და დირიჟორმა. ჩანს სპექტაკლის დონე, პროფესიონალიზმი”.

### რეცენზიები „ოტელოს” შესახებ:

ვ. ბრეგაძე – მუსიკათმცოდნე: „შეიძლება ითქვას, აღარ არსებობს ისეთი პარტიტურა, რომელსაც ვეღარ დასძლევს ბათუმის ოპერისა თეატრი. შესანიშნავი იყო გუნდი, ორკესტრმა კარგი შთაბეჭდილება დატოვა. სოლისტებიც მოწოდების სიმაღლეზე იყვნენ. სასიხარულოა, რომ საქართველოში ასე მაღალია მუსიკალური კულტურის დონე”.

ე. შევარდნაძე – საქართველოს პრეზიდენტი: „დიდი მადლობა მინდა გითხრათ შესანიშნავი საღამოსთვის, ეს იყო დიდებული სანახაობა. სულითა და გულით ვულოცავ ბატუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის კოლექტივს და ვიწვევ მას თბილისში საგატროლოდ.

რაც შეეხება სპექტაკლს – დეკორაცია გაკეთებულია ეპოქის სტილში, შესანიშნავი გუნდი და შემსრულებლები კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ ბათუმი კვლავაც რჩება საქართველოს კულტურულ ცენტრად”.

ჯეფ ბლანტი – დიდი ბრიტანეთის ელჩის პირველი თანაშემწე საქართველოში. „ოტელო” აქამდე არ მსმენია, ამჯერად პირველად ვიხილე. ვფიქრობ ძალზე კარგი სპექტაკლია. მთელი დასი შესანიშნავად თამაშობდა და მღეროდა. მშვენიერი იყო ორკესტრი, გუნდი, მხატვრული გაფორმება”.



ა. აბაშიძე – „ვადაყოფ იმით, რომ ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრმა თავისი საქმიანობა ეროვნული წარმოებით დაიწყო, ამჟამად თეატრს კოლექტივს წინ ურთულებს ამოცანა იდგა, უნდა გადაეღება საოპერო ხელოვნების მაღალი ბარიერი, რაც ჩემი აზრით წარმატებით განხორციელდა“.

ღ. არუშანიანი – სომხეთის საელჩოს პრესმდიოვანი საქართველოში: „კოლოსალური შთაბეჭდილება მივიღე, დიდებული იყო ყველაფერი რაც ვიხილეთ და მოვისმინეთ – დეკორაცია კოსტუმები, გუნდი, ორკესტრი, სოლისტების პარტიები, განსაკუთრებულია მთლიანად სპექტაკლი, მომეწონა ყველა შემსრულებელი, მაგრამ მაინც აღვნიშნავდი კასიოს როლის შემსრულებელს (ბადრი სახამბერიძე) საერთოდ იგრძნობოდა, რომ ყველა მსახიობმა მაქსიმალურად გააკეთა ყველაფერი, რაც ამ მომენტში შეეძლო. დიდი მადლობა“.

#### საბავშვო ოპერისა და ბალეტის თეატრი

2001 წლის 18 ივლისი შევიდა ისტორიაში მსოფლიოში პირველი და ერთადერთი საბავშვო ოპერისა და ბალეტის თეატრის დაბადების დღე.

ეს სასწაული მოხდა შავი ზღვის ულამაზეს ქალაქში, ბათუმში – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დედაქალაქში. მკითხველმა სწორად მიიჩნია გამიგოს, როგორც ხელოვნების ერთ-ერთი სტრუქტურული რგოლი ბათუმის ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრს, მსოფლიოში ანალოგი არ აქვს. ისე კი, ბავშვთა ოპერები და ბალეტები არაერთ კომპოზიტორს დაუწერია და წარმატებით იდგმება მსოფლიო საოპერო თეატრების დიდ სცენებზე.

საპრემიერო სპექტაკლს „პრინცესა ტურანდოტს“ უამრავი მსმენელი დაესწრო. თეატრის დარბაზი გადაჭედილი იყო სრული ანშლაგით. ძალიან ბევრნი იყვნენ როგორც უცხოეთიდან ისე თბილისიდან და საქართველოს სხვა რეგიონებიდან.

მაყურებელი მოხიბლა სცენის ვიზუალურობამ – ბრწყინვალე დეკორაციებმა, ნორჩ შემსრულებელთა ჩაცმულობამ, მათმა საშემსრულებლო ხმებმა, საბალეტო ნომრებმა, მსახიობურმა ოსტატობამ. ყველანი ერთად დიდი მონდომებითა და მთელი დატვირთვით ასრულებდნენ თავის ფუნქციას.

გაზეთი „აჭარა“ 2001 წლის 21 ივლისს აქვეყნებს ალექსანდრე გობრონიძის სტატიას, სათაურით „პირველი დაერთადერთი“, სადაც აღნიშნავს „...როგორც პედაგოგიკის მეცნიერების ერთ-ერთი წარმომადგენელი, განსაკუთრებით იმან მოხიბლა, რომ სპექტაკლში მონაწილეობდა 200-ზე მეტი ბავშვი დაწყებული სასკოლო უმცროსი ასაკიდან უფროსი სასკოლო ასაკის ჩათვლით. ალბათ ანალოგი არ ახსოვს მსოფლიო პედაგოგიკის ისტორიას, ამიტომ შემიძლია გაბედულად ვთქვა, რომ ეს არის ახალი წონადი სიტყვა და საქმე პედაგოგიკის მეცნიერების განვითარებაში, რაც სათანადო შეფასებას, აღიარებას და განზოგადებას ითხოვს.“

...წარსულში შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ფინალმა, როდესაც სპექტაკლი დამთავრდა და მონაწილეებმა და დამდგმელმა რექსორმა სცენაზე მიიხმე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური ბატონი ასლან აბაშიძე. ვფიქრობ, ჩვენმა ტელევიზიამ და ფოტორეპორტირებმა ისტორიას უნდა შემოუნახოს ეს სიხარულისა და

აღტაცებს არაჩვეულებრივ გამოვლინების სურათი და უდიდესი მადლიერება იმ კაცისადმი, რომელმაც მთელი სული და გული, ნებისყოფა, ძალისხმევა მოანდომა ამ საერთაშორისო მნიშვნელობის საქმეს – შექმნა ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრი, მაგრამ ის მიღწეულზე კიდევ არ ჩერდება, ამ დღეებში ხელი მოაწერა ბრძანებულებას ბავშვთა სახელმწიფო კაპელის დაარსების შესახებ.

ახლა, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, ღრმად მჯერა, რომ ჭეშმარიტი აღზრდა იხარულით აღზრდაა, რაც ბავშვისათვის სულიერი საზრდოს როლს ასრულებს.

ანალოგიურად განსაკუთრებული მსჯელობისა და ანალიზის საკითხია ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრში მონაწილე: ქ. ბათუმის საშუალო-სკოლების, სასწავლო-აღმზრდელობითი კომპლექსის, კლასიკური, აკადემიური და სასულიერო გიმნაზიების, ლიცეუმ „ვერო 2000“-ის, ხელვაჩაურის რაიონის, ურეხის, მახნჯაურის, კახაბრის, ახალშენისა და სამების საშუალო სკოლების, წ. ქობულეთის გიმნაზიის მოსწავლეები, რომლებიც საესტრადო ანსამბლების მონაწილეები იყვნენ, საოცრად ერთსახად თითქოსდა, შეუძლებელს წარმოსახავენ. მონაწილეები ხდებიან კლასიკური ოპერის შემსრულებლები. კომპოზიტორები: ჯ. ვერდის, ვ.ა. მოცარტის, პ. ჩაიკოვსკის, შ. გუნოს, ზ. ფალიაშვილის, ო. თაქთაქიშვილის, ქ. ბიზეს, ვ. ბელინის, რ. ლეონკოვალოს, ჯ. პუჩინის, ი. კალმანის, ჯ. გერშვინის, ჩ. ლოუს, ლ. ბისკარდის, ა. ბუცი-პეჩიას, ე. კურტიის, ლ. დენცას, პ. ლაბრიოლას, ე. კაპუას, ნ. ვიეტას, ე. კიარას, ც. ბიკრიოს ურთულეს ნაწარმოებებს ასრულებენ.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. 1999 წლის 12 აპრილს აჭარის ტელერადიოდეპარტამენტთან არსებულმა საბავშვო მუსიკალურმა სტუდიამ „ჩანგმა“ ბათუმის სახელმწიფო თეატრში კონცერტი გამართა, რომლის პროგრამაც ძირითადად შედგებოდა საოპერო კლასიკური ნაწარმოებებისაგან, კონცერტის შემდეგ ავტონომიური რესპუბლიკის მეთაური მიესალმა, მადლობა გადაუხადა კოლექტივს და შესთავაზა: „ვიფიქრობ, სტუდიის შემოქმედებითი პოტენციალი ისე გაიზარდა, რომ არის შესაძლებლობა ვიფიქროთ, ბავშვთა ძალეებით საოპერო სპექტაკლის შექმნაზე“.

რა თქმა უნდა, ეს იყო იმ დიდი შემოქმედებით. აღმზრდელობითი და ორგანიზაციული მუშაობის ნაყოფი, რომელსაც ეწეოდნენ სტუდიის ხელმძღვანელები თენგიზ შამილაძე, მანანა ჩაუშბა, გია ჩიჩუა, პედაგოგები მიმოზა კილაძე, გონა არობელიძე, თემურ შამილაძე, ნატო ჩიჩუა, კომპოზიტორი მინდია ხითარიშვილი, (სიამოვნებით უნდა მოგახსენოთ, რომ ყველა ზემოხსენებული პიროვნებები ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის კურსდანიშნულნი გახლავთ).

ამ მუშაობის შედეგი იყო ისიც, რომ მაისში 2001 წელს მოსკოვში გამართული აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების ოსტატთა კონცერტებში დიდი წარმატებით გამოვიდნენ სტუდია „სანგის“ აღსაზრდელები.

ოპერა „პრინცესა ტურანდოტის“ დადგმის იდეა ეკუთვნის აჭარის ხელოვნების დამსახურებულმუშაკს თენგიზ შამილაძეს. „ჩანგელებს“ ბატონმა თენგიზმა შესთავაზა გამოეყენებინათ კარლო გოზის ზღაპრის „ტურანდოტის“ სიუჟეტი. თანდათან, ამ ზღაპრის წაკითხვისა და პუჩინის ოპერის „ტურანდოტის“ ლიტერატურული ტექსტის გააზრების, კამათის პროცესში, გამოიხატა დადგმის კონცეფცია. პარალელურად, ყოველი სოლისტის ინდივიდუალური მონაცემების გათვალისწინებით, მუშაობდნენ მუსიკალური მასალის შესაგროვებლად. შეუძლებელია არ აღინიშნოს ქალბატონ მანანა ჩაუშბას უდიდესი შრომისმოყვარეობა, რომელმაც მოხიბლა თვით მაღალი გემოვნების მაყურებელიც კი. მათ მოამზადეს 12 მუსიკალური ნომერი. ამ ნომრებს გაეცნო ბატონი

ასლან აბაშიძე, სწორედ მისი რეკომენდაციით სტუდიის აღსაზრდელებთან ერთად მიიწვიეს ბათუმის სახელმწიფო ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის წევრები, კლასიკური ბალეტის სკოლა-სასწავლებლისა და სასწავლო ტეატრის აღსაზრდელები. სოლისტთა შემადგენლობაში ჩაირიცხა ქაალქის სხვა სტუდიის რამდენიმე ბავშვი 2000 წლი აგვისტოში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ბათუმის ბავშვთა ოპერისა და სახელმწიფო თეატრის შექმნის თაობაზე.

თავდაპირველად, როგორც „ჩანგის“ ხელმძღვანელობამ გვითხრა, სპექტაკლი ერთაქტიანი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ბატონი ასლან აბაშიძის რეკომენდაციით და თანადომით, აჭარის კულტურის ფონდის პრეზიდენტის ქალბატონ მაგული გოგიტიძის ფინანსური მხარდაჭერით, მუსიკალური სპექტაკლი ორ ნაწილად დაიდგა.

ბათუმის ბავშვთა ოპერისა და ბალეტის თეატრის დაარსების დღე 2001 წლის 18 ივლისია. იგი ოქროს ასოებით ჩაიწერა ქართული მუსიკალური კულტურის განვითარების ისტორიაში. ცოტა რამ ოპერის დამდგმელებზე და შემსრულებლებზე.

თუ ნიჭიერია პიროვნება, ის შეუძლებელს შეძლებს – ეს აქსიომაა. მაგრამ ზოგიერთი პედანტი პედაგოგი (მომიტვევთ კონკრეტულობისათვის) უკვე მოძველებულ, მანკიერ წესებს ვერ უხვევს და მოსწავლეს მის ჩარჩოებში ზღუდავს, არ აძლევს თავისუფალი აზროვნების, თავისი ინდივიდუალობის მუსიკალური ტერმინოლოგიით ინტერპრეტაციის გამოხატვის საშუალება, ვერ წარმოუდგენია თუ შეიძლება დაწესებული პროგრამის იქეთ სხვა ნაწარმოები შესრულდეს. ხშირ შემთხვევაში მიაჩნიათ, რომ ვერ დაძლევენ. და ამ დროს დიდ შრომას, გარჯას, დიდ ნებსყოფას ნიჭიერებასთან ერთად დიდ სიხარულთან მიჰყავართ.

ამ შემთხვევაში ბავშვთა ოპერისა და ბალეტის მთავარი ქორმაისტერის და ვოკალის პედაგოგის მანანა ჩაუშბას უდიდესი, ტიტანური შრომის შედეგის ფერვერკი გახლდათ. მის მიერ მომზადებული და წარმოდგენილი 40-ზე მეტი სოლო ნომერი, ოპერის ნორჩი სოლისტის შესრულებით, შეძლო მაღალი გემოვნების მსმენელის აღფრთოვანება. რაც რეპერტუარი სწორი შერჩევით, სასიმღერო არიების თუ ანსამბლების, გუნდების ვოკალის დახვეწილი შესრულების მანერით, ხმის ხარისხით, ტემბრალური სიხასხასით, რეგისტრებს დაბალი, შუა, ზედა ერთნაირად მქდერადი, სწორი სუნთქვით და საბოლოოდ ხასიათის სწორი მიგნებთ აისახება.

სიურპრიზი გახლდათ ოპერის მუსიკალური თანხლება. ყველა საორკესტრო პარტია სრულდებოდა ჩაწერილ აუდიოფონოგრამაზე. ამან შეიძლება მუსიკოსთა აზრთაცვალებადობა გამოიწვიოს. ოპერა – თავისთავად გულისხმობს ცოცხალ შემსრულებლებს და ცოცხალ მუსიკას, დირიჟორი და ორკესტრი სული და გულია ოპერისათვის. აქ კი ჟანობრივად ახალი ფორმის ოპერა მივიდეთ. სიახლეს წარმოადგენს მინდია ხითარიშვილის მიერ არანჟირებული საორკესტრო ფონოგრამა, რომელიც მე ვიტყვდი დიდი გაბედული ნაბიჯია და მსმენელმაც კარგად მიიღო.

სპექტაკლის მომზადებითვის კოლოსალური მუშაობა გასწიეს მუსიკალურმა ხელმძღვანელმა თენგიზ შამილაძემ, დამდგმელმა რეჟისორმა გიზო ჟორდანიამ, მხატვრებმა იური გეგეშიძემ და ვახტანგ ბესელიამ, ლიბრეტოს ავტორმა და ხმის რეჟისორმა გია ჩაჩუამ, ბალეტმეისტერებმა რუსუდან და ვასო აბაშიძეებმა და სხვებმა და სხვებმა.

რაც შეეხება ბავშვებს, ოპერისა და ბალეტის შემსრულებლებს ისინი ყველანი საუკეთესონი იყვნენ და იმდენად ბევრი არიან, რომ მათი ცალკეული დახასიათება შორს წაგვიყვანდა.

ჩემი პედაგოგიური თვალთახედვით, და არა მარტო ჩემი მოსაზრებით, ასეთ მოკლე დროში, რაც ამ ნიჭიერმა ბავშვებმა შეძლეს გარკვეული სწავლების წლების გავლის შემდეგაც ბევრისთვის მიუწვდომელია. აქ კი, ბავშვებმა თავისი შესაძლებლობის უსასრულო გამოავლინეს.

ამაზე იტყვიან, დიდება გენს, დიდება ერს...

„დღესასწაული, რომელიც სამუდამოდ თან გამყვება” – ასეთი სათაურით 2001 წლის 7 აგვისტოს „აჭარა” აქვეყნებს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, თბილისის კონსერვატორიის პროფესორის გულბათ ტორაძის წერილს, რომელიც ეძღვნება „პრინცესა ტურანდოტის” საპრემიერო სახეიმო დადგმას. ბატონ გულბათი ღრმა ანალიზს ვრცელ სტატიის სახეობით აღნიშნავს... „რომ, დღეს სულიერებისა და ზნეობის მწვავე დეფიციტის პირობებში, აი, ასეთი სულისკვეთება, ასეთი ხელოვნება მართლაც გადაარჩენს მთელ კაცობრიობას თუ არა, ჩვენს ერს მაინც!”

„სიმღერა – მუსიკაში შეხვეული ბავშვთა ხოშაკალივით, სეტყვასავით მაცვივოდა ციდან. ამოხეთქილი შადრევანი იყო ხმებისა. ეს მტკელი საქართველოსათვისაა საამაყო და არა მხოლოდ აჭარისათვის, ბათუმისათვის” – აღნიშნავს ჩვენი სასიკადალო პოეტი ფრიდონ ხალვაში და თავის ინტერვიუს ასე აგრძელებს... „ჩვენ რაღაც ისეთი ჩავიდინეთ, რასაც დიდმა ქვეყნებმაც უნდა მოგვბაძონ. მათ შორის, ამერიკის შეერთებულმა შტატებმაც, საფრანგეთმაც და ოპერის დედა – სამშობლომ – იტალიამაც”.

2001 წლის 18 ივლისს გაზეთი „აჭარა” პირველ გვერდზე მკითხველს ამცნობს, რომ „დღეს პრემიერა! დღეს ხელოვნების, ნიჭიერების, სილამაზის ზემოქანია!” „საიმპერატორო” თეატრი დიდ მეჯლისზე გეპატიუებათ. იჩქარეთ, ასეთი რამ საუკუნეში ერთხელ ხდება! გახდით თანამონაწილენი ამ დღესასწაულისა და თქვენ კიდევ ერთხელ აღიარებთ, რომ ადამიანის შესაძლებლობებს საზღვარი არ აქვს.

გაზეთი „აჭარა”, 19 ივლისი, 2001 წ. პირველ გვერდზე აღნიშნავს, რომ „პრემიერა ტრიუმფით შედგა!”...მაყურებელი ოვაციით შეხვდა მათ პირველ წარმოდგენას – კარლო გოცის „პრინცესა ტურანდოტის” მიხედვით შექმნილ მუსიკალურ სპექტაკლს.

... სპექტაკლი აჭარის ტელევიზიამ პირდაპირი ეთერით გადასცა და მის ნახვის შესაძლებლობა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ მსოფლიოს მილიონობით მაყურებელს მიეცა.

... რა თქმა უნდა, ძნელია გადმოსცე ის განცდა და მღელვარება, რაც აცრემლებულ მაყურებელს დაეუფლა სპექტაკლის ნახვის შემდეგ... გაზეთი „აჭარა” 20 ივლისს, 2001 წ. უჩვეულო პრემიერის პირველი შთაბეჭდილებების ირგვლივ ბეჭდავს მანანა ძიძიშვილის აღფრთოვანებულ წერილს „ამაღამ არავის დაეძინება”.

ეს არის გაგრძელება იმ ხაზისა, რომელიც 1991 წლის ბოლოს დავიწყეთ და დავამთავრეთ სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის შექმნით. იყო დიდი წარმატებები, ორი დადგმა და ორი უმაღლესი ჯილდო, შოთა რუთაველი პრემია, შემდეგ კიდევ უფრო დიდი სიმაღლეები – „აიდა”, „ოტელო”, მერე სახელმწიფო კაპელა

და სიმფონიური ორკესტრი, ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი – მართლაც ფანტასტიკური, რომლის მსგავსიც არ გვინახავს და ა. შ. შემიძლია ჩამოგითვალოთ სხვა კოლექტივებიც.

...დიდი სცენა მართლაც სჭირდებოდათ მოზრდილებს, მაგრამ ეს ბავშვები, მათი ხელოვნება ახალ სივრცეს ითხოვს, ახალ საოპერო თეატრს, სცენას, ქლერადობას, აკუსტიკას, თანამედროვე აპარატურას... თუმცა მათ აქვთ ყველაზე თანამედროვე აპარატურა რაც კი არსებობს მსოფლიოში, და იცინი ღირსნი არიან ამისა.

...ეს გამარჯვებაა! მთელი საქართველოს პატარებს, ახალ თაობას ვუსურვებდი, ჩაბმულიყვნენ ასეთ ფერხულში და სიმშვიდის,წინსვლის მეტი ცხოვრებაში არაფერი ენახოთ. ვიცი, რომ შეიძლება ტალანტის გამოვლინება, იგი თითოეულ ადამიანში დევს და ეს ძაულმად მისდევს ჩვენს ხალხს”.

აქვე, გაზეთის ფურცლებზე, უკომენტაროდ დაბეჭდილია ოპერა „პრინცესა ტურანდოტის” 20-ზე მეტი ამსახველი ფოტომასალები.

გაზეთი „აჭარა” 21 ივლისი, 2001 წლის №192 პირველ გვერდზე ფეიერვერკივით ასახავს მასალებს პრემიერის ტრიუმფის ირგვლივ აქვეყნებს ფერად სურათებს,აღექსანდრე გობრონიძის სტატიას „პირველი და ერთადერთი”, პრემიერის შემდეგ გამოთქმულ თვალსაჩინო მოღვაწეების კმაყოფილებით აღქმულ შეფასებებს. აქ შეხვდებით გიორგი ცინცქილაძის – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის, როსტომ ჯაფარიძის – საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერის, მამუკა არეშიძის – კავკასიის საკითხები ექპერტის, ნოდარ ფალავას – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის და კონსერვატორიის რექტორის, გულბათ ტორაძის – თბილისის კონსერვატორიის პროფესორი, გიზო ჟორდანიას – დამდგმელი რეჟისორის, ბატუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის სოლისტების: მარინა ჯახუტაშვილის, მარინა ზვიადაძის, თამარ ჯავახიშვილის, ზაზა ხამათაშვილის, ბექარ მონავარდისაშვილის, ბათუმის კლასიკური ბალეტის სკოლა-სასწავლებლის დირექტორის – ვასო აბაშიძი, სამხატვრო ხელმძღვანელის რუსუდან აბაშიძის, რუსეთის ფედერაციის დიდი თეატრის სოლისტის – ბადრი მაისურაძის, მოჭადრაკე – ნანა იოსელანის, რეჟისორის – ქეთი დოლიძის, საქართველოს ტელევიზიის მეორე არხის გენერალური დირექტორის მოადგილის – მერაბ ოდიშარიას, პოეტ – ფრიდონ ხალვაშის, კონსერვატორიის დოცენტის – დოდო ჯვარშეშვილის, ვენის სამუსიკო უნივერსიტეტის მაგისტრს – ნიკა მემანიშვილის და ოპერა „პრინცესა ტურანდოტის” სცენარის ავტორისა და ხმის რეჟისორს – გია ჩიჩუას ემოციებით აღსავსე გამოთქმებს და სხვა და სხვა გამარჯვების აღმნიშვნელ ფრაზებს.

ოპერა ცხოვრობს წარმოდგენებით, გასტროლებით. მისი ახალგაზრდა სოლისტები მსოფლიო კონკურსების მონაწილეები და ლაურეატები ხდებიან... თურქეთის ასპინდოსის საერთაშორისო ფესტივალზე ბათუმის საოპერო დასის ოპერა „ოტელოს” ბრწყინვალე შესრულებამ განაპირობა ბატუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის საყოველთაო აღიარება. თვალეგაბრწყინებული მსმენელები ლაკონურად წარმოთქვამდნენ: „საოცრებაა”, „ეს ნამდვილი სასწაულია”, „ფანტასტიკაა”. მართლაც, იინი გახლდათ დიდებული პექტაკლები, უზადო და გამორჩეული როგორც მუსიკალური თვალსაზრისით, კოსტიუმების სიმდიდრითა და სილამაზით მოკლედ, ოპერა ბათუმში სასიამოვნო რეალობად იქცა.

ბუნებრივია, ოპერისათვის კადრების მიწოდება იყო საჭირო. ოპერისა და ბალეტის თეატრის ნორმალური ფუნქციონირების და აღმავლობისთვის აუცილებელ პირობას წარმოადგენდა მატერიალურ ტექნიკური და საგანმანათლებლო ბაზის შექმნა. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმატებაზე და აღმავლობაზე ლაპარაკი უხედვე იქნებოდა. ამ პრობლემების გადასაწყვეტად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 1998 წლის 28 მარტის №29 დადგენილებით ბათუმში სამუსიკო საწავლებლის ბაზაზე დაარსდა სახელმწიფო კონსერვატორია.

### ზაქარია ფალიაშვილის სახელობის

#### ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია

სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსების თაობაზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში ვკითხულობთ:

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი აღნიშნავს, რომ უკანასკნელ წლებში ქალაქ ბათუმსა და მთლიანად აჭარაში მნიშვნელოვანი ღონისძიებანი განხორციელდა კულტურისა და ხელოვნების სხვადასხვა დარგის აღორძინება-განვითარებისათვის. შენარჩუნებულ იქნა და კიდევ უფრო განვითარდა სამუსიკო სკოლებისა და ქალაქ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. ისინი დაკომპლექტდა გამოცდილი პედაგოგებით, ამაღლდა სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო და სხვადასხვა ანსამბლის შემოქმედებითი პოტენციალი, ყოველივე ამან საფუძველი შეგვიქმნა ბათუმში დაგვეარსებინა ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი, რომელმაც მოკლე დროში დიდი აღიარება მოიპოვა. იგი მიწვეულია თბილისის პაატა ბურჭულაძის სახელობისა და თურქეთის ასპინდოსის სახელმწიფო საერთაშორისო ფესტივალზე“.

სახელმწიფო კონსერვატორია არის საქართველოს რესპუბლიკის უნივერსიტეტის სტატუსის მქონე უმაღლესი სასწავლებელი, სარგებლობს ავტონომიის უფლებებით.

კონსერვატორიის მისამართია: ბათუმი, დიმიტრი თავდადებულის №20.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1998 წლის 13 ავლისის № 161 დადგენილებით დამტკიცდა კონსერვატორიის სტრუქტურა და წესდება.<sup>57</sup>

1999 წელს ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიას მიენიჭა დიდი ქართველი კომპოზიტორის ზ. ფალიაშვილის სახელი.

კონსერვატორიის სტრუქტურის ერთეულებია:

რექტორატი

სასწავლო ნაწილი

სამეცნიერო ნაწილი

<sup>57</sup> ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის წესდება №161 დადგენილება

ადმინისტრაციულ-სამეურნეო ნაწილი

ფაკულტეტები: ა)საშემსრულებლო ბ)სპეციალური მუსიკალური და ზოგადი დისციპლინების.

კათედრები: ა)საფორტეპიანო; ბ)კამერული ანსამბლისა და საკონცერტმაისტერო კლასის; გ)სოლო სიმღერის; დ)საოპერო მომზადების; ე)საერთო ფორტეპიანო; ზ)საგუნდო-სადირიჟორო; თ)საორკესტრო; ი)კამერული სიმღერის; კ)საზოგადოებრივ მეცნიერებათა.

ქვეგანყოფილებები: ა)ცენტრალური სამუსიკო სკოლა; ბ)სამუსიკო სასწავლებელი.

კონსერვატორია ამზადებს მუსიკალური ხელოვნების დარგის მაღალკვალიფიციურ სპეციალისტებს. პირველი გამოშვება კონსერვატორიას ექნება 2000-2001 სასწავლო წელს.

კონსერვატორიის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები წარმატებით მონაწილეობენ რესპუბლიკურ და საერთაშორისო კონკურსებში, სამეცნიერო კონფერენციებში და სხვა.

სახელმწიფო კონსერვატორიის და მისი ქვეგანყოფილების ბიუჯეტი შეადგენს 350 450 ლარს. აქედან:

კონსერვატორიის – 222 420 ლარი.

სამუსიკო სასწავლებლის – 79 670 ლარი

ცენტრალური სამუსიკო სკოლის – 48 360 ლარი.

კონსერვატორიის მმართველობის უმაღლესი ორგანოს წარმოადგენს გაფართოებული საბჭო, რომელზეც განიხილება კონსერვატორიის მთელი საქმიანობის ძირითადი და საკვანძო საკითხები.

კონსერვატორიაში მუშაობს რექტორატის საბჭო, რომელიც არსებითად კოლექტიური ხელმძღვანელობის ინსტრუმენტს და მმართველ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, სწორედ რექტორატის საბჭოს სხდომებზე ყალიბდება კონსერვატორიის გაფართოებული საბჭოს სხდომაზე გამოსატანი პროექტებისა და წინადადების უმეტესი ნაწილი.

კონსერვატორიაში, გეგმაზომიერად ხორციელდება აღმზრდელობითი ღონისძიებები, შემოქმედებითი შეხვედრები, კონცერტები, ლიტერატურულ-მუსიკალური საღამოები, სპორტული შეჯიბრებები, რომლებიც შინაარსიანსა და საინტერესოს ხდიან სტუდენტთა ცხოვრებას. ხელს უწყობენ მათ ზნეობრივ, ინტელექტუალურ, კულტურულ და ფიზიკურ განვითარებას.

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელზე არაერთხელ საფუძვლიანად თქმულა: „ყოველგვარი გადამეტების გარეშე შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგიური კოლექტივის შემადგენლობა თავის საქმეში იმდენად ძლიერი და მომზადებულია, ნებისმიერ კონსერვატორიას გაუძღვებოდა...“

„...სასწავლებელმა ჩვენი, აჭარის მხარისათვის მართლაც ჩინებულად და წარმატებულად შეასრულა კონსერვატორიის როლი და დანიშნულება“.<sup>58</sup>

1998 წლის 26 მარტიდან, ბათუმის კონსერვატორიის დაარსების დღიდან, მისი დირექტორია ნოდარ ფაღავა. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ ახლად დანიშნულმა დირექტორმა, ნიჭიერმა კომპოზიტორმა, ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ნოდარ ფაღავამ იმთავითვე საგანგებო ყურადღება დაუთმო სწავლების ხარისხის ამაღლებას. თავიდანვე სწორი გადაწყვეტილება მიიღო – კონსერვატორიის დაქვემდებარებაში გააერთიანა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი და №1 სამუსიკო სკოლა. რამაც ხელი შეუწყო სკოლებს, ფართო ასპარეზი გადაეშალათ ნიჭიერი მოსწავლეებისათვის, უპირველეს ყოვლისა, მათ მოამზადებს კონსერვატორიაში შესასვლელად.

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში თანამშრომელთა დემოგრაფიული მონაცემებით 175 თანამშრომელი ღირსეულად უძღვება მუსიკოსთა მომავალი კადრების აღზრდას. მათ შორის 4 პროფესორია, 13 დოცენტი, 10 უფროსი მასწავლებელი, 50 მასწავლებელი, 10 კონცერტმასტერი, 15 ლაბორანტი, 70-ზე მეტი ტექნიკური პერსონალი.

ქვეგანყოფილების 40-ზე მეტი პროფესორ-მასწავლებლებს მიღებული აქვთ უმაღლესი ორგანოების ჯილდოები. მათ შორი არიან შოთა რუსთაველისა და მეგედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატები, მსოფლიო ფესტივალებისა და რესპუბლიკის კონკურსების ლაურეატები, ამიერკავკასიის ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი, საქართველოს რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა კონკურსის ლაურეატები, საქართველოს რესპუბლიკის და აჭარის არ. დამსახურებული მოღვაწეები.

კონსერვატორიას ემსახურება ხუთი ადმინისტრაციული პერსონალი:

რექტორი – ნოდარ ფაღავა; დოცენტი;

პრორექტორი სასწავლო დარგში – ზურა გოგოტიშვილი, დოცენტი;

პრორექტორი ადმინისტრაციულ დარგში – ომარ ჩიტაიშვილი, დოცენტი;

პრორექტორი სამეცნიერო დარგში – კარლო ცომაია, დოცენტი;

სასწავლო ნაწილის გამგე – გულნარა ახვლედიანი – დოცენტი;

კონსერვატორიაში ათი კათედრა და სამი დეკანატი ფუნქციონირებს:

საფორტეპიანო – გამგე მ. შური, პროფესორი;

საკონცერტმასტერო – გამგე ლ. ჭელიძე, დოცენტი;

სავალდებულო ფორტეპიანო – გამგე ც. რუსიძე, დოცენტი;

საოპერო კლასის – გამგე მ. ჯახუტაშვილი, დოცენტი;

სოლო სიმღერა – გამგე მ. მახარაძე, დოცენტი;

სიმებიანი საკრავი – გამგე თ. შალვაშვილი, დოცენტი;

<sup>58</sup> თ. კომახიძე, „აჭარის კულტურის ისტორია“, ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“ გვ. 599.



მუსიკათმცოდნეობა – გამგე ე. ქიქავა, დოცენტი;

საგუნდო-სადირიჟორო – გამგე ო. ჩიტიშვილი, დოცენტი;

ზოგადი თეორიული დისციპლინები – გამგე შ. ზოიძე, პროფესორი;

საშემსრულებლო ფაკულტეტი – დეკანი ჯ. ბაუჟაძე, დოცენტი;

სოლო და საოპერო ფაკულტეტის დეკანი – დ. ჯვარაშიშვილი, პროფესორი;

ზოგად-თეორიული დისციპლინებს, მუსიკათმცოდნეობის და საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტების დეკანი – ლ. ხარებავა, დოცენტი;

კონსერვატორიაში შემაგალი სპეციალობები და მათში

მომუშავე პედაგოგთა პერსონალი

## 1. საკომპოზიტორო სპეციალობა №1000<sup>59</sup>

ფაღავა ნოდარ

კეჭაყმაძე იოსებ

კვერნაძე ბიძინა

## 2. საფორტეპიანო სპეციალობა №(701)

ბაუჟაზე ჯინევრა – საშემსრულებლო ფაკულტეტის დეკანი, უფ. მასწავლებელი  
გოგოტიშვილი თეა – კონცერტმეისტერი

გოლეთიანი მანანა – მასწავლებელი

გეგიძე თინათინ – კონცერტმეისტერი

ერქომაიშვილი ელა – მასწავლებელი

ზამბახიძე ნანული – მასწავლებელი

თოფურიძე თამარ – კონცერტმეისტერი

კომახიძე ლეილა – მასწავლებელი

კირიჩენკო თამარ – მასწავლებელი კონცერტმეისტერი

ლორთქიფანიძე რუსუდან – მასწავლებელი

<sup>59</sup> მუსიკათმცოდნეობა და საკომპოზიტორო სპეციალობები ერთი სასწავლო გეგმით ხელმძღვანელობენ.

მიქელაძე იზო – მასწავლებელი

მელია ლიანა – კონცერტ. მაისტერი

ორაგველიძე ნატო – კონცერტ მაისტერი

რაზმაძე ქეთევანი – კონცერტ. მაისტერი

რუსიძე ციური – მასწავლებელი სავალდებულო ფორტეპიანოს კათედრის გამგე

სალუქვაძე მანანა – კონცერტ. მაისტერი

სოსელია ეკატერინე – მასწავლებელი

დოლოლიანი ევგენია – კონცერტ. მაისტერი.

შური მარია – საფორტეპიანო კათედრის გამგე, დოცენტი

ჩაიძე ნინო – კონცერტ. მაისტერი

წითლიძე ნატო – მასწავლებელი

ჭელიძე ლალი – კონცერტ. მაისტერი და კამერული ანსამბლის კათედრის გამგე.  
უფროსი მასწავლებელი.

ხერუი ირა – უფროსი მასწავლებელი

ხარჩილავა მანანა – მასწავლებელი

3. სოლო სიმღერა, სპეციალობა № (800)

ბურნაშევა ლუდმილა – მასწავლებელი

გიორგაძე სულიკო – მასწავლებელი

გველესიანი ტარიელ – მასწავლებელი

ვარშანიძე ნოდარ – დოცენტი

მახარაძე მურმან – სოლო სიმღერის კათედრის გამგე, დოცენტი

პოლიხრონიდი აგლაია – მასწავლებელი

ტაკიძე ამირან – მასწავლებელი

ქავთარაძე ალექო – მასწავლებელი

ხომერიკი ნათელა – მასწავლებელი

ცერიაშვილი თამაზ – მასწავლებელი

ჩხენკელი მარგალიტა – მასწავლებელი

ჯახუტაშვილი მარინა – საოპერომცოდნეობის კათედრის გამგე, დოცენტი

ჯვარშიშვილი დოდო – დეკან, დოცენტი

ხუციძე ქეთევან – ექიმ-ფონიატრი

#### 4. საგუნდო-სადირიურო სპეციალობა № (900)

გვაზავა რუსლან – მასწავლებელი

გველესიანი ლიანა – მასწავლებელი

ვადაჭკორია ზაირა – მასწავლებელი

კეჭექმაძე იოსებ – პროფესორი

ლომთათიძე მარინა – კათედრის გამგე, მასწავლებელი

მანელიშვილი ქეთინო – მასწავლებელი

მუხაშავრია ქეთინო – მასწავლებელი

სარჯველაძე ზვიად – მასწავლებელი

ჩხენკელი ავთო – დოცენტი

#### 5. მუსიკათმცოდნეობის სპეციალობა № (1000)

ახვლედიანი ელენე – მასწავლებელი

გოგოტიშვილი ნატო – მასწავლებელი

გელავა რუსუდანი – მასწავლებელი

დუმბაძე ანა – მასწავლებელი

მანაგაძე ხათუნა – მასწავლებელი

საღარაძე გურამ – უფროსი მასწავლებელი

ფხაკაძე ვიოლა – მასწავლებელი

ქიქავა ედნარი – დოცენტი, მუსმცოდნეობის კათედრის გამგე

ცივაძე ლემანი – მასწავლებელი

ხარებავა ლია – დეკანი, მასწავლებელი

ჯანიკაშვილი ნანა – მასწავლებელი

## 6. სიმებიანი № (702)

შალვაშვილი თემურ – კათედრის გამგე უფროსი მასწავლებელი

სოლოვიოვი ვიტალი – მასწავლებელი

კობახიძე ირინა – მასწავლებელი

## 7. სასულე (703)

კალანდაძე შოთა – მასწავლებელი

გალუსტოვი რომა – მასწავლებელი

ბურჭულაძე სიმონ – მასწავლებელი

მუქერია ბორის – მასწავლებელი

ალაფიშვილი მამუკა – მასწავლებელი

მუქერია დავით – დოცენტი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის პედაგოგიური პერსონალი

ზოიძე შოთა

ბიბილეიშვილი იური

ქორიძე ნათია

გიორგაძე ოთარი

მეგრელიძე ციალა

მესხია ერმილე

მენაბდე ავთანდილი

სიორიძე მარინა

შოთაძე ნანა

გიორგაძე მედეა

ბაღდავაძე გივი

გვალია ნინო

გუნდის მსახიობები

ფაღავა ნინო

ხალვაში ნინო

ჩახვაძე გია

ქლერი მამუკა

ქინქლაძე ალექო

ფაღავა ნუგზარ

რობაქიძე ბაჩუკი

დობორჯგინიძე მამუკა

ჩხაიძე მიხეილი

ქინქლაძე ზაზა

კლარჯეიშვილი ნანა

ვასაძე ნინო

მაღაყმაძე საჩინო

დოლიძე შორენა

მიქელაძე მარინა

აროშიძე ნატო

მოწვეული მსახიობები

გიორგაძე გოგი

ანთიძე ბორის

პაპიძე ზაზა

ბოჭორიშვილი მერაბ

შალვაშვილი დავით

დიასამიძე გიორგი

ჩახვაძე შალვა

გორაძე ეთერი

კალანდაძე ხათუნა

ცეცხლაძე ირმა

თხილაიშვილი ინგა

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში 7 სპეციალობაა:

საფორტეპიანო – 24 მასწავლებელი

სოლო-სიმღერა – 14 მასწავლებელი

საკომპოზიტორო – 3 მასწავლებელი

საგუნდო-სადირიუორო – 9 მასწავლებელი

მუსმცოდნეობა – 11 მასწავლებელი

სიმებიანი საკრავი – 4 მასწავლებელი

სასულე ინსტრუმენტები – 5 – 70 მასწავლებელი

სტუდენტთა კონტინგენტი: – Iკ. - IIკ. – IIIკ. – IVკ. – Vკ. – ყველა კურსზე.

მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსებში გამარჯვებულთა სია

1999 წელი

კონსერვატორიის პირველი კურსის სტუდენტი თეა ბარამიძე (ფორტეპიანო) – მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსში, დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი ნარგიზ სამნიძე (სოლო სიმღერა) – მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსში, დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი დოდო ჯვარშიშილი, კონცერტმაისტერი ციური რუსიძე.

კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი ინგა წყავზარაძე (სოლო-სიმღერა) მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსში. დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი დოდო ჯვარშიშილი, კონცერტმაისტერი ციური რუსიძე.

კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი ნატალია პაიკიძე (სოლო სიმღერა) მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსში, დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – მარინა ჯახუტაშვილი, კონცერტმაისტერი ქეთინო რაზმაძე.

კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი ეკატერინე სიმონია (სოლო სიმღერა) მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსში, დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – მარინა ჯახუტაშვილი, კონცერტმანისტერი ქეთინო რაზმაძე.

2000 წელი

კონსერვატორიის III კურსის სტუდენტი თეა ბარამიძე – მონაწილეობდა იტალიაში „ვინჩენცო-ვენა“ ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში. დაიკავა III ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში თანამშრომელთა დემოგრაფიული მონაცემებით 175 პერსონალი ღირსეულად უძღვება მუსიკოსთა მომავალი კადრების აღზრდას. აქედან ოთხი პროფესორია, ცამეტი – დოცენტი, ათი- უფროსი მასწავლებელია, ორმოცდაათი – მასწავლებელი, ათი კონცერტმანისტერი, თხუთმეტი ლაბორანტი, სამოცდაათზე მეტი ტექნიკური პერსონალი.

ქვეგანყოფილების ორმოცზე მეტ პროფესორ – მასწავლებელ მიღებული აქვს უმაღლესი ორგანოებს ჯილდოები. მათ შორის არიან შოთა რუსთაველისა და მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის, მსოფლიოს ფესტივალებისა და რესპუბლიკური კონკურსის ამიერკავკასიის ვოკალისტთა კონკურსის საქართველოს რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა კონკურსის ლაურეატები, საქართველოს რესპუბლიკის და აჭარის არ დამსახურებული მოღვაწეები.

ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიისა და მისი ქვეგანყოფილების პროფესორ-მასწავლებელთა სია, რომლებსაც მიღებული აქვთ უმაღლესი ორგანოების ჯილდოები და მინიჭებული აქვთ სამეცნიერო წოდებები:

ფაღავა ნოდარ იუსიფის ძე – მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია, დოცენტი.

გოგოტიშვილი ზაური ისიდორეს ძე – ორი მედალი, აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს სიგელი და საქართველოს პრეზიდენტის მადლობა, დოცენტი;

ცომაია კარლო მიტროფანეს ძე – ყოფილი საბჭოთა კავშირის განათლების სამინისტრო სამკერდე ნიშანი „განათლების წარჩინებული“, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

ბიბილეიშვილი იური აქესენტის ძე – პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

გიორგაძე ოთარ შოთას ძე – მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს პედაგოგიურ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი;

მეგრელიძე ციალა ტოგოს ასული პედაგოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი;

მესხია ერმილე ალიოშას ძე – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი;

კეჭეყმაძე იოსებ ილიას ძე – პროფესორი;

ჩიტაიშვილი ომარ დავითის ძე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი;

ტაკიძე ამირან რომანის ძე – საქართველოს დამსახურებული არტისტი;

ქავთარაძე ალექო იოსების ძე – მემედ აბაშიძის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

სადარაძე გურამი შალავას ძე – აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელი;

ჩხენკელი ავთო ვალერიანის ძე – მემედ აბაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი დოცენტი;

კობახიძე ირინა დავითის ასული – XII მსოფლიო ფესტივალისა და რესპუბლიკური კონკურსის ლაურეატი;

მუქერია ბორის შალავას ძე – რესპუბლიკის დამსახურებული მსახიობი, დოცენტი;

ზოიძე შოთა ახმედის ძე – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი.

გიორგაძე სულიკო შუქრის ძე – აჭარის ა.რ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აჭარის ა.რ. უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელი, ღირსების ორდენი;

ცერიაშვილი თამაზი შალავას ძე – ღირსების ორდენი;

ჯახუტაშვილი მარინა თამაზის ასული – მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიისა და ამიერკავკასიის ვოკალისტთა კონკურსის ლაურეატი დოცენტი;

მახარაძე მურმანი აღის ძე – აჭარის ა.რ. უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელის დოცენტი;

ჩხენკელი მარგარიტა ივანეს ასული – მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

ჯვარიშვილი ალექსანდრა დავითის ასული – აჭარის ა.რ. და საქართველოს რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი, დოცენტი;

ვარშანიძე ნოდარ შალავას ძე – საერთაშორისო კონკურსებისა და ფესტივალების მრავალჯერ ლაურეატი, მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დოცენტი;

გვაზავა რუსლან ვალერიანის ძე – აჭარის ა.რ. დამსახურებული არტისტი, მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

მანელიშვილი ქეთევან ჯემალის ასული – მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;



ვადაჭკორია გელა აკაკის ძე – მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი;

ბურჭულაძე სიმონ ნიკოლოზის ძე – საერთაშორისო კონკურსების ლაურეატი;

მუქერია დავით ბორისის ძე – შ. რუსთაველისა და მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, დოცენტი;

სოლოვიოვი ვიტალი ივანეს ძე – საქართველოს რესპუბლიკის სასწავლებლის პედაგოგთა კონკურსის ლაურეატი;

შალვაშვილი თეიმურაზ მიხეილის ძე – საქართველოს რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა კონკურსის ლაურეატი;

აბულაძე დავით ოთარის ძე აჭარის ა.რ. დამსახურებული მოღვაწე, აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი;

სამუსიკო სასწავლებელი			
	ანყოფილება	ხელმძღვანელი	კატეგორია
1	შაფორტეპიანო	ი. მიქელაძე	მასწავლებელი
2	ვოკალური	ნ.ხომერიკი	მასწავლებელი
3	საგუნდო-სადირიჟორო	ნ. მელიქიშვილი	მასწავლებელი
4	საორკესტრო (სიმებიანი-სასულე)	თ. შალვაშვილი	უფ. მასწავლებელი
5	თეორიული	ა. დუმბაძე	მასწავლებელი
6	შაკონცერტმანისტერო	თ. კირიჩენკო	მასწავლებელი
7	კამერული ანსამბლი	რ. ლორთქიფანიძე	მასწავლებელი
8	სავალდებულო ფორტეპიანო	ნ. გოშაძე	მასწავლებელი
9	უნდი	დ. ბერიძე	მასწავლებელი
10	პედაგოგთა პრაქტიკის სექტორი	ნ. გოშაძე	მასწავლებელი
11	ზოგად საგანმანათლებლო	ნ. კალანდაძე	მასწავლებელი

კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სასწავლებლის სტრუქტურა სასწავლო აღმზრდელობით დარგში და მათში მომუშავე პერსონალი

ქ. ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლო გეგმების ცხრილები დამტკიცებული სსრკ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლები სამინისტროს მიერ 1975 წლის 18 თებერვალს № 8-16

სპეციალობა – „ფორტეპიანო“ №2101

სპეციალობა – „სიმებიანი ინსტრუმენტები“ №2102 (ვიოლინო, ალტი, ვიოლონჩელი, კონტრაბასი, არფა)

სპეციალობა – „სასულე და დასარტყამი ინსტრუმენტები“ №21003 (ფლეიტა, ჰობოი, კლარნეტი, ფაგოტი, ვალტორნა, საყვირი, დარტყმითი.)

სპეციალობა – „სიმღერა” №2105

სპეციალობა – „საგუნდო სადირიჟორო” №2106

სპეციალობა – „მუსიკის თეორია” №2107

ზ. ფალიაშვილი სახელობის ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სასწავლებლის სასწავლო აღმზრდელობით დარგში მომუშავე პედაგოგიური პერსონალი სპეციალობების მიხედვით

სპეციალობა №0501 საფორტეპიანო – აღფევეა ლიდა, არობელიძე ვალნინა, ასათიანი რუსუდან, ახვლედიანი გულნარა, ბაუჟაძე ჯინევრა, ბოცვაძე ინგა, გეგენავა რუსიკო, გოქსაძე ლია, გოგოტიშვილი თეა, გოლეითანი მანანა, გოშაძე ნაზიბროლა, გეგიძე თინათინ, დამიანიდი ლარისა, ერქომაიშვილი ელა, ვაჩაძე ლია, ზამბახიძე ნანული, თოფურაძე თამარ, კირქენკო თამარ, კომახიძე ლეილა, კოლუაშვილი სვეტა, ლორთქიფანიძე რიმა, ლორთქიფანიძე რუსიკო, ლორთქიფანიძე ლალი, მეღია ლიანა, მიქელაძე იზოლდა, ორაგველიძე ნატო, ოპანესიანი ელიზავეტა, რაზმაძე ქეთევან, რუსიძე ციური, სალუქვაძე მანანა, შაქარიანი სონია, შური მარია, ჩაიძე ნინო, ჭელიძე ლალი, ხარჩილავა მანანა, ხერუი ირინა, ჯაფარიძე ნატო.

სპეციალობა №0502 სიმებიან – აიდინიანი ვალერი, კობახიძე ირინა, მუქერია ბორის, სოლოვიოვი ვტალ, შალვაშვილი თემურ.

სპეციალობა №0503 სასულე – მუქერია ბორი, ჩხეიძე ზურაბ.

სპეციალობა №0505 – სოლო სიმღერა

ბურნაშ ევა ლუდმილა, გველესიანი ტარიელ, გიორგაძე სულიკო, მახარაძე მურმან, პლუჟნიკოვა ალა, ტაკიძე ამირან, ქავთარაძე ალექო, ხომერიკი ნათელა, ჯახუტაშვილი მარინა, ჯვარშიშვილი დოდო, ბერიძე გულნაზ.

სპეციალობა №0506 საგუნდო-სადირიჟორო – აბულაძე დათო, ადამიძე ანზორ, ბერიძე დათო, ბერიძე რუსიკო, გვაზავა რუსლან, დოლიძე ნინო, ვადაჭკორია ზაირა, კოპლატაძე ნანული, მანელიშვილი ქეთინო, მელიქიშვილი ნაზი, მუხაშავერია მარინა.

სპეციალობა №0507 თეორიული – ახვლედიანი ელენე, გელავა რუსიკო, გოგოტიშვილი ნატო, დუმბაძე ანიკო, ვადაჭკორია გელა, თოფურაძე ვენერა, მანაგაძე ხათუნა, მირზაშვილი თამარ, ნაკაშიძე ნათელა, საღარაძე გურამ, ფოცხიშვილი მადლენა, ფხაკაძე ვიოლა, ქიქავა ედნარ, ცივაძე ლემანი, ხარებავა ლია, ხითარიშვილი მინდია, ჯანიკაშვილი ნანა, გეგოიან მარინა.

ზოგადსაგანმანათლებლო საგნების, სწავლების პედაგოგები:

აბაშიძე რუსიკო, აბაშიძე ნინო, გორდელაძე ავთანდილ, დარსაველიძე ხათუნა, კალანდაძე ნანა, კეჭეყმაძე ნელი, რუსაძე ნინო, სტამბოლიშვილი ნაირა, ტულუში მზია, ტულუში რუსუდან, შარაბიძე შორენა, ცომაია ნათია, ხალვაში ქეთევან, თურმანიძე აკაკი.

## გუნდის მსახიობები

ბარამიძე კოტე, მამალაძე ეკა, მამალაძე ირაკლი, გასპარიანი მიშა, ასეიშვილი დალი, ბაკურიძე ზაური, ვართანიანი ნონა, ამბარცუმიანი სერგო.

ლაურეატ მოსწავლეთა სია პედაგოგების კლასის მინიშნებით:

### 1993 წელი

1. სამუსიკო სასწავლებლის პირველი კურსის მოსწავლე ნინო ნიშნიანიძე მონაწილეობდა საფრანგეთში კურსილიონის ციხე-დარბაზში ახალგაზრდა პიანისტა საერთაშორისო კონკურსში, დაიმსახურა მეორე ხარისხის დიპლომი და ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი, ირინა ხერჟი.

### 1994 წელი

2. სამუსიკო სასწავლებლის მეოთხე კურსი მოსწავლე ნანა კვიციანიძე (ფორტეპიანო) მონაწილეობა მიიღო ჯოვან ბატისტა ვიოტის სახელობის ვერხელის (იტალია) 45-ე საერთაშორისო კონკურსში, დაიმსახურა მონაწილის დიპლომი.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი გულნარა ახვლედიანი

### 1995 წელი

3. სამუსიკო სასწავლებლის მესამე კურსის მოსწავლე ნინო ნიშნიანიძე – მონაწილეობას ღებულობს იტალიის ბუზონის სახელობის პიანისტა საერთაშორისო კონკურსში. დაჯილდოვდა მონაწილის დიპლომით.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი ირინა ხერჟი

### 1997 წელი

4. სამუსიკო სასწავლებლის მეორე კური მოსწავლე მარინა ქიქავა – მონაწილეობს საფრანგეთის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო ფორუმში „მუსიკა და პედაგოგია“, დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი

5. სამუსიკო სასწავლებლის IV კურსის მოსწავლე თეა ბარამიძე მონაწილეობს ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო ფორუმში „მუსიკა და პედაგოგია“, დაჯილდოვდა პრიზით – ი. ბახის ნაწარმოების საუკეთესო შესრულებისათვის.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი ირა ხერუი

6. სამუსიკო სასწავლებლის მესამე კურსის მოსწავლე ირაკლი ხოზრევანიძე (საყვირი) მონაწილეობს საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლებს მოსწავლეთა პირველი დათვალიერება კონკურსში. დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – შოთა კალანდაძე

2000 წელი

7. სამუსიკო სასწავლებლის I კურსის მოსწავლე ალექსანდრე გელაძე (ფორტეპიანო) – მონაწილეობდა ოთარ თაქთაქიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში. დაჯილდოვდა პირველი პრემიით და მიენიჭა ლაურეატის წოდება

პედაგოგი, უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

ცენტრალური სამუსიკო სკოლა			
№	მეთოდური კომისია	თავმჯდომარე	კატეგორია (წოდება)
1	საფორტეპიანო, მხატვრული აკომპანიმენტი, საფორტეპიანო ანსამბლი, სავალდებულო ფორტეპიანო	ინგა ბოცვაძე	აჭარის ა.რ. დამსახურებული მასწავლებელი
2	საორკესტრო, ვიოლინო, კლარნეტი, ფლეიტა	ჯუმბერ ჩარკვიანი	აჭარის ა.რ. დამსახურებული მასწავლებელი
3	მუსიკალურ-თეორიული საგნები	ნათელა ნაკაშიძე	მასწავლებელი
4	გუნდი	ქეთევან მანელიშვილი	მასწავლებელი

სამუსიკო სასწავლებლის I კურსის მოსწავლე ალექსანდრე გელაძე მონაწილეობდა იტალიაში „ვინჩენცო-ვენა“ ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში. დაიკავა მეორე ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

სამუსიკო სასწავლებლის მესამე კურსის მოსწავლე ნინო მაჭარაშვილი (ფორტეპიანო) მონაწილეობს საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსში, მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი მარია შური

2001 წელი

სამუსიკო სასწავლებლის მეორე კურსის მოსწავლე ალექსანდრე გელაძე – მონაწილეობდა დანიაში ედინორის ახალგაზრდა პიანისტთა საერთაშორისო კონკურსში. დაიკავა პირველი ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

კონსერვატორიასთან არსებული ცენტრალური სამუსიკო სკოლის სტრუქტურა სასწავლო-აღმზრდელობით დარგში და მათში მომუშავე პერსონალი

2001 წლისთვის

ცენტრალური მუსიკალური სკოლის სასწავლო-აღმზრდელობით დარგში მომუშავე მასწავლებლები სპეციალობის მიხედვით

**საფორტეპიანო სპეციალობის მასწავლებლები:** აროშიძე ნატო, ბაგრატიონი ჯეირან, ბოცვაძე ინგა, ბალოშვილი ნათელა, ბეჟანიშვილი მანონი, გემიჯიანი სვეტლანა, გვარამია დარეჯანი, გიგაშვილი მარინა, ერქომიშვილი ნათელა, ვაშალომიძე შორენა, კალანდარიშვილი ნუნუ, კალანდაძე ლიზა, კვაჭანტირაძე ნინო, კაშიანი ნინა, იზმირიდი ირა, დოლიძე ინეზა, ლაზბა ნელი, ლორთქიფანიძე ხათუნა, ლორთქიფანიძე რუსუდან, ლორთქიფანიძე ლალი, მესხიძე ნერვესტან, მიქელთაძე მარინა, მოროზოვა მარიკა, მუსხაჯბა ინდირა, მითაიშვილი ლელა, მოისწრაფიშვილი ია, ნოლაიძე ირინა, რაზმაძე ქეთევანი, რურუა ლია, რურუა ნანა, რურუა ნინო, სიხარულიძე მედეა, სეფერთელაძე ლეილა, შალაძე ნანა, ცოტაძე ნინო, წითლიძე ნინო, ჭოხონელიძე ინგა, ჯოჯუა დოდო, ჯახუტაშვილი ნონა, ჯიჯეიშვილი მზევინარი, მკრტჩიანი ემა, ჯანელიძე ნარგიზი.

**საორკესტრო სპეციალობის მასწავლებლები:** შალვაშვილი თემურ, ჩარკვიანი ჯუმბერ, ჩხეიძე ზურაბ, მელქუმიანი ირა, დანელიანი ალფენიკი, აიღინიანი ვალერი.

ილუსტრატორები და კონცერტმანისტერები: ოვანესიანი რუზანა, ბერიძე გულნაზი, აიღინიანი ვალერი, მკრტჩიანი ემა.

მუსიკის თეორიული საგნების სწავლების მასწავლებლები: აბუსერიძე ირმა, აგირბა ირმა, ახვლედიანი ელენე, ბარაბაძე მანანა, გუგეშაშვილი ინგა, ებრაელიძე ნატო, კაპანაძე ლეილა, კოლუაშვილი ლუდმილა, სალუქვაძე ლალი, ნაკაშიძე ნათელა, ფაჩუაშვილი ნანა, ფხაკაძე შორენა, ცობა ნინო, ჭარხალაშვილი თამილა.

**საგუნდო კლასის მასწავლებლები:** მანელიშვილი ქეთევან, პილილიანი უსტია, წიტიშვილი ნაზი.

## ნორჩი ლაურეატები

1997 წელი

ცენტრალური სამუსიკო სკოლის V კლასის მოსწავლე თამარ ჩხეცია (ფორტეპიანო) მონაწილეობს საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა I დათვალიერება-კონკურსში. დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი მარია შური.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის III კლასის მოსწავლე ვახტანგ კონცელიძე (ფორტეპიანო) მონაწილეობს საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა I დათვალიერება – კონკურსში. მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ნათელა ერქომაიშვილი

ცენტრალური სამუსიკო სკოლის III კლასის მოსწავლე დიმიტრი ესიტაშვილი (ბლოქ ფლეიტა) მონაწილეობს საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა I დათვალიერება – კონკურსში დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი – ზაურ გოგოტიშვილი.

1998 წელი

ცენტრალური სკოლის IV კლასის მოსწავლე ვახტანგ კონცელიძე – მონაწილეობს საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა კონკურსში „ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებების საუკეთესო შემსრულებელი“ დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომითა და ლაურეატის წოდებით.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ინგა ბოცვაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის V კლასის მოსწავლე ლადო ყატაშვილი – მონაწილეობს საქართველოს სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა კონკურსში „ქართველ კომპოზიტორთა საფორტეპიანო ნაწარმოებების საუკეთესო შემსრულებელი“ დაჯილდოვდა III ხარისხის დიპლომითა და ლაურეატის წოდებით.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ნათელა ერქომაიშვილი.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის II კლასის მოსწავლე მარია ლამინაძე მონაწილეობს სამუსიკოს-შემსრულებელთა I რესპუბლიკურ კონკურსში. დაიკავა III ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ნანა შალაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის II კლასის მოსწავლე ნოდარ სვანიძე (ფორტეპიანო) მონაწილეობს საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა I რესპუბლიკურ კონცერტში. დაიკავა II ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ნანა შალაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის II კლასის მოსწავლე მარიამ ლორთქიფანიძე (ფორტეპიანო) მონაწილეობს საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა I რესპუბლიკურ კონკურსში. დაიკავა II ადგილი და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – ლალი ლორთქიფანიძე

ცენტრალური სამუსიკო სკოლის უფროს კლასელთა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა საგუნდო კოლექტივების I დათვალიერება კონკურსში. დაჯილდოვდა I ხარისხის დიპლომით და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

ხელმძღვანელი – ქეთინო მანელიშვილი, კონცერტმაისტერი ნინო ჩაიძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის ვაჟთა ფოლკლორულმა გუნდმა მონაწილეობა მიიღო საქართველოს სამუსიკო სკოლებსა და სასწავლებლების მოსწავლეთა საგუნდო კოლექტივების I დათვალიერება-კონკურსში. დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

ხელმძღვანელი – მანანა გაბაიძე.

#### 1999 წელი

ცენტრალური სამუსიკო სკოლის VII კლასის მოსწავლე თამარ ჩხეტია (ფორტეპიანო) – მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს შემსრულებელთა II კონკურსში, როგორც კონკურსგარეშე მონაწილემ.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი მარია შური.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის V კლასის მოსწავლე ვახტანგ კონცელიძე (ფორტეპიანო) – მონაწილეობა მიიღო საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსში, როგორც კონკურსგარეშე მონაწილემ.

პედაგოგი აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ინგა ბოცვაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის VI კლასის მოსწავლე ნათია გოგეშვილი – მონაწილეობდა საქართველოს სამუსიკო სკოლის მოსწავლეთა (სოლფეჯიოში) დათვალიერება-კონკურსში. დაჯილდოვდა გამარჯვებულის დიპლომით.

პედაგოგი, აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ლეილა კაპანაძე.

#### 2000 წელი

ცენტრალური სამუსიკო სკოლის VI კლასის მოსწავლე ვახტანგ კონცელიძე (ფორტეპიანო) – მონაწილეობდა ოთარ თაქთაქიშვილის დაბადების 75 წლისთავისადმი

მიძღვნილ, საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში. დაჯილდოვდა დიპლომითა და ლაურეატების წოდებით.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ინგა ბოცვაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის IV კლასის მოსწავლე ღია ბიბინეიში (ფორტეპიანო – მონაწილეობდა საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს – შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსში. მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ნანა შალაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის IV კლასის მოსწავლე მარია ლომინაძე (ფორტეპიანო) მონაწილეობდა საქართველოს ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებელთა რესპუბლიკურ კონკურსში. მიენიჭა ლაურეატის წოდება. პედაგოგი აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ნანა შალაძე.



## ქ. ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის საშტატო განრიგი

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულთა რაოდენობა	ხელფასის საშტატო განაკვეთი თვეში	სულ თვეში	შენიშვნა
1	2	3	4	5
ლექტორი	1	210	210	
პრორექტორი სასწავლო დარგში	1	180	180	
პრორექტორი სამეურნეო დარგში	1	180	180	
მდივანი	1	48	48	
სასწავლო ნაწილის გამგე	1	170	170	
სასწავლო ნაწილის მდივანი	1	55	55	
პრაქტიკის ხელმძღვანელი	1	50	50	
დისკეჩერი	2	30	60	
დეკანი	3	70	210	
დეკანის მოადგილე	3	63	189	
კათედრის გამგე	6	60	360	
კათედრის გამგის მოადგილე	6	54	324	
სასწავლო დამხმარე პერსონალი	15	32	480	
გუნდის მსახიობები	20	20	400	
უფროსი ტექნიკოსი	1	50	50	
ტექნიკოსი	1	45	45	
კანცელარიის გამგე	1	55	55	
საქმის მწარმოებელი	1	45	45	
მდივან-მემანქანე	1	45	45	
კურიერი	1	20	20	
ბიბლიოთეკის გამგე	1	45	45	
ბიბლიოთეკარი	1	34	34	
მთ. ბუღალტერი	1	160	160	
ბუღალტერი	1	50	50	
მოლარე	1	40	40	
მომარაგების უფროსი	1	34	34	
საწყობის გამგე	1	32	32	
დურგალი, ზეინკალი, ელექტრიკი	3	25	75	
მძღოლი	1	60	60	
კომენდანტი	1	50	75	
მეგარდერობე, შვეიცარი	3	25	150	
დამლაგებელი	6	25	25	
ცეცხლფარეში	1	25	25	
ინსტრუმენტების ამწყობი	3	31	93	
ინსტრუმენტების შემკეთებელი	1	35	35	
კადრების ინსპექტორი	1	50	50	
დაცვის მუშაკი	8	60	480	
ექიმ ფონიატრი	1	35	35	
სულ ჯამი	104		4699	

ქ. ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო

სასწავლებლის საშტატო კანრივი

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულო რაოდენობა	ხელფასის საშტატო განაკვეთი თვეში	სულ თვეში	შენიშვნა
1	2	3	4	5
სასწავლებლის გამგე	1	60	60	
მოადგილე სასწავლო დარგში	1	54	54	
მოადგილე სამხედრო აღმზრდელობით დარგში	1	54	54	
მოადგილე სამეურნეო დარგში	1	21	21	
ოპერატორი	0.5	38	19	
პრაქტიკის ხელმძღვანელი	0.5	20	10	
სასწავლო ნაწილის მდივანი	1	20	20	
საქმეთა მმართველი	1	55	55	
უფროსი ბუღალტერი	1	39	39	
მთავარი ეკონომისტი	0.5	21	10.50	
მოლარე	1	36	36	
ბიბლიოთეკარი	1	22	22	
კადრების ინსპექტორი	0.5	37	18.50	
წამყვანი სპეციალისტი	2	20	40	
სართულის მორიგე				
სულ ჯამი	14		513	

ქ. ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული

სამუსიკო სკოლის საშტატო განრივი

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულო რაოდენობა	ხელფასის საშტატო განაკვეთი თვეში	სულ თვეში	შენიშვნა
1	2	3	4	5
სამუსიკო სკოლის გამგე	1	60	60	
გამგის მოადგილე	1	54	54	
უფროსი ბუღალტერი	1	34	35	
მდივან-მემანქანა	0.5	20	10	
მოლარე	1	21	21	
მეშა	1	20	20	
	5.5		200	

## ქ. ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ

## საკრავიერო სკოლის საშტატო განრიგი

თანამდებობის დასახელება	საშტატო ერთეულთა რაოდენობა	ხელფასის საშტატო განაკვეთი თვეში	სულ თვეში	შენიშვნა
1	2	3	4	5
სკოლის გამგე	1	60	60	
გამგის მოადგილე	1	54	54	
საქმეთა მმართველი	0.5	20	10	
სულ ჯამი	2.5		124	

## 2001 წელი

ცენტრალური სამუსიკო სკოლის I კლასის მოსწავლე გიორგი კონცელიძე (ფორტეპიანო) მონაწილეობდა თამარ ლილიენბახის საქართველოს ა.რ. დამსახურებული მასწავლებლების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ, აჭარის ა.რ. სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში, როგორც კონკურსგარეშე მონაწილე.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ინგა ბოცვაძე

ცენტრალური სამუსიკო სკოლის III კლასის მოსწავლე თეონა ბაკურიძე (ფორტეპიანო) მონაწილეობდა თამარ ლილიენბახის საქართველოს ა.რ. დამსახურებული მასწავლებლების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ, აჭარის ა.რ. სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში, მიენიჭა II ადგილი და ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ინგა ბოცვაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის III კლასის მოსწავლე ანა ლორია (ფორტეპიანო) მონაწილეობდა თამარ ლილიენბახის საქართველოს არ დამსახურებული მასწავლებლების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ, აჭარის ა.რ. სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში, მიენიჭა III ადგილი და ლაურეატის წოდება.

პედაგოგი – აჭარის დამსახურებული მასწავლებელი ნანა შალაძე.

ცენტრალური სამუსიკო სკოლის IV კლასის მოსწავლე ლანა აბესლამიძე (ფორტეპიანო) მონაწილეობდა თამარ ლილიენბახის საქართველოს არ დამსახურებული მასწავლებლების 90 წლისთავისადმი მიძღვნილ, აჭარის ა.რ. სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა დათვალიერება-კონკურსში, მიენიჭა დიპლომატის წოდება.

პედაგოგი – უმაღლესი კატეგორიის მასწავლებელი შორენა ვარშალომიძე.

ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“ დებიუდნტი – ბათუმის კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი მზექალა მახარაძე გახლდათ, ნოდარ ვარშანიძის კლასი.

1993 წლის 3 ოქტომბრიდან, ბათუმის საოპერო ტეატრის დასი თავისი პირველი პრემიერით – ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“, დღემდე გვხვბლავს საუკეთესო დადგმებით, მუსიკალურობით, დეკორატიული თუ კოსტიუმების სიმდიდრითა და სილამაზით. ჭეშმარიტად იგი დიდი გამარჯვება და დიდი მოვლენა გახლდათ. ამის შესახებ არა ერთხელ თქმულა და დაწერილა.

ამ უკვდავ მუსიკას რამდენჯერადაც უსმენ, იმდენად უფრო სასიამოვნოა და მეტად ადავსებს მსმენელს ამაღლებული გრძნობისაკენ.

დიდი ხელოვნების ოსტატები ალექო ხომერიკი, მარინა ჯახუტაშვილი ერთნაირად საამაყო და ახლობელია ბათუმელებისათვის, განსაკუთრებით ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივისათვის, ისინი ხომ აქ ეზიარენ დაწყებით ვოკალურ სკოლას.

თითოეული მათი გამარჯვება ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის მთელ კოლექტივს უსაზღვროდ გვახარებს.

ამჯერად მკითხველის ყურადღება მიინდა შევაჩერო იმაზე, რომ ბათუმი კონსერვატორიის ორი წლის არსებობის მანძილზე პირველად, მესამე კურსელმა მზექალა მახარაძემ, ნოდარ ვარშანიძის კლასის სტუდენტმა მონაწილეობა მიიღო ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერის“ სპექტაკლში. მან შეასრულა აბესალომის დის მარიხის პარტია. წარმოდგენა შედგა 2000 წლის 30 ივნისს.

ნოდარ ვარშანიძის კლასის სტუდენტის მზექალა მახარაძის ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში სადებიუტო გამოსვლამ ნათელყო ახალგაზრდა შემსრულებლის სამომავლო გზა დიდი ხელოვნებისკენ და კონსერვატორიის აუცილებლობის მნიშვნელობა ცხადყო, ახალგაზრდა კადრების მომზადების საკითხში.

მზექალა მახარაძის წარმატების საწინდარი გახლდათ ის, რომ ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდამ სასვებით დამაჯერებლად და სრულყოფილად შეძლო აბესალომის დის – მარიხის სახის წარმოსახვა. მარიხის მხიარული სატრფიალო სიმღერა, კანცონეტა „საყვარელო გულისავ“. რომელიც ოპერის მეორე მოქმედებაში, სასახლეში გამართულ საქორწინო დარბაზობის დროს სრულდება, ნათლად გამოჩნდა ახალგაზრდა შემსრულებლის სიახლის ელფერის ინდივიდუალურობა. მარიხის შემსოვლა საოპერო სცენაზე ეს იყო ერთფეროვანი, ოდნავ საცკვაო, სიკეკლუტითა და ახალგაზრდული სიფიცხით აღსავსე, მარიხის ნათელი, მიმზიდველი სახე. მომღერლის, შემსრულებლის ცქრიალა ბუნებრივმა გარეგნობამ და რაც მთავარია მისმა სახასიათო წკრიალა ტემბრულმა ვოკალმა და არტისტიზმმა წამსვე დაიპყრო დარბაზი.

მზექალამ ასევე შთამბეჭდავი სახის შექმნა შესძლო მეოთხე მოქმედებაში. შესანიშნავი ანსამბლ-კვარტეტი, სადაც წამყვანი როლი მარიხს ეკუთვნის, კვარტეტის შემსრულებლებმა მსუიკა შეასრულეს თავისი სახასიათო გრაციოზულობითა და დახვეწილი სისადავით.

სკერცოზული, მხიარული, ცოცხალი მოტივი, რომელიც მარიხის კანცონეტაში მოვისმენთ, ის ხაზი აქაც სავსებით დამაჯერებლად გაჟღერდა და განვითარდა.

ვულოცავთ სასიხარულო გამარჯვებას და მათი პირველი გამოსვლა, დებიუტი ყოფილიყოს ბედნიერი საწყისი ბათუმის კონსერვატორიის კიდევ და კიდევ ახალი ხმების შექმნა-დამკვიდრებაში, ხოლო ახალგაზრდა ნერგს ვუსურვებთ დიდ წარმატებებს დიდი ხელოვნების უსასრულო გზისკენ.

დაე, ფეხბედნიერი ყოფილიყოს ეს დღე თქვენთვის, მზექალავ ხელოვნების იმ რთულ გზაზე, ცხოვრების მიზნად რომ დაგისახავთ.

### ნოდარ ფაღავა რექტორი და კომპოზიტორი

ნოდარ ფაღავას სახელი ერთნაირად სასახელო და საამაყო გახლავთ. ის ბათუმის ზ. ფალიაშვილი სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსებიდან პირველი რექტორი, კომპოზიტორ-იმპროვიზატორია.

ბატონი ნოდარი, როგორც რექტორი თავს მოვალედ თვლის დაიცვას სასწავლებლის მემკვიდრეობითობა და განავითაროს იგი. ჩვენი კონსერვატორიის ძირითად ამოცანად მიიჩნევს საკუთარი ხელწერის სახელმძღვანელო მეთოდის მომარჯვებას, რომელიც შექმნის სასწავლო პროცესის სისტემის თანდათანობით განვითარებას და პრაქტიკაში მის შემოქმედებით გამოყენებას. ეს კი ერთი ადამიანისათვის ინდივიდუალურად შეუძლებელია. „მეცნიერების მსგავსად, პედაგოგიურ მოღვაწეობაში სიახლე მხოლოდ თანამოაზრეთა კოლექტიური ცდის შედეგად უნდა იყოს მოპოვებული და შესაბამისად ამას დროც მოითხოვს“ – აღნიშნავს ბატონი ნოდარი. მისი აზრით „კონსერვატორიის რექტორატმა და მისმა ძლიერმა თანამოაზრეთა ბირთვმა პედაგოგიური მოძღვრების საფუძველზე უნდა შექმნას მუშაობის საკუთარი ორიენტირი, ისეთი საკუთარი მეთოდი, რომლის დაფუძნება უთუოდ ხელს შეუწყობს კოლექტივის ზრდასა და პროფესიული დონის ამაღლებას“. პრინციპს: „ერთი ყველასათვის და ყველა ერთისათვის“, ყველა დროისათვის მეტად საჭირო და აუცილებელ არგუმენტად მიიჩნევს.

სწორედ ნოდარ ფაღავას მუსიკალური მასალის ახალი ელფერით იმპროვიზირებამ, ახალმა თანამედროვე გაქდერებამ ნათელყო ხალხური ფოლკლორის შესრულების შესაძლებლობის სივრცე. მუსიკა სრულდება გუნდის, ორკესტრის, დოლისა და ფორტეპიანოს თანხლებით, რითაც უფრო მრავალფეროვანი გახდა „ხორუმის“ მუსიკალური პალიტრა, ხოლო რიტმულ სიზუსტეში გამოჩნდა შერულების ეროვნული თავისებურებანი.

მოგესხენებათ ცეკვა „ხორუმი“ უძველესი აჭარული, ქართული ხალხური ცეკვაა, ქართული ფოლკლორის მშვენიერება, რომელიც გამოირჩევა მრავალფეროვანი სახასიათო საცეკვაო ილეთებით, მოხაზულობით და პანტომიმური წარმოდგენით. საფერხულო წყობისაა. შინაარსით – საომარი, საბრძოლო ხასიათს, ძირითადად, სამშობლოს დაცვის ინტერესების გამომხატველია. შედგება ოთხი ნაწილისაგან: მეომართა დაბანაკება, მტრის დაზვერვა, იერიში, გამარჯვება და ზემი.

ცეკვა „ხორუმს“ ასრულებს კენტი რაოდენობის მამაკაცთა ჯგუფი. საცეკვაო ხასიათი გამოიხატება ფრთხილი-შემპარავი მოძრაობებიდან, სწრაფი შემტევი ხასიათის სვლების მონაცვლეობაში. მისი მუსიკალური ზომაა 5/8, ტემპი – ზომიერი. მუსიკა სრულდება ქართული ხალხური საკრავებით – დოლის და ჭიპონის თანხლებით.

ცეკვა „ხორუმი“ მეტად პოპულარულია და არ არის საზეიმო ღონისძიება, რომ არ შესრულდეს. იგი მთელმა ქართველმა ხალხმა ლექსად და სიმღერად აიტაცა. რიტმული მელოდია ცეკვასთან კონტექსტში განსაკუთრებული სულიერი სიმტკიცითა და ეროვნულობითაა გაჯერებული. მრავალ საერთაშორისო ფორუმზე იწონებს თავს ჩვენი ხალხი თავისი „ხორუმით“. იგი „ქართულთან“, „მთიულურთან“, „განდაგანასთან“ და სხვა ცნობილ ცეკვებთან ერთად საქართველოს ისტორიის ერთგვარ ქვაკუთხედს წარმოადგენს. მუდმივი მზადყოფნა მშვიდობისა და აღმშენებლობის სადარაჯოზე საქართველოს ისტორიული ხვედრია.

„ხორუმის“ ახალი წარმოსახვითი კომპოზიტორი ხსნის ხალხურ-საცეკვაო თემის პოლიფონიურ ბუნებას. ავტორის ინდივიდუალობა უფრო სრულად გამოვლინდა იქ, სადაც ყოველი შესაბამისი ნაწილის თანმიმდევრული განვითარებით სცენაზე წამყვანს მისამღერს უკეებს გუნდი, რომელიც იმღერება რეჩიტატივით და აღიქმება,

როგორც თავისებური დეკლამაცია, ჩვეულებრივი ლაპარაკის მაგვარი მოწოდებაა გამხნეებისა და გამარჯვების სახით. აქ ასევე ოსტატურად იყენებს ტემპურ-რეგისტრულ და დინამიურ კონტრასტებს, მოულოდნელ აქცენტებს აკეთებს ხერხების განსაცვიფრებელი სიახლით.

ეს არის შესრულების თანამედროვე, ახალი საკონცერტო სტილი, განსაზღვრული დიდი აუდიტორიის ზემოქმედებისათვის, ხმოვანების ბრწყინვალე-ეფექტური ელფერით, რაც ცეკვა „ხორუმს“ მასშტაბურობასა და სიდიადეს მატებს.

და რაც მთავარია, იგრძნობა შემსრულებლების ერთსულოვნება, ინტერესი და ხალასი.

„ხორუმის“ მოცეკვავეები დახვეწილი თავშეკავებული რაინდულობის იერით გამოირჩევიან, რაც მხატვრულ-ესთეტიკურ აღქმას აძლიერებს.

მუსიკამ მსმენელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

ბატონ ნოდარს ვულოცავთ ამ გამარჯვებას.

ეს იყო სულ ახლახან...

შემქმედებითი მოღვაწეობის წარმატებები კი გაცილებით ადრე დაიწყო, აღმასვლა კი, მისი შემოქმედებითი ძიების პროცესშია.

P.S. „ხორუმი“ შესრულდა ქრისტეშობის 20200 და საქართველოს სახელმწიფოებრიობის 3000 წლისთავზე – ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში 2000 წლის 26 მაისს.

ნოდარ იუსუფის ძე ფაღავა დაიბადა 1945 წლის 21 მარტს ქ. ბათუმში, მომსახურების ოჯახში. მამამისი გახლდათ ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე და მწერალი იუსუფ ფაღავა, დედა კი კეთილშობილი ქალბატონი მერი.

1959 წელს დაამთავრა ბათუმის №1 საშუალო და №1 ბათუმის სამუსიკო სკოლა. 1963 წელს ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი და სწავლა გააგრძელა ქ. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო განხრით. კონსერვატორიის კურსი დაამთავრა 1971 წელს.

შრომითი საქმიანობა დაიწყო 1962 წელს აჭარის სახელმწიფო ფილარმონიაში, კონცერტმაისტერად. განაწილებით მუშაობდა ხულოს სამუსიკო სკოლის დირექტორად, იმყოფებოდა სამხედრო სავალდებულო სამსახურში. 1966 წელს მუშაობა დაიწყო ქ. რუსთავის სამუსიკო სკოლის პედაგოგად, 1967 წლიდან თბილისის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ორკესტრის მსახიობები 1969 წლიდან კი ესტრადის მსახიობებია საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიაში.

1970 წელს მიწვეულ იქნა ქ. ლენინგრადში სახელმწიფო მიუზიკოლში მსახიობად. 1974 წელს გადადის ქ. კრასნოიარსკის სახელმწიფო ფილარმონიაში საესტრადო ანსამბლის ხელმძღვანელად.

1989 წლიდან არის აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი – 1991 წლიდან აჭარის ა.რ.-ს კულტურის მინისტრი.

1995 წელს არჩეულ იყო საქართველოს პარლამენტის წევრად.

2000 წელს დაინიშნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის წარმომადგენლად საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებაში.

2001 წელს დაინიშნა აწარი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

2001 წლის ნოემბერში არჩეულია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის რექტორად

1998 წლიდან, დღიდან დაარსებისა არის ქ. ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის რექტორი.

მოდვაწეობის მანძილზე მიღებული აქვს საპაიო სიგელი და დიპლომი ხელოვნების დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, მინიჭებული აქვს მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია. აგრეთვე მადლობა სსრკ კულტურის მინისტრისაგან. არის კომპოზიტორთა კავშირის წევრი, მრავალი მუსიკალური ნაწარმოების ავტორი, მათ შორი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნისა ასლან აბაშიძის ლექსზე.

ჰყავს მეუღლე და ვაჟიშვილი.

## ზაურ გოგოტიშვილი

ღირსეული ხელმძღვანელი და დიდიებული პედაგოგი.

დაიბადა 1937 წ. ქ. ქუთაისში. 1963-1969 წწ. სწავლობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში თეორიულ-საორკესტრო განყოფილებაზე. დამთავრების შემდეგ მუშაობდა ბათუმის სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგედ, დირექტორად. 1972-1973 წწ. ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დირექტორია, 1978-1983 წწ. – აჭარის სახელმწიფო ფილარმონიის დირექტორის მოადგილე, 1983-1998 წწ. №1 სამუსიკო სკოლის დირექტორია. 1998 წლიდან ზ. ფალიაშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის პრორექტორია სასწავლო დარგში.

დაჯილდოვებულია მედლებით, მიღებული აქვს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის მადლობის წერილი, დაჯილდოვებულია აჭარის უზენაესი საბჭოს სიგელით.

1991 წ. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებით მინიჭებული აქვ უმაღლესი კატეგორიის მედაგოგის წოდება.

1980 წლიდან დღემდე არის აჭარის არ. კულტურის სამინისტროსთან არსებული სასწავლო დაწესებულებების დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე.

ზაურ გოგოტიშვილი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამუსიკო განათლების ისტორიაში ერთ-ერთი თვალსაჩინო პიროვნებაა. მან განვლო დიდი და ღრმა შინაარსიანი ცხოვრები სამოღვაწეო გზა. დიდებული პედაგოგ და ღრსეული ხელმძღვანელი დღენიდაგ ზრუნავდა ნიჭიერი მუსიკოსების აღზრდაზე და ჩამოყალიბებაზე, გამოირჩევა ადამიანებთან ხელმძღვანელობის კარგი უნარით.

საგულისხმოა მისი კოლექტიური კონტაქტის არაჩვეულებრივი ნიჭი, რაც ერთიან ორგანიზმად აქცევს მთელ კოლექტივს, ხელს უწყობს კულტურულ აღმავლობას და ურთიერთობის გაღრმავებას.

პედაგოგიური მოღვაწეობა 1955 წლიდან დაიწყო, ხოლო მმართველობითი პერიოდი განისაზღვრება 1963 წლიდან დღემდე.

იტყვიან „ კაცი გზაში შეიცნობაო“ და დიახაც...

ბატონ ზაურისთან დიდი ხნის ნაცნობ-მეგობრობა მაკავშირებს. ჯერ კიდევ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლებში სწავლების დროს გამოავლინა მან თავი, როგორც ნიჭიერმა, თავაზიანმა, მოკრძალებულმა სტუდენტმა. არასოდეს დამავიწყდება სწავლების პერიოდში ჩვენი თაობის „მსვენიერი სამეული“: სოსო კეჭექმაძე, რეზო ჯიბლაძე, ზაურ გოგოტიშვილი. დღეს, რომ ღირსეულად დაიმკვიდრეს საქართველოში დიდებული მუსიკოს-პედაგოგების სახელი სოსო კეჭექმაძე – ბრწყინვალე კომპოზიტორი, თბილისისა და ბათუმის კონსერვატორიის პროფესორი; ზაურ გოგოტიშვილი – ბათუმის კონსერვატორიის პრორექტორი სასწავლო დარგში.

დიახ, ასეც ამბობენ „კაცი ბავშვობიდან შეიცნობაო“, სწორედ ასე იყო და ასეც არის.

მართლაც რომ, დიდი მეგობრობა მაკავშირებს ბატონ ზაურისთან: ბავშვობა, სწავლა, თანამშრომლობა, მისი ხელმძღვანელობა, მეგობრობა, უბრალოდ ძმასავით გვერდით რომ დგას, ყოველთვის ერთნაირი, მშვიდი, უბრალო, ახლობლური, გულისხმიერებით რომ გამოირჩევა, ყოველგვარი გარეგნული ეფექტების გარეშე, თვითონ კი შინაგანად იწვის და იღწვის ხალხის საკეთილდღეოდ.

ჩვენ მეგობრობას ბუნების კეთილი ძალებიც გვაახლოებენ. ზაურის ქალიშვილი – თეა და ჩემი ქალიშვილი – ლალი ერთ დღეს დაბადებულნი არიან, მეგობრობენ, ერთი ტრადიციის გამგრძელებლები არიან, ორივე თანაკურსელები იყვნენ, დღეს კი ახალგაზრდა ნიჭიერი პიანისტ-პედაგოგებია, რომლებიც სკოლისა და სასწავლებლის საიუბილეო ღონისძიებებში აქტიური მონაწილეობისათვის ყოველთვის მზად არიან.

მამაკაცი კარგი ოჯახით ფასდება. ზაურის ბრწყინვალე ოჯახი აქვს, შვილებით, შვილიშვილებით. არაჩვეულებრივი მეუღლე, მოსიყვარულე მამა და ბაბუაა.



ბატონი ზაური არა მარტო წარსულის გამოცდილების გამოყენებით მიდის წინ პედაგოგიურ თუ ადმინისტრაციულ სარბიელზე, არამედ არანაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მოძველებულზე დროულად უარის თქმას, ახერხებს დრომოჭმულის დაუნანებლად უკუგდებას, ახლის ძიებას, – ახლებური ხერხებით საქის წი წაგდებას, განვითარებადი გზა-კვალის გაგნებას. ასე იყო როდესაც კონსერვატორიის რექტორს გვერდში დაუდგა და ხელი შეუწყო მისი ბრძნული იდეის განხორციელებაში, კერძოდ სამუსიკო სკოლისა და სასწავლებელი კონსერვატორიისადმი დაქვემდებარებაზე.

ბატონი ზაური არაჩვეულებრივი მეგზური აღმოჩნდა. 1969 წლის დეკემბერში, საქართველოს კულტურის სამინისტრომ უზრუნველყო უნგრეთის ქალაქ ბუდაპეშტში „საბავშვო მუსიკის ერთკვირეულზე“, გამოცდილების გასაზიარებლად საქართველოს წარჩინებული პედაგოგების მივლინება. ამ დიდ ჯგუფში, რომელსაც ხელმძღვანელობდა საქართველოს კულტურის სამინისტროს იმჟამინდელი მეთოდკაბინეტის გამგე ქალბატონი ეთერ კილაძე, ბათუმიდან მიწვეული გახლდათ №1 სამუსიკო სკოლის დირექტორი, აწ განსვენებული – თამარ გათენაძე, პედაგოგი – ნინა დავილოვა, სასწავლებელიდან ბატონი ზაური, როგორც დირექტორი და მე, როგორც სასწავლო ნაწილის გამგე. რა თქმა უნდა მეზავრობა მეტად შინაარსიანი და შედეგიანი იყო: განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო სწავლების მეთოდიკას, კერძოდ, პოლიფონიური ნაწაროებების შესრულების სრულყოფილებას. აღმოჩნდა, რომ დელეგაციის წევრები ყველანი მანდილოსნები გახლდით და აქაც ბატონი ზაური, თავისი ჯენტლმენური სიმშვიდით და დიდი ნებისყოფით ქალბატონების გაუთავებელ „კაპრიზებს“ ასრულებდა.

წინ დიდი აღმოჩენებით სავსე გზაა – კიდევ უამრავი საკითხი, პრობლემაა გადასაჭრელი და ხორცშესასხმელი.

დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ბატონი ზაური მრავალ სიკეთესა და წარმატებას მოგვიტანს.

#### ომარ ჩიტაიშვილი

ბატონი ომარი ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის დაარსების ერთ-ერთი სულის ჩამდგმელია. იგი იმ მოღვაწეთაგანია, რომლებმაც თავიანთი საქმიანობით შეამზადეს ბათუმში კონსერვატორიის გახსნა. მისი მრავალწლიანი, დაუღალავი, მაღალპროფესიონალური, სიძნელეებით სავსე პედაგოგიური ღვაწლი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დუდაბი იყო მშენებლობაში.

იშვიათად შემხვედრია ადამიანი, რომელიც ყველაფერს ასე სწირავს საყვარელ საქმეს, რომლისთვისაც მთავარი არა ტაში და ხოტბაა, არამედ საქმის ისე დანახელაუება, რომ წლების განმავლობაში მადლობით მოიხსენიონ მისმა აღზრდილებმა.

იგი გახლდათ კონსერვატორიის პრორექტორი ადმინისტრაციულ-სამეურნეო დარგში. საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტის კათედრის დოცენტი. მის ავტორიტეტს, პროფესიონალიზმს ანგარიშს უწევენ საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთაც. მისი აღზრდილი მოსწავლეები წარმატებით სარგებლობენ სადაც კი წავლენ. მათ

მასწავლებლისა და აღმზრდელის ღრმა ცოდნა, დახვეწილობა, კულტურის მაღალი დონე, შრომისმოყვარეობა, პასუხისმგებლობა და თავდადება თან სდევთ.

ბატონ ომარს არაერთი მაღლობა მიუღია გერმანიიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან, თბილისიდან, საქართველოს სხვადასხვა კუთხეებიდან. იგი ყოველდღიურად ისმენს მისი აღმზრდელების წარმატებებზე ბათუმის კონსერვატორიაში. მისი აღზრდილები შესანუნავად მასწავლებლობენ და ბედნიერია მოამაგე აღმზრდელი. იგი უკვე ოცდაათი წელია დააბიჯებს ამ ძვირფასი შენობის დერეფნებში. მისთვის აქ ყოველი ქვა თუ კუთხე-კუნჭული ძვირფასია. ყველაგან წვდება მისი ერთგული ხელი. ყველა ნივთის ისტორია იცი, ისინი ბატონ ომარისთვის ცოცხალი არსებები არიან. ბედნიერია კაცი, რომელსაც ასეთი ერთგულება შეუძლია.

მან ამ დღეებამდე, დიდი გზა განვლო. იგი ის კაცია, რომელსაც ძალიან მოკლე ბავშვობა ჰქონდა. მამა, დავით ჩიტაიშვილი, ომში დაეღუპა და ახალგაზრდა ქვრივს დააწვა ოჯახი. ომარის დაბადება მამამ წერილით შეიტყო, შვილის ნახვა კი არ დასცალდა. მამის უნახავად დაემაწვილდა და დედას ოჯახის უღლის ტარებაში შეეშველა. სწავლობდა და შრომობდა. შრომობდა, რომ ესწავლა, სწავლობდა რომ, ეცხოვრა და ეშრომა. წარმატებით ჩააბარა მისაღები გამოცდები თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პარალელურად ორ სკოლაში მუშაობდა. ასევე მსახურობდა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდის მსახიობად. ოფლითა და შრომით მოიპოვებდა არსებობის პურს. წარჩინებთ დაამთავრა კონსერვატორია. თბილისში დარჩენასა და კარიერაზე უარი თქვა, მარტოდ დატოვებული ოჯახი გამო.

წარჩინების დიპლომითა და ქართული სადირიჟორო სკოლის დიდი წარმომადგენლის, ბატონ ვახტანგ ფალიაშვილის რეკომენდაციით იგი მუშაობას იწყებს საქართველოში ერთ-ერთ პრესტიჟულ სასწავლებელში ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში მასწავლებლად და სასწავლო ნაწილის გამგედ. ახალგაზრდა კაცი იმ დროის ქართველი კორიფეების გვერდით ტრიალებდა და ღვიდებოდა. თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრა და ბატონი იოსებ კეჭაყმაძე თანამშრომლობდნენ ბატონ ომართან. იწვევდნენ, ატარებდნენ ერთობლივ ღონისძიებებს. რესპუბლიკურ თუ საკავშირო კონფერენციებზე არა ერთხელ უსახელებია ბატონ ომარის ქართული საგუნდო-სადირიჟორო სკოლა.

ცხოვრებისა და მოღვაწეობის საუკეთესო წლებში უწევდა ბრძოლა მოჩვენებითობისა და სიყალბის წინააღმდეგ. ხშირად ამ ბრძოლას სიცოცხლის ნაწილი მიჰქონდა, მაგრამ იგი რჩებოდა ჭეშმარიტი ხელოვნების დამცველად. მისთვის „დრონი მეფობდნენ და არა „მეფენი“. მისი პრინციპი იყო და არის „წყალნი წავლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“... იგი დარჩა იმ კაცად, რომელიც „ვინც არ არის კახაბერი.. მას ვერ იტყვის კახაბერად“.

სულ 19 წლის იყო, როცა სკოლაში დაიწყო მუშაობა სასკოლო გუნდის დირიჟორად. იგი დღემდე სიყვარულით მისდევს ამ საქმეს. განვლილი წლების განმავლობაში მის გუნდებს აღფრთოვანებით ხვდებოდა ბათუმი, ქუთაისი, თბილისი. მისი გუნდებისათვის მუსიკებს ცნობილი კომპოზიტორები ქმნიდნენ.

1981 წელს მთელი საქართველოს ზეიმობდა ბათუმში პირველი ქართული სკოლის ასი წლის იუბილეს. ბატონი ომარ ჩიტაიშვილის მაღალი პროფესიონალიზმის დამსახურება იყო, რომ იუბილე ეროვნულ დღესასწაულად იქცა. აჭარის უზენაესმა საბჭომ მისი წარმატება უზენაესი საბჭოს უმაღლესი ჯილდოთი შეაფასა.

სანთელ-საკმეველმა თავისი გზა და კვალი არ დაკარგა. დღეს იგი მოღვაწეობის შედეგს იმკის. მისი აღზრდილი მაღალი დონის სპეციალისტების წარმატებებია ბატონომარ ჩიტაიშვილის ყველაზე დიდი ჯილდო.

ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორია კი მისი ცხოვრებისა და მოღვაწეობის უმთავრესი ჯილდოა. ეს არის მისი ახდენილი ოცნება, მისი უსაყვარლესი ნავთსაყუდელი.

### კარლო ცომაია

კაცი რომელიც სიკეთეს აფრქვევს.

პირველად მას ბათუმი მუსიკალურ სასწავლებელში შეეხვდი, სამასწავლებლოში, პედაგოგების გარემოცვაში. არ ვიცნობდი. ყველას კეთილი ღიმილით მოგვესალმა.

ეს იყო 1963-1964 წლის შემოდგომაზე. საშუალება მომეცა დავსწრებოდი თათბირს სადაც ღონისძიებად სიტყვით გამომსვლელის კანდიდატს არჩევდნენ. მას აქებდნენ, როგორც მჭერმეტყველ პედაგოგს. „ბიურომ“ არჩევანი სწორედ კარლო ცომაიაზე შეაჩერა... და, წარსდგა დარბაზში წარმოსადეგი, ღრმა ცოდნით, გულიანი მსჯელობით, ნივთიერი დასკვნებით... მეტი რაღა იყო საჭირო დარბაზის დასაპყრობად. ასე რომ, პირველივე შეხვედრიდან ამდღა მისი ავტორიტეტი როგორც პედაგოგთა ისე მოსწავლეთა ოლიმპზე. ასე მორგებულად დაუკავშირდა ეს დიდიებული პედაგოგი-ლექტორი და მოქალაქე სამუსიკო ცხოვრებას. 1963 წლის 20 აგვისტოდან, იწყებს პედაგოგიურ მუშაობას ბათუმის ზ.ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში. 1965 წლიდან პარალელურად №13, შემდგომ №20, მეზღვაურთა საშუალო სკოლებში ასწავლიდა. 1972-1987 წლებში აჭარის ასსრ კულტურის სამინისტროში – ძეგლთა დაცვის საზოგადოების ინსპექტორად, ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ლექტორად მუშაობდა.

ასწავლიდა და ასწავლის, ბევრი მოწაფე ჰყავს, ბევრ ახალგაზრდას გაუკაფა გზა ცხოვრებაში. მისი პედაგოგიკა ძალიან ჰგავს მშობლისა და შვილის ურთიერთობას. არასოდეს არაა მარტო, გარშემო ხალხია, აუდიტორიაა და იგი მჭერმეტყველობს, ზოგი რამ უკვე მოსმენილი მაქვს, მაინც ვუბნებ ყურს. ის იმპროვიზატორია, ახლებურად, აუდიტორიის მიხედვით არჩევს საუბრის თემას. პირველად თვითონ გაიცინებს ხალისიანად და აუცილებლად აგიყოლიებს. ყოველთვის გამომსვლელის გვერდითაა, ბობოქრობს, გიწვევს კამათში, მაგრამ იმავე წუთში იზიარებ მის აზრს, ყველას დაასაქმებს საზოგადოებრივი მოთხოვნის მიხედვით. მოკლედ ყოველთვის მოწოდების სიმაღლეზე დგას და ჩვეული გატაცებით მუშაობს. განსაკუთრებით უჭრის ზეპირი კითხვა.

არასოდეს მიღწეულით არ კმაყოფილდება. 1972 წლიდან ინტენსიურად შეუდგა სადისერტაციო თემაზე მუშაობას „აჭარა რევოლუციის აღმავლობის წლებში (1910-1914წწ.)“. დაიცვა ქ. კიევში, შევჩენკოს სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

მახსენდება დასრულებული ავტორეფერატი წარმოგვიდგინა (სასწავლებლის დირექტორს, ზ. გოგოტიშვილს და მე, იმხანად სასწავლო ნაწილის გამგე გახლდით) და

გვითხრა „...ბევრი ნერვიულობა გავიარე, ახლა შედარებით მოსვენებული ვარ, მაგრამ დიდი პროცედურა მიდგას წინ“.

ბატონი კარლოს ინიციატივით არაერთი საინტერესო ღონისძიება ჩატარებულა. განსაკუთრებით, სწავლა-აღზრდის ღონის ამაღლებას რომ ეხება, დიდი პატივით იხსენებს ჩვენი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოღვაწეებს და მეცნიერულად აფასებს მემედ აბაშიძისა და ჰაიდარ აბაშიძის ღვაწლს. ამ ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეებზე დაბეჭდა ორი ნარკვევი კიევის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიული ფაკულტეტი სამეცნიერო შრომების კრებულში 1971, 1979 წლებში. ამასთან სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის საიუბილეო კომისიის ერთ-ერთი აქტუალური წევრია.

დღეს ბატონი კარლო მეტად მიშვნელოვან რგოლს ხელმძღვანელობს კონსერვატორიაში – პრორექტორია სამეცნიერო დარგში. ბათუმის დამოუკიდებელი ერთაშორისი ინსტიტუტის „მეგობრობას“ რექტორი, – ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი, გაზეთ „ახალგაზრდა იურისტის“ რედაქტორი. დაჯილდოებულია მედლით „შრომის ვეტერანი“ სამკერდე ნინით „სსრკ განათლების წარჩინებული“. რაც მტავარია, შეიცვალა დრო, იცვლება ხალხი, ის კი ისეთივე რჩება. ყოველთვის ჩვენს გვერდითაა – კოლეგა, აღმზრდელი, მასწავლებელი, მეგობარი, ხელმძღვანელი და ღირსეული კაცი, რომელიც სიკეთეს აფრქვევს.

#### გულნარა ახვლედიანი

ქალბატონი გულნარა კონსერვატორიის სასწავლო ნაწილის გამგე გახლდათ. ქალბატონი, რომლისთვისაც მუიკა და მუსიკალური ცხოვრება გაიგივებულია საკუთარ თავთან.

განსაკუთრებული მუსიკალური ნიჭის, აბსოლიტური სმენის მქონე, დღენიადაც ჩართულია სასწავლო პროცესის მთავარ არტერულ ცენტრში და ყველაფერს ასწრებს. არ შეიძლება არ დაინახო მისი ასეთი დიდ მონდომება.

ნაყოფიერ პედაგოგიურ შემოქმედებით მოღვაწეობაში შეიძლება ჩავთვალოთ ახალგაზრდები, რომლებიც დღესაც ხვეწენ აკადემიურ ცოდნას სხვადასხვა პრესტიჟულ უმაღლეს პროფესიულ სასწავლებელში. ასე მაგალითად, მისი კლასის მოსწავლე ნ. კვირიკაძე სწავლობდა მიუნხენის (გერმანია) კონსერვატორიაში, ადრე კი მონაწილეობას ღებულობდა იტალიაში ვიოტის სახელობის 45-ე საერთაშორისო კონკურსში, ხათუნა ნინიძე – თბილისის კონსერვატორიის ასპირანტია და ხვა.

მისი მუსიკალურობა ხასიათდება ანსამბლური შერწყმის პოლიფონიური უნარით. მრავალჯერ გაუმართავს როგორც სოლო, ანსამბლური, ისე საკონცერტმეისტერო კლასის კონცერტები, სადაც გემოვნების დახვეწილობით, მუსიკალური აზროვნებით მოუხიბლავს მსმენელი.

ასევე აღნიშვნის ღირსია მისი მეთოდური მუშაობა. სისტემატიურად ატარებდა ლექცია-კონცერტებს მაღალმთიანი სოფლების სამუსიკო სკოლების მოსწავლეებისათვის.

წლების განმავლობაში იყო ქობულეთის №112 სკოლის საფორტეპიანო დოცენტი.

აჭარა, საქართველოს უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთი ნაწილი, პალმებითა და კვიპაროსებით, მაგნოლიებითა და ციტრუსებით შემკული, ქათქათა ბუნებითა და ხასხასა ხავერდოვანი გაზონებით დამშვენებული ბათუმი ყოველთვის მოუხმობდა მუსიკოსებს, ხელოვნების ყველა მოყვარულს.

აჭარაში მუსიკალური კადრების აღზრდა-განვითარებაში დრმა კვალი დატოვეს 30-40-იანი წლების მოღვაწე პედაგოგება, რომლებმაც მთელი ცხოვრება სამუსიკო ხელოვნების სამსახურს მიუძღვნეს და ჩვენ პირობებში „ვეროპის რენესანსის“ – აღორძინების პედაგოგების, ღირსეული სახელი დაიმკვიდრეს.

ვფიქრობ, მიმზიდველმა ნოყიერმა გარემომ, რომლებიც სუფევდა იმ პერიოდში ქალაქში ორგანულად განსაზღვრა ხელოვნების მომავალი, ხვალისდელი დღე, სამუსიკო სასწავლო-აღმზრდელობითი განვითარების გზა. დაუზოგავმა შრომამ კლასიკური კულტურის სახლი შექმნა და გაჩნდა მოსახლეობისთვის აუცილებელი ბათუმური მუსიკალური სამყარო.

დღევანდელი ახალგაზრდა თაობის სასახლოდ უნდა ითქვას, რომ იგი სათუთად ინახავს და აფასებს ვეტერანი მუსიკალური კადრების ღვაწლს, პედაგოგთა, თუ შემსრულებელთა აღმასვლისა და წარმატების ამსახველ ეპიზოდებს.

დღეს, რომ კონსერვატორია ჟღერს და სასწავლო პროცესი უმაღლესი დონის სწავლებით ვითარდება სწორედ მათი ღვაწლის შედეგის დაგვირგვინებად უნდა ჩაითვალოს. მათმა დაუღალავმა პედაგოგიურმა შემოქმედებებმა მოღვაწეობამ გაუკაფა გზა ბათუმში მუსიკალური განათლების თანდათანობით განვითარებას.

აღნიშვნის და დაფასების ღრსია ამ საქმისათვის მათი დიდი დამსახურება და ღვაწლი, რომელიც ჩვენ კუთხისათვის, აჭარისათვის გასწიეს. განსაკუთრებულ მადლიერებას იმსახურებენ სასწავლებლის დამაარსებლები – კომპოზიტორები: შალვა თაქთაქიშვილი, მელიტონ ბალანჩივაძე, ალექსი ფარცხალაძე, მუსიკოს-პედაგოგები: ი. ბეზრუდნაია, ნ. და ვ. გიგიტიძეები, ვ. ბარერა, მ. დოლენგო-დრაგოჟი, გ. ბუჩინსკი, ელ. კურტიდი, ლ. სელეზნიოვა, ვ. მულოვი, ე. ნეიშტადტი, მ. გეგელაშვილი, ლ. ნავროცკაია, ტ. სკვარცოვა, ლ. აბლამოვა, ბ. მუზიკინი, ნ. ვარძიელი, ა. როდინი, მ. პატარავა, ა. ზელენცოვა, ივ. ხაჩანიანი, ფ. ენალევი, ლ. გურინშტეინი, ნ. აბულაძე, თ. გათენაძე, თ. ბოცვაძე, ფლ. ჯორბენაძე, თ. ჩანტლაძე, თ. ლილიენბახი, ვ. მიროშნიკოვა, ლ. თევზაძე, სხვანი და სხვანი.

დღეს მადლიერი სამუსიკო ხელოვნების მესვეურები, საშუალო და უფროსი თაობის ბევრ მუსიკოსი, რომლებიც არა მარტო აჭარის სამუსიკო დაწესებულებებში მოღვაწეობენ არამედ შორის გასცდნენ მის საზღვრებს, გულთბილად იგონებენ და დიდ პატივს მიაგებენ მათ ამაგსა და ნათელ სახეს.

## ადრეული წლების დამსახურებული პიანისტები

ევგენი ვასილის ძე ნეიშტადტი

(1888-1958)

დაიბადა 1888 წელს.

ეროვნებით რუსი ებრაელი.

მშობელთა ყოფილი წოდება – მდაბიო, რკინიგზის მოსამსახურეები.

დამთავრებული ჰქონდა დნეპროპეტროვსკის რეალური სასწავლებელი 1904-1909 წლებში და პეტერბურგის კონსერვატორიის საფორტეპიანო სპეციალობა 1909-19014 წწ.

შრომის პერიოდი: 1915-1922 წლებში დნეპროპეტროვსკის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგი;

1922 წლიდან მეუღლის ავადმყოფობის გამო საცხოვრებლად გადავიდა ბათუმში.

1922-1923 წლებში ხელმძღვანელობს ფორტეპიანოს დაკრის კურსებს;

1923-1924 წლებში ბათუმის სამხედრო გარნიზონის კლუბის სასწავლო ნაწილის გამგეა;

1924-1929 წლებში აჭარის ასსრ განათლების კომისარიატის მუსიკალური სტუდიის პედაგოგია და სასწავლო ნაწილის გამგე;

1930-1933 წლამდე – სასწავლო ნაწილის გამგე სკოლა-სასწავლებელში;

1933 წლიდან ბათუმის მუსიკალური ტექნიკუმის პედაგოგია.

ჯილდოები: 1945 წლის მარტში ხელოვნებაში ნაყოფიერი მუშაობისათვის – აჭარის ასსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.

1946 წ. მაისში – სამუსიკო სასწავლებლის 25 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭა აჭარის დამსახურებული პედაგოგის წოდება.

მნიშვნელოვანი ფაქტია ის, რომ ევგენი ნეიშტადტის პირად საქმეში, რომელიც ინახება ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიის არქივში, მის ხელნაწერ ავტობიოგრაფიაში ვკითხულობთ, რომ აჭარის ასსრ განათლების სახალხო კომისარიატის ნებართვით მუსიკალურმა სტუდიამ 1924 წელს შეიცვალა სახელი და მას ეწოდა სამუსიკო სკოლა, სადაც ევ. ნეიშტადტი მოღვაწეობდა როგორც სასწავლო ნაწილის გამგედ, ასევე პედაგოგად.

საფორტეპიანო სკოლის წარმომადგენელი ე. ნეიშტადტი ჭეშმარიტი მუსიკოსი, უაღრესად ერუდირებული, თავისი საქმი ერთგული, ფართო პროფილის თვალსაჩინო პედაგოგი გახლდათ.

მასთან აღიზარდა მოსწავლეთა დიდი წრე, რომელიც უწყვეტ ნაკადად მოედინებოდა. მათმა უმრავლესობამ ცხოვრება მუსიკას, სამუსიკო ხელოვნების სამსახურს მიუძღვნა.

პირველი გარეგნული შთაბეჭდილება, რაც ახლდა ე.ვ. ნეიშტადს ეს იყო კეთილშობილება, მზრუნველობა. ის ასწავლიდა სპეციალობას, ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლების მეთოდიკას, საფორტეპიანო ანსამბლს, მუსიკის ლიტერატურას.

მე მას ადრე ვიცნობდი. ჩემი და მედეა (ჟუკა) მე-3 კურსზე სპეციალობაში ე. ნეიშტადტთან სწავლობდა, წარჩინებული მოსწავლე იყო, ხშირად სასწავლებლის საკონცერტო გამოსვლებში ღებულობდა მონაწილეობას. დღეს, ჟუკა ცნობილი ექიმ-გინეკოლოგი გახლავთ. აქვე მინდა გავიხსენო ჩემი დის კურსელები და თანატოლები: კირა ბაბასინოვა – მოსკოვის კულტურის ინსტიტუტის პროფესორი, ლედი წულაძე (ცნობილი კინორეჟისორი ბადური წულაძის და), მერი მაღაზონია, ნინა დავიდოვა, ჟანა ავეტისოვა, ივეტა ჩახალიანი, ნინა ზაპუკიძე – ცნობილი კომპოზიტორის შალვა დავითაშვილის მეუღლე ჟორა იორდანიდი, ივეტა ნიკოგოსიანი, გაროდდ ფირცხალავა, ამირან ოგანეზოვი და სხვები, რომლებიც წარმატებით მოღვაწეობდნენ თბილისში თუ სხვადასხვა ქალაქებში.

1945/55 სასწავლო წლის სექტემბერი იყო. ა. ფარცხალაძემ განსაკუთრებული თავაზიანი მოკრძალებით ე. ნეიშტადტთან წარმადგინა: „ევგენი ვასილ თქვენთან ისწავლის“. ევგენი ვასილის ძემ ღიმილიანი სახით მომხვია ხელი და კლასში შემეყვანა. გამესაუბრა. შემეკითხა თუ რომელი ნაწარმოების შესრულება მიყვარდა პოლიფონიის, სონატის თუ პიესის. მე კი განსაკუთრებული პასუხისმგებლობით, თანმიმდევრულად სრული პროგრამა შევასრულე. ბახის პრელუდია და ფუგა c-moll II ტ., ბეთჰოვენის სონატა №1 f-moll I ნაწ., მაშკოვსკის – ეტიუდი №3 op. 18, grigis – „პოეტის გული“. მაღალი პროფესიული დამოკიდებულებით თავდანვე განმაწყო და მირჩია რაც შეიძლება ბახის მეტი ნაწარმოებები და ეტიუდები უნდა გავიაროთო.

ასე დაიწყო ჩემთვის სასწავლებელში მეცადინეობის პირველი წლები, პროფესიული ბასუხისმგებლობისა და სრულყოფილებისაკენ დახვეწა. ყოველი გაკვეთილი იყო საკუთარი მეთოდიკის ხელწერა, ინდივიდუალური მიდგომა.

ყველა მოსწავლეს თავისი კარგი თვისებით გამოავლენდა. რა დამავიწყებს ჩემ წინ, ცხრილის მიხედვით, გაკვეთილზე მესამეკურსელი მოსწავლე ჟანა ავეტისოვა იყო. განსაკუთრებული, თითების სისხარტით, ბისერული ტექნიკით და მოქნილობით გამოირჩეოდა, უკრავდა შოპენის №12 op 10 ეტიუდს, საკმაოდ გამართულად. „ამის შემდეგ დაკრა მერიდება-თქო“ – გაუბედავად წარმოვთქვი მე. ევგენი ვასილის ძემ მიპასუხა: „არა ეგრე ნუ იტყვი, შენ ინსტრუმენტთან კარგი შეხება გაქვს, სწორი ფრაზირებით, ლირიული განწყობით იცი დაკვრა, მომწონს შენი მუსიკალურობა, მერე კი თითებში ტექნიკაც გაგინვითარდება“.

ევგენი ვასილის ძე სპეციალობაში გაკვეთილს, როგორც წესი, გამების სწავლებით იწყებდა. განსაკუთრებით დიდ დროს ანდომებდა ერთი ბგერიდან სხვადასხვა სახის არპეჯიოების დაკვრას, სამხმოვანებისა და დომინანტსეპტაკორდების შებრუნებების არპეჯიოებს. ეს მეთოდი მეტად აქტუალურია დღევანდელობაში. მოსწავლეს უნვითარებს მაჟორულ-მინორული სისტემის უფრო საფუძვლიან ცოდნას და ასევე კილო-ტონალურობის შეგრძნებას. ასევე დიდ ყურადღებას უთმობდა მელიზმების შესწავლას. მეცადინეობას ვიწყებდით მორდენტზე (გადახაზული, გადაუხაზავი), შემდეგ გრუპეტოზე, ტრელებზე, სხვადასხვა ოქტავეებში, სხვადასხვა თითებით დაკვრაზე.

ვარჯიშები დღესაც ხელს უწყობს პიანის ფორმირებას, ტექნიკის განვითარებას დამაჯერებლობას.

ევგენი ვასილის ძე ამა თუ იმ საგნის სწავლებას რუსულად წარმართავდა. ხშირად ქართული ჯგუფის მოსწავლეები ვმეტყველებდით ქართულ ენაზე, უფრო ხშირად რუსულ-ქართულად და ის კიდევ ყურადღებით გვისმენდა. უკვე მოგვიანებით გავუგე მას, რომ მუსიკას ენობრივი ურთიერთობის ბარიერი არ გააჩნდა. მაშინ ჯერ კიდევ ბავშვებს, არ გვესმოდა მუსიკის ესოდენ დიდ ფენომენი. მუსიკაში ხომ უთქმელიც (პაუზა) გასაგებია. ევგენი ვასილის ძის ჭეშმარიტ მუსიკოსობაზე, მეტყველებდა მისი ასეთი „მუსიკალური ენის“ ინტონაციური ურთიერთობა. ხშირად, მუსიკის ლიტერატურის გაკვეთილზე, ქართულად თხრობის დროს ჩაგვერთვებოდა კითხვებით და სმენითი ინტონაციებით მოგვეთხოვდა მასალის ირგვლივ თემების ილუსტრირებას.

ევგენი ვასილის ძესთან გაკვეთილზე მისვლა გვიხაროდა. როგორც წესი, კლასი ყოველთვის გადატვირთული იყო. მახსენდება ერთხელ გაკვეთილზე დაგვესწრო ალექსანდრე ზინოვის ძე როდინი, შემოსვლისთანავე გაოცებული მიუბრუნდა გვერდზე მყოფ პედაგოგს ლიუდმილა გიორგის ასულ ნავროცკაიას და უთხრა: „დახე როგორი აბსოლიტური დასწრებაა, ჩანს საგნის მიმართ სიყვარული“.

მუსიკის ლიტერატურის მასალა ილუსტრირება, მაშინდელი პირობების მიხედვით, ინსტრუმენტზე – როიალზე სრულდებოდა. როგორც წესი, ე. ნეიშტადტი ასრულებდა, ან კიდევ ხმის ინტორირებით გიმღერებდა ამა თუ იმ მელოდიურ ხაზს. იგი საოცრად სრულყოფილი, მრავალმხრივ განათლებული პიროვნება იყო.

საფორტეპიანო ანსამბლში ვუკრავდით ოთხ ხელში, ან რვა ხელში. მახსოვრობიდან არ გამომდის შესანიშნავი მეთოდი, რომელსაც ის გვთავაზობდა სწავლების დროს, აუცილებლად ყველა პარტიას გვთხოვდა. ერთმანეთს ვენაცვლებოდით, ვუკრავდით ჰაიდნის, მოცარტის, ბეთჰოვენის სიმფონიებს, კვარტეტებს, ეპიზოდებს, სხვადასხვა ოპერებიდან. ძირითადად, მისი საკუთარი ბიბლიოთეკიდან მოჰქონდა ნოტები და ფურცლიდან კითხვის ჩვევებსაც გვივითარებდა. გაკვეთილის შემდეგ აუცილებლად „მადლობთ“ დაგვემშვიდობებოდა. შემორჩენილია ადრინდელი ორენოვანი ქართულ-რუსული აფიშა, სადაც ორ როიალზე პიანისტები გ. ბუჩინსკი და ე. ნეიშტადტი საფორტეპიანო ანსამბლებს ასრულებდნენ.<sup>60</sup>

ასევე სწორ პროფესიულ ორიენტირებსაც გვაძლევდა. ერთ-ერთ მისი სპეციალური კლასის მოსწავლეს პიანისტური შესაძლებლობები შეზღუდული ჰქონდა, მუსიკალური სმენა, აზროვნება, მეტყველება და მსჯელობის უნარი – კარგი. „დასანანია, რომ თეორიული განყოფილება არა გვაქვს, თორემ იქ ნამდვილად ბრწყინვალე მოსწავლე იქნებოდი“ – მიმართა მოსწავლეს ჭეშმარიტმა მუსიკოსმა.

ყველგან და ყველაფერში სიმართლის ეტალონი იყო. რისთვისაც მისკენ დიდი ინტერესით მიიღებოდნენ მოსწავლეები.

1958 წლის შემოდგომაზე, მუსიკალურმა საზოგადოებამ დიდი პატივით დაიტირა ღვაწლმოსილი შემოქმედი. ასეთ კაცზე იტყვიან: „აქაც კარგი კაცი იყო იქ ნათელი დაადგეს“...

<sup>60</sup> აფიშა იხილეთ თ. კომახიძის წიგნში აჭარის კულტურის ისტორია, ბათუმი, 1999. გვ. 611.



## ნინა და ვალერიან გოგიტიძეების

### ოჯახი

1928 წელს, ქართველი კომპოზიტორების მ. ბალანჩივაძისა და შ. თაქთაქიშვილის დიდი ძალისხმევით შექმნილი ბათუმში დაარსდა სამუსიკო სასწავლებელი.

სამუსიკო სასწავლებელში თავდაპირველად ფუნქციონირებდა შემდეგი სპეციალობები (მოგვიანებით შეცვალა „სპეციალობა“ – განყოფილებით): საფორტეპიანო, ვოკალური, საგუნდო სადირიჟორო და თეორიული.

საფორტეპიანო სპეციალობას ხელმძღვანელობდა ლენინგრადის კონსერვატორიიდან მოწვეული პედაგოგი ი. ბეზრუდნია. მასწავლებლებიდან კი მოღვაწეობდნენ: გ. ბუჩინსკი, ტ. სელეხნიოვა, ნ. გოგიტიძე.

საგუნდო და თეორიულ სპეციალობებს უძღვებოდა სასწავლებლის გამგე (დირექტორის თანამდებობა მოგვიანებით ფუნქციონირებს) შალვა თაქთაქიშვილი. პედაგოგებს შორის აღნიშვნის ღირსია ვალერიან გოგიტიძე. იგი ასწავლიდა მუსიკის ანბანს, თეორიასა და ხელმძღვანელობდა სასწავლებლის საერთო გუნდს. ამავე დროს ბატონი ვალერიანი შ. თაქთაქიშვილის ხელმძღვანელობით მოწვეობილ საექსპედიციო მოგზაურობისას აწარის სოფლებში აწერდა ხალხურ სიმღერებს, საცეკვაო მელოდიებს, რისი დიდი აღქმის უნარიც მას მინიჭებული ჰქონდა და აკეთებდა დიდი ენთუზიაზმითა და სიყვარულით.

შემოინახა აჭარის სახელმწიფო სამუსიკო ტექნიკუმის მოსწავლეთა მეორე საჩვენებელი კონცერტის აღრიხველი 1933 წლის 20 თებერვლის აფიშა (აფიშა ილუსტრირებულია თ. კომახიძის წიგნში „აჭარის კულტურის ისტორია“. (გამომცემლობა „აჭარა“, ბათუმი, 1999წ. გვ 606), სადაც ნინა გოგიტიძის სამი მოსწავლეა – ქინქლაძე, გოგიტიძე და საღარაძე (აფიშაზე არ არის მოხსენიებული სახელები, არც კურსიან აღნიშნული და არც ნაწარმოების თხზულების ნომერი). პროგრამის თანმიმდევრობისა და რეპერტუარის მიხედვით პირველი და მეორე კურსის სტუდენტები უნდა იყვნენ. ზემოთ მოყვანილი გვარებიდან, ნაზი საღარაძე უნდა იყოს, რომელიც სამუსიკო სკოლაში წლების მანძილზე ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა.

ნინა და ვალერიან გოგიტიძეებმა დიდი, საინტერესო გზა განვლეს და თავისი პედაგოგიური მოღვაწეობით მოკლე დროში მუსიკალური საზოგადოების ცენტრში აღმოჩნდნენ. მათი ოჯახი ყველა მუსიკოსისათვის ცნობილი იყო. ისინი აჭარაში პროფესიული მუსიკის ერთ-ერთ დამფუძნებლები იყვნენ, მათი ოჯახის კარი ყოველთვის ღია იყო ბათუმში მყოფი სტუმრებისა და გამომჩენილ მოღვაწეთათვის. მთელი ჯგუფები იკრიბებოდნენ მათ გარშემო, შუაღამემდე რჩებოდნენ, წასვლა არავის სურდა. კამათობდნენ. საუბარში დრო გადიოდა, ბევრის მესხიერებაში აღბეჭდილი სიბრძნე, სიკეთე, სამართლიანობა, მათი მოღვაწეობის თავი და თავი იყო.

ისინი ახალგაზრდებს მუსიკის, პოეზიისა და სიმღერის დიდ სიყვარულს უნერგავდნენ. ასრულებდნენ მშობლიურ სიმღერებს, ეწეოდნენ მის პოპულარიზაციას და ხალხიც დიდი სიყვარულით პასუხობდა.

ვალერიან ამბაკოს ძე გოგიტიძე, წარმოშობით, ოზურგეთის მაზრის სოფელ ჭალადან იყო, მასწავლებლების ოჯახიდან. სამი წლისას მამა გარდაეცვალა, რის შემდეგაც ოჯახი ბათუმში გადმოსახლდა.

ვალერიანის დედა შეძლებული ოჯახიდან იყო. იგი თავის შვილებს დიდი მზრუნველობით ზრდიდა, ცდილობდა მათთვის შესაფერი განათლება მიეცა, სამშობლოსა და ხალხის სიყვარული შთაეგონებინა.

ვალერიანი, ბავშვობიდანვე, აქტიურად მონაწილეობდა სასკოლო გუნდებში. ჰქონდა მახვილი მუსიკალური სმენა და სასიამოვნო ხმა. სკოლის დამთავრების შემდეგ ჯერ სახელოსნო სასწავლებელში, შემდეგ კი ბათუმის ვაჟთა გიმნაზიაში სწავლობდა. გიმნაზიაში ჭაბუკ ვალერიანს აღმოაჩნდა ლოტბარის ნიჭი და მომღერალთა გუნდი ჩამოაყალიბა.

გიმნაზია წარჩინებით დაამთავრა.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე ვალერიან გოგიტიძე მოქმედ არმიაში გაიწვიეს. აჭარაში თურქი ოკუპანტების შემოსვლისას ვალერიან გოგიტიძე ბათუმის ციხე-სიმაგრეთა კომენდანტი და არტილერიის უფროსის მოადგილე იყო. პატრიოტმა ქართველმა დიდი როლი შეასრულა თურქი ოკუპანტების ბათუმიდან განდევნაში და გენერლის წოდებაც დაიმსახურა.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე ვალერიან გოგიტიძე თავს ანებებს სამხედრო სამსახურს და ცოდნის გაღრმავებას ეწაფება. სწავლას აგრძელებს პეტერბურგის უნივერსიტეტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე. სტუდენტობის წლები შეადგინა მომღერალთა ჯგუფი და მისი ლოტბარობით ხშირად აწყობდა სადამო-კონცერტებს, ასრულებდა ქართულ-ხალხურ და მუსიკალურ ნაწარმოებებს, რითაც სათანადო პროპაგანდას უწევდა ქართულ მუსიკას. მუსიკალური ცოდნის მიღების აუცილებლობაც დაისახა მიზნად და უნივერსიტეტის პარალელურად, პროფესორ მელნიკოვის კერძო სტუდიაში, სწავლობდა მუსიკის თეორიას. სწორედ აქ შეხვდა პირველად მისი მომავალი მეუღლე ნინა ყარამანის ასული მგელაძე.

1927 წელს, პეტერბურგის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, ვალერიან და ნინა გოგიტიძეები თავის მშობლიურ ქალაქს დაუბრუნდნენ და ნაყოფიერი მუშაობა გააჩაღეს. ისინი სულ მუდამ ერთმანეთს მხარში ედგნენ და მთელი სიცოცხლის მანძილზე დაუღალავად ემსახურებოდნენ თავიანთ საყვარელ საქმეს. ვალერიანი კარგად დაეუფლა მასწავლებლის პროფესიასაც, სკოლებში ასწავლიდა ფიზიკა-მათემატიკას, ლოტბარობდა ქალაქის მხატვრულ თვითმოქმედებას.

სამუსიკო სასწავლებლის გახსნის დღიდან ვალერიან და ნინა გოგიტიძეები აქტიურად ჩაებნენ მუსიკალური აღზრდის საქმიანობაში და პედაგოგებად დაიწყეს მუშაობა. ვალერიანმა თავისი ცხოვრების 60 წელი პირნათლად მიუძღვნა ამ მეტად კეთილშობილურ საქმეს.

ნინა და ვალერიანი ძალიან გულისხმიერი, მაღალი პროფესიის პედაგოგები იყვნენ. მათში გამოსჭვიოდა ადამიანებისადმი უდიდესი სიყვარული. შვლივით ეპყრობოდნენ მოწაფეებს. იყვნენ ქველმოქმედი პედაგოგები. ბევრ მათგანს ეკონომიურადაც უწყობდნენ ხელს: აჭმევდნენ, აცმევდნენ, ზაფხულობით დასასვენებლად გაიყოლებდნენ, თუკი ეს სამკურნალო თვალსაზრისით ესაჭიროებოდათ და მზრუნველობას არ აკლებდნენ. ამიტომაც ისინი ყველას უყვარდა და აფასებდა.

მოხარული ვარ, საშუალება მომეცა ჩემ პედაგოგებზე ვთქვა ის, რასაც წლების მანძილზე გულით ვაარებ. ვალერიან გოგიტიძე მუსიკის თეორიას მასწავლიდა, ასწავლიდა გუნდმცოდნეობას, ასევე ხელმძღვანელობდა სასწავლებლის საერთო გუნდს.

სამუსიკო სასწავლებელში ვ. გოგიტიძესთან სპეციალობაში საგუნდო რეჟისორთა მთელი პლეადა აღიზარდა: სოსო მიქელთაძე, მიშა კილაძე, ვალიკო სადრაძე, ალექსანდრე ანანიძე, ალექსანდრე ბერაძე, ხუსეინ ნემსაძე, ჯემალ ანანიძე, გრიგოლ გრეკოვი, ბონდო მესხი, შალვა დარჩია და მრავალი სხვა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ მის გუნდში არზრდილი ბევრი ახალგაზრდა თბილისის ოპერის თეატრის სოლისტები გახდნენ: ვ. ჩხილაძე, შ. ვაშალომიძე, ვ. გეგუჩაძეს საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდება მიენიჭა.

ნინა ყარამანის ასული მგელაძე დაიბადა 1886 წ. ქუთაისში, ჩინოვნიკის ოჯახში. ოჯახი ბათუმში ადრეულ წლებში გადმოსახლდა, სადაც მამა საბაჟოს მოხელედ მუშაობდა. ყარამან მგელაძეს ექვსი ქალიშვილი ჰყავდა. მან კარგად იცოდა სწავლის ფასი და ექვსივე ქალიშვილს უმაღლესი განათლება მიაღებინა.

ნინა ყარამანის ასული პეტერბურგის კონსერვატორიაში (1902-1907წწ.) პირველ სამ წელიწადს სწავლობდა ცნობილ რუს პიანისტ ქალთან ტატიანა ესიპოვნასთან, რომლის მოსწავლეც იყო გამოჩენილი ქართველი პიანისტი და პედაგოგი ანასტასია დავითის ასული ვირსალაძე. ტ. ესიპოვა ხშირად მოგზაურობდა საზღვარგარეთ საგასტროლოდ და თავის მოსწავლეებს გაკვეთილებს უტარებდა ხან ვენაში, ხან ბერლინში, ხან კიდევე პარიზში, იმისდა მიხედვით თუ სად ჰქონდა გასტროლები. ეს კი დაკავშირებული იყო გარკვეულ ფინანსურ სირთულეებთან და ამიტომ ნინო ყარამანის ასული იძულებული გახდა გადასულიყო სხვა პედაგოგთან.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ 1908-1921 წლებში ქალბატონი ნინა მოღვაწეობას იწყებს ქუთაისის ქალთა გიმნაზიაში მუსიკის მასწავლებლად, 1921 წლიდან ბათუმის სამუსიკო სკოლაში, ხოლო სასწავლებლის დაარსების შემდეგ, პარალელურად, სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებლად. ის დიდ ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა. მრავალი მისი აღზრდილი დღესაც მუშაობს ბათუმის, ქობულეთის, ოზურგეთის მუსიკალურ სკოლებში, სასწავლებელში და კონსერვატორიაში.

ქალბატონი ნინა შესანიშნავი კონცერტმასტერი იყო. იგი მეუღლის ჩამოყალიბებულ გუნდს მუდამჭამს მხარში ედგა და ყოველმხრივ დახმარებას უწევდა. ხშირად თავის მოსწავლეებს დიდი სიამაყით მოუთხრობდა, რომ ვანო სარაჯიშვილს დასავლეთ საქართველოში გასტროლების დროს კონცერტმასტერობას უწევდა. მოსწავლეებს ხშირად უჩვენებდა სამახსოვროდ ნაჩუქარ ნოტებს და ვერცხლის პორტმონე, რომელსაც ვანო სარაჯიშვილის ხელწერა ამშვენებდა.

ვალერიან და ნინო გოგიტიძეებმა ერთადერთი ვაჟიც გაიზო გოგიტიძე – მუსიკოსად აღზარდეს. მან წარმატებით დაამთავრა სამუსიკო სასწავლებელი საფორტეპიანოს განხრით თავისი დედის კლასში. მოეწყო თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში საფორტეპიანო განყოფილებაზე და პარალელურად სწავლობდა ვოკალურ განყოფილებაზეც, აღმოაჩნდა შესანიშნავი ბანი. სტუდენტობის დროს სამამულო ომმა მოუსწრო. იგი წითელი არმიის რიგებში გაიწვიეს და ომის პირველივე დღეებში დაიღუპა.

ჩემი მახსოვრობიდან ქალბატონი ნინა გახლდათ ძალიან სათნო, მოკრძალებული. სპეციალობაში მასთან არ ვსწავლობდი, მაგრამ იცოდა მპატიუება „მოდი შენს ამხანაგს მოუსმინე“ – მეტყოდა. მეც ამ შესაძლებლობის სიამოვნებაზე უარს არ ვამბობდი. ერთხელაც, ნაწული ზამბახიძეს (ჩემზე ერთი კურსით წინ სწავლობდა) შევყვივი გაკვეთილზე. გაკვეთილი ძალიან შთამბეჭდავი აღმოჩნდა. გატაცებით ვუსმენდი

ქალბატონ ნინას ნათხრობ-ნაამბობს. ნანული ზამბახიძე წარჩინებული სწავლით გამოირჩეოდა, კარგი მუსიკალურობით, შესაშური პიანისტური აპარატით, პროგრამა მრავალფეროვანი ჰქონდა, როგორც ჟანობრივად ისე რაოდენობრივად. უკრავდა ძალიან დამაჯერებლად, მტკიცედ, გაკვეთილზე ყოველთვის მომზადებული და მოწესრიგებული მოდიოდა. შესაბამისად საკონცერტო გამოსვლებითაც გამოირჩეოდა.

დღეს, ქალბატონი ნანული ზამბახიძე ერთ-ერთი თვალსაჩინო პედაგოგია. მისი მოსწავლეები მაღალი აკადემიურობით გამოირჩევიან.

მახსოვს, ნანული პროგრამით უკრავდა ლ. ბეთჰოვენის №21-ე სონატის I ნაწილს. სონატურ ალევროს და შოპენის ფანტაზია-ექსპრომტს. ნაწარმოებები ჯერ სასწავლო პროცესში ჰქონდა, მაგრამ ასრულებდა საკმაოდ გამართულად.

სავარძელში ჩაფლული ჭაღარა, სანდომიანი ქალბატონი ნინა. მაგიდაზე მკლავჩამოდებული, ყურადღებით, მორჩილად უსმენდა მუსიკას და ნაწარმოების შესრულების შემდეგ უხსნიდა შეცდომის არსს. მოსწავლეს უხსნიდა, რომ „...საფორტეპიანო სონატებს ბეთჰოვენის შემოქმედებაში ისეთივე ადგილი უკავია, როგორც ქორალურ პრელუდიას – ბახის, სიმღერას – შუბერტისა და მაზურსშოპენის შემოქმედებაში.

განსაკუთრებით მყარი იყო ბეთჰოვენი გატაცება საფორტეპიანო სონატით, რომელიც, როგორც ჩანს, მისთვის წარმოადგენდა ყველაზე უფრო უშუალო ფორმას იმ აზრებისა და გრძნობების გადმოცემისას, რომელნიც მას აღეგებდნენ. და, ამ შემთხვევაში „ავრორას“ ნათელმა ინტონაციებმა ბეერის მხრივ, მტკიცე რითმიკამ, ტემბრულმა ეფექტმა, მოტივურ რიტმულმა შეკუმშვამ „თემა შედახილმა“ შინაგანი დრამატული თემა-დიალოგი უნდა წარმოსახოს”...

სასიამოვნო გახლდათ შოპენის „ფანტაზია-ექსპრომტის“ მოსმენა-განხილვა. ნაწარმოების შესრულების შემდეგ ქალბატონმა ნინამ თავისი ჩვეული ხატოვანებით ასახა შოპენის ბეერათა მშვენიერება. რომ „ნაწარმოების შუა ნაწილში უპირველესად დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს „ფორტეპიანოზე სიმღერის“ ხელოვნებას. მიუნიშნებდა შოპენის სტლის დამახასიათებელ ნიშნებზე, მელოდიის მოხდენილობაზე და მოქნილობაზე, ფაქიზ საფორტეპიანო დამწერლობაზე, თანხლების პოლიფონიურ სისავსეზე, რასაც შევყავართ შოპენის მუსიკალურ სამყაროში, რომ შოპენის მელოდიკა რთულია შესასრულებლად, უნდა მივადწიოთ არა მხოლოდ ღამაზე, მღერად ეღერადობას, არამედ დახვეწილობას, სიფაქიზესა და მდორე დენადობას, შესრულების ბუნებრიობას სხვადასხვა ორნამენტალურ ფიგურებში.

განსაკუთრებით, აღნიშნავდა ქალბატონი ნინა, ორნამენტალური ფიგურების შესრულება მოითხოვს მეტრო-რიტმის დიდ მოქნილობას. შოპენისეული „ცუბატოს“ ტემბრიდან გადახრები, ერთიანობაში, მარცხენა ხელის თანხლებს რიტმული შესრულებით უნდა იყოს დაცული. ასევე, ხაზს უსვამდა, რომ „მარცხენა ხელში ბანის ხაზის გარდა სულ წარმოიქმნება დამატებითი ხმები, ისინი ძალიან ამდიდრებენ მუსიკალურ ქსოვილს, ანიჭებენ მას მეტ მელოდიურ სისავსესა და წმინდა საფორტეპიანო ფერადონებას, რაც სმენით კონტროლს მოითხოვს”.

დიახაც, ქალბატონი ნინა და ბატონი ვალერიანი გახლდათ ის პედაგოგები. რომლებიც მიზნად ისახავდნენ სასწავლო-სააღმზრდელო ზემოქმედებისას ცოდნის დაგროვებას, ფსიქო-ფიზიკურ უნართა განვითარებას და ღირებულებათა სფეროს ფორმირებას. სწორედ ამ ამოცანათა რეალიზაციაზე არსებითად დამოკიდებულია საბოლოო მიზანი – ადამიანის პიროვნების ჩამოყალიბება.

მათი ღვაწლი მნიშვნელოვნად დაფასდა. ქალბატონ ნინასა და ბატონ ვალერიანს მიანიჭეს საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების წოდება.

ახლანდელი თაობა კი მოწიწებით თავს ხრის მათი მოღვაწეობის წინაშე.

გიორგი დიმიტრის ძე ბუჩინსკი და

ვასილ სერგის ძე მულოვი

გ. გ. ბუჩინსკი სასწავლებლის დაარსებიდან მუშაობდა საფორტეპიანო განყოფილებაზე, სპეციალობისა და საფორტეპიანო ანსამბლის პედაგოგად. წარმოშობით ოდესიდან გახლდათ. ეროვნებით უკრაინელი.

გ. დ. ბუჩინსკიმ უმაღლესი განათლება მიიღო სიმფოროპოლის მუსიკალურ ინსტიტუტში, რომელიც დაამთავრა 1921 წელს. პიანისტ-პედაგოგის სპეციალობით. მან პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 1927 წლის 3 თებერვლიდან ქ. კიევის სამუსიკო სასწავლებელში, სადაც 1930 წლამდე იმუშავა.

1929-30 სასწავლო წლის I თებერვლიდან მუშაობს მოწვევით ბათუმის სამუსიკო ტექნიკუმში.

1930-33 წლებში საფორტეპიანო კლასი დეკანია.

1934-1936 წლებში მეთოდისტ-ხელმძღვანელად ირჩევენ მუსიკალურ სასწავლებელში და სკოლაში.

გ. ბუჩინსკის მართალ პროფესიონალიზმზე მეტყველებს დღემდე შემორჩენილი აფიშები, პროგრამები, საინფორმაციო მასალები და რაც მტავარია, მის კლასში აღზრდილთა ის დიდი ნაკადი, რომლებიც დღეს როგორც ჩვენს სამუსიკო სკოლებში და სასწავლებლებში ისე ყოფილი საბჭოთა კავშირის სამუსიკო დაწესებულებებში მოღვაწეობდნენ თუ მოღვაწეობენ: მ. ფარცხალაძე, ფ. ჯორბენაძე, თ. ბოცვაძე, მ. შური, კ. დერკაჩი, ტ. შანავეა, ნ. მაღკინა, ი. დიკოვო, ა. კეიგელუხესი, დ. კაშია, ნ. ტრიპოლიტოვა, ია ანდრევა, დ. გურინშტეინი, გ. გორდინა და მრავალი ხვა.

გადმოცემით, პედაგოგი გ. ბუჩინსკი გამოირჩეოდა განსაკუთრებული მუსიკალურობით, ფენომენალური შესაძლებლობით, მისთვის დრო დაკონკრეტებული არ იყო. ის მუშაობდა, მოსწავლესთან მეცადინეობდა იმდენი დროით, ვიდრე სასურველ შედეგს არ მიაღწევდა.

ვფიქრობ დაინტერესებულ პირთათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ზოგიერთი აფიშების, პროგრამების, ფოტო-სურათების, საგაზეთო სტატიების განხილვა-გაცნობა, სადაც თვალნათლივ ჩანს მისი პროფესიული ერუდირება, რეპერტუარის მრავალმხრივობა, რიტაც თავისუფლად შეგვიძლია აზრი გამოვთქვათ როგორც დიდ შემსრულებელზე ასევე უდიდეს პედაგოგებზე. ეს უნიკალური მასალა დაცულია და ინახება აჭარის განათლებისა და კულტურის მუხეუმის მუსიკალური ფონდის არქივში, ბათუმში, მეტაქსას ქ. №8. მოვიყვან რამდენიმეს:

1931 წ. 20 მარტი. განათლების მუშაკთა სახლი. პიანისტ გრიგორი ბუჩინსკის კონცერტი. პროგრამაში: ბეთჰოვენი – სონატა op. 90, შუმანი – „რისთვის?“ და „სიზმრების მხილველი“, შოპენი – პილონეზი დო დიეზ მინორული, მეტნერი – ზღაპარი სი ბემოლ მინორი, პროკოფიევი – პრელუდია op. 12, გაგოტი – op. 12. და ოპ-დან, „Любовь к трем апельсинам» – მარში.

II განყოფილების პროგრამაში იყო: ლისტის – ეტიუდი პაგანინის თემაზე მი ბემოლ მაჟორში, „ლეგენდა“, „დავიწყებული ვალსი“ და „მეფისტო – ვალსი“.

ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზი. კვირა, 14 დეკემბერი 1949 წ. პიანისტ გრიგორი ბუჩინსკის კონცერტი. I განყოფილების პროგრამაში იყო: პერსელ უროვსკი – კანტანტა, რახმანინოვის ეტიუდი სურათი, სკრიაბინის – 2 პრელუდია 15, ვალსი op.38 და რეგუცის – 3 პრელუდია. II განყოფილებაში შოპენის – op. 4 პრელუდია, ბალადა ლა ბემოლ მინორი და ნოქტიურნი ფადიეზ მინორული.

ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის დარბაზი. კვირა 24 დეკემბერი. 1949 წ. პიანისტ გრიგორი ბუჩინსკის კონცერტი.

I განყოფილების პროგრამაში გახლდათ ვივალდი – საორდანო კონცერტი, კირგოფი – ორი ალემანდა და კურანტა; შუმანის – „зачем“ და „сновидение“, ლისტის – პოლონეზი, სკრიაბინის – ვალსი, ორი პრელუდია, გლაზუნოვის – ეტიუდი.

საინტერესოა მოსწავლეთა საკონცერტო აფიშები და პროგრამები:

აჭარისტანის სახელმწიფო სამუსიკო ტექნიკუმი. ცხაკაიას ქ. №14, 20 თებერვალი.

ფორტეპიანოს კლასების მოსწავლეთა საჩვენებელი კონცერტების ციკლი 1932-33 სამოსწავლო წელი. მე-2 საჩვენებელი კონცერტი, კონცერტის პირველ განყოფილებაში მონაწილეობდნენ პედაგოგების ნ. გოგიტიძის და სელეზნიოვას მოსწავლეები. ხოლო მეორე განყოფილებაში გ. ბუჩინსკის მოსწავლეები: ბახჩინიანი, რომელიც ასრულებდა ბახის პრელუდიას და ფუგას *As-dur*, შუბერტ-ლისტის – ვალს – კაპრიზს. ჩაჩუა ასრულებდა შოპენის №3 და №5 ვალსს. შოპენის ორ ეტიუდს ასრულებდა ლ. გურინშტეინი, სკრიაბინის 2 პრელუდია ოპ. 11 – ნ. ტრიპოლიტოვა სკრიაბინის ორი პრელუდია ოპ 11 ჩაცუას შესრულებით, „მეტნერის – ბუნების ორი სურათი ნ. ტრიპოლოტოვას შესრულებით. ხოლო ლ. გურინშტეინის მიერ შესრულდა მეტნერის – ზღაპარი *B-moll da listis* – ვალსი op. „ფაუსტიდან“.

ზ. ფალიაშვილის სახელობის აჭარისტანის სახელმწიფო მუსიკალურ-პედაგოგიური ტექნიკუმი. ცხაკაიას ქ. №4. 6 თებერვალი 1935 წ.

საფორტეპიანო კონცერტების სადამო პედაგოგ გ. ბუჩინსკის კლასის მოსწავლეთა მონაწილეობით. დასაწყისი სადამოს 9 საათზე.

## პროგრამა

### პირველი განყოფილება

მოცარტი – კონცერტი B-moll I ნაწ. ასრულებს თ. ბორცვაძე

მენდელსონი – კონცერტი B-moll I ნაწ. ასრ. ი. ანდრეევა

მენდელსონი – კონცერტი B-moll II-III ნაწ. ასრ. ნ. ფირცხალაიშვილი

### მეორე განყოფილება

არენსკი – კონცერტი B-moll II-III ნაწ. ასრ. ფ. ჯორბენაძე

გრიგი – კონცერტი B-moll I ნაწ. ასრ. დ. კაშია.

(მეორე როიალის პარტიებს ასრულებდა გ. ბუჩინსკი.)

1937 წლის 11 მაისს ჩასატარებელი კონცერტის აფიშა. მასწავლებელთა სახლში. აჭარის ხელოვნების სამმართველოს განყოფილება.

აჭარის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებლის ნიჭიერ ნორჩ მუსიკოსთა კონცერტი, მონაწილეობენ: მიშა თიროშვილი – ვიოლინო პედაგოგი ტ.ნ. სკვარცოვას კლასი. კონცერტმამისტერი ვ.ვ. ენაღეევი

ტანია შანიავა – როიალი პედ. გ. დ. ბუჩინსკი.

### პირველი განყოფილება

ბახი – კონცერტი B-moll

ციპოლი – სარაბანდა

ფიორილლო – ეტიუდი, ასრ. მ. თიროშვილი.

ბეთჰოვენი – 32 ვარიაცია

შოპენი – 2 ეტიუდი

შოპენი – ბალადა As-dur ასრ. ტ. შანიავა.

### მეორე განყოფილება

გრიგი – სონატა C-dur II ნაწ. ასრ. მ. თიროშვილი და ტ. შანიავა.

როდე – მეშვიდე კონცერტი

ბეთჰოვენი – მენუეტი, ასრ. მ. თირიშივილი

შავერზაშვილი – სიმღერა და ეტიუდი პოლიფონიური სუიტიდან.

გლინკა – ბალაკირევი – ტოროლა

ლისტი №11 რაპსოდია, ასრ. ტ. შანიავა.

1938 წ. 25 ოქტომბერი. პედ. გ. დ. ბუჩინსკის მოსწავლეთა მონაწილეობით საანგარიშო კონცერტი. ეძღვნება დომენიკო სკარლატის ხსოვნას. პროგრამა, მოხსენება – დ. სკარლატის შემოქმედებითი გზა – პროფ. ბ. მ. პოპოვი.

სონატა a-moll, ასრ. მ. ფარცხალაძე

სონატა d-moll, ასრ. ა. კეიგელუხისი

სონატა y-dur, ასრ. გ. გორდინა

სონატა y-dur, ასრ. თ. ბოცვაძე

სონატა d-dur, ასრ. ი. ანდრეევა

სონატა a-dur, ასრ. ტ. შანიავა

აფიშა №6. აჭარის სახკომსაბჭოსტან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველო. სამუსიკო სასწავლებლის დარბაზი.

21 აპრილი 1940 წ. მასწ. გ. დ. ბუჩინსკის მოსწავლეთა ფორტეპიანოს კონცერტების საღამო.

მეორე როიალთან საფორტეპიანო პარტიას ასრულებდა გ.დ. ბუჩინსკი. (პროგრამაზე არ არის აღნიშნული, მაგრამ ბევრის გადმოცემით აზრი ემთხვევა).

### პირველი განყოფილება

მოცარტი – კონცერტი es-dur I ნაწილი შეასრულა ნინა მაღკინამ

ვებერი – კონცენტშტიუკ – შემსრულებელი ელენე დერკაჩი.

მენდელსონი – კონცერტი d-moll – შეასრულა მერაბ ფარცხალაძემ.

### მეორე განყოფილება

გუმელი – კონცერტი a-moll I ნაწ. შემსრ. ალა ჟარკოვსკაია.

სენ-სანსი – კონცერტი a-moll I ნაწ. შემსრ. თამარ ბოცვაძე.



არენსკი – კონცერტი f-moll I ნაწ. შემსრ. კონსტანტინე დერკაჩი.

ამ აფიშის პროგრამის მიხედვით, ნამდვილად ტიტანური პედაგოგიური მუშაობაა გაწეული. ერთ პედაგოგთან ექვსი საფორტეპიანო კონცერტის მომზადება და საკონცერტოდ გატანა დიდ ენერჯიასა და პროფესიონალიზმს მოითხოვდა. აქვე დავძენდი, არა მარტო დიდ პედაგოგიურ ინტერესს, არამედ, მე ვიტყვოდი, უფრო სპეციალობის დიდ სიყვარულს.

ეს აფიშა როგორც რეპერტუარით ასევე მოხსენებული შემსრულებლებით ჩვენ სამუსიკო სასწავლებელს სახელს უთქვამდნენ ბრწყინვალე კადრების მომზადების საქმეში.

ასევე, მეტად მნიშვნელოვანი გახლდათ გ.დ. ბუჩინსკის პედაგოგიური ასპარეზი საფორტეპიანო ანსამბლში. აქ უფრო რვა ხელში, ორ როიალზე სრულდებოდა დიდი ფორმის სიმფონიები, უვერტიურები, ნაწყვეტები სხვადასხვა ოპერებიდან. აქ თავისი დიდი მჭერმეტყველობით და ორკესტრული მიდგომით თხოულობდა ანსამბლს.

შემორჩენილია 1940 წლის ოქტომბერში გადაღებული ფოტოსურათი, რომელზეც ასახულია ერთ-ერთი გაკვეთილის ეპიზოდი.

სურათზე არიან გ. ბუჩინსკი და მისი მოსწავლეები: გიტა გორდინა, ლელა დერკაჩი, ინა მალკინა და ჩვენი დროის თვალსაჩინო პედაგოგი მ. შური.

1949 წლიდან გ. დ. ბუჩინსკი დაუბრუნდა თავის მშობლიურ ქალაქს ოდესას და ა. ნეჟდანოვის სახელობას კონსერვატორიაში გააგრძელა მოღვაწეობა.

1973 წლის 2 ივნისს ოდესის კონსერვატორიის რექტორატმა პროფესორ გრიგორი დიმიტრის ძე ბუჩინსკის 70 წელთან დაკავშირებით და 45 წლის საზოგადოებრივ – პედაგოგიური და შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მიუძღვნეს საღამო. საიუბილეო საღამოზე მონაწილეობის მიღებისათვის მოსაწვევე გამოუგზავნეს ბათუმის სამუსიკო სასწავლებელს.

აღნიშვნის ღირსია ისიც, რომ ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის წარჩინებულ კურსდამთავრებულს იდა ზენაიშვილს, ოდესის კონსერვატორიაში სწავლის დროს ბატონ მ.დ. ბუჩინსკი დიდ თანადგომასა და მზრუნველობას უჩენდა.

**გ.დ. ბუჩინსკის კურსდამთავრებულთა მოკლე სია:**

ბოცვაძე თამარ თეოფანეს ას.

ჯორბენაძე ფლორა გიორგის ას.

ფარცხალაძე მერაბ ალექსის ძე

გურინშტეინი ლევ ბორისის ძე

კაშია დ.

მალკინა ნ.

დერკაჩ ელენე

დერკაჩ კონსტანტინე

ჟარკოვსკაია ალა

ტრიპოლიტოვა

შანაიევა ტანია

კეიგელუხესი

ანდრეევა ია

გორდინა გ.

ენალეევი ვ.ვ.

დიკოვი იური

ფირცხალაიშვილი ნ.

#### ვასილ სერგის ძე მულოვი

პატივცემულო მკითხველო, ვიდრე ვ. ს. მულოვზე ნარკვევის წერას დავიწყებდე მიზანშეწონილად ჩავთვალე შემოგთავაზოთ მის მიერ სასწავლებლის სახელზე კიევიდან გამოგზავნილი 60 წლის საიუბილეო მოსალოცი ბარათის ტექსტი.

აი რას წერს ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სკოლისა და სასწავლებლის ყოფილი სასწავლო ნაწილის გამგე და თვალსაჩინო პედაგოგი პედაგოგიურ კოლექტივს:

„И радостные дни славно 60-го юбилея Батумских музучилища и музшколы им. З. Палиашвили горячо приветствую весь педагогический состав юбиляров! с чувством большой душевной признательности всегда вспоминаю время проведенное в родном мне батуми. где так легко и свободно работало мне где теплота АдЖарии сочеталось с теплотой сердец как руководство так и педагогического коллектива музучилища и музшколы им. З. Палиашвилию

от души желаю Вам дальнейших успехов дорогие юбиляры!

Бывший педагог один из зав. Учебной части музучилища и музшколы.

В.С. Мулов.

Г. Киев. 9 марта 1988 г.

(იხილეთ ხელნაწერი ტექსტის ფოტოასლი)

უმაღლესი კატეგორიის პიროვნება. დრმა ცოდნით შემკული. ყველა ადამიანური ღირებულებებით. მიუხედავად, როგორც ადმინისტრაციული თუ პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი და მრავალფეროვანი დატვირთვისა მისი მუშაობა როგორც

რაოდენობრივი ისე ხარისხობრივი თვალსაზრისით მეტად ნაყოფიერი და შედეგიანი გახლდათ.

აი რას ასწავლიდა ბატონი ვასილ მულოვი.

სპეციალობას – ფორტეპიანოში და საგუნდო სადირიჟოროზე, თეორიული საგნებიდან თეორიას, გუნდმცოდნეობას, ასევე ხელმძღვანელობდა მუსიკალური სასწავლებლის სიმფონიურ ორკესტრს.

შემოინახა სამუსიკო სასწავლებლის სიმფონიური ორკესტრის საანგარიშო კონცერტის აფიშა, სადაც ვ. ს. მულოვი დირიჟორობდა. იგი დათარიღებულია 1941 წლის 2 ივნისით.

ვ. მულოვთან წარჩინებით სწავლობდნენ: ლილი კალანდია, ლამარა მგალობლიშვილი, ვალერი მაზდუმიანი, ლიანა გოგოლაძე, ლინა ჯიბლაძე, მერი გუმბერიძე, რუსუდან ელიავა, ნინა დუდინოვა და სხვები, დირიჟორობაში სწავლობდა მამია პატარავა.

ასევე ნაყოფიერი იყო მისი მოღვაწეობა სასწავლო ნაწილის გამგის თანამდებობაზე. ძალიან მეგობრული, კონტაქტური და სამართლიანი ყოფილა. ყოველნაირად უარყოფდა იმ პიროვნებას, რომელიც ამბიციურად იყო შეყვარებული თავის თავზე, გარემოებაზე, რომელსაც ის მართავდა, და რომელსაც, გააჩნდა დისკომფორტი იმისა, „ვაითუ ხვალ არ ვიქნები“, „ან სიამოვნების“, ანუ თამანამდებობრივი პოსტის მოთხოვნის პრინციპიდან გამომდინარე, ეჩვენება კოლექტივის რომელიმე წევრში „სხვას არ უნდა ჩემი თანამდებობაო, ხელს არ უწყობს მათ, ან არ აჩვენებს და არ აძლევს თვითგამოხატვის საშუალებას. განსაკუთრებით ახალგაზრდობა იყენებდა ერთის მხრივ პრინციპს „დაყავი და იბატონე“ და მეორეს მხრივ, რაც მას ევალება, რომ ურთიერთობას, რომელიც უნდა არსებობდეს ძველსა და ახალ თაობას შორის სამეცნიერო შემოქმედებითი ურთიერთობათა გამოხატვის, სიახლისა და გამოცდილების განჭვრეტა-დანერგვაში უწყურადღებობით რჩება.

აქვე აღნიშვნის ღირსია ის პედაგოგები, რომლებმაც სასწავლებლის ცხოვრებაში თავისი ნათელი კვალი დატოვეს, კერძოდ 30-იანი წლების პედაგოგები, რომლებმაც დაუღალავი შრომით, მაღალი პროფესიონალიზმით და დისციპლინით ხელი შეუწვევეს სკოლისა და სასწავლებლის აღმავლობასა და მიღწევებს, რისთვისაც არაერთხელ მიუღიათ მადლობები:

**შამოვა ნადეჟდა ვალერიანის ასული** – დამთავრებული ჰქონდა პეტერბურგის კონსერვატორია, სასწავლო პერიოდი 1898-1901. ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში მუშაობდა 1938 წლის 25 სექტემბრიდან ვოკალური კლასის კონცერტმაისტერად;

**დორენი ოლღა ლუკას ასული** – პეტერბურგის კონსერვატორია აქვს დამთავრებული.

1920 წლიდან მოღვაწეობდა სოჩაში, კურკში, ბრინსკში, მოსკოვში. 1933 წლიდან ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგია ფორტეპიანოს სპეციალობით;

**კურტიდი ელენე გიორგის ასული** – (იუზბაშევა გათხოვების შემდეგ)

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. ბათუმში მოღვაწეობდა 1943 წლის 20 ოქტომბრიდან 1952 წლის 1 სექტემბრამდე – პედაგოგ-კონცერტმაისტერად.

**მუზიკინი ბორის სერგის ძე** – უმაღლესი განათლება მიღებული ჰქონდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში 1935-1940 წლებში – პიანისტ-პედაგოგი.

1935 წლიდან მოღვაწეობდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში;

**ტოროპოვა ნადეჟდა თედორეს ასული** – დაიბადა 1900 წ.

დამთავრებული ჰქონდა იაროსლავის კონსერვატორია – პიანისტ-პედაგოგი.

ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში მოღვაწეობდა 1930 წლიდან;

**ნავროცკაია ლუდმილა გიორგის ასული** – დაიბადა 1901 წლის 10 მაისს. ეროვნებით რუსი.

მშობლები მუსიკოსები იყვნენ. 1917-1919 წლებში მუშაობდა სოხუმში – პიანისტი;

1927 წლიდან საცხოვრებლად სოხუმიდან ბათუმში გადმოვიდნენ.

ავტობიოგრაფიაში (სამუსიკო ფონდი №186. ანაწ. 4. საქმე №5) აღნიშნული აქვს, რომ ექსტერნად დაუმთავრებია ბათუმის სახელმწიფო მუსიკალური სასწავლებლის სრული კურსი.

1948-1949 სასწავლო წლის სახელმწიფო საგამოცდო კომისიის გადაწყვეტილებით მიენიჭა აკომპანიატორის კვალიფიკაცია. დღესაც, ბევრ მუსიკოსს კარგად ახსოვს მისი დახვეწილი გამოვებით შესრულებული საკონცერტმაისტერო რეპერტუარი;

**სინუგოვა ლარისა პეტრეს ასული** – (გათხოვებისას გვარი შეიცვალა ლატკო-ზე), დაბადებული 1913 წლის 29 დეკემბერს.

დამთავრებული ჰქონდა ბათუმის სამუსიკო სკოლა-სასწავლებელი 1930-1936 წწ.

მუშაობა დაიწყო 1938 წლის 1 სექტემბრიდან – ჯერ სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოზე სწავლების პედაგოგად, შემდგომ სასწავლებელში კონცერტმაისტერად.

1941 წლიდან საცხოვრებლად გადადის ლენინგრადში, სადაც სამამულო ომის ქარცეცხლში მოუხდა მძიმე ცხოვრების გადატანა.

1956 წლიდან ბრუნდება ბათუმში.

1957 წლიდან მიღებული იყო სამუსიკო სასწავლებელში სავალდებულო ფორტეპიანოს პედაგოგად და საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების კონცერტმაისტერად;

**კარენი ედგარ ალექსანდრეს ძე** – ეროვნებით პოლონელი. დაიბადა 1890 წ. განათლება მიუღია თბილისის სამხატვრო და დრამატულ სასწავლებლებში, ბალეტმესიტერის სპეციალობით.

ბათუმში 1920-22 წლებში ოპერის თეატრის მსახიობი და ბალეტმესიტერი იყო.

1938 წლიდან სამუსიკო სასწავლებლის რიტმიკისა და ცეკვის მასწავლებელი იყო.

**გრიგორიანი კაზარ გიორგის ძე** – ეროვნებით სომეხი, ერევნიდან.

1937 წლიდან ბათუმშია. სიმფონიური ორკესტრის მსახიობი და მუსიკალური სასწავლებლის საორკესტრო კლასის ფაგოტის პედაგოგი;

**კაზლოვ ვასილი ნიკოლოზის ძე** – ეროვნებით რუსი.

1937 წლიდან ბათუმშია. მოღვაწეობდა სასწავლებელში. საორკესტრო კლასის – ფლეიტის პედაგოგი და სასწავლებლის სიმფონიური ორკესტრის მსახიობი;

**კასან ალექსანდრე ფრანცის ძე** – ეროვნებით ჩეხი. დაიბადა 1873 წ. ქერჩში. დაამთავრა მოსკოვის კონსერვატორია 1895-1901წწ.

ბათუმში მოღვაწეობდა 1937 წლიდან. ვიოლენჩელოს პედაგოგი და სასწავლებლის სიმფონიური ორკესტრის მსახიობი.

**კანტაროვი ევსეი იოსების ძე** – ეროვნებით რუსი ებრაელი.

დაიბადა 1894 წ. ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში. სპეციალური განათლება – ოდესის კონსერვატორიის მესამე კურსიდან.

1925 წლიდან მუშაობდა აჭარის ქალთა და აჭარის ვაჟთა პედაგოგიურ ტექნიკუმებში.

1937 წლიდან სამუსიკო სასწავლებლის ქორმაისტერი;

**ვარძიელი პეტრე ალექსანდრეს ძე** – დაიბადა 1887 წლის 5 დეკემბერს. ეროვნებით ქართველი, ახალციხიდან. 1894 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადმოდის ბათუმში.

სწავლობდა ბათუმის გიმნაზიაში. უმაღლესი განათლება მიუღია მოსკოვის ფილარმონიის საორკესტრო განყოფილებაში.

1912 წლიდან სამხედრო მოსამსახურეა ბათუმში, სადაც სხვადასხვა სასულე ორკესტრებს ხელმძღვანელობდა სამხედრო გარნიზონის კლუბში და საზღვაო სასწავლებელში.

1938 წლის 15 სექტემბრიდან მოღვაწეობდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში სასულე ინსტრუმენტების პედაგოგად;

**მელიქ-შახნაზაროვა მარიამ გრიგოლის ასული** – დაიბადა 1875 წლის 4 აგვისტოს. ეროვნებით სომეხი. თბილისელი. 1907-1908 სასწავლო წლებში ექსტერნად ჩაუბარებია გამოცდა ბრიუსელის კონსერვატორიაში.

დიდებული პიანისტ-კონცერტმაისტერი ყოფილა. ფლობდა ქართულ, გერმანულ, ფრანგულ, რუსულ და იტალიურ ენებს.

ბათუმში მოღვაწეობდა 1920 წლიდან. სამუსიკო სკოლა-სასწავლებელში მოღვაწეობდა 1930 წლიდან;

**სკოროცოვა ტატიანა ნაფანაილის ასული** – დაიბადა 1886 წლის 3 აპრილს, სვერდლოვსკში. მოსამსახურის ოჯახში.

დაუმტავრებია მოსკოვის მუსიკალურ-დრამატული სასწავლებელი და იქვე 1910-1916 წწ. სპეციალობით ვიოლინოს კლასის პედაგოგად საორკესტრო განყოფილებაზე.

1931 წლის 29 ოქტომბრიდან 1957 წლის ივლისამდე ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის სიმებიანი კლასის პედაგოგია;

**სოგომონოვი გიორგი გრიგოლის ძე** – 1930 წლიდან მუსიკალურ სკოლაში და სასწავლებელში მოღვაწეობდა როგორც ინსტრუმენტების ამწეობი;

**ბაუერზაკს მელიტა ევალდის ასული** – პრიმა ბალერინა. 1894 წელს დაამთავრა პეტერბურგის ქორეოგრაფიული სასწავლებელი. მოღვაწეობდა და გამოდიოდა ბერლინის, ლონდონის, კოპენჰაგენის, რუმინეთის, ტრაბზონის, თბილისის საოპერო თეატრის სცენებზე.

1921-1927 წწ. მოღვაწეობდა ბათუმის ოპერის თეატრში.

1927-1935 წწ. თბილისის მუსიკალური კომედიის პრიმა ბალერინაა.

1935-1937 წლებში ბათუმის ქალთა პედაგოგიური ტექნიკუმის პედაგოგია.

მუსიკ. სასწ. ფონდი. ჩანაწერი №4. საქმე 2.

სამუსიკო ფონდი №186. ანაწ №4 საქმე №5

1937 წლიდან ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის ვოკალური განყოფილების რითმიკისა და პლასტიკის პედაგოგია.

#### ბორის მიხეილის ძე პოპოვი

დაიბადა 1883 წლის 10 თებერვალს ეროვნებით რუსი.

სწავლობდა პერმის კლასიკურ გიმნაზიაში 1894-1901 წწ, მოსკოვის უცხო ენების ინსტიტუტში 1901-1902 წწ. (არ დაუმთავრებია), მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზე 1902-1908 წწ, სადაც სადიპლომო თემა დაიცვა მუსიკალური ნაწარმოებების სააგტორო უფლებებზე. თემა იმედნად საინტერესო აღმოჩნდა, რომ კანდიდატობის ხარისხი მიუნიჭებიათ.

1920 წელს მოღვაწეობს ირკუტსკის სამუსიკო სასწავლებელში, მოგვიანებით კონსერვატორიაში, სადაც ჯერ დეკანის შემდგომ კი პრორექტორის თანამდებობას ასრულებდა.

1922 წელს ირკუტსკის კონსერვატორიის პროფესორია მუსიკის ისტორიის კათედრაზე. შეთავსებით მოღვაწეობდა მუხეუმში, სხვადასხვა ბიბლიოთეკებში, ირკუტსკის რადიომაუწყებლობის მხატვრული და მუსიკალური გადაცემების მთავარ რედაქტორად.

1933 წლის აგვისტოდან მოიწვიეს ბათუმში.

1933-1941 წლებში მოღვაწეობს გაზეთ „ბათუმский рабочий“ მუსიკის კორექტორად, ბიბლიოთეკაში გამგედ.

1936 წლის 16 ნოემბრიდან ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებლის მუსიკის ლიტერატურის პედაგოგია. სასწავლებელში მოღვაწეობის პერიოდში მრავალი მნიშვნელოვანი ღონისძიებები აქვს ჩატარებული, რასაც შემონახული აფიშები და საკონცერტო პროგრამები გვიჩვენებს.

თავისუფლად ფლობდა და ასწავლიდა რუსულ, ფრანგულ, გერმანულ, ბერძნულ, იტალიურ და ლათინურ ენებზე.

### ელენე ვლადიმერის ასული კორშონი

დაიბადა 1910 წლის 9 ნოემბერს ქ. ოდესაში.

მამა გახლდათ ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორშონი – დირიჟორი, აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი.

დედა – დიასახლისი.

1912 წლიდან ოჯახი სასწავლებლად გადავიდა თბილისში, სადაც ვლადიმერი – მოწვეული იყო თბილისის ოპერის ორკესტრის დირიჟორად. შვილი – ელენე 1917-1921 წწ. სწავლობდა ფრანგულ ლიცეუმში და კონსერვატორიაში.

1921 წლიდან ოჯახი საცხოვრებლად გადმოსახლდა ბათუმში.

ელენე დასაწყისში სწავლობდა ცვეტაევასთან, შემდეგ ბუჩინსკისთან.

1926 წლიდან მოღვაწეობდა ბათუმის დრამატული თეატრის ორკესტრში – პიანისტად.

1928 წელს თხოვდება და საცხოვრებლად გადადის თბილისში.

თბილისში ერთი წლის მანძილზე სწავლობდა ზაქარია ფალიაშვილთან საგუნდო-სადირიჟორო კლასით.

1941 წლიდან ისევ ბათუმშია. მოღვაწეობდა საგუნდო კლასის კონცერტმაისტერად. 1946 წლიდან ფილარმონიის კონცერტმაისტერია.

1957 წლის 5 სექტემბერს მიენიჭა აჭარის ასსრ დამსახურებული აგენტის საპატიო წოდება.

### ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორშონი

გ. ა. კორშონის მოღვაწეობა მნიშვნელოვანია იმით, რომ მან ბათუმში მე-20 საუკუნის 30-იანი წლების დასაწყისში საფუძველი ჩაუყარა სიმფონიური ორკესტრის შექმნას. აჭარის სახკომსაბჭოს ხელოვნების სამმართველოს სიმფონიური ორკესტრის საქველმოქმედო კონცერტის პირველი აფიშა, დათარიღებული 1924 წლის 3 მაისით,

მოუხმობდა კლასიკური მუსიკის მოყვარულთ მთავარი ღირიქორისა და სახელმწიფო ოპერის ღირიქორის ვლადიმერ ალექსანდრეს ძე კორშონის ბენეფისზე. პროგრამაში მოყვანილია პუჩინის ოპერა „ქალბატონი ბეტერფლეი“ (ჩიო-ჩიო-სთან) და ღამის სიმფონიური სურათი. აფიშას თან ერთვის ოპერის პროგრამა დალიბრეტო.

ღიდ ინტერესს იწვევს 1932 წლის 31 აგვისტოს აფიშა, რომელიც მსმენელებს ეპატიუებოდა ბათუმის კულტურისა და დასვენების პარკში აჭარისტანის სიმფონიურ ორკესტრისა და საოპერო კადრების მონაწილეობით გამართულ პირველ საჩვენებელ კონცერტზე, ღირიქორი ვ. ა. კორშონი.

სამწუხაროდ აფიშაზე მოყვანილი პროგრამა არ იკითხება.

1928 წლის 30 ნოემბრის „ფუხარა“ კომენტარს აკეთებს იმის თაობაზე, რომ მუსიკალური ტექნიკუმის ხელმძღვანელად მოწვეულია ცნობილი კომპოზიტორი მელიტონ ბალანჩივაძე.

1928 წლის 29 დეკემბერს გაზეთი „ფუხარა“ რუბრიკაში: „ხელოვნება, სიმფონიური კონცერტი“, დაბეჭდილია სტატია, რომელიც მომყავს ჩასწორების გარეშე: „რამდენიმე თვეა, რაც აჭარისტანის მუსიკალური სასწავლებელი მუშაობს, მაგრამ მისი პირველი ნაშრომი უკვე ვიხილეთ. სასწავლებელთან საკონცერტო ბიუროს და მუდმივი სიმფონიური ორკესტრის დაარსება უთუოდ ღირშესანიშნავი ფაქტია.

სიმფონიურმა ორკესტრმა უკვე მოგვცა პირველი კონცერტი.

კონცერტის შეფასებას აკადემიური თვალსაზრისით თუ მივედგებით, უნდა აღვნიშნოთ, რომ მას ჰქონდა მცირე დეფექტები, არ არის სიმფონიური კონცერტისათვის გამოყოფილი მუსიკოსთა საჭირო რიცხვი მიუხედავად ამისა მეორე განყოფილებაში ყურადღება მიიპყრო შ. თაქთაქიშვილის ორმა ვარიაციამ ქართულ თემებზე, სახელმწიფო ოპერის სოლისტმა დ. ბადრიძემ (არიები „ვეკენი ონეგინიდან“ და „ვერტერიდან“) და სხვა.

უნდა აღინიშნოს ღირიქორების შ. თაქთაქიშვილის და ვ. ლავროვის გულდასმითი მუშაობა და ორკესტრის შემადგენლობის ერთმანეთთან შეთვისება, რაც ღიდ მომავალს უქმნის სიმფონიურ ორკესტრს.

ცალკე უნდა აღვნიშნოთ ლ. სულხანიშვილი, ამ სიმფონიური კონცერტის ორგანიზატორი.



თამარ ედუარდის ასული ლილიენბახი

„ ყოველ ადამიანში მზეა –

ოღონდაც აცალეთ, რომ ანათოს”

პლატონი

თამარ ედუარდის ასული ლილიენბახი – მუსიკოს-პიანისტ-პედაგოგი, რომელმაც ძალიან ბევრს გაუნათა გზა მუსიკალური ხელოვნებისაკენ და დაუმკვიდრა ხელოვანის ჭეშმარიტი სახელი. სანკტპეტერბურგის, მაშინდელი ლენინგრადის, კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტი, 1943 წლის მიწურულს, მრისხანე სამამულო ომმა იძულებული გახადა ბათუმში ჩამოსულიყო. აქ მან, თავისი ვაჟიშვილებით და ასაკოვან დედასთან ერთად, მშვიდი ბინა დაისადგურა.

მის გარეგნობას ამშვენებდა სათნოება და მიმზიდველობა, ქერა, ცისფერი თვალები. იგი ყოველთვის კოხტა და მოხდენილი გახლდათ.

ჩამოსვლის პირველივე დღიდან მოღვაწეობდა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სკოლაში.

მას სანკტ-პეტერბურგში მიღებული შესანიშნავი სამუსიკო განათლება და სასწავლებელში მუშაობის საკმაო გამოცდილება ჰქონდა. ბათუმშიც თავისი პედაგოგიური ნიჭიერება უხვად და სასიკეთოდ დააფრქვია. მისი პედაგოგიური შემოქმედების კრედიო იყო ინტელექტუალურობა და დახვეწილობა.

იგი გახლდათ უაღრესად ტკბილ მოუბარი, კეთილი, სწორი მრჩეველი. ერთხელ საუბარში მასთან უნებლიეთ წამოიჭრა საკითხი მუსიკალურად ნიჭიერ მოსწავლეებზე. მან დაბეჯიტებით და სამართლიანად აღნიშნა: „როგორც სპეციალისტები „მუსიკალურ ნიჭიერებას“ უწოდებენ არ ყოფნის მუსიკალური კომპლექსის შექმნას. ნიჭიერება არ დაიყვანება მხოლოდ მუსიკალობაზე. მასთან ერთად აუცილებლად მთელი რიგი სხვა მონაცემებიც, რომლებსაც არა საკუთრივ მუსიკალური, არამედ ზოგადპიროვნული ხასიათი აქვთ: 1) ფანტაზიის სიმდიდრე, აქტიურობა და სიმძლავრე; 2) მშვენიერების განცდის უნარი ბუნებასა და ხელოვნების სხვა დარგში ე. წ. „ესთეტიკური გრძნობა“, 3) ნებისყოფის თავისებურებები, მიზანმიმართული, დაჟინებული მუშაობის უნარი; 4) პიროვნების ემოციური სიმდიდრე, მის ემოციურ განცდათა სიღრმე და სიფართოვე; 5) ინტელექტუალური აქტივობის უნარი.

მისი ყოველი გაკვეთილი ღრმად გააზრებული, ფაქიზი, სრულყოფილი იყო, პედაგოგიური მანერა უბრალო და გულწრფელი, ქმედითი ამოცანა კი ყოველი მუსიკალური ბგერა თუ ფრაზა დაიცვას, გაასუფთაოს, დახვეწოს.

სათნო საქმე კვალს ტოვებსო – იტყოდა ხშირად ქალბატონი თამარი. ჩემს მიერ სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობის შესრულების დროს არაერთხელ დავსწრებივარ მის გაკვეთილებს. განსაკუთრებულ ინტერესს ვიჩენდი ნაწარმოების თანმიმდევრული სწავლების მეთოდის თვალსაზრისით. მან ეს ინტერესი ჩემში შენიშნა და მოიწონა. ის გახლდათ განსაკუთრებული ხელწერის პედაგოგი, არავის არ ჰგავდა და არავის არ ბაძავდა. სწავლებაში ძალიან მკაცრი და მომთხოვნი იყო.

მუსიკალური აზროვნების განვითარება განსაკუთრებული პედაგოგიური მოღვაწეობის ინტერესი გახლდათ. სწორედ, ამ მიმართებით ქალბატონი თამარი წარმომადგებოდა როგორც შემოქმედი – პედაგოგი, ფსიქოლოგი.

„საზოგადო აზროვნება, შემეცნების მაღალი საფეხურია“ – იტყოდა ქალბატონი თამარი. აზროვნება არის ადამიანის ცნობიერებაში ისეთი მიმართებათა ასახვა, რაც სინამდვილის ზედაპირზე არ ძეგს, რაც აღქმისათვის დაფარულია. როდესაც ადამიანი აღიქვამს საგანს, მაგრამ უცბად ვერ ათავისებს მას თავის გამოცდილების სისტემაში აღქმის ხასიათი უფრო აქტიური ხდება. ადამიანი აკვირდება, ცდილობს აღქმით საგანზე რაც შეიძლება მეტი ცოდნა მიიღოს. თუ ვერც ამან უშველა, მაშინ წამოიჭრება კითხვა: – რა არის ეს? ადამიანის წინაშე დგება ამოცანა, და აქედან იწყება სწორედ აზროვნების პროცესი, მოვლენის ისეთ თვისებათა წვდომა – გაგება, რაც დაფარულია აღქმისათვის“. ასეთ ვითარებაში პედაგოგი აზროვნების სწორ განვითარებას უნდა იძლეოდეს. ამ დროს მისი ზემოქმედება მოსწავლეზე ძირითადად მეტყველებით ხდება, რადგან მუსიკის სწავლას აზროვნება სჭირდება.

აი, რას ანიჭებდა იგი მნიშვნელობას ნაწარმოების სწავლების დროს:

პირველი, ნაწარმოების სტრუქტურული ანალიზი, რომელსაც სწავლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც მხატვრული შინაარსის წვდომის, ასევე ტექსტის დამახსოვრების თვალსაზრისით, ესენი ყველა შემთხვევაში ვერბალური საშუალებით – ენით ხორციელდება. ვერბალური აზროვნება ამ პროცესში აუცილებელი კომპონენტია.

ხშირად მოიშველიებდა უდიდესი მუსიკოსის ჰაინრიხ ნეიჰაუზის სიტყვებს: „თუ 9-10 წლის ნიჭიერ მოსწავლეს შეუძლია კარგად შეასრულოს მოცარტის ან ბეთჰოვენის სონატა, მას უნდა შეეძლოს მოგვითხროს, სიტყვებით გადმოგვცეს მრავალი არსებითი რამ, რაც ამ სონატაში ხდება მუსიკალურ-თეორიული ანალიზის თვალსაზრისით“.; „მართალია ნეიჰაუზის სიტყვები 9-10 წლის მოსწავლეს ეხება, მაგრამ სინამდვილეში ამ უნარის ნაკლებობა პროფესიული სწავლების უმაღლეს საფეხურზე საკმაოდ ახალგაზრდულ ასაკშიც დასტურდება. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ თეორიული აზროვნების განვითარებას, რაც მიღებული ცოდნით ოპერირების უნარში უნდა გამოიმყვანდეს, სწავლის პროცესში სათანადო ყურადღება არ ექცევა“ – იტყოდა თ. ლილიენბახი.

სწავლების მეორე მნიშვნელოვან ეპიზოდად თვლიდა – გარკვეული მუსიკალური სახის რეალიზაციისათვის კონკრეტული ფაქტურული სირთულეების დაძლევის, ტექნიკური ამოცანების გადაწყვეტას. აქაც სიტყვიერი აზროვნების ზემოქმედების საშუალებით ანვითარებდა მოსწავლეს.

მესამე მნიშვნელოვანი ფაქტორი ქალბატონი თამარისა გულისხმობდა იმას, რომ მოსწავლემ სწორად უნდა წაიკითხოს მუსიკალური ტექსტი და შესძლოს მისი ემოციური შინაარსის გადმოცემა. საჭიროა პედაგოგის მიერ ისტორიული ეპოქის, ამ ეპოქის ლიტერატურისა და ხელოვნების სხვა დარგების, სტილისა და ესთეტიკური ნორმების ირგვლივ საგანმანათლებლო საუბარი. პედაგოგმა მოსწავლეს უნდა გააცნოს თხზულების კომპოზიტორი და მისი ადგილი მუსიკალური კულტურის ისტორიაში. მეტყველებით მოტანილი ეს ინფორმაცია ხელს უწყობს როგორც მხატვრული ამოცანის გადაწყვეტას, ასევე ზოგადი გონიერების განვითარებას.

ამ თანმიმდევრული სირთულეების დაძლევის შემდეგ დიდ როლს ანიჭებდა საჯარო შესრულების პროცესს, საკონცერტო გამოსვლას, რასაც სრულფასოვანი მხატვრული აღქმის პროცესს უწოდებდა მუსიკაში.

იტყვოდა: – „ნაწარმოები მზადყოფნაშია მაშინ, როდესაც მოსწავლე-შემსრულებელი ჰქმნის პროდუქტს. მისი შესრულება არის ქცევათა უწყვეტი ჯაჭვი, რომელიც ადრე მიღებულ ცოდნაზეა დაფუძნებული და დროში განვითარების უმკაცრეს კანონს ემორჩილება. ამიტომ შეჩერება მის რომელიმე ცალკეულ რგოლზე, ან ეტაპზე და აზროვნების დაწყება თავიდან, მხოლოდ დაბრკოლებას შეუქმნის ნაწარმოების მთლიანობითი სტრუქტურის დროში განვითარებას. შესრულების პროცესში საკმარისია გაიფიქრო: „რა არის ეს?“, „რა აკორდია?“, ან „შემდეგი ნახტომი რომელ ბგერაზეა?“, რომ მაშინვე დაბრკოლება საშემსრულებლო ქცევა, ირღვევა დროში მიმდინარე მუსიკალური მთლიანობა.

ჩარევა შეიძლება მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში: თუ მოსწავლეს მესხიერების სისუსტე აქვს, ან სტრესულ მდგომარეობაში იმყოფება”.

ის იყო პედაგოგი, როგორც მხატვრული ასევე ლოგიკურ-ცნებითი აზროვნების, შემოქმედებისა და საშემსრულებლო კონცეფციის შექმნის სრულფასოვანი მუსიკოს-ხელოვანი.

მან შექმნა თავისი სკოლა, თავისი მიმდევრებით, რომლებიც მიღებულ ტრადიციულ პრინციპებს ანვითარებენ და აჰყავთ როგორც რაოდენობრივ ისე უფრო მაღალ ხარისხობრივ სიმაღლეებზე.

PS. დღეს, როდესაც ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სკოლის 100 და სასწავლებლის 70 წლის იუბილეს აღნიშნავენ, ბათუმის მუსიკალური საზოგადოება განსაკუთრებული მადლიერებით და სიყვარულით იხსენებს მას.

ქალბატონი თამარი რამდენიმე წელია, რაც თავის მშობლიურ კერას დაუბრუნდა. მას 24 მაისს 80 წელი შეუსრულდა.

ვულოცავთ და დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებთ.

#### თ. ლილიენბახის კლასის აღზრდილებიდან აღნიშვნის ღირსია:

ნოდარ ფაღავა – ბათუმის კონსერვატორიის რექტორი

რეზო ტაკიძე – თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორი, კონსერვატორიის პროფესორი.

გურამ საღარაძე – ბათუმის კონსერვატორია

ოლია ჭავჭავაძე – თბილისის კონსერვატორია

ტატიანა უკლება – თბილისის კონსერვატორია

ნანი ლესელიძე – თბილისის კონსერვატორია

ჯინევრა ბაუჟაძე – ბათუმის კონსერვატორიის დეკანი

ელიკ ქიქავა – ბათუმის კონსერვატორიის კათედრის გამგე

მანანა გოლეტიანი – აჭარის კულტურის სამინისტროს მეთოდური კაბინეტის გამგე, კონსერვატორია

ნაზი გოშაძე – ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი

რუსიკო გეგენავა – ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი

სონია შაქარიანი – ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი

საშა ოჩიგავა – ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი

ნანი ხიხაძე – ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი

ნელი წითლიძე – ცენტრალური სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

ნანა შალაძე – ცენტრალური სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ნათელა ერქომაიშვილი – ცენტრალური სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ნათელა ბოლოშვილი – ცენტრალური სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ინგა ბოცვაძე – ცენტრალური სამუსიკო სკოლის პედაგოგი, კონსერვატორია

სვეტლანა გემიჯანი – ცენტრალური სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ვალია კილაძე – სამუსიკო სასწავლებელი და №2 სკოლა

რუსიკო გოგოლიშვილი – თბილისის სამუსიკო სკოლა

ლუიზა სადრაძე – ბათუმის №2 სამუსიკო სკოლა

ნატაშა კუდრიავცევა – ოდესის კონსერვატორიის დოცენტი

ალექსი მიროშნიკოვი – კიშინიოვის კონსერვატორიის დოცენტი

ტოლია სენკინი – ოდესის კონსერვატორიის დოცენტი

კირა ბაბასინოვა – მოსკოვის გნესინის სახელობის ინსტიტუტის პროფესორი

ლიდა ჩესნაკოვა – მოსკოვის ერთ-ერთი მუსიკალური სკოლის დირექტორი.

დიანა ბოლქვაძე – თბილისის კონსერვატორია

ნონა ბილიხოძე – თბილისის სამუსიკო სკოლა

ლელი კვაჭაძე – ბათუმის კონსერვატორია, მე-2 სამუსიკო სკოლა

ცაცუნი ფაღავა – ბათუმის №2 სკოლა

ლია გოგსაძე – სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი

იური ანანიევი – მოსკოვის კონსერვატორია

რუსუდან მესხიძე – სამუსიკო სკოლის პედაგოგი

გია ჩაჩუა – სამუსიკო სკოლა და ბათუმის ტელევიზია

ლუდა კოლუაშვილი – ცენტრალური სამუსიკო სკოლა

ნატაშა სანინა – ბათუმის ტელევიზია

ვოვა ფომინი – სამუსიკო სასწავლებელი

ელეონორა გორდეზიანი – ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი, ამჟამად ოდესის სამუსიკო სკოლა

ვოვა პერეკრესატი

გოგი მეტაქსა

დიანა ბოლქვაძე

ჟანა ალავერდოვანა – სამუსიკო სკოლა

ნელი ახვლედიანი

და სხვანი.

#### ლევ ნიკოლოზის ძე თევზაძე

პედაგოგ ლ. თევზაძეს ადრე კარგად ვიცნობდი. ჯერ კიდევ ჩემი სამუსიკო სასწავლებელში სწავლის დროს, შემდგომ კი როგორც კოლეგას.

საერთოდ იგი ჩემ თანაკურსელებთან ახლოს იყო. უყვარდა მუსიკის ლიტერატურის, მეთოდის, პიანისტ შემსრულებლებზე, პიანიზმის განვითარების ირგვლივ საუბარი. ჩემი თანაკურსელები გეტა გოგინოვა, რუსუდან თავართქილაძე, ლიდა ზიმინა, ტატიანა რიჟიკოვა მისი კლასის მოსწავლეები – ოთხივე წარჩინებული სტუდენტები იყვნენ. ხასიათდებოდნენ საკონცერტო გამოსვლებით. გეტა გოგინოვა ლ. თევზაძემ სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, ცოლად შეირთო.

მუსიკის სამყაროში ლ. თევზაძე ლაღად და თავისუფლად გრძნობდა თავს, მისი გაკვეთილები გულში ჩამწვდომი და ფაქიზი იყო.

თითოეული ნაწარმოების საკუთარი შემოქმედებითი პოზიციიდან უდგებოდა. მისი საშემსრულებლო ინტერპრეტაცია მუდამ პიროვნული იყო და, ამავე დროს, დამაჯერებელი, ბგერა – ფერადოვანი, კაშკაშა, აღსავსე ფერთა უმდიდრესი ასპექტით, საოცრად მღერადი, პლასტიკური. ძნელია მისი მდიდარი რეპერტუარიდან რაიმეს გამოყოფა. ის იყო განსაკუთრებული სმენის, პოლიფონიური აზროვნების პიროვნება. ხშირად იტყოდა „... როგორც ხელოვნება – ხელოვნების გარეშე არ შეიძლება ისე მუსიკა – განსაკუთრებული სმენისა და მუსიკალურობის გარეშე“.

„ვის ვასწავლით“ – ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ... სწავლის შედეგი მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული მასწავლებლის პროფესიულ მზაობაზე, განათლებაზე, მისი ემოციური სფეროს სიმდიდრესა და ფანტაზიაზე, შემოქმედებით ენთუზიაზმზე და რასაკვირველია პედაგოგიურ ნიჭიერებაზე. ჩვენი მიზანი ხომ მუსიკალური აზროვნების განვითარებაა, მუსიკის სწავლების წარმატების საფუძველია“.

ლ. თევზაძე ის პედაგოგი გახლდათ, რომელიც ყველა შემთხვევაში მოსწავლეს დაიცავდა. „რა ხდება?“ – იკითხავდა ხოლმე. ხშირად კამათის მიზეზი ის იყო, რომ სუსტი მონაცემების მოსწავლეები არ უნდა სწავლობდნენ სასწავლებელში. ბატონი ლ. თევზაძე არ მიიხნევედა დამთრგუნველად კრიტიკას. „ეს არის შეურაცხყოფელი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოხდეს საჯაროდ, სისტემატურ კრიტიკას არავითარ შედეგი არ მოაქვს, – იტყოდა იგი. – პედაგოგი უფრო აღმზრდელობითი, კარგი ჩვევების მიმწოდებელი უნდა იყოს. რადგან სასწავლებელში მივიღეთ, ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ აკადემიური მუსიკალური განათლება მივცეთ; საკონცერტო შემსრულებელი თუ არ იქნება, პედაგოგიური ჩვევები უნდა განვუვითაროთ“.

ლ. თევზაძე გახლდათ ჭეშმარიტი პედაგოგი და დიდი კაცთმოყვარე.

რა საამო გასახსენებელია სტუდენტური დრო!...

....1950-იან წლებში მაგნიტოფონები, ან მაღალხარისხოვანი რადიოაპარატურა არ იყო. ამ დროს არც წიგნები, არც გაზეთები და ჟურნალები აშუქებდა კლასიკურ მუსიკას ისე, როგორც დღეს, მაგრამ პედაგოგები და განსაკუთრებით კი ლ. თევზაძე დაუშრეტელი ენთუზიაზმით ავსებდა ინფორმაციის ნაკლებობას, არცერთი სიახლე არ რჩებოდა მხედველობიდან, რასაც კი ხელთ მოიგდებდა იწერდა, ისმენდა, თარგმნიდა, შემდეგ კი გვაწვდიდა, გვიხსნიდა და გვასწავლიდა.

გამოჩენილი საბჭოთა პიანისტის სვიატოსლავ რიხტერის დიდი თაყვანისმცემელი იყო, როგორც პიანისტ-შემსრულებლის, ჩვენი დროის მუსიკალური ხელოვნების, მოაზროვნის შემოქმედებაზე. როგორი აღტაცებით, თვალგაბრწყინებული გვესაუბრებოდა მისი რომელიმე ნაწარმოების შესრულების შემდეგ. განსაკუთრებით მოხიბლული იყო ბეთჰოვენის საფორტეპიანო სონატების შექმნით. გვიხსნიდა, რომ სონატების შექმნა წინ უსწრებდა „გმირული სიმფონიის“ გამოჩენას, ...რომ სონატურ აღდგომში კონტრასტულ თემებში ინტონაციების ნათესაობაა. დამხმარე თემა წარმოსახვას იგივე რიტმულ სქემას, რომელიც მთავარ თემაშია მოცემული, მხოლოდ საპირისპირო მელოდიურ მოძრაობაზე. დამუშავების მიზანსწრაფვა, კონტრასტების სიმკვეთრე – ყოველივე ეს უკვე მნიშვნელოვნად განასხვავებს პირველ სონატას ბეთჰოვენის წინაპართა ვენის საკლავირო სტილისგან. ციკლის უჩვეულო აღნაგობა, რომელშიც ფინალი დრამატული მწვერვალის როლს ასრულებს, როგორც ჩანს აღმოცენდა სიმფონიური ლიტერატურის გავლენით. პირველ სონატაში ისმის ტრაგიკული ნოტები, შეუპოვარი ბრძოლა, პროტესტი. ამ მხატვრულ სახეებს ბეთჰოვენი არაერთხელ დაუბრუნდა თავის საფორტეპიანო სონატებში. მე-5 სონატაში, „პათეტიკურსა“ და „მთვარის სონატის“ ფინალში, მე-17 სონატაში, „აპასიონატაში“, შემდეგში ისინი ახალ ცხოვრებას იწყებენ უკვე საფორტეპიანო მუსიკის ფარგლებს გარეთ მეხუთე და მეცხრე სიმფონიებში, უვერტიურებში „კორიოლანოსი“ და „ეგმონტი“...

ასევე გვიხსნიდა, რომ „...ბეთჰოვენის პირველიდან უკანასკნელ სონატამდე განვლილი გზა წარმოადგენს მთელ ეპოქას მსოფლიო საფორტეპიანო მუსიკის ისტორიაში. ბეთჰოვენმა დაიწყო მოკრძალებული კლასიკური საფორტეპიანო სტილით, რომელიც ჯერ კიდევ მრავალმხრივ იყო დაკავშირებული კლავესინზე დაკვრასთან და დაამთავრა მუსიკით თანამედროვე როიალისათვის, მისთვის დამახასიათებელი უზარმაზარი ბგერითი დიაპაზონითა და მრავალრიცხოვანი ახალი გამომსახველობითი საშუალებებით. თავის უკანასკნელ სონატებს კომპოზიტორმა უწოდა ნაწარმოებები ჩაქუჩიანი საკრავისათვის Hammerklavier, რითაც ხაზი გაუსვა მათ თანამედროვე პიანისტურ გამომსახველობას.

ბეთჰოვენის საფორტეპიანო ვირტუოზულობის, თავისებური ბგერითი სახეების ძიებისას, იგი დაუღალავად იმუშავებდა თავის ორიგინალური საფორტეპიანო სტილს, ფართო საჰაერო სივრცის შეგნებას, რასაც აღწევდა შორეული რეგისტრების დაპირისპირებით, მუსიკალური აკორდებით, მკვრივი, შემჭიდროვებული, მრავალსახოვანი ფაქტურით, ტემბრულ-ინსტრუმენტალური ხერხებით, პედალის ეფექტების მდიდრული გამოყენებით. ამით გაამდიდრა ბეთჰოვენმა საფორტეპიანო სტილის ზოგიერთი დამახასიათებელი ნოვატორული ხერხები. დაწყებული პირველი სონატიდან, ბეთჰოვენმა მე-18 საუკუნის საკლავირო მუსიკის კამერულობას დაუპირისპირა თავისი დიდებული ბგერითი ფრესკები, დაწერილი გაბედული, მსხვილი ხელწერით. ბეთჰოვენის სონატა დაემსგავსა სიმფონიას ფორტეპიანოსათვის“.

ლ. თევზაძის ნათხრობ-ნაამბობი, რომელიც ძირითადად მეთოდურ ხასიათს ატარებდა, თავისი მუსიკალური აზროვნების ფართე მსოფლმხედველობით, პროფესიონალურ სრულყოფაში მოჰყავდა მოსწავლე-ახალგაზრდობა.

დღეს ლ. თევზაძის სახელი ახალი ძალით, მისი აღზრდილების შესრულებით უღერს.

მისი მოსწავლეები იყვნენ: ლემან ხარაზი – თბილისის სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოღვაწეობს, თამარ კორიჩენკო – ბათუმის კონსერვატორიის წარჩინებული პედაგოგი და კონცერტმაისტერი, რუსუდან თავართქილაძე – თბილისის სამუსიკო სკოლის წარჩინებული პედაგოგი, გეტა გოგინოვა – მოღვაწეობს დანიაში, ლიდა ზიმინა – ბათუმის №2 სამუსიკო სკოლის წარჩინებული პედაგოგი იყო, თამრიკო შარტავა – თბილისის სამუსიკო სასწავლებელშია, ოლღა კაპიდი.

P.S. სამახსოვრო იყო გემზე „უკრაინა“ ჩატარებული იმპროვიზაციული რეპეტიცია, როდესაც სოხუმის სამუსიკო სასწავლებელში პირველი საგასტროლო ვიზიტით მიემგზავრებოდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დიდი ჯგუფი მოსწავლეთა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად 1978/79 სასწავლო წლის გაზაფხულზე.

პედაგოგებმა: ლ. თევზაძემ, ნ. ჯვარშიევილმა და მ. შურმა თავისი იმპროვიზაციული კონცერტით მოხიბლეს მრავალრიცხოვანი აუდიტორია.

თვით სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის სამუსიკო-სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში ლ. თევზაძის მოსწავლეების: თ. შარტავას და ო. კაპიდის გამოსვლამ სასიოამოვნო შთაბეჭდილება დატოვა.

სვეტა ბელომერტნოვა – ბათუმის №2 სამუსიკო სკოლის წარჩინებული პედაგოგი და გარკვეული დროის მანძილზე სასწავლო ნაწილის გამგე.

ივეტა ნიკოგოსიანი – მოღვაწეობს მოსკოვის გინესის ინსტიტუტში

დოდო ფოცხიშვილი – სამუსიკო სასწავლებლის მუსიკის ლიტერატურის პედაგოგი

ტატიანა შოთაშვილი

ტატიანა რიჟიკოვა

სერგო ტოპაროვი

იური ფედორჩენკო

მარია დავითის ასული შური

მუსიკოსი პედაგოგი, მოქალაქე

მისი პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო 50-იანი წლების მიწურულში. 1956 წელს თბილისში, აჭარის დეკადის დღეებში, შედგა მისი პედაგოგიური ნათლობა და პირველი საჯარო გამოსვლა, რომელიც ქების სიგელით აღინიშნა. ცხადია, პედაგოგის შემოქმედებითი მოღვაწეობის სახე განისაზღვრება არა ბიოგრაფიული ხანგრძლივობით, არამედ მისი მოღვაწეობის რეალური შედეგებით. წარმატებებს კი წინ უსწრებდა უწყვეტი პედაგოგიური ზრდა, შეუპოვრობა საკუთარი საშემსრულებლო ხელწერის ძიებაში, ინტენსიური საკლასო საკონცერტო ცხოვრება, რეპერტუარის გამდიდრება. და აი, წლების მანძილზე იხვეწებოდა პედაგოგიური ოსტატობა. სრულიად განსხვავებული პიანისტური იერის მქონე პედაგოგს და მის აღსაზრდელებს აღმოაჩნდათ ფაქიზი ერთიერთშეგრძნების უნარი. ყოველივე ამის გამო ესოდენ შთამბეჭდავად და მხატვრულად, დამაჯერებლად, წარმოაჩენენ ისინი მუსიკალური ნაწარმოების სიმძაფრეს თუ ინტიმურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებებს, შთაგონებულ ლირიკას თუ ბობოქარ ექსპრესიას.

მარია შურის, (სიყვარულით მაკას), პედაგოგიური ხელოვნების ოსტატობა მის აღსაზრდელ მოსწავლეთა აქტიური აღქმით გამოიხატება მუსიკალური ფრაზების რელიეფურობაში, ბგერათა პალიტრის მრავალფეროვნებაში, ხმოვანებათა ჭეშმარიტად საორკესტრო სიმკვრივეში, კონტრასტული სახეების შეპირისპირების მწყობრ დრამატურგიაში. მისი საკლასო კონცერტები, როგორც წესი, ყოველი საანგარიშო წლის მიწურულს იმართება და მოიცავს საფორტეპიანო რეპერტუარის ფართო დიაპაზონს. მისი პედაგოგიური ინტერესების სფეროშია ძველებური მუსიკა, კლასიკოსების ნაწარმოებები, XX საუკუნის კომპოზიტორთა თხზულებები, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების ნიმუშები.

ძალზე დასაფასებელია მისი მეთოდური მოღვაწეობა. მან მრავალჯერ მოიარა აჭარის ყველა რაიონი, სადაც კი მუსიკალური სკოლებია და ბევრსაც გაუღვივა სიყვარული პედაგოგიური მოღვაწეობისადმი. ამით აიხსნება მისი პოპულარობა აჭარის მუსიკალურ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

დღესაც ჩვეული ინტერესით და სიყვარულით ძალზედ ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა საფორტეპიანო კადრების პროფესიული დონის ასამაღლებლად. ყოველივე ამას იგი აკეთებს თავდადებით, მომხიბლავი გულწრფელობით. მის აღზრდილ მუსიკოსთა სია ძალზედ ვრცელია, მათი მოღვაწეობის გეოგრაფიული სივრცე დიდ მასშტაბებს მოიცავს.

მარია შური დაიბადა 1927 წელს, ბათუმში, მოსამსახურის ოჯახში.

აქვე მიიღო დაწყებითი №1 სამუსიკო სკოლაში ვ. ენაღევის კლასში, შემდეგ დაამთავრა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი გ. ბუჩინსკის კლასით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მოეწყო მოსკოვში, შემდეგ გადადის სანკტ-პეტერბურგის ნ. რიმსკი-კორსაკოვის სახელობის კონსერვატორიაში,



სადაც პიანისტის როულსა და ძნელ სპეციალობას დაეუფლა ცნობილი მუსიკოსის პროფესორ ა. კამინსკის კლასში. 1951 წელს დაამთავრა კონსერვატორია, აქვე შეხვდა თავისი ცხოვრების თანამგზავრს, ბათუმელ ინჟინერ ი. გერშენგორნს და მასთან ერთად სამუშაოდ გაემგზავრა ქ. სვერდლოვსკში.

პირველი პედაგოგიური ნათლობა მიიღო 1952-56 წწ. სვერდლოვსკის კონსერვატორიასთან არსებულ სამუსიკო ათწლეულში.

1956 წლის აგვისტოდან მ. შური ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგია. მისი ხანგრძლივი მოღვაწეობა პედაგოგობით როდი შემოიფარგლება. იგი აქტიურად მოღვაწეობს ქალაქის სამუსიკო ცხოვრებაში. მ. შურის მონაწილეობის გარეშე არ ჩატარებულა არცერთი სამუსიკო კონცერტი, საზეიმო თუ სხვა საღამო. უმეტესად თვითონ საფორტეპიანო თანხლების შემსრულებლის როლში გვევლინება. მისი საკონცერტმაისტერო ხელოვნება ყოველთვის გამოირჩევა მაღალი მხატვრული დონით, კარგი საანსამბლო თვისებებით.

მრავალმხრივი და ნაყოფიერია მ. შურის პედაგოგიური მოღვაწეობა. მის აღზრდილთაგან ბევრმა მოსკოვის, ლენინგრადის, ალმაათის, კიშინიოვის, ნოვოსიბირსკის, ოდესის, უმეტესობამ კი თბილისის კონსერვატორია დაამთავრა.

განსაკუთრებულია მ. შურის დამოკიდებულება მოსწავლეებთან.

იგი ყოველთვის დიდი სითბოთი და გულისხმიერებით ეკიდებოდა და ეკიდება მოსწავლეთა პირად მისწრაფებებსა და მიდრეკილებებს. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ მათ შორის გ. საბაძე და მ. ვაჩიშვილი კომპოზიტორი გახდა, ზოგიერთები კი მუსიკის მცოდნეები.

ძნელია სრულად გადმოსცე დვაწლმოსილი პედაგოგის ყველა ღირსება. მისი პედაგოგიური ხელოვნების ძირითადი არსი სწორედ ის არის, რომ აქვს განსაკუთრებული ნიჭი საკონცერტოდ სრულყოფილად მოამზადოს მოსწავლე, დაარწმუნოს თავის ძალებში და დამაჯერებლად შეასრულებინოს ნაწარმოები, განუვითაროს მუსიკოსისათვის მთავარი და აუცილებელი თვისება, რომელიც შემდეგ ცხოვრებისა და საქმიანობის ყველა სფეროში გამოადგება.

1967 წლიდან აჭარის დამსახურებული პედაგოგია – 1979 წლიდან კი საქართველოს დამსახურებული პედაგოგი.

1987 წლის 5 თებერვალს სამუსიკო სასწავლებლის დირექციამ და პედაგოგიურმა კოლექტივმა საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებულ მასწავლებელს მარია შურს დაბადებიდან 60 და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილე აუღნიშნეს.

მიღებული აქვს არაერთი მთავრობის ჯილდო: აჭარის უმაღლესი საბჭოს, საქართველოს კულტურის სამინისტროს საპატიო სიგელები და სხვა.

1998 წლის მაისიდან კონსერვატორიის საფორტეპიანო კათედრის გამგეა. მინიჭებული აქვს დოცენტის წოდება.

### **მ. შურის აღზრდილ მუსიკოსებიდან აღნიშვნის ღირსია**

ლიანა ნიქაბაძე – თბილისის კონსერვატორიის პროფესორი

ნანა დოლიძე – თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი

ნანა რუსაძე – თბილისის კონსერვატორიის საკონცერტმაისტერო კათედრის პედაგოგი

ნანული ტოშკუა – თბილისის სამუსიკო სასწავლებელი

ლიანა მგალობლიშვილი – თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი

მეგი დათუაშვილი – თბილისის მუსიკალური სკოლა

გურანდა ახვლედიანი – თბილისის პედაგოგიური ინსტიტუტი

ნედა მიროშნიკოვა – მოსკოვის კონსერვატორია

მუსია ფანტალისი – მოსკოვის ხელოვნების ინსტიტუტი

ირა თავბერიძე – მოსკოვის მუსიკალურის მასწავლებელი

გულნარა ახვლედიანი – ბათუმის კონსერვატორიის სასწავლო ნაწილის გამგე

ციური რუსიძე – ბათუმის კონსერვატორიის კათედრის გამგე

ლეილა კომახიძე – ბათუმის კონსერვატორიის პედაგოგი

ლიანა მელია – ბათუმის კონსერვატორიის პედაგოგი

ლიანა მელია – ბათუმის კონსერვატორიის და №1 სამუსიკო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

რუსიკო ღორთქიფანიძე – ბათუმის კონსერვატორიის და სამუსიკო სასწავლებლის კამერული განყოფილების გამგე

ნანი ჯანიკაშვილი – ბათუმის კონსერვატორიის და სამუსიკო სასწავლებლის მასწავლებელი.

ანიკო დუმბაძე – ბათუმის კონსერვატორიისა და სასწავლებლის მასწავლებელი

ნუნუ ოგანეზოვა – ბათუმის მ. ბალანჩივაძის სახელობის №2 სამუსიკო სკოლის დირექტორი

ინგა ჭოსონელიძე – გონიოს სამუსიკო სკოლის დირექტორი

ლელა ერქომაიშვილი – ბათუმის კონსერვატორიის პედაგოგი

თენგიზ შამილაძე – აჭარის ტელევიზია

ნონა ჯახუტაშვილი – ბათუმის კონსერვატორიასთან არსებული ცენტრალური სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ვერა გაბაი – მოღვაწეობს ისრაელში

ნონა დესტიაროვა – მოღვაწეობს მურმანსკში

ინეზა ჯორბენაძე – ბათუმის №2 სამუსიკო სკოლის პედაგოგი

მაგული ბურჭულაძე – ბათუმის ცენტრალური სამუსიკო სკოლის ყოფილი პედაგოგი

გუგული ხარაზი – ბათუმის №2 სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ნათელა ყურშუბაძე – ბათუმის №2 სამუსიკო სკოლის პედაგოგი

მანანა სტამბოლიშვილი – ბათუმის №2 სამუსიკო სკოლის პედაგოგი

ილა ზენაიშვილი – ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგ და კონცერტმანისტერი

გია ფირცხალაიშვილი – თბილისის კონსერვატორიის პედაგოგი

სვეტლანა ურუშაძე – ნიჭიერი პედაგოგი და მრავალი სხვანი და სხვანი.

2002 წლის პირველ მაისს ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში გაიმართა მარია შურის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო.

ვინც იმ საღამოს დარბაზში იჯდა, დამერწმუნება, რომ ეს მოვალეობის მოსახდელი საღამო კი არ იყო, არამედ გულითადი საუბარი, პატივისცემა იმ ადამიანისა, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა მთლიანად უკავშირდება აჭარაში მუსიკალური ხელოვნების განვითარებას. ეს უაღრესად განათლებული და სათნო პიროვნება ერთხელ კიდევ შეხვდა აჭარის ყველა კუთხეში მომუშავე თავის აღზრდილ ძალზედ მრავალრიცხოვან კოლეგებს, მეგობრებს, საზოგადო მოღვაწეებს, რომლებიც თავის მხრივაც გულთბილად ხვდებოდნენ. ეს საიუბილეო საღამო წარიმართა **Mama Maria** – სახელწოდებით. მართლაც რომ „დედა მარიას“ თვალწინ, უშუალოდ მისი მონაწილეობით ვითარდება და ოსტატებოდა აჭარაში მუსიკალური ხელოვნება.

მ. შურის დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო საღამო-კონცერტში მასპინძლებთან ერთად, თბილისიდან ჩამობრძანებული სტუმრებიც მონაწილეობდნენ. ეს იყო ძალზედ საინტერესო თბილი შეკრება, უამრავი მისალოცი სამთავრობო ადრესებითა და აღფრთოვანებული სიტყვებით, წერილებით, ყვავილებით.

დარბაზში მუსიკალური საზოგადოების, მისი აღზრდილი მეგობრების, კოლეგების შთამომავლებთან ერთად იმყოფებოდნენ მისი ოჯახის შთამომავლები – შვილები, შვილიშვილები, შვილისშვილის შვილები და სხვა საპატიო სტუმრები. მოკლედ, დარბაზი მსმენელ-მაყურებელს ვერ იტყვდა.

საიუბილეო საღამო გახსნა კონსერვატორიის რექტორმა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის სენატორმა ბატონმა ნოდარ ფაღავამ.

ოფიციალური ნაწილის შემდეგ შედგა სიმფონიური ორკესტრის კონცერტი. შესრულდა პ. ჩაიკოვსკის საფორტეპიანო კონცერტი სიმფონიური ორკესტრის თანხლებით. ასრულებდა მარია შურის კლასის კონსერვატორიის IV კურსის სტუდენტი ვანო სიჭინავა. ორკესტრს დირიჟორობდა საქვეყნოდ აღიარებული დირიჟორი დათო მუქერია.

მადლიერი საზოგადოება ქედს იხრის მარი შურის ღვაწლის, ღირსეულად გატარებული ცხოვრების წინაშე.

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი თავისი არსებობის 70 წლის მანძილზე ნაყოფიერად ემსახურებოდა პროფესიული სამუსიკო კადრების აღზრდას. არაერთი ამ სასწავლებლის აღზრდილი, სახელმძღვანელო მუსიკოსი მოღვაწეობდა როგორც ჩვენს ქვეყანაში, ისევე მის ფარგლებს გარეთ.

სწორედ რომ ამ სასწავლებლის კურსდამთავრებული მუსიკოსების მადლიერების წყალობით კარგა ხანია ქალაქში უდერს სიმფონიური ორკესტრი, კაპელა, ხოლო 1993 წლის 3 ოქტომბერს, უდიდესი მღვდვარების და ტკივილების ჟამს, საქართველოში, კერძოდ კი ბათუმში, იშვა ახალი საოპერო თეატრი, რომელიც მხოლოდ აჭარის ხელისუფლების, პირადად ბატონ ასლან აბაშიძის ძალისხმევით აღორძინდა. სახელოვანმა მომღერალმა, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის აღზრდილმა ალექო ხომერიკმა, რეჟისორ გიზო ჟორდანიასთან ერთად შესძლო ფრთა შეესხა თაობათა ოცნებისათვის და პირველი სეზონი გაიხსნა „აბესალომ და ეთერიო“, მას მოჰყვა „ლელა“, შემდეგ „აიდა“, „ოტელო“, რომელთა წარმატებაზე ბევრი ითქვა და დაიწერა. ბატონი ელუარ შევარდნაძე აღნიშნავდა, რომ „ეს იყო და არის ნამდვილი ზეიმი ქართული სულის გამოსხივებისა“. ოპერისა და ბალეტის თეატრი თავის მოღვაწეობას ამდიდრებს ახალ-ახალი რეპერტუარით. ამ უდიდეს მოვლენას მოჰყვა ხელოვნების ინსტიტუტის გახსნა, რომელმაც 1996-97 სასწავლო წელს თავისი პირველი მიღება იზეიმა, ახლახან ინსტიტუტს დიდი მამულიშვილის მემკედ აბაშიძის სახელი მიეკუთვნა.

დღეს, საერთო აღიარებით, ბათუმი ქართული კულტურის უმნიშვნელოვანესი ცენტრი გახდა.

ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა სურვილია სახალხო ტრადიციების შენარჩუნება და გადრმავება, ახალგაზრდა ნიჭიერი თაობის აღზრდა და დაოსტატება.

სწორედ რომ, ამ სასწავლებლის ძლიერი ბირთვის ერთ-ერთი წარმომადგენელი გახლავთ მარია შური. წელს მადლიერებით აღვნიშნეთ მისი დაბადების საიუბილეო 70 და პედაგოგიური მოღვაწეობის 40 წლისთავი.

მართლაც რომ, საოცრად ბედნიერი აღმოჩნდა საქართველოს დამსახურებული დეაწლმოსილი პიროვნების, დიდებული მოქალაქის მარია შურის მოღვაწეობა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო კლასში.

მის მოღვაწეობას საფუძველი ჩაეყარა 50-იანი წლების მიწურულში, 1957 წელს შედგა მისი პედაგოგიური ნათლობა და პირველი საჯარო გამოსვლა, რომელიც ქების სიგელით აღინიშნა თბილისში, აჭარის დეკადის დღეებში, რომლის მონაწილეც გახლდით მე – მისი პირველი მოსწავლე.

ცხადია, პედაგოგის შემოქმედებითი მოღვაწეობის სახე განისაზღვრება არა ბიოგრაფიული ხანგრძლივობით, არამედ მისი მოღვაწეობის რეალური შედეგებით. ამ შედეგებს კი წინ უსწრებდა უწყვეტი პედაგოგიური ზრდა, შეუპოვრობა საკუთარი საშემსრულებლო ხელწერის ძიებაში, ინტენსიური საკლასო საკონცერტო ცხოვრება, რეპერტუარის გამდიდრება. და აი, წლების მანძილზე იხვეწებოდა პედაგოგიური ოსტატობა. სრულიად განსხვავებული პიანისტური იერის მქონე პედაგოგს და მის აღსაზრდელებს აღმოაჩნდათ ფაქიზი ურთიერთშეგრძნების უნარი ყოველივე ამის გამო ესოდენ შთამბეჭდავად და მხატვრულად დამაჯერებლად წარმოაჩინენ ისინი მუსიკალური ნაწარმოების სიმძაფრეს თუ ინტიმურ-ფსიქოლოგიურ განწყობილებებს, შთაგონებულ ლირიკას თუ ბობოქარ ექსპრესიას.

მარია შურის, სიყვარულით მიკას, პედაგოგიური ხელოვნების ოსტატობა გამოიხატება მის აღსაზრდელთა აქტიური აღქმით მუსიკალური ფრაზების რელიეფურობაში, ბგერათა პალიტრის მრავალფეროვნებაში, ხმოვანებათა ჭეშმარიტად საორკესტრო სიმკვრივეში, კონსტრასტული სახეების შეპირისპირების მწყობრ დრამატურგიაში. მისი საკლასო კონცერტები, რომლებიც, როგორც წესი, ყოველი საანგარიშო წლის მიწურულს იმართება, მოიცავს საფორტეპიანო რეპერტუარის დაურთო დიაპაზონს. მისი პედაგოგიური ინტერესების სფეროში ძველებური მუსიკა, კლასიკოსების ნაწარმოებები, XX საუკუნის კომპოზიტორთა თხზულებები, ქართველ კომპოზიტორთა შემოქმედების ნიმუშები.

ძალზე დასაფასებელია მისი მეთოდური მოღვაწეობა, მან მრავალჯერ მოიარა აჭარის ყველა რაიონი, სადაც კი მუსიკალური სკოლებია და ბევრსაც გაუღვივა სიყვარული პედაგოგიური მოღვაწეობისადმი. ამით აიხსნება მისი პოპულარობა აჭარის მუსიკალურ-საგანმანათლებლო ცხოვრებაში.

იგი სულ ჩვეული ინტერესით და სიყვარულით ძალზედ ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა საფორტეპიანო კადრების პროფესიული დონის ასამაღლებლად. ყველაფერ ამას იგი აკეთებდა თავდადებით, მომხიბლავი გულწრფელობითა და ემოციურობით. მის მიერ აღზრდილ მუსიკოსთა სია ძალზე ვრცელია, მათი მოღვაწეობის გეოგრაფიული სივრცე დიდ მასშტაბებს მოიცავს.

მარია შურის პედაგოგიურ მოღვაწეობას ამშვენებდა მისი მეგობრების ფართო წრე. ბედნიერი ოჯახი – შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები...

იტყვიან „ყველა ასაკს თავისი ხიბლი აქვსო“, მართლაც, რომ ყველა ასაკი მისთვის მეტად მომხიბლავი და თვისობრივად სრულყოფილი იყო.

ჩვენ, ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია, მასთან არსებული სამუსიკო სასწავლებელი და სამუსიკო სკოლის მთელი კოლექტივი, მადლიერებით ვადეგნებთ თვალყურს მის პედაგოგიურ მოღვაწეობას, ვამაყობთ მისით.

დაე. კვლავაც ქღერდეს თქვენ მრავალრიცხოვან მოსწავლეთა მიერ შესრულებული ფორტეპიანოს ჰანგები.

ჯინევრა ბაუჟაძე

„საფო მერქვა და აღვემატე ლექსით ყველა ქალს,

ვით აღვემატა ჰომეროსი ყველა მამაკაცს“

„ვინც იცნობს ცხოვრებას და უყვარს იგი გაიგებს სისტემას, რომ ცხოვრება ადვილია და თანაც რთული, ვინც ნიჭიერია აითვისებს, ვინც არა მოერგება“ – სტანისლავსკი. ქალბატონი ჯინევრა ნამდვილად ნიჭიერი პიროვნება გახლავთ. იშვიათი

ზეპირსიტყვიერების ოსტატი, რომლის მჭერმეტყველებაში გამოსჭვივის უაღრესად დიდი განათლება.

ჯინევრას ცხოვრების, ფსიქოლოგიური აღქმის მისული სამყარო, ყველა ღირებულებებით – სულიერი და მატერიალური, გაიგივებულია მუსიკასთან. უზომოთ შეყვარებულია მსუიკაზე.

ნიკოლოზ ბარათაშვილის მშვენიერი სტრიქონები „გასწი მერანო, შენს ჭენებას არ აქვს საზღვარი..“, სოწრედ მის სივრცეს, მის მდიდარ ფანტაზიას მიესადაგება, მისი სიტყვის ხელოვნებას შეუძლია უსასრულობაში შეგვიყვანოს და დაგიპყროს მეტაფორული ეპითეტებით.

ასეთი მშვენიერებით იყო მოცემული მისი არაჩვეულებრივად საინტერესო, არტისტულად წარმართული ბათუმური, უსაზღვროდ თბილი, კლასიკური მუსიკის სადამო „მე – როიალი“, ქალტა დღეს მიძღვნილი სადამო „ეძიე ქალი“, „რეკვიემი“, პრესაში დაბეჭდილი სტატიები ხელოვნებაზე, შემსრულებლებზე. ჯინევრა ყველასგან განსხვავებულია, არავის რომ არ ჰგავს და არავის რომ არ ბაძავს. მუსიკა მისთვის ხალხტან ურთერთობის დამყარების განზომილებაა. მის საფუძველზე სცენაზე ქმნის მშვენიერ სახასიათო პორტრეტებს „მაესტრო მურმანი“, „მშვენიერი პედაგოგი“ და სხვა. მის საყვარელ სასწავლებელზე. თ. ლილიენბახზე მრავალი კონცერტი გაუმართავს. მისი ხელმძღვანელობით მოეწყო „პოეზიისა და მუსიკის“ სარამო. სარამოს ესწრებოდა სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს ინსპექტორი მოსკოველი პიანისტი ე. რუჟანსკაია, რომელმაც კონცერტის წამყვანს და შემსრულებლებს მაღალი შეფასება მისცა. (იხ. დ. ფოცხიშვილი „საბჭოთა აჭარა“ 28.05.1987). ეწევა აღმზრდელობით მეთოდურ მუშაობას. როგორც პედაგოგი ძალიან მკაცრი და მომთხონია.

უმაღლესი განათლება მიღებული აქვს თბილისის კონსერვატორიაში. მის მუსიკალურ კულტურას ნოდარ გაბუნიას სკოლა ასაზრდოებს. თაობათა მოსვლა, ტრადიციების შეთვისებიტა და გადრმავებით, წარუშლელ კვალს ტოვებს ჩვენი მუსიკალური ცხოვრების ისტორიაში.

ჯინევრას სამოღვაწეო სივრცე დიდია. ბათუმის კონსერვატორიის დეკანი და პედაგოგია. არის აჭარის სახელმწიფო კაპელას მთავარი კნცერტმაისტერი, ასევე სამუსიკო სასწავლებლის გამგე.

დიას, ქალბატონი ჯინევრა ბაუჟაძე 70-იანი წლებიდან გონივრულად და მიზანდასახულად იკავებს ღირებულ ადგილს აჭარაში საფორტეპიანო და საერთოდ, სამუსიკო ხელოვნების განვითარებაში. მისი სწავლების მეთოდიკა, საკონცერტო რეპერტუარი, შემქმედებითი ინტერპრეტაციის ფართო დიაპაზონი საერთო შესაძლებლობას გვაძლევს ვიმსჯელოთ პატივი მივაგოთ მის პედაგოგიურ თუ საზოგადოებრივ წარმატებულ საქმიანობას.

დაჯილდოებულია:

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს „საპატიო სიგელით“ – 19 დეკემბერი 1983 წ;

ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის „საპატიო სიგელით“ – 1989 წ. 27 დეკემბერი

მ. აბაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი.

ქალბატონი ჯინევრა მუდამ ახლის ძიებაშია:

მიზნად დასახული აქვს სხვადასხვა მეთოდური ხელმძღვანელობის საფუძველზე შექმნას ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლების მეთოდის სასწავლო კურსი.

ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლების მეთოდის დახვეწისათვის, ხელმძღვანელობს სტუდენტთა მ შაობას რეფერატებზე;

დამუშავებულია ქვს თემები: „ბარტოკი“, „ნეიჰაუზი“, „შუბერტის ვოკალური ლირიკა“, „პედალიზაცია“.

ჩატარებული აქვს რესპუბლიკური კონფერენციები (თბილის, თელავი, გორი) თემაზე ა) XX საუკუნის მუსიკა და ი. ბარდნაშვილი; ბ) „პოლიფონიური მუსიკა“ გ) „ნეიჰაუზის სკოლის ძირითადი პრონციპები“.

ხშირად უხდება გამოსვლები როგორც პიანისტსა და კონცერტმაისტერს: კითხულობს მოხსენებებს, მართავს ლექცია-კონცერტებს როგორც საფორტეპიანო ისე საგუნდო სამუსიკო ხელოვნებაზე, ატარებს ღია გაკვეთილებს, კონსულტაციებს ქობულეთში, ოზურგეთში და სხვა.

პრესაში სისტემატურად გამოქვეყნებული აქვს სტატიები ნოდარ ანდელაძეზე. დ. ჯვარიშვილზე ალექო ხომერიკე, სახელმწიფო კაპელაზე, მხატვრებზე, რეჟისორებზე, სპექტაკლებზე.

#### ნანული ზამბახიძე

სამუსიკო სასწავლებლისთვის ნაუნული ზამბახიძე ქართული პიანისტური სკოლის ინტელიგენტი, უმაღლესი კატეგორიის პედაგოგია. ბათუმში არსებობს პედაგოგების სკოლები, მათი თქმის, სტილისა და ჩვენების მიხედვით. არის ირა ხერუის, მარიამ შურის, ნანული ზამბახიძის სკოლები. ნაული ზამბახიძე გამოირჩევა საკუთარი შემოქმედებითი ხელწერით, რომლის მუსიკა ხელოვნების სინთეზია, იგი შერწყმულია პოეზიასთან, მხატვრობასთან. მის მოსწავლეებს ახასიათებთ შესრულების არტისტული, თავისუფალი პიანისტური მანერა, და რაც მთავარია, უყვართ სცენა.

მოსწავლეებს უნვითარებს ქართულ მენტალიტეტს, ეროვნულ ხასიათს. გამოირჩევა მაღალი პედაგოგიური პროფესიონალიზმით, შრომისუნარიანობითა და კოლექტივობით.

მისი მოსწავლეები წარმატებით მონაწილეობენ კონსერვატორიისა და სასწავლებლის კონცერტებში, რესპუბლიკურ კონკურსებში, საშეფო კონცერტებში.

ქალაბტონი ნანულის საკონცერტმაისტერო თანხლება, რომელსაც საფორტეპიანო კლასის მოსწავლეებს და სტუდენტებს უწევს სხვადასხვა კომპოზიტორების თხზულებების საფორტეპიანო კონცერტების შესრულების დროს, თავისი გარეგნობით, შესრულების მანერით, აკადემიურობით მომხიბვლელი და სრულყოფილია.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი, აჭარის კულტურის სამინისტროს მრავალი სიგელი, საქართველოს კულტურის სამინისტროს, სამუსიკო სასწავლებლის, სამუსიკო სკოლის მადლობები და ა.შ.

1978 წლის 17 მარტიდან სასწავლო ნაწილის გამგედ დაინიშნა და ამავე წლის 5 ოქტომბერს პირადი განცხადებით განთავისუფლდა.

ქალბატონი ნანული ზამბახიძის საშუალო თუ უფროსი თაობის ბევრი მუსიკოსი, რომლებიც მასთან აღიზარდნენ და სამუსიკო დაწესებულებებში მოღვაწეობდნენ მადლიერებით და გულთბილად აფასებენ მის უანგარო ამაგს.

2001 წელს მიანიჭეს აჭარის დამსახურებული მასწავლებლის წოდება. დაე, ასეთი წარმატებებით ეღვაწოს ჩვენდა სასიკეთოდ.

### იზო მიქელაძე

იზო მიქელაძე სამუსიკო სასწავლებლის საფორტეპიანო განყოფილების მეთოდკომისიის თავმჯდომარეა. კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს მისი საკონცერტმაისტერო მოღვაწეობა. ძალიან სცენიურია, მიმზიდველი და ეფექტურია. ვოკალისტთა წარმატებით გამოსვლას ხელს უწყობს თავისი დახვეწილი ტაქტით, დღენიადაგ ზრუნავს მოსწავლეთა ჩამოყალიბებებსა და შემოქმედებით ზრდაზე. უნერგავს მათ ესტრადისადმი სიყვარულს.

მის მიერ ორგანიზებულ საანგარიშო კონცერტებში, რომელიც ყოველი სემესტრის ბოლოს ეწყობა, იგრძნობა ახალგაზრდული სიხალისე და სიახლე.

ვოკალისტთა წარმატებით გამოსვლას ხელს უწყობს ტაქტითა და ანსამბლის კარგი გრძნობით. მისი საკონცერტო გამოსვლების მიმართ მსმენელი ყოველთვის სიმპატიურად არის განწყობილი.

როგორც პედაგოგი, მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. უყვარს ნაწარმოების დეტალიზება, თანაც მოსწავლეს აძლევს საშუალებას მოძებნოს გზა, საკუთარი ინტერპრეტაცია მისცეს ნაწარმოებს.

ქალბატონი იზო ცნობილი, დამსახურებული მსახიობის ჰასან მიქელაძის ქალიშვილია. დედა – დაწყებითი სკოლის დამსახურებული მასწავლებელი, არაჩვეულებრივად კეთილი, სტუმართმოყვარე, კარგი მოსაუბრე და საერთოდ დიდებული ქალბატონი იყო... და იზოსაც უხვად გამოყვა მამის არტისტული მანერა.

„...ბედნიერი იყო ის წლები – იგონებს იზო – როცა მუსიკას, ხელოვნებას ვეზიარე. მუსიკამ აავსო ჩემი ცხოვრების ყოველი საათი, ფიქრები, ოცნებები...“

ქალბატონი იზო სპეციალობაში სწავლობდა რუსუდან მეიფარიანთან, ჯერ კიდევ ადრე ლიანა მგალობლიშვილთან. ჩემ შეკითხვაზე თუ რა დაამახსოვრდა ამ ორივე კარგი მუსიკოსისაგან იზომ მიპასუხა: „...ვცდილობდი რაც საუკეთესო იყო მათში თვისებები ყველა ამეკრიფა“.

შედეგიც ბუნებრივი აღმოჩნდა.

უმაღლესი განათლება მიიღო კიევის პ.ჩაიკოვსკის სახელობის კონსერვატორიაში.



წარმატებით ევლოს მეტად რთულ და საპასუხისმგებლო სარბიელზე.

ხელოვნება – ხალხისთვის

შეიქმნას ისეთი ხელოვნება, როდესაც,

თვისობრივად იქმნება და იცვლება ადამიანი.

მოთხოვნა სიწმინდისკენაა, იდეალებზე. წარმატების

იდეალია და მისაბაძია ის, როდესაც ნათელი

აზროვნების გამღვიძებელი იქნები.

### ირა ხერუი

ირა ხერუი საოცრად საინტერესო და მეტად პოპულარული პედაგოგია. მისი კლასის კონცერტები, რომელიც, როგორც წესი ყოველი სასწავლო სემესტრის მანძილზე ტარდება მუსიკოსებს, მუსიკის მოყვარულებს და საერთოდ ქალაქელებს მოუწოდებს სიხარულისკენ.

მისი აღზრდილები, კლასის მოსწავლეები და სტუდენტები წარმატებით გამოდიან რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე, კონკურსებზე და ხშირად ლაურეატობას იმსახურებენ, ან კიდევ დიპლომებით ჯილდოვდებიან. უფრო მეტიც, მის ნაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ფართე ასპარეზი გაეშალა – მისი მოსწავლეები საერთაშორისო კონკურსებზეც იმსახურებენ სხვადასხვა ხარისხის წამახალისებელ ჯილდოებს.

ქალბატონი ირა ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივში 70-იანი წლების დასაწყისში „ფერერკივით“ შემოიჭრა. იმ დღიდან მოყოლებული თავს ავლენს, როგორც უაღრესად ნიჭიერი პედაგოგი, გამოირჩევა სამაგალითო შრომისუნარიანობით და თავისი მაღალი პროფესიონალიზმით ხელოვნების მშვენივლად რჩება.

მასხენდება მისი დაწყებითი პედაგოგიური სამოღვაწეო სარბიელი. მას ჯერ კიდევ, ახლოს არ იცნობდნენ. საკუთარი მანქანის საჭესთან მჯდომი ქალბატონი ირა აჭარის სამუსიკო სკოლებს ჩამოუვლიდა. ჯერ ქალაქს მოინახულებდა, შემდეგ გარეუბნებს, მაღალმთიან სოფლებსაც მოიკითხავდა, ზამთარ-ზაფხულ დაუზარებლად ეცნობოდა მათი მუშაობის მეთოდსა და სტილს, გულუხვად თავის მეთოდურ რჩევადარიგებებსაც უზიარებდა. ამიტომაც არის მისკენ ასეთი დიდი ღტოლვა, სწორედ ამან განაპირობა მისი პოპულარობა. ეხლაც კონსერვატორიაში, სასწავლებელში თუ სკოლაში პედაგოგები მეთოდური რჩევისათვის მას მიმართავენ და იგიც სიამოვნებით პასუხობს.

მოსწავლეებთან თუ სტუდენტებთან ძალიან მკაცრი, მომთხოვნი, ამავე დროს მეგობრული და მოსიყვარულეა. მოსწავლეებს იგი საფიცრად ჰყავთ, უფრო მეტიც, საყავრელი ირა მასწავლებლის სახელს არქმევენ თავიანთ პირმშობს.

ქალბატონი ირა ყველგან და ყველაფერში ერთნაირია, მოხდენილი, მიმზიდველი, მუდამ მისი ახალგაზრდული ენერჯით გვხიბლავს.

მომავალშიც მხნედ ევლოს ჩვენდა სასიკეთოდ.

დაიბადა 1942 წლის 13 მარტს. წარმოშობით ჩეხია. თბილისის კონსერვატორია 1966 წ. დაამთავრა.

უმაღლესი კატეგორიის პედაგოგია – უფროსი მასწავლებელი, საქართველოს კულტურის სამინისტროს ჟიურის წევრი.

1998 წლის დეკემბერში ქ. კიევში ახალგაზრდა მუსიკოსთა კონკურსზე ჟიურის მუშაობაში დებულობდა მონაწილეობას.

2000 წელს, იენისის ბოლოს, თბილისში შედგა რესპუბლიკური კონკურსი. ალეკო გელაძე კვლავ კონკურსის ლაურეატი და I ხარისხის დიპლომის მფლობელი ხდება. 2000 წლის ივლისში კი ირინა ხერჯი ალეკო გელაძესთან (სასწავლებლის I კურსი) და თეონა ბარამიძესთან (II კურსი, კონსერვატორია) ერთად კონკურსში მონაწილეობისათვის იტალიაში გაემგზავრა.

აი რას წერდა ირა ხერჯის მოსწავლეზე მუსიკათმცოდნე გურამ საღარაძე სტატიაში „ნორჩი მუსიკოსის დებიუტი“, რომელმაც გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ დაიბეჭდა 1987 წ. თებერვალში „...ორკესტრთან ერთად როგორც სოლისტი, გამოვიდა ბავშვთა სამუსიკო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეა ეკა სანიკიძე. მან შეასრულა ანდრია ბალანჩივაძის №3 საფორტეპიანო კონცერტის სამივე ნაწილი. ეს ჩვენი ქვეყნის მუსიკალურ წრეებში ერთობ ცნობილი და შეიძლება ითქვას, ქრესტომათიული ნაწარმოებია. ამიტომაც შემსრულებელმა თხზულების მხატვრული სახეების გამოძერწვა ტრადიციული გზით გადაწყვიტეს.

ნორჩმა მუსიკოსმა მოხდენილად გადმოსცა პირველი ნაწილის მგზნებარება, მეორე ნაწილის მღერადობა და სინაზე, ისე ზუსტად, რომ ერთი ბგერაც არ დაკარგულა, დაძლია მესამე ნაწილის პოლიფონიური სართულებიც, რომელიც დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერებისათვის დამახასიათებელი „კრიმანჭულის“ მიბაძვითა და ინტონაციური მასალის გამოყენებითაა აგებული.

ყურადღებით, შეიძლება ითქვას, სიფრთხილით დირიჟორობდა ე. აზნაურიანი რის შედეგადაც მივიღეთ სოლისტისა და ორკესტრის კარგად შეთანხმებული ანსამბლი.

პატარა ეკას დაკვრა გამოირჩეოდა წმინდა ბგერით, ფაქტურის გადმოცემასთან სერიოზული, მასთან ბავშვურად გულუბრყვილო დამოკიდებულებით. სადამოზე გამოვლენილი მუსიკალობა, სცენიური გამძლეობა, ნაწარმოების მთლიანად დანახვის და გააზრების უნარი, უფლებას გვაძლევს ვთქვათ, რომ მუსიკოსი გოგონა გამორჩეული ნიჭით არის დაჯილდოებული”.

**საფორტეპიანო კლასის პედაგოგ ირინა ედუარდის ასულ ხერჯის ლაურეატ-მოსწავლეთა წარმატებები:**

№2 სამუსიკო სკოლის მოსწავლე ეკა სანიკიძემ II ადგილი დაიკავა 1990 წელს მოსკოვის ახალგაზრდა პიანისტთა კონკურსში;

№2 სამუსიკო სკოლის კურსდამთავრებულმა, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის I კურსის მოსწავლემ ნინო ნიშნიანიძემ 1993 წელს საფრანგეთში გამართულ კონკურსში II ადგილი დაიკავა;

№4 სამუსიკო სკოლის მოსწავლე ალექო გელაძემ 1997 წელს (მარტი) I ადგილი დაიკავა დიანა ხოდუეს სახელობის კონკურსში (აშშ), მაშინვე 1997 წელს (სექტემბერი) პარიზში გამართულ საერთაშორისო კონკურსში III ადგილი, ხოლო 1998 წელს (მარტი) ლოს-ანჯელესში გამართულ საერთაშორისო კონკურსში I ადგილი დაიკავა;

1998 წლის დეკემბერში ქ. კიევში გამართულ საერთაშორისო კონკურსში ლაურეატების წოდება მიენიჭა შემდეგ მოსწავლეებს:

№2 სამუსიკო სკოლის მოსწავლემ დიანა ხაჩატურიანმა I ადგილი დაიკავა (კატეგორიაში 15 წლამდე);

№2 სამუსიკო სკოლის მოსწავლემ ლიკა კობახიძემ III ადგილი დაიკავა (13 წლამდე კატეგორიაში);

№4 სამუსიკო სკოლის მოსწავლემ ალექო გელაძემ I ადგილი დაიკავა (17 წლამდე კატეგორიაში).

ზ. ფალიაშვილის სახ. სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლემ თეონა ბარამიძემ II ადგილი დაიკავა (23 წლამდე კატეგორიაში).

ქალბატონი ირა ყველგან და ყველაფერში ერთნაირი, მოხდენილი მიმზიდველი მანდილოსანია. მუდამ გვხიბლავს მისი ახალგაზრდული ენერჯით.

მომავალშიც მხნედ ევლოს ჩვენდა სასიკეთოდ.

P.S. რა ადვილი ყოფილა კარგ ადამიანზე წერა!

ირაზე ჩანახატი სულ მოკლე დროში ჩაიწერა.

### კონცერტმაისტერები

კონცერტმაისტერი – პიანისტი ეხმარება შემსრულებელს პარტიის შესწავლაში და კონცერტებზე მას თანხლებას უკეთებს. სოლისტი კონცერტმაისტერის გარეშე წარმოუდგენელია, ასევე კონცერტმაისტერი სოლისტის გარეშე. ისინი ერთიანი ნაწარმოების აზრის გამომხატველები არიან.

კონცერტმაისტერის, როგორც საფორტეპიანო თანხლების მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ წინასწარ იქნეს გათვლილი და გასაგები, ან დასკვნილი ესა თუ ის ემოციური შინაარსი, ან კიდევ გააძლიეროს სიტყვის მელოდიური გამომხატველობა. უფრო მკაფიოდ იქნეს გამოხატული მუსიკალურ სახეებში მოცემული იდეურ-აზრობრივი შინაარსი.

და ყველაზე განსაკუთრებულ, მნიშვნელოვან თვისებად თვლიან იმას, რომ სოლისტის ოსტატობის სიმადლებს, ღრმა აზროვნებას ხელს უწყობდეს და უნარჩუნებდეს მათი გრძნობათა სიქრფელე.

აი, ნამდვილი კონცერტმაისტერის უფლებამოსილებანი.

რუსუდან ელიავა – საფორტეპიანო თანხლებას უწევდა ცნობილი ვოკალის, ერთ-ერთი დიდებული პედაგოგის მარია ალექსანდრეს ასული დოლენგო-დრაგოშის კლასის მოსწავლეებს. რელიავა დღესაც თბილისის ფილარმონიის პოპულარული კონცერტმაისტერი გახლავთ. რუსუდანი ცნობილი ქართველი კინოვარსკვლავის ღია ელიავას დაა. ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ინტერვიუში ბატონმა ოთარ კობერიძემ, ჩვენი დროის უდიდესმა კინომსახიობმა, თავის მეუღლეზე ღიაზე ფიქრით, დიდი სევდა და ტკივილი გამოხატა: „იგი ჩემშია, ჩემი სიყვარული გაგრძელება მანამ, სანამ ცოცხალი ვარ, უფალი, რომ ისურვებს და წავალ იმ ქვეყნად, ყველაფერს მოვეუყვები“...

ქალბატონი რუსუდანი, ასეთ საოცრად თბილი ხალხის გარემოცვაში მყოფი, თვითონაც ასხივებდა სითბოს, სიყვარულს, ავლენდა დიდ ერუდირებას, დახვეწილ საშემსრულებლო მანერას, ინსტრუმენტთან საოცრად შეხების, შესრულების ფაქიზი ანსამბლური, თუ თანხლების შესატყვისობით.

რ. ელიავა მოსწავლეების მიმართ ძალიან თბილი და მეგობრული იყო. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ჩემს საყვარელ მასწავლებელს წერილი მივწერე, ის ორ წელიწადს მასწავლიდა სპეციალობაში, სადაც მივანიშნებდი კონსერვატორიაში მოწყობაზე. მან საპასუხოდ მომწერა: „ღეილა, გილოცავ გენაცვალე, ძალიან მიხარია. ძალიან მიყვარხარ და მუდამ შენს გვერდით მიგულე. შენი რუსუდან მასწავლებელი“.

ქალბატონი რუსუდანი საკონცერტმაისტერო მუშაობისას გამოირჩეოდა ტექსტის ათვისების სიზუსტით, განსაკუთრებული მუსიკალურობის მაგალითით, მის ყოველ წამში იგრძნობოდა მუსიკალური სიცოცხლე, აკადემიური სიმკაცრე. ქალბატონი რუსუდანი გახლდათ ქართველ მუსიკოსთა თაობების კონცერტმაისტერ-მასწავლებელი. ყოველი მასთან მომუშავე ვოკალისტ-მომღერალი იგონებს მას, როგორც ნიჭიერ ავტორიტეტულ პიროვნებას. მას, როგორც მუსიკალური ატმოსფეროს შემქმნელს საშემსრულებლო პრობლემების გადაწყვეტის კონკრეტული შემთხვევებში ხელის შემწეობად თვლიდნენ, რაც განასხვავებდა სხვა კონცერტმაისტერებისგან.

ნინა ყარამანის ასული გოგიტიძე – 30-იანი წლების პიანისტ-კონცერტმაისტერი გახლდათ, რომელიც ბათუმში გასტროლებზე მყოფ ლეგენდადქცეულ მომრეაღ ვ. სარაჯიშვილს კონცერტებზე თანხლებას უწევდა (დაწვრილებით იხილეთ „ნ. გოგიტიძის და ვ. გოგიტიძის ოჯახი“).

ღუდმილა გიორგის ასული ნავროცკაია იყო საოცრად დიდი მუსიკოსი, ელევანტური აღნაგობის, რუსული არისტოკრატიული კულტურის გამომხატველი ქალბატონი.

იგი ბეგრის მასსოვრობაში აღიბეჭდა, როგორც განსაკუთრებული სმენით დაჯილდოვებული. ბეგრის მხრივ ძალიან შერწყმული იყო სოლისტის ტემბრულ

ქედრადობასთან. ფურცლიდან კითხვა, ტრანსპორტი, ტექნიკური სირთულე მასთან უპრობლემო იყო. ყველა შემთხვევაში განსაკუთრებული ელვარებით ბრწყინავდა მისი აკომპანიმენტი. არანაირი შემთხვევითობა ტექსტში, დამაჯერებლად, მტკიცედ, თავისუფლად ფლობდა საკონცერტმაისტერო ტექნიკას.

ქალბატონი ლუდმილა კონცერტმაისტერობას უწევდა სხვადასხვა განყოფილების პედაგოგებს. მ. დრაგოშს, ტ. სკვარცოვას, ა. როდინს.

დღეს ცენტრალური მუსიკალური სკოლის წარმატებული პედაგოგი ჯუმბერ ჩარკვიანი იგონებს: „როგორც პედაგოგებში, ისე კონცერტმაისტერებში ნამდვილად გამიმართლა, როდესაც ჯერ კიდევ ტ. სკვარცოვასთან სამუსიკო სასწავლებელში სწავლის დროს კონცერტმაისტერობას მიწევდა ლუდმილა ნავროცკაია, რომელიც განსაკუთრებული სმენით იყო დაჯილდოვებული. ერთ-ერთ დია კონცერტზე რეპრიზა ორჯერ გავიმეორე, ქალბატონი ლუდმილა ისე გამომყვა, რომ მსმენელს ჩემი შეცდომა მხედველობიდან გამორჩა“. ასევე განსაკუთრებული შტაბეჭდილებით იხსენებს რუსუდან ელიავას კონცერტმაისტერობას. ასეთივე ღირსებით გამოირჩევა ქალბატონი მარია დავითის ასული შური. ის უკვე მეოთხე კუსზე იყო ჩემი კონცერტმაისტერი. სახელმწიფო გამოცდისთვის ყველანაირად თავისი კორექტული შენიშვნებით, ნაწარმოების მთლიანობაში მოყვანაზე გვამეცადინებდა, რითაც ნაწარმოების მთლიანობაში მოყვანაზე გვამეცადინებდა, რითაც ნაწარმოების ფორმა ყველა მისი ღირებულებებით სრულყოფაში მოჰყავდა.

40-50-იანი წლების კონცერტმაისტერებიდან აღნიშვნის ღირსია: ე. კურტიდი, ე. დერკანი, მ. შური, ლ. ლატკო, კლ. სიგომონოვა, თ. გათენაძე, თ. ბოცვაძე.

60-იანი წლებიდან – ლ. ხამუტოვა, რ. ლორთქიფანიძე, ლ. კომახიძე, სვ. ლომთაძე, ვ. კილაძე;

70-იანი წლებიდან – გ. ახვლედიანი, ჯ. ბაუჟაძე, ლ. მელია, რ. ლორთქიფანიძე, მ. სალუქვაძე, ი. მიქელაძე, ი. ზენაიშვილი, მ. ელაშვილი, ნ. ხინაძე, ლ. ხანაგოვა, ლ. ჭელიძე, ვ. გაბაი, ც. რუსიძე, თ. კირიჩენკო, ს. შაქარიანი;

80-იანი წლებიდან – სვ. კოლუაშვილი, სვ. მარკინა, მ. ხარჩილავა, ნ. ორაგველიძე, ე. ლოლელიანი.

90-იანი წლების ახალგაზრდა თაობის წარმომადგენლები ნ. ჩაიძე, ქ. რაზმაძე, თ. გეგიძე, თ. გოგოტიშვილი, ლ. ლორთქიფანიძე, თ. თოფურძე.

70-იანი წლების კონცერტმაისტერებიდან განსაკუთრებული ყურადღებით მინდა გამოვეყო ქალბატონი ლალი ჭელიძის საკონცერტმაისტერო თანხლება, რომლის ნაწარმოების შესრულებაში ყოველთვის გონივრულად არის დაცული სხვადასხვა ეპოქისა და მიმართულების კომპოზიტორების სტილური თავისებურებანი. მისი შესრულება არტისტიზმით მომხიბვლელია და დახვეწილობით გამოირჩევა.

ქალბატონი ლალი დღეს კონსერვატორიის საკონცერტმაისტერო კათედრის გამგეა, რომელსაც აკადემიური მომთხოვნელობით ხელმძღვანელობს, მისი პროფესიული ინტერესი რეალიზებული და სრულყოფილი გახლავთ. ამავე დროს პარალელურად ბათუმის ოპერისა და თეატრის ერთ-ერთი წამყვანი კონცერტმაისტერია. ის ასევე ხელოვნების ინსტიტუტში პრორექტორის თანამდებობაზე გახლავთ. ჰყავს ბევრი წარმატებული აღზრდილი მუსიკოსი, რომელიც პირნათლად აგრძელებს მოღვაწეობას. ესენია: ცინცაძე კახაბერ, ხომერიკი ეკატერინე, ნანობაშვილი ანა და ა.შ

ვუსურვებ დიდ შემოქმედებით წინსვლას.

ციურ რუსიძე – მისი საკონცერტმაისტერო თანხლება მეტ სტიმულს აძლევს მომღერალს და კარგ ფონს უქმნის. მისი თანხლება დამაჯერებელი, მშვიდი, ყოველგვარ პომპეზურობას მოკლებულია, უფრო საქმიანია და პედაგოგიური განათლებიდან გამომდინარეობს.

ქალბატონი ციური კონსერვატორიაში სავალდებულო ფორტეპიანოს სწავლების კათედრას ხელმძღვანელობს.

თამარ კირიჩენკო – სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტმაისტერო განყოფილებას ხელმძღვანელობს. მის საკონცერტმაისტერო აკომპანიმენტში განსაკუთრებულად მელოდიურობა იკითხება.

იდა ზენაიშვილი და იზო მიქელაძე – ხასიათებიან შესრულების არტისტიზმით და ესთეტიკური მომხიბვლელით.

თვა გოგოტიშვილი, თამუნა თოფურიძე, ინდირა მუსხაჯბა, მეგი ნაკაშიძე, სვეტა ურუშაძე, რუსიკო კვახაძე, ხათუნა მურადაშვილი, ლუიზა ლუსრსმანაშვილი, მარინა ქიქავა, ნინო ნიშნიანიძე, ელენე ბურჭულაძე და ლალი ლორთქიფანიძე – ნიჭიერი, პერსპექტიული ახალგაზრდებია, რომლებიც დიდ მონდომებას ავლენენ როგორც პედაგოგიურ ისე საკონცერტმაისტერო სარბიელზე.

ლალი თეიმურაზის ასული ლორთქიფანიძე – ლალიმ, ჩემმა ქალიშვილმა ქ. ბათუმის №2 სამუსიკო სკოლია დაამთავრა ირა ხერუთან, საფორტეპიანო კლასით, სამუსიკო სასწავლებლის პირველი კურსი სვეტა მარკინასთან, მეორე კურსიდან მეოთხეს ჩათვლით მარი შურთან. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის, მედეა ფანიაშვილის სახელობის საქართველოს ხელოვნების აკადემიაში, სწავლობდა საქართველოს თვალსაჩინო პედაგოგებთან ფორტეპიანოში – ნუგეშა მესხთან, მერი ფოცხიშვილთან, მეთოდიკის კურსი გაიარა მედეა ფანიაშვილთან, სამახსოვრო წიგნიც კი აჩუქა წარმატებული სწავლისათვის წარწერით „ჩემს საყვარელ სტუდენტს“.

ხელოვნების აკადემია დაამთავრა წარჩინებით, წითელ დიპლომზე 1995 წლის 8 ივლისს.

სწავლაში გამოირჩეოდა დიდი პასუხისმგებლობით, შრომისუნარიანობით, მახსოვრობის ფენომენალური შესაძლებლობით. საკმარისია ფურცლიდან წაკითხვა, რომ უკვე შეუძლია ზეპირად დაუკრას. იშვიათი სმენის, ნაწარმოების მხატვრული ემოციური შინაარსის სწორი აღქმით, გადმოცემის იშვიათი უნარით, თავისეული მსჯელობით და განჭვრეტით ხასიათდება.

გამოირჩევა მეგობრული თვისებებით, კეთილი, კარგი მოსაუბრე ფართე ასოციაციით. განსაკუთრებით უყვარს ხელოვნებაზე, ანტიკურ მითოლოგიურ ლიტერატურაზე საუბარი.

პედაგოგიური სტაჟი 24 წლით განისაზღვრება. დიდი პასუხისმგებლობით, მომთხოვნელობით, მაღალი პროფესიული მიდგომით, თავისეული ხელწერით მუშაობს. განუსაზღვრელი დროით შეუძლია იმეცადინოს მოსწავლესთან.

1997 წლის ივნისში მისმა მოსწავლემ მარიამ რევაზის ასულმა ლორთქიფანიძემ (ჩემმა შვილიშვილმა) თბილისში, რესპუბლიკურ მოსწავლეთა კონკურსში მიიღო მონაწილეობა, სადაც ლაურეატის წოდება და მე-2 ხარისხის დიპლომით დაჯილდოვდა.

ბატონ ზაურ გოგოტიშვილთან ერთად (ფლეიტის კლასი), ყოველწლიურად საანგარიშო კლასის კონცერტით გამოდიან, რომელიც გამოირჩევა მაღალი საშემსრულებლო დონით.

1998 წელს ლალიმ დაამთავრა ბათუმის დამოუკიდებელი ერთაშორისი ინსტიტუტის „მეგობრობა“-ს სრული კურსი, სამართალმცოდნეობის სპეციალობით.

1999 წლის ოქტომბრიდან პედაგოგიურ მუშაობასთან პარალელურად იხვეწს პროფესიულ კვალიფიკაციას, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის, სახელმწიფო კონსერვატორიის მაძიებელი ასპირანტია. მეთოდის კურსს ეუფლებოდა პროფესორ ლონდა სამსონიძესთან. თემა გახლავთ მუსიკალური აზროვნების განვითარება სწავლის დაწყებით ეტაპზე“. ძალიან დასანანიია, მაგრამ ხელმძღვანელი სექტემბრიდან ახალი დაენიშნა.

თავს მოვალედ ვთვლი მოვიხსენიო ქალბატონი ლონდა სამსონიძე. იგი მძიმე ავადმყოფობამ უდროოდ გამოასაღმა წუთისოფელს 2000 წლის 29 მაისს. დიდი დანაკლისი განიცადა ქართულმა მუსიკალურმა ხელოვნებამ. ის მუდამ დარჩება ჩვენს მახსოვრობაში. მისი ჰუმანურობა დაუვიწყარია. ღმერთმა ნათელში ამყოფოს.

ქალბატონი ლონდა სამსონიძე გახლდათ მუსიკოს-ფილოლოგი, რომლის ამაგი მუსიკალური კულტურის ხელოვნების დარგში წარუშლელი დარჩება.

... წინ დიდი სამოღვაწეო გზაა.

წარმატებით ევლოს მუსიკალური ხელოვნების განვითარების გზაზე.

## გოკალური განყოფილება

მარია ალექსანდრეს ასული დოლენგო – დრაგოჟი

ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის გოკალის სწავლების კორიფე, ევროპული აზროვნების პიროვნება. აჭარის დამსახურებული მასწავლებელი.

დაიბადა 1885 წელს კიევთან ახლო მდებარე კურორტ ბოიარკაში, ინტელიგენტი, ბრწყინვალე მუსიკოსების ოჯახში.

მამა- კიევის ოპერის თეატრის მთავარი კონცერტმაისტერი იყო.

დედა – ფორტეპიანოს პედაგოგი.

მათ ოჯახში ხშირად იკრიბებოდნენ მ. მედვედევი, რომელსაც პ. ჩაიკოვსკიმ ოპერა „პიკის ქალში“ გერმანიის პარტია მიუძღვნა, ტარტაკოვი – ცნობილი ბარხატისებური სოპრანოთი, სვეტლოვი – ცნობილი კალარატურული სოპრანო – ბარონატი – მომხიბვლელი ხმით დაჯილდოვებული – დავიდოვი, ფიგნერი და სხვანი.

მათთან ურთიერთობაში, მარიას ბავშვობიდანვე აღეძრა სურვილი დიდი მომღერალი გამხდარიყო. და აი, გიმნაზიის ოქროს მედალზე დამთავრების შემდეგ, კონსერვატორიაში ჩატარებულ კონკურსში მიიღო მონაწილეობა ცნობილია ოდისელი მდიდრის – მელომანის მავროკორდატის სახელობითი სტიპენდიის მოსაპოვებლად.

მ. დრაგოში ჩაერიცხა კონსერვატორიაში პროფესორ სანტოგანო – გორჩაკოვის კლასში (სახლდარგარეთის ოპერების ცნობილი მთარგმნელი რუსულ ენაზე), რომელმაც არაერთი საქვეყნოდ ცნობილი მუსიკოსი აღზარდა ვაგნერის შემდეგ.

1903 წელს მიემგზავრება პარიზში, სადაც პროფესორ ი. რეშკესთან („გრანდ ოპერის“ ცნობილი ტენორი გახლდათ) და „საზოგადოება – ცნობილი მომღერლები“ ფელინ ლიტკინთან, ალჩევსკისთან და სხვებთან აგრძელებს ვოკალური სკოლის დახვეწას, რის შემდეგ მათთან ერთად არაერთხელ გამოსულა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში: ხარკოვი, პეტერბურგი და სხვები.

ი. რეშკეს რჩევით მ. დრაგოჟი 1905 წელს მიემგზავრება იტალიაში „ლასკალას“ პროფესორ ტ. არკელთან, მილანში, ვოკალური სკოლის გამოცდილების მისაღებად. მ. დრაგოჟს ჯუზეპე ვერდმა მიუძღვნა დეზდემონას პარტია ოპერა „ოტელიოში“, რის შემდეგაც იგი განსაკუთრებული მხურვალეობით დაეწაფა იტალიური სიმღერის კულტურას. პროფესორ ტ. არკელთან შეხვდა და უსმენდა ისეთ მომღერლებს, როგორებიც იყვნენ: დაძმა ცანდოლფინები, „ლასკალას“ ბარიტონები, სკოტის ტენორები – ანსელმი, დრამატული ტენორი – ტომანიო, ადრეინი და სხვები.

იტალიაში ერთი წლის მეცადინეობამ ჩამოაყალიბა როგორც ვოკალის ისე საოპერო არტისტის ბრწყინვალე მსახიობად. 1905 წელს როგორც საოპერო თეატრის ბრწყინვალე მსახიობი ბრუნდება სამშობლოში, რეჟისორ პრიანინოვის რჩევით მ. დრაგოჟი 1906-1907 წლებში, როგორც პირველი მეცო-სოპრანო ჩამოდის თბილისის ოპერის თეატრში, სადაც გამოჩენილ მომღერლებთან ბორისენკოსთან, სერგი ევლახოვთან, ვანო სარაჯიშვილთან, ივანე ფალიაშვილთან, სამოსუდთან ერთად თეატრალური სეზონი შეიმუშავა. მ. დრაგოჟი მოგვიანებით აქ გატარებულ სეზონს ძალიან თბილად მოიგონებს „...по теплоте приема и отнашению публики и товарищей оставили во мне самые лучшие воспоминания“.

თბილისის შემდეგ მღეროდა რუსეთის სხვადასხვა საოპერო სცენებზე: სტალინგრადში, ყაზანში, პერმში, ოდესაში, ხარკოვში, კიევში – სადაც მღეროდნენ ისეთი ცნობილი მომღერლები, როგორებიც იყვნენ: ალჩევსკი, ბრაგინი, კიმიონსკი, ბობროვა, ცესევიჩი, ბრუნო, სტეფანოვიჩი, დავიდოვო და სხვები.

მ. დრაგოჟს მოსკოვში მ. ზიმინას თეატრში საინტერესო მსახიობებთან მოუხდა მუშაობა: შეველევთან, კორჟევინთან, სეკაროჟანსკისთან, ცვეტკოვასთან, პეტროვა-ზვანცევასთან, ტრუბინთან, დრაგოჟთან და სხვებთან. ისინი საოპერო სცენებზე როლების პარტნიორები გახლდნენ. მათთან ხშირად ჩამოდიოდა და დირიჟორობდა პეტრო მასკანი, ოპერა „სველიელი ქალაქის“ ავტორი, ექსპოზიტო – „კომორრი“-ს



ავტორი. ეს იყო მეტად დაძაბული და საინტერესო სეზონი – აღნიშნავდა მარი ალექსანდრეს ასული.

მარი დრაგოვი შემდეგ არაერთხელ ბრწყინვალედ გამოდის დნეპროპეტროვსკის, სვერდლოვსკის და ლენინგრადის საოპერო სცენებზე.

სვერდლოვსკში შეხვდა ცნობილ მომღერალს ოლგა ალექსანდრეს ასულ შულგინას რომელიც შემდგომ თბილისის კონსერვატორიის პროფესორი გახლდათ.

ლენინგრადში მოღვაწეობდა სახალხო სახლში, რომლის დირექტორი იყო ნ. ფიგნერი, დირიჟორები – სამოუდი და გალიკინი. დასი შედგებოდა ცნობილი მომღერლებისაგან. მათთან გასტროლებზე ჩამოდიოდნენ: კუზნეცოვა-ბენუა, მ. გაი – „არმენის“ ცნობილი შემსრულებელი, ლ. ლიპკოვსკაია, გორლენკო დოლინა, ბელსკაია, კოჩანოვსკი, მოსინი, ლიპეტსკი, სმირნოვი, ბაკლანოვი და ყველაზე მთავარი თ. შალიაპინი. როგორც მ. დრაგოვი აღნიშნავდა „Било у кого чему и поучиться». უზომოდ ემადლიერებოდა შალიაპინთან ურთიერთობას.

1917 წლიდან იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას, მაგრამ გულის უკმარისობა მ. დრაგოვს არ აძლევს უფლებას ემოციური სასცენო მოღვაწეობისთვის. იგი მიწვეული იყო ჯერ სტუდიაში, სადაც არაერთი ცნობილი მომღერალი აღზარდა: დაშევსკაია, ზინოვენკო, პავლოცკაია, მაკიენკო, გლებოვა, მელინიაკი, სერგიენკო და სხვები. ასევე მოღვაწეობდა მუსიკალური კომედიის სამხატვრო ხელმძღვანელად.

1934 წლიდან ექიმების რჩევით სამუშაოდ ჩამოდის ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში და მოღვაწეობას იწყებს ვოკალის კლასში.

მას შემდეგ შეიყვარა ბათუმი და მთლიანად აჭარა.

მას მოსწავლეების ძალიან მდიდარი სია ჰქონდა, რომლებიც ოპერის გამორჩეული მომღერლები გახდნენ: გრ. გეგუჩაძე, მარტა ტერზიანი, მარია კოზლოვსკაია, არამ სამელიანი, სერგო ტარელი, იან ვუტირასი, ანნა სამოილოვა, ასია სტეპანოვა... სახელმწიფო ანსამბლის სოლისტები: მილიცა კობალაძე, ოლღა თავბერიძე, ნადეჟდა ერემეევა, ნიკოლოზ დევაძე, ლილი ბარამიძე და სხვები. სასწავლებლისა და სკოლის პედაგოგები: თ. შოშიტაშვილი, ვიქ. მიროშნიკოვა, მარი ჭოხონელიძე. მომღერლები: ოლღა პეშკოვა-ალექსეევა, მადლენა კავუჩიან-ვირთანიანი, ნიკოლოზ კუხალეიშვილი, ანა რაზუმოვსკაია, ანა სიტნიკოვა, ვერა აბოიანი, ირაკლი ბერიძე, დიმიტრი კარვანიდი, ქრისტოფორ პარასკევოპულო (ვიქტ. მიროშნიკოვას მეუღლე), პავლოვი, დაშევსკაია, კუპრეიშვილი, ოთარ გოგუა, დოდო ჯვარშიევილი, ანა სავიცკაია, გლებ მამიშვილი და სხვები.

მოსწავლეები, რომლებიც მ. დრაგოვთან მეცადინეობდნენ მოღვაწეობენ კულტურის სამინისტროს სისტემაში, საოპერო თეატრებში, სასწავლებლებში, ანსამბლებში, ფილარმონიაში, ნაწილი სწავლობდა კონსერვატორიაში, ზოგიერთები პასუხსაგებ თანამდებობებზე არიან.

თბილისში საჩვენებელ კონკურსზე მ. დოლენგო-დრაგოვის მოსწავლეები მოწონებას იმსახურებდნენ და საპრიზო ადგილებს ღებულობდნენ.

მკვიდრი ბათუმელები კარგად იცნობენ რუსთაველის ქუჩაზე მდებარე ლამაზ არქიტექტურულ სახლს თეთრი კოლონადებიანი სადარბაზოთი, რომლის ეზო დამშვენებული იყო პალმებითა და გრილანდიებით. ეს გახლდათ „ბათუმური

მუსიკალური სახლი-სალონი”, სადაც თავს იყრიდნენ ხელოვნების მოყვარულნი, ყველა ის, ვისაც ბათუმი იზიდავდა საგასტროლოდ. ესენი იყვნენ ქართული ვოკალური სკოლის ფუძემდებლები: ლეგენდარული ვანო სარაჯიშვილი, სანდრო ინაიშვილი, ოლგა ბახუტაშვილი-შულგინა, ეკატერინე სოხაძე, ნადეჟდა ცომაია, მერი ნაკაშიძე, ნადეჟდა ხარაძე, დავით ანდლულაძე, პეტრე ამირანაშვილი, გრიგოლ გეგუჩაძე, „ლა სკალას“ სოლისტი ელენე თარხნიშვილი, „გრანდ ოპერის“ სოლისტი მიხეილ ნანობაშვილი (მიშელ დარიალი), ევროპის საუკეთესო ბანი – ფილიმონ ქორიძე, რომელიც იტალიაში გამოდიოდა „კორიჯიოს“ და „იმერელის“ ფსევდონიმით, ცნობილი ბარიტონი მიხეილ კაკაბაძე, მაარგალიტა ნიჟარაძე, ნიკოლოზ გედევანიშვილი, ევგენი ვრონსკი, ვლადიმერ კორშონი და მრავალი სხვა გამოჩენილი მომღერლები.

ამ მშვენიერი სახლის მასპინძელი გახლდათ მარი ალექსანდრეს ასული დოლენგო-დრაგოში. მის ვოკალურ სკოლას დიდად აფასებდნენ. ყოფილი საზღვაო სასწავლებლის დირექტორი, ჩვენი სასწავლებლის კურსდამტავრებული, ბატონი ირაკლი ბერიძე იხსენებდა: – „... გასტროლებზე ჩამოსული ვოკალისტ-ოსტატები მარი ალექსანდრეს ასულს კონსულტაციებისათვის მიმართავდნენ. სტუმრების მიღებისას ტანადგომასა და ტანამშრომლობას უწევდნენ კონცერტმასტერები: ნინა ყარამანის ასული გოგიტიძე, ლუდმილა გიორგის ასული ნავროცკაია, უფრო მოგვიანებით რუსუდან ელიავა“.

23 წლის მანძილზე, ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკოსასწავლებლის ვოკალური კლასის პედაგოგის მარი ალექსანდრეს ასული დოლენგო-დრაგოშის ბინა წარმოადგენდა სასწავლებლის ერთგვარ ფილიალს, რომელიც ამზადებდა ახალგაზრდა მომღერალ-პროფესიონალებს, საოპერო სცენის მომავალ ოსტატებს.

ყოველი შემთხვევითი გამვლელი, აუცილებლად მელოდირ ვოკალს გაიგონებდა, რომელიც სშირად მომაჯადოებლად მიმზიდველი იყო. რთული მისახვედრი არ იყო – აქ ასწავლიდნენ სიმღერას.

ერთ-ერთი მისი მეგობარი ნ. პარშინა, რომელიც გაზეთ „Советская Аджария“-ს მუშაკი გახლდათ, იგონებს: „განსაკუთრებული დილაა. მნიშვნელოვანი და უჩვეულო. სანამ პირველი მოსწავლე შემოადებდა საკლასო ოთახს, აქ უკვე იმყოფებოდა ფოსტალიონი, რომელმაც 50 წლის საიუბილეო პედაგოგიური მოღვაწეობის სასიხარულო მოლოცვა მოუტანა. დამეთანხმებით, არც თუ ისე პატარა დროა იმ დიდი გაწეული ღვაწლის ფონზე, რომელსაც ქალბატონი მარია ალექსანდრეს ასული არ იშურებდა და ერთგულად ემსახურებოდა ხელოვნებას“.

მარია ალექსანდრეს ასული იგონებს, რომ იგი ჯერ კიდევ ბავშვობიდანვე, გატაცებული ყოფილა სიმღერით. მას უმაღლოდა აღმზრდელ ბიძას, რომელიც გულში ჩამწვდომი, სასიმაოვნო ბგერებით მღეროდა. უმღერდა მშობლიურ უკრაინულ სიმღერებს. ყოველივე ამან დიდი სითბო და სიყვარული ჩაუნერგა, რამაც ბავშვური გატაცება გადაუზარდა პროფესიულ მუსიკალურ სიყვარულში.

დადგა გამოცდის დღე. მას იბარებენ კიევის თვალსაჩინო ვოკალისტ-მომღერლები. ახალგაზრდა დიპლომატ გოგონას აღტაცებაში მოჰყავს კომისიის წევრები, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ იმ დროის სახელგანთქმული მომღერლები: ლეონიდ სობინოვი, ტარტაკოვი, სლივინსკი.

ლეონის სობინოვის შეფასება მოწოდება იყო, რათა ახალგაზრდა მომღერალს კონკურსში მიეღო მონაწილეობა, მოსკოვის დიდი თეატრის სოლისტის ადგილის მოსაპოვებლად.

მარია დოლენგო მიიღეს დასის შემადგენლობაში, სადაც ვაგნერის ოპერების რეპერტუარზე მუშაობდნენ. პროფესიული განათლების დახვეწის მიზნით და სასცენო მეგობრების სურვილით იგი კონსერვატორიაში აგრძელებს ცოდნის გაღრმავებას. ამის შემდეგ, უკვე როგორც გამოცდილი მაესტროს სახელით, გამოდის თბილისის საოპერო სცენაზე, გარკვეული დროის შემდეგ მოსკოვში – ზიმინას ოპერის თეატრში, ხალხური ფოლკლორის სახლში, პეტერბურგის მუსიკალურ თეატრში, სადაც იმ დროს მღეროდნენ და მოღვაწეობდნენ გამოჩენილი მსახიობები ფ. შალიაპინი, მედვედევი და სხვები.

განსაკუთრებული მადლიერებით იხსენებდა მარია დოლენგო ფეოდორ ივანეს ძე შალიაპინთან სწავლების პერიოდს. „...ის გვასწავლიდა არა მარტო ვოკალის ოსტატობას, არამედ გაწეული შრომის დაფასებასაც. გვინერგავდა იმ აზრს, რომ არ არსებობს პატარა როლი, არსებობს დიდი და პატარა მსახიობები“. ამასთან დაკავშირებით ასეთი კონკრეტული შემთხვევაც კი გაუხსენებია ქალბატონი მარია დოლენგოს: ფ. შალიაპინს მარტას (მოახლის) როლის შესრულება დაუვალვია ჰუნოს ოპერა „ფაუსტში“. მარია დოლენგოს პატარა როლის შესრულებაზე უარი უთქვამს. „მოგვიანებით მივხვდი ჩემს შეცდომას და მონდომებით ყველა შენიშვნას ვასრულებდი ვიდრე ფ. შალიაპინისგან ქება არ დავიმსახურე. ფ. შალიაპინმა როლის კარგად განსახიერებისთვის თავისი ხელწერით საკუთარი ფოტოპორტრეტი აჩუქა: „მარია დოლენგო-დრაგოუს, სამახსოვროდ, ნიშნად მეგობრობისა. ფ. შალიაპინი 1914 წელი, პეტერბურგი“.

უაღრესად დიდი პატივისცემა და მისი ნიჭიერების დაფასებისათვის უამრავი ალბომი, ფოტოპორტრეტებზე მინაწერებით, ინახებოდა მ. დოლენგო-დრაგოშის ბიბლიოთეკა – სამუშაო ოთახში, რომელსაც რელიკვიად იცავდა. ვისი ხელწერით არ იყო დამშვენებული ფოტოსურათები: საოპერო სცენის კორიფეების ლეონიდ სობინოვის, ტიტა რუფას, მედვედევის, ფიგნერის, შულგინას და სხვების. ასევე რელიკვიად ინახავდა პეტერბურგის მუსიკალური ჟურნალის „რუსეთის მზეს“ ერთ-ერთ ნომერს, რომელიც მთლიანად მიძღვნილი იყო პ. ცაიკოვსკის ხსოვნისადმი, სადაც მოტავსებული გახლდათ ყველა იმ შემსრულებლის პორტრეტები, რომლებიც პ. ჩაიკოვსკის ოპერისა და ბალეტის როლებს ანსახიერებდნენ. ოპერა „პიკის ქალის“ გრაფის მეუღლის როლში საუკეთესო შესრულებისათვის მოყვანილი იყო ქალბატონი მარია ალექსანდრეს ასული დოლენგო-დრაგოშის ფოტო.

რეგულაციის პირველ დღეებში მარია ალექსანდრეს ასულს მოუხდა სამეფო კონცერტებით ხშირი მოგზაურობა, რის გამოც იძულებული გახდა სასცენო მოღვაწეობისთვის უარი ეთქვა.

ქალბატონი მარია ალექსანდრეს ასული სინანულით იხსენებდა იმ დიდ სასცენო შესაძლებლობაზე, რომელსაც მას სთავაზობდა დიდი თეატრის, იმ დროის დიდი გამოჩენილი დირიჟორი, პროფესორი ლ. ხუდოლვი.

საკონცერტო მოგზაურობის დროს ოდესიდან ბათუმში ჩამოვიდა. აქაურმა ბუნებრივმა პირობებმა მიიზიდა მარია ალექსანდრეს ასული და საცხოვრებლად დარჩა. 23 წელი მოღვაწეობდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში. ამ დროის მანძილზე მრავალი ნიჭიერი ვოკალის შემსრულებელი აღზარდა.

მადლიერი მისი აღზრდილები ყოველთვის იხსენებდნენ და ახარებდნენ მაესტროს თავიანთი წარმატებებით: „Горючо благодарю ваш вдохновенный труд” წერდა ნოვოსიბირსკის ოპერისა და ბალეტის სოლისტი, დამსახურებული არტისტი მარია კაზლოვსკაია;

მარგარიტა ანდრიას ასული მიროშნიკოვა – რსფსრ სახალხო არტისტი, მოსკოვის საკონცერტო ორგანიზაციის სოლისტი;

იან ვუტირასი – სვერდლოვის კონსერვატორიის პროფესორი, რსფსრ დამსახურებული არტისტი;

ანა სამოილოვა – აზერბაიჯანის სსრ დამსახურებული არტისტი, ბაქოს ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, იშვიათი ტემბრის კონტრატლო. შემდგომ ოდესის ოპერის სოლისტი;

ელუარდ ავეტისიანი – სომხეთის სსრ დამსახურებული არტისტი, ამიერკავკასიის სამხედრო ანსამბლის სოლისტი;

ნოდარ ჯვარშიევილი – თბილისის საოპერო თეატრის მსახიობი, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი და ილუსტრატორი;

გლებ მამიშვი – ერევნის ოპერის სოლისტი;

ლორა ნაგირნაია – ლენინგრადის ოპერის სოლისტი;

ვალია ლომთაძე – აჭარის ანსამბლის სოლისტი;

ტარიელ დავითულიანი – აჭარის ანსამბლის სოლისტი;

დოდო (აღექსანდრა) ჯვარშიევილი – საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელმწიფო კონსერვატორიის კათედრის გამგე, დოცენტი.

სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ზოგიერთმა მისმა აღზრდილებმა პროფილი შეიცვალეს:

სოსო ჩიქვილაძე – ქ. ბათუმის თვალსაჩინო ქირურგი იყო;

ზურაბ ტუსკია – ბათუმის საზღვაო ნავსადგურის უფროსი;

ანზორ ბაღათურია – ინჟინერ-მშენებელი;

ჯემალ დიასამიძე – ცნობილი ყელ-ყურის ექიმი, მოღვაწეობდა თბილისში;

ირაკლი ბერიძე – საზღვაო სასწავლებლის უფროსი და მრავალი სხვა.

მარია დოლენგო-დრაგოჟთან ერთად უნდა შემოგთავაზოთ ვოკალური სკოლის ის მშვენიერი წარმომადგენლები, რომლებსაც სხვადასხვა დროის მონაკვეთში მასთან ერთად თავისი მაღალი პროფესიონალიზმით გარკვეული წვლილი შეჰქონდათ ვოკალური სკოლის განვითარებაში. მათ შორის გამოირჩევიან: ვლადიმერ ქაშაყიშვილი, არჩილ ბუთხუზი, ლილია აბაღემოვა, ელენე კურტიდი, ნინა გოგიტიძე, ლუდმილა ნაეროცკაია, რუსუდან ელიავა, რომელთა თანამშრომლობას დიდი წვლილი შეჰქონდა ქართული ეროვნული მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში.

ხანგრძლივი და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის მარია დოლენგო-დრაგოშს, ერთ-ერთ პირველს ჩვენს რესპუბლიკაში, მიენიჭა საპატიო წოდება – აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე.

### დოდო და ნოდარ ჯვარიშვილები

„დედა ნახე, მამა ნახე, შვილი ისე გამონახე“ – ნამდვილად ბრძნულად არის ნათქვამი. ამ შემთხვევაშიც სწორედ ასეა.

დოდო და ნოდარის მშობლები განსაკუთრებულად საინტერესო და მიმზიდველნი იყვნენ.

დედა – კატუშა, საშუალო სკოლის დაწყებითი კლასების შესანიშნავი მასწავლებელი გახლდათ – არჩევულებრივად კეთილი, მომდიმარი სახის ქალბატონი. გამოირჩეოდა დახვეწილი მეტყველებით, კეთილმოსურნეობით. შეხვედრისას აუცილებლად კეთილი განწყობით გაგესაუბრებოდა. იყო ძალიან ჭკვიანი და ბრძენი. „რა მშვენიერია სიცოცხლე, მას უნდა გაუფრთხილდე და რაც შეიძლება ყველას უნდა ასიამოვნო, სიტყვით მაინც“ – იტყოდა დეიდა კატუშა. უყვარდა ხალხი, იყო ჭეშმარიტი ქართველი, ერის მოტრფიალე და ამით ამაყობდა. იყო, ყოველმხრივ შემკული, განათლებული, დიდი გემოვნების – გარეგნული მკაცრი დახვეწილობისა და შინაგანი სიფაქიზის განსახიერება. და რაც მთავარია, რაღაც კოლოსალური სიმშვიდის მატარებელი, საოცრად მშვენიერი, დარბაისელი, დიდებული მანდილოსანი.

მამას – ბატონ დავითს აქებდნენ, როგორც პიროვნულად ისე ღირსებებით შემკულს. იგი ცნობილი მხატვარი გახლდათ. მე მას არ ვიცნობდი. გადმოცემით ძალიან სტუმართმოყვარე, ხალისიანი ყოფილა, „და ქეიფიც მას უყვარდა“. განთქმული სუფრის თამაღის სახელი დატოვა.

ასეთი ქართული ტრადიციების ოჯახში აღიზარდნენ დოდო და ნოდარი.

დოდო აჭარისა და საქართველოს დამსახურებული მასწავლებელია.

არასოდეს დამავეწყდება კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში დავიწყე მუშაობა. იმ დროს ღირეპტორი გახლდათ გურამ ხუჭუა. მან გულითადად მიმიღო და პედაგოგიურ დატვირთვასთან ერთად ქალბატონ დოდოსთან კონცერტმაისტერობა შემომთავაზა.

მინდა ჩვენი შეხვედრის ეპიზოდი გაგიმხილოთ.

მოკრძალებით შევდივარ №14 კლასში და ქალბატონ დოდოს მივმართავ: „მე ლეილა კომახიძე ვარ“.

– „ოჰ, რა მშვენიერი ბრძანდებით, მაგრამ... რა თქმა უნდა ჩემს შემდეგ“.

ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა.

ქალბატონი დოდო იუმორით ყველაფერში პირველობას იჩემებს. ასეც არის სინამდვილეში. „ის ყველაზე ლამაზია“, „ყველაზე ჭკვიანი“, „ყველაზე მომხიბვლელი“, „ყველაზე კეთილი“ და რაც მთავარია, ნომერ პირველი პედაგოგი, მასწავლებელი – მაღალი კლასის პროფესიონალი, აღმზრდელი, უყვარს თავისი სტუდენტი ახალგაზრდობა და ამ საქმისადმი სიყვარულში თავგანწირული ბოლომდე იღწვის.

ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში ვოკალს დაეუფლა ცნობილ პედაგოგთან მარია დოლენგო-დრაგოუთან. სწავლა თბილისის კონსერვატორიაში გააგრძელა, ნ. ბახუტაშვილის კლასში. მისი წარმატებით დამთავრების შემდეგ, 1958 წლიდან დღემდე, თავისი უანგარო და კეთილსინდისიერი მორვაწეობით დიდი სახელი და ავტორიტეტი მოიხვეჭა. იგი დღესაც ახალგაზრდული გატაცებით და ენერგიით ემსახურება თავის საყვარელ საქმეს – ვოკალს და არაერთი მნიშვნელოვანი, საქვეყნოდ ცნობილი მომღერალი აღუზარდა ჩვენ კუთხეს. ქალბატონი დოდოს აღზრდილები ნუ მიწყენენ, იმდენად ბევრნი და კარგები არიან, რომ ყველას ჩამოთვლა ნამდვილად გამიჭირდება. ისე კი ნათელა ჭყონია არ ვახსენო ესეც შეუძლებელია, ის ჩვენი საქართველოს საამაყო მომღერალია. მისი წკრიალა, მაღალი საშემსრულებლო კულტურა მსოფლიოს ხალხს ხიბლავს, ავსტრიის ქალაქ გრაციის ოპერისა და ბალეტის პრიმა სოლისტია...

პედაგოგიური სამოღვაწეო ასპარეზი გრძელდება. ქალბატონ დოდოს ისევ მხნედ და წარმატებით ველოს.

ქალბატონი დოდოს ძმა – ნოდარი დასანანია, რომ ჩვენს გვერდით არ არის. ადრე წავიდა მარადიულ სიცოცხლეში.

ბატონი ნოდარი მრავალმხრივ განათლებული პიროვნება გახლდათ. პროფესიით არქიტექტორი გახლდათ. მამისგან ხატვის ნიჭიერება მემკვიდრეობით ერგო უხვად. მშვენივრად ხატავდა. პარალელურად სანკტ-პეტერბურგის კონსერვატორია ჰქონდა დამთავრებული, ვოკალის განხრით. ჰქონდა მშვენიერი, დიდი დიაპაზონის ძლიერი და დაუღლე ბარიტონის ხმა. სცენაზე გამოჩენისთანავე იპყრობდა აუდიტორიას, მღეროდა ლამაზად, თავისუფლად იყენებდა თავის ფართო ვოკალურ შესაძლებლობას, მასში შერწყმული იყო არტიზტიზმი.

მშვენიერი აღნაგობის, წარმოსადეგი დედის ხასიათის მატარებელი თვისებები ჰქონდა. ისეთივე კაცთმოყვარე, საქმის შემსრულებელი, დაუზარელი. მახსენდება სახელმწიფო გამოცდებზე ერთ-ერთი თვალსაჩინო შემსრულებელი ილუსტრატორი გახლდათ. საკონცერტმაისტერო კლასში ილუსტრირებას უკეთებდა მოსწავლე-შემსრულებლებს.

1965-1975 წლებში, კადრების მოთხოვნილების თანახმად, დიდი კონტიგენტით გამოირჩეოდა სამუსიკო სასწავლებელი. შესაბამისად, საფორტეპიანო განყოფილებაზე 40-50 მოსწავლე იყო. 20 მოსწავლეზე მეტს ბატონი ნოდარი უწევდა ილუსტრატორობას. ამას ასრულებდა მარალი საშემსრულებლო კულტურით. რაც მთავარია მისი ხმა არ იღლებოდა, რაღაც ფენომენალური შესაძლებლობის ენერგიით გაოირჩეოდა. მღეროდა ურთულეს საბარიტონო რეპერტუარს, მღეროდა სიამოვნებით, გატაცებით. არაერთ სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარეს აღუნიშნავს მისი მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა. ეს იყო „გამოცდა-კონცერტი“, მრავალმხრივი რეპერტუარით, ოვაციებით და შეძახილებით.

სიცოცხლის ბოლო წლებში საცხოვრებლად გადავიდა თბილისში. ოპერისა და ბალეტის თეატრში დაიწყო მუშაობა.

ნოდარი იყო ისეთი კაცი, რომელიც ყველასთან საერთოს გამონახავდა, უკომპრომისო, უპრეტენზიო, უბრალო. ერთი კარგი თვისებაც ჰქონდა: თავისი მაღალი პროფესიონალიზმითა და პასუხისმგებლობით, მაღალი ინტელექტით ყველასათვის სასიამოვნო და სასურველი პიროვნება გახლდათ.

დიახ, უდროოდ ჩაქრა ამ შესანიშნავი პიროვნების უკანასკნელი ჩირაღდანი...

თანამედროვეთა მეხსიერება კი შთამომავლობას შემოუნახავს ყველა იმ პიროვნულ და არტისტულ, თუ მოქალაქეობრივ თვისებებს, რომელთა ერთიანობა ქმნიდა განუმორებელ შემოქმედებით ინდივიდუალობას.

P.S. გემზე „უკრაინა“ ჩატარებული იმპროვიზაციული კონცერტის დროს როდესაც სასწავლებელი მიემგზავრებოდა ქ. სოხუმის დ. არაყიშვილის სახელობის სახელმწიფო სასწავლებელში კონცერტის ჩასატარებლად, ბატონმა ნოდარმა და კონცერტმაისტერმა მ. შურმა თავისი საშემსრულებლო ოსტატობით მოხიბლეს მრავალრიცხოვანი აუდიტორია. ჰუნოს ოპერა „ფაუსტი“-დან შესრულებულმა „მეფისტოფელის კუპლეტებმა“ დარბაზი შეძახილებითა და ოვაციებით მოიცვა.

#### მურმან მახარაძე

ოცდაათი წელია, რაც ემსახურება ქალაქ ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელების სამუსიკო სასწავლებელს, დღეს კი, ჩვენი საამაყო კონსერვატორიის ვოკალური ხელოვნების განვითარებას. გახლავთ ქართული ვოკალური სკოლის ერთ-ერთი ბრწყინვალე წარმომადგენელი. ნიჭიერ დიდოსტატ-პედაგოგს თავისი მოღვაწეობით წილად ხვდა იმ ერთეულების ბედი, რომლებიც თავიანთი ამოუწურავი შესაძლებლობის წყალობით, სამაგალითო შრომისუნარიანობითა და პროფესიონალიზმით ეროვნული ხელოვნების მშვენიერად რჩებიან.

ჩვენი სამუსიკო ცხოვრების ისტორიაში პირველად მას თამამად უწოდეს მაესტრო – ხელოვნების მოღვაწის საპატიო სახელი – ნამდვილი მაესტრო, სწავლების ოსტატი, ვოკალის მესაიდუმლე, პედაგოგი მოსწავლისთვის და დიდი ხელოვნებისათვის, პედაგოგი ყველასათვის ერთიანი და ამავე დროს, ცალკეულად, თავისი ინდივიდუალური იდუმალი მიდგომით. ყველასათვის საამაყო და განუყოფელიც.

ბატონმა მურმანმა ერთ-ერთ კორესპონდენტთან ინტერვიუში ბრძანა: „ყოველ ადამიანს, თავისი პედაგოგიური მოღვაწეობის „ვარსკვლავთ საათი“ აქვს. და, ეს საათი დადგება მაშინ, როდესაც თავისი მოწაფეების წარმატებებს დაინახავს და მოისმენს“.

დიახაც ბატონი მურმანის სკოლამ არა მარტო იგი, არამედ ყველა ოპერის მსმენელი გაახარა და გააოცა.

ბათუმის ოპერა მისმა აღზრდილებმა აამდერა და ამაზე კარგი რა გინდა?... „ვარსკვლავთ საათი“ კი არა, მთელი ეპოქა შექმნა და პრიმა მომღერლების მთელი პლეადა.

ბრავო მაესტრო!!

ეს სიხარული და დიდი პედაგოგიური მოღვაწის გამარჯვებები 1993 წლიდან დაიწყო ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერი“-დან, მას მოჰყვა რ. ლალიძის „ლელა“, ვერდის „აიდა“, „ოტელიო“...

დაეუბრუნდეთ უფრო ადრინდელ პერიოდს.

ბავშვობიდანვე მღეროდა ხალხურ სიმღერებს. წლების მატებასთან ერთად დარწმუნდა მუსიკის გარეშე ცხოვრება რომ არ შეეძლო. ბედნიერი შემთხვევის წყალობით ურჩიეს სერიოზულად ეფიქრა მომღერლის პროფესიაზე. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჯერ მოსამზადებელ კურსებზე მოეწყო, შემდგომ კი ჩაერიცხა პროფესორ გ. გოგიჩაძის ვოკალურ კლასში. კონსერვატორია წარმატებით დაამთავრა.

კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ 1968 წლის სექტემბერში მუშაობას იწყებს ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ვოკალის, სოლო სიმღერის პედაგოგად. მუშაობდა სიყვარულით, გატაცებით და შედეგმაც არ დააყოვნა. წლიდან წლამდე მ. მახარაძის აღზრდილები ავსებენ თბილისის კონსერვატორიაში შემსვლელთა რიგებს.

შეიძლება ითქვას, ფეხბედნიერი აღმოჩნდა მისი მოღვაწეობა. პირველი გამოშვება 1972 წელს შედგა. აქედან მოყოლებული ყოველწლიურად სწავლას აგრძელებენ ბრწყინვალე ვოკალისტები. მისი აღზრდილები წარმატებით მღერიან თბილისის, ბათუმის და ქუთაისის საოპერო თეატრებში და საოპერო სტუდიებში, მუშაობენ ბათუმისა და ფოთის სამუსიკო სასწავლებლებში, რესპუბლიკის სხვადასხვა სამუსიკო სკოლებში, ბევრი კი ამჟამად იწრთობა კონსერვატორიის კედლებში, წარმატებით იცავენ მშობლიური სასწავლებლის და პედაგოგის ღირსებას.

ფესტივალების და მსგავსი ღონისძიებების ჩატარებას დიდი მნიშვნელობა აქვს ახალბედა მუსიკოსების ჩამოყალიბებაში, მათ პროფესიონალიზაციაში. ასეთი კონკურსები სასარგებლოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ხდება სხვადასხვა პედაგოგიური სკოლის დემონსტრაცია, მათი ცხოველმყოფელობის კიდევ ერთხელ შემოწმება და რაც მთავარია, კლასიკური მუსიკის პროპაგანდა, პოპულარიზაცია მოსახლეობის ფართო ფენებში.

1979 წლის ოქტომბრის დამდეგს კიროვაკანში გაიმართა ფესტივალი „ლორი 79“, რომლის ორგანიზატორი გახლდათ სომხეთის კომკავშირის კიროვაკანის საქალაქო კომიტეტი.<sup>61</sup> მონაწილეობდნენ ამიერკავკასიის რესპუბლიკების სამუსიკო სასწავლებლების ნორჩი მუსიკოს-შემსრულებლები. ფესტივალი მიეძღვნა ბავშვთა საერთაშორისო წელს.

ეს საინტერესო ღონისძიება უკვე მესამედ ეწყობოდა. ჩვენი, სამუსიკო სასწავლებელი წინა ფესტივალშიც მონაწილეობდა ფესტივალში „ლორი 79“ მონაწილეობისათვის ადგილზე მოეწყო შესარჩევი ტური. მონაწილეობის უფლება მოიპოვეს ვოკალური განყოფილების მოსწავლეებმა ნანა გვარჯალაძემ და ჯულიეტა დიასამიძემ – (ორივე პედაგოგ მურმან მახარაძის კლასი).

კონკურსის პირობებით ყოველ მონაწილე ვოკალისტს უნდა შეესრულებინა თითო კლასიკური არია (ეროვნული, რუსული, დასავლეთევროპული), სომხური რომანსი და საბჭოთა სიმღერა. სათანადო მომზადების შემდეგ კონკურსანტებთან ერთად

<sup>61</sup> დ. ჯვარშიშვილი. გაზ. „საბჭოთა აჭარა“ 24.10.1979



გაემგზავრა კონცერტმაისტერი ვერა გაბაი, პედაგოგი მურმან მახარაძე და დოდო ჯვარშიევილი (დედეგაციის ხელმძღვანელი).

მ. თავრიზიანის სახელობის სამუსიკო სასწავლებელთან ჩვენს სასწავლებელს კარგა ხნის მეგობრობა აკავშირებდა. ეს მეგობრობა ერთი შემადგენელი ნაწილი გახლდათ იმ ფართო და მრავალმხრივი ურთიერთკავშირისა, რაც ბათუმსა და კიროვაკანს შორის არსებობდა. არაერთხელ წვევიან ერთმანეთს და ამიტომაც არავის არ გაგვიკვირებია ის, რომ ასე გულთბილად შეხვდნენ კოლეგები და მათთან ერთად საორგანიზაციო კომიტეტის წევრები. მთელი კვირის მანძილზე დიდი ყურადღებით და გულითადობით იყვნენ გარემოსილნი.

„ლორი 79“ გაიხსნა პირველ ოქტომბერს. კიროვაკანის სამუსიკო სასწავლებელში. გახსნის საზეიმო ცერემონიაზე როგორც დედეგაციის ხელმძღვანელი დოდო ჯვარშიევილი მიესალმა. ცერემონიალის შემდეგ დაიწყო საკონკურსო მოსმენა.

მეოთხე კურსელმა ნანა გვარჯალაძემ, რომელსაც შესანიშნავი მეცო-სოპრანო ჰქონდა და რომლის მდიდარ ვოკალურ შესაძლებლობებზე არაერთხელ დავრწმუნებულვართ შეასრულა არია კალდარას ოპერიდან „ერთგული სიყვარული იმარჯვებს“, „აბრამიანის რომანსი“, „ამბობენ“ და ბუკიას „იმ ვარდისფერ ატმებს მოვიგონებ კვლავ“.

ანას არია დონიცეტის ოპერიდან „ანა ბოლეინი“, კოლოიანის რომანსი „როგორც სიზმარი“ და თაქთაქიშვილის „წყარო“ – ამ რეპერტუარით წარსდგა ჟიურის წინაშე მესამე კურსელი ჯულიეტა დიასამიძე, რომელიც ჩინებულად ფლობს თავის ლამაზი ტემბრის ღირიკულ სოპრანოს.

ანსამბლების კონკურსში ორივე ეს ვოკალისტი გამოვიდა ფონიცეტის დუეტით „ფიცი“ და შუბალინის „რომანსით ორი ხმისათვის“.

პირველი ადგილი და ფესტივალის ლაურეატი საპატიო წოდება ჟიურიმ ნ. გვარჯალაძეს მიანიჭა, რომელმაც თავისი სიმღერით ჭეშმარიტად მოხიბლა მსმენელებიც და ჟიურის წევრებიც. ხოლო ჟულიეტა დიასამიძეს მესამე ადგილი ხვდა წილად.

კონცერტმაისტერ ვერა გაბაის მიენიჭა ლაურეატობა, იგი მკაფიოდ გამოირჩეოდა ფაქიზი, ზედმიწევნით სინქრონული აკომპანიმენტით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით.

ახალგაზრდა ვოკალისტთა ამ გამარჯვებაში, ბუნებრივია, დიდი იყო პედაგოგ მ. მახარაძის წვლილი. ფესტივალმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მისი სახით ჩვენს მასწავლებელს ჰყავს ფრიად მაღალკვალიფიციური საიმედო ძალა, რომელიც უეჭველია, მომავალშიც ბევრს გაგვახარებს თავისი ღრმად გააზრებული მუშაობის შედეგებით.

1981 წლის ნოემბერში, აჭარის ხელოვნების ოსტატთა კონცერტში, რომელიც მოსკოვის ხალხთა მეგობრობის ორდენოსან ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გაიმართა კარგად გამოვიდა სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლე ჯულიეტა დიასამიძე.<sup>62</sup>

1980 წლის ოქტომბერში თბილისის კონსერვატორიის მცირე საკონცერტო დარბაზში კონსერვატორიის სოლო სიმღერის კათედრის გამგის, რესპუბლიკის

<sup>62</sup> იხ. „საბჭოთა აჭარა“ 04.12.1981. მ. კობალაძე „მომავალ შეხვედრამდე მოსკოვო“.

სახალხო არტისტის ნოდარ ანდლუღაძის ინიციატივით და ხელმძღვანელობით ჩატარდა მურმან მახარაძის კლასის კურსდამთავრებულთა ბრწყინვალე კონცერტი, ხოლო მეორე დღეს მისი ღია გაკვეთილი სოლო სიმღერის კათედრაზე, რომელსაც სპეციალისტებმა მაღალი შეფასება მისცეს. ამ მოვლენას მიეძღვნა კონსერვატორიის პროფესორის გულბათ ტორაძის აღფრთოვანებული წერილი გაზეთ „კომუნისტში“. აღსანიშნავია, რომ ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის არსებობის მანძილზე არცერთ პედაგოგს არ ხვდომია წილად ასეთი პატივი. ბატონ გულბათ ტორაძის წერილში „აღიარების დადასტურება, ფიქრები ერთი კონცერტის ირგვლივ“, ვკითხულობთ: „...ახლა კი თავს უფლებას მივცემ გამოვთქვა რამდენიმე ზოგადი ხასიათის მოსაზრება – როგორც შედეგი ზემოტსხენებული კონცერტისა. მისი წარმატება უნდა განვიხილოთ უფრო ფართო კონტექსტით, ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის საერთო წინსვლას და შემქმნელების ზრდასთან კავშირით...“

...ვოკალური განყოფილების ასეთი წარმატების ფონზე ბუნებრივად ისმის საკითხი ბათუმის საოპერო თეატრის ორგანიზების შესახებ. იგი ამას ყოველმხრივ იმსახურებს და, დარწმუნებული ვარ, გაგვიმართლებს კიდევ”.

ამ შედეგებს წინ უსწრებდა უწყვეტი პედაგოგიური ზრდა.

შეუპოვრობა საკუთარი საშემსრულებლო ხელწერის ძიებაში, ინტენსიური საკლასო საკონცერტო ცხოვრება, რეპერტუარის გამდიდრება. წლების განმავლობაში იხვეწებოდა პედაგოგიური ოსტატობა, სრულიად განსხვავებული ვოკალის მეთოდის იერის მქონე პედაგოგს და მის აღზრდილებს აღმოაჩნდათ ფაქიზი ურთიერთშეგრძნების უნარი. ყოველივე ამის გამო ესოდენ შთაბეჭდავად, მხატვრულად და დამაჯერებლად ასახავენ ამა თუ იმ რომანსის, არიის, ანსამბლების თუ საოპერო სცენების მთელ დრამატურგიულ განვითარებას.

თბილისის ოპერის თეატრის ისტორიაში ნაკლებად მოინახება შემთხვევა, რომ კონსერვატორიის მესამე კურსის სტუდენტს ემღეროს აბესალომის რთული პარტია საოპერო სცენაზე. ეს პატივი წილად ხვდა მურმანის აღზრდილს ალექსანდრე ხომერიკს, დრეს უკვე საქვეყნოდ აღიარებულ სახალხო არტისტს, შ. რუსთაველის სახელობისა და მ. აბაშიძის სახელობის პრემიის ღაურეატს, ბათუმის საოპერო დასის ფუძემდებელს და სამხატვრო ხელმძღვანელს. ამასთან დაკავშირებით ბატონმა მურმანმა წერილი მიიღო მოსკოვიდან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის ზურაბ ანჯაფარიძისაგან, რომელშიც იგი დიდ სიხარულს გამოთქვამდა და პედაგოგს ულოცავდა დიდ გამარჯვებას.

ასევე ყურადსაღებია თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის დირიჟორის რევაზ ტაკიძის (ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებული) ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნება“-ში, 1993 წელი, №5 გამოთქმული აზრი: „...სადაც საამისო წარმატებით მოღვაწეობს გამოცდილი პედაგოგი, მრავალი ნიჭიერი ვოკალისტის აღმზრდელი მურმან მახარაძე“.

მართლაც, პედაგოგის წარმატებებზე მეტყველებს ის, რომ მის მოწაფეებს შორის არიან დღეს ხელოვნების უკვე სახელმოსხვეჭილი ოსტატები: ა. ხომერიკი, მ. ჯახუტაშვილი, ნ. ვარშანიძე, ა. ქავთარაძე, ა. ამმალაძე, ჯ. დიასამიძე, ნ. გვარჯალაძე, ვ. მიტაიშვილი, ტ. თურქია, გ. გოგუა, გ. ამირჯანიანი, ტ. გველესიანი და სხვები.

და მაინც, საინტერესოა ბატონი მურმანის ვოკალურ-სამეცნიერო „ლაბორატორიულ“ ნიუანსებში ჩახედვა, თუ როგორი საიდუმლოებით არის მოცული მისეული ვოკალის სწავლების მეთოდიკა:

პირველი, რაც შესამჩნევია, ეს არის ხმის ტემბრული აღდგენა;

მეორე – დიაპაზონი. ხმის ბგერითი მოცულობა და მისი გაზრდა. ყველაზე დაბალი ბგერიდან ყველაზე მარალი ბგერის განვითარება. სრული, სასიმღერო დიაპაზონის თანაბარი მუდგერი ბგერების განვითარება. ხშირად სტუდენტს მიმართავს „ჟღერს, მაგრამ არ მღერისარ“, ე.ი. პედაგოგის სწრაფვა სტუდენტი მიაჩვიოს, უფრო სწორად, განუვითაროს მას *vibrato – cantilena*, ე.ი. მღერადობა. მოსაწონია სხვადასხვა სიმაღლის ბგერათა აღების, გამღერების კულტურა. „ზედა“ ან „შუა“ ბგერების ისეთი გამრელება-გაჟღერება, რომლებიც ვერდნობიან „ქვედა“ ბგერებს. ასეთ დროს ბატონი მურმანი მომღერალს უნვიტარებს, ვერბალური ხმის მოყრისათვის ეგრეთწოდებულ ხმის შეშველების ხერხების გამოყენებას; უცხოთვის შეუმჩნეველი, პოზების: ხელის, მხარის, წელის, სუნთქვის, დიაფრაგმის შეშველების პოზებს.

დიდ ყურადღებას აქცევს შესაფერისი ვოკალიზის (სავარჯიშოები ხმის გამღერებისთვის) შერჩევას. ვოკალიზში სრულდება ხმოვან ანბანზე, საგულისხმოა პედაგოგის ინდივიდუალური დამოკიდებულება, დასაწყისში იწყებს იმ ხმოვან ანბანზე, რომელიც არ ჟღერს, შემდგომ კი თანდათანობით ყველა ხმოვანის გაჟღერებას უთმობს დროს, რითაც სრული დიაპაზონის თანაბარ ჟღერადობას აღწევს; ე.ი. პედაგოგი აქ იყენებს ანბანთა ხმოვანების ენერგეტიკულ ნიჭიერებას.

შევეხეთ რა ანბანთა ხმოვანების ენერგეტიკულ ნიჭიერებას, ურიგო არ იქნება მოვისხენით ცხოველთა, და განსაკუთრებით, ფრინველთა ნიჭიერების გამოყენების პრინციპი. როგორც ცნობილია მეცნიერების მიერ დამტკიცებულია, რომ „მომღერალ ჩიტებს სასიმღერო აპარატი გააჩნიათ. ისინი მრერიან და გალობენ. დადგენილია, რომ ტოროლა ფრენისას ერთ წუთს გალობს. მჯდომი ბუღბული 1.5 გალობს. ასევე მერცხალი, როგორც მჯდომი, ისე ფრენისას და ა.შ., ე.ი. ფრენისას ტოროლას აზიდული აქვს კიდურები, დიაფრაგმა შეკუმშული, ფრთები გაშლილი და ხმას აძლევს ბიძგს, ე.ი. ანიჭებს ენერგიას.

დიდ ყურადღებას უთმობს სტერეო, ბგერითი გენერაციის სივრცობრივ-კოორდინაციულ ჟღერადობის სათანადო მიმართულების მიღებას. მოსწავლე სტუდენტებს აჩვენებს მუსიკალურ-რევერბერაციას, ექოს, რომელიც იქმნება ბგერის სიხშირის არეკვლით კედლებიდან, იატაკიდან, ჭერიდან და აგრეთვე აკუსტიკური მდგარი ტალღების წარმოშობით. ბგერის ხმოვანება გავლენას ახდენს რევერბერაციის სიდიდეზე, რომ თვით რევერბერაცია ხასიათდება ინტენსიურობით და მიღვეით, რაც მოითხოვს სმენით თვითკონტროლს.

სასცენო გამოსვლებისას უპირატესობას ანიჭებს აკუსტიკურ პირობებში ბგერების ბუნებას, ბგერის გავრცელებისა და შთანთქმის პირობებს შენობაში, კლასში თუ დარბაზში. მოსწავლე-სტუდენტებს უნვითარებს მუსიკალური ბგერის სიმაღლის, სიძლიერის, ტემბრის აღქმის კანონზომიერებებს. ბგერის ასევე დარბაზში გაჯერებას, მისი ბრუნვის ტექნიკის დაუფლებას, ბრუნვა-ფრენადობას.

ვოკალური ხელოვნების მუსიკალური შესრულების სახე დამყარებულია ხმის ოსტატურ დაუფლებაზე. ყველა ტემბრმა თავისი ხმით უნდა იმღეროს და ხმის ბზინვარება შეინარჩუნოს. ამ მიზნის სრულყოფისათვის პედაგოგი სთავაზობს ასევე სცენურ საშემსრულებლო ესთეტიკას, სილამაზეს, მოხდენილობას, სიმსუბუქეს. მომეწონა გამოთქმა „ბანმა ბანობა უნდა შეინარჩუნოს“ – მიუნიშნა ბატონმა მურმანმა.

თავის სტუდენტებთან ბატონი მურმანი არანაკლებ დროს უთმობს მუსიკალური კულტურის ისტორიას. განუმარტავს ნაწარმოების სტილს, უხსნის ტერმინი „სტილი“ ნიშნავს ნებისმიერი ხალხის ხელოვნებისათვის დამახასიათებელ სხვათაგან განმასხვავებელ ნიშანთა ერთობლიობას. მაგალითად, მიმდინარეობის მიმარგებელ ნიშანთა ერთობლიობას. მაგალითად, მიმდინარეობის მიმართულების „კლასიკური სტილი“, „რომანტიკოსების სტილი“, „ნეორომანტიკოსების სტილი“, „მოდერნული სტილი“, „იმპრესიონალური სტილი“, დროის მონაკვეთის „ლუი XIV-ს სტილი“ და ა.შ. კომპოზიტორის სტილი კი ინდივიდუალურ შემოქმედებით მანერას აღნიშნავს.

ნაწარმოების შესრულების სრულყოფაში ყველა ეს ზემოთ არნიშნული კომპონენტი თავს იყრის, სადაც გათვლილია ყველა სახასიათო თუ საშემსრულებლო დეტალი, რაც ეხება კომპოზიტორის ეპოქის, ნაწარმოების სტილს და ნაწარმოები მოყავს მთლიანობაში.

საგულისხმოა და ყურადსარები დამოკიდებულება კონცერტმაისტერებთან. ბატონი მურმანი იცავს მუდმივი განათლების – განახლების პრინციპს. სწორად მიუნიშნებს, რომ მუსიკალური თანხლება და სიმრერა შერწყმული უნდა იყოს მათ დრამატულ ფუნქციასთან. კმაყოფილები აღნიშნავს, „რომ მოსწავლე-სტუდენტებთან ერთად ისინიც იზრდებიანო, „სწავლა სიკვდილამდე“ – გურამიშვილის სიბრძნე ხომ გაგიგიათ“, – ბრძანებს ბატონი მურმანი.

მიუხედავად თავისი დიდი გამოცდილებისა ბატონი მურმანი ვოკალის სწავლების მეთოდოკას აახლებს და სრულყოფის ძიებაშია. ამაში დაგვარწმუნა მის მიერ სულ ახლახან, 2000 წლის 19 აპრილს, ახალი მეთოდით ჩატარებულმა ლექცია-კონცერტმა სატაურით „მაისტერ კურსი“, „მაისტერ კლასი“. წამყვანი გახლდათ თვით დოცენტი მურმან მახარაძე. კონცერტმაისტერები გახლდათ: დალი ჭელიძე, ნინო ჩაიძე, თეა გოგოტიშვილი, ქეთინო რაზმაძე, ნატო ორაგველიძე. ლექცია-კონცერტი ეძღვნებოდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სკოლის 100 და სამუსიკო სასწავლებლის 70 წლის იუბილეს.

ლექცია-კონცერტის „მაისტერ კლასის“ წარმომადგენლები გახლდნენ კონსერვატორიისა და სამუსიკო სასწავლებლის სტუდენტები. „მაისტერ კლასის“ ყოფილი აღზრდილები დღეს უკვე ცნობილი საოპერო, ვოკალის მსახიობები არიან.

ეს იყო ჭეშმარიტად საინტერესო, ოსტატობის მთელი ცოცხალი სკოლა.

ლექცია კონცერტმა დაგვარწმუნა, რომ მიღებული შთაბეჭდილება იმდენად დიდი, ეფექტური და სამახსოვრო გახლდათ რაოდენობრივი თუ თვისებრივი ხარისხით. მოსწავლეთა სიუხვით და რეპერტუარის შესრულების კულტურით, რომ სასურველია მისი მეთოდის განსაკუთრებული მოკვლევა და დანერგვა. ეს გახლავთ აქტუალური მსჯელობისა და შესწავლის საგანი.

„ვოკალის მუსიკის სარამო“ – ასე ეწოდებოდა სტატიას რომელიც გამოქვეყნდა აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ დოცენტმა ა. მსხალაძემ გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე 1987 წლის 12 ივნისს, რომელიც მ. მახარაძის დაბადების 50 წლისთავის შემოქმედებით სადამოს ეძღვნებოდა.

სადამო გახსნა სასწავლებლის დირექტორმა ი. ბერდანიშვილმა.

ვოკალური ხელოვნების წინაშე მ. მახარაძის დამსახურებაზე მსმენელს ესაუბრა ნოდარ ანდლულაძე.

შემოქმედებით სადამოს, თავისი მონაწილეობით, ამშვენებდნენ მ. მახარაძის აღზრდილები და აღსაზრდელები. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტები: საქართველოს სახალხო არტისტები ალ. ხომერიკი და ჯ. მდივანი, ქუთაისის საოპერო თეატრის სოლისტი გ. გოგუა, თბილისის საოპერო სტუდიის სოლისტები მ. ჯახუტაშვილი და ნ. ვარშანიძე, კონსერვატორიის სტუდენტები: ნ. გვარჯალაძე, ჯ. დიასამიძე, ა. ქავთარაძე, ა. მამალაძე, აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი ტ. დუგლადის დირიჟორობით, სამუსიკო სასწავლებლის კამერული გუნდი ზ. ვადაჭკორიას დირიჟორობით და სხვები. დახვეწილი გემოვნებით გამოირჩეოდა სასწავლებლის პედაგოგების ვ. გაბაისა და ლ. ჭელიძის საფორტეპიანო თანხლება.

კონცერტზე შესრულდა ვერდის, დონიცეტის, ბელინის, დებიუსის, პუჩინის, ჩაიკოვსკის, რიმსკი-კორსაკოვის, რუბენშტეინის, ფალიაშვილის, არაყიშვილის, მშველიძის, თაქთაქიშვილის რომანსები, სიმღერები, საოპერო არიები და დუეტები.

დაბადებიდან 50 წლის და ნაყოფიერ პედაგოგიურ მორვაწობასთან დაკავშირებით აჭარის ასსრ უმრლესი საბჭოს ბრძანებულებით მურმან მახარაძეს აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება მიენიჭა.

წინ დიდი შრომითი და ცხოვრებისეული გზაა. კვლავაც შემართებით და მხნედ ევლოს.

### სულიკო გიორგაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, მ. აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს საპატიო სიგელის, ღირსების ორდენის საპატიო კავალერი.

რამდენი ხატოვნება და ფერადოვნება ახლავს ქართულ ლექსსა და სიმღერას, რამდენი ჩუქურთმაა მათში ჩამოქნილი. რაოდენი სულიერი ძალა და ენერგია უნდა ჰქონოდა დაგროვილი ქართველ კაცს, რომ მუდმივი ხმალთაკვეთებით დანგრეულ-დარღვეული ფუძის აღდგენის შემდეგ ვეფხისა და მოყმის ლექსიც ჩამოექნა და ჩაემღერებინა.

ვინ მოთვლის რამდენ დიდებულ მელოდიას, რიტმს, სიტყვას და გამონათქვამს ინახავს ხალხის უშრეტი სულიერი სამყარო. მათი მოძებნა და გამომზიურება ყოველი ჩვენგანის ვალია.

1970-იან წლებში ვაჟთა ვოკალური ჯგუფი, რომლის ხელმძღვანელიც გახლდათ სულიკო გიორგაძე, ხალხური სიმღერების დარგში კი კონსულტანტი ა. მსხალაძე, დაკომპლექტებული იყო სამუსიკო სასწავლებლისა და ბათუმის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგებითა და მოსწავლეებით: ს. გიორგაძე, ა. მსხალაძე, მ. მახარაძე, ა. ანანიძე, ა. ჯაგელიძე, დ. აფაქიძე, დ. ბერიძე, ნ. ვარშანიძე, მ. ქამადაძე და რ. პაპუნაიშვილი.

თავისი დაარსებიდან ანსამბლი მსმენელთა წინაშე დიდ მოწონებას იმსახურებდა. მისი რეპერტუარი ყოველთვის მრავალფეროვანი და საინტერესო იყო. მისი

პოპულარობის ძირითადი კრედო გახლდათ რეპერტუარის გამდიდრება ხალხური და, კერძოდ, აჭარული სიმღერებით. სასიხარულოა რომ ანსამბლის ხელმძღვანელი, ბატონი სულიკო გიორგაძე ჩვენი სასწავლებლის აღზრდილია. იგი დაწყებით ვოკალს დოდო ჯვარშიევილტან დაეუფლა.

თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამტავრების შემდეგ დაუბრუნდა მშობლიურ სასწავლებელს და დღეს ვოკალური ფაკულტეტის ერთ-ერთი წამყვანი პედაგოგია. პარალელურად მღეროდა სახელმწიფო კაპელაში, სხვადასხვა ვოკალურ ჯგუფებში.

ვ.ი. ლენინის 100 წლისთავისადმი მიძღვნილ საიუბილეო კონცერტში ანსამბლის წევრებმა ოსტატურად შეასრულეს ჰუისის „ტბას სძინავს“, ხატელიშვილის მიერ დამუშავებული „ორთავ თვალის სინათლე“, ხალხური სიმღერები: აჭარული – „მისდევს მელია ღომსა“ და მეგრული – „ნანა“.

სულიკო გიორგაძე დაიბადა 1939 წლის 10 თებერვალს.

დაამთავრა მახინჯაურის რუსული საშუალო სკოლა. 1959-63 წლებში სწავლობდა მუსიკალურ სასწავლებელში (ვოკალური) პედაგოგი დ. ჯვარშიევილი.

1963 წელს მინსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტის სტუდენტია..

1964 წელს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ჩააბარა მისაღები გამოცდები. პარალელურად, დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდა მინსკის ტექნოლოგიურ ინსტიტუტში.

1969 წელს დაამთავრა კონსერვატორია და 1970 წელს მინსკის ტექნოლოგიური ინსტიტუტი.

1969 წელს მუშაობა დაიწყო ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგად.

თბილისში სწავლის დროს მღეროდა ცნობილ ანსამბლ „ფიროსმანში“. 1969 წლიდან სახელმწიფო კაპელის და საოპერო სტუდიის სოლისტი იყო. მონაწილეობასღებულობდა ოპერებში „დაისი“, „ტრაგიატა“, „ალეკო“, გერშივინის „ბორგი და ბესი“, „რიმსკი-კორსაჯკოვის „მეფის საცოლე“ და სხვა.

ბათუმში პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად ჩამოაყალიბა ვაჟთა ანსამბლი „ორნანო“. ანსამბლმა მოამზადა და ფირფიტაზე ჩაწერა აჭარული ხალხური სიმღერები: „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, „ელესა“, „ხელხვაი“, „ნოსა, ოსა“ „ორნანო“

1974 წელს დაინიშნა აჭარის სახელმწიფო დაწესებულებათა პროფკავშირების ანსამბლის დირექტორად. 1975 წელს ხელმძღვანელობდა კულტურის სამინისტროს და აჭარის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელთა თხოვნით დაარსებულ ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს „ბათუმი“. ანსამბლმა თავისი შემოქმედება გაიტანა სხვადასხვა ქვეყნის ფესტივალებზე. სადაც მღეროდნენ ქართული ხმების სოლისტი – გურამ თამაზაშვილი, ბათუმის ოპერის დირექტორი ნოდარ სურმანიძე, აჭარის კულტურის სამინისტროს ინსპექტორი, მთავარი სპეციალისტი ხალხურ შემქმედებაში მურმან ქამადაძე და სხვები.

1978 წლიდან აჭარის დამსახურებული ხელოვნების მოღვაწეა.

1994 წელს მერიასთან ჩამოყალიბდა ვაჟთა ახალი ანსამბლი „ბათუმი“, რომლის ერთ-ერთი ფუქციონერული გახლდათ და დღესაც ამ ანსამბლის კონსულტატია.

1997 წელს მიენიჭა მ. აბაშიძის სახელობის ლაურეატის წოდება და ფულადი პრემიით დაჯილდოვდა.

1997 წელს ანსამბლ „ბათუმმა“ მიიღო მონაწილეობა შვეიცარიაში გამართულ ხალხური შემოქმედების კოლექტივების ფოლკლორულ საერთაშორისო კონკურსში ოსკარ ხამში, სადაც მონაწილეობდა 78 ქვეყნის ანსამბლი, მიიღო „გრან-პრი“ და ფულადი პრემია.

1998 წელს აჭარის უზენაესი საბჭოს რეკომენდაციით და ა. აბაშიძის ფინანსური ქველმოქმედებით ანსამბლმა მონაწილეობა მიიღო – თეირანში მუსლიმანური ხალხური შემოქმედების დათვალიერებაში.

ანსამბლმა დიდი წარმატება მოიპოვა და დაიმსახურა ფესტივალის ლაურეატობა და ფულადი პრემია.

ირანის მთავრობამ და საქართველოს საელჩომ, სპეციალურად მადლობა გამოუგზავნა აჭარის მეთაურს ბატონ ასლან აბაშიძეს.

სულიკო გიორგაძე 1985 წლიდან დღემდე ბათუმის №1 სამუსიკო სკოლის დირექტორია. სკოლის ბაზაზე 2000 წლიდან პირველად საქართველოში ჩამოაყალიბა სპეციალიზირებული სამუსიკო კოლექტივი ვოკალური განხრით. კოლექტივში დანერგილია ორსაფეხურიანი სწავლება.

პირველ საფეხურზე 12 წლიდან 15 წლამდე ეუფლებიან ვოკალურ ტექნიკას, მეორე საფეხურზე მოსამზადებელი განათლებით.

1999 – 15 ივნისს – საპატიო სიგელი დაიმსახურა.

1999 წლის 15 ივნისს კულტურის სისტემაში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მოღვაწეობისთვის, დაბადების 60 და პედაგოგიური მოღვაწეობის 35 წელთან დაკავშირებით ქალაქ ბათუმის პირველი სამუსიკო სკოლის დირექტორი აჭარის დამსახურებული მოღვაწე სულიკო შუქურის ძე გიორგაძე დაჯილდოვდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს საპატიო სიგელით.

ბატონი სულიკო გიორგაძე აღიარებული ორგანიზატორი, საქმის ერთგული, პრინციპული, მკაცრი და ამავე დროს ძალზედ თბილი მეგობრული და ახლობლურია.

1985 წლიდან ბათუმის რ. ლადიძის სახელობის №4, დღეს კი №1 სამუსიკო სკოლის დირექტორია.

სკოლის დირექცია და პედაგოგიური კოლექტივი ჩინებულად ასრულებს თავის მოვალეობას. სკოლის მოსწავლეები და კურსდამთავრებულები წარმატებით ავლენენ თავის რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო კონკურსებში.

გულნარა ამირჯანიანი 02.06.1953

დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია ვოკალის განხრით, პროფესორ ნადეჟდა ხარაძესთან; ბათუმში მურმან მახარაძესთან.

მუშაობს ბათუმის სამუსიკო თერთმეტწლედის პედაგოგად ვოკალის დარგში. ასევე არის საგუნდო კაპელაში გუნდის მსახიობი.

2015 წელს გუნდარას მოსწავლე ცირა ხაბაზი X კლასი გახდა გამარჯვებული კონკურსისა “მომავლის ვარსკვლავი”.

ელიზა ჩიკვაიძე XI კლასი კონკურს “მომავლის ვარსკვლავში” დაჯილდოვდა დიპლომით.

მეთოდური მეცადინეობა: რუსული რომანსები.

### დურსუნ მემედის ძე ცინცილაძე

#### და მისი ოჯახი

დურსუნ ცინცილაძე ის პიროვნება გახლდათ, რომლის მოღვაწეობამ სასწავლებლის ისტორიაში წარუშლელი კვალი დატოვა. თავისი მაღალი პროფესიონალიზმით, უწყინარი, უპრეტენზიო ხასიათით და არც სხვისგან მოითხოვდა რაიმე განსაკუთრებულს.

სასწავლებელში ყველაზე ადრე მოდიოდა და ყველაზე გვიან მიდიოდა. უყვარდა თავისი საქმე და მას აკეთებდა ცნობილი „გერმანული პუნქტუალურობით“, კლასიკურ დახვეწილ სტილში. სასწავლო-საპროგრამო დოკუმენტაცია ყოველთვის, როგორც იტყვიან „აჟურში“ ჰქონდა, ნათელი ხელწერის და ნათელი აზროვნების კაცი, მისი ხმამაღალი სიტყვა არავის გაუგონია, უდიდესი პასუხისმგებლობითა და დიდი შრომისადმი სიყვარულით იღვწოდა.

თბილისში ეზიარა უმაღლეს განათლებას. თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ საფუძვლიანი ცოდნით იღვწოდა. სპეციალობით იყო ჰობოისტ-ჩასაბურ საკრავზე დამკვრელი. რამდენადაც ამ პერიოდში სამუსიკო სასწავლებელი განიცდიდა ამ სპეციალისტთა ნაკლებობას მას თავიდანვე მოუწია თითქმის ყველა ხის ჩასაბური საკრავის-ფლეიტის, ჰობოის, კლიენტის, ფაგოტის, ასევე ლითონის ჩასაბური საკრავების: საყვირის, ვალტორნის, ტრომბონის სწავლება.

დ. ცინცილაძე, გარდა სპეციალური საგნებისა, ადრეულ პერიოდში სოლფეჯირებასაც ასწავლიდა. სხვადასხვა დროს, ორჯერ, სასწავლო ნაწილის გამგედ დაინიშნა.

1954 წლიდან მისი პედაგოგიური მოღვაწეობა ფეხბედნიერი აღმოჩნდა. მის კლასში პედაგოგიური მოღვაწეობის პირველი დღიდან ცოდნას ეუფლებოდა კლარნეტის კლასით რეზო ჯიბლაძე. დღეს უკვე სახელმძღვანელო ვირტუოზ-შემსრულებელი, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, ზაურ გოგოტიშვილი – ბათუმის კონსერვატორიის პრორექტორი სასწავლო დარგში, კომპოზიტორი სოსო ბარდანაშვილი, კარლო ჯიჯეიშვილი – ბათუმის №3 სამუსიკო სკოლის დირექტორი, ზურაბ ჯეგნარაძე, ზურაბ ჩხეიძე, მიხეილ ოსმანაშვილი – სანკტ-პეტერბურგის



სახელმწიფო საესტრადო ორკესტრის „სკერცოს“ ხელმძღვანელი, ვალერი დოლიძე, შალვა სიხარულიძე, ლეონიდ ტკაჩენკო, საქართველოს სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის სოლისტი მიხეილ პადრიგა და მრავალი სხვა.

ეს იყო ინდივიდუალური ხელწერის პიროვნება, კაცთმოყვარე და სტუმართმოყვარე.

მისი ცხოვრების გზა კი ჩვეულებრივად დაიწყო. ბობოყვათელი ყმაწვილი მუსიკის სიყვარულმა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში მიიყვანა, რომლის დამთავრების შემდეგ, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიის საორკესტრო განყოფილების სტუდენტი გახდა. მეცადინეობდა ბრწყინვალე მუსიკოს-პედაგოგთან გ. მოცაკიანთან პობოის კლასით. ეს მაშინდელი დროისათვის ისე ადვილი არ იყო, ბევრისათვის მიუწვდომელ ოცნებად რჩებოდა. დურსუნის ბუნებრივმა ნიჭმა და ბეჯითმა შრომამ თავისი გაიტანა. მეოცნებე და შრომისმოყვარე ჭაბუკის მათემატიკური საგნებით გატაცებას არ ყოფილა შემთხვევითი თუმცადა გამონაკლისი იყო. ყველასთვის მოულოდნელად დურსუნმა საქართველოს პოლიტექნიკურ ინსტიტუტს მიაშურა და ელექტრომექანიკის ფაკულტეტის სტუდენტი გახდა, სადაც სამი წელი დაჰყო. მოწოდებამ მაინც თავისი გაიტანა. იგი ისევ კონსერვატორიას დაუბრუნდა. კონსერვატორიის დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის თეატრის ორკესტრში, სადაც თავისის აშემსრულებლო ნიჭის სრული გამოვლენის შესაძლებლობა მიეცა. მაგრამ მშობლიურმა კერამ იძულებული გახდა ბათუმში ჩამოსულიყო. სწორედ აქედან იწყება მისი შინაარსიანი პედაგოგიური მოღვაწეობა.

მისი პედაგოგიური მოღვაწეობის მთავარი დევიზი გახლდათ ის, რომ „ – მთავარია... მასწავლებელმა რა ასწავლოს, შემდეგ კი აღსაზრდელის შესაძლებლობა და უნარი”.

მასხენდება მისი შემოქმედებითი სადამო, რომელიც დაამშვენეს ბატონი დურსუნის აღზრდილებმა, აღსაზრდელებმა, კოლეგებმა. ჩვენი ქალაქის ინტელიგენციასთან ერთად გულწრფელად და ფაქიზად მიესალმნენ.

ვინც ბატონ დურსუნს იცნობდა დარწმუნებული ვარ ყველა დამეთანხმება, რომ საქართველოს სსრ და აჭარის ასსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდებას მართლაც დამსახურებულად ატარებდა. იგი სამაგალითო იყო როგორც მოქალაქე, აღმზრდელი და მუსიკოსი. დურსუნის პიროვნებას ორგანულად ერწყმოდა მაღალი ზნეობრივი თვისებები – საყვარელი საქმისადმი, უადრესად პასუხისმგებლური დამოკიდებულება და ერთგულება, მაღალი პროფესიონალიზმი, კოლეგებისა და მეგობრების მიმართ გულისხმიერება, აღსაზრდელებისადმი მშობლიური უზრუნველყოფა, პირად ცხოვრებაში მოკრძალება და სიღინჯე. აი, ის თვისებები რითაც შეძკული იყო ბატონი დურსუნი.

და რაც მთავარია, ბატონი დურსუნის სიტყვა და საქმე ერთი იყო.

ბატონი დურსუნის ცხოვრების ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო. თბილისიდან ბათუმში სამუსიკო სასწავლებელში სამუშაოდ, განაწილებით, ჩამოვიდა გურამ ხუჭუა. მას აქ არავინ იცნობდა. ბატონი დურსუნი თვითონ დახვდა და დროებით საცხოვრებლად ოჯახში მიიწვია, სითბოთი და მზრუნველობით მეგობრობა გაუწია, რაშიც, რათქმა უნდა ბატონი დურსუნის მეუღლემ, მეტად პატივსაცემმა ქალბატონმა ნუნუ ლორთქიფანიძემ შეუწყო ხელი.

ქალბატონი ნუნუ სპეციალობით მათემატიკოს იყო. ხანგრძლივი დროის მანძილზე მუშაობდა მათემატიკის მასწავლებლად. სამუსიკო სასწავლებელში 1953/54 სასწავლო წლიდან 1994 წლამდე.

იგი მაღალი კვალიფიკაციის მასწავლებელი გახლდათ. გამოირჩეოდა მკაცრი მომთხოვნელობით. ჩემი მასწავლებელიც იყო. მის მიმართ მასწავლობაში კეთილი დამოკიდებულება დამრცა. ჩვენი ურთიერთობა ნათესაურშიც გადაიზარდა. ჩემი მეუღლე ლორთქიფანიძეების წარმოშობისაა, ხოლო ნუნუს დედა კომახიძის გაცურისა გახლდათ, ამდენად თბილი და კეთილი განწყობა სუფევდა ჩვენს შორის.

ბატონი დურსუნისა და ქალბატონი ნუნუს ქალიშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა №2 სამუსიკო სკოლაში. ამავე სკოლაში ასწავლის ფორტეპიანოზე დაკვრას, რომელმაც სულ ახლახან, 2000 წლის 17 მაისს, იზეიმა დაარსების 45 წელი, მოღვაწეობს ბატონი დურსუნის და – ნარი ცინცილაძე – თეორიული საგნების პედაგოგი, მისი მეუღლე როსტომ ჭანიძე – საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობის კარგი მცოდნე, წლების მანძილზე სამუსიკო სასწავლებლის სირექტორი იყო. ამჟამად მუშაობს (1978 წლიდან) ხელვაჩაურის სამუსიკო სკოლის დირექტორად. იგი მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს თავის პედაგოგიურ თუ ადმინისტრაციულ საქმიანობაში.

ჩანახატი ბატონი დურსუნის ახლებლების გარეშე წარმოუდგენლად ჩავთვალეთ. იგი ნათესავეებისადმი კეთილი და მოსიყვარულეა, ცინცილაძეების ოჯახის წევრებს შორის სამაგალითო ურთიერთობა სუფევს, ერთ მუშტად შეკრულნი არიან.

დაე, იმრავლონ ასეთმა კეთილმა ხალხმა....

#### ალეკო ქავთარაძე

„დრამის და ოპერის მსახიობს არ შეუძლიათ მკაფიოდ გამოხატონ, ხორცი შეასხან და გადმოგვცენ ემოცია, განცდა თუ მათი ფიზიკური აპარატი საამისოდ არ იქნება მომზადებული და აწყობილი“. <sup>63</sup> ფიზიკურ აპარატში კ. სტანისლავსკი გულისხმობდა მსახიობის ტანის გამომხატველობას. კარგ მოძრაობაში კი პლასტიკურობას, ლამაზ და ესთეტიკურ მოძრაობებთან ერთად მაგიურ, თანმიმდევრულ, აზრიან და ეკონომიკურ მოქმედებას.

დიას, ალეკო ქავთარაძის, როგორც ოპერის მომწერლის ყურადღების მთავარი ობიექტებია: სუნთქვა და ხმის საჭირო უღერადობა, მელოდიის და სიტყვის შერწყმა, როლის ფიზიკური ქცევები, სცენიურ სივრცეში თავისი ადგილის მონახვა და დირიჟორის მეშვეობით ორკესტრთან კავშირის დამყარება. მაშასადამე ერთდროულად, მრავალპლანიანი ყურადღების დახმარებით იგი ყურადღებას მხოლოდ იმ ობიექტზე ამახვილებს, რომელიც იმ მომენტში ყველაზე საჭირო და მთავარია.

სცენაზე ძალიან აზრიანად მოქმედებს. არის მოხერხებული, კორდინაცია – ლოგიკური და თანმიმდევრული. ე.ი. სიტყვა, სიმღერა და მოძრაობა ერთანირ და სხვადასხვა ტემპში შერწყმული და შეფარდებულია.

<sup>63</sup> კ. ს. სტანისლავსკი, თხზულებათა კრებული, ტ. 3. გვ. 393. 1955, „ხელოვნება“.

ბატონი ალექო ასეთი მომთხოვნელობით ასრულებდა როლს ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერში“ – რ. ლალიძის „ლელასა“ და ჯ. ვერდის „აიდაში“.

ალექო ფლობს სასიამოვნო ქლერადობის ბარიტონს. ყოველი სასცენო გამოსვლისას იგრძნობა, რომ მისი ხმის ტემბრი ვითარდება და იხვეწება. დღენიადაგ ზრუნავს, რომ მაყურებლის თვალში შესასრულებელი გმირის სახე განუყოფელი გახდეს.

როგორც პედაგოგი, ბატონი ალექო ყოველდღიურად ამდიდრებს სწავლის მეთოდს. მისი მიზანი უმთავრესად მიმართულია შემსრულებლის ტექნიკური და მხატვრული სრულყოფისაკენ. ამასთან დაკავშირებით უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებს ვოკალური სუნტქვის გამომუშავების ტექნიკას. ის ყოველთვის სტუდენტ შემსრულებელს ასხენებს ძველი იტალიური სკოლის დევიზს „ვინც კარგად სუნთქავს, კარგად მღერის“. თითოეულ მომღერალს მოუწოდებს, რომ სასიმღერო ბგერა ყოველთვის შემკული, მსუბუქი, მოკაშკაშე, მრგვალი და ატყორცნილი იყოს. ამის მისაღწევად კი თვითვე, ინდივიდუალური მიდგომით ტექნიკური ძიების გარემოცვაშია.

ბატონი ალექო არაჩვეულებრივად თბილი, კეთილი, ღიმილით სავსე, მზრუნველობით გაჯერებული, ჭეშმარიტი პედაგოგის სახეს ქმნის. მისი საკლასო მეცადინეობები უფრო ღია გაკვეთილებია, კლასი ვერ იტევს მსმენელებს. აქ არიან სტუდენტები, კონცერტმაისტერები, კურსდამტავრებულები, კოლეგები, ყველანი ერთად ბჭობენ, საუბრობენ, შესაბამის აუდიო მასალას ეცნობიან. რათა შთამბეჭდავად ასახონ ყოველი საშესრულებლო არიის თუ რომანსის როგორც ხასიათი ასევე ვოკალური საშემსრულებლო ტექნიკური ხარისხის, ჩვევების სრულყოფა.

ვოკალური ანსამბლის კლასში სტუდენტებს მოუწოდებს სწორად მოახდინონ შესრულების საერთო ხასიათის ორიენტირება. დამოუკიდებლად, კონცერტმაისტერის დაუმსახურებლად, შეისწავლონ თავისი პარტია, დაეუფლონ მის მეთოდიკას და რიტმს. ასევე იცოდნენ არამარტო ტავისი პარტია, არამედ ანსამბლის დანარჩენ მონაწილეთა პარტიებიც. ასევე შესრულების დროს, ყურადღებით უნდა უსმენდნენ პარტნიორებს. ტემბრალური შეფერილობის თვალსაზრისით მიაღწიონ ხმოვანების მაქსიმალურ შერწყმას. დინამიკური ელფერის ერთიანობას, სუნთქვის განაწილებას, ფრაზირებას, ასევე თვალი ადევნონ ტემპის ზუსტ დაცვას.

მეცადინეობები, როგორც წესი, კი იწყება ხმის დაყენების ყოველდღიური საგარჯიშოების საშუალებით და ვოკალიზებით. ბატონი ალექო უმეტესწილად ყურადღებას ანიჭებს ტექნიკურ მომზადებას და სათანადო პირობის შექმნას იმისთვის, რომ რაც შეიძლება ხმა გაიზარდოს და მეტი ხნით იქნას შენარჩუნებული. ტექნიკურად მომზადების აუცილებელ საშუალებატა რიცხვს მიაკუთვნებს ასევე ვოკალიზებს, რომლებიც ანვიტარებენ ხმის აპარატს, უფრო მოქნილს ქმნის და ხშირ შემტხვევაში ხელს უწყობს ხმის სრულყოფილებას. ვოკალიზებაზე მუშაობისას მოსწავლე-სტუდენტებს ინდივიდუალური მიდგომით ამრერებს ხმოვანებზე. უწინარეს ყოვლისა უპირატესობას ანიჭებს ხმოვან „ა“-ზე სიმღერას, რომელიც შემდგომ მუსიკალური ფაზების აზრისა და მკაფიო გადმოცემაში, განცდის შეტანა სიტყვასთან ერთად იძლევა დადებით შედეგს და რაც მტავარია, შემსრულებელს აჩვევს ბგერის დასაბამს და ხმისმცოდნეობის საზებს, რომელიც მოწმობს ხორხის მომარჯვებულობაზე. როდესაც ეს ამოსავალი წერტილი მონახულია ბატონი ალექოს აზრით „ხმის შემდგომი დამუშავების ამოცანა საგრძნობლად მარტივდება“.

მეცადინეობებზე სრულდება კონკონეს, აბტის, მარკეზის, ვაკეის, ზეიდლერის, კაჩინის, შუღლინას და სხვათა ვოკალიზები.

დიდი მომთხოვნელობით ატარებს საგუნდო-სადირიურო ფაკულტეტის სტუდენტებთან „ხმის დაყენების“ სწავლებას. მას ჩემთან თანამშრომლობის პირობებში, როგორც კონცერტმაისტერს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ყველა მუსიკოსი უნდა ფლობდეს ვოკალურ ჩვევებს, რაც უპირველესად ინტონაციურ სისუფთავეში, სოლმიზაციაში დაეხმარება და საერთოდ მომავალი მუსიკოსის ჩამოყალიბების პროცესში მნიშვნელოვან როლს შეასრულებს.

ა. ქავთარაძე ჯერ კიდევ ახალგაზრდაა და მისმა პედაგოგიურმა ძიებებმა იმტავითვე მიიპყრო მუსიკალური საზოგადოება. იგი მოკრძალებულობით, თავაზიანობით, გარემოს სიყვარულითა და სითბოთი მუხტავს გარემოს.

და კიდევ, ბატონი ალეკო საქვეყნოდ აღიარებული ანსამბლის „ბათუმის“ წევრია. ამ ანსამბლმა ტავისი მარალი საშემსრულებლო კულტურით დიდი სიყვარული დაიმკვიდრა საზოგადოებაში. ანსამბლი „ბათუმი“ საგასტროლო კონცერტებით უცხოეთშიც წარმატებებით გამოდის.

ბატონ ალეკოს ვუსურვებ, რომ მისი სამომავლო შემოქმედებითი სამოღვაწეო ასპარეზი გამარჯვებებით და სიხარულით აღსაესე ყოფილიყოს.

#### ვიოლინოს სწავლების პედაგოგები

(ადრეული პერიოდები)

ვასილი ფეოდორის ძე დიაკონოვი – ვიოლინოს კლასის პედაგოგი გახლდათ. რუსეთის იმპერიის სამხედრო ჯარის გადამდგარ პოლკოვნიკს პეტერბურგში მიუღია უმაღლესი განათლება. ბათუმში გასტროლებზე, მოსკოვის „მუსიკალური კომედის“ თეატრთან ერთად ჩამოსულა და საცხოვრებლად დარჩენილა.

გადმოცემით, ძალიან კულტურული და უაღრესად ერუდირებული პიროვნება ყოფილა. მეუღლე ნ. მაღარაშვილი პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში. ქალიშვილის მეუღლე ი. ხელაია ქართველი იყო. შვილიშვილის არღეი ხელაიას ბაბუასთან დაუმთავრებია ვიოლინოს კლასი და ცხოვრობს თბილისში. მისი კლასის მოსწავლეებიდან აღნიშვნის ღირსია ვალერი აილინიანი, ნადეჟდა პალიაკოვა.

ტატიანა ნაფანაილოვნა სკვარცოვა – უმაღლესი განათლება მიიღო პეტერბურგის კონსერვატორიაში – ვიოლინოს კლასით. სწავლობდა გამოჩენილ ვირტუოზ მკვიოლინესთან დავით ოისტრახთან ერთად, რითაც, მის თანამედროვეთა გადმოცემით, ამყობდა კიდევ.

ტატიანა ნაფაილოვნა გამოირჩეოდა აბსოლიტური სმენით, მუსიკალურობით, დახვეწილი გემოვნებით. ვიოლინოზე სწავლების დროს დიდ ყურადღებას უთმობდა ბგერის კულტურას, ლეგატოსა და სტოკატოს გამომსახველობით შესრულებაზე. მისი ყოფილი მოსწავლე, უკვე პედაგოგი, ვ. აილინიანი იგონებს: „როდესაც რომელიმე

ნაწარმოებს ასრულებ გონება და გული ჩართული უნდა იყვეს მუსიკაში” – იტყოდა ტატიანა.

მისი კლასის მოსწავლეებიდან აღნიშვნის ღირსია: ოვ. ხაჩინიანი, ედ. აზნაურიანი, ჯ. ჩარკვიანი, ვ. ლიაპინი, ე. ბერესტეცკი, გ. პადარიანი, პ. ოგანეზოვი, ე. ბელი, გ. ჩიჯავაძე, თ. ხარაზი, ე. დათეაშვილი – თბილისის კონსერვატორიის დოცენტი მ. ღლონტი და სხვები.

ღუდმილა გიორგის ასული ნავროცკაია – სკვარცოვას კონცერტმაისტერი იყო, უკეთილშობილესი, სათნო პიროვნება, ძალიან გულისხმიერი ქალბატონი.

ნადეჟდა ვალერის ასული შამოვა – დიდებული კონცერტმაისტერი, კარგი ადამიანი თვისებებითა და მუსიკალური ღირსებებით დაჯილდოვებული. არავითარ შემთხვევაში ვინმესთან კონფლიქტში არ ჩადგებოდა. მის გარემოცვაში ყოველთვის განსაკუთრებული სიმშვიდე და თანადგომა იგრძნობოდა.

ოვანეს არშაკის ძე ხაჩინიანი – ბათუმელი იყო. სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა პედაგოგ ტატიანა სკვარცოვასთან. ენერგიული, მცოდნე, ხალისიანი პედაგოგი გახლდათ მეუღლე შ. ზელენცოვა სამუსიკო სკოლის საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგი იყო. ორივე ერთად პირნათლად და ღირსეულად უწყობდნენ ხელს აჭარაში სამუსიკო განათლების გავრცელებას.

სურენ გრიგორის ძე მერტჩიანი – დაიბადა და გაიზარდა ეგვიპტის ქალაქ კაიროში. მშობლების სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ცხოვრობდა ერევანში, თბილისის კონსერვატორიის წარჩინებით დამთავრების შემდეგ ი, განაწილებით მოღვაწეობდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში. მან თავიდანვე მიზნად დაისახა გამოეცოცხლებინა საკონცერტო გამოსვლები.

ბევრი ნამოწაფარი მას კეთილად იხსენებს. გახლდათ ბრწყინვალე პედაგოგი, დიდებული ადამიანი მისი დამსახურებით სავიოლინო, საშესრულებლო რეპერტუარი გაიზარდა და გამდიდრდა, შესაბამისად ამადლდა საშემსრულებლო კულტურა. მისი მოსწავლეები სასწავლებლის პირობებში პირველად სიმფონიურ ორკესტრთან ერთად ასრულებდნენ ისეთ ნაწარმოებებს, როგორც არის მოცარტის №5 სავიოლინო კონცერტის პირველი ნაწილი; ვენიაევსკის – №2 სავიოლინო კონცერტი, ვიეტანის №5 სავიოლინო კონცერტი; ლალოს სიმფონია...

მისი პედაგოგიური მუშაობის კრედო გახლდათ პროფესიული, მაღალი აკადემიური დონის კონცერტების გამართვა. ყოველი სასწავლო წლის ბოლოს კლასის საანგარიშო კონცერტებით წარსდგებოდა დიდებულადაც ასრულებდა.

მისი მოწაფეები იყვნენ: თემურ შალვაშვილი – ბათუმის კონსერვატორიის სავიოლინო კათედრის გამგე, ვალერი აიფინიანი, შალვა აჯიაშვილი – მოღვაწეობს ისრაელში, ვიქტორ სამოროდოვი – მოღვაწეობს საბერძნეთში, ედიკ ბერესტეცკი ისრაელში გარდაიცვალა, ამირან ოგანეზოვი – მოღვაწეობს მოსკოვში, სახელმწიფო კოლექციის მუზეუმში დაცვის განყოფილებაში უძველესი ინსტრუმენტების ოსტადად, ნადეჟდა პალიაკოვა – მოღვაწეობს სამუსიკო სკოლებში და სხვა.

ვილენ გრიგორის ძე არუთინოვი – ბათუმელი, კარგი მუსიკოსი, კარგი პიროვნება. თავისი საქმის ერთგული, ენერგიული, მეგობრული. მოღვაწეობდა სკოლაში და სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგად. ასევე ასრულებდა კამერული ანსამბლის ილუსტრაციას.

ვალენტინ ივანეს ძე ლიაპინი – დაამთავრა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი ტ. სკვარცოვასთან – ალტის კლასით. სწავლობდა სარატოვის კონსერვატორიაში. უაღრესად კეთილშობილი, განათლებული, უსპეტაკესი პიროვნება, კარგი მუსიკოსი, უდიდესი შემსრულებელი.

ამჟამად ცხოვრობს სარატოვში.

სოხლოვი ვოვა – არტისტი. წლების მანძილზე სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი იყო. ამჟამად მოღვაწეობს ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის მსახიობად.

აილინიანი ვალერი – სამუსიკო სკოლაში სწავლობდა ვ. დიაკონოვთან. ბათუმის სასწავლებელში სწავლას აგრძელებს ტ. სკვარცოვასთან პირველ და მეორე კურსზე, ხოლო მე-3, მე-4 კურსის სწავლება გაიარა ს. მკრტიანთან.

ვალერი კმაყოფილებით აღნიშნავს: „სამივე პედაგოგი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ და ამ მხრივ ძალიან გამიმართლა. მიღებულმა ცოდნამ და მათთან ურთიერთობამ კეთილად იმოქმედა ჩემზე, როგორც ადიაინის პიროვნების ჩამოყალიბებაზე, პროფესიული განათლების სრულყოფაზე“.

ვალერი წარმატებით მოღვაწეობს სასწავლებელში.

ჯუმბერ ჩარკვიანი – დაამთავრა სამუსიკო სასწავლებელი პედაგოგ ტ. სკვარცოვასთან. მუშაობს ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში, წარჩინებული პედაგოგია. თავისი საქმის ერთგული და მოსიყვარული.

განსაკუთრებული ყურადღებით იგონებს კონცერტმასტერს: ლუდმილა ნავროცკაიას, რომელიც განსაკუთრებული სმენით იყო დაჯილდოვებული. ბატონმა ჯუმბერმა ერთი ასეთი შემთხვევაც კი გაიხსენა: „ერთ-ერთ კონცერტზე რეპრიზმა რამდენჯერმე გავიმეორე, ის კი ისე გამომყვა, რომ მსმენელს ჩემი შეცდომა მხედველობიდან გამორჩა“. განსაკუთრებული ფენომენალური მასსოვრობა ჰქონდა, საკმარისი იყო ერთხელ დაეკრა ნოტებით, მეორედ უკვე ზეპირად იცოდა.

ასეთივე დიდი შთაბეჭდილებით იხსენებენ რუსუდან ელიავას კონცერტმასტერობას. ბგერის მხრივ ისიც ძალიან შემაწუხებელი იყო ვიოლინოს ქლერადობასთან. ფურცლიდან კითხვა, ტრანსპორი, ტექნიკური სირთულე მასთან უბრობლემოდ წყდებოდა. არანაირი შემთხვევითობა ტექსტში დამაჯერებლად, მტკიცედ, თავისუფლად ფლობდა საკონცერტმასტერო ტექნიკას.

ასევე ღირსეუბით გამოირჩეოდა ქალბატონი მ. შური. ის უკვე მეოთხე კურსზე იყო ჩემი კონცერტმასტერი. სახელმწიფო გამოცდისთვის, ყველანაირად თავისი კორექტული შენიშვნებით, ნაწარმოების მთლიანობაში მოყვანაზე გვამეცადინებდა, რითაც ნაწარმოების ფორმა ყველა მისი ღირებულებებით სრულყოფაში მოჰყავდა.

ელუარდ ოვანესის ძე აზნაურიანი – სამუსიკო სასწავლებელი დაამთავრა ტ. სკვარცოვასთან – კონტრაბასის კლასით. სწავლა გააგრძელა თბილისის კონსერვატორიაში. პარალელურად დირიჟორობას ეუფლებოდა და სტაჟირება გაიარა ჩვენი დროის უდიდეს დირიჟორთან ოდისეი დიმიტრიადთან. წლების მანძილზე ნაყოფიერ პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა. დირიჟორობდა სასწავლებლის სიმფონიურ ორკესტრს. მისი მეუღლე – ნინა ივანეს ასული აზნაურიანი კარგი ვოკალისტ-ილუსტრატორი იყო ცენტრალურ სამუსიკო სკოლაში.

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა საჯარო გამოსვლები ყოველთვის დიდ ინტერესს იწვევდა. ტრადიციულად სწორედ აქ ხდებოდა პერსპექტიული, ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენა. სასწავლებლის მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრი, რომლის მხატვრული ხელმძღვანელი და დირიჟორი პედაგოგი ე. აზნაურიანი იყო, ხშირად როგორც დამოუკიდებლად შესრულებული წმინდა საორკესტრო ნაწარმოების ასევე საორკესტრო თანხლების ამპლუაშიც გამოდიოდა.

ე. აზნაურიანი დირიჟორობაში ნათლად ჩანდა მოსწავლეების წარმატებაში ხელის შეწყობა და ამავე დროს მას უნარჩუნდება პედაგოგის მიერ შთაგონებულ თავისთავადობა. ყველაფერს ჩვეული ტაქტით დირიჟორობდა, რათა თითოეული სოლისტის თვითმყოფადობა ნათელი ყოფილიყო.

მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრის დირიჟორს ედ. აზნაურიანს კარგად იცნობენ ჩვენს ქალაქში. ვიოლინოზე დაკვრას დაეუფლა სამუსიკო სკოლაში დიაკონოვთან, სამხედრო ჯარში ყოფნის დროს კი სასულე ინსტრუმენტები აითვისა.

ერთხანს მხოლოდ შემსრულებელი მევიოლინე იყო კინოთეატრის სიმებიან ორკესტრში, შემდეგ თვითონ ჩამოაყალიბა და უძღვებოდა მცირე საესტრადო ანსამბლებს.

60-იანი წლებიდან ე. აზნაურიანი სასწავლებლის მოსწავლეთა ორკესტრის ხელმძღვანელი იყო.

როცა აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი შეიქმნა, მის სამხატვრო ხელმძღვანელად და მთავარ დირიჟორად თბილისიდან მოიწვიეს გიორგი გოცირიძე. ედუარდ აზნაურიანს დაევალა ორკესტრის ორგანიზაციული საქმეების, კერძოდ, შესაბამისი კვალიფიკაციის ორკესტრანტების მოძებნა, მათი შეკრება, კოლექტივის გარკვეული ბირთვის შექმნა, რადგან ორკესტრის მსახიობების უმრავლესობას საანსამბლო დაკვრის ჩვევები მასთან, როგორც დირიჟორთან, უკვე მიღებული ჰქონდათ სასწავლებელში სწავლების დროს.

აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის გამოსვლები მუსიკის მოყვარულთა სულ უფრო მეტ ყურადღებას იპყრობდა და იპყრობს. კოლექტივი ხშირად გამოდიოდა მოწვეული დირიჟორების ხელმძღვანელობით. ეს რა თქმა უნდა, ამდიდრებდა ორკესტრის საშემსრულებლო პალიტრას. და ამ მიზნით, იმუშაინდებდა სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის მთავარმა დირიჟორმა ტ. დუგლადემ მიიწვია პროგრამის მისამზადებლად ედუარდ აზნაურიანი.

ედუარდ აზნაურიანმა 1987 წლის თებერვალში, სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად საკონცერტო პროგრამა საზოგადოების წინაშე გამოიტანა.

დასაწყისში შესრულდა ისააკ დუნაევსკის უვერტიურა მუსიკიდან კინოსათვის „კაპიტან გრანტის შვილები“, სადაც იგრძნობოდა შესრულების მაღალი დონე. უღერადობის მხრივ ორკესტრი კომპაქტური, ძალიან შერწყმული და რომანტიული განწყობის ფერებით გამოირჩეოდა.

მორის რაველის „ჰავანა“ შესრულდა ავტორისეული ნატიფი, ძლიერ გამომსახველი მელოდიურობით, ფრანგული იმპრესიონიზმის სახეიმო-საცეკვაო ჟანრის ეს ნიმუში საკმაოდ გამოკვეთილად აუღერდა.

საშემსრულებლო და პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად იგი აქტიურ შემოქმედებით მოღვაწეობას ეწეოდა.

აღსანიშნავია საკუთარი ხელწერით გაორკესტრებული „ვარიაციები“ და „ფანტაზია“, რომლებშიც გამოყენებული იყო აჭარულ-გურული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშები, სადაც განსაკუთრებით „განდაგანას“ ინტონაციები ჭარბობდა.

მადლიერმა სასწავლებლის დირექციამ და კოლეგებმა 1990 წლის იანვარში, ედ. აზნაურიანს 30-წლიანი პედაგოგიური და სადირიჟორო მოღვაწეობის თარიღი აღუნიშნეს.

ამჟამად ეღუარდ აზნაურიანი ცხოვრობს და მოღვაწეობს მოსკოვში.

თემურ შალვაშვილი – მევიოლინე. სამუსიკო სასწავლებელში სწავლობდა სურენ მკრტიანთან. სწავლა გააგრძელა კონსერვატორიაში. 1977 წლიდან მოღვაწეობს ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში, ასევე სიმფონიურ ორკესტრში – მსახიობად და ოპერისა და ბალეტის თეატრის ორკესტრის მსახიობად. კონსერვატორიაში მოღვაწეობს პედაგოგად და კამერული ანსამბლის ილუსტრატორად, აგრეთვე მუშაობს სამუსიკო სასწავლებელში და გარკვეული წვლილი შეაქვს მუსიკოს-პედაგოგების აღზრდაში.

არის საქართველოს რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა კონკურსის ლაურეატი.

საორკესტრო, როგორც სიმებიანი, ისე სასულე ჰანყოფილება ყოველთვის იყო ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის აქილევსის ქუსლი. ამ სპეციალობაზე მუდამ შეიმჩნეოდა და შეიმჩნევა მოსწავლეთა კონტიგენტის ნაკლებობა, და რაც იყო, ისიც საშუალოდ გამოიყურებოდა.

თ. შალვაშვილის სასწავლებელში მოსვლამ, შეიძლება ითქვას, სურათი საგრძნობლად შეცვალა, ამის დასტური გახლდათ მისი კლასის კონცერტი, რომელიც 1988 წლის 25 მაისს ჩატარდა ქ. ბათუმის №2 სამუსიკო სკოლის დარბაზში. ამის შესახებ მუსიკათმცოდნე გ. საღარაძე „საბჭოთა აჭარა“-ში 1988 წ. 6 იანვარი, „სცენაზე არიან მევიოლინეები“ აღნიშნავდა:

„პირველი განყოფილების დასაწყისში მსმენელთა წინაშე წარსდგა პირველკურსელი ინგა ზოიძე. გოგონამ მომხიბვლელი სრულყოფილებით ააუღერა მისი ასაკისთვის საკმაოდ რთული ნაწარმოებები ა. შანიძის „საჭიდაო“ და ფ. მონტის „ჩარდაში“.

უღერადობითა და მუსიკალურობით გამოირჩეოდა მეორეკურსელ ნინო ჯანაშიას და მეოთხეკურსელ მადლენა ავეტისიანის მიერ წარმოდგენილი პ. ვენიაესკის „რომანსი“ და ა. მოცარტის №5 სავიოლინო კონცერტის პირველი ნაწილი.

მოწონება დაიმსახურა მეოთხეკურსელმა რუსუდან გუგეშაშვილმა, რომელმაც თამამად გამოიტანა ესტრადაზე ფ. მენდელსონის საქვეყნოდ ცნობილი სავიოლინო კონცერტის პირველი ნაწილი. ასეთივე განწყობით წარუდგა დამსწრე საზოგადოებას მისი თანაკურსელი ნათია მექვაბიშვილი, რომლის რეპერტუარში იყო ა. მაჭავარიანის „დოლური“ და ნ. პაგანინის „მოსე“.

სოლისტების წარმატებას დიდად შეუწყო ხელი კონცერტმაისტერის ს. მარკინას უაღრესი ყურადღებითა და შემოქმედებითი აქტიურობით შესრულებულმა საფორტეპიანო თანხლებამ.



...მნიშვნელოვანია თ. შალვაშვილის ენთუზიაზმი კონტიგენტის მოზიდვის მხრივ, არ იზოგავს ენერგიას და რაიონების მუსიკალურ სკოლებში პარალელურად უთავსებს მუშაობას. ეს ცხადყო ნატანების ბავშვთა სამუსიკო სკოლის მოსწავლის ბელა მახარაძის გამოსვლამ. მან კონცერტზე შეასრულა ა.მოცარტის №5 სავიოლინო კონცერტის პირველი ნაწილი. იგი ჩვენს ქალაქში უკვე მეორედ გამოდის, რამდენიმე თვის წინათ აჭარის სახელმწიფო სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მან შეასრულა ა. ვივალდის სავიოლინო კონცერტი”.

ვიტალი ივანეს ძე სოლოვიოვი – დაიბადა 1940 წლის 1 სექტემბერს, ხაბაროვსკში.

დაამთავრა თბილისის კონსერვატორია 1966 წელს – ჩელოზე.

მისი შრომითი ბიოგრაფია: 1957-1960 წ. – ხაბაროვსკის რადიო და ტელევიზიის ორკესტრის მსახიობი;

1961 წ. – თბილისის ვასო აბაშიძის სახელმწიფო ორკესტრის მსახიობი;

1961-1964 წწ. თბილისის კონსერვატორიის საოპერო სტუდიის ორკესტრის მსახიობი;

1963-1966 წწ. – თბილისის დ. არაყიშვილის სახელობის №1 სამუსიკო სასწავლებლის ილუსტრატორი;

1966 წლიდან ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებლის პედაგოგ-ილუსტრატორი, ბათუმის სიმფონიური ორკესტრის, ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი.

მაღალი პროფესიონალი, კარგი პიროვნება.

გარკვეული დროით წარმატებით ხელმძღვანელობდა მუსიკალური სასწავლებლის მოსწავლე მევიოლინეთა ანსამბლს, ასევე კვარტეტს, ტრიოს. გამოირჩევა ანსამბლის კარგი თვისებებით.

მრავალ ღონისძიებათა შორის გამოკვეთილია ლ. ბეთჰოვენის დაბადების 200 წლისთავისადმი მიძღვნილ იუბილეზე შესრულებული საფორტეპიანო ტრიო: ვ. არუთინოვი (ვიოლინო), ვ. სოლოვიოვი (ვიოლენჩელო) და გ. ახვლედიანი (ფორტეპიანო) შემადგენლობით. ბეთჰოვენის №2 სონატა ვიოლონჩელისთვის და ფორტეპიანოსთვის, რომელსაც ვ. სოლოვიოვი და გ. ახვლედიანი ასრულებდა. ჩელოს შესრულების რბილი და გულში ჩამწვდომი უღერადობა მშვენივრად ესმარებოდა საფორტეპიანო პარტიის შესრულების სტილისტურად სწორ ინტერპრეტაციას. ზედმიწევნით სინქრონული საშემსრულებლო შერწყმა განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო ნაწარმოების მეორე და მესამე ნაწილებში.

დრამატულობითა და დრმა შინაარსით შესრულდა ბეთჰოვენის სამმაგი კონცერტი: ვიოლინო (ვ. არუთინოვი), ვიოლონჩელო (ვ. სოლოვიოვი) და ფორტეპიანო (ამ შემთხვევაში საორკესტრო პარტიას ასრულებდა მ. შური).

კონცერტმა ნათლად გვიჩვენა, თუ რა დიდი და მრავალმხრივი საშესრულებლო შესაძლებლობები აქვთ ჩვენი სასწავლებლის პედაგოგებს.

შესანიშნავი იყო გ. ცაბაძის „ბათუმური ვალსი“ სამუსიკო სასწავლებლის მევიოლინეთა ანსამბლის მონაწილეობით, წერდა მ. კობალაძე სტატიაში „მომავალ შეხვედრამდე მოსკოვო“. „საბჭოთა აჭარა“ 04.12.1981 წ. „აჭარის ხელოვნების ოსტატები მოსკოვში“.

ასევე აღნიშვნის ღირსია პედაგოგ ედ. აზნაურიანის 30 წლის იუბილეზე შესრულებული მოცარტის „გერმანული ცეკვა“ სასწავლებლის მოსწავლეთა კამერული ორკესტრის შესრულებით, რომელსაც კვალიფიციურად დირიჟორობდა ანსამბლის ხელმძღვანელი, უკვე საქართველოს რესპუბლიკის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგთა კონკურსის ლაურეატი ვიტალი სოლოვიოვი. კამერულმა ორკესტრმა ენთუზიაზმით წარმოადგინა აგრეთვე ორი დამოუკიდებელი ნაწარმოები – ბახის №142 კანტატის მეოთხე ნაწილი და ა. ვივალდის ეფექტური სამნაწილიანი სიმფონია სოლ-მაჟორი, ასეთი რთული რეპერტუარით ვ. სოლოვიოვი ორკესტრის დირიჟორის ამპლუაში პირველად ვიხილეთ. ამის მიუხედავად, მან წარმატებით გაართვა თავი რთულ ამოცანას – წერდა გ. საღარაძე 1988 წლის 1 ივნისს „საბჭოთა აწარაში“.

ზორიკ გალუსტიანი – დამამახსოვრდა როგორც კარგი მუსიკოს-ვიოლონჩელისტი. სასწავლებლის სიმფონიური ორკესტრის მსახიობი.

სოსუმში მეგობრული ვიზიტით გამგავრებისას გამოვლინდა როგორც ყურადღებიანი და ხალისიანი პიროვნება.

განსაკუთრებით საყურადღებო იყო გემ. „უკრაინაზე“ სახელდახელოდ მოწყობილი რეპეტიცია სიმფონიურ ორკესტრთან ერთად, რომელსაც დირიჟორობდა ედუარდ აზნაურიანი. ზორიკ გალუსტიანმა შეასრულა ი. ბახის კონცერტი ვიოლენჩელოსათვის. მან თავისი მაღალი მუსიკალური გემოვნებით, სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა მსმენელთა შორის.

ყველასათვის შესამჩნევი დარჩა თუ როგორ დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იხენდა მოსწავლე ახალგაზრდობის მიმართ.

იგი, წლების მანძილზე, კამერული ანსამბლის ერთ-ერთი წამყვანი ილუსტრატორი და მოსწავლეთა სიმფონიური ორკესტრის მსახიობი იყო.

ემა გოშაძე – 1955 წელს ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 სამუსიკო სკოლაში ვიოლინოს კლასის პედაგოგად მუშაობდა. ამავე სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულმა ემა არჩილის ასულმა გოშაძემ წარმატებით დაამთავრა გამოჩენილი პედაგოგის ტ. სკვარცოვას კლასი.

ემა გოშაძემ თავიდანვე გამოამჟღავნა მაღალკვალიფიციური პედაგოგის ნიჭი და მოიხვეჭა ღრმად ერუდირებული მუსიკოსის ავტორიტეტი. იგი თავის ცოდნასა და მონღომებას არ იშურებდა და ახალგაზრდა პედაგოგისთვის მართლაც, რომ შესაშური ენერგიით თავის პატარა მოსწავლეებს გადასცემდა ვიოლინოზე დაკვრის ხელოვნებას. გამოცდილი და ბრწყინვალე პედაგოგების ოვანეს ხაჩინიანის და სურენ მკრტიანის გვერდით ემა გოშაძესაც თავისი წვლილი შეჰქონდა ბათუმის პატარა მევიოლინეთ აღზრდა-ჩამოყალიბების საქმეში.

მისი პირველი გამოშვების მოსწავლეები იყვნენ: გენადი შიშკინი, ვიანესლავ რიმარი, ნაზი სარჯველაძე და მე – ისენებს თინიკო გოგოლიშვილი, №2 სამუსიკო სკოლის ვიოლინოს პედაგოგი.

ემა გოშაძემ დაუსწრებლად განაგრძო სწავლა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიაში და დაამტავრა პროფესორ ლუარსაბ იაშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს ემა გოშაძე თბილისში ცხოვრობს და ერთ-ერთ მუსიკალურ სკოლაში მუშაობს ვიოლინოს კლასის პედაგოგად.

### თეორიული განყოფილება

ბათუმში, 1928 წელს სამუსიკო სასწავლებლის დაარსებისას თეორიული განყოფილება, მაშინდელი დასახელებით „თეორიული სპეციალობა“, არ არსებობდა. იყო მხოლოდ მუსიკალური თეორიული საგნების სწავლება და სხვადასხვა სპეციალობების სრულყოფისათვის. ასე, მაგალითად, თეორიული საგნები: ფორტეპიანოს, ვოკალური, საგუნდო-სადირიურო სპეციალობებისათვის მოგვიანებით არსდება ინსტრუმენტალური სპეციალობა, რომელიც სიმებიან და სასულე სპეციალობებს აერთიანებდა.

ამ პერიოდის დაწყებით ეტაპზე მუსიკალურ-თეორიული საგნების მასწავლებლები იყვნენ: სასწავლებლის დამაარსებლები – კომპოზიტორები: შალვა თაქთაქიშვილი და მელიტონ ბალანჩივაძე, ალექსი ფარცხალაძე, მასწავლებლები: ვალერიან გოგიტიძე, პეტრე ვარძიელი, ვასილ მულოვი, ეგენი ნეიშტადტი, ლევ გურენშტეინი, ვიქტორია მიროშნიკოვა.

მხოლოდ 1965 წლიდან, სასწავლებლის დირექციასა და მოსახლეობის მოთხოვნით აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის და საქართველოს რესპუბლიკის კულტურის სამინისტროების თანხმობით იხსნება თეორიული განყოფილება და მისი ხელმძღვანელობა ევალება მუსიკათმცოდნეს გურამ სადარაძეს, რომელიც საკმაოდ დამაჯერებლად გაუძღვა ამ განყოფილებისათვის თეორიული საგნების სწავლების პედაგოგების მომზადება-დაკომპლექტებას.<sup>64</sup>

ამასთან დაკავშირებით მოსწავლეთა პროფესიული აღზრდის საქმის სწორად დაყენებისათვის სასწავლებლის დირექცია საჭიროდ მიიჩნევდა უმაღლესი განათლების მქონე პედაგოგების მოწვევას შემდეგ დისციპლინებში: სოლფეჯიოში, ფორმათა ანალიზში, საკრავთმცოდნეობაში, ქართული მუსიკის ლიტერატურაში და მუსიკალურ ფოლკლორში.

ამავე დროს სასწავლებლის დირექცია (დირექტორი როსტომ ჭანიძე სასწავლო ნაწილის გამგე ლ. კომახიძე) ითხოვს შემადგენლობას სათანადო ორგანოების წინაშე ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან დაუსწრებელი განყოფილების გახსნის შესახებ. აღნიშნული ღონისძიება საშუალებას მისცემდა ავტონომიურ რესპუბლიკაში, მუსიკალურ-სასწავლო დაწესებულებაში მომუშავე საშუალო კვალიფიკაციის მქონე პედაგოგებს ამაღლებინათ თავიანთი კვალიფიკაცია და მიეღოთ უმაღლესი განათლება, რაც უზრუნველყოფდა მოსწავლე ახალგაზრდობას მუსიკალური სწავლების ნორმალურად დაყენების საქმეს.

<sup>64</sup> აჭარის ასსრ ცსა, ფონდი 972, აღწ. I. საქ. I ფურც. 5

აქ მადლიერებით უნდა მოვიხსენიოთ ის დიდი თანადგომა, ძალისხმევა და ხელშეწყობა, რომელსაც უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა საქართველოს კულტურის სამინისტროსთან არსებული მუსიკალური განათლების სამმართველო, მისი უფროსი რობერტ ვახტანგოვი და მასთან შემაჯავლი მეთოდური კაბინეტის დირექტორი ეთერი კილაძე. ბათუმიდან წარგზავნილებს, სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულებს, ეგრეთწოდებული 5%-ში მოხვედრილ წარჩინებულ-რეკომენდირებულ წარგზავნილებს სპეციალური „ლიმიტირებული“ ადგილები ეძლეოდათ (ესენი იყვნენ ძირითადად საფორტეპიანო განყოფილების კურსდამთავრებულები) თბილისის კონსერვატორიაში თეორიულ და მუსიკათმცოდნეობის დაუსწრებელ ფაკულტეტებზე მოსაწყობად.

ამასთან ერთად თბილისის კონსერვატორიის პროფესორები: შალვა ასლანიშვილი, პავლე ხუჭუა, მიშა ყანჩელი სისტემატურად, მეთოდურ დახმარებას, კონსულტაციებს, თეორიული საგნების სწავლებასთან ერთად პრაქტიკულ დახმარებას უწევდნენ ბათუმში მომუშავე პედაგოგებს.

ამ წლებისათვის შესამჩნევია აგრეთვე კრიტიკული აზროვნების გამოცოცხლებაც. ბათუმის გაზეთებში მოკლე ინფორმაციებისა და რეცენზიების გვერდით, დროდადრო, ფართო მოცულობის პუბლიცისტური და კრიტიკული წერილებიც იბეჭდება. მთელი ეს მასალა მოცემულ ეტაპზე მუსიკალური აზროვნების განვითარების ერთგვარ სურათს იძლევა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია გურამ საღარაძის, ტასა თარხნიშვილის, აღი მსხალაძის, მოგვიანებით ჯინევრა ბაუჟაძის, დოდო ფოცხიშვილის, მარინა გეგოიანის, ირა თავბერიძის, ლია ხარებაგას და სხვათა სტატიები.

დღესდღეობით ჩვენი სასწავლებლის განყოფილების და სხვადასხვა სპეციალობის თეორიული დისციპლინების სწავლება მაღალ პროფესიულ დონეზე ვითარდება

არ შეიძლება განსაკუთრებული მადლიერება და კმაყოფილება არ გამოვხატო ამ განყოფილებაზე მომუშავე პედაგოგთა ერთსულოვნებაზე, თანადგომასა და მხარდაჭერაზე. ისინი დიდი სიყვარულით ეზიდებიან მეტად საჭირო და მნიშვნელოვან საქმეს – ახალგაზრდა მუსიკოსთა თაობის აღზრდას.

1965 წლიდან, თეორიული საგნების სწავლების პედაგოგებია: გ. საღარაძე, ედ. ქიქავა, ა. შიფრინი, ლ. გურინშტიდი, ზ. გოგიტიშვილი, დ. გურგენიძე, ს. პეხარი, თ. გორგილაძე, ი. თავბერიძე, ვ. ფხაკაძე, ან. დუმბაძე, ნ. ჯანიკაშვილი, დ. ხარებავა, ს. ბარდანაშვილი, ლ. ცივაძე, მ. გეგოიანი, ხ. მანაგაძე, ვ. თოფურიძე, ლ. ფოცხიშვილი, ლ. ტაბიძე, ელ. ახვლედიანი, რ. გელაგა, ე. გორდუზიანი, ნ. ფაჩუაშვილი, ა. მსხალაძე (ხალხ. შემოქ).

## სოსო ბარდანაშვილი

მხატვრის ოჯახში გაიზარდა.

თავადაც ხატავდა...

13 წლისამ მიაგნო ნამდვილ მოწოდებას. მისი პირველი მასწავლებელი მუსიკაში იყო ზურაბ ჯეგნარაძე, რომელმაც შეისწავლა და შეაყვარა საყვირზე დაკვრა. შემდეგ პირველი ნაბიჯები მუსიკის შემოქმედებით სამყაროში – ალექსი ფარცხალაძის, დურსუნ ცინცქალაძის, სოსო მიქელთაძის პედაგოგიური ტაქტით აღსავსე გაკვეთილები, ახალგაზრდა მუსიკოსის მდიდარი ემოციური პალიტრის გახსნა და წარმოჩენა კონცერტებზე, სერიოზული განაცხადი კომპოზიციაში.

ალ. ფარცხალაძე იყო მისი თხზულებების პირველი შემფასებელი. მისი რჩევით განაგრძო სწავლა თბილისში, მე-4 სამუსიკო სასწავლებლის საკომპოზიციო განყოფილებაზე. შემდეგ კონსერვატორია. დაძაბული მუშაობა პროფესორ ალექსანდრე შავერზაშვილთან. სტუდენტური წლები ნაყოფიერი აღმოჩნდა მისთვის.

1973 წლიდან მშობლიურ სასწავლებელს დაუბრუნდა, პედაგოგად. მის ძლიერ კოლექტივთან ერთად პროფესიული ძიების მდიდარი სკოლა გაიარა. პარალელურად დაამთავრა ასპირანტურა.

1986 წლიდან სასწავლებლის დირექტორად დააწინაურეს. მან ჩვეული პასუხისმგებლობით დაიწყო: მოაწესრიგა სასწავლო პროცესი, უზრუნველყო მაღალი აკადემიური მაჩვენებლები, ერთ მუშტად შეკრა პედაგოგიური კოლექტივი. 1991 წლიდან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის მინისტრის მოადგილედ დააწინაურეს, სადაც 1995 წლამდე მ შაობდა.

უნიჭიერესი პიროვნება, დიდებული კომპოზიტორი. მისი შემოქმედებითი რეპერტუარი მრავალფუნქციონირებს: სიმფონია, ორი ოპერა, ორი ბალეტი, კონცერტები სხვადასხვა სასულე ინსტრუმენტებისთვის, კამერული, საესტრადო, კინო, მუსიკა და თეატრული დადგმებისთვის. ბატონ სოსოს განსაკუთრებით დიდი პოპულარობა მოუტანა სიმებიანი კვარტეტმა, რომლის მუსიკისთვის ზ. ფალიაშვილის პრემიით დაჯილდოვდა. „ყოველი შემოქმედებისათვის, ყოველი კომპოზიტორისათვის დიდი პატივია ზ. ფალიაშვილის პრემიის მინიჭება, წერდა გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე იოსებ ბარდანაშვილი. „წლებულს ეს პატივი მე მხვდა წილად, რაც ჩემი შემოქმედების დაფასებაც არის და დავალებაც – კიდევ უფრო მეტი სერიოზულობით, კიდევ უფრო თვითკრიტიკულად მივუდგე ჩემს ნაწარმოებებს. ამ პრემიამ ჩემი 70-იანი წლების თაობაც წარმოაჩინა. იგი მომენიჭა სიმებიანი კვარტეტისათვის. მისი პრემიერა შარშან საბერძნეთში გაიმართა. იგი საქართველოს სახელმწიფო სიმებიანი კვარტეტის წევრებმა შეასრულეს საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის პლენუმზე. კვარტეტის გარდა პლენუმზე აჟღერდა ჩემი კიდევ ორი ახალი ნაწარმოები-სავიოლინო სერენადა-კონცერტი ლიანა ისაკაძის შესრულებით და საფორტეპიანო ტრიო ლენინგრადელი პიანისტის ო. მაღლევის შესრულებით. აი, ეს არის ჩემი შემოქმედებითი მონაპოვარი და დიდი სიხარულიც“.<sup>65</sup>

ასეთი შემოქმედებითი წარმატებებით წარსდგა საზოგადოების წინაშე ბატონი სოსო ჯერ კიდევ 1988 წლის აპრილში. პოპულარულ კომპოზიტორს თანამშრომლობა ჰქონდა და აქვს თეატრისა და კინოს ცნობილ რეჟისორებთან: გ. შენგელიასთან, ი. კვაჭაძესთან, გ. წულაძესთან, შ. ჭავჭავაძესთან, ლ. სიხარულიძესთან, რ. სტურუასთან, ნ. ხატისკაცთან, გ. ლორთქიფანიძესთან, ვ. ნიკოლაძესთან, ს. ტოვსტონოვოვთან და სხვებთან

<sup>65</sup> იოსებ ბარდანაშვილი. შემოქმედებითი ნობათებით. გაზ. „კომუნისტი“, 30 აპრილი 1988 წ.

მუსიკოსი, მხატვარი, პოეზიაშიც საკმაოდ საინტერესო შემოქმედების ავტორი გახლავთ. იგი ოცნებობდა ბათუმში გახსნილიყო მეტი მუსიკალური კერა, საკონცერტო დარბაზი, სადაც გაიმართებოდა სიმფონიური და კამერული კონცერტები, გამოვიდოდნენ გამოჩენილი მუსიკოსები, რაც გარკვეულ წვლილს შეიტანდა ახალგაზრდობის ესთეტიკურ აღზრდაში.

სიამოვნებით ვიხსენებ სასწავლებლის საკონცერტო დარბაზის რეკონსტრუქციის დროს მის მიერ გაწეულ მუშაობას. განსაკუთრებით თვითონ აქტიურობდა. უშუალოდ, მისი გემოვნებით, შესრულდა დარბაზის ჭერის რეკონსტრუქცია. ასევე, მაღალი გემოვნებით შეცვალა სასწავლებლის ინტერიერი, სადაც დასაბამი მიეცა ჩვენი და ჩამოსულ სახვითი ხელოვნების წარმომადგენელთა თავისებურ შემოქმედებით ანგარიშს. იგი ტრადიციად იქცა. ქართულ-ებრაული კულტურული ურთიერთობის ასოციაციის ცენტრმა, რომელსაც პროფესიონალი მუსიკოსი, ამავე სასწავლებლის დირექტორი, მოყვარული მხატვარი იოსებ ბარდანაშვილი ხელმძღვანელობდა მრავალჯერ მოაწყო გამოფენა, შემოქმედებითი საღამოები. ჩვენი სასწავლებლის ცხოვრებაში მსგავსი მასშტაბის გამოფენა არავის ახსოვს: ფერწერა, გრაფიკა, ზეთი, პასტელი, გობელინი, ნაქარგი, ...ყველა სახის ნახატი. სხვადასხვა დარგისა და ჟანრთა სიუხვევსთან ერთად თემატიკისა და ხელოვნების მრავალფეროვნება იპყრობდა ყურადღებას, რაც დიდ ესთეტიკურ სიამოვნებასც გვანიჭებდა.

განსაკუთრებით კარგად წარმოჩნდა ბარდანაშვილის ოჯახური დინასტია: მამა – პროფესიონალი მხატვარი, აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე იუზა ბარდანაშვილი; მისი შვილები და შვილიშვილები – მუსიკოსი იოსები, არქიტექტორი რუბენი, პატარებიდან ვვა და ეთერი. საინტერესო იყო ახალგაზრდა მხატვრების სოფიკო სანიკიძე-შალაძის, მილექტაინის, ტ. ბროცლავსკაიას, მ. ბრანგისკის, სასწავლებლის პედაგოგის გ. ზადორინის ჭედურობისა და ხეზე კეთილობის ნიმუში. ისრაელიდან მოწვეულმა მხატვარმა ნიკოდ ზინგერმა სასწავლებელს თავისი ნამუშევარი „სანთლის ზეიმი“ გადასცა საჩუქრად.

1988 წლის თებერვალში ბათუმში, კომპოზიტორთა კავშირის გამსვლელ პლენუმზე სტუმრად მყოფმა, ქართული მუსიკის მამამთავარმა, სახალისო არტისტმა, ანდრია ბალანჩივაძემ, იოსებ ბარდანაშვილს შვილიშვილი უწოდა, რადგან მისი აღზრდილი იყო. მან იმედი გამოთქვა, რომ „იგი აღზრდის კომპოზიტორთა ახალ თაობას, რომლებიც თავიანთ ნიჭიერ აღმზრდელებთან ერთად ინტენსიურ საგანმანათლებლო მუშაობას გააჩადებენ ეს შესაძლებელს გახდის აჭარაში გაიხსნას კომპოზიტორთა კავშირის განყოფილება.“

იოსებ ბარდანაშვილის აღზრდილები მ. ვაჩეიშვილი, თ. იმნაძე, ო. კოვანი, ვ. მეგრელიძე, მ. ხითარიშვილი და სხვები წარმატებით უძღვებიან საკომპოზიტორო რთულსა და საპატიო პროფესიას.

ბატონმა სოსომ სასკოლო რეფორმების პერიოდში შემოქმედებით ცხოვრებას განსაკუთრებული მნიშვნელობის მიმართულება მისცა. კაპიტალურად შეკეთდა და განახლდა სასწავლებლის შენობა, კეთილმოეწყო ცალკეული კაბინეტები, საკლასო ოთახები. საკონცერტო დარბაზში დაიდგა ახალი საკონცერტო როიალი, განმტკიცდა დისციპლინა, ამაღლდა სწავლების დონე. და ყოველივე ეს კეთდებოდა დიდი ინტერესით და სიყვარულით დღეს მაღლიერებით ვიხსენებ ჩემდამი მის ყურადღებას – სოსო ბარდანაშვილმა ჩემი სასწავლო-შემოქმედებით გააქტიურების მიზნით მისი კაბინეტი დამითმო და გაკვეთილებს იქ ვატარებდი.

სამეცადინო ცხრილის მიხედვით ბატონ სოსოს ხშირად უხდებოდა ჩემს მიერ ჩატარებული გაკვეთილების მოსმენა. ერთ-ერთ მათგანზე ჩემთვის მოულოდნელად გადმომცა „საბჭოთა კავშირის შრომის ვეტერინარის“ მედალი. გაკვირვებულმა შევეკითხე: ბატონო სოსო ეს როგორ?“ მან კი მიპასუხა: „... ჩვენთან თქვენი შინაარსიანი, ჩატარებული გაკვეთილებისათვის და რაც მთავარია, პედაგოგიური მოღვაწეობის დიდი სტაჟისთვის“.

სოსო ბარდანიშვილის ნაწარმოებები წარმატებით სრულდება როგორც ჩვენში ისე საზღვარგარეთ.

1955 წლიდან სოსო ბარდანიშვილი საცხოვრებლად ისრაელში გადავიდა.

ბატონი სოსო საქართველოსა და მის მშობლიურ ბათუმს არაერთხელ ეწვია, მხოლოდ ერთ ეპიზოდზე მინდა გავამახვილო ყურადღება. 2000 წლის 23 ოქტომბრიდან ჩვენს ქვეყანაში საქართველო-ისრაელის მეგობრობის დღეები მიმდინარეობდა. მეგობრობის კვირეულში მონაწილეობის მისაღებად ისრაელიდან მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების ცნობილი მოღვაწეების დელეგაცია ეწვია ბათუმს. დელეგაციის შემადგენლობაში იყო ჩვენი ყოფილი თანაქალაქელი, შესანიშნავი პიროვნება, ნიჭიერი კომპოზიტორი იოსებ (სოსო) ბარდანიშვილი. გაზეთ „აჭარის“ კორესპონდენტი მანანა ტაკიძე შეხვდა მას. ინტერვიუ გაზეთში დაიბეჭდა. მოგვყავს სრული ტექსტი, უცვლელად.

– კეთილი იყოს თქვენი ჩამობრძანება მშობლიურ მხარეში ბატონო სოსო. როგორ თვლით, პირველ სამშობლოში ჩამობრძანდით თუ...

– რა თქმა უნდა პირველ სამშობლოში ჩამოვედი. ძალიან მიკვირს როდესაც აქედან წასული ზოგიერთი ებრაელი აცხადებს, რომ მისი პირველი სამშობლო ისრაელია. ეს აბსურდია, როგორ შეიძლება სამშობლო იყოს სხვაგან, როცა შენ დაიბადე აქ. ვთვლი, სადაც დაიბადე და გაიზარდე, მთელი შეგნებული ცხოვრება იღვაწე, დედაც ის არის და სამშობლოც, ის არის შენი სახლი, სხვა ყველაფერი დროებითი საცხოვრებელი ადგილია, სადაც გადახვედი, რათა გააგრძელო ცხოვრება.

ჩემთვის ისრაელი ისტორიული სამშობლოა, საცხოვრებელი ადგილი, სადაც გადავედი, თუმცა ჩემი შვილისათვის და შვილიშვილებისათვის ის უკვე ნამდვილი სამშობლოა.

მოგეხსენებათ, ისრაელში 1995 წლის ივნისში წავედი. ბათუმში გამართული სიმღერის ფესტივალზე ბოლო სიმღერა დავუტოვე ჩემს ქალაქს. გადმომცეს, რომ ამ სიმღერამ ბევრი ააცრემლა. არ არსებობს დატოვო სამშობლო და ამან შენზე არ იმოქმედოს.

გამგზავრება გაურკვეველი გრძნობა იყო, უფრო მეტად – აღელვება ვიდრე... რაკი უნდა წავსულიყავი, ვთვლიდი – რაც ჩქარა, მით უკეთესი, იმიტომ, რომ ნელი პროცესი უფრო გააძნელებდა სამშობლოსთან განშორებას. წავედი და... დავიწყე ახალი ცხოვრება (მწარედ გაეღიმა). გონების ერთ კუთხეში ჩაკეპტე მოგონება ბათუმზე, საქართველოზე, სიყვარულზე მეგობრებზე... და დავიწყე სულ ახალი, განსხვავებული. სხვანაირად წარმოუდგენელიცაა. იქ, რომ დაჯდე და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ რა დატოვე და რა წაიდე, არაფერი გამოვა, ახალ ქვეყანაში ახლებურად, ახალი კანონებით უნდა იცხოვრო. ერთი სიტყვით, ახალი სამყარო უნდა შექმნა.

– ივრითი ადვილად შეისწავლეთ? რამდენადაც ვიცო, თქვენ ამ ენას არ ფლობდით.

– საერთოდ, ქართველი ებრაელები ღოცვისას იყენებენ ივრითს, სასაუბრო ენა ქართული იყო. ესე იგი მშობლიური ენა ქართული, ხოლო, ებრაული საკულტო, სალოცავი. მე მას სრულად ორი წელია რაც დავეუფლე. ვასწავლი იქაურ უნივერსიტეტში, როგორ მოახერხებ იქ ცხოვრებას, მოღვაწეობას თუკი ენა არ იცი?

– და მაინც გაგიჭირდათ?

– ერთი წლის მანძილზე ძალიან. ვფიქრობდი, რომ ვერასოდეს შევძლებდი ამ ენაზე საუბარს, მით უმეტეს, მუშაობას. საერთოდ, ამბობენ: ებრაელი არ სწავლობს, იგი იხსენებს ენას. ეს ასეც მოხდა, ბევრი სიტყვა, ბაბუაჩემი ღოცვაში რომ წარმოთქვამდა, ნელ-ნელა გამახსენდა, ასე რომ, ის სიტყვები, რაც ადრე გაუგებარი იყო, დღეს ჩვეულებრივ სალაპარაკო ენად იქცა, თუმცა მიკვირს, რელიგიური ენა ჩემთვის სასაუბრო ენა რომ გახდა...

– თქვენი პროფესიული კარიერა როგორ წარიმართა?

– ჩემდა საბედნიეროდ, სოლიდურად, ქვეყანაში დღეს მუსიკის სფეროში თუ მოიხსენიებთ ხუთ ადამიანს, მათ რიცხვში მეც ვარ. და უნდა ვთქვა, ამ სიაში არიან ის პიროვნებები, რომლებიც იქ დაიბადნენ და გაიზარდნენ. მე ხუთი წელია ჩავედი და მუსიკალურ ელიტაში რომ აღმოვჩნდი, სასიხარულოა. თავს არ ვიქებ სწორად გამიგეთ, უბრალოდ ეს გახლავთ ფაქტი. მიღებული მაქვს ძალიან ბევრი პრიზი. მათ შორის აღსანიშნავია სახელმწიფოს მეთაურის პრიზი, იგი პროფესორის ხელფასს უტოლდება და ყოველთვიურია. იცით?! ახალჩასული კაცისთვის, დამეთანხმებით, სოლიდური დახმარებაა. მივიღე ასევე წლის საუკეთესო კომპოზიტორის წოდება. ყველაფერი ეს ძალიან მახარებს და მეტ სტიმულს მაძლევს.

– ჩვენთვის ცნობილია, რომ თელავის სახელმწიფო თეატრში რობერტ სტურუამ დადგა ხანოს ლევენის თანამედროვე დრამა „ყბადაღებული“, მუსიკა ამ სპექტაკლისთვის თქვენ დაწერეთ. ორიოდ სიტყვით ამის შესახებ, ბატონო სოსო.

– ისრაელში ივნისში ჩავედი, რობერტმა კი აგვისტოში მომძებნა, მაშინ ივრით საერთოდ არ ვიცოდი, ფსიქოლოგიურადაც ძალიან მიჭირდა. ცხოვრებას აწყობა უნდოდა, ჩემი ერთადერთი ქალიშვილი გზაზე იყო დასაყენებელი, მისთვის განათლება უნდა მიმეცა, მშობლებს წამლები ესაჭიროებოდათ. ერთი სიტყვით, უმარავი საფიქრალ-საზრუნავი იყო, ამ დროს გამოჩნდა რობერტ სტურუა.

20 წლის წინ, ეს იყო 1975 წელი, მე და რობერტმა გავაკეთეთ მაშინ ძალიან გახმაურებული სპექტაკლი „დრაკონი“. ვიფიქრე, ხომ არ მომეგინა განგების ხელი რადგან 20 წლის შემდეგ ჩემი ყველაზე გახმაურებული სპექტაკლი, ისევ რობერტ სტურუასთან მუშაობის შემდეგ დაიდგა. ამგვარი დამთხვევა უბრალოდ არ ხდება, კიდევ ერთხელ ვიწამე განგების გავლენა ადამიანის ბედზე, რობერტსაც ვუთხარი, ამის შემდეგ სოსო ბარდნაშვილი იმის ნახევარსაც თუკი მიაღწევს, რასაც მან საქართველოში მიაღწია, მასზე ბედნიერი კაცი არ იქნება-მეთქი. ერთი წელიც არ გასულა, პოპულარობით იქ კლასიკური მუსიკის წრეში იმაზე მეტსაც მივაღწიე, ვიდრე საქართველოში.

– ესტრადის ქანრში ხომ არ გიცდიათ ბედი?



– მე ჯერ ესტრადაში არ გავსულვარ, თუმცა მომავალში ამასაც ვაპირებ. მაქვს რამდენიმე სიმღერა. ვიცი, მას ელოდებიან, მაგრამ არ ვჩქარობ, ჩემი გავლით ერთი-ორი წელი კიდევ არის საჭირო, ასე რომ, დრო მაქვს. საერთოდ ეტაპობრივად მივიღივარ – თეატრალური, სიმფონიური, კინო... და აი, მოვიდა ესტრადის დროც. ერთი-ორ სიმღერას „რამ შემიქმნა ადამიანად“ ალბათ იქაც დავტოვებ.

– თქვენი ქალიშვილი ევა რას საქმიანობს, როგორ აეწყო ისრაელში მისი ცხოვრება? პირადული და საზოგადოებრივი საქმიანობა მაქვს მხედველობაში.

– ევა გათხოვილი, ოჯახის ქალია, სამი შვილის დედაა, თითო წელს თითო შვილს ჩუქნის ოჯახს და ყველა ვაჟია. ევა გარკვეულწილად დაუბრუნდა ებრაულ რელიგიას, რაც ჩემთვის თითქოსდა უცხოა. მანამდე იგი ძალიან თანამედროვე ტიპის გოგონა იყო. ცოტას კიდევაც ხატავს. ოჯახი მისგან მაქსიმალურ ენერჯიას მოითხოვს, როგორ ახერხებს ყოველივეს, ვერ გეტყვით. დედობის შესანიშნავი თვისება აღმოაჩნდა, ეს მისი ყოველდღიურობა და ბედნიერებაცაა. ცხოვრობს იერუსალიმის შუაგულში, რელიგიის ცენტრში. ძალიან კარგი მეუღლე ჰყავს, რაფაელი, განათლებით ისიც მხატვარია. მათ ერთმანეთი შეიყვარეს. სიძე წარმოშობით იქაურია, მამა თურქი ებრაელია, დედა კი მაროკოდანაა. ჩემ გასახარად, ცხოვრობენ ტკბილად და ბედნიერად.

– ცოტა ხნით გადავდოთ საზოგადო საქმე და გთხოვთ მოგვითხროთ თქვენ პირად ცხოვრებაზე, როგორ წარიმართა იგი ისტორიულ სამშობლოში?

– როგორც ყოველთვის, იქაც ბევრი „მეგობარი“ მყავს. ამიტომაც ვერ ავარჩიე, რომელზე დავექორწინდე. დედაჩემი მეხვეწება ბოლოს და ბოლოს დააყენე საშველიო. მე კი ვეხუმრები, ქალი დღეს მოიყვანე, გადაიხადე ქორწილი, ხვალ ის უკვე ბებიაა. ვის უნდა გახდეს ბებია ქორწინების პირველივე დღიდან, ჩემი სამი შვილიშვილი მყავს მხედველობაში.

– მოკლედ ჯერ ვერ შეარჩიეთ? ისე არჩევანი დიდია, ხომ?

– იმდენად კარგები არიან, ვიბნევი კიდევაც (გულიანად იცინის).

– თქვენი ამჟამინდელი სტუმრობის მიზანი...

– ამჯერად უბრალოდ დელეგაციის წარმომადგენელი ვარ. თბილისში შესრულდა ჩემი ორი დიდი ნაწარმოები, იყო პრემიერა, რისთვისაც დიდი მადლობა მინდა ვუთხრა ბატონ ჯანსუღ კახიძეს, რომელმაც სიმფონიური ორკესტრი დაგვიტოლო. მათ დიდი სიყვარულით იმუშავეს, სიტყვები აღარ მეოფნის მადლიერების გამოსახატავად. ვიცი, რომ ჩემი მეგობრები არიან, ისიც ვიცი – ვუყვარვარ. აქ ისეთი ერთგულება ვიგრძენი ჩემი შემოქმედებისადმი, ძალიან ბედნიერი ვარ. ესაა ჩემთვის მთავარი, მე დავბრუნდი საკუთარ სახლში როგორც კომპოზიტორი და არა როგორც უცხოეთიდან ჩამოსული სტუმარი, რომელიც რაღაც განცხადებებს გააკეთებს, ვთქვათ, სამომავლო გეგმებზე. ისე კი, დეკემბერში ვფიქრობ მონაწილეობა მივიღო საშობაო კონცერტებში, რომლებიც თბილისში, კონსერვატორიის დიდ საკონცერტო დარბაზში გაიმართება. ამ ფესტივალს კონსერვატორიის ლექტორი, ჩემი ძველი მეგობარი მანანა დოიჯაშვილი ხელმძღვანელობს.

– პირვეყოფლისა რამ მიიქცია თქვენი ყურადღება ბათუმში?

– ძალიან მომეწონა ბარბარეს ეკლესია. ცოტა გამიკვირდა კათოლიკური ეკლესიის ადგილი. მისთვის შეიძლებოდა სხვა, უფრო შესაფერისი ადგილის პოვნა, ჩემი აზრით, მუქი ფერის ბანკი, უბრალოდ ვერ თავსდება არქიტექტურაში. ვფიქრობ, იქ

დღესვე უნდა დაირგას დიდი ხეები. რაც ეკლესიას ბანკისაგან განაცალკევებს გული მტკივა, რომ ე.წ. „ჭაობის ბათუმი“ კვლავ „დანგრეულია“. ეს კომუნისტების დროიდან მოყოლებული სენია და დღესაც ვერცა.

გრანდიოზული სამუშაოებია დაწყებული. გალერეასა და ხელოვნების ინსტიტუტის გახსნას ვგულისხმობ. მე ამაზე ჯერ კიდევ აჭარის კულტურის სამინისტროში მუშაობის დროს ვფიქრობდი.

– ბატონო სოსო, აქაურ ტალანტებს, თქვენს ყოფილ მოწაფეებს თუ ესმარებით ისრაელიდან? რა თქმაუნდა, შემოქმედებითი დახმარება მაქვს მხედველობაში.

– მე რითაც შემიძლია, ვესმარები ქართულ მუსიკას, უახლოეს მომავალში თელავისა და იერუსალიმში კამერული მუსიკის ფესტივალი გაიმართება, სადაც კომპოზიტორი წარადგენს კომპოზიტორს. იქ მე ქართველ მეგობარ კომპოზიტორებს წარვადგენ. ამას გარდა, რადიოში გავაკეთე 2-2 საათიანი ოთხი გადაცემა ქართულ მუსიკაზე. საქართველოდან გამოსულთა კავშირის თავმჯდომარის ბატონ ელ მისაილის დამსხურებაა, რომ ბევრმა ქართულმა ანსამბლმა ისრაელში გამართა კონცერტები. მან გადაწყვიტა მომავალ წელს ისრაელში მოაწყოს აჭარის კულტურის დღეები, თუ ეს მოხერხდა, ძალიან კარგი იქნება.

– დღეს თქვენ ორმაგი დატვირთვა გაქვთ, ხართ სტუმარი და მასპინძელიც, რა გრძნობა გეუფლებათ ამ ორი როლის შესრულებისას.

– პირველ რიგში, ვარ მასპინძელი საკუთარ სახლში და მინდა ებრაელი მეგობრებიც ისე გრძნობდნენ თავს, ისევე შეიყვარონ ჩემი საქართველო, როგორც მე მიყვარს... ერთსაც ვიტყვოდი. გია ყანჩელმა ბელგიიდან მომწერა: – მე ძალიან მიჭირს რომ ვცხოვრობ ბელგიაში. შენ კი ორმაგად მძიმე მდგომარეობაში ხარ. ორი ქვეყნის შვილის მოვალეობა ორმაგად მძიმეაო. ეს ძალიან ლამაზი ნათქვამია, რეალურად სწორი.

– სიყვარული და მიტევება – რა ადგილი უჭირავს მათ თქვენს ცხოვრებაში?

– ეს ჩემი ცხოვრების კრედიოა. ყველამ იცის, ცუდი არავისთვის გამიკეთებია, პირიქითაც იყო, წყენა მალე დამვიწყებია. სიყვარული კი ჩემი შემქმედების წყაროა ხელოვნებაშიც, მუსიკაშიც და საერთოდ ცხოვრებაშიც.

– შვილიშვილებს თუ ასწავით ქართულს?

– იციან „ბაბუ“, „გამარჯობა“, „მოდი“, „ნახვამდის“. ისე სახლში ივრითულზე საუბრობენ... მათ მე ჩამოვიყვან საქართველოში, მანამდე კი შევასწავლი ამ ენას.

– სიურპრიზები გიყვართ?

– ვცხოვრობ ბათუმში, ექსპერიმენტულ თითების თეატრში, იცით, როგორ? ბესო კუპრეიშვილმა სპეციალურად ჩემთვის ლოგინი მოატანინა და თქვა, ეს იქნება შენი ნომერი, არსად წახვალო. ამაზე მეტი სიყვარულის გამოვლინება გინახავთ? თეატრი გღებულობს როგორც საკუთარ შვილს, არსად გიშვებს იმიტომ, რომ უყვარხარ და ენატრები.

– ბატონო სოსო, ჩვენი გაზეთის საშუალებით როგორ მოეფერებით თქვენს ნაცნობებს, მეგობრებს, რას ეტყოდით, რას უსურვებდით?

– მათ და საერთოდ მკითხველს ვუსურვებდი, პირველ რიგში, ყოფილიყოს მშვიდობა. ებრაელი მშვიდობას, შალომს, ამბობს პირველად. ვუსურვებდი, რომ მათი ცხოვრება აეწყოს ისე, როგორც ეს წარმოუდგენიათ... ლამაზი, წყნარი, მოწესრიგებული, მდიდარი... ერთი სიტყვით ნაკლები პრობლემებით, ჰქონდეთ სულიერი და შინაგანი სიმშვიდე. მაგალითად, მე ძალიან რთულ სიტუაციებშიც ვცდილობ შევინარჩუნო სიმშვიდე. ადგზნებული ადამიანი ყოველთვის მცდარ გადაწყვეტილებას იღებს, არის რეაქციული, მე ამ რეაქციულობას გავურბობდი აქაც და გავურბივარ იქ – ისრაელშიც.

მიყვარხართ, მე კიდევ დავბრუნდები. ღმერთმა დამიფაროს, რომ აქედან სამუდამოდ წავიდე”.<sup>66</sup>

ბათუმის ექსპერიმენტალურ თითების თეატრში ბატონ სოსოს გულთბილი შეხვედრა გაუმართეს. სადამოზე მეგობრებსა და მისი შემოქმედების თაქვეანისმცემლებს კომპოზიტორი ბოლო წლების შემოქმედებებისა და მოღვაწეებზე ესაუბრა.

მას სჯერა, რომ დემოკრატიულობის შენების პერიოდში შემოქმედებითი ურთიერთობები მეტად გაღრმავდება და მეტ საჯაროობას შექნის.

კომპოზიტორი შემქმედებით სიმწიფის ხანაშია.

წინ ახალი ძიებები, ახალი მიჯნებია.

## გურამ შალვას ძე საღარაძე

დაიბადა ბათუმში 1923 წელს 29 ნოემბერს მუშის ოჯახში.

1957 წელს დაამთავრა ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებელი ფორტეპიანოს სპეციალობით (პედაგოგ თ. ედ. ლილიენბახის კლასი) მუსიკალურ-თეორიული საგნების მასწავლებლად მუშაობა დაიწყო ჯერ ქობულეთის სამუსიკო სკოლაში, შემდეგ ბათუმის №1 სამუსიკო სკოლასა და სამუსიკო სასწავლებელში.

1959-1965 წლებში სწავლობდა და წარჩინებით დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის სპეციალობით – მუსიკის თეორია და 1965 წელს მიენიჭა მუსიკათმცოდნის და მუსიკალურ-თეორიული საგნების მასწავლებლის კვალიფიკაცია.

წლების მანძილზე როგორც ქალაქში, ისე აჭარისა და აჭარის მეზობელ რაიონებში სიმფონიურ ორკესტრთან ერთად უძღვებოდა ლექცია-კონცერტებს.

წლების მანძილზე გახლდათ სკოლისა და სასწავლებლის პროფკავშირის ადგილკომის თავმჯდომარე, ქალაქის კულტურის მუშაკთა პროფკავშირის სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე.

მონაწილეობდა:

<sup>66</sup> გაზ. „აჭარა“, 8 ნოემბერი, 2000წ.

– საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის „ხალხური სიმღერების შემგროვებელ და ჩამწერ ექსპედიციებში (1964 წ.) ზემო იმერეთში (1968 წ.) აჭარაში (ხელ-ლი ო. ნიჯავაძე).

– მუსიკალურ-თეორიული საგნების პედაგოგთა რესპუბლიკურ სემინარზე 1989 წ. წაიკითხა რეცენზია: ბ. ვახროშვილის წიგნის *Элементарная теория музыки*-ს ქართული თარგმანის შესახებ (მთარგმნელი დ. ჯანდიერი).

– 70-იან წლებში მუსიკის სახალხო უნივერსიტეტის რექტორი იყო წლების მანძილზე ეწეოდა ავანგუდისტურ მოღვაწეობას. გამოქვეყნებული აქვს როგორც ინფორმაციული ისე ანალიტიკური წერილები.

მიღებული აქვს მთავრობის ჯილდოები:

– შრომის ვეტერანის საპატიო წოდება და მედალი 1982 წ.

– აჭარის უმაღლესი საბჭოს პედაგოგის საპატიო სიგელი 1995 წ.

– აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება 2001 წ. და სხვა.

გ. საღარაძე სასწავლებელში (1957 წლიდან) მუშაობდა მუსიკალურ-თეორიული საგნების მასწავლებლად, თავმჯდომარეობდა მუსიკალურ-თეორიული საგნების ციკლის მეთოდკომისიას თეორიული განყოფილების გახსნის დღიდან (1965 წ.) ასწავლიდა სპეც სოლფეჯიოს, სპეც. ჰარმონიას, სპეც. მუსიკალურ ინფორმაციასა და ანალიზს, (თეორიულ განყოფილებაზე) 1978 წლის ნოემბრიდან მუშაობდა საწარმოო პრაქტიკის გამგედ.

თავისი მოვალეობის შესრულებას ეკიდებოდა საქმის დიდი სიყვარულით. მეგობრებთან ურთიერთობაში ყოველთვის იყო კოლექტიური.

## ედუარდ ქიქავა

ბათუმის კონსერვატორიის დოცენტი, მუსმცოდნეობის კათედრის გამგე კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სასწავლებლის ექსპერიმენტალური, საკრავური სკოლის დამაარსებელი და დირექტორი. მთელ ამ უზარმაზარ დატვირთვას ბატონი ედუარდი შესანიშნავად ართმევს თავს. ის ღირსეულ მემკვიდრედ ითვლება ისეთი პედაგოგებისა, როგორებიც ბრძანდებოდნენ, ფორტეპიანოში თამარ ლილიენბახი, ხოლო თეორიულ საგნებში ალექსანდრე შიფრინი და გურამ საღარაძე.

ბატონი ედუარდი მთელ თავის პედაგოგიურ მოღვაწეობას სასწავლებლის და კონსერვატორიის აკადემიური დონის ამღლებსაქვენ წარმართავს. მას საკმაოდ

ვრცელი გზა აქვს გავლილი და მუსიკალურ წრეებში დიდი ავტორიტეტით სარგებლობს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მის მიერ დაარსებული ექსპერიმენტული, საკრავიერი სკოლა, სადაც სკოლამდელი აღზრდის ასაკის ბავშვები სწავლობენ ნაყოფიერი შედეგი უჩვენა. მისი შინაარსია, ადრეული ასაკიდან მოზარდის ზრდასთან ერთად, მუსიკალური სმენის სწორად განვითარება, რაც ნერგავს მუსიკისადმი სიყვარულს და მუსიკალური ბუნების აღზრდას. არსებული სკოლის ირგვლივ მიღებული შთაბეჭდილებები ძალიან დიდია, ჰყავს ნორჩი ლაურეატები და ყოველი წლის თუ სემესტრული კონცერტების დონე ძალიან მაღალია.

მუსიკალურ თეორიული საგნების შესწავლისას და განსაკუთრებით კი მუსიკის ელემენტარული თეორიის, სოლფეჯირებისა და ჰარმონიის პედაგოგიკა მოსწავლესტუდენტებისადმი განმსჭვალულია გულწრფელობით, დრმა თეორიული ცოდნის მიწოდებით. მისი პედაგოგიური მეთოდი მარტივი და ამავე დროს უახლეს, თანამედროვე პრინციპზეა აგებული.

ჰარმონიის შესწავლისას მოსწავლეებს განუმარტავს, რომ იგი უპირველეს ყოვლისა არის მრავალხმიანი მუსიკის გამომსახველი საშუალება, დაფუძნებული აკორდებზე, მეორე, თანხმობათა ერთობლიობა, დამახასიათებელი ამა თუ იმ კომპოზიტორის სტილისათვის; მესამე კი იგი არის მუსიკის თეორიის ნაწილი, რომელიც სწავლობს თანხმობათა სწორ აგებას კომპოზიციაში.

ჰარმონიული ფუნქცია მუსიკალურ ნაწარმოებში ეს არის აკორდის როლი, მის კილოებრივი მნიშვნელობა ჰარმონიულ მოძრაობაში ძირითადი ჰარმონიული ფუნქციებია: „ტონიკური“ (T), „სუბდომინანტური“ (S) და „დომინანტური“ (D) და ა.შ.

დიდი ემოციური დატვირთვით, საინტერესო და სასარგებლო ჩვევებს უწვითარებს მოდულაციური პროცესის საერთო დიანმიკის ანალიზს. იგი მოკლედ აისახება მოცემული ტონალობიდან წასვლასა და მასში დაბრუნებაში. ასევე დიდ დროს უთმობს ჰარმონიული ანალიზის ძირითადი ხერხების შესრულებას, რომელიც სწავლების ძირითადად თანმიმდევრულ პერიოდს მოიცავს. სრული თეორიული მასალის ათვისების შემდეგ გადადის პრაქტიკულ მაგალითებზე, მუსიკალური ნაწარმოების ნაგებობაში.

ჰარმონიული ამოცანების ამოხსნისას დიდ ყურადღებას უთმობს მელოდიის ჰარმონიზაციას, სადაც ვლინდება მოსწავლეთა მიერ კურსის შესწავლილი ყველა ჰარმონიული საშუალების წარმატებით სარგებლობისა და საკუთარი ინიციატივით გამოყენების უნარი. საკლასო-საშინაო დავალების ამოხსნისას მოსწავლესტუდენტს არა მარტო შეცდომებს უსწორებს, არამედ მიუთითებს უკეთეს, უფრო მისაღებ ვარიანტებზე. ყველა შენიშვნას საკუთარი ხელით აღნიშნავს მოწაფეთა რვეულებში. ასევე მნიშვნელოვანია როიალზე თავისი შესრულებით, მუსიკალური პიესების, ან ნაწყვეტის მოყვანა, რომელიც პრაქტიკულ ურთიერთობაშია თეორიულ ცოდნასთან, თემატურად და უანობრივად მრავალგვარი სასარგებლო რჩევა-დარიგებითაა აღსავსე.

ბატონ ედუარდს არაჩვეულებრივად ლამაზი, ინტელიგენტური ოჯახი ჰყავს. მეუღლე ცენტრალური სამუსიკო სკოლის პიანისტ-პედაგოგია, ორი ქალიშვილის მამაა.

მარინა – კონსერვატორიის საფორტეპიანო სპეციალობის წარჩინებული სტუდენტია. უმცროსი – გოგონა კი, ექსპერიმენტალური სამუსიკო სკოლის ნორჩი მოსწავლე.

**საკრავიერი სკოლის მოსწავლეთა მონაწილეობა მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსებში:**

### 1999 წელი

საკრავიერი სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ანა ქასრაშვილი (ფორტეპიანო) კონკურსგარეშე მონაწილეობდა საქართველოს მუსიკოს-შემსრულებელთა II კონკურსში.

პედაგოგი უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

### 2000 წელი

1. საკრავიერი სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე თინათინ წულაძე მონაწილეობდა კიევში საერთაშორისო კონურს „XXI საუკუნის ხელოვნება“ დაიკავა II ადგილი.

პედაგოგი უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

2. საკრავიერი სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე ნელი აგირბა (არფა) – მონაწილეობდა ამიერკავკასიის ქვეყნების ნორჩ მუსიკოს-შემსრულებელთა კონკურსში. დაჯილდოვდა II ხარისხის დიპლომით და მიენიჭა ლაურეატის წოდება.

პედაგოგი ირინა კობახიძე.

3. საკრავიერი სკოლის მეოთხე კლასის მოსწავლე თინათინ წულაძე (ფორტეპიანო) კონკურსში დაიკავა IV ადგილი და დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

4. საკრავიერი სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე ანა ქასრაშვილი (ფორტეპიანო) მონაწილეობდა ამიერკავკასიის ქვეყნების ნრჩ-მუსიკოს შემსრულებელთა კონკურსში. დაიკავა VI ადგილი და დაჯილდოვდა დიპლომით.

პედაგოგი უფროსი მასწავლებელი ირინა ხერუი.

## ვიოლა ფხაკაძე

სამუსიკო სასწავლებელში ჯერ კიდევ სწავლების პერიოდისა და ქალბატონი ვიოლა ყოველთვის საინტერესო და მიმზიდველი იყო. სწავლაში დიდ მონაწილეობასა და ინტერესს ავლენდა. გამოირჩეოდა სერიოზული დამოკიდებულებით, პუნქტუალოზობით, დაკისრებულ ვალდებულებას დიდი პასუხისმგებლობით ასრულებდა.

ქალბატონი ვიოლა ჩემი პედაგოგიური სარბიელის პირველი მოსწავლე გახლდათ. მასთან მეცადინეობის ჩატარებისას როგორც პედაგოგს არაერთი საინტერესო სიამოვნება მაქვს მიღებული. ეს გახლდათ ჩემს მიერ ჩატარებული ღია გაკვეთილები

ფორტეპიანოს სპეციალობაში, რომელიც თბილისის კონსერვატორიის პროფესორებთან ემილ გურევიჩთან, ნელი ჩიქოვანთან, თამარ ჩხარტიშვილთან, ნოდარ გაბუნიასთან და ალიკ ნიჟარაძესთან თანდასწრებით კარგი საშემსრულებლო მომზადების დონით, რომ ავლენდა თავს.

ქალბატონმა ვიოლამ საფორტეპიანო განყოფილების კურსი წარჩინებით დაამთავრა. მიუხედავად იმისა, რომ მას კარგად შეეძლო უმაღლესი განათლება ამავე სპეციალობით გაეგრძელებინა, მე მას ვურჩიე და რეკომენდაცია გაეუწიე, რომ თბილისის კონსერვატორიაში დაუფლებოდა თეორიულ სპეციალობას, რადგან ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი, ამ პერიოდისათვის, თეორიული საგნების პედაგოგების, დეფიციტს განიცდიდა. რამდენადაც ქართველი პედაგოგები არ იყვნენ, ქართულ სექტორზე რუსი ეროვნების პედაგოგებს მიჰყავდათ სწავლება, რაც ხშირად გაურკვევლობას იწვევდა. მასთან ერთად რეკომენდაცია მიეცათ ნინი ჯანიკაშვილს, ანიკო დუმბაძეს, ლემანი ცივაძეს, ტაისა თარხნიშვილს, რომლებიც დღეს ჩვენი სასწავლებლის და კონსერვატორიის მუსთეორიული საგნების წამყვანი პედაგოგები არიან.

ქალბატონი ვიოლას მიერ ჩატარებული გაკვეთილები ღრმა პროფესიონალიზმით გამოირჩევა. მას კარგად ესმის, რომ ჩვენი საგანმანათლებლო თუ საკონცერტო მომზადების საქმეში წმიდათა წმიდა ვალია ახალგაზრდობის ნიჭის გამოვლენისა და თვითდამკვიდრებისათვის ყველა პირობის შექმნა, რომ ხელის შეწყობა სჭირდება ახალგაზრდა შემოქმედთა განვითარებას. მის გარეშე ფუჭი ოცნება იქნებოდა ჩვენი მუსიკალური აღზრდის მომავალი წარმატებების თვით ვარაუდიც კი. მასთან ერთად ისიც კარგად ესმის, რომ დღესდღეობით მრავალი პრობლემაა და ახალგაზრდობა, რომელიც კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ პრაქტიკულ საქმიანობაში უნდა ჩაებას, ასაკობრივადაც და აზროვნებითაც სავსებით მოწიფულია და მათ უნდა ჩაუნერგოს დამოუკიდებლობის, მოვალეობისა და უფლებებისადმი პატივისცემა. მუსიკალური ცხოვრების ყველა უბანზე იგი უნდა გრძნობდეს, რომ მას ნაკლები არ მოეთხოვება, ვიდრე უფროსი თაობის წარმომადგენლებს, რომ მათ სიტყვასაც და საქმეს პასუხისმგებლობა ეკისრება. ყოველი ეს პრობლემა ქალბატონი ვიოლასათვის მნიშვნელოვანია და საზრუნავი. ის ახალგაზრდებს მოუწოდებს ცოდნისაკენ და უშუალოდ პედაგოგისა და მოსწავლის კონტაქტურ ურთიერთობაზე დაყრდნობით, ყოველი პედაგოგის ვალდებულად მიაჩნია თავისი, საკუთარი, გამოცდილების მეთოდი, რომელიც ეფუძნება ტრადიციული სწავლების სკოლას, გადასცეს სწავლების ოსტატობის დახვეწილი ჩვევები. დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, როგორც პროფესიულ მომზადებას, ასევე პიროვნული აღზრდის საკითხებს. ხალხური მუსიკის გავლენას, ქართული სიმღერის ორ შტოზე აღმოსავლეთ საქართველოს (ქართულ-კახური) და დასავლეთ საქართველოს (იმერულ, გურულ, აჭარული) ჩამოყალიბებაში. მათი განსხვავების ძირითად ნიშნებს: ქართლ-კახური სიმღერების სირბილე და კონსონანსური ბუნება, ხოლო იმერულ, გურულ-აჭარული კილოს სიმღერებში დისონანსურ შეხამებათა სიმკვეთრე და ხშირი გამოყენება.

ქალბატონი ვიოლა არის თბილი, მეგობრებისადმი მოსიყვარულე, ტკბილ-მოუბარი, ყველას მიმართ ერთგულ და საიმედო საყრდენს წარმოადგენს. ოჯახის წევრების მიმართ კი დიდებული და მისაბაძი დედაა, რძალი, ბებია და საერთოდ, არაჩვეულებრივი ადამიანი!

## ლემანი ცივაძე

აჭარაში ცივაძეების გვარის წარმომადგენლობა საზოგადოებრივ საქმიანობაში და მეცნიერებაში დიდადაა წარმოჩენილი. მათი შთამომავლობა დიდ ავტორიტეტს და პატივისცემას იმსახურებს.

არ შეიძლება განსაკუთრებული სითბოთი არ გავიხსენო ბატონი ილია ცივაძე და ქალბატონი ნაზიკო გოგიტიძე; ბატონი ლევან ხვიჩია და ქალბატონი ეთერ ცივაძე; დურსუნ ცივაძე, დ. ნარეი, გივი ცივაძე, იუსიფ ცივაძე და მისი შვილები, გულნარა, ჯემალი, ეთერი, ნანული, რევაზი, ასლანი – ყოველი მათგანი იმსახურებს უდიდეს პატივისცემას თავიანთი უზადო შინაგანი მაღალი კულტურის, წმინდა ქართული მეტყველების, კეთილშობილებისა და საქმისადმი საფუძვლიანი ცოდნით.

დღევანდელივით მახსენდება 1965 წლის 6 აპრილი. თითქოსდა სპეციალურად, ჩემი დაბადების დღის აღსანიშნავად, ახლადდანიშნული გახლდით სამუსიკო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ. სამუშაო კაბინეტის კარები იღება და მოჩუქურთმებულ ქოთნებში, ლამაზი დეკორატიულ მცენარეთა ნაირსახეობა მომართვეს. „ეს ბატონმა დურსუნ ცივაძემ გამოგიგზავნათ“ თქვა ქალაქის სანერგე მეურნეობის აგრონომმა და თან დამარიგა თუ როგორ უნდა მომეგლო უკვე გარგად გახარებული სხვადასხვა ჯიშის მცენარეებისთვის. შემდგომ მათ კიდევ უფრო გაიხარეს და ყველა შემომხვეველს დიდ სიმაოვნებას გვრიდნენ.

ლემან ცივაძეს, ბატონი დურსუნის ქალიშვილს, ჩვენი სასწავლებლის თეორიული საგნების პედაგოგს, მოგუხმე მაღლიერების გამოსათქმელად, მაგრამ მან ამის შესახებ არაფერი იცოდა. ისე კი, ძალიან გაუხარდა და სიამოვნებით აღნიშნა: „ყოჩაღ მამაჩემს, რა კარგად მოუფიქრებია“.

კეთილი ხალხის გარემოცვაში აღზრდილი ქალბატონი ლემანი თავისი საქმისადმი დიდი სიყვარულით და საფუძვლიანი ცოდნით ემსახურება სამუსიკო კადრების აღზრდას. მას თეორიული საგნებიდან მიჰყავს მუსიკის ანბანი, მუსიკის ელემენტარული თეორია, ჰარმონია და სოლფეჯიო.

სოლფეჯიოს კურსის ამოცანაა მოსწავლეთა პროფესიულ-მუსიკალური სმენის ყოველმხრივი აღზრდა-განვითარება და ვოკალურ-საშემსრულებლო ხერხების გამოყენება.

სოლფეჯიოს კურსი, სხვა დისციპლინებთან ერთად, ხელს უწყობს მუსიკოს პროფესიონალების აღზრდას. იგი უნდა დაეხმაროს მომავალ მუსიკოსს შეიძინოს ისეთი მუსიკალური კულტურა, რომელიც დაეხმარება მას მოისმინოს მუსიკალური ნაწარმოები მთლიანობაში, ცალკეული ჯგუფური თუ ცალკეული ხმები, ასწავლოს მას ნაწარმოების ინტონაციურად სუფთა აწყობა და აგრეთვე სუფთად და გამომხატველად იმღეროს ნებსიმიერი პარტია.

კურსის გავლის შემდგომოსწავლეებმა სმენით და ინტონაციურად უნდა განსაზღვრონ, ზუსტად იმღერონ გამების სხვადასხვა სახეები, კილოს სხვადასხვა საფეხურები (მაჟორის ან მინორის), ინტერვალები, აკორდები, აკორდული თანმიმდევრობები როგორც დიატონური, ასევე გადახრით და მოდულაციებით.



სმენით განსაზღვრონ კადანსები და მათი სტრუქტურა, მუსიკალური ნაწარმოების იერი, ინტონაციურად სუფთად და რიტმულად სწორად იმღერონ (ფურცლიდან კითხვა) მელოდია და ორ, სამ, ოთხმიანი ნაგებობების ნებისმიერი ხმა.

ჩაიწერონ ერთხმიანი ერთხმიანი, ორ, სამ და ოთხმიანი კარნახები. ორ, სამ და ოთხმიანი ნაგებობის მოცემული მელოდიების ტრანსპორტირება საჭირო.

ოთხმიანობას ქრომატიზმის უმარტივესი სახეებით და მოდულაციით პირველი ხარისხის მონათესავე ტონალობებში, ჰარმონიულ სოლფეჯიოს ქრომატიზმებით გამგლეული და დამხმარე ბგერების სახით და აგრეთვე მოკლე ჰარმონიულ თანმიმდევრობებს გადახრებით პირველი ხარისხის მონათესავე ტონალობებში:

ჰარმონიული და პოლიფონიური სახის სამხმიანობის უმარტივეს სახეებს.

ამ სრული კურსის გავლისას მოსწავლეები უნდა ფლობდნენ მუსიკალური ელემენტების სმენით შემეცნების ჩვევებს, რომ მხოლოდ მუსიკალური ენის ყველა ელემენტის ერთობლიობა ქმნის სრულ წარმოდგენას მუსიკის გამომსახვეობაზე.

მთელი სასწავლო წლების მანძილზე სოლფეჯიოში მუშაობის ძირითადი ფორმებია: 1) სოლფეჯირება; 2) სმენითი ანალიზი; 3) მუსიკალური კარნახი.

ყოველი გაკვეთილი უნდა შეიცავდეს მუშაობის ამ სამივე ფორმას.

ქალბატონი ლემანი მეცადინეობებს ატარებს საგნისადმი დიდი სიყვარულით და დიდ ყურადღებას უთმობს სოლფეჯიოს მთელი ელემენტების ერთობლიობას, ასევე რიგობით რიტმს, ბგერით სიმაღლეს, დინამიკას, ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს მოწაფის მიერ ტონალურ შემეცნებას, ტონებისა და ნახევარტონების ადგილმდებარეობას და სხვა ელემენტებს.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ სწავლების პირველსავე ნაბიჯებიდან მოწაფეებს აჩვენებს ლამაზი ბგერით სიმღერას, ინტონაციის სისუფთავეს, მაგალითების გამომსახველ შესრულებას. ასევე უყურადღებოდ არ რჩება ანსამბლები, კოლექტივში ყველა მომღერალთან გაწონასწორებული ქდერადობის ძალა და ხასიათი.

მქონდა შესაძლებლობა ქალბატონ ლემანის არაერთხელ დავსწრებოდი სამუსიკო სასწავლების ვოკალური განყოფილების სოლფეჯიოს გაკვეთილებს.

ვოკალურ განყოფილებაზე სოლფეჯიოს კურსი გათვალისწინებულია ოთხ წელიწადზე.

პირველი წელი (I, II სემესტრები) სოლფეჯიო ისწავლება მუსანბანის პაერალელურად. ძირითადად ეს წელი ეთმობა ერთხმიანობის შესწავლას დიატონიკის ფარგლებში (ბუნებრივი მაჟორი და მინორის სამი სახე);

მეორე წელი (III, IV სემესტრები) სოლფეჯიო ისწავლება მუსიკის ელემენტარულ თეორიასთან პარალელურად. იგი შეიცავს დიატონიკის ფარგლებში ერთხმიანობის შესწავის გაგრძელებას სხვადასხვა ტონაობებში (მაჟორი და მინორი სამ ნიშნამდე გასაღებში).

უმარტივეს ორხმიანობას დიატონიკის ფარგლებში, მოკლე ჰარმონიულ თანმიმდევრობებს მაჟორისა და ჰარმონიული მინორის დიატონიკის ფარგლებში;

მესამე წელი (V, VI სემესტრები) სოლფეჯიო ისწავლება ჰარმონიასთან პარალელურად. იგი შეიცავს:

ერთხმიანობას ქრომატიზმებით, ჰარმონიულ და მეოდიურ მაჟორს, ერთსახელიანი მაჟორულ და მინორულ ტონალობებით დაპირისპირებას, მაჟორის, მინორის სხვა საფეხურების აღტერაციას;

ჰარმონიულ და პოლიფონიურ ორხმიანობას ქრომატიზმის ელემენტებით: მოკლე ჰარმონიულ თანმიმდევრობებს დიატონიკის ფარგლებში, მაგრამ ქრომატიზმის უმარტივესი სახეებით (ჰარმონიული მაჟორი და მინორი).

მეოთხე წელი (VII, VIII სემესტრებზე სოლფეჯიო ისწავლება ჰარმონიის და მუსიკალური ნაწარმოების ანალიზის პარალელურად. იგი შეიცავს, ქრომატიზმებითა და მოდულაციებით პირველი ხარისხის მონათესავე ტონალობებში ერთხმიანობის შესწავლის გაგრძელებას.

### ანა დუმბაძე

დაიბადა 1947 წელს, ქ. ბათუმის №9 საშუალო სკოლაში მიიღო არასრული საშუალო განათლება და სწავლა გააგრძელა ქ. ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის მუსიკალურ სასწავლებელში, რომელიც დაამთავრა 1966 წ. საფორტეპიანო განყოფილების განხრით.

1968 წ. მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში მუსიკათმცოდნეობის განყოფილებაზე. დაამთავრა 1973 წელს.

მან მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის №1 მუსიკალურ სკოლაში საფორტეპიანო და თეორიული განყოფილების პედაგოგად, პარალელურად მუშაობდა ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში კონცერტმასტერად.

1968 წლიდან მუშაობს ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში თეორიული დისციპლინების პედაგოგად.

პედაგოგიური მოღვაწეობის დროს მიღებული აქვს მედლები და კულტურის სამინისტრო ძეგლები.

იყო სასწავლების მუსიკალურ-თეორიული საგნების მეთოდკომისიის თავმჯდომარე, კონსერვატორიის წამყვანი პედაგოგი.

### ნანა ჯანიკაშვილი

დაიბადა 1949 წელს ქ. ბათუმში. 1956 წელს სწავლა დაიწყო ბათუმის №1 საშუალო სკოლაში. 1968 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში საფორტეპიანო განყოფილებაზე. ამავე წელს

ჩაირიცხა ქ. თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაუსწრებელი განყოფილების თეორიულ ფაკულტეტზე. პარალელურად მუშაობა დაიწყო ქ. ბათუმის სამუსიკო სკოლაში თეორიული საგნების პედაგოგად. ორი წლის შემდეგ კი მუსიკალურ სასწავლებელში სადაც დღემდე მუშაობს.

პედაგოგიური მოღვაწეობის პერიოდში მიღებული აქვს მადლობები და ჯილდოები. დაჯილდოებულია აჭარის კულტურის სამინისტროს სიგელით.

ნანი ჯანიკაშვილი ამჟამადც სასწავლებლისა და კონსერვატორიის მუსიკალურ-თეორიული საგნები მასწავლებელია.

## საოპერო ხელოვნება

### ალექსანდრე ხომერიკი

გული სიამაყით გვესება, როცა ხედავ თუ როგორი სიმაღლისთვის მიგვიღწევია, რამდენი კურსდამთავრებული ვარსკვლავი ამშვენებს ჩვენს მუსიკალურ სასწავლებელს. განსაკუთრებით საამაყოა, რომ იგი მოპოვებულია პედაგოგიური კოლექტივის დაუღალავი შრომით, რომელიც სწავლებაში ყოველთვის ეროვნულ ნიადაგზე იდგა და მომავალ თაობას ეროვნულ ტრადიციებზე ზრდიდა.

სამწუხაროდ საშემსრულებლო ხელოვნებას ის ნაკლი აქვს, რომ იგი აღიქმება მხოლოდ შესრულების პროცესში, მაგრამ ვისაც ბედნიერება ხვდა წილად მოესმინა და ერნახა პირველი სპექტაკლები ბათუმის საოპერო სცენაზე, იგი მუდმივი შთაბეჭდილების ქვეშ იქნება და არასოდეს დაავიწყდება. უდიდესი სიმაოვნება, რომელიც ჩვენმა დიდებულმა აღზრდილებმა, ესლა უკვე საქვეყნოდ ცნობილმა ხელოვნების დიდმა ოსტატებმა ა. ხომერიკმა და მ. ჯახუტაშვილმა, რომ მოგვანიჭა.

ალეკო ხომერიკი დაიბადა 1948 წელს ქ. ბათუმში. აქვე წარჩინებით დაამთავრა საშუალო სკოლა, ბათუმის მუსიკალური სასწავლებელი, მურმან მახარაძის კლასით. სასწავლებლის დამთავრების შემდეგ წარმატებით გამოდიოდა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლის „ადილას“ შემადგენლობაში და სრულიად საკავშირო კონკურსის „ახლაგაზრდული ხმების“ ლაურეატი გახდა.

იგი გრძნობდა, რომ ნამდვილ მუსიკას მხოლოდ საოპერო სცენაზე ეზიარებოდა და 1975 წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში ვოკალურ განყოფილებაზე. მეცადინეობა დაიწყო გამოჩენილ პედაგოგ საქართველოს სსრ. დამსახურებულ არტისტთან, პროფესორ გიორგი გოჩაძესთან. ბეჯითად მეცადიეობდა, ხელს უწყობდა ნიჭი და ბუნებრივი მონაცემები. ლირიკულ-დრამატულმა ტენორმა და კარგმა არტისტულმა მონაცემებმა ახალგაზრდა ვოკალისტს, ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მეოთხე კურსის სტუდენტს, საკმაოდ მოკლე დროში დიდ სცენაზე გასვლის შესაძლებლობა მიეცა.

და აი, პირველი წარმატება – საბჭოთა ავტორების ნაწარმოებთა შემსრულებლების საქალაქო კონკურსში გაიმარჯვა და ლაურეატი გახდა.

კონსერვატორიაში მეცადინეობის დროს საოპერო თეატრის მთავარმა დირიჟორმა, რესპუბლიკის ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გივი აზმაიფრაშვილმა შეამჩნია ახალგაზრდა მომღერალი, მიიწვია ზ. ფალიაშვილის სახელობის თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში და შესთავაზა ყველა ტენორისათვის სანუკვარი პარტიის მომზადება. ეს გახლდათ ზ. ფალიაშვილის „აბესალომ და ეთერი“ აბესალომის პარტია. მას მოჰყვა ხანგრძლივი გაკვეთილები თეატრის მთავარ კონცერტმასტერთან, რესპუბლიკის დამსახურებულ არტისტთან ტატიანა დუნენკოსთან, სასცენო რეპეტიციები, თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, გიზო ჟორდანიას ხელმძღვანელობით.

1977 წლის 8 ნოემბერს აღდგენილ დას განახლებულ თეატრში აღ. ხომერიკმა თავისი პირველი დიდი პარტია შეასრულა.

ტრიუმფი თავიდანვე უდიდესი წარმატებით დაიწყო. 40 სპექტაკლი სრული ანშლავით მიმდინარეობდა. ალექოს პარტნიორი გახლდათ შემდგომში, ასევე ცნობილი შესანიშნავი ქართველი მომღერალი მაია თომაძე. ალექომ პირველივე სპექტაკლით ღურსეული ადგილი დაიმკვიდრა და ცნობილი ქართული სატენორო სკოლის ღირსეულ გამგრძლებელად მოგვევლინა.

კონსერვატორიის პერიოდში მან იმღერა შვიდი წამყვანი პირველი პარტია შემდეგ სპექტაკლებში (ესეც უპრეცედენტო შემთხვევაა) „აბესალომ და ეთერი“ – აბესალომის; პ. ჩაიკოვსკის „იოლანტა“ – ვოდემონის; „ვეგენი ონგინი“ – ლენსკის; ბ. ფალიაშვილის „დაისი“ – მალხაზის; რ. ლალიძის „ლელა“ – ბერდოს; ჯ. ვერდის „ტრაავიატა“ – ალფრედის; ჯ. პუჩინის „ტოსკა“ – კავარადოსის პარტიები. ამ წლებში ალექომ უკვე მოიპოვა საყოველთაო აღიარება. იწვევდნენ საბჭოთა კავშირის ყველა ცნობილი საოპერო თეატრების სცენებზე. როგორც საოპერო სპექტაკლებში, ასევე საკონცერტო საშემსრულებლო პროგრამებში.

1980 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია. იმავე წელს მისაღები გამოცდები ჩააბარა ასპირანტურაში.

1981 წელს. უკვე საქვეყნოდ ცნობილ მომღერალს, აზზაზნიან იტალიაში. სტაჟირებას გადის მილანის თეატრ ლა-სკალაში ცნობილი იტალიელი მომღერლის ჯულიეტა სიმონატოს ხელმძღვანელობით. აქ ამზადებს ჯ. ვერდის ოპერებს: „რიგოლეტოში“ – ჰერცოგის და „ტრუბადურში“ – მან რიკოს პარტიებს 1981 წლის ნოემბერში მოსკოვში გამართულ აჭარის ხელოვნების ოსტატთა კონკურსზე ოვაციებით ხვდებიან თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური თეატრის სოლისტს ა. ხომერიკს. სცენიდან არ უშვებენ ჩვენ თანაქალაქელს. იგი ასრულებს მეორე სიმღერას, მესამეს... დასასრულს აუღერდა რ. ლალიძის „კანტატა აჭარაზე“. სოლოს მღერიან ა. ხომერიკი, ნ. ჯავახიშვილი, ო. კალანდაძე და ს. გიორგაძე.<sup>67</sup>

იტალიაში სტაჟირების დამთავრებისთანავე დიდი რუსი მომღერლის ირინა არხიპოვას დაჟინებული მოთხოვნით ალექო 1982 წელს მონაწილეობას იღებს პ. ჩაიკოვსკის სახელობის მე-7 საერთაშორისო კონკურსში ქ. მოსკოვში და ლაურეატი ხდება. შემდგომში ამას საერთაშორისო აღიარება მოჰყვა. მოღვაწეობს თბილისის საოპერო თეატრში, პარალელურად ეწევა საგასტროლო მოღვაწეობას საზღვარგარეთ.

<sup>67</sup> ნანა ქავთარაძე. გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1995 წ. 19 მაისი.

მღერის სპექტაკლებში, კონცერტებში ევროპის ცნობილ საოპერო თუ საკონცერტო დარბაზების სცენებზე, იწვევენ ფესტივალებზე, სეზონების გახსნაზე. ეს ქვეყნებია: რუმინეთი, ბულგარეთი, პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, იუგოსლავია, გერმანია, საფრანგეთი, ესპანეთი, შვეცია, იტალია, ავსტრია... მღეროდა აგრეთვე საბჭოთა კავშირის ყველა დიდი თეატრის სცენებზე.

1983-844 წლებში მოსკოვის დიდ თეატრში ამზადებს დონ-კარლოსის პარტიას ჯ. ვერდის ოპერაში „დონ-კარლოსი“.

1990 წლამდე თბილისში ნამღერი აქვს სპექტაკლებში ზემოთ ჩამოთვლილი 7 სპექტაკლის შემდეგ: ჰერცოგი – ვერდის „რიგოლეტო“; მანრიკო – ვერდის „ტრუბადური“; დონ-კარლოსი – ვერდის „დონ-კარლოსი“; რადამესი – ვერდის „აიდა“, ოტელოს პარტიები – ვერდის „ოტელო“; ხოზე – ჟ. ბიზეს „კარმენი“; ცრუ დიმიტრი – მუსორგსკი „ბორის გოდუნოვი“ და ა. შ.

მღერის მთავრობის ყველა ღონისძიებებში, საქართველოს კულტურის დღეებზე, საზღვარგარეთ. მიღებული აქვს საქართველოში არსებული ყველა ჯილდო და სახელმწიფო პრემია. საქართველოს დამსახურებული არტისტის შემდეგ საქართველოს სახალხო არტისტის წოდებები, ზ. ფალიაშვილის პრემიის, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის შოთა რუსთაველის სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდებები, ღირსების ორდენი.

და ბოლოს იგი ბათუმის საოპერო თეატრის დამაარსებელია. ალექსანდრე მოიწვია ბათუმში გიზო ჟორდანიას, დათო მუქერია, ავთანდილ ჩხენკელი, ბექარ მონავარდისშვილი. თითქმის ყველა სოლისტი-შემსრულებელი. ყველას ალექსანდრე შეუწყო ხელი და აზიარა ესოდენ დიდ და ელიტარულ ხელოვნებას.

1993 წელს ასლან აბაშიძის მიერ დაინიშნა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად.

გამოიჩინა დიდი ორგანიზატორული ნიჭი.

შემდგომ ბათუმის ყველა სპექტაკლები ალექსანდრე მოამზადებინეს. სოლისტების ჯგუფთან ერთად. ტრიუმფალურ სპექტაკლებზე დასასწრებად საქართველოს მთავრობა, ყველა სფეროს ინტელექტუალური წარმომადგენლები, მთელი თეატრალური და მუსიკალური საზოგადოება მოიწვიეს. ბათუმში სამჯერ ჩატარდა ტრიუმფალური გასტროლები ანტალიის საერთაშორისო საოპერო მუსიკის ფესტივალებზე, ჩვენი თეატრის „ოტელო“ მონაწილეობა ალექსანდრე მოამზადებინეს.

საოპერო ხელოვნება მეტად რთული პოლიფონიური ბუნების გამო დიდ მოთხოვნებს უყენებს მაყურებელს და მსმენელს. ოპერის თეატრი ქალაქის თუ რესპუბლიკის პრესტიჟის მაღალი კულტურის მაჩვენებელია, მაგრამ ქართველისთვის იმდენად გასაგები და ახლობელი, რომ მას არავითარი სპეციალური მუსიკალური განათლება არ სჭირდება, ხაზგასმით აღნიშნავდა დოცენტი ლევან აბაშიძე გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ (17 აპრილი, 1980წ.). ეს ოპერები ჩვენთვის მხოლოდ საოპერო ხელოვნების შედეგად კი არ არის, იგი ჩვენი წარსული ცხოვრების, ჩვენი ხალხის მიერ გადატანილი ღხინისა და ჭირის, ჩვენი იდეალების, ჩვევების, ხასიათის მაღალი მხატვრული განსახიერებაა“.

„ა. ხომერიკმა ჯერ კიდევ კონსერვატორიაში სწავლის პერიოდში, სულ მცირე დროში ისეთი აღიარება დაიმსახურა, რაც გამონაკლისთა ხვედრია. „ა. ხომერიკის

სახით დღეს გვყავს მზარდი, საიმედო მემკვიდრე იმ საუკეთესო ტრადიციისა, რომელიც შექმნეს მისმა სახელოვანმა წინამორბედებმა ვ. სარაჯიშვილმა, ნ. ქუმსიაშვილმა, ზ. ანჯაფარიძემ, ნ. ანდლულაძემ, ზ. ფალიაშვილმა და სხვებმა. მაყურებლის ინტერესს ა. ხომერიკისადმი ისიც აძლიერებდა, რომ დიდი ხელოვნების ძნელ გზაზე მან ფეხი აიდგა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში.

საქართველოს ჰყავდა და ეყოლება ბრწყინვალე მომღერლები, მაგრამ ქართველ მომღერლებს შორის მას ერგო წილად უფრო დიდი და მნიშვნელოვანი როლის შესრულება-ბათუმის საოპერო თეატრის დაფუძვნება. ესოდენ რთული, პოლიტიკური უანრის საოპერო თეატრის დაფუძვნება ნამდვილად „გმირობის ტოლფასია იდეალურ ხელშემწყობ პირობებშიც კი“.<sup>68</sup>

როგორც სპექტაკლების პარტიების შემსრულებელ ტენორს თავისი ვოკალური მონაცემებით, არტისტიზმით, ტემპერამენტით, ა. ხომერიკი დამსახურებული აღარებით სარგებლობს. როგორც საოპერო მომღერალს მას საინტერესო და დინამური გზა აქვს გავლილი. მისი შესრულებით არაერთხელ მოგვისმენია ყველა ის ოპერა, რაც ბათუმის თეატრმა წარმოადგინა, მას არაერთხელ გადაუწყვეტია საოპერო პრემიის წარმატების ბედი, არაერთხელ გამოთქმულა მასზე კომპეტენტურ მუსიკოსთა აზრი. ამიტომ ახალს, ალბათ, ვერაფერს ვერ ვიტყვი მის ოსტატობაზე დავძენ მხოლოდ, რომ „მსოფლიოში არ მეგულება ტენორი, რომელიც დათანხმდებოდა ზედიზედ, თითქმის დღეებგამდე ემღერა ისეთი ურთულესი პარტიები, როგორცაა აბესალომი, ბერდო, რადამესი ორჯერ: ერთ-ერთმა მისმა თაყვანისმცემელმა ქალბატონმა იხუმრა კიდევ: ალექოს ცხოვრება თურქეთის საზღვარზე საშიშია, სპილენძის იოგები არ ამოაჭრანო“.<sup>69</sup>

ახალგაზრდებისთვის ოპერაში მონაწილეობა უდიდესი შემოქმედებითი სტიმული და ოსტატობის კოლაა. ოპერა „ლეღას“ მოსმენის შემდეგ აღფრთოვანებული ბიძინა კვერნაძე აღნიშნავდა: „გაოცებას ვერ ვფარავ, როგორ მოახერხეს მოკლე დროში ვოკალის ასე დამუშავება, ამისათვის ხომ უზარმაზარი შრომაა საჭირო“.

ღირსახსოვარი იყო 1993 წლის 3 ოქტომბერი, როცა „აბესალომ და ეთერთ“ დაიწყო ბათუმის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრმა. ეს ფაქტი მართლაც სცილდებოდა ერთი კონკრეტული კულტურული მოვლენის ფარგლებს. ამ საყოველთაო სასოწარკვეთის უამს. ეს იყო დიდმნიშვნელოვანი აქცია – ფალიაშვილის ღვთაებრივმა მუსიკამ დათრგუნული სული გაუმხნევა, შვება მოჰგვარა ადამიანებს.

ალექოს დამსახურებაა, რომ ბათუმის საოპერო თეატრში კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი – ვოკალური ხელოვნების ოსტატების, განსაკუთრებით ახალგაზრდა ვოკალისტების მოწვევას.

ალექო ხომერიკზე არაერთხელ გამოთქმულა კომპეტენტურ მუსიკოსთა აზრი. ზოგიერთ მათგანს მოგაწოდებთ:

აკაკი ვასაძე (ოპერა „ლეღას“ მოსმენის შემდეგ): – „ვაშა თქვენს თეატრს, მთელ კოლექტივს ალექო ხომერიკის მეთაურობით“;

ანტონ წულუკიძე („აიდას“ პრემიერის შემდეგ): – „ალექო ხომერიკს კარგად ვიცნობდი, იგი მსოფლიო ეტალონების დონეზეა“;

<sup>68</sup> გაზ. „საბჭოთა აჭარა“ 17 აპრილი 1980 წ.

<sup>69</sup> ნანა ქავთარაძე, „ლიტერატურული საქართველო“, 1995, 19.05, გვ. 13.

ბიძინა კვერნაძე – „აღეკო ხომერიკზე არაფერს ვამბობ, მას ჩემი წარდგენა აღარ სჭირდება...“;

გურანდა გაბუნია – „აღეკო ხომერიკისგან არ მიკვირს, რადგან აღიარებული ვარსკვლავია...“;

ლაშა თაბუკაშვილი – „ბატონი აღეკო და ქალბატონი ცისანა თავისთავად ჩვეულ სიმაღლეებზე არიან...“;

ჟან-პოლ-გობელინი – „ვატიკანის წმინდა საყდრის ელჩი საქართველოში – „ქართველ ხალხს შეუძლია შექმნას დიდი ხელოვნება... ბრწყინვალეა!... ეს კიდევ ამტკიცებს, რომ საქართველოს და დასავლეთ ევროპას შორის კულტურულ კავშირს დიდი ისტორია აქვს“.

ანზორ ერქომაიშვილი – „აღეკო ხომერიკი გამოცდილი ოსტატია უკვე და ერთ-ერთი უბრწყინვალესი ტენორია არა მარტო საქართველოში. მისგან ბევრს ველოდებით, მაგრამ ახლაც უდიდეს წარმატებებს მიაღწია და ქართული ვოკალური სკოლა გაამდიდრა თავისი რეპერტუარით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით“.

## მარინა ჯახუტაშვილი

ბათუმის საოპერო თეატრის პრიმა მომღერალი

დაიბადა 1957 წელს, ქ. ბათუმში, მსახიობების: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული არტისტების ლეილა გურულაშვილის და თამაზ ჯახუტაშვილების ოჯახში.

დაამთავრა ბათუმის №1 ქართული საშუალო სკოლა. პარალელურად სწავლობდა ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სკოლაში სასწავლებლის თეორიულ განყოფილებაზე – ფორტეპიანოს სწავლობდა ჩემთან, ამ წიგნის ავტორთან.

მარინასთან ჩემი პედაგოგიური ურთიერთობა არ იყო ჩვეულებრივი. მეტსაც ვიტყვი, ყველასგან განსხვავებული იყო. გაკვეთილზე პირველმა შემოსვლამ მისდამი განმაწყო განსაკუთრებული კეთილგონივრული ამაღელვებელი გრძნობით. არაჩვეულებრივად ლამაზმა გარეგნობამ, ნიჭიერებამ, მზერამ და საოცრად მიმზიდველმა შინაგანმა ძალამ ჩემში პედაგოგის ინტერესი აამაღლა. ფორტეპიანოსთან შესებაც ბუნებრივი მონაცემებით გამოიკვეთა. აშკარად ჩანდა დიდი პერსპექტივის და შესაძლებლობის მოსწავლესთან მქონდა ურთიერთობა. კიდევაც ვუთხარი: „მარინა, მართალია თეორიულ განყოფილებაზე სწავლობ და დიდ ინტერესს ავლენს სიმღერისადმი, მაგრამ შენში იგრძნობა ფორტეპიანოზე დაკვრის მთელი კომპლექსი: განსაკუთრებული მიდრეკილება, მხატვრული სახეებით აზროვნების უნარი, ფანტაზიის ნიჭი, კარგი მუსიკალობა, სმენა, რიტმი, მეხსიერება და რაც მთავარია პიანისტური საშემსრულებლო მონაცემები. იქნებ უფრო სერიოზულად იფიქრო ფორტეპიანოზე.“

მარინას ბავშვობიდანვე იტაცებდა ესტრადა. მონაწილეობდა გოგონათა ანსამბლ „იალქანში“ ვახტანგ გორდაძის (მეტსახელად პატარა პეტერსონის), ყოფილი ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის კურსდამთავრებულის ხელმძღვანელობით. ანსამბლმა გაიმარჯვა კონკურსში „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. რის შემდეგაც კონცერტებით

მოგზაურობდნენ თბილისში, კიევიში, ბულგარეთში... ანსამბლს ხშირად იწვევდნენ მუსიკალურ გადაცემებში. კერძოდ, იგი მონაწილეობდა კონკურსში „Шире круг „ – ნოვოროსისკში, „მცირე მიწაზე“. ცნობილმა კომპოზიტორმა ბ. პახმუტოვმა მარინას სიმღერით აღფრთოვანებულმა წამოიძახა: „გამატანეთ ეს ბავშვი ვარსკვლავად გავხდი“, აღნიშნულმა ფრაზამ მარინაში ვოკალური ხელოვნებისადმი დიდი სტიმული და დიდი სიყვარული აღძრა. „სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მისაღები გამოცდები ცააბარა თბილისის კონსერვატორიაში პროფესორ მედეა გაბუნიასთან.

1984 წელს დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახეკლმწიფო კონსერვატორია. გამოსაშვებ გამოცდაზე იმდენად შთამბეჭდავად იმღერა, რომ ზურაბ ანჯაფარიძის, ცისანა ტატიშვილის, დირიჟორ დიდიმ მირცხულავას, საოპერო სტუდიის ხელმძღვანელის ნოდარ ჯაფარიძის მოთხოვნით და ეკომენდაციით დაიტოვეს სტუდიაში, სადაც მაროს სოლი შეასრულა პრემიერა „დაისში“, რვეაზ ტაკიძის დირიჟორობით და „ტრავიატაში“ ვიოლეტას როლი, გივი ახმაიფრაშვილის დირიჟორობით.

მარინა ჯახუტაშვილი, ალექო ხომერიკის რეკომენდაციით ჯანო კახიძემ და რობერტ სტურუამ ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტეს“ „პარაფრაზებში“ მიიწვიეს, რომელსაც მოგვიანებით „ბარბარე“ დაერქვა. ქეთოს როლის შესასრულებლად, სადაც პარტია კალარატურისათვის იყო დაწერილი, მარინას ლამაზმა ხმამ, გარეგნულმა მომხიბვლელობამ ქეთოს კადენციები სოპრანოზე გადმოიტანეს.

ჯანსუღ კახიძის და ალექო ხომერიკის თხოვნით მონაწილეობდა 1985 წელს ბათუმის საოპერო ფესტივალში. ზურაბ სოტკილავამ, მოსმენის შემდეგ აღფრთოვანებულმა, მოსკოვიდან დარეკა: „მე ვაძლევ მარინა ჯახუტაშვილს რეკომენდაციას სტაჟირებაზე დიდ თეატრში, ცნობილ მომღერალ პაველ გერასიმოვიჩ ლისიციანთან(ბარიტონი)“. ჰ. ლისიციანი ცნობილი მომღერალი გახლდათ, რომელიც ამავე დროს კითხულობდა ლექციებს ნიუ-იორკში, საფრანგეთში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში – ვაიმარში და კიოლნში.

მარინა პაველ გერასიმოვიჩ ლისიციანმა პირველმა გაიყვანა ვაიმარის კონსერვატორიაში ღია გაკვეთილზე, როცა სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მარინა ჯახუტაშვილმა შეასრულა ტოსკას არია პუჩინის ოპერა „ტოსკა“-დან. აღფრთოვანებული მსმენელი ოვაციებით, იატაკზე ფეხების ბრახუნით დიდხანს სცენიდან არ უშვებდა ვირტუოზულ შემსრულებელს.

მოსკოვში საგასტროლოდ ჩამოსული, ლასკალის სპექტაკლებისა და კოცერტების ცნობილი ტენორი ბერგონცი მარინას სიმღერით აღფრთოვანებული იწვევს, ბეთჰოვენის სახელობის დარბაზში, სადაც მარინა დიდი წარმატებით გამოდის – მას 3-ჯერ ამეორებინებენ ტოსკას არიას.

გერმანელმა იმპრესარიომ (ბერლინში) მოისმინა და მიიწვია იგი ორთვიან გასტროლებზე გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, შვეიცარიაში და ავსტრიაში ჩატარდა 40 კონცერტი.

ბეთჰოვენის საზოგადოების მიწვევით ზ. ანჯაფარიძემ მარინა ჯახუტაშვილს მოამზადებინა ორგანოფილებიანი კონცერტი რომში, სიცილიაში და კროტონეში. კონცერტებით მოხიბლულმა რომის ფილარმონიის თეატრი მთავარმა დირიჟორმა არმანდო კრიგერმა ხელშეკრულება დაუდო მ. ჯახუტაშვილს ვერდის „რეკვიემის“ და



ვერდის „ოტელოს“ შესრულებაზე. დასაბამია, რომ ოჯახური მდგომარეობის გამო ვერ მოხერხდა მისი გამგეზავება.

1985 წელს ქალბატონი მარინა ამიერკავკასიის ვოკალისტა და ინსტრუმენტალისტა კონკურსის ლაურეატი ხდება ქ. ბაქოში, 1991 წელს იტალიის ქ. კალტანისეტაში – ბერლინის სახელობის კონკურსის დიპლომატი. 1993-1994 წწ. ყოველწლიური კონკურსის „სეზონის საუკეთესო სცენური ნაწარმოების“ მიერ. მ. ჯახუტაშვილი „აბესალომ და ეთერი“ საუკეთესო როლის (ეთერის) განხორციელებისათვის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა დააჯილდოვა დიპლომით.

1998 წლის 20 აპრილს მ. ჯახუტაშვილს მემედ აბაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატის საპატიო წოდება მიენიჭა.

1990 წელს მარინა ჯახუტაშვილმა ჯანსუღ კახიძესთან ერთად მოსკოვში პირველმა შეასრულა ვერდის „რეკვიემი“ ჩაიკოვსკის სახელობის დარბაზში და კონსერვატორიაში.

სტაჟირებიდან დაბრუნების შემდეგ თბილისში ოდისეი დიმიტრიადის ღირსშესანიშნო შეასრულა ტატიანას როლი ჩაიკოვსკის ოპერიდან „ევგენი ონეგინი“, – დეზდემონას როლი „ოტელო“-დან ნ. ჯაფარიძის ღირსშესანიშნო, კონსულტანტი გახლდათ ზურაბ ანჯაფარიძე.

ოპერა „დაისი“-დან მაროს როლი შეასრულა დიდიმ მირცხულავას ღირსშესანიშნო; კონცერტმაისტერები: ა. ჩოჩივა, ნ. რუხაძე (ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის კურსდამტავრებულები). ზ. ანჯაფარიძის კონსულტაციით ოპერიდან „აბესალომ და ეთერი“ მოამზადა ეთერის როლი, ღირსშესანიშნოდა ჯანსუღ კახიძე.

აი, რას იგონებს ქალბატონი მარინა: „თბილისის ოპერაში მისვლისთანავე ვგრძნობდი უფროსი თაობის მომღერალთა თანადგომას, რაც თავისთავად ჩემში დადებით ემოციებს იწვევდა.

არ შემიძლია არ აღვნიშნო ჯანო კახიძისა და რობერტ სტურუას ის დიდი მხარდაჭერა, რასაც ვგრძნობდი თეატრში შესვლისთანავე“.

1997 წლის 23 დეკემბრის გაზეთ „კულტურას“ კორესპონენტთან გასაუბრებისას განაცხადა, რომ კრიტიკული ფინანსური მდგომარეობა გამოწვეულია ჩვენს ქვეყანაში შექმნილი რთული ეკონომიკური ვითარებით, მაგრამ აქვე არ შემიძლია ხაზი არ გაგუსვა იმას, რომ ის დიდი მხარდაჭერა, რაც გამოიჩინა ბატონმა ასლან აბაშიძემ ჩვენი თეატრის მიმართ, და არა ამარტო ჩვენი თეატრის მიმართ“.

ლანა ქავთარაძე – ცნობილი მუსიკათმცოდნე აღნიშნავს: „მისასაღმებელია, რომ ბათუმის საოპრო თეატრმა თავისი პოტენციური შესაძლებლობები ახალგაზრდა სოლისტების ხელოვნებით წარმოგვიდგინა. მათ შორისაა ბათუმელი მ. ჯახუტაშვილი – კარგი ვოკალური და არტისტული მონაცემების მომღერალი, ალბათ არ იყო იოლი თბილისელი მსმენელების წინაშე ამ პარტიების შესრულება ჩვენგან ნაადრევად წასული ბრწყინვალე ხმისა და არტისტიზმის მქონე მათ თომასის შემდეგ, რომელიც ა. ხომერიკის შესანიშნავი პარტნიორი იყო. სწორედ „აბესალომ და ეთერი“ „ლელაში“ და „აიდაში“, გამოგიტყდებით, პირველი წუთების გადაღახვა ბევრს გაუჭირდა, იმდენად

შემორჩა მეხსიერებას მაიას ტემბრი და ხმის იშვიათი ფილირება, მაგრამ ჯახუტაშვილმა შესძლო მსმენეის სიმპათია მოეპოვებინა”.<sup>70</sup>

**მარინა ჯახუტაშვილის საშესრულებლო ვოკალის მიმართ გამოთქმული შთაბეჭდილებები:**

ვაჟა აზარაშვილი: – „მიხარია, რომ ახალი სახეები – ზაზა ხამატაშვილი, მარინა ჯახუტაშვილი გამოჩნდნენ”.

გურანდა გაბუნია: – „არ შემიძლია არ აღვნიშნო მარინა ჯახუტაშვილის წარმატება. იგი ნამდვილად ამომავალი ვარსკვლავია”.

ეთერ გუგუშვილი: – „მახარებს ახალგაზრდა მომღერლების წარმატება, განსაკუთრებით ანონასროს და აიდას პარტიების შესრულებლებისა”.

ანტონ წულუკიძე: „მარინა ჯახუტაშვილი ნამდვილი მარგალიტია საოპერო ხელოვნებისა”.

1995 წლის 22 მარტი გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა”, „ბათუმი ინახავს და ამოქმედებს საქართველოს საოპერო პოტენციას”. სტატიის ავტორი გიორგი ლალიაშვილი აღნიშნავს, რომ „როგორც ტექნიკური, ისე მხატვრული თვალსაზრისით აიდას რთულ პარტიას შესანიშნავად გაართვა თავი მარინა ჯახუტაშვილმა. მისია იდა ჭეშმარიტი მონაპოვარია ჩვენი საოპერო ხელოვნებისთვის. მისი მონოლოგი თუ დიალოგი ვოკალური ხელოვნების საუკეთესო თცვისება – ხმის მომხიბვლელი ტემბრი და ძალა, ელვარე ვოკალური გრადაციები”.

იტალიის ქალაქ კროტონეს გაზეთი „ახალი ამბები”. „სოპრანო ჯახუტაშვილი „ორფეო სტილოს კონცერტზე. ხმა საქართველოდან”. ტექსტი სრულყოფილად მომყავს. „1994 წლის 24 სექტემბერს, შაბათ დღეს, „ორფეოს სტილის” მუსიკალურ დარბაზში უნდა შემდგარიყო ლამაზი მუსიკის კონცერტი, შესრულებული ახალგაზრდა მსახიობების მიერ, ეს ვიცოდით, მაგრამ თუ ჩვენს წინაშე წარსდგებდა ასეთი ავტორიტეტული სამსახიობო გამოვლინება, ამას კი აღარ მოველოდით.

როგორც ცნობილია, მომღერლები თავისებურ კატეგორიას წარმოადგენენ, ლამაზი კონცერტის ჩასატარებლად უნდა გააჩნდეთ მთელი რიგი ხელშემწყობი პირობები: დარბაზის კარგი აკუსტიკა, კარგად აწყობილი ფორტეპიანო და ა.შ.

სოპრანოს რომელსაც შევხვდით შაბათს, მარიამ ჯახუტაშვილს, ღირსეულ თანმხლებულს, პიანისტ ზაზა პატარაძეს, არ გააჩნდათ ეს პრობლემები. იშვიათად თუ მოისმენთ ასეთ ხმას, მდიდარს კეთილხმოვანებით, თბილს, მოქნილს, ნაირფერებით შეძკულს, შესანიშნავი მაღალი თუ დაბალი რეგისტრის ლამაზი ქღერადობით, რასაც თან ახლავს განსაცვიფრებელი ტექნიკა, აუღერებელი დრამატული ინტერპრეტაციით, მომღერალმა შესძლო მრავალი პერსონაჟის განსახიერება, იმგვარად, თითქოს ეს სახეები მსახიობებთან ერთად დაბადებულყვნენ. მისი ახალგაზრდა ასაკი კონტრასტს ჰქმნიდა იმ მოწიფულობასთან, რომლითაც იგი გამოხატავდა შესრულებული ნაწევრების ყოველ ფრაგმენტს.

<sup>70</sup> ნანა ქავთარაძე. „ბათუმის საოპერო თეატრის გასტროლები თბილისში». გაზეთი „ლიტერატურული საქართველო”. 1995. 12.19.05

დასრულებული, ავტორიტეტული მსახიობი, რომელსაც შესაშურიც კი არ შეიძლება დაჰქონოდა ისეთი ცნობილი და სპრობირებული მსახიობების, როგორებიც არიან: კატია რინასელი, რაინა კაბაივანსკა და სხვები, მუსიკის მოყვარულებით სავსე დარბაზმა ნამდვილი ოვაციებით მსახიობები ღირსეულად შეამკო.

პროგრამა შედგებოდა საოპერო არიებისგან: პერგოლეზი „სტაბატ მატერ“, „კატალანი ე ვალი“, „ე. ბენ...“, ბოიტო „მეფისტოფელიდან“ – „მარგარიტას სიკვდილი“, ჯ. ვერდინ „ოტელოდან“ IV აქტი – „ტირიფი“, „ბალ-მასკარადი“-დან „აი, უკაცრიელი ველი“, „ბედის ძალიდან“ – „პაჩე“, „ბელინის ნორმა“ – „კასტა დივა“, კერესელიძის „ვედრება“, პუჩინის „ბოჰემიდან“ – „მე მქვია მიმი“, „ჯანი სკიკიდან“ – „ლაურეტას არია“, „მადამ ბანარფლაიდან“ – „შენ... შენ“, „ბოჰემიდან“ – „მშვიდობით“, „მანონ ლესკოდან“ – „მარტოდ მარტო, დაკარგული, მიტოვებული“, „ჩიო-ჩიოსანიდან“ – „უნ ბელ დი ვედრემო“.

ჯახუტაშვილი ვოკალის ოსტატია, ყველაზე სახელგანთქმულ მომღერალსაც კი შეშურდება მისი სულის სიღრმიდან გამოსული ბგერა. უნდა ითქვას, რომ თუ ქართველი მსახიობები იმგვარვე არიან, როგორც მარიამ ჯახუტაშვილი და ზაზა პატარიძე, ვიმყოფებით დიდი სკოლის წინაშე, რომელიც ჩვენთვის აღმოჩენას წარმოადგენს.

მსახიობები მიწვეულნი არიან საშემოდგომო კონცერტებზე, რომელსაც აწყოფს ბეთჰოვენის საზოგადოება, კერძოდ 1994 წლის 5 ნოემბერს კვლავ შევხვდებით მათ.

პირველი განყოფილების შემდეგ, სიტყვით გამოვიდა მომღერალი, პედაგოგი – მარინა გოგორიშვილი, რომელიც მთარგმნელობით საქმიანობას უწევს მას. გამოთქვა ღრმა პატივისცემა თავიანთი ქვეყნის პრეზიდენტისა და ჩვენი ქალაქის კროტონეს ზოგიერთი პიროვნებების მიმართ, რომელთა შორისაც ბრძანდება ბატონი სერკო ირიტალე და ისაუბრა მრავალი კულტურული წამოწყების გარშემო, რომელიც უნდა გაეხას ამ ორ წარჩინებულ ქვეყანას შორის. (იტალია ქ. კროტონეს „ახალი ამბები“).

თავად ქალბატონი მარინა ბათუმში ოპერის თეატრში მუშაობასა და ვოკალისტ-მომღერლისთვის აუცილებელ მიზანზე აღნიშნავს, რომ – როგორც ყველა ოპერის თეატრში, ასევე ჩვენთან, საოპერო რეპერტუარის შერჩევა ხდება სამხატვრო ხელმძღვანელის ალექო ხომნერიკის მიერ. დღემდე მისი ყველა არჩევანი ერთდერთ სწორ გადაწყვეტილებად მიმაჩნია. რეპერტუარის შერჩევის შემდეგ სოლისტები ნაწილდებიან კონცერტმაისტრებთან პარტიების შესასწავლად. შემდეგ მუშაობა გრძელდება რეჟისორთან ბატონ ვრ. ჟორდანიასთან და დირიჟორთან დავით მუქერიასთან.

რა თქმა უნდა საოპერო სცენაზე მომღერალმა დიდი მნიშვნელობა უნდა მიანიჭოს საკონცერტო პროგრამასაც. ყველაზე უფრო თვალნათლივ სწორედ ამ ჟანრში ვლინდება ვოკალისტის შესაძლებლობები. იხვეწება და მდიდრდება შემსრულებლის სასიმღერო ტექნიკა. აქედან გამომდინარე, პროფესიონალიზმი. აქვე თავს იჩენს ახალი პრობლემაც – სპექტაკლები იდგმება არცთუ ისე ხშირად. მომღერლებისთვის სიმღერა ცხოვრების შემადგენელი ნაწილია და ყველა კონცერტსა თუ სპექტაკლზე გამოსვლა დღესასწაულის, ახალი ცხოვრების დაწყების საწინდარია, რაც უფრო ფართო იქნება მომღერლისთვის საკონცერტო რეპერტუარი მით უფრო მრავალფეროვანი და მისაღები იქნება მსმენელისთვის.

საოპერო შესრულებას ბევრი დამხმარე ფაქტორი გააჩნია – ორკესტრი, დეკორაციები, ჩაცმულობა, პარტნიორები, გუნდი... სოლოს დროს კი, მარტოდმარტო დგახარ სცენაზე და ყოველი შეცდომა, ხარვეზი ათმაგად უფრო მკაფიოდ ჩანს.

კარგი მომღერლისთვის აუცილებელია ფლობდე შენ ხმას. გქონდეს კარგი ტექნიკა, და რაც მთავარია, უნდა იცოდეს, რა მასშტაბების არის შენი შესაძლებლობები. მოკლედ, უნდა იყო შენი საქმის პროფესიონალი ამ სიტყვის სრული გაგებით.

ქალბატონი მარინა დიდ მადლობას გამოხატავს ქართული საოპერო სკოლის კორიფეებზე: „ჩემი პირველი საკონცერტო გამოსვლა პროფესორ ნოდარ ანდღულაძის და კონცერტმაისტერის მარინა მეტრეველის დიდი დახმარებით შედგა. მოსკოვში სტაჟირებას კი ვუმაღლი ზურაბ სოტკილავეს. დიდ დახმარებას მიწევდა მაყვალა ქასრაშვილი.

ბოლო პერიოდის თბილისის საოპერო სცენაზე განხორციელებული როლები მთლიანად ზურაბ ანჯაფარიძის ხელმძღვანელობით შევქმენი. მასთან ერთად მოვამზადე სოლო-კონცერტი იტალიისათვის. ბედნიერად მიმაჩნია თავი, მათთან ურთიერთობით”.

1993 წლიდან იგი ალექო ხომერიკმა მიიწვია ბათუმში ოპერაში.

„ბათუმის პერიოდში ჩემი მოღვაწეობა უკავშირდება ალექო ხომერიკს – ოპერის სამხატვრო ხელმძღვანელს და მთავარ კონცერტმაისტერს მარინა დარჯანია-ხომერიკსა. ჩემი ხელოვნება როგორც მომღერლისა კიდევ უფრო დაიხვეწა მათ ხელში, მათთან მეცადინეობით. მე დიდი ბედნიერი ვარ მათთან მუშაობით.

ბათუმის ოპერის თეატრში დღეისათვის ჩემთვის ყველაზე საყვარელი ახალგაზრდა დირიჟორებიდან უნიჭიერესი და დიდი პროფესიონალია დავით მუქერია, რომელთანაც დაკავშირებულია ჩემი ყველა სპექტაკლზე 1993 წლიდან დღემდე, მუშაობა. ჩვენ ერთმანეთს შესანიშნავად ვგრძნობთ სცენაზე და ერთი შეხედვით ვიცით თუ რა უნდა გააკეთოთ მუსიკაში, თითოეულ ფრაზებში, ხოლო როგორც რეჟისორ ბატონ გიზო ჟორდანიას ვუმაღლი ჩემს სამსახიობო ნიჭის გამოვლენას, გემოვნების დახვეწას. მე მასთან მუშაობით ბედნიერი ვარ.

განსაკუთრებით მინდა აღვნიშნო დეზდემონას როლი ვერდის ოპერაში „ოტელო“. როგორც ცნობილია მეოთხე აქტის არია ბევრი მსმენელისთვის მოსაწყენია, მაგრამ ბატონმა გიზომ ის სცენიურად ისე გამართულად და საინტერესოდ დადგა, რომ არა მხოლოდ მსმენელს არამედ ჩემთვისაც საინტერესო გახდა”.

ქალბატონი მარინა აღტაცებით ყვება ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის ანტალიაში მიწვევაზე ფესტივალში ვერდის უკვდავი ოპერით „ოტელოთი“. სპექტაკლს უდიდესი წარმატება ხვდა. 30 წუთის განმავლობაში ტაშს უკრავდა მაყურებელი, ოვაციები არ წყდებოდა. ეს იყო დიდი ტრიუმფალური გამარჯვება, ყველას გამარჯვება, ჩვენი თეატრის და საერთოდ, სრულიად საქართველოს გამარჯვება.

ქალბატონი მარინა ჯახუტაშვილი თავის მაღალ საშემსრულებლო გამოცდილებას გადასცემს ახალ თაობას. ის დიდ მაყოფიერ პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწევა ბათუმის კონსერვატორიაში, პარალელურად ვოკალური ფაკულტეტის კათედრის გამგეა.

ხელოვნება მუდმივი შემოქმედებითი სრულყოფის პროცესია და ჩვენ საამაყო ქალბატონ მარინას ბედნიერად ევლოს კვლავაც ამ გზით ჩვენი ეროვნული კულტურის სადიდებლად.

და ბოლოს 2016 წელს მუსიკოს-მსმენელის წინაშე დაიდგა პუჩინის ოპერა „ტოსკა“. ქ. მარინას დაუღალავი შრომისა და ბრძოლის შედეგად პირველად საოპერო სტუდიის კოლექტივი მსმენელის წინაშე წარსდგა, როგორც საოპერო დასი. ეს დიდი გამარჯვებაა.

### დავით მუქერია

თბილისის კონსერვატორიის საორკესტრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დათო ისე შევიდა კონსერვატორიაში ოდისეი დიმიტრიადის კლასში, სადაც ეუფლებოდა როგორც საოპერო ისე სიმფონიურ ჟანრს. დათოსათვის ნამდვილი სკოლა სახელმწიფო ორკესტრი იყო, სადაც მამის უშუალო ხელმძღვანელობით, ცნობილ დირიჟორებთან ურთერთობაში, შეუპოვრად ეუფლებოდა სპეციალობას. 30 წლისამ მეორედ დაამთავრა კონსერვატორია. ერთ ხანს, ორკესტრანტობის პარალელურად, ასისტენტად მუშაობდა ბატონ ჯანსუღ კახიძესთან და სხვა დირიჟორებთან.

ბატონმა დავითმა ერთ-ერთ საუბარში აღნიშნა: „როცა ორკესტრის მსახიობები გრძნობენ შენს უნარს, რომ შეგიძლია ერთიანობის დამყარება, ცალკეული ინსტრუმენტებისა და ჯგუფების ერთ მონოლითურ ორგანიზმად შეკვრა, როცა ხედავენ, რომ შენი ხელი მელოდიაში რომელიმე ინსტრუმენტის, ან ჯგუფის შესვლას კი არ აფიქსირებს, არამედ თავადაც მღერის, ხოლო ჰაბიტური გამომეტყველება მთელი არსებით სრულ ჰარმონიაში მუსიკასთან, რასაკვირველია, დაგიჯერებენ, გირწმუნებენ, აენთებიან და თან გამოგყვებიან“.

1987 წელი. ახალგაზრდა მუსიკოსი აჭარის სიმფონიური ორკესტრის მთავარ დირიჟორად ინიშნება. მაშინ ეს ორკესტრი არსებობის ათ წელს ითვლიდა. დათოს მუსიკალურმა ნიჭმა, შემოქმედებითმა, ორგანიზაციულმა უნარმა სიმფონიური ორკესტრი სრულ წესრიგში მოიყვანა. ბატონი დავითი თვლის: „მთავარი დირიჟორი ცხოვრებაშიც მოწესრიგებული უნდა იყოს, გულისხმიერი, მაქსიმალურად ყურადღებიანი თითოეული ორკესტრანტის მიმართ. უნდა შეეძლოს გაითავისოს მუსიკოსთა პირადი პრობლემები, ძალისხმევა არ დაიშუროს მათი მოგვარებისათვის“.

ყოველივე ამ ორგანიზაციული საკითხის მოგვარების შემდეგ თავი და თავი გახლდათ ორკესტრის სრულყოფილად დაკომპლექტება, ინსტრუმენტების შოვნა, რეპერტუარის შერჩევა, კონცერტების დაგეგმვა, სოლისტების მოწვევა, ორკესტრთა საშემსრულებლო ხელოვნების ამაღლება, სიმფონიური მუსიკის პროპაგანდა, მასობრივი მსმენელის ესთეტიკური გემოვნების ამაღლება, მუსიკის მოყვარულთა სულიერი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება. რასაც აღწევდა როგორც ქალაქში, ისე აჭარის რაიონულ ცენტრებში ლექცია-კონცერტების ჩატარების ლექტორ-მუსიკისმცოდნე გურამ საღარაძესთან ერთად განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გახლდათ აქტიური თანამშრომლობა სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგებთან. ერთი სიტყვით დიდი სიყვარულით, თავდადებით მუშაობდა მთავარი დირიჟორი მსმენელის მოსამზადებლად,

დიდი დროც არ დასჭირდა რომ კოლეგებში და მსმენელში დიდი სიყვარული დაემსახურებინა.

... და 1993 წლის გაზაფხულზე ბატონი ალექო ხომერიკი, დათოსთვის მოულოდნელად, მას მთავარი დირიჟორის თანამდებობაზე იწვევს.<sup>71</sup>

„... ამ დიდი ნდობისა და დაფასებისათვის, მთელი ჩემი სიცოცხლის მანძილზე მაღლიერი ვიქნები ალექო ხომერიკისა“ – განაცხადა ბატონმა დათომ.

დაიდგა ზ. ფალიაშვილის უკვდავი „აბესალომ და ეთერი“. საინტერესოა თვალსაჩინო მუსიკათმცოდნე ანტონ წულუკიძის შეფასება; „აბესალომს დავით მუქერია მართავს ოპერის დინამიკური ხაზის უტყარი შეგრძნებით. განსაკუთრებული ეფექტით, ერთიანი სუბნტექვით და ჰეროიკული აღზევების გაბრწყინებით ჟღერდა სიხარულის ჰიმნი „ჩაკრულო“ – საუცხოო სოლისტებითა და გუნდით, ორკესტრთან ერთად მათი უტყუარი ჰარმონიულობით...“

ასეთივე ტრიუმფით დაიდგა რ. ლალიძის „ლელა“. დირიჟორი გივი აზმაიფრაშვილი აღნიშნავდა: „...არ შემიძლია განსაკუთრებით არ გამოვეყო დირიჟორ დავით მუქერიას ხელოვნება. მან ბრწყინვალედ წაიყვანა სპექტაკლი – ტემპერამენტით, ღრმა ცოდნითა და ერთგულებით. მისი სახით პერსპექტიული დირიჟორი გვყავს.“

„... საერთოდ მუსიკალური დონე ძალიან მაღალი, რაც დირიჟორ დავით მუქერიას და ქორმაისტერ ავთანდილ ჩხენკელის დამსახურებაა. კარგად არის გახსნილი მუსიკალური სახეები, ორკესტრი გამომსახველია, შესანიშნავად ჟღერს გუნდი“.

ანზორ ერქომაიშვილი: „... არ შემიძლია ორი სიტყვა არ ვთქვა მთავარ დირიჟორზე დავით მუქერიაზე, რომელიც საქართველოს ერთ-ერთი საუკეთესო მუსიკალური ოჯახის წარმომადგენელია... იგი საუკეთესო დირიჟორთა რიგებში დგება... მე, პირადად, აღფრთოვანებული ვარ მისი ნამუშევრით“...

და... „აიდა“, მსოფლიოს საოპერო მუსიკის ერთ-ერთი გვირგვინი ანტონ წულუკიძე: „... ეს არის მუსიკის ღრმა გრძნობით, სიზუსტით განხორციელებული სპექტაკლი. დირიჟორი დავით მუქერია ნიჭიერებასთან ერთად ამჟღავნებს თავგამეტებულ შრომისმოყვარეობას, ხუმრობა ხომ არ არის შეაერთო და ამ დონეზე აიყვანო სხვადასხვა კოლექტივი – კაპელა, ხალხური სიმღერების შემსრულებელი ჯგუფი, ამ საქმეში დავით მუქერიას და მთავარი ქორმაისტერის ავთანდილ ჩხენკელის როლი ძალიან დიდია“.

გურამ საღარაძე: „... აი, დღეს, საოპერო ხელოვნების მწვერვალი ურთულესი სპექტაკლი „აიდა“ შესრულდა... ასეთი ნაწარმოების წარმოდგენა მსოფლიოში განთქმულ ოპერის თეატრებს უძნელდებათ ხოლმე... შესანიშნავად გაკეთდა ყველაფერი. ორკესტრზე და გუნდზე ორი აზრი არ არსებობს, გუნდი პირველია, უმაღლეს დონეზეა...“

ოპერა „ოტელომ“, სპექტაკლებმა, არა მარტო ჩვენში, არამედ ანტალიაში საოპერო ფესტივალზე უდიდესი წარმატება მოიპოვა. მსმენელი აღფრთოვანებას გამოხატავდა. ეს იყო მთელი საოპერო დასის ტრიუმფალური გამარჯვება, დათო მუქერიას გამარჯვება, ჩვენი თეატრის, და საერთოდ, სრულიად საქართველოს გამარჯვებაა.

<sup>71</sup> ა. ზამბახიძე, აღმასვლა. გაზეთი „საბჭოთა აჭარა“, 1995. 25. 02. გვ. 6.

## ნოდარ ვარშანიძე

ბათუმის ოპერის თეატრის სოლისტი

„იყო საუკეთესო და თანაც ერთადერთი,

ეს უკვე დიდი შეცდომაა”

გთავაზობთ 2003 წლის 7 თებერვლის გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნებულ ინტერვიუს ნოდარ ვარშანიძესთან, რომელიც ჩაიწერა კორესპონდენტ მანანა თავდგირიძემ. მოგვყავს სრული ტექსტი უცვლელად.

– დავამთავრე ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის მუსიკალური სასწავლებელი. სასკოლო ასაკში ვმღეროდი ვაჟთა ფოლკლორულ ანსამბლ „ორნანოში“. საესტრადო მოღვაწეობა ცისფერ ტალღაში დავიწყე. განათლებას ვიღებდი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში მათემატიკის სპეციალობაზე. რომლითაც სამი წელი ვიმუშავე, 1980 წლიდან სწავლა გავაგრძელე თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიაში პროფ. ნოდარ ანდლუღაძის კლასში, იმდენად სერიოზული პროგრამა წარვადგინე, მესამე კურსზე ჩამრიცხეს.

– წარმატებით იმთავითვე განებივრებული იყავით?

– ანსამბლ „ადილაში“ სერიოზულად ვმუშაობდით. წარმატებაც მოვიდა. 1973 წელს გავიმარჯვეთ მოსკოვში გამართულ პრესტიჟულ კონკურსში „ჩვენ ვეძებთ ტალანტებს“. პირველი პრემია და ლაურეატის წოდება მოვიპოვეთ. ეს დიდი გამარჯვება იყო. 1974 წელს იმავე კონკურსში, ოღონდ სახეშეცვლილში ახალგაზრდულ ხმებში როგორც ინდივიდუალურმა შემსრულებელმა გავიმარჯვე. ლაურეატი გავხდი. სამასსოვრო იყო 1975 წელიც. ქუთაისში ჩატარდა საკავშირო სტუდენტური გაზაფხული 75“, რომელშიც ჩემს მიერ დაარსებულმა ანსამბლმა „ზღვის ვარსკვლავმა“ მიიღო მონაწილეობა. ხუთი დასახელების ჯილდო ერგო ანსამბლს, მეც ბევრი საჩუქარი წამოვიღე. 1980 წელს ავიღე პირველი ხარისხის პრემია და ლაურეატის წოდება რესპუბლიკურ კონკურსში „ახალგაზრდობა და პროგრესი“, რომლის ჟიურის თავმჯდომარე იყო სსრკ სახალხო არტისტი ზურაბ ანჯაფარიძე. 1981 წელს ამიერკავკასიის საოპერო შემსრულებელთა კონკურსის ლაურეატი ვარ, ხოლო 1987 წელს მიხეილ გლინკას ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსისა. 1989-92 წლებში ასპირანტურა დავამთავრე წარჩინებით, კვლავ მოვხვდი ნოდარ ანდლუღაძის კლასში. 1990 წელს ისევ გამიხსენეს, საქართველოს დამსახურებული არტისტის წოდებაზე წარმადგინეს.

– ბათუმში თქვენი დაბრუნება რამ განაპირობა?

– ჩემს ქალაქში 1996 წლიდან ვარ, მომიწვიეს ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში სოლისტად, მაგრამ ჩემი მოღვაწეობა ამით არ შემოფარგლულა. ვარ მექედ აბაშიძის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო ინსტიტუტის პრორექტორი, ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი, მიმყავს ვოკალის კლასი და ვარ ვაჟთა ფოლკლორული ანსამბლის „ბათუმის“ სოლისტი და ქორმაისტერი.

– ბატონო ნოდარ, როგორც ცნობილია, არც ბათუმს შეურცხვენია თავი თქვენი მრავალმხრივი მოღვაწეობის შეფასებისას...

– სანამ უშუალოდ კითხვაზე გიპასუხებდეთ იმასაც აღვნიშნავ, რომ 1997 წელს (შვეიცარიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსში) ანსამბლ „ბათუმთან“ ერთად შვეიცარიაში გამართულ საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი გავხდი და მოვიპოვე მეტად პრესტიჟული გრან-პრი. 1998 წელს კი ირანის XIII საერთაშორისო კონკურსმა მოგვითანა გამარჯვება. ყოველივე ამის გამო 1998 წელს მომენიჭა მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემია, აღნიშნა მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში ჩემს მიერ შეტანილი წვლილი. 2000 წელს აბუსერიძე ტბელის სახელმწიფო პრემია მიიღო ჩემმა ნაშრომმა „ქართული-სამოციქულო ეკლესიის სახელმწიფო საგალობო ხელოვნების ისტორიისა და ზოგ თავისებურებათა საკითხისათვის“, 2001 წელს ღირსების ორდენით დამაჯილდოვეს.

– გარდა ზემოაღნიშნული წიგნისა, თქვენ ბევრი სამეცნიერო ნაშრომის ავტორი ბრძანდებით, მათგან რომელს გამოარჩევდით?

– დაახლოებით, ათამდე სამეცნიერო შრომა მაქვს გამოქვეყნებული. მათგან განსაკუთრებით აღვნიშნავდი ნაშრომებს „ქართული თეატრის სათვეებთან“ და ენრიკო კრუზო, როგორც უნიკალური მოვლენა ვოკალური ხელოვნების ისტორიაში“.

– ამ ნუსხაში სიახლეს ხომ არ პირდებით მკითხველს?

– უკვე სამი წელია ვმუშაობ „ვოკალური ხელოვნების საკითხებზე“. ალბათ სერქტემბრის თვეში გამოიცემა პროფესორ ნოდარ ანდლულაძის რედაქტორობით, სამწუხაროდ დღემდე ამ სფეროში მოღვაწეებს არ გააჩნიათ სერიოზული მეთოდური ნაშრომი, რადგანაც ვოკალურ ხელოვნებას პრაქტიკული თვალსაზრისით უყურებენ, თეორიულ საფუძვლებს კი ყურადღებას თითქმის არ თუ ვერ აქცევენ. ამ და სხვა მიზეზების გამო ვაკუმმა დღემდე მოაღწია, ვფიქრობ, ეს წიგნი ყველას დაეხმარება.

– ბატონო ნოდარ, თქვენი ცხოვრება წარმატებების, ღირშესანიშნავი მოვლენების დაუღალავი მასპინძელია, მათგან რომელს გაიხსენებდით?

– ძნელია ხელოვანი კაცისთვის არჩევანის გაკეთება, მით უმეტეს, თუ მისი საქმიანობა მრავალმხრივ საინტერესოა და მოღვაწეობა უხდება ისეთ პირობებში, როგორც აჭარაშია შექმნილი.

– თქვენ ცხოვრების კიდევ ერთ უმნიშვნელოვანესი სფეროს საქმიანობაში ჩაებით, ესმახურებით სრულიად განსხვავებულ სტრუქტურას.

– დიახ, 2001 წლიდან ვარ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პარლამენტის წევრი, საგარეო, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო, ურთიერთობათა ქვეკომიტეტის თავმჯდომარე.

– რა გაძლებინებთ ამ ძნელად გასაველელი გზის დაძლევაში

– მიმაჩნია, ბედნიერია ადამინი, რომელიც იბადება იმისთვის, რომ აშენოს, რაღაცა შექმნას. ასეთთან ძალა თავისით მოდის, ძებნა არ სჭირდება, მისგან მისთვის ენერგია უღევია – ღვთისგან დაჯილდოებული. ეს მასუღღგმულებს მეც.



– ამჟამად, რა საზრუნავის წინაშე დგახართ და თქვენი სამუშაო დღე რას ეთმობა?

– რომ არაფერი ვთქვა ხელოვნებასა და მეცნიერებაში ჩემს მოღვაწეობაზე, იყო პარლამენტის წევრი, ეს მეტად საპასუხისმგებლო საქმეა. ჩვენი უპირველესი ამოცანაა ისეთი კანონების მიღება, რომლებიც ცხოვრებაში გატარდება, ხელს შეუწყობს ჩვენი მოქალაქეების სოციალურ-ეკონომიკური პირობების გაუმჯობესებას. განსაკუთრებით გამოვეყოფი ბიუჯეტის დროულ შესრულებას და აქვე აღვნიშნავ იმასაც, რომ წელს ბიუჯეტი 219 მილიონ ლარამდე გაიზარდა. ღრმად ვარ დარწმუნებული თითოეული თეთრი მიზნობრივ ხარჯვას დაექვემდებარება, როგორც ყოველთვის ხდება ჩვენს ავტონომიურ რესპუბლიკაში, მე ამას მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ.

– ყოველთვის რისი მტკიცება გიხდებათ?

– ხელოვნებაში, განსაკუთრებით მუსიკალურ ხელოვნებაში მოღვაწეებს რთული ფსიქოლოგია აქვთ, ხშირად თავს იჩენს გაუგებრობა, შური და ბოღმა. ამიტომ, ყოველთვის მიხდება მტკიცება იმისა, რომ იყო საუკეთესო და თანაც ერთადერთი, ანუ გკონდეს სურვილი გვერდით არ გყავდეს შენი სადარი ან შენზე უკეთესი, ეს უკვე დიდი შეცდომაა.

## ზაზა ხამათაშვილი

ბათუმის ოპერის წამყვანი ბარიტონი

ზაზა ხამათაშვილი ელვასავით შემოიჭრა ზ. ფალიაშვილის სხელობის სამუსიკო სკოლაში. მიუხედავად მისი პედაგოგიური მოღვაწეობის მცირე დროისა, თავისი ნიჭიერების, ელვარების სითბო აგვინთო სულში.

ზაზა ხამათაშვილის ყოველი წარმატებული გამოსვლა ბათუმის საოპერო სცენაზე ყოველთვის ერთნაირად საამაყო და სასიხარულოა.

ახალგაზრდა თეატრის დაბადების გადამწყვეტ ეტაპზე პროფესიული პასუხისმგებლობა გამოიჩინეს და თავი გაართვეს დასახულ ამოცანებს – წერს მუსიკათმცოდნე ნანა ქავთარაძე.<sup>72</sup>

ამავე დროს თეატრში კარგ ტრადიციას ჩაეყარა საფუძველი – ვოკალური ხელოვნების ოსტატების მოწვევას. მათი მონაწილეობა ახალგაზრდებისათვის უდიდესი შემოქმედებითი სტიმული და დაოსტატების სკოლაა.<sup>73</sup>

ზაზა ხამათაშვილის დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს, მის მიერ ახალგაზრდა წლებში შესრულებული როლები:

20 წლის ასაკში, 1991 წელს შეასრულა ზ. ფალიაშვილის ოპერა „აბესალომ და ეთერიდან“ მურმანის პარტია;

22 წლის ასაკში, 1993 წელს რ. ლალიძის ოპერა „ღელა“-ში – გელას პარტია;

<sup>72</sup> ნანა ქავთარაძე. „ბათუმის საოპერო თეატრის გასტროლები». გაზ. „ლიტერატურული საქართველო” 1995. 12-19 მაისი. გვ. 13.

<sup>73</sup> ნანა ქავთარაძე. „ბათუმის საოპერო თეატრის გასტროლები». გაზ. „ლიტერატურული საქართველო” 1995. 12-19 მაისი. გვ. 13.

24 წლის ასაკში, 1994 წელს ჯ. ვერდის ოპერაში „აიდა“ – ამონასროს პარტია;

25 წლის ასაკში, 1995 წელს ჯ. ვერდის ოპერაში „ოტელო“ – იაგოს როლი.

ვოკალური სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენლების შეფასებით მსოფლიო საოპერო ხელოვნების ისტორიაში ეს არის მეორე უნიკალური შემთხვევა. 24-26 წლის ასაკში შესრულდეს ურთულესი პარტიები ჯ. ვერდის ოპერებიდან „აიდა“ და „ოტელო“-ს პარტიები – ამონასრო და იაგო.

პირველი უნიკალური შემთხვევა მსოფლიო საოპერო ხელოვნების ისტორიაში მოიხსენიება ტიტო რუფოს მიერ იმავე ასაკში შესრულებული ეს პარტიები. ამავე ასაკში. ნიშანდობლივია, რომ ამ საკმაოდ ვოკალურად რთულ პარტიებს მომღერლები მღერიან მაშინ როცა დასაკარგი არაფერი აქვთ – 40-45 წლის ასაკში.

დაიბადა 1971 წლის 8 ივნისს.

დაამთავრა თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია 1996 წელს პროფესორ დ. ხელაშვილთან.

1994 წლიდან მოღვაწეობს ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრში, წამყვანი სოლისტია. აქვს დიდი დიაპაზონის ბარიტონი, რომელიც უღერს მთელი სიძლიერით. ობერტონებით მდიდარი, მოქნილი ხმა, ინტონაციურად სუფთა, ტემბრის ელვარებით. ასევე შესწევს უნარი სიმღერა შეუზავოს თამაშს.

აი რას ამბობდნენ და წერდნენ მასზე:

ცნობილი მუსიკათმცოდნე ნანა ქავთარაძე „ქებას იმსახურებს ახალგაზრდა მსახიობი მომღერალი ბარტონი – „ამონასრო“... ზაზა ხამათაშვილისთვის ამონასროს პარტია სერიოზულ მიღწევად მიმაჩნია. ამ ახალგაზრდა, დამწყებმა ბარტონმა დიდი შესაძლებლობები გამოავლინა როგორც ტექნიკური, ისე სახეობრივი, ხასიათის სიღრმის თვალსაზრისით. ამასთან ელვარებით, სისავსით გვიჩვენა თავისი ხმის ჩინებული ტემბრი, სიძლიერე და მეტალი“;

ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი ეთერ გუგუშვილი „...მე გამოვყოფდი ახალგაზრდებს მარინა ჯახუტაშვილს და ზაზა ხამათაშვილს, რომლებმაც გამაოცეს თავიანთი მუსიკალური მონაცემებით და სცენიური გამომსახველობით“.

მომღერალი თენგიზ მუშეუდიანი „...ზაზა ხამათაშვილის სახით ბათუმის თეატრს ბრწყინვალე ახალგაზრდა ხმა ჰყავს, რომელიც სამომავლოდ კარგ ძალად მიგვანჩნია“;

კომპოზიტორი თენგიზ შავლოხაშვილი „... ყურადღებას იმსახურებს ახალფაზრდა სოლისტები..., ზაზა ხამათაშვილი... ამონასროს პარტიის შემსრულებელი“.

ზაზა ხამათაშვილმა, ჯ. ვერდის ოპერა „ოტელო“-ში იაგოს, ვოკალურად ურთულესი პარტია, დიდებულად შეასრულა მომღერალმა ჩემის აზრით, მოლოდინს გადააჭარბა. არც ისე ხშირია შემტხვევა, როცა საოპერო მომღერალი სამსახიობო ნიჭითაც იყოს დაჯილდოებული. მასში ვოკალურ მონაცემებთან ერთად ჭეშმარიტი არტისტიზმი იყო შერწყმული. მომღერლის უმთავრესი პარტიები ინტერესს იწვევდნენ დრამატული თვალსაზრისითაც. მან გარდასახვის ნიჭი და სცენიური გმირის ფსიქოლოგიური სიღრმის წვდომის უნარი გამოავლინა.

განსაკუთრებით ოპერის მეორე მოქმედების იაგოს მონოლოგში „მწამს უღმობელი ღმერთი“, რომელიც სავსეა შურითა და ღვარძლიანი ბუნებით მუსიკალურ ფრაზებში ფარული დაცინვა იკითხებოდა, მისი მოქნილი ხმით შესძლო გესლითა და სარკაზმით გაჯერებული ემოციური ფონის იაგოს სახით შექმნა. ასევე ჰეროიკული ელფერით გაიჟღერა ოტელოსა და იაგოს დუეტი „შურისძიების ფიცი“. და რაც მთავარია, სპექტაკლის ამსახველი – მსმენელი, მუსიკის მოყვარულები, თუ სპეციალისტები აღტაცებას ვერ მაღავენ. შთაბეჭდილებები კი ერთხმად გამოითქმებოდა: სრულიად ახალბედა ზაზა ხამათაშვილს იაგო მაღალ ხარისხში წარმოსდგა.

მედეა ამირანაშვილი – ქუთაისის საოპერო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამის შესახებ აღნიშნავდა: „ორკესტრის, გუნდის, სოლისტების მიერ დიდი შრომაა გაწეული. ყველას ერთი მიზანი აერთიანებდა – ვერდის გენიალური ოპერის ღირსეულად აღდგენა“.

ზაზა ხამათაშვილი ასევე ფართო საკონცერტო მოღვაწეობასაც ეწევა. მას მდიდარი კამერული რეპერტუარი გააჩნია. ასრულებს, როგორც ქართველი კომპოზიტორების ნაწარმოებებს, ასევე რუსი და დასავლეთ ევროპის კომპოზიტორების ნაწარმოებებს.

მონაწილეობდა, სხვადასხვა ფესტივალებში სადაც მიღებული აქვს წამახალისებელი ჯილდოები.

1991 წელს ქუთაისში, ზ. ფალიაშვილის სახელობის რესპუბლიკურ ვოკალისტთა კონკურსზე მიანიჭეს პირველი ადგილი;

1994 წელს, ყოველწლიურ კონკურსში „სეზონის საუკეთესო სცენიური ნაწარმოები“, ზ. ხამათაშვილის რ. ლალიძის „ლელა“-ში გელას როლის საუკეთესოდ განხორციელებისათვის საქართველოს თეატრის მოღვაწეთა კავშირმა დააჯილდოვა დიპლომით;

1999 წელს მიღებული აქვს მ. აბაშიძის სახელობის პრემია ჯ. ვერდის ოპერაში „ოტელო“ – იაგოს როლის საუკეთესო შესრულებისა და საოპერო ხელოვნებაში წარმატებული მოღვაწეობისათვის.

ვულოცავ ასეთ დიდ წარმატებებს და ვუსურვებ კვლავაც აღმაფრენით ეღვაწოს საოპერო ხელოვნების რთულ და მრავალფეროვან შემოქმედებით წვაში.

### თამაზ ცერიაშვილი

ბატონი თამაზ ცერიაშვილი ბათუმის კონსერვატორიაში თბილისიდან მოიწვიეს. პირველივე დღიდან დიდი სითბო და სიყვარული დაიმსახურა. მისი ყოფნა ჩვენს კოლექტივში სიახლის მომტანი და ამავე დროს თითქოსდა დიდი ხნის თანამშრომლობის განმსაზღვრელი არის.

იგი სტუდენტებისთვის არა მარტო პედაგოგი, არამედ მეგობარი და ავტორიტეტი, სპეციალობის მამაა. კოლეგებისთვის კი ერთნაირად მეგობრული, თანამდგომი. მასში შერწყმულია ჰუმანურობა და მუსიკოს-პედაგოგის მაღალი შემოქმედებითი ღირსებები.

როგორც კონსერვატორიის პედაგოგს და საოპერო კლასის კამერული ანსამბლების კონცერტმაისტერს, ბედნიერება მქონდა რამდენიმე სასწავლო წელი მეთანამშრომლა ბატონ თამაზ ცერიაშვილთან.

კამერული ანსამბლის – როგორც საგნის საბოლოო მიზანი გახლავთ ის, რომ სტუდენტები დაეუფლონ მხატვრული შესრულების დაოსტატებას. მომავალ შემსრულებლებს განუვითაროს ანსამბლური კომპონენტებისა და თანაფარდული შერწყმული უღერადობა. მუსიკალური ნაწარმოების ერთობლივი შესრულება, რამდენიმე მონაწილის მიერ. რაც თავისთავად აჩვენებს მსახიობურ შეთანხმებულ თამაშს, რომელიც საწირთა საოპერო სცენიური ნაწარმოების ჩანაფიქრის გასახსნელად, სპექტაკლის სტილური ერთიანობის განსახორციელებლად.

კამერული მუსიკა იწერება და სრულდება როგორც ინსტრუმენტალური ისე ვოკალურ შემსრულებელთა მცირე შემადგენლობისთვის. კამერულ მუსიკას შეადგენენ: ანსამბლები, დუეტები, ტრიო, კვარტეტი, კვინტეტი და ა.შ. ასევე სხვადასხვა ინსტრუმენტებისათვის მაგალითად, სონატები, ფუგები, ნოქტიურნები ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის, ვოკალური მუსიკის მნიშვნელოვანი სახეებია რომანსები, XVI-XVII საუკუნეებში – მადრიგალები და ა.შ.<sup>74</sup>

ამ მერტად საპასუხისმგებლო და ურთულეს მისიას ემსახურება ბატონი თამაზ ცერიაშვილი. ის ვოკალურ-კამერულ ანსამბლთან ერთად სოლო სიმღერას, სპეციალობას ასწავლის.

ბატონი თამაზი თავისი კორექტული პედაგოგიკით, სტუდენტს უნვითარებს, მუსიკალური ნაწარმოების მოცულობითი და სივრცითი ელემენტების ორიენტაციისა და მიმართებასთან დაკავშირებულ მუსიკის სმენითი აღქმის დინამიკის მოვლენებს, უხსნის, რომ მუსიკალური ნაწარმოების შესრულებისას შემსრულებელმა უნდა მიიზიდოს მსმენელი და თავისი გამოხატულებით აიძულოს იმოძრაოს უპირატესად ამ მიმართულების საზღვრებში.

ყოველი მუსიკალური, ვოკალური პარტიების სოლო თუ საანსამბლო ნაწარმოებების შესწავლა-შესრულებისას იყენებს სხვადასხვა მეთოდურ, სტუდენტისათვის სასარგებლო ხერხებს თუ რომელი იქნება მათთვის სასურველი შედეგის მომტანი. რატქმაუნდა გამოყენებული ხერხების დროს ითვალისწინებთ ორ ძირითად დებულებას: მჭიდროდ იყოს დაკავშირებული ნაწარმოების შინაარსთან და მიწოდებული მეთოდური რჩევები არ იყოს ერთმანეთისგან იზოლირებული, რომ სტუდენტმა შეძლოს გამოიყენოს არა მხოლოდ კონკრეტულ შემთხვევაში, არამედ მთლიანად სამომავლო ანალოგიურ კავშირში.

მიზნის მისაღწევად მზრუნველობას იჩენს ნაწარმოების ფაქტურის ირგვლივ ყოველი ფრაზის ელემენტების ორგანულად გაერთიანებაზე. ამასთან ერთად სტუდენტს უნერგავს ნაწარმოების ერთიანობასთან მჭიდრო კავშირს, რომ მთავარი თემისა და დაქვემდებარებულის გამოვლინება ნაწარმოების ერთიანობის წარმოქმნის ერთ-ერთი საშუალებაა.

ყურადღაღებია მისი ნაყოფიერი მუშაობა ნაწარმოების სწორი სუნთქვის პოზიციებზე. დიდ უპირატესობას ანიჭებს ფერთა დინამიკას, ფერის ტონალობის

<sup>74</sup> მადრიგალი – ლირიკული შინაარსის, უპირველესად სასიყვარულო ხასიათის იტალიური სიმღერაა. გვხვდება როგორც ერთხმიანი ასევე ორხმიანი, სამხმიანი. ოთხხმიანი და ხუთხმიანი გაშლილი ვოკალური პოემები.

მიხედვით შეფარდებას, სტუდენტს უნერგავს, რომ ერთი და იგივე ფერი შეიძლება იყოს მკვეთრი და არამკვეთრი. მუსიკალურ ნაწარმოებში სწორი შესრულების კონტრასტულობას, ნიუანსირებას, რომელიც აძლიერებს ნაწარმოების ემოციურ ზემოქმედებას და რასაც, მუსიკალურ ხელოვნებაში ძალიან დიდი მნიშვნელობა ენიჭება და გვაძლევს მხატვრული შემოქმედებითი შესრულების მრავალფეროვნებათა პალიტრას.

ასევე ნაწარმოების და განსაკუთრებით საოპერო სწამბლების შესწავლისას ყურადსაღებია ბატონი თამაზის დამოკიდებულება, როგორც თითოეული ვოკალისტ შემსრულებლის პარტიების, ასევე კონცერტმასტერის სინქრონულობასთან. თითოეული შემსრულებლის პარტიები უნდა ერწყმოდეს ერთმანეთს, როგორც ერთი პარტია, ანსამბლის რიტმი, ყოველი ტაქტის სიმწყობრე კანონზომიერი ტემპი და მასში მიჩნეული ცვლილება, ან აქცენტი და სხვა და სხვა ნაწარმოებს უნდა ანიჭებდეს ხატოვან ხასიათს.

ანსამბლის შესწავლისას განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ახალგაზრდა შემსრულებლის, როგორც სუფთად ინტონაციურ ვოკალურ სიმღერას, ასევე მეტყველების კულტურას, სცენიურ მოძრაობას, რაც მოიცავს საკონცერტო-საშემსრულებლო კულტურას.

ნაყოფიერი პედაგოგიური მოღვაწეობისათვის ბატონი თამაზ ცერიაშვილი დირექტორის მოადგილეს მიიწვიეს კონსერვატორიასთან არსებულ საოპერო სტრუქტურაში.

საოპერო სტუდიის ძირითადი ამოცანებია: სასწავლო-აღმზრდელობითი გეგმის შესაბამისად ერთიანი კომპლექსური სწავლის პროცესის პრაქტიკასთან შერწყმა. სოლო-სიმღერის სპეციალობის სტუდენტთა პროფესიული მზადების სრულყოფა.

საოპერო სტუდია მუშაობა ხორციელდება დამტკიცებული სასწავლო გეგმების და პროგრამების შესაბამისად. იგი მიზნად ისახავს სტუდენტთა თეორიული ცოდნის დონის ამაღლებას და პრაქტიკული ჩვენების განმტკიცებას. საოპერო სტუდია უზრუნველყოფს სტუდენტთა სასწავლო და საშემსრულებლო პრაქტიკის გავლას, სადიპლომო სპექტაკლების მომზადებასა და დადგმას.

## თენგიზ ჯაფარიძე

ბატონი თენგიზის ცხოვრებისეული დევიზი გახლავთ: „აკეთეთ ის საქმე, რომელიც გიყვართ და ცხოვრებისეული ცვლილებების მნუ შეგეშინდებათ. ვინც თავის საყვარელ საქმეს არ აკეთებს, იშვიათად აღწევს პროფესიულ სიმაღლეებს და რაღაც მომენტში აცნობიერებს თავის უსუსურობას”.

დიახ, ბატონი თენგიზი გახლავთ უაღრესად ორიგინალური პიროვნება, როგორც შემოქმედებითად ისე ადამიანური ინტელიგენტობით. მეცადინეობებს წარმართავს ეროვნული სიტბოთი, დახვეწილი ქართული მეტყველებით, პროფესიული ღირსების დაცვით, ხვალისდელი დღის იმედით.

მოკლედ, საოცრად ღამაზი ხელოვანია და... არაჩვეულებრივად კარგ გარემოში გაზრდილი.

ბატონი თენგიზის დედა ქალბატონი თამარი სპეციალობით ბავშვთა ექიმ-პედიატრი გახლდათ. მქონდა ბედნიერება რამდენჯერმე შევხვედროდი. თბილისში მყოფმა ბინაზე ვეწვიე ქალბატონ თამარს, სადაც ქართული სტუმარ-მასპინძლობის მაღალი ტრადიცია მიჩვენა, უაღრესად ინტელიგენტი, სათნო, ტკბილმოუბარი. დიდებული დედა, საოცრად თბილი დედამთილი და მოსიყვარულე ბებია.

ქალბატონი თამარი უზომოდ შეყვარებული იყო აჭარაზე. შთაგონებით მიყვებოდა „აჭარა ულამაზესი კუთხეა. ყოველთვის მხიბლავდა და ჩემში ყოველთვის სასიამოვნო განწყობას ბადებდა. ბათუმი კურნავს ჩემს გულს და სულს. მახალისებს, განსაკუთრებით ჩვენი სოფლის „შარაბიძეების“ დიდებული სუბტროპიკული მცენარეები, ციტრუსოვანთა პლანტაციები და ჩვენი ეზოს სურნელოვანი ყვავილები – ნამდვილ ედემს მაგონებს“.

არასოდეს დამავიწყდება, თბილისში ყოფნის პერიოდში, ქალბატონმა თამარმა თბილისის კონსერვატორიაში მოღვაწე ბათუმელებს მოუყარა თავი და ნამდვილი შეხვედრა, ზეიმი მოაწყო, თან გემრიელი კერძებითაც გაგვიმასპინძლდა.

თენგიზის მამას ბატონ ალექსანდრეს არ ვიცნობდი.

... მაგრამ თენგიზის ბიძას – ბეხრი ჯაფარიძე ცნობილი პიროვნება გახლდათ. ის იყო თბილისის სახელმწიფო ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, იუმორით აღსავსე და ხალხთან ურთიერთობის საოცარი ნიჭი დაჯილდოებული.

ბატონბეხრის, ჯერ კიდევ ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლების პერიოდში იცნობდნენ. მისი თანაკურსელები იყვნენ დედაჩემი – ეთერ ჩიჯავაძე და ჩემი დედამთილი – გულიკო კაიკაციშვილი. ამდენად, ამ შესანიშნავ პიროვნებასთან მეგობრული ურთიერთობა გვაკავშირებდა. მართალია ბატონი ბეხრი თბილისში მოღვაწეობდა, ფართო იყო მისი სამეცნიერო და საზოგადოებრივი ინტერესების წრე, მაგრამ თავისი შვებულების დღეებში მშობლიური ბათუმი ყოველთვის იზიდავდა. ერთხელ დასასვენებლად ჩამოსულმა მამაჩემს რევაზ კომახიძეს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეს, გაანდო ზემო აჭარის მთიანი რაიონების დათვალიერების სურვილი. უნდა გენახათ ბატონი ბეხრი რა გატაცებით ათვალიერებდა მაღალმთიან სოფლებს, კურორტ ბეშუმშიც კი დავესწარით საზაფხულო ხალხურ ფოლკლორულ ზეიმს „შუა მთობას“, გოდერძის უღელტეხილთან „მწვანე ტბაზეც“ შევჩერდით, მოვისვენეთ, მოვიგონეთ ზემო აჭარის ისტორია და ამ კუთხის პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები.

ბატონმა ბეხრიმ გაიხსენა გულის ამანუყვებელი სევდიანი ისტორია, რომელიც 1937 წლის რეპრესირებულთა მძიმე წარსულს ეხებოდა. ვფიქრობ, ჩემი წერილობითი აღწერა ახალგაზრდებს დააფიქრებს იმაზე თუ რა სასტიკ დროში უცხოვრიათ ჩვენს წინაპრებს. საქმე ეხება იმას, რომ ჩემი მეუღლის ძმა შევქეთ ლორთქიფანიძე, რომელიც იმ დროისათვის აჭარის საოლქო კომიტეტის მდივანი გახლდათ, მისი ახალგაზრდობის უბედნიერესი ორი წელიწადი მის მეუღლესთან გულიკო კაიკაციშვილთან გაატარა, რომელიც აჭარის საოლქო კომიტეტში ქალთა სექტორს ხელმძღვანელობდა. 1937 წლის 11 აპრილს მათ ვაჟი შეეძინათ, რომელსაც ხუთი თვე არ ჰქონდა შესრულებული, რომ უდანაშაულო მამა დაუპატიმრეს. მაშინ სერიკოს დედა სულ 23 წლისა იყო. გულიკომ თბილისში წასვლა გადაწყვიტა, მისი დახმარება მხოლოდ ლავრენტი ბერიას და მის მეუღლეს ნინო გეგეჭკორს შეეძლოთ. აკი მეუღლეც ციხიდან გამოგზავნილი პატარა ბარათით ამას თხოვდა: „წადი თბილისში, შეხვდი ლავრენტი ბერიას, მან კარგად იცის, რომ მე უდანაშაულო ვარ“.

მაგრამ... მის პატარა შვილს, სერიკო ლორთქიფანიძეს მამის ხმა არასოდეს გაუგონია და არც „მამა“ დაუძახია მისთვის.

მიუხედავად ყველაფრისა ქალბატონმა გულიკომ შეძლო ეცხოვრა გაწონასწორებულად და მშვიდად ისე, რომ თავისი უბედურება და ნაღველი სხვისთვის არ მოეხვია.

ამ სევდიანი ცხოვრების მაგალითები, რომელიც გულიკოს მონათხრობიდან იყო, უკვე მოგვიანებით ცნობილი რეჟისორი თენგიზ აბულაძე კინოფილმში „მონანიების“ ეპიზოდებში გამოიყენებს:

ღია ცის ქვეშ, მობიბინე მინდორზე თეთრი როიალი დგას, შემზარავი მუსიკის ფონზე აქვე მდგომი პატიმარი (მსახიობი კახი კავსაძე) მეორეს გააკვირვებელი და შეშფოთებული ეკითხება: „რისთვის დაგაპატიმრეს?“... – „მე გვირაბი გავთხარე ბომბიდან ლონდონამდე“, „შენ, შენ რისთვის დაგაპატიმრეს?“ „მე მოხარშული სიმინდი დავთესე“... და სხვა და სხვა.

თურმე აჭარაში მოხარშული სიმინდის დათესვისთვის დაუპატიმრებიათ საოლქო კომიტეტის მდივანი შექეთ ლორთქიფანიძე და მავნებლობის მუხლით დაუხვრეტიათ 1937 წელს. არადა იმ წელიწადს აწარაში სიმინდის უხვი მოსავალი ყოფილა. ეს ბრალდება მისი ოჯახისათვის რეაბილიტაციის შემდეგ გახდა ცნობილი.

ყოველივე ეს იმისთვის გავიხსენე, რომ რუსიკო ლორთქიფანიძე, რომელსაც ჯერ კიდევ არ ვიცნობდი, მისი სტუდენტური ცხოვრების პერიოდში ბატონი ბეხრი თბილისში მამაშვილურ თანადგომასა და მზრუნველობას იჩენდა.

ბატონ ბეხრსა და ჩვენს შორის ასეთმა ახლო ურთიერთობამ განაპირობა ის, რომ თბილისში დავსწრებოდი ბატონი თენგიზის კონსერვატორიის დამამთავრებელ სახელმწიფო გამოცდას. როგორც სამსახურებრივი მივლინებით მყოფს, თბილისში კონსერვატორიის მცირეს საკონცერტო დარბაზის შესასვლელთან შემხვდა ბატონი ბეხრი ჯაფარიძე და მასთან ერთად შესაძლებლობა მომეცა დავსწრებოდი და მომესმინა ბატონი თენგიზის მიერ შესრულებული სახელმწიფო საგამოცდო პროგრამა.

მახსენდება ის დიდი მოთხოვნები, რასაც თბილისის კონსერვატორია ახალგაზრდა მუსიკოს შემსრულებლებს აკისრებდა. ეს იყო დიდი საკონცერტო პროგრამა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის წარმომადგენლობა მაღალი ავტორიტეტის მქონე მუსიკოსებისაგან შედგებოდა. როგორც წესი, კომისიის თავმჯდომარე მოსკოვის კონსერვატორიიდან მოვლინებული გამოჩენილი მუსიკოსი უნდა ყოფილიყო. თავად დიპლომატებისგან კი შესრულების მაღალ ოსტატობას მოითხოვდნენ.

თენგიზი, როგორც დიპლომატი, სახელმწიფო გამოცდაზე ასრულებდა ბახის, ბეთჰოვენის, შუმანის, შოპენისა და მაჭავარიანის ურთულეს ნაწარმოებებს. მისი შესრულების დახვეწილმა, საოცრად მხატვრულმა, რომანტიკულმა განწყობამ მსმენელთა და განსაკუთრებით, სახელმწიფო საგამოცდო პრესტიჟული კომისია მოხიბლა და დიდი ინტერესი გამოიწვია.

თენგიზი კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ შეუდგა პედაგოგიურ მოღვაწეობას. მისი პედაგოგიური სარბიელი დაიწყო 1975 წლის 5 თებერვლიდან, თბილისის №9 სამუსიკო სკოლის კონცერტმაისტერად. 25 აგვისტოს 1976 წელს სამუსიკო სკოლის დირექტორი ი. ხარაბაძის მიერ დაწერილ დახასიათებაში

ვკითხულობთ: „1975 წლის 5 თებერვლიდან მუშაობდა ქ. თბილისის ე. მიქელაძის სახელობის მე-9 სამუსიკო სკოლაში კონცერტმასტერის თანამდებობაზე. მუშაობის პერიოდში გამოძღვანდა თავისი საგნის სიყვარული, თავმდაბალი და გულისხმიერი მუშაკია. კოლექტივში სარგებლობდა კარგი ავტორიტეტით.

1976 წლის აგვისტოდან ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში იწყებს მუშაობას. მისი პედაგოგიური დატვირთვის სფერო საფორტეპიანო განყოფილების როგორც სპეციალობის ასევე კამერული ანსამბლის სწავლება იყო.

ამ პერიოდისათვის მუსიკალურ-საშემსრულებლო ხელოვნებაში შეიმჩნევა ინტერესის ზრდა კამერულ-ინსტრუმენტული ჟანრებისადმი. ყვეა დროის კომპოზიტორმა და საერთოდ ქართველმა კომპოზიტორებმა შექმნეს მაღალმხატვრული ნაწარმოებები, რომლებმაც ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს სასწავლო და საშემსრულებლო პრაქტიკაში.

კამერული ანსამბლის მოქმედი სასწავლო პროგრამა ეს არის მდიდარი რეპერტუარი. ბატონი თენგიზის ინიციატივით და მეთოდური ხელშეწყობით, ჩვენი პირობების გათვალისწინებით სასწავლო პროგრამისათვის რეკომენდებული ნაწარმოებები კლასიფიცირებული იყო. ამ ნაწარმოებით ტექნიკური და მხატვრული სირთულის მიხედვით. ასევე მოიზარებოდა თუ რომელ ურსზე შეიძლებოდა შეტანილ ყოფილიყო შესასრულებლად სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეთა სასწავლო პროგრამაში.

1987 წლიდან 1991 წლამდე ბატონი თენგიზი ინიშნება სამუსიკო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგედ, ხოლო 1991-1998 წლის 26 მარტამდე, კონსერვატორიის დაარსებამდე, სამუსიკო სასწავლებლის დირექტორად. 1996 წლის აპრილიდან პარალელურად მუშაობს მ. აბაშიძის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტში დეკანის თანამდებობაზე.

დღეს ბატონი თენგიზი ისევე საპასუხისმგებლო ორგანიზაციულ თანამდებობაზე გახლავთ, მაგრამ სტრუქტურული სახე მისი თანამდებობისა ასე ჟღერს ქ. ბათუმის ზ. ფაღიაშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებული სამუსიკო სასწავლებლის გამგე, ხოლო გამგეს ჰყავს მოადგილე სასწავლო დარგში, რომლის ფუნქციებს ასრულებს ნიჭიერი პიროვნება იამზე გველესიანი და მის შესახებ საუბარი გვექნება ცალკე ნარკვევში.

1991 წლის 28 ოქტომბერს 1 ნოემბრის ჩათვლით, როდესაც ახლად დანიშნული გახლდათ ბატონი თენგიზი სასწავლებლის დირექტორად, ბათუმში ჩატარდა მუსიკალური ფესტივალი „მოცარტი 200“. მასში მონაწილეობა მიიღო 300-ზე მეტმა პროფესიონალმა შემსრულებელმა საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან. თბილისიდან, ბათუმიდან, ქუთაისიდან, ფესტივალი ჩატარდა ორგანიზებულად, მაღალ შემქმედებით დონეზე.

ფესტივალის ჩატარებას ხელი შეუწყო სხვადასხვა ორგანიზაციების ფინანსურმა დახმარებამ, სამინისტროს სისტემის სასწავლო დაწესებულებების, თეატრალურ – საკონცერტო ორგანიზაციების, ცალკეული პირების აქტიურმა



მონაწილეობამ. ბათუმის მუსიკალური ფესტივალის „მოცარტი 200“ ჩატარებაში მიღებული აქტიური მონაწილეობისათვის თ. ჯაფარიძეს გამოეცხადა მადლობა.<sup>75</sup>

ბატონი თენგიზის დირექტორის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში „კიდევ გაიზარდა სასწავლებლის ავტორიტეტი და კიდევ უფრო სრულყო მისი ისედაც სოლიდური და ანგარიშგასაწევი ტრადიციები“ აღნიშნავს აჭარის კულტურის მინისტრი თემურაზ კომახიძე თავის წიგნში „აჭარის კულტურის ისტორია“. გამომცემლობა აჭარა, ბათუმი 199, გვ. 610.

ამ სასწავლებლის კარგ, გამართულ და მართებულ მუშაობაზე, მის შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს ის ფაქტიც, რომ სასწავლებლის ორმა მმოსწავლემ მონაწილეობა მიიღო პრესტიჟულ და მნიშვნელოვან საერთაშორისო კონკურსში, სადაც მათი ჩინებული გამოსვლით ერთმა მეორე ხარისხის პრემია, ხოლო მეორემ კონკურსის დიპლომი დაიმსახურა.

სამართლიანად უნდა მივიჩნიოთ, რომ სასწავლებლის მთელი კოლექტივის საერთო ძალისხმევა და მონდომება მაღალი იყო და რა თქმა უნდა, ამ შრომასა-საქმიანობის სწორი ხელმძღვანელობის შედეგი გახლდათ ის, რომ ბატონი თენგიზი ქვეყნის პრეზიდენტის ე. შევარდნაძის ბრძანებით ღირსების მედლით დაჯილდოვდა.

შემქმედებითი მოღვაწეობა გრძელდება და ბატონ თენგიზს ვუსურვოთ ახალ-ახალი წარმატებებით ველოს.

ეხლა კი ვეწვიოთ სოფელ „შარაბიძეებში“ ბატონ თენგიზს თავის საგვარეულო ადგილ მამულში, სადაც ბინა დაუდვიათ მის წინაპრებს, ჯერ კიდევ ადრეულ წლებში, იქ დაგიხვდებით თენგიზის ლამაზი ოჯახი. მეუღლე – ლია ტაბიძე, სპეციალობით მუსიკათმცოდნე, წლების მანძილზე სამუსიკო სასწავლებლის წამყვანი პედაგოგი იყო. მუსიკის ლიტერატურის სწავლებაში გარკვეული კვალი დატოვა, ბოლოს კი დროებით მოღვაწეობდა ქ. თბილისის ხელოვნების ინსტიტუტში. ქალიშვილები: თინათინ და თეონა ორივე უმაღლეს განათლებას ეუფლებოდნენ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

რაც შეეხება ქალბატონი თამარის საყვარელ ეზოს, რომელიც დღეს ბაღნარად გადაქცეულა, კიდევ უფრო დამშვენებულა და გალამაზებულა. აქ მცხოვრებნი კი თავისი თბილი შეხვედრით შესანიშნავ ატმოსფეროს შეგიქმნიან, სულიერ სიმშვიდეს მოგანიჭებენ და რაც მთავარია ყველგან იგრძნობა მათი ზრუნვა, კეთილგანწყობა, უხარიათ და უყვართ სტუმარი და მათთან ურთიერთობა.

### ლიანა ნიქაბაძე

ინდივიდუალური სწავლების სპეციფიკას თან ახლავს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის კანონზომიერი ურთიერთობის დამყარება, ე.წ. პროფესიული მოთხოვნა, რაც გულისხმობს შეგეძლოს თავიდანვე განსაზღვრო მოსწავლის შესაძლებლობების უნარი, ერთიანობისა და მიდრეკილების შესაძლებლობა, გემოვნების განვითარების, მოსწავლე – მასწავლებელს შორის მეგობრული კონტაქტის დამყარება.

<sup>75</sup> იხილეთ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის სამინისტროს ბრძანება №108. ბათუმი, 5 ნოემბერი, 1991 წელი. მინისტრი ნ. ფაღავა.

ამ მხრივ აუცილებელი პირობაა შრომითი ჩვევების ჩამოყალიბება, შინაგანი მოთხოვნის განვითარება და მუსიკალური სიყვარულის ჩარჩოებში მოყვანა.

აი ამ კლასიკური მეთოდის მოთხოვნას ემსახურება ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებული, დღეს უკვე თბილისის კონსერვატორიის აღიარებული პროფესორი, ლიანა ნიქაბაძე. მისი ნაშრომი დამწეები პიანისტისათვის „ესწავლობთ ნოტებით დაკვრას“, მუსიკალური ფონდის საქართველოს განყოფილებამ არაერთხელ გამოსცა სახელმძღვანელოდ დამწეები პიანისტებისათვის, როგორც ქართულ ასევე რუსულ და ინგლისურ ენებზე. ამ გამოცემის რედაქტორი გახლავთ კომპოზიტორი და პედაგოგი მერი დავითაშვილი.

ცნობილია, რომ ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლება ძირითადად განისაზღვრება იმ ამოცანით, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია მუსიკისადმი ინტერესისა და სიყვარულის გაღვივებასთან, მუსიციერების ელემენტების ათვისებასთან და მუსიკალურ წიგნიერებასთან. ფაქტია ისიც, რომ ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლებამ შეიძლება დააინტერესოს და გაიტაცოს მოსწავლე იმ შემთხვევაში, თუ ეს საგანი, თეორიული და პრაქტიკული ცოდნის შერწყმის მეშვეობით, აფართოებს მოზარდის ცხოვრებისეულ ინტერესებს და აკმაყოფილებს მის ესთეტიურ მოთხოვნებს. ამიტომ ფორტეპიანოზე დაკვრის მეთოდიკა პირველ რიგში მიზნად უნდა ისახავდეს საშემსრულებლო ჩვევების გამომუშავების პარალელურად მოსწავლის მუსიკალური ჰორიზონტის გაფართოებას. ამას კი ხელს წყობს მუსიკალური ნაწარმოების ფურცლიდან კითხვის ჩვევის გამომუშავება, რაც მომავალში მდიდარი მუსიკალური ლიტერატურის გაცნობის საწინდარია.

ფურცლიდან კითხვის ჩვევის რაც შეიძლება ადრე გამომუშავება და განვითარება ერთნაირად აუცილებელია მუსიკის ყველა შემსწავლელთათვის, იქნება ის მომავალში პროფესიონალი მუსიკოსი თუ მსმენელი. ამ ჩვევის სწორი და თანადროული გამომუშავება განსაზღვრავს მუსიკისათვის ინტერესსა და სიყვარულის გაღვივებას. მოსწავლე, რომელიც ვერ დაუფლება მშობლიურ ანბანს, ვერ კითხულობს აზრს, ბუნებრივია, არც იჩენს ინტერესს წიგნებისადმი. იგივე შეიძლება ითქვას მუსიკაზეც.

როდესაც ვლაპარაკობთ ამ ჩვევის სწორად წარმართვაზე, მხედველობაში გვაქვს ის დარღვევები, რაც ხშირად გვხვდება როდესაც ფურცლიდან კითხვად თვლიან ინდივიდუალური გეგმით გათვალისწინებულ ნაწარმოებზე მუშაობას, ე.ი. ნაწარმოების ცალ-ცალი ხელით გარჩევას ან უკეთეს შემთხვევაში ორი ხელით, მაგრამ ცალკეული ფრაზებისა და ნაწყვეტების რამდენჯერმე გამეორებით. ეს რა თქმა უნდა, არის გარჩევის პროცესი. გარჩევის დროს ხება ყველა საჭირო შემთხვევაში ნაწარმოების დეტალებზე ყურადღების გამახვილება, თითოეული მათგანის განმეორება, გააზრება და დამუშავება. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ფურცლიდან კითხვას უწოდებენ ნოტების დასახელებას, – ნოტების კითხვას დაკვრის გარეშე. უფრო ხშირად კია ამ პროცესის გაიგივებას ახდენენ საპროგრამო ნაწარმოების შეცვლასთან, მშინ როდესაც ფურცლიდან კითხვა მიზნად უნდა ისახავდეს მოსწავლის უცხო ნაწარმოების ტექსტის წაკითხვას პირველივე შესრულებიდან.

აქ იგულისხმება ნაწარმოების მთლიანობაში აღქმა, მისი ფორმის, ხასიათით და ავტორისეული რემარკების დაცვა.

ხემოთადნიშნულის მიღწევა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლების პირველივე ეტაპიან ფურცლიდან კითხვის ჩვევების გამომუშავებას მიექცევა სათანადო ყურადღება. ნებისმიერი ჩვევის გამომუშავების დროს კი

აუცილებელია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებაც – ცნობისმოყვარეობა და მისწრაფება აქტიური გამოვლენისადმი:

პირველი გამოიხატება იმაში, რომ პედაგოგის ჩარევის გარეშე მოსწავლეებს უნდებოდათ სურვილი, რაც შეიძლება ადრე აითვისონ, დამოუკიდებლად მუშაობის ჩვევები და სწრაფვა ახალი, უფრო რთული ნაწარმოებებისაკენ.

მეორე მისწრაფება აქტიური გამოვლენისადმი აერთიანებს მოსწავლეთა ისეთ შინაგან მოთხოვნებს, რომლებიც დაკავშირებულია მუსიკის ყველა ელემენტებთან და ე.ი ფურცლიდან კითხვასთანაც.

### **საგუნდო-სადირიჟორო ხელოვნების განვითარება და მისი წარმომადგენლები**

საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობა არსებობდა სამუსიკო სასწავლებლის დაარსების დღიდან. მისი ხელმძღვანელი გახლდათ კომპოზიტორი შალვა თაქთაქიშვილი.

სპეციალურ დისციპლინებთან ერთად ბატონ შალვას მუსიკალურ-თეორიული საგნებიც მიჰყავდა. ასევე დიდ, ნაყოფიერ, მუშაობას ეწეოდა ხალხური ფოლკლორის მოკვლევაშიც. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აჭარის სოფლებში არაერთი საექსპედიციო მოგზაურობა მოეწყო. იწერებოდა ხალხური სიმღერები, საცეკვაო მელოდიები.

შ. თაქთაქიშვილს ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჯემალ ნოლაიდელთან, ცნობილ მეცნიერ, მომღერალ, ფოლკლორისტ და ეთნოგრაფთან, რომლის მიერაც დამუშავებული და ჩაწერილია აჭარაში ხალხში გაბნეულ-მომოფანტული ძირძველი ქართული სიმღერები, რომლებიც თანდათანობით გადავიწყების, დაკარგვის საშიშროების ზღვარზე იდგნენ. ასეთივე ურთიერთობა აკავშირებდა ცნობილ მომღერალ არტემ ერქომაიშვილთან, რომლის ოჯახმა მრავალი გამოჩენილი ხელოვნების მუშაკი აღზარდა. განსაკუთრებით საამაყოა და სასიქადულო მისი შვილი, ბატონი ანზორ ერქომაიშვილი – ეროვნული ფოლკლორის დიდი მოსიყვარულე და ქომაგი. აჭარის სოფლებში მის მიერ ჩაწერილ სიმღერებს, ახალი სიცოცხლე შთაბერა. მათ უკვდავება უწერიათ.<sup>76</sup>

1998 წლის 14 მაისს ბათუმში აჭარის ფოლკლორის აკადემია, რომლის საბოლოო ჩამოყალიბება – დაფუძნება ბატონ ანზორ ერქომაიშვილს დაევალა. აღნიშნულთან დაკავშირებით აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებაში აღნიშნულია, რომ „... მოსახლეობაში შემონახულია ხალხური შემოქმედების მდიდარი ტრადიციები, უნიკალური სიმღერები, ცეკვები, საკრავიერი ინსტრუმენტები, ხალხური რეწვის ნიმუშები, არიან იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული შემსრულებლები, რომელთა ნაწილი ხანდაზმულია და არსებობს შესანიშნავი ფოლკლორული ნიმუშების და მათი შესრულების წესების დაკარგვის საფრთხე.

<sup>76</sup> ამის შესახებ უფრო ვრცლად იხილეთ ნარკვევში „ნინა და ვალერიან გოგიტიძეების ოჯახი“.

აჭარის ფოლკლორის აკადემიის შექმნა საჭირო და აუცილებელია, რადგან მისი მოღვაწეობის სფერო მთელ დასავლეთ საქართველოს მოიცავს და ამდენად, მისი შესწავლა და შემდგომი განვითარება ერთ მთლიანობაში იქნება განხილული და წარმოდგენილი”.

ასევე მნიშვნელოვანი მოვლენა იყო სასწავლებელთან 32 კაციანი სიმფონიური ორკესტრის დაარსება, რომლის დირიჟორად მიიწვიეს სასწავლებლის გამგე შ. თაქთაქიშვილი და ვოკალისტ-დირიჟორად ვ. ლავროვი. შემონახულია 1928 წლის 29 დეკემბერის პროგრამა. პროგრამაშია შ. თაქთაქიშვილის ორი სიმფონიური ვარიაცია, თავისივე დირიჟორობით. პ. ჩაიკოვსკის „ვეგენი ონეგინიდან“ – ვეგენი ონეგინის როლს ასრულებდა დავით ბადრიძე, ორკესტრს დირიჟორობდა ვ. ლავროვი.<sup>77</sup>

შალვა თაქთაქიშვილმა სამუსიკო სასწავლებლის გამგედ სულ რაღაც ერთი წელი იმუშავა. ერთი წლის შემდეგ ავადმყოფობის გამო იძულებული გახდა ბათუმიდან წასულიყო. სასწავლებლიდან ამ ჩინებული ხელმძღვანელისა და ორგანიზატორის წასვლა მართლაც დიდი დანაკლისი გახლდათ მთელი კოლექტივისათვის.

1929 წელს სასწავლებლის დირექტორად მიიწვიეს მელიტონ ბალანჩივაძე. მოწვევამდე 1928 წლიდან იგი მუშაობდა საქართველოს მუსიკალური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარედ, ასევე იყო ქართული ხალხური მუსიკის შემკრები და შემსწავლელი კომისიის თავმჯდომარე.

ქართული პროფესიული და კლასიკური მუსიკის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა კომპოზიტორმა მელიტონ ბალანჩივაძემ ამ პოსტზე 7 წელი დაჰყო და ბევრი რამ კარგი, საჭირო და აუცილებელი, გააკეთა სასწავლებლის საკეთილდღეოდ, მისი შემდგომი წინსვლისა და წარმატებისათვის. მისმა დაუღალავმა შრომამ და დაუბრკოლებელმა ზრუნვამ დიდად შეუწყო ხელი სასწავლებელში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის დამტკიცებას და სამომავლო ტრადიციების შექმნას. დირექტორად მუშაობის ერთი წლის შემდეგ, 1930 წელს, მ. ბალანჩივაძემ სასწავლებელში თავის მოადგილედ სასწავლო დარგში მიიწვია ცნობილი მუსიკათმცოდნე და კომპოზიტორი ალექსი ფარცხალაძე.

1929 წლიდან 1936 წლამდე მელიტონ ბალანჩივაძემ იმოღვაწა ბათუმის მუსიკალური სასწავლებლის დირექტორად. სასწავლებლის ხელმძღვანელობას იგი, ბრწყინვალედ უთავსებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. ასწავლიდა დირიჟორობას, გუნდმცოდნეობას, თეორიულ საგნებს: მუსიკალურ ანბანს, თეორიას, სოლფეჯიოს, ინსტრუმენტმცოდნეობას.

ბათუმში მოღვაწეობის პერიოდი საკმაოდ ნაყოფიერი აღმოჩნდა მ. ბალანჩივაძის შემოქმედებითი თვალსაზრისითაც. დაწერა კანტატა „დიდება ზაჰესს“ – ა, ჟანრში პირველი ნიმუში ქართულ მუსიკაში, იგი შეასრულა ზაჰესის გახსნის დღეს ორკესტრმა და 400 კაციანმა გუნდმა. 1933 წელს მ. ბალანჩივაძეს რესპუბლიკის სახალხო არტისტის წოდება მიანიჭა.

ამ პერიოდისათვის სამუსიკო სასწავლებელში მუშაობდა ლოტვარი ვალერიან ამბაკოს ძე გოგიტიძე, რომელსაც სპეციალურ საგნებთან ერთად მუსიკალური თეორიული საგნებიც მოჰყავდა. ამავე დროს იგი მონაწილეობდა ჯერ შ. თაქთაქიშვილისა და შემდგომ კი მ. ბალანჩივაძის მიერ აჭარის სოფლებში მოწყობილ საექსპედიციო მოგზაურობებში – იწვრდა ხალხურ სიმღერებს, საცეკვაო მელოდიებს.

<sup>77</sup> გაზ. „ფუხურა“, 1928 წ. 24. XII.

1930 წლიდან შესანიშნავი მუსიკათმცოდნე ა. ფარცხალაძე სასწავლო ნაწილის გამგის მოვალეობასთან ერთად პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა, ასწავლიდა თეორიას, სოლფეჯიოს, ჰარმონიას, მუსიკის ლიტერატურას, ინსტრუმენტმცოდნეობას, დირიჟორობდა ორკესტრს და ასევე დასაწეისში სადირიჟორო კლასიც მიჰყავდა.

1979 წლის 26 IV, სტუდენტურ დღეებთან დაკავშირებით, ბათუმის შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტს ეწვია თბილისის უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტთა აკადემიური სიმღერის გუნდი, რომელსაც ხელმძღვანელობდა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის პედაგოგი თენგიზ სანაია. ეს გუნდი საზოგადოებრივ საწყისებზე იყო დაფუძნებული და თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით უკვე საკმაო პოპულარობით სარგებლობდა. თბილისელი სტუმრების მიერ მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულდა ქართული და რუსული სიმღერები, რითაც მასპინძელთა მოწონება დაიმსახურეს.

27 აპრილს კი თბილისელი სტუმრები ეწვივნენ ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელს, სადაც შედგა შემოქმედებითი შეხვედრა თბილისელ სტუმრებსა და ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეებს შორის.

„საგუნდო სიმღერის ბრწყინვალე საღამო“ – ასეთი შთაბეჭდილებით წერილობითი ანგარიშით წარსდგა სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივის წინაშე ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, ხელოვნებათმცოდნე, დოცენტი ლ. აბაშიძე. „შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ზ. ფალიაშვილის სამუსიკო სასწავლებელი წარმოდგა ისეთი მრავალფეროვანი რეპერტუარით და მაღალი საშესმსრულებლო ოსტატობით, როგორც არ ახსოვს ჩვენი ქალაქის ამ ერთადერთ სამუსიკო სასწავლებლის ისტორიას“ აღნიშნავდა ბატონი ლევან აბაშიძე.

ავტორი დიდი კმაყოფილებით გამოჰყოფდა პედაგოგ ზანული კოპლატაძის ხელმძღვანელობით ქალთა ვოკალური ანსამბლის მიერ შესრულებულ ნაწარმოებებს: „ანსამბლმა გამორჩეული, ფაქიზი გემოვნებით შეასრულა მერაბიშვილის“, ხაჯიყვის „ფერხული“.

მაღალი მხატვრული ოსტატობით გამოირჩეოდა კამერული გუნდი დავით ბერიძის ხელმძღვანელობით, რომელმაც შეასრულა მეტად რთული კლასიკური ნაწარმოებები: ზ. ფალიაშვილის „მესის“ ორი ნაწილი „ბენედიქტეს“ და „აგნუს დეი“, დოუსონის მიერ დამუშავებული ზაგნური ხალხური სიმღერა „რა ღამაში ქალაქია“, ბახი – გუნდი მესიდან „სი-მინორი“, მაიერის „ქებათა-ქება“.

შთაბეჭდილება ისეთი მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ მრავალრიცხოვანი აუდიტორია გაკვირვებული აღტაცებას ვერ მალავდა და მქუხარე ტაშით გამოხატავდა თავის კმაყოფილებას.

ქალთა გუნდს ხელმძღვანელობდა სასწავლებლის პედაგოგი ომარ ჩიტაიშვილი, დირიჟორობდნენ საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობის მე-4 კურსლეები დ. ლომთაძე, გ. გაგუა, ნ. სანიკიძე, ზ. ვადაჭკორია. შესრულებული იყო გრიგის „მზის ჩასვლა“, პერგოლეზის „სტაბატ მატერ“, ვებერის „მონადირეთა გუნდი“ და შუბერტის „ტყის მეფე“. მსმენელები კმაყოფილებით შეხვდნენ მათ გამოსვლას.

სასწავლებლის შერეულმა გუნდმა როსტომ ჭანიძის ხელმძღვანელობით შეასრულა მოცარტის „რეჟიემიდან“ „დიეზ ირე“, ხოლო პედაგოგ რუსლა გვაზავას ხელმძღვანელობით შესრულებულმა ორმა საგუნდო სიმღერამ – ალ. ფარცხალაძის

„კომკავშირულმა მარშმა“ და ზ. ფალიაშვილის ოპერა „დაისიდან“ „მტერი ბარში“ მსმენელთა დიდი აღტაცება გამოიწვია.

ბატონი ლევან აბაშიძე თავის სტატიაში აღნიშნავდა: „ეს იყო სიხარულისა და სიამაღესის მწვერვალი, სიმღერის ნამდვილი დღესასწაული. სმენ და ფიქრობ, ნუთუ ჩვენს სასწავლებლს ამდენი შესაძლებლობა ჰქონდა?“

საგუნდო ხელოვნების მიმართ სიყვარული და კარგი ხელმძღვანელობა ნათლად გამოჩნდა ბატონი ალი მსხალაძის დირექტორობის დროს.

შესაძლოა ვინმემ იფიქროს, ეს ხომ სპეციალური სამუსიკო სასწავლებელია და რა გასაკვირია პროფესიული საშმსრულებლო ხელოვნების მაღალი დონეო, მაგრამ როგორც ქალთა ანსამბლში, ისევე სამივე გუნდში ძირითადი შემსრულებელი მსახიობები იყვნენ თეორიული, საგუნდო-სადირიჟორო, საფორტეპიანო და საორკესტრო სპეციალობის მოსწავლეები.

შედევებით აღფრთოვანებული ბატონი ლევან აბაშიძე სავსებით მართებულად გვთავაზობდა თავის მოსაზრებებს: „უთუოდ მომწიფდა შესაძლებლობა, რომ ამ კოლექტივების ბაზაზე შეიქმნას ქალაქის გაერთიანებული აკადემიური გუნდი, სასწავლებლის სიმფონიურორკესტრთან ერთად აქედრდეს გუნდები, ანსამბლები, არიები და დუეტები კლასიკური საოპერო რეპერტუარებიდან. ბათუმს ამის ტრადიცია აქვს, მაგრამ მეღიბონ კუხიანიძის და ვალერიან გოგიტიძის გუნდების შესახებ მხოლოდ ტკბილი მოგონებებიდა დარჩა. თუმცა მათ წარუშლელი კვალი დატოვეს, დღეს უკვე ხანშიშესულ ჩვენს თანამოქალაქეთა მესხიერებაში, რომლებიც დიდი პატივისცემით იგონებენ ამ უანგარო მოღვაწეებს“. ბატონი ლევანი რწმენას გამოთქვამდა: „...რომ ამ ნიჭიერი ახალგაზრდების ენთუზიაზმი, სათანადო მხარდაჭერას ჰპოვებს, აკადემიურ საგუნდო სიმღერების კონცერტებს გაეხსნება ფართო გზა და იგი ჩვენი ქალაქის ტრადიციულ სიამაყედ იქცევა, რაც ახალგაზრდობის მუსიკალური კულტურის ჩამოყალიბებას სრულიად გაათავისუფლებს მავნე ზეგავლენისაგან.“

მაღალი ხელოვნება კი, არა მარტო ესთეტიურ აღზრდას ემსახურება, არამედ ადამიანის ზებუნებრივ სრულყოფასაც. ვისაც ჭეშმარიოტი სილამაზის განცდის უნარი აქვს, იგი ვერ იქნება ბოროტი, უხეში და უზნეო ადამიანი“.

ბატონი ლევან აბაშიძის ხსოვნის მიმართ ამ წიგნის ავტორი ქედს ვიხრი, როგორც ნათელი გინების, მაღალი პროფესიონალის წინაშე და ჩემს მოსაზრებას დაეურთავდი: თქვენი ანალიზური წერილი ბატონო ლევან, გახლდათ პროფესიონალური ჭერეტის მართალი დასტური. დაამტკიცეთ, რომ ყოველ დაწურულ მაჭარს თავისი ღვინობის დრო დაუდგება. ასევე უწინასწარმეტყველეთ ბათუმში საგუნდო ხელოვნების განვითარებას – აქ უდერს ოპერა, კაპელა, სიმფონიური ორკესტრი...

გამომცემლობა „მეცნიერების მიერ წარმოდგენილ ა. მსხალაძის ნაშრომში. თბილისი 1969წ. ავტორი წიგნში წარმოდგენს ქართულ ხალხური სამუსიკო ინსტრუმენტის – ჭიბონის მონოგრაფიულ შესწავლას. მასში გამოყენებულია, როგორც ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის 1964 წლის ფოლკლორული ექსპედიციის, ასევე საკუთრივ მის მიერ ჩაწერილი მასალა. მეცნიერულ ლიტერატურაში არსებული ცნობების გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობისაა კომპოზიტორების შ. მშველიძისა და გრ. კოკლაძის ჩანაწერები 30-იან წლებში...

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია მუსიკალურ, პოეტურ და ეთნოგრაფიულ საკითხებზე.

დღესიათვის მსოფლიოს ბევრი ხალხის სამუსიკო ინსტრუმენტია შესწავლილი და დადგენილია, რომ სხვადასხვა ხალხს ხშირად მსგავსი, ერთნაირი ფუნქციის მატარებელი მუსიკალური ინსტრუმენტები გააჩნიათ. ერთ-ერთი ასეთი უძველესი ხალხური მუსიკალური საკრავია ჭიბონი. იგი ცნობილია ინდოეთში, ძველ რომში, საფრანგეთში, ჰოლანდიაში, ინგლისში ირლანდიაში, შოტლანდიაში, რუმინეთში, ლიტვაში, რუსეთში, უკრაინაში, ბელორუსიაში, აზერბაიჯანში, სომხეთში და სვხა. ჭიბონი საკმაოდ გავრცელებული იყო ბოშებსა და ქურთებს შორის. ამ საკრავის ერთ-ერთი აღიარებული სამშობლო საქართველოცაა, სადაც იგი უფრო ცნობილია გუდასტვირის სახელწოდებით.

გერმანელი მეცნიერის კურტ ზაქსის ვარაუდით გუდიანი სტვირი ჩვენ წელთაღრიცხვამდე პირველ ათასწლეულში უნდა იყოს გაჩენილი. წიგნში ფართოდ არის გაშუქებული ჭიბონის შესწავლის ისტორია, კერძოდ ცნობები აჭარაში ჭიბონის არსებობის შესახებ.

„აჭარული ხალხური სიმღერები“, გაზ. „სახალხო ფურცელი“, 1916 წლის 13 სექტემბერი; და „აჭარული სასიმღერო ლექსები და ბაედ. კოტე ფოცხვერიშვილი“ გაზ. „საქართველო“, 1916 წლის 6 ნოემბრის ფურცლებზე აჭარის სოფლებში, აგარაკებზე: ბახმაროსა და ბეშუმის ექსპედიციების დროს ბევრი სიმღერები და საცეკვაო მელოდიები ჩცაუწერიათ, „ჯგუფ-ჯგუფად დადიოდნენ ჭიბონითა და დავლით (საკრავებია) აჭარლები და თავიანთი ცეკვიტა და სიმღერით მოაგარაკეთა ყურადღებას იქცევდნენ“ და წერილის ავტორი, გურული ეთნოგრაფისა და ფოლკლორის სანიმუშო მცოდნე აპოლონ წულაძე შენიშნავს, რომ აჭარლების მიერ შესრულებული „სასიმღერო ლექსების კილო დიდინ-მესტვირულია და ბატონ კომპოზიტორის აზრით – ფრიად სასიამოვნოც“.

ნაშრომში ამსხალაძე მიუთითებს, რომ „ჭიბონის“ ექვივალენტად შმდეგი ტერმინებია ფიქსირებული: საკუთრივ „ჭიბონი“, „გუდის ჭიბონი“, „ჭიმონი“, „სტვირი“, „ჭიპონი“, ან „გუდის ჭიპონი“ და „თულუმი“(თულუმი თურქული სიტყვაა და ტყავს ნიშნავს, გუდას აღნიშნავს).

ჭიბონის საკითხთან დაკავშირებით წმინდა მუსიკალური თვალსაზრისით სიახლეა მუსიკათმცოდნის ვ. ახობაძის ნაშრომში „ქართული (აჭარული) ხალხური სიმღერები“ (ბათუმი, 1961, გვ. 34). მანამდე არსებული ცნობების გვერდით მოცემული აქვს ჭიბონის წყობაც:

„მარცხენა სალამური: მი-ბემოლ, სა, სოლ, ლა-ბემოლ, სი-ბემოლ, დო.

მარჯვენა სალამური: მი-ბემოლ, სა, სოლ, ლა ბემოლი.

ასევე იქვე მიუთითებს, რომ ჭიბონის ჰანგს ყოველთვის დოლი ახლავს. მიუხედავად იმისა, რომ სოფელში არ ლაპარაკობენ ქართულად, როგორც მიღებულია მისის ახელი იმერხევში, ამ ინსტრუმენტის სხვადასხვა ნაწილთა დასახელების დროს გამოსტვივის ქართული ელემენტები: საპირეს ეწოდება „ღირღიტი“, დაბოლოება „ქარასხი“, ხის ნაწილს დაბოლოებასა და ტყავს შორის – „ნაუ“ ანუ ქართულად „ნავი“, ნავში ჩადებულია ორი ლერწამი, რომელთაც ეწოდება „ღუღუკი“.

ავტორი მიაჩნის, რომ ადრეულ პერიოდში „ჭიბონი“ მწყემსებს აუთვისებიათ და მათთვის ისეთივე საყვარელი ინსტრუმენტი იყო როგორც სალამური.

აჭარაში საბავშვო ინსტრუმენტების შესახებ მოყვანილია: ჭყაპინაი (იგივე დუღუკი), შტვირი (იგივე საშტვენი ან „საშტვენელაი“) და ჭიბონი.

დაწვრილებით მოცემული აქვს ჭიბონის ნაწილების დამზადების წესი, აღწერა, გაზომვა, მისი ნაირსახეობა, დიაპაზონი და სხვა და სხვა.

ჭიბონის ტრადიციას აჭარაში ისტორიული მნიშვნელობას ანიჭებს ის გაგრძელებული გახლდათ მთელ აჭარაში და ძლიერი ოჯახური ტრადიცია ჰქონდა. თავიანთ მასწავლებლებად მეჭიბონეები უპირატესად მამას, ბიძას, უფროს ძმას, თავიანთ უახლოეს ნათესაებსა და მოყვარეებს ასახელებენ. ზოგიერთი ოჯახის მოხუც მეჭიბონეებს თავიანთი მეჭიბონე ბაბუებიც კი კარგად ახსოვთ.

ჭიბონის რეპერტუარის ირგვლივ ა. მსხალაძე მიუნიშნებს, რომ ქართველმა მესტვირეებმა საკმაოდ მდიდარი მესტვირული პოეზია შექმნეს, რომელიც ჟანობრივ – თემატიკური სიუხვით გამოირჩევა.

აჭარელ მეჭიბონეთა რეპერტუარზე საკუთრივ თავის მოკვლეულ მასალებზე დაყრდნობით მოისაზროს, რომ ჭიბონს აჭარაში ძველთაგანვე გამოიყენებდნენ შრომითი საქმიანობის დროს, ის წარმოადგენდა საკრავს, რომელსაც გართობა-დასვენებას უკრავდნენ.

მიუხედავად ტექნიკური სირთულეებისა აჭარული ჭიბონი უხვი რეპერტუარით ხასიათდება, მასში როგორც საცეკვაო ისე სმიერი მუსიკაც საკმაოდაა წარმოდგენილი.

ჭიბონზე შესრულებული მელოდიების კლასიფიკაციისას შეიძლება სამ ჟანრს შევხვით: 1) საცეკვაოები; 2) წმინდა საკრავიერი მუსიკა და 3) ხალხური ხმიერი მუსიკის აკომპანიმენტი.

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ საცეკვაო მელოდიების უპირატესობას.

ჭიბონზე წმინდა ინსტრუმენტული მსუიკის ნიმუშებიც სრულდება, ესენია: „პატარძლის გამოთხოვება მშობლებთან“ („გამოსათხოვარ ჰიმნსაც“ უწოდებენ), „შუამთური“, „საჯვითო“, „მეზავრული“, „შემოთენება“ და სხვა. „პატარძლის გამოთხოვება მშობლებთან“ და „შემონათება ხალხური ბგერწერითი მეთოდის გამოყენებით ხასიათდება. პირველში ტირილის ინტონაციები ისმის, ხოლო „შემონათებაში“ მეჭიბონე მამლის ყივილის იმიტაციას ახდენს.

ხალხური ხმიერი მუსიკის აკომპანიმენტი თავის მხრივ შეიძლება სამ ქვეჯგუფად გამოიყოს: 1) ჭიბონი, როგორც გუნდური სიმღერების სააკომპანიმენტო საშუალება; 2) როცა მეჭიბონე უკრავს და სხვა „უღლინებს“ და 3) მეჭიბონე უკრავს და ღლინებს კიდევ.

ჭიბონი, როგორც გუნდური სიმღერების სააკომპანიმენტო საშუალება, განსაკუთრებით ქორწილებში მაყრულის სიმღერის დროს გამოიყენებოდა. შედარებით გაგრძელებული ფორმაა, შესრულების ისეთი წესი, როდესაც მეჭიბონე უკრავდა და სიმღერას სხვა ასრულებდა.

აჭარაში ისეთი მეჭიბონეების ყოფილან, რომლებიც არამცთუ უკრავდნენ და მღეროდნენ, ცეკვავდნენ კიდევ. ასევე მოკვლეულია ის, რომ მესტვირული პოეზია არსებობდა.



სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში გარკვეულია, რომ სტვირზე დასამღერები „ლიდინურის“ მელოდია ფრიად მარტივია. მესტვირის დასაკრავი და სიმღერა მხოკლე პრელუდით იწყება; შემდეგ გუდასტვირის დაკვრით შებანებული, ლექსად წარმოთქმული სიმღერა მოსდევს, ბოლოში კი მოკლე პოსტლუდით თავდება.

აჭარულ ჭიბონზე შესრულებული სიმღერების რეზიტატიული ლიდინ-მესტვირული ხასიათი სამეცნიერო ლიტერატურაში ადრეც იყო შენიშნული.

ჭიბონზე დასამღერებელი მელოდია მარტივია, იგი უმეტესწილად ორ-სამტაქტიანი საინსტრუმენტო შესავლით იწყება. შემდეგ სიმღერას იწლებს ბანი, რომლის დიაპაზონი ძირითადად სეკუნდაა, მხოლოდ კადანსის დროს კვარტამდე აღწევს. შედარებით მაღალი ხმის (მთქმელის) დიაპაზონი ფართოა და კადანსის დროს კვინტის ფარგლებს აღწევს. მელოდიური სვლა ძალიან მარტივია და ბანთან ერთად უნისონში მთავრდება. სვლა ძალიან მარტივია და ბანთან ერთად უნისონში მრთავდება. არის შემთხვევები, როდესაც მელოდიის აღმავალი და დაღმავალი სვლებით დიაპაზონი სექსატის ფარგლებში თავსდება.

არის უადრესად განვითარებული „ჭიბონზე დასამღერებელი“ მელოდია, რომელიც ოქტავის ფარგლებს აღწევს და სცილდება ჭიბონის გამის დიაპაზონს.

ჭიბონზე უფრო სატრფიალო ლირიკის ნიმუშები სრულდება. აჭარული მეჭიბონეები მღეროდნენ ასევე საყოფაცხოვრებო და ფილოსოფიური ხასიათის ლექსებს.

აჭარაში ჭიბონის ხანგრძლივი ტრადიცია არსებობს. ძველი ქართული ეროვნული მსუიკალური ინსტრუმენტი, რომელმაც ბევრ შაგუნელ დღეს გაუძლო და ჩვენამდე ტკბილქართულთან და ხალხურ სიმღერასთან ერთად შეულახავი სახით მოაღწია, სამწუხაროდ დღეს უკვე დავიწყებას ეძლევა და მუზეუმის კუთვნილება ხდება.

### მუსიკალური ფოლკლორი

1937 წელს ქართული ხელოვნების ეკადის დროს გაზეთი „პრაგდა“ (14.I.1937წ. №14) სტატია გადმობეჭდილი იყო გაზ. „კომუნისტშიც“ (იხ. 1937 წ. №19) წერდა: „მუსიკის ისტორიკოსები ყოველთვის ძალიან ნაკლებ ყურადღებას აქცევდნენ ხალხურ სიმღერებს. სრულიად უფერულ გერმანულ და იტალიელ კომპოზიტორებს ათობით წიგნები და სტატიები აქვთ მიძღვნილი, ხოლო თავისი მუსიკალური მნიშვნელობით იშვიათი ქართული ხალხური სიმღერის შესახებ უცხოეთის ლიტერატურაში თითქმის ვერაფერს ნახავთ. ჩვენმა მუსიკათმცოდნეებმაც ვერ მოიცაღეს, რომ ხელი მოეკიდათ ხალხური სიმღერებისათვის, გაცნობოდნენ მათ თანამედროვე მდგომარეობას, ისტორიას. ისინი განცვიფრებით და აღტაცებით შლიან ხელებს, როცა ისმენენ ქართული მელოდიების სიმღიდრეს, მაგრამ ჯერ კიდევ სათანადო უნარი არ შესწევთ განმარტონ მათი თავისებურებანი.

ნამდვილად კი ქართული სიმღერები, რომლებიც საკმაოდ მკვეთრად იყოფა ორ – აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს ჯგუფებად აინტერესებთ არა მარტო მუსიკოსებს, არამედ ისტორიკოსებსაც. რთულ მრავალხმიან სიმღერას, ალბათ მეტად ხანგრძლივი ისტორია აქვს. დამახასიათებელია, რომ მეზობელმა ქვეყნებმა სრულებით არ იციან მრავალხმიანი სიმღერა. საქართველოს, ისევე როგორც სხვა ქვეყნების, ხალხური სიმღერის შესწავლა მოგვცემდა გასაღებს ისტორიისა და კულტურის

ისტორიის მთელი რიგი საკითხებისათვის, ისევე, როგორც ენის შესწავლა, საშუალებას გვაძლევს უკეთ გავიგოთ ხალხთა ისტორია”.

მუსიკალურ ფოლკლორს ბევრი რამ ანათესავებს პოეტურ ფოლკლორთან, მაგრამ ბევრი რამითაც ჩანს, რომ ჩვენს ხალხს დღემდე შემოუნახავს ათასობით ლექსი, ზღაპარი, ანდაზა, გამოცანა თუ სხვა ჟანრის პოეტური შემოქმედების ნიმუშები. დღემდე დაცული ხალხური სიმღერები კი საქართველოს ყველა კუთხეში ერთად რომ შევკრიბოთ, იქნებ ათასსაც გადააჭარბოს.

თუ ამ მოვლენას ჩავუკვირდებით, იგი არც ისე ძნელი ასახსნელია. საქმე ისაა, რომ სიმღერის შექმნა გაცილებით ძნელი საქმეა, ვიდრე ლექსის ან ზღაპრისა. უკვე შემუშავებული ზღაპრის, ან ლექსის გამოცემა უკლებლივ ყველას შეეძლო. სიმღერის შენახვა და გადმოცემა კი განსაკუთრებულ ნიჭს მოითხოვს, ასეთები კი შედარებით ნაკლები იყო ყოველთვის.

ხალხური მუსიკალური ფოლკლორის საწყისი განვითარება მთქმელ-შემსრულებელში იმალება და ცხოვრებაზე მათი დაკვირვებითა და ნიჭით განისაზღვრება. მთქმელ-შემსრულებელი, მხოლოდ შესრულების დროსაა შემოქმედი, სხვა ასპარეზი მას არ გააჩნია. მშვენივრად გვისურათებს ამას ერთ-ერთი სახალხო შემსრულებელი. აი რას ამბობს იგი: „მე გიორგი მრელაშვილი დიდი განათლების მქონე არა ვარ, ზღაპარი წიგნში არასოდეს არ წამიკითხავს, ცოდნით კი ბევრი ვიცოდი, მთელი თვეობით შემეძლო ლაპარაკი. სანამ ახალგაზრდა ვიყავი, კაი გამოთქმა მქონდა, კარგი მომღერალი. კარგი მოცეკვავე ვიყავი და მიყვარდა გართობა. ამ დროს სოფლურ ლექსებსაც და ზღაპრებსაც კარგად ვიხსომებდი, მიყვარდა ისინი. ბევრ ზღაპარს მე თვითონ ვაკეთებდი; მოხდენილ ადგილებს ვუმატებდი, სხვანაირად აბა როგორ შეიძლება იმდენი ამბების დახსომება. ზღაპრებს ვსწავლობდი, ტყეში, მთაზე – მწყემსობაში, ველად მუშაობის დროს და სხვაგან, ხშირად შევიკრიბებოდით ზღაპრების სათქმელად და იქ იმართებოდა შეჯიბრება, თუ ვინ უკეთეს ზღაპარს და კარგად იტყოდა.“<sup>78</sup>

გ. მრელაშვილის მიერ მშვენივრად არის გადმოცემული გარემო თუ როგორ ვითარდებოდა ფოლკლორული ნაწარმოები. ასევე ანალოგიურად იქმნება ვარიანტები ხალხური ქმნილებებისა, რომელთაგან შეიძლება ერთ-ერთი გადარჩეს, შესაძლებელია თვითოეულმა ვარიანტმა თავის მხრივ ცალკე განიცადოს განვითარება და ახალ ნაწარმოებად ჩამოყალიბდეს. ყოველ შემთხვევაში ეს დასტურდება ხალხური შემოქმედების მრავალი ვარიანტის შემონახვით. ასეთი ვარიანტები ხალხურ სიმღერებსაც მოეპოვება და საკმაოდ უხვდაც.

ამას ადასტურებს შემდეგი ფაქტიც. ვთქვათ რომელიმე გუნდში თავმოყრილია არა მარტო ერთი სოფლის, არამედ კუთხის სხვადასხვა სოფლის მომღერალი. ერთ შემსრულებელს თავისი ვარიანტი მიაჩნია სწორად, მეორეს – თავისი, რაც ამ შემოქმედებისათვის დამახასიათებელი სპეციფიკაა.

ცნობილ ხალხურ მომღერალს აქვსენტი მეგრელიძეს მოყვანილი აქვს ასეთი ფაქტი: „რამდენიმე მომღერალს შეექმნათ ცილობა. ერთ სიმღერაზე, ორი სხვადასხვა ვარიანტი იყო, ერთს ერთი მიაჩნდა სწორად, მეორეს – მეორე. ვერ მორიდდნენ, წავიდნენ სამუელ ჩავლეიშვილთან, რომელიც გურიაში განთქმული მომღერალი იყო და მის დროს ყველა მომღერლისათვის უბადლო ავტორიტეტით, შეთანხმდნენ: რომელსაც

<sup>78</sup> ვანო შილაკაძე, ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის. გამომც. „ხელოვნება“, თბილისი, 1949, გვ. 18

ის გაამართლებდა, უსიტყვოდ მიიღებდნენ. მივიდნენ მასთან. მოასმენინეს ორივე ვარიანტი. სამუელმა ჩაიღიმა და უთხრა: „ახლა მე კიდევ სხვანაირად ვეტყვი ამასვე და სამივე მართალი ვიქნებით“.<sup>79</sup>

ამ მოტივირების საფუძველზე თამამად შეგვიძლია მოვიაზროთ ის, რომ მათ მუსიკალური განათლება არ ჰქონდათ და მუსიკალური ჩანაფიქრის ჩაწერა არ შეეძლოთ, მღეროდნენ ისე, როგორც ახსოვდათ.

ამ დებულებას ჩინებულად ასაბუთებს ზაქარია ფალიაშვილის განმარტება, რომელიც ჩაწერილია მის მიერ ფონოგრაფის შემოწმებით „ქართული ხალხური სიმღერების კრებულში“, თბილისი, 1909 წ. გვ. X-XII: „...ქართველ მომღერლებს, როცა ერთი და იგივე სიმღერები ესმით – ერთმანეთში ვერ შეთანხმებულან და ვერ გაურჩევიან. ეს სიმღერები სწორედ ისეა გადაღებული, როგორადაც ხალხი სოფლებში მღერის, თუ არა? ერთი მათანი თუ თანახმაა, მეორე კიდევ არ ეთანხმება! ეს არაიშვიათი მოვლენაა ჩვენში და ჩემის აზრით აი რითი უნდა აიხსნებოდეს: საქართველოს ყველა სოფლებში მომღერალთა შორის მიღებულია, რომ ისინი დაიყოფებიან ოთხ ანუ მეტი კაცისგან შემდგარ გუნდებად. ამ მომღერლებს იმგვარად შეუწყვიან ხმა ერთმანეთში, რომ თუ შემთხვევით ერთ გუნდში მომღერალი მეორე გუნდთან მოხვდა, თითქმის ფონს ვერ გავა და ისე მწყობრადაც ვერ იმღერებს, როგორც თავისთან შეჩვეულ გუნდთან, თუმცა შესაძლოა, მომღერალიც კარგი იყვეს და ქართული სიმღერაც ჩინებულად იცოდეს.

ამ გუნდების თვითოეული მომღერალი მონაწილე როცა ერთსა და იმავე სიმღერას ამბობს. საერთო კილოს ფარგლებიდან თუმცა არ გამოდის, არც თუ ხასიათს უცვლის, მაგრამ თვითოეული მათგანი თავისებურად, მოხერხებულად ხმის მიხვრამოხვრით ასრულებს, საკუთარ ოცნებას მისდევს და საზოგადო კანგს ახალ-ახალი სამკაულით (მელიზმებით) ჰქარგავს. ამის გამო, როგორც პირველი ხმა, ისე მომეტებულად მეორეც, რომელსაც ამ მხრით განსაკუთრებითი ღირსება და მნიშვნელობა აქვს საზოგადოდ ქართულ სიმღერა-გალობაში, შეუძლებელია, რომ ცოტად თუ ბევრად მაინც არ იცვლებოდეს. ასე, რომ თუნდაც კაცს მთელი სიმღერაც ერთი გუნდისაგან შესწავლილი ჰქონეს, მეორე გუნდს რომ ამღერინოს ერთის მოსმენით თითქმის ეუცხოვება კიდევ.

ღირიჟორობის საკითხის შესწავლაც შეიძლებოდა ნაწილობრივ მაინც ჩვენი ხალხური მომღერლებისაგან. ჯერ კიდევ მე-9 საუკუნიდან ცნობილია საქართველოში მომღერალთა გუნდების არსებობა. გუნდი, რანაირიც არ უნდა ყოფილიყო იგი ხელმძღვანელს საჭიროებდა. ზოგიერთი მკვლევარის აზრით ხალხურმა სიმღერამისი ბუნებრივი, ხალხური შესრულებით ღირიჟორი არ იცის არც იყო საჭირო, რადგან ხალხური სიმღერა საერთოდ არ იწყება ერთად მთელი გუნდის მიერ. ყველა სიმღერაში წამომწყები ერთია, რომელსაც შემდეგ მთელი გუნდი მიჰყვება. სხვაგვარად არც წარმოიდგინება, რადგან ხალხური სიმღერა ხალხში ჩვეულებრივ შრომის დრო იმღერებოდა. თანაც შრომას აყოლებული რიტმი თვითონ იყო გარკვეული სახის ღირიჟორიც. იგი ამ რიტმზე აყოლებული მეელოდიიდან გადახვევის საშუალებას არ იძლეოდა.

გულმოდგინედ შეგროვილ მასალებზე დაყრდნობით როგორც ხალხური სიმღერების ტექსტის ისევე ხალხური მუსიკა მრავლად ინახავს გარდასულ ჟამთა

<sup>79</sup> ვანო შილაკაძე. ქართული ხალხური მუსიკის შესწავლისათვის. გამომც. „ხელოვნება“. თბილისი, 1949, გვ. 20

დანაღველებს, როგორც ენა. იქ შემონახულია შრომის განვითარების საფეხურების, ხალხის სოციალური ცხოვრების სხვადასხვა ეტაპების ამსახველი მომენტები.

ცნობილია, რომ ხალხური შემოქმედების დარგებად დანაწილება შედარებით გვიანდელი ამბავია. ადამიანის განვითარების ადრინდელ საფეხურებზე ხელოვნების თითქმის ყველა დარგი გაერთიანებული იყო და ყველაფერი ერთად, გუნდურად მუშავდებოდა და სრულდებოდა. ამ დროს ამ გაერთიანებული შემოქმედების ძირითადი საფუძველი იყო რიტმული მოძრაობა (საიდანაც ცეკვები წარმოიშვა) და მელოდია (მუსიკის დასაბამი), რომელიც აგრეთვე მოცემულ რიტმზე იკინებოდა. რიტმს კი ქმნიდა შრომა. ეს მოდის ადამიანის განვითარების ძალიან შორეული პერიოდიდან. ამ დროს ადამიანის მეტყველება უადრესად დაბალ დონეზე იდგა. არსებობდა მხოლოდ ცალკე ამოძახილები, რომელიც რიტმულ მოძრაობას მიჰყვებოდა და მელოდია იქმნებოდა. ჩვენს ხალხურ სიმღერებში შემორჩენილია მელოდიები, რომლებიც დღესაც უსიტყვოდ იმღერებდა, მარტო მელოდიურად აკინძული შეძახილებისაგან შედგება.

ო (ჰო)-ს გამოთქმას არ შორდება. სვანური „მთიბლური“, აფხაზური „მგზავრული“, ასეთივეა ხევსურული „ჯვარული“.

ასევე ყურადღებას იქცევს ჩვენი ხალხური სიმღერების გაუგებარი სიტყვები. ძველი ხალხური სიმღერების უმრავლესობაში გამოყენებულია სიტყვები: არალი, თარალი, არალილი, თარალილი, ჰადილა, ვადილა, ვორუდელა, ნანადილა, აბადილა, დელი-დელა, ოდელია, ჰარირა, რანუნი და სხვა. გურული კრიმანჭულის გაბმული ია-უა (ირია, ურუა), რიტმი, რიიმტირი... ელესა, ლაღე ყველა ესენი ქართული ხალხური ძველი სიმღერის სამკაულებია. ზეპირსიტყვიერების განვითარებასთან ერთად ასეთი სიტყვები თანდათან იღვენება და იცვლება გასაგები ტექსტებით.

ძირითადი და მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ ქართული ხალხური მუსიკის მრავალფეროვნებას მის ბუნებასთან აკავშირებენ. უპირველესად ბუნებიდან მუსიკას აღებული აქვს – ბგერა, რიტმი, ჰარმონია. ბუნებაში დაპირისპირებულ ოდენობათა ერთიანობა. მართალია ბუნებაში მუსიკა არა გვაქვს, მუსიკა ადამიანის გენიის შემოქმედებაა.

ადამიანი ყველგან მღერის, სხვადასხვა ხალხის მუსიკას შორის კი განსხვავებაა და საკმაოდ საგრძნობიც. ყველაფერი ბუნების სხვადასხვაობასთანაა დაკავშირებული. მაგალითად ხევსურები ჯერაც არ გასცილებიან ერთხმიან სიმღერას, სვანეთში კიდევ უფრო სამხმიანი სიმღერებია, გურიაში განთქმულ კრიმანჭულს შვიდ ხმაში მღერიან და საერთოდ გამოირჩევა თავისი ცოცხალი, პოლიფონიური ხმაშეწყობილი სიმღერებით და განსაზღვრული რიტმით.

აჭარა ოდითგანვე გამოირჩეოდა მდიდარი და მრავალფეროვანი ფოლკლორით. აქ პირველი ფოლკლორული ექსპედიცია ჯერ კიდევ 1928 წლიდან დაიწყო, როდესაც აჭარაში, კერძოდ ბათუმში, მუსიკალური სასწავლებელი დაარსდა და დირექტორად შალვა თაქტაქიშვილი დაინიშნა. შემდგომ ალექსი ფარცხალაძემ საქართველოს კომპოზიტორთა ასოციაციის წევრმა 1933 წელს მოაწყო, ფოლკლორული ექსპედიცია მარშრუტით ქედა, ხულო, ქობულეთი და ბათუმი.

აჭარის სახელმწიფო ცენტრალურ არქივში დაცულია ალექსი ფარცხალაძის ხელნაწერი აჭარის მუსიკალურ-ფოლკლორულ ექსპედიციაზე. წერილში, რომლითაც კომპოზიტორი ალ. ფარცხალაძე მიმართავს აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კულტსექტორს, აჭარისტანის სახალხო განათლების კომისარს, აჭარისტანის სამეცნიერო მხარეთმცოდნეობის ბიუროს, საქართველოს

კომპოზიტორების კავშირს, საქართველოს სახელმწიფო კონსერვატორიის თეორიულ ფაკულტეტს ნათქვამია: „მოგახსენებთ, რომ თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღება ექსეკუა ეთნიოგრაფიული მუსიკის შეგროვებას, ფიქსაციას და მათი მეცნიერული ანალიზის საფუძველზე დამუშავების საქმეს. ეს მით უფრო საჭირო და მნიშვნელოვანია ჩვენში – აჭარისტანში, სადაც უდავოა განსაკუთრებული შინაარსის, ფორმისა და არქიტექტონიკის მქონე ხალხურ შემოქმედებასთან გვაქვს საქმე.

მართალია, გარეშე აჭარისტანისა მყოფ სპეციალისტების მიერ გასულ საუკუნეში (ნაგულისხმევია მე-19 საუკუნე) შეკრებილ იქნა ასეთი ექსპონატების ნაწილი, მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთი ნიმუში დღეს არ არსებობს, რაც ჩვენთვის არ არის მიზანშეწონილი, ჩვენი სამუსიკო ხალხური შემოქმედების ნედლეულს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თანამედროვე სოფელზე ქალაქი ახდენს გავლენას თავისი გაქალაქებული ფორმებით, მუსიკალური თვალსაზრისით, რაც ეთნოგრაფიულ სამუსიკო მასალას უკარგავს თავის პირვანდელ, საწყის სახეს და ღირსებას. აქედან კი დასკვნა: სულ ცოტა ხნის განმავლობაში ჩვენ შესაძლებელია ვერც კი ვიპოვოთ ნამდვილი ძველი ხალხური სიმღერა, რამდენადაც ჟამთა სვლა თავისას შერება და ამ სიმღერების ავტორების, მოხუცი სოფლელების რიცხვი დღითი დღე კლებულობს. ჩვენთვის კი დღეს აუცილებელია, რომ შევქმნათ მცირე და დიდი ფორმის ნაწარმოები ეროვნული ფორმითაა და ინტერნაციონალური შინაარსით (ოპერა, ბალეტი, სიმფონია, უვერტიურა, ბალადა, პოემა, საფგუნდო სიმღერა და სხვა).

მოგახსენებთ რა ყოველივე ამას, გთხოვთ აღმოგვიჩინოთ მორალური და მატერიალური დახმარება, რომ მოგაწყობთ სამუსიკო მეცნიერული ექსპედიცია აჭარისტანში აღნიშნული მიზნით”.<sup>80</sup>

ექსპედიციამ ერთ თვეს გასტანა; მასში მონაწილეობდნენ სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგები და მოსწავლეები. ექსპედიციამ ბევრი საყურადღებო სიმღერა ჩაიწერა და შემოუნახა შთამომავლობას.

აღექსი ფარცხალაძემ შემდგომ თავის შემოქმედებით ნაწარმოებში ექსპედიციაში მოკვლეული ხალხური მუსიკის ინტონაციები არა ერთხელ პროფესიულ მუსიკაში გამოიყენა. დაწერა „აჭარული სუიტა“, „აჭარული ხორუმი“, რომელიც აჭარის სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრის რეპერტუარში შევიდა და დიდი წარმატებით სრულდებოდა. ასევე ა. ფარცხალაძემ გამოსცა აჭარული ქართულ-ხალხური სიმღერებისა და ცეკვების არაერთი კრებული.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დავალებით კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილს დაევალა შეეკრიბა დასავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერები და დაეწერა ისეთივე შრომა, როგორც დაიბეჭდა და გამოიცა 1948 წელს – „აღმოსავლეთ საქართველოს ხალხური სიმღერების მიმოხილვა“. სწორედ ამ მისიით 1952 წლის აგვისტოში ჩამოვარდა ბათუმში იგი.

### ხალხური სიმღერის ანსამბლები:

„ორნანო“ და „ოპოი ნანა“

<sup>80</sup> (ასცა, ფონდი R-186; ან №1; არქ 1; ფურცელი 15-16). წერილი დათარიღებულია 1933 წლის 7 იანვრით.

ანსამბლ „ორნანოს“ დიდი ღვაწლი მოიძღვის აჭარული სიმღერების მოძიება-გამოვლინებისა და პროპაგანდის საქმეში.

სწორედ ამ ანსამბლის უშუალო დამსახურება გახლდათ ისეთი სიმღერების პოპულარიზაცია, როგორებიცაა: „ორნანო“, „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“, „ვოსა“, „ელესა“, „ზემოაჭარული მაყრული“ და სხვები.

ანსამბლის შესრულებით რეპერტუარში გახლდათ ისეთი ხალხური სიმღერები, როგორიცაა: „შენ ხარ ვენახი“, ქართულ-ხალხური წყობის სადიდებელი „მრავალჯამიერი“, სვანური „კვირია“, იმერული „ცხენოსნური“, გურული „კალოს ხელხვაი“, მეგრული – „ოდოია“, ასევე ასრულებდნენ რ. ლადიძის „ლაშქრულს“ კინოფილმიდან „ხევისბერი გონა“.

1970 წლიდან ანსამბლს ხელმძღვანელობდა სულიკო გიორგაძე, 1976 წლიდან ალი მსხალაძე, ხოლო 1990 წლიდან ანსამბლს სათავეში ჩაუდგა დ. ბერიძე.

### ალი უზეირის ძე მსხალაძე

ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სასწავლებლის დირექტორი 1978 წლის მარტიდან, აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი – დოცენტი, ნ. ბერძენიშვილის სახელობის ბათუმის კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი, იგი პარალელურად უთავსებდა სამუსიკო სასწავლებელში ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედების კურსის კითხვას.

ბატონი ალი ძალიან თავდაჭერილი, დარბაისელი ადამიანი ბრძანდებოდა, ის ყოველ წვრილმან საკითხსაც კი მეცნიერული თვალთახედვით მოისაზრებდა. ქართული ეროვნული ტრადიციების მატარებელი მეცნიერულ მოღვაწეობაში თანმიმდევრულად მიმოიხილავდა ქართულ-აჭარული ხალხური ფოლკლორის როგორც პოეზიის ისე სიმღერის და ქართული ხალხური საკრავების შესახებ. ამ მხრივ ყურადსაღებია მისი მონოგრაფიული ნაშრომი „ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან“, რომელიც დასტამბა გამომცემლობა „მეცნიერება“ თბილისში 1969 წელს.

ეწოდა ექსპედიციურ მუშაობას. ხალხური სიმღერების ჩამწერი და უშუალო შემსრულებელი გახლდათ, (ის ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის ვოკალური განყოფილების კურსდამთავრებული იყო. სპეციალობას სწავლობდა დოდო ჯვარშიევილთან). მას არაერთი ვოკალური ანსამბლები ჩამოუყალიბებია, რომლის მდიდარი სასიმღერო რეპერტუარი ხალხური ფოლკლორის საუკეთესო ნიმუშებს წარმოადგენდა. შესრულების საკითხს მთელი მომთხოვნელობით, ხალხური დიალექტებისათვის და მუსიკალური ფოლკლორისათვის სახასიათო გადაწყვეტით ეხებოდა, სადაც ნათლად გამოჩნდა საგუნდო ხელოვნების მიმართ მისი დიდი სიყვარული და მაღალი პროფესიონალიზმი.

1978 წლის მარტიდან სასწავლებლის დირექტორად დაინიშნა.

მის ამ საპასუხიმსგებლო თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში არაერთ საინტერესო ინიციატივას ჩაეყარა საფუძველი. უპირველესი კი გახლდათ რამდენიმე წლის მანძილზე, ზედიზედ მოწყობილი ზ. ფალიაშვილის სახელობის კონკურსი, სადაც ჯერ სამუსიკო სასწავლებლის ფარგლებში, შემდეგ კი თბილისის, ქუთაისის, ფოთის, გორის, თელავის სამუსიკო სასწავლებლის მონაწილეები ღებულობდნენ მონაწილეობას. შემდგომში საგრძობლად გააქტიურდა საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების კონცერტები. მათი საშემსრულებლო-საგუნდო რეპერტუარი გამდიდრდა ეროვნულ, ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებით. ამდღა პედაგოგებისადმი მომთხოვნელობა. მისი ხელმძღვანელობის პერიოდში ორჯერ მოეწყო პედაგოგთა კვალიფიკაციის ატესტაცია. და არც მთავარია, შესრულებული კონცერტების კრეატიული ანალიზის მსჯელობის სივრცე გაიზარდა, იმრავლა პრესაში გამოქვეყნებულმა პუბლიკაციებმა, ანონსმა, სიახლეებმა მსუიკის ირგვლივ და სხვა.

მისი დირექტორობის პერიოდში მნიშვნელოვანი გახლდათ სამუსიკო სასწავლებლის 50 წლის საიუბილეო თარიღის აღნიშვნა. ამ თარიღის ბატონმა ალი მსხალაძემ მიუძღვნა ვრცელი სტატია გაზეთ „საბჭოთა აჭარის – (27 XII 1978 წ.) ფურცლებზე, სათაურით – „ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი 50 წლისაა“. საიუბილეო თარიღს მიეძღვნა კონცერტების მთელი სერია. მასში მონაწილეობდა სასწავლებლის ყველა განყოფილების საფორტეპიანო, საორკესტრო, ვოკალური, საგუნდო-სადირიჟორო და თეორიული სწავლების ნიჭიერი მოსწავლეები და პედაგოგები. კონცერტების და თემატურ კონფერენციებს ესწრებოდა ბევრი ჩამოსული საპატიო სტუმარი. ამასთან დაკავშირებით შეიქმნა საარქივო ფოტომასალა, სადაც ასახულია ცალკეული განყოფილების მიხედვით მოღვაწე-პედაგოგების სურათები, რაც დღეს უკვე ისტორიულ, მუზეუმის კუთვნილებას წარმოადგენს.

მკითხველის ყურადღება მინდა შევაჩერო ბატონი ალის მიერ ჩამოყალიბებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლის „ორნანოს“ შემქმედებით წარმატებაზე.

საკონცერტო გამოსვლებით ანსამბლმა განსაკუთრებული სახელი გაითქვა სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს.

197 წლის 24 აპრილს სამუსიკო სასწავლებელში შედგა ახალგაზრდა საერთაშორისო სოლიდარობის დღისადმი მიძღვნილი ლექცია-კონცერტი „ქართული ხალხური სიმღერები“. ლექცია-კონცერტში მონაწილეობდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ორნანო“.

აღნიშვნის დღისა „ორნანოს“ მონაწილეობა საგუნდო მუსიკის ზეიმში, რომელიც ყოველწლიურად ეწყობოდა გამოჩენილი ქართველი დირიჟორის ვახტანგ ფალიაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც 1980 წლიდან ყოველწლიურად იმართებოდა 1985 წლამდე.

სასიამოვნოა, რომ „ორნანოს“ ხელმძღვანელები სულიკო გიორგაძე, ალი მსხალაძე და დავით ბერიძე ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის ნიჭიერ მუსიკოს-პედაგოგთა პლეადას მიეკუთვნებიან.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა საგუნდო ხელოვნებას, მისი უძველესი საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნებას და შემდგომ განვითარებას. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს პროფესიონალური თუ

შემოქმედი ქოლექტივების სხვადასხვა მასშტაბის ფესტივალები, კონკურსები და დათვალიერებები, რომლებიც სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში ეწყობოდა და ეწყობა ყოველწლიურად. ტრადიციად ქცეული მორიგი „საგუნდო მუსიკის ზეიმი“ ქ. თბილისში ჩატარდა. ინიციატორ გახლდათ ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგე პროფესორი ვახტანგ ფალიაშვილი. „საგუნდო მუსიკის ზეიმზე“ მონაწილეობდნენ მხოლოდ ის გუნდები, რომელთა ხელმძღვანელებმაც თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილება დაამთავრეს. ამ დათვალიერების მართლაც საინტერესო პირობა გახლდათ ის, რომ გუნდების ხელმძღვანელები, ე.ი. დირიჟორები თავიანთ ყოფილ ლექტორ-მასწავლებლებს წლის მანძილზე გაწეული მუშაობის ანგარიშს აბარებდნენ.

და სწორედ ასეთ საპასუხისმგებლო ზეიმზე წარსდგა ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის, აჭარის დამსახურებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ორნანო“ – ხელმძღვანელი სასწავლებლის იმჟამინდელი დირექტორი დოცენტი ალი მსხალაძე – და აჭარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების ქალთა ვოკალური ანსამბლი „ოჰოი, ნანა“-ს ხელმძღვანელი აჭარის ასსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გულნარა ნოლაიდელი. „ოჰოი ნანა“-ს ხელმძღვანელი და წევრები ჩვენი სასწავლებლის კურსდამთავრებულები გახლდნენ.

ანსამბლ „ოჰოი ნანას“ ხელმძღვანელს გ. ნოლაიდელს უჩვეულო, ახლებური, თავისთავადი საშემსრულებლო ხელწერის მანერით ჰყავდა კოლექტივი მომზადებული, შესრულების ხალხური და თანამედროვე სტილი, აკორდების ჰარმონიული წყობის, ფორმისა და შინაარსის შერწყმის ერთობლიობით. ანსამბლის წარმატებაზე მეტყველებდა მისი ხალხურობა, ხალხური კოლორიტი და ეს უდავოდ მისი ხელმძღვანელის გ. ნოლაიდელის დამსახურება იყო.

დამსწრეთა აპლოდისმენტებმა, პირველივე სიმღერიდან „ჩემი მხარის“ შესრულების შემდეგ, ყველა კითხვაზე უკეთ უპასუხა. გოგონებმა შეასრულეს გ. ნოლაიდელის „მასპინძელი“, აჭარული ხალხური სიმღერა „ოსა“. შემსრულებლებიდან დიდი წარმატება ხვდა რ. ბერიძეს, რომელმაც ჭიბონზე დაკვირის იშვიათი ოსტატობა გამოავლინა, განსაკუთრებით კი მოხიბლულები დარჩნენ ლ. ბლადაძის კრიმანჭულით.

საგუნდო ზეიმის მშვენივად დარჩა და აჭარის წარგზავნილთა შორის ყველაზე დიდი წარმატება წილად ერგო ერთადერთ ტიტულოვან კოლექტივს – ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის აჭარის დამსახურებულ ვაჟთა ვოკალურ ანსამბლს „ორნანო“. მან კონსერვატორიის მომთხოვნ მსმენელს თავი მოაწონა შესრულების ხალხური მანერით. ანსამბლის თეორიულ სიმღერას უნარჩუნდება მისი შემთხვევითი მხარისათვის დამახასიათებელ თავისებურებას, კოლორიტს.

„ორნანომ“ შეასრულა აჭარული „ჩადმანაყრილო ვენახო“, გურული „კალოს ხელხვავი“, მეგრული „ოღოია“ და კახური „ჩაკრული“. სიმღერები გამოირჩეოდა მაღალი კულტურითა და პროფესიონალიზმით. ამ ხალხური სიმღერების სახასიათო სირთულეები გახლდათ: ცვალებადი რიტმი, ტონალობები, სოლისტთა, დუეტთა და გუნდის სწრაფი მონაცვლეობა რაც „ორნანოს“ შემსრულებელთა დიდ ოსტატობაზე მეტყველებდა. ანსამბლის ამ ღირსებამ არაჩვეულებრივ „ოღოიასა“ და „ჩაკრულს“ შესრულებისას იჩინა თავი, იგი განსაკუთრებული სიწმინდით ჟღერდა.

1976 წლის ზაფხულში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს ეწვია სარატოვის კონსერვატორიის რუსული მუსიკის ისტორიის კათედრის მასწავლებელი ნატალია არჩინოვა, რომელიც აქტიურ



მონაწილეობას ღებულობდა ექსპედიციებში და განსაკუთრებით დაინტერესებული იყო ქართული ხალხური სიმღერებით. კრებდა და იწერდა მრავალხმიან სიმღერებს. „ორნანოსაც“ მოუსმინა, მოხიბლული დარჩა ანსამბლით და მიიწვია სარატოვში.

საქართველოს საზღვაო სანაოსნო პროფკავშირული ორგანიზაციის უშუალო დახმარებით ანსამბლი „ორნანო“ ა. მსხალაძის, მ. მახარაძის, დ. ბერიძის, ა. ჯაველიძის, ს. ჩხარტიშვილის, ხ. ნემსაძის, ნ. მაკარაძის, ფოტოგრაფ ზ. შაშიკაძის შემადგენლობით 1977 წელს 20 ნოემბერს სარატოვში გაემგზავრნენ.

ამის შესახებ 1977 წლის 21 დეკემბერს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ ასსრ დამსახურებული ვაჟთა ვოკალური ანსამბლი „ორნანოს“ სამხატვრო ხელმძღვანელი, დოცენტი ა. მსხალაძე სტატიაში „ქართული სიმღერები ქვეყნის სარატოვში“ წერდა „...სტუმრად ყოფნის მთელი კვირის მანძილზე ვგრძნობდით სარატოვის ოლქის მოგზაურობისა და საექსკურსიო ბიუროს მზრუნველობას, რაც აჭარის მოგზაურობისა და ექსკურსიების ბიუროს დახმარების შედეგიც იყო.

სარატოვის სახალხო დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილებასთან შეთანხმებით დაიგეგმა ლექცია-კონცერტები დაბა ოქტიაბრსკის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში, სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელმწიფო კონსერვატორიაში... კონსერვატორიის საგუნდო სიმღერის პროფესორმა, ხალხური სიმღერის ცნობილმა სპეციალისტმა ლევ ქრისტიანსენმა ისაუბრა ხალხური სიმღერის გუნდთან მუშაობის ორგანიზაციაზე და მეთოდოლოგიაზე. თავისი გუნდის შესრულებით მოგვასმენინა რამდენიმე სიმღერა, რომელიც გამოირჩეოდა ინტონაციური სიწმინდით, იშვიათი ქვეყნადობით და რაც მთავარია, შესრულების უშუალო ხალხური მანერით რასაც პროფესორი ქრისტიანსენი უპირველეს მნიშვნელობას ანიჭებს. სტუდენტების თხოვნით სახელდახელოდ შესრულდა „ოდოია“ ოვაციებმა დაგვიამედეს, რომ ქართულ სიმღერას წარმატება სარატოვის მიწაზეც ექნებოდა.

გაიმართა პირველი ლექცია კონცერტი. აუდიტორია მსურველებს ვეღარ იტევდა. დელაუდნენ ანსამბლის წევრებიც და ნატალია არჩინოვაც, რომელსაც წინასწარი შეთანხმებით მიჰყავდა ლექცია. საგალობლებს ცვლიდა ომახიანი ქართული სიმღერები და ოვაციებიც მატულობდა. პირველი მღვდღვარების დაძვევისას ირწმუნეს შემსრულებელმა, რომ აქაური მსმენელიც მშობლიურივით აღიქვამდა ქართულ მელოდიებს. კონცერტის დასასრულს ანსამბლის ეროვნულ ტანსაცმელში გამოწყობილმა ქალიშვილმა გადმოგვცა მიხაკები და საპატიო სიგელი.

სარატოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის ი. მიხურინის სახელობის აუდიტორია... ნ. არჩინოვას გუშინდელი მღვდღვარება სულაც არ ემჩნეოდა. აქ ნამდვილად გრძნობდა თავს ლექტორის ამპლუაში და გატაცებით საუბრობდა ქართული ხალხური სიმღერის ისტორიაზე, მის თანამედროვე მდგომარეობაზე. ქართული ხალხური სიმღერის ისტორიაზე, მის თანამედროვე მდგომარეობაზე. ქართული ხალხური მრავალხმიანობის ტიპებზე. ხალხური სიმღერის კილო-დიალექტებისა და ანსამბლის ისტორიაზე. შემაღლებული დარბაზის განსაცვიფრებელი აკუსტიკა სიმღერას ჩვენთვისაც გაცილებით უფრო სასიამოვნოს ხდიდა, უნივერსიტეტის ახალგაზრდობა გულწრფელად უკრავდა ტაშს ქართულ ხალხურ სიმღერებს, წასვლისას იმთავითვე ვგრძნობდით იმ უდიდეს პასუხისმგებლობას და განსაკუთრებულ მღვდღვარებას, რაც კონსერვატორიის მომთხოვნი, განებივრებული აუდიტორიის წინაშე მოგველოდა.

სარატოვის კონსერვატორიის ერთ-ერთი უძველესი თავისი ინსტორიით. მის სცენას მუსიკის ბევრი ვარსკვლავი უნახავს. სად არ გვიმღერია, მაგრამ

კონსერვატორიაში პირველად უნდა გამოვსულიყავით და მაინც გვექონდა ჩვენი მშობლიური ჰანგების დიდი იმედი.

24 ნოემბრის საღამო არასოდეს დაავიწყდებათ ანსამბლის წევრებს. „ორნანოს“ სიმღერებს ასეთი წარმატება იშვიათად რგებია. ამდღეულ „ასლანურ მრავალჯამიერს“ წყნარი, გულში ჩამწვდომი „შენ ხარ ვენახი“ ცვლიდა, მედგარ „კეისრულს“ – აწარელი გლეხის სევდის გამომხატველი „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“. არ გვეგონა, თუ ჩვენს „ორნანოს“, მისი პოეტური ტექსტის ღრმა ფილოსოფიურ შინაარსს ასე შეეძლო მსმენელის დატყვევება. ოთხასზე მეტმა ნამდვილი ოვაცია გაუმართა პოლიფონიურ „ხელხვავს“, საკულტო „კვირიას“, ხოლო „ჩაკრულოს“ და „ოდოიას“ წარმატებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დარბაზი ანსამბლს სცენიდან არ უშვებდა. კონცერტი დაგვირგვინდა რუსული ხალხური სიმღერით „ჰოი ველებო!“ სიმბოლურად ქდერდა სიმღერის ბოლო ფრაზა: „იდიდე მიწავ ჩვენო ძლიერო!“

ანსამბლს გულთბილად მიესალმა პროფ. ლევ. ქრისტინასენი. მან განსაკუთრებით აღნიშნა ქართული ხალხური სიმღერის მრავალხმიანობის უნიკალობა. ანსამბლ „ორნანოს“ მაღალი საშემსრულებლო ოსტატობა და საერთოდ ლქცია-კონცერტის დიდი წარმატება. აუდიტორიის ტაშის გრიალში გადმოგვცეს სარატოვის სახალხო დეკორაციების საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების საპატიო სიგელი და სარატოვული „გარმოშკა“. მეორე დღეს სარატოვის საოლქო რადიომ „ორნანოს“ მიერ შესრულებული ცხრა ხალხური სიმღერა ჩაწერა.

მეგობრული ვიზიტი დამთავრდა, მშობლიურ ხალხურ სიმღერას ახალი თაყვანისმცემლები და ღირსეული დამფასებლები შევძინეთ.<sup>81</sup>

აქ მინდა აღვნიშნო რომ, ბატონი ალი მსხალაძეს სამუსიკო სასწავლებელში მიჰყავდა ქართული ხალხური ფოლკლორი, ამიტომაც მისი სტატია პროფესიული ხედვით უნაკლობით შეიძლება შეფასდეს.

1981 წლის ნოემბრის მესამე დეკადაში აჭარის ხელოვნების ოსტატებმა მოსკოვის ხალხთა მეგობრობის ორდენოსან ხელოვნების მუშაკთა ცენტრალურ სახლში გამართეს კონცერტი. ამ კონცერტში დიდი მოწონება წილად ხვდა „ორნანოს“ მიერ შესრულებულ სიმღერებს.

## დავით ბერიძე

დაიბდა 1941 წ. ბედის რაიონის სოფ. ძენწმანში. 1966 წელს ჩაერიცხა ზ. ფალიაშვილის სახელობის ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში საგუნდო სადირიურო განყოფილებაზე. მე-4 კურსიდან მუშაობა დაიწყო ანსამბლ „ორგანიზოში“; 1970-1975 წლებში სწავლობდა ვ. სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში. პარალელურად მუშაობდა კაპელაში, შემდგომ კამერულ გუნდში. 1975 წლიდან პედაგოგიური მოღვაწეობა დაიწყო ზ. ფალიაშვილის ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში, სადაც ჩამოაყალიბა ჯერ ვოკალურ გოგონათა ანსამბლი, შემდგომ კი შერეული კამერული გუნდი. 1979-1982 წლებში გახლდათ აწარის მინისტრთა სახლთან

<sup>81</sup> ა. მსხალაძე

არსებული ინტერნაციონალური გუნდის ქორმეისტერი. ალი მსხალაძის გარდაცვალების შემდეგ დროებით „ორგანოს“ ხელმძღვანელობდა.

ამჟამად მუშაობს მუსიკალურ სასწავლებელში შერეული გუნდის დირიჟორად, ოპერაში კონსულტანტად და სახელმწიფო კაპელაში ქორმაისტერად.

### მერი ნაკაშიძე

1979 წლის თებერვალში მიენიჭა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებლის წოდება.

ჭეშმარიტად ნიჭიერი მუსიკოს-პედაგოგი გახლდათ, რომელმაც დიდი როლი შეასრულა ბათუმში ქართული ეროვნული მუსიკალური განათლების განვითარებაში. ქალბატონი მერი სამუსიკო სასწავლებელში პედაგოგიური მოღვაწეობით გამოირჩეოდა. იგი საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებაზე სპეციალობას, პარტიტურის კითხვას, გუნდმცოდნეობას და ზოგჯერ, თუკი საჭირო იქნებოდა, სხვადასხვა საგნებსაც ასწავლიდა. წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა ამ განყოფილების მეთოდკომისიას.

1950 წელს, ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის კონსერვატორიაში გიორგი სიმონის ძე ხახანაშვილთან, რის დამთავრების შემდეგ უბრუნდება მშობლიურ სასწავლებელს.

ქალბატონ მერის მოღვაწეობა მოუხდა სხვადასხვა პერიოდში მომუშავე პედაგოგებთან ერთად. იგი დიდი მადლიერებით იხსენებდა თავის აღმზრდელებს: ვ. გოგიტიძეს, ა. როდინს, ა. ფარცხალაძეს. სათუთად შემოგვინახა საქართველოს თეატრალური საზოგადოების სტამბის მიერ გადმოცემული ა. ფარცხალაძის ბუკლეტი, რომლის ტექსტი ა. ფარცხალაძის შემოქმედებით მოღვაწეობაზე ეკუთვნის მ. ვაჩნაძეს. გთავაზობთ მინაწერს: „სახსოვრად მერი სულეიმანის ასულ ნაკაშიძეს. ნიშნად ღრმა პატივისცემისა და მამაშვილური სიყვარულისა“. ა. ფარცხალაძე, 7 ივნისი 1968 წ. ქ. ბათუმი.

მის კლასში აღზრდილი არაერთი მუსიკოსი დირიჟორი წარმატებით მოღვაწეობს, როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე მის ფარგლებს გარეთ. გთავაზობთ ზოგიერთ მათგანს:

ნაზი მელიქიშვილი – თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული, მოღვაწეობს ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში, წლების მანძილზე მეთოდკომისიის თავმჯდომარე იყო;

ლიანა გველესიანი – სამუსიკო სასწავლებლის სწავლული მდივანი, შემდგომ სასწავლო ნაწილის გამგე და საგუნდო სპეციალობის პედაგოგი. თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული;

რუსიკო ოლენიკოვა – ხულოს მუსიკალური სკოლის დირექტორი, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული;

მანანა გაბაიძე – კომპოზიტორი, ბათუმის №6 სამუსიკო სკოლის დირექტორი, თბილისის კონსერვატორიის კურსდამთავრებული;

სელა ბალოიანი – დაამთავრა ლენინგრადის ხელოვნების ინსტიტუტი;

ნაზი დიასამიძე – დაამთავრა მოსკოვის კულტურის ინსტიტუტი;

ხატია ჭანუყვაძე – დაამთავრა თბილისის კონსერვატორია და სხვა მრავალი.

ქალბატონი მერი დღეს დამსახურებულ პენსიაზეა.

მიუხედავად ამისა კავშირი სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგ-მუსიკოსებთან არ გადაუწყვეტია. უფრო მეტიც, ხშირად მის აღზრდილებთან ერთად მოღვაწეობს, ურჩევს და კონსულტაციებს უწევს რეპერტუარის თუ ნაწარმოების შერულებაზე.

მუსიკისადმი ერთგულებამ ოჯახური ტრადიციული სახე მიიღო. ქალბატონი მერის დები: ნათელა, ცენტრალური სამუსიკო სკოლისა და სასწავლებლის თეორიული დისციპლინების მასწავლებელია; ეთერი – კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ აქტიურად იყო ჩაბმული პედაგოგიურ საქმიანობაში. გათხოვების შემდეგ მოღვაწეობს ხუცუბანში. ძმისშვილები: მეგი, საფორტეპიანო კლასის მასწავლებელია ცენტრალურ მუსიკალურ სკოლაში; მედეა – №2 სამუსიკო სკოლის პედაგოგი.

ტრადიციების გაგრძელება და გამრავლება ვუსურვოთ ღვაწლმოსილ ადამიანს.

## სოსო მიქელთაძე

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კულტურის დამსახურებული მოღვაწე, აჭარის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების საქალაქო გამგეობისა და ბათუმის კულტურის განყოფილების საგუნდო კაპელის დირიჟორი.

მსმენელთათვის ყოველთვის განსაკუთრებით საინტერესო იყო აჭარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კაპელასთან შეხვედრა. ეს კოლექტივი თავისი არსებობის მანძილზე მაღალი ოსტატობით და საშემსრულებლო რეპერტუარის განსაკუთრებული სირთულით გამოირჩეოდა: ასე მაგალითად, ი. კეჭეყმაძის „სიმღერა ბათუმზე“, ვ. ცაგარეიშვილის „ელეგია“ და ი. ბობოხიძის „ირხევა, ბიბინებს“. გუნდს განსაკუთრებით რთული სტრუქტურა, ინტონაცია, მელოდიის თავისებური განვითარება ახასიათებს. მისი შესრულებისას აუცილებელია განსაკუთრებული აკორდული და ინტონაციური სიწმინდის დაცვა. კაპელამ წარმატებით გაართვა თავი ყველა სიძნელეს და საერთო მოწონება დაიმსახურა. კაპელამ წარმატებით გაართვა თავი ყველა სიძნელეს და საერთო მოწონება დაიმსახურა.<sup>82</sup>

ბატონი სოსო ბათუმის სასწავლებლის გამთავრების შემდეგ სწავლას აგრძელებს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში, პარალელურად მუშაობდა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში, საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების ერთ-ერთი თვალსაჩინო პედაგოგი გახლდათ. წლების მანძილზე მეთოდკომისიას ხელმძღვანელობდა. ყოველთვის გამოირჩეოდა საქმიანობით, ავტორიტეტული პრინციპულობით, ასევე საზოგადოებრივი დატვირთვით. იგი კარგი ადამიანი, კარგი სპეციალისტი, მუდამ ძიებისა და სრულყოფის ინტერესითაა დატვირთული.

<sup>82</sup> რ. გვაზავა. საგუნდო მუსიკის ზემო. გაზ. „საბჭოთა აჭარა“

ისევე მხნედ ევლოს საგუნდო ხელოვნების სამსახურში.

### რუსლან ვალერიანის ძე გვაზავა

აჭარის ასსრ დამსახურებული არტისტი, მრავალი მთავრობის ჯილდოების მფლობელი:

1971, 1981, 1983 – აჭარის ასსრ განათლების სამინისტრო სიგელები;

1993 წელი – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის ა. აბაშიძის ჯილდო ბათუმის საოპერო თეატრის დაარსებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის;

1998 წელი – მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატი;

ჯილდოები შემოქმედებითი მუშაობისათვის. საპატიო სიგელები:

1987 – საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო;

1978, 1985 – აჭარის ასსრ კულტურის სამინისტრო;

1987 – საქართველოს კომპოზიტორთა კავშირი და მუსიკალური საზოგადოება;

1980 – საქართველოს ალკკ, აჭარის ასსრ საოლქო კომიტეტის;

1981, 1983 – ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის.

### მედლები და დიპლომები

ოქროს მედალი და I ხარისხის დიპლომი: 1971, 1975, 1977, 1981, 1985, წწ. სსრკ დიდი თეატრის I ხარისხის დიპლომი 1985 წ.

I და II საკავშირო ფესტივალების I ხარისხის დიპლომები 1985, 1987 წწ.

არის უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი. 25 წელი გახლდათ სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილების (ციკლობრივი) მეთოდკომისიის თავმჯდომარე; მისი კლასის მოსწავლეები გამოირჩეოდნენ მაღალი აკადემიურობით.

კაცი, რომელიც რაოდენობრივადაც და ხარისხობრივადაც მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. ამავე დროს ძალიან უბრალო, ყველასათვის ერთნაირი და საამაყო. არაჩვეულებრივი ოჯახი აქვს: მეუღლე – ნანი ფაჩუაშვილი, კარგი მუსიკათმცოდნე, ბრწყინვალე პედაგოგია;

ჰყავს ორი ქალიშვილი: გვანცამ, 1990 წელს დაამთავრა სასწავლებლის თეორიული განყოფილება, რის შემდეგ სწავლობდა და დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით. ამჟამად მოღვაწეობს თბილისში.

რუსლან ვალერიანის ძე გვაზავა დაიბადა 1939 წლის 13 მაისს. 1969 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია.

1956-58 წწ. – ბათუმის ი. ჭავჭავაძის სახელმწიფო დრამატული თეატრის ორკესტრის მსახიობია;

1958 წ. – ხულოს რაიონის სამუსიკო სკოლის პედაგოგი;

1958-1961 წწ. – სამხედრო საბჭოთა ჯარში, კალინგრადი, უფროსი მუსიკოსი;

1961-63 წწ. – ქედის რაიონის მუსიკალური სკოლის დირექტორი;

1963-71 წწ. – ბათუმის კულტსაგანმანათლებლო სასწავლებლის პედაგოგი;

1971 წლიდან ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებლის პედაგოგი, საგუნდო სადირიჟორო განყოფილების მეთოდური კომისიის თავმჯდომარე.

### როსტომ ხასანის ძე ჭანიძე

1962 წლიდან ბათუმის სამუსიკო სასწავლებელში სულ ახალგაზრდა დაინიშნა დირექტორად. ყველას და განსაკუთრებით უფროსი თაობის პედაგოგებისთვის მისი დანიშვნა ძალიან მოულოდნელი იყო. აღმოაჩნდა დიდი ორგანიზატორული, ხელმძღვანელისათვის საჭირო თვისებები, უმოკლეს დროში შეეთვისა კოლექტივს.

დაამთავრა თბილისის კონსერვატორიის საგუნდო-სადირიჟორო, ადრე ბათუმის სამუსიკო სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო ფაკულტეტი. მისი დირექტორის საპასუხისმგებლო პოსტზე ყოფნის პერიოდში მოსწავლეთა კონტინგენტი საკმაოდ მაღალი იყო. რაც უპირველესად განპირობებული იყო, მოსახლეობის დიდი ლტოლვით სამუსიკო ხელოვნებისადმი და განსაკუთრებით საფორტეპიანო განყოფილებისადმი. საფორტეპიანო განყოფილების პედაგოგთა უმრავლესობა კვალიფიციურად მომზადებული იყო. ისინი ნაწარმოების მხატვრული შინაარსის გასხნას სათანადო სიმაღლეზე აყენებდნენ, დიდ ყურადღებას უთმობდნენ ბგერაზე მუშაობას, ახალი საინსტრუქციო მასალების ნაწარმოების შესრულების დროს სხვადასხვა მიმართულების სტილის დაცვას, პედალიზაციას, მოსწავლეთა საკონცერტო გამოსვლებს.

ამ დროს აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში სამუსიკო განათლება აღმავლობას განიცდიდა. სამუსიკო სკოლები იხსნებოდა ქალაქებში, სოფლებში, დაბებში. კადრების მიმწოდებელი კი მხოლოდ ბათუმის სამუსიკო სასწავლებელი იყო. ამიტაც აიხსნებოდა მაღალი კონტიგენტის არსებობა.

ეს, რა თქმა უნდა, დიდ ბაზას მოითხოვდა. საკლასო ოთახები საკმარისი არ იყო და ხშირად პედაგოგები ინდივიდუალურ მეცადინეობებს თავიანთ საცხოვრებელ ბინაში ატარებდნენ.

ბატონი როსტომის დირექტორობის პერიოდში ფართოდ გაიშალა მეთოდური ხასიათის მუშაობა. განსაკუთრებული მაღლიერებით უნდა აღინიშნოს საქართველოს კულტურის მეთოდკაბინეტის დირექტორის ეთერი კილაძის პრინციპული

მიზანდასახული მოღვაწეობა. იგი გამოიხატებოდა ახალი საინსტრუქციო მასალების მოწოდებაში, რაც უშუალოდ სასწავლო გეგმებს, პროგრამებს ეხებოდა, ადგილზე პრაქტიკული დახმარების გაწევით.

ეს პერიოდი მნიშვნელოვანი იყო საგასტროლო კონცერტების ჩატარებითაც. კონცერტს ატარებდა ცნობილი მსოფლიო რანგის ვიოლონჩელისტი ბრატისლავ ლეოპულის როსტროპოვიჩი. ეს იყო ნამდვილად ისტორიული მოვლენა. ჩამოდიოდნენ თბილისის კონსერვატორიის ცნობილი პროფესიონალ-შემსრულებლები როგორც მეთოდური კონსულტაციებით ისე საკონცერტო საშემსრულებლო პროგრამებით.

საპასუხოდ სასწავლებლის ძლიერი ბირთვის წარმომადგენლები ყოველთვის ერთგვარი ანგარიშით – ღია გაკვეთილებით თუ მოსწავლეთა კლასის კონცერტებით წარსდგებოდნენ, რითაც ყოველთვის ურთიერთობის სასიამოვნო ატმოსფეროს, აზრთა ცვალებადობის, ძიების სასურველ ფონს ქმნიდნენ. ეს, რა თქმა უნდა, თავისთავად სამუსიკო განათლების, განვითარების საუკეთესო ფორმა გახლდათ.

ასევე ნაყოფიერი იყო მისი პედაგოგიური მოღვაწეობა. ხელმძღვანელობდა სასწავლებლის საერთო გუნდს, ასწავლიდა საგუნდო სპეციალობას.

1978 წელს ახლადგახსნილი სკოლის დირექტორად დაინიშნა დაბა ხელვაჩაურში.

ხელვაჩაურის სამუსიკო სკოლა აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა დათვალიერება-კონკურსებში და ყოველთვის აღწევდა მაღალ შეფასებას, იმსახურებდა საერთო მოწონებას.

სკოლა სრულყოფილად ააღჭურვილი სათანადო ინვენტარითა და საკრავიერი ინსტრუმენტებით.

ბატონ როსტომს კვლავ ევლოს მეტად საინტერესო პედაგოგიური შემოქმედებითი ძიებით.

### გულნარა ნოღაიდელი

სამუსიკო ხელოვნებაში, ადგილობრივ მკვიდრ ქალთა შორის, წარმოიჩნდა აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე გულნარა ნოღაიდელი.

გულნარა ნოღაიდელის კომპოზიტორ-დირიჟორად ჩამოყალიბების საქმეში დიდი როლი ითამაშა ოჯახურმა ატმოსფერომ. მისი ბიძა გახლდათ ცნობილი მეცნიერი, მომღერალი, ფოლკლორისტი და ეთნოგრაფი ჯემალ ნოღაიდელი, რომლის მიერაც დაიწყო და დაიწყო და ჩაწერილ იქნა აჭარაში ხალხში გაბნეულ-მიმოფანტული ძირძველი ქართული სიმღერები, რომლებიც თანდათანობით დავიწყების, დაკარგვის საშიშროების ზღვარზე იყვნენ.<sup>83</sup>

1953 წელს გულნარა ნოღაიდელი ბათუმში, ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელში ჩაერიცხა სადირიჟორო ფაკულტეტზე.

<sup>83</sup> იხ. თ. კომახიძე „აჭარის კულტურის ისტორია“. სს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი 1999. გვ. 457, 458, 459, 460.

თავისი მუყაითობითა და მონდომებით წარმატებით ამთავრებს სასწავლებელს 1957 წელს და იმავე წელს ეწეობა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიაში დაუსწრებელი სწავლების სადირიჟორო ფაკულტეტზე.

სწავლების პარალელურად მ შობდა ბათუმის თოჯინების სახელმწიფო თეატრში, სადაც საკუთარი მუსიკით გააფორმა რამდენიმე სპექტაკლი.

1959 წელს იგი სამუშაოდ მიიწვიეს ილია ჭავჭავაძის სახელობის ბათუმის სახელმწიფო თეატრში ორკესტრის დირიჟორად, შემდგომ თეატრის მუსიკალური ნაწილის გამგედ.

ბათუმის სახელმწიფო დრამატულ თეატრში მოღვაწეობის პარალელურად გ. ნოღაიდელი აქტიურ შემოქმედებით და პედაგოგიურ საქმიანობას ეწეოდა სამუსიკო და კულტსაგანმანათლებლო სასწავლებელში, სადაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში უძღვებოდა პედაგოგებით დაკომპლექტებულ მომღერალთა გუნდს. მან არაერთი ვოკალური ანსამბლი ჩამოაყალიბა. პირველი გახლდათ ქალთა ვოკალურ-ინსტრუმენტალური ანსამბლი „იალქანი“. ანსამბლმა სულ ოთხი წელი იარსება.

1977 წელს გ. ნოღაიდელი აყალიბებს ახალი ტიპის ვოკალურ ჯგუფს „ოჰოი ნანა“-ს რომელმაც პირველივე კონცერტიდან მაყურებელთა დიდი აღტაცება გამოიწვია.

ანსამბლისადმი ასეთი ინტერესი და ყურადღება განპირობებული იყო მისი ორიგინალური, თვითმყოფადი რეპერტუარით: სიმღერებში აჭარული დიალექტის გამოყენება, სცენურ კოსტიუმებზე მცირე დეტალებით ამტკვევებული აჭარული კოლორიტი, დეტალებში ზუსტად გათვლილ-დამუშავებული მიმიკა, სიმღერებში ჭიბონის აქტიური გამოყენება, აჭარულ მელოდიებზე სიმღერის შესრულებისას ნატიფ ჰარმონიულ ტაქტში მოცეკვავე ჯგუფი, ყოველივე ეს ქმნიდა იმ განუმეორებელ სილამაზეს, რომელიც ასე აჯადოებდა მაყურებელს – მოსწონდა და მოჰყავდა აღტაცებაში.

ანსამბლმა მალე მოიპოვა სათანადო სახელი, ავტორიტეტი და დიდება, გაიფართოვა თავისი მოქმედების არეალი. „ოჰოი ნანამ“ დიდი წარმატებით შემოიარა ქვეყნის ბევრი ქალაქი და რაიონი, გახდა საკავშირო ფესტივალის ლაურეატი, საგასტროლოდ ამყოფებოდა საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში.

ქართული ხალხური სიმღერის დიდი შემფასებელი და ამაგდარი – ანზორ ერქომაიშვილი ანსამბლ „ოჰოი ნანას“ მოღვაწეობას შემდეგ შეფასებას აძლევს: „მაყურებელი მოხიბლა ოჰოი ნანას მიერ შესრულებულმა სიმღერებმა: გემოვნებით შერჩეული პროგრამა, ლამაზი ტემბრის ხმები, ანსამბლურობის საოცარი შეგრძნება, სუფთა ინტონაცია, სწორი ნიუანსები.

გამრთული დიქცია, არაჩვეულებრივი მუსიკალურობა, ნაწარმოების სრულად გადმოცემის უნარი, არტისტიზმი, გარეგნული მომხიბვლელობა, აი, კომპონენტები, რომლებმაც განაპირობეს ამ ანსამბლის წარმატება“.

1971 წელს ქალბატონი გულნარა მელიტონ კუხიანიძის სახელობის აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლში დირიჟორ-ქორმაისტერად და ინსტრუმენტული ჯგუფის ხელმძღვანელად მიიწვიეს.

ამავე წელს გულნარა ნოღაიდელს ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისა და მოპოვებული დიდი წარმატებისათვის აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის საპატიონ წოდება მიენიჭა.



1973 წელს იგი საქართველოს სსრ აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის მთავარ დირიჟორად ინიშნება.

გ. ნოლაიდელი მრავალი საგუნდო სიმღერის ავტორია, რომელიც დიდად შეიტკბო და შეიყვარა მაყურებელმა, მთელმა საზოგადოებამ.

მას აფასებენ როგორც თავისი საქმის ბრწყინვალე ოსტატს, დიდი მუსიკალური გემოვნებით აღჭურვის ნიჭიერ დირიჟორს.

მოსკოვში, აჭარის ხელოვნების ოსტატთა კონცერტში, მონაწილეობდა აჭარის სახელმწიფო ანსამბლი, რომელსაც გ. ნოლაიდელი დირიჟორობდა. ამის შემდეგ 1981 წ. დეკემბრის გაზეთ „საბჭოთ აჭარაში“ მუსრან კობალაძე სტატიაში „მომავალ შეხვედრამდე მოსკოვო!“ – აღნიშნავდა „... მაყურებელი ყოველი ნომრის გამეორებას მოითხოვდა. განსაკუთრებით მოეწონათ გ. ნოლაიდელის „აწარული შაირები“ (სოლისტები მ. ვერულიძე და ზ. პატარაია) და „კვირია“.

დღეს გულნარა ნოლაიდელი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას.

### ავთანდილ ვალერიანის ძე ჩხენკელი

ბათუმის კაპელისა და საოპერო გუნდის მთავარი დირიჟორი, მ. აბაშიძის სახელობის პრემიის ლაურეატი გახლდათ.

დაიბადა 1956 წლის 30 მარტს. 1981 წ. – დაამტავრა თბილისის კონსერვატორია; ამავე წლიდან საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების კამერული გუნდის დირიჟორია – 1982 წლიდან თბილისის ოპერისა და ბალეტის ქორმაისტერი; 1984 წ. დაამტავრა ლენინგრადის სახელმწიფო კონსერვატორიის ასპირანტურა;

1995 წლიდან ბათუმის ოპერისა და ბალეტის თეატრის გუნდის მთავარი დირიჟორია.

აი რა შეფასებას აძლევენ ავთო ჩხენკელის საოპერო გუნდს:

პაატა ბურჭულაძე – ბათუმის გუნდმა საოპერო ხელოვნების მსოფლიო დონის ვარსკვლავები აღაფრთოვანა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ საქართველოში არის ძალა, რომელსაც შეუძლია წარმატებით განახორციელოს ნებისმიერი სირთულის მუსიკალური პროექტი. ჩვენი ფონდის სამომავლო გეგმები სწორედ ამ გუნდს უკავშირდება.

ალექსანდრე მარკი – ცნობილი ამერიკელი სოპრანო „საოცრად ჟღერდა გუნდი, რომლის შესრულებაში, დინამიურობისა და ბგერით მრავალფეროვნებაში შავი ზღვის სურნელი იგრძნობოდა, ასე ამადლელებლად რომ გადაუვლიდა ხოლმე დარბაზს“.

ნოდარ გურაბანიძე – „საგუნდო პარტიები ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი მხატვრული მიღწევაა“;

გიზი ამირეჯიბი – „მსგავსი გუნდისათვის დიდი ხანია არ მომისმენია“;

მარინე გეგეშიძე – მუსიკათმცოდნე – „ხაზგასმით მინდა აღვნიშნო გუნდის უმაღლესი პროფესიონალიზმი“.

გუნდი, საერთოდ, უაღრესად მნიშვნელოვანი ძალაა ოპერაში. იგი ტავისი როლის სრულფუნქციანი შემსრულებელია. მის ხმოვანებას ახასიათებს მონომენტურობა, კონტრასტულობა, მდიდარი ტემბრული პალიტრა, რა თქმა უნდა ნაწარმოების შინაარსის შესაბამისობით. გუნდის უღერადობის მასშტაბი და კარგი შესრულების ხარისხი დამატვევებლად მოქმედებს მსმენელზე.

ამჟამად გუნდი და მის ბაზაზე სულ ცოტა ხნის წინათ შექმნილი აჭარის სახელმწიფო კაპელა უმაღლესი კლასის დირიჟორ-ქორმაისტერის ავთანდილ ჩხენკელის ხელმძღვანელობით ამზადებს ვერდის „რეკვიემს“, რომლის პრემიერაზე სოლისტებად გამოვლენ პაატა ბურჭულაძე და მსოფლიო ხელოვნების სხვა ვარსკვლავები.

ქეთევან ჯემალის ასული მანელიშვილი – აჭარის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის, სახელმწიფო კაპელის ქორმაისტერი.

დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია.

1997 წელს მიღებული აქვს პირველი ხარისხის დიპლომი საქართველოს სამუსიკო სკოლებისა და სასწავლებლების მოსწავლეთა შემქმნელების დათვალეიერების პირველ კონკურსში.

1998 წელს მიენიჭა მემედ აბაშიძის პრემიის ლაურეატის წოდება.

დავით ოთარის ძე აბულაძე – უმაღლესი კატეგორიის პედაგოგი.

დამთავრებული აქვს თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, გორის პედაგოგიური ინსტიტუტი.

არის პრაქტიკოსი დირიჟორი. ჩამოაყალიბა ხულოს რაიონის უხუცესთა ანსამბლი „ბერმუხა“. 1983 წელს პირველად დაარსა ვაჟთა გუნდი. ანსამბლ „ბერმუხას“ შესრულებით ჩაწერილი აქვს აჭარული ხალხური სიმღერები: „აჭარული მასპინძელი“, „აჭარული მგზავრული“, „ისა“, „აჭარული მაყრული“, „ჩაღმა ჩაყრილო ვენახო“.

არის აჭარის დამსახურებული მოღვაწე, საბჭოთა კავშირის და რესპუბლიკის ფესტივალების ლაურეატი, მიღებული აქვს აჭარის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სიგელი.

მარინა გრიშას ასული ლომთათიძე – საგუნდო-სადირიჟორო კათედრის გამგე. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია, სტაჟირება გაიარა მოსკოვის გნესინების ინსტიტუტში.

მირებული აქვს საქართველოსა და აჭარის კულტურის სამინისტროს სიგელები.

მარინა ომარის ასული მუხაშავრია – 1995 წელს დაამთავრა თბილისის კონსერვატორია. კონსერვატორიის მუსიკათმცოდნეობის კათედრის გამგის მოადგილე, კამერული გუნდის ქორმაისტერი.

სპეციალობით, დირიჟორობის გარდა, ასწავლის ქართულ ხალხურ შემოქმედებას, ხალხური სიმღერების შესწავლა-მეთოდოლოგიას და პრაქტიკას, გუნდმცოდნეობას, საგუნდო ხელოვნების თეორიას და ისტორიას.

## პრესტიჟულ სცენაზე ჩატარებული საგუნდო

### კონცერტები და ჩვენი პედაგოგები

ჩვენს რესპუბლიკაში დიდი ყურადღება ეთმობა საგუნდო ხელოვნებას, მისი უძველესი საშემსრულებლო ტრადიციების შენარჩუნებასა და შემდგომ განვითარებას. ამაზე მკაფიოდ მეტყველებს პროფესიონალური თუ თვითმოქმედი კოლექტივების სხვადასხვა მასშტაბის ფესტივალები, კონკურსები, დათვალიერებები, რომლებიც სხვადასხვა რაიონსა და ქალაქში ეწყობოდა და ეწეობა დღესაც.

ერთ-ერთ ასეთ კონკურსზე მინდა მოგახსენოთ. ეს გახლდათ ვახტანგ ფალიაშვილის სახელობის საგუნდო მუსიკის ზეიმი. ეს ზეიმი კონკურსი თუ დათვალიერება უკვე ტრადიციად იყო ქცეული. ყოველი წლის გაზაფხულზე ეწყობოდა და მასში მონაწილეობდნენ, როგორც დედაქალაქის ისე მესტიის, ონის, ჩოხატაურის, მახარაძის, ხულოს, შუახევის, ქედის, ხელვაჩაურის, ქობულეთის რაიონებისა და ქალაქების – ქუთაისის, ფოთისა და ბათუმის საგუნდო კოლექტივები და ვოკალური ანსამბლები. ჩვენ საუბარი გვექნება 1985 წლის 18 მაისის ზეიმზე, რომელიც რიგით მეხუთეჯერ ტარდებოდა, საფუძველი კი 1980-81 წელს ჩაეყარა. აღნიშნული ზეიმი ამჯერად ჩატარდა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის სახელმწიფო სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში. “შთაბეჭდილებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო სასწავლებელი წარმოდგა ისეთი მრავალფეროვანი რეპერტუარით და მაღალი საშემსრულებლო ოსტატობით, როგორც არ ახსოვს ჩვენი ქალაქის ამ ერთადერთ სამუსიკო სასწავლებლის ისტორიას” – აღნიშნავდა სამუსიკო სასწავლებლის კოლექტივის წინაშე ხელოვნებათმცოდნე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ლევან აბაშიძე.

ყველას კარგად ახსოვს „ქალთა ვოკალური ანსამბლის“ ხელმძღვანელის პედაგოგ ზანული კოპლატაძის, შესრულებული ნაწარმოები. მართლაც რომ გამორჩეული, დახვეწილი გემოვნებით შეასრულა მერაბიშვილის „ოქროს ვენახი“, საგალობელი – „მოვედით თაყვანი ვსცეთ, ერმაკის „სიმღერა კრინიცაზე“, ხაჯიევის – „ფერხული“.

მაღალი მხატვრული ოსტატობით გამოირჩეოდა კამერული გუნდი დავით ბერიძის ხელმძღვანელობით. შთაბეჭდილება ისეთი მოულოდნელი და ძლიერი იყო, რომ მრავალრიცხოვანი აუდიტორია აღტაცებას ვერ მაღავედა და მქუხარე ტაშით გამოხატა თავის კმაყოფილებას.

კონცერტზე შესრულდა რთული კლასიკური ნაწარმოები: ზ. ფალიაშვილის “მესის” ორი ნაწილი “ბენედიქტუს” და “აგნუს დეი”, დოუსონის მიერ დამუშავებული ზანგური ხალხური სიმღერა “რა ლამაზი ქალაქია”, ბახის გუნდი მესიდან სი-მინორი, მაიერის”ქებათა ქება”.

სამუსიკო სასწავლებლის საკონცერტო დარბაზში არაერთხელ დავსწრებივარ საგუნდო ანსამბლურ რეპეტიციებს. ბატონი დავითი არა მარტო დარბაზში ხმების, საგუნდო პარტიების შერწყმაზე, არამედ ცალკეულ დეტალების, მუსიკალური ფრაზების სრულყოფილებაზე ზრუნავდა.

მისი მაღალი პედაგოგიური ოსტატობა გულისხმობდა საგუნდო ხმების ძირითადი ფუნქციების შერწყმას მელოდიურობასთან, ჰარმონიულობასთან, კონტრაპუნქტუალობას,

ყურადღებას აქცევდა მელოდიის ტემბრულ შეფერილობას, მელოდიის ელერადობის, მოცულობას, მის შენაარსს.

ჰარმონიული ფუნქციის დროს უხსნის ვიწრო და ფართე განლაგების გუნდთან კავშირს, სასიმღერო დიაპაზონის ხმის ნაწილის – ტესიტურის დინამიკაზე და ფაქტურაზე. ცალკეულად მუშაობს ხმებზე და ხმების თანაფარდობაზე გუნდში. ასევე ცალკეული ხმებისა და ჰარმონიულ შეერთებაზე. ყოველივე ამის მნისაღწევად წარმართავს სხვადასხვა პედაგოგიურ მეთოდს. ასე მაგალითად, ხმის წარმართვის მეთოდი, ცალკეული ხმების ჩართვა და გამორთვა, წყობა ხმების, როლისტისა და გუნდის შერწყმა და ასე შემდეგ.

არაჩვეულებრივი პიროვნება, იუმორით სავსე. ომღიმარი სახით ეწევა ბრძნულ პედაგოგიკას. მას არაერთი ნიჭიერი დირიჟორი აუღზრდია. მისი კლასის კურსდამთავრებულები სხვადასხვა სასწავლო წელს გახლდნენ უკვე სახელმძღვანელო დირიჟორები – ქეთინო მანელიშვილი, ზაირა და გელა ვადაჭკორიები, ბესიკ ბერძენიშვილი, ტატიანა მეგრელიძე – თბილისში, ხოლო ქასრაშვილი გერმანიაში მოღვაწეობენ. რამდენიმე წელს ხელმძღვანელობდა ვაჟთა ანსამბლს „ორნანოს“. არაერთხელ ხელმძღვანელობდა სასწავლებლის საგუნდო-სადირიჟორო განყოფილებას. გარკვეული წლების მანძილზე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო კაპელის დირიჟორი იყო.

ამჟამად მუშაობს სამუსიკო სასწავლებელში შერეული გუნდის დირიჟორად, ოპერაში კონსულტანტად და სახელმწიფო კაპელაში ხორმაისტერად.

ქალთა გუნდს, რომელსაც ხელმძღვანელობდა სასწავლებლის პედაგოგი ომარ ჩიტაიშვილი, დირიჟორობდნენ საგუნდო-სადირიჟორო სპეციალობით მე-4 კურსელები დ. ლომთაძე, ნ. გაგუა, ნ. სანიკიძე, ზ. ვადაჭკორია. შესრულებული იყო გრივის “მზის ჩასვლა”, პერგოლეზის “სტაბაქ მატერ”, ვებერის “მონასირეთა გუნდი” და შუბერტის “ტყის მეფე”. მსმენელი კმაყოფილი იყო.

სასწავლებლის შერეულმა გუნდმა პედაგოგ როსტომ ჭანიძის ხელმძღვანელობით შეასრულა მოცარტის “რეკვიემიდან” “დიეზ რე”, ხოლო პედაგოგ რუსლან გვაზავას ხელმძღვანელობით შესრულებულმა ორმა საგუნდო სიმღერამ ალ. ფარცხალაძის “კომკავშირულმა მარშმა” და ზ. ფალიაშვილის “მტერი ბარში” ოპერა “დაისიდან” მსმენელთა დიდი აღტაცება გამოიწვია. სამუსიკო სასწავლებლის ესთეტიკის პედაგოგი, ხელოვნებათმცოდნე, დოცენტი ლევან აბაშიძე თავის სტატიაში “საგუნდო სიმღერის ბრწყინვალე სადამო” აღნიშნავდა “ეს იყო სიხარულისა და სიამაყის მწვერვალი, სიმღერის ნამდვილი დღესასწაული უსმენ და ფიქრობ , ნუთუ ჩვენს სასწავლებელს ამოდენა შესაძლებლობა ჰქონდა?”<sup>84</sup>

შესაძლოა ვინმემ იფიქროს, რომ ეს ხომ სპეციალური სამუსიკო სასწავლებლის და რა გასაკვირია პრიოფესიული საშემსრულებლო ხელოვნების მაღალი დონეაო, მაგრამ როგორც ქალთა ანსამბლში ისე “ორნანოში”, “კამერულ და შერეულ გუნდში” ძირითადი შემსრულებელი მსახიობები იყვნენ თეორიული, საგუნდო-სადირიჟორო, საფორტეპიანო, ვოკალური და საორკესტრო სპეციალობის მოსწავლეები.

აქ არ შეიძლება კვლავ არ მოვიხსენიო ქალთა ვოკალური ანსამბლი “ოპოი ნანა” და მისი ხელმძღვანელი გულნარა ნოლაიდელი.

<sup>84</sup> ლ. აბაშიძე, საგუნდო სიმღერის ბრწყინვალე სადამო. გაზ. “საბჭოთა აჭარა” 1979 წ. 26.04

მართალია ქალთა ვოკალური ანსამბლი “ოპოი ნანა” წარმოადგენდა აჭარის მსუიკალურ და ქორეოგრაფიულ საზოგადოებას, მაგრამ ხელმძღვანელი და ანსამბლის ყველა წევრი ჩვენი სასწავლებლის კურსდამტავრებულები გახლდათ.

ანსამბლ “ოპოი ნანას” ხელმძღვანელს გ. ნოლაიდელს უჩვეულო, ახლებური, თავისთავადი საშემსრულებლო ხელწერის მანერით შესრულების ხალხური და თანამედროვე სტილის, აკორდების ჰარმონიული წყობის, ფორმისა და შინაარსის შერწყმის ერთობლიობით ჰყავდა კოლექტივი მომზადებული. ანსამბლის წარმატებაზე მეტყველებდა მისი ხალხურობა, ხალხური კოლორიტი. უდავოდ მისი ხელმძღვანელს გ. ნოლაიდელის დამსახურება იყო.

### ზაქარია ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო

#### თერთმეტწლედის მუსიკოს-პედაგოგები

მარინა ქიქავა 1981.04.06

უმაღლესი განათლება ბათუმი, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია, პედაგოგი: პროფესორი ირინა ხერუი, ტომა კირიჩენკო. კონსერვატორიის დამთავრების შემდეგ ქალბატონმა მარინამ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიაში გაიარა ასისტენტურა-სტაჟირება საკონცერტმაისტერო დაოსტატების განხრით, პროფესორ ცირა ქამუშაძესთან.

მარინა ის მუსიკალური პერსონაა, რომლის მუსიკალური ცხოვრება ჯერ კიდევ როგორც სტუდენტისა გამოჩენის დღიდან, მუსიკალური ბომონდისთვის ყურადღების ცენტრში იყო. მან 1997 წელს პარიზის კონკურსში მიიღო მონაწილეობა, როგორც სტუდენტმა ინტერნაციონალურ ფორუმში და დაჯილდოვდა დიპლომით.

ქალბატონი მარინა მუშაობს ბათუმის მუსიკალურ ცენტრში, საოპერო დასის წამყვან კონცერტმაისტერად. აქვს კარგი უნარი ფურცლიდან კითხვასა და ტრანსპონირებაში. 2016 წელს ოპერა ტოსკას დადგმის დროს ბათუმს ეწვია იტალიელი დირიჟორი, პიანისტ-ორღანისტი მაურიციო ჩამპი. მან ქ.ბ-ი მარინა შეაფასა: “მარინა დიდ კომფორტს გვიქმნის მუშაობის პროცესში, როგორც კონცერტმაისტერი, ის გახლავთ ნამდვილი პროფესიონალი”.

მარინა ყოველთვის დიდი სიყვარულით იხსენიებს მუსიკალური სკოლის მასწავლებელს, პედაგოგს ვერა გაბაის, რომელიც გამოირჩეოდა ბავშვებთან არაჩვეულებრივი მიდგომითა და ნატიფი გემოვნებით.. იგი აღნიშნავს, რომ სწორედ მისი დამსახურებაა მუსიკისადმი სიყვარული.

ქალბატონი მარინა ბუნებით მუსიკოს-შემოქმედია. მისი სურვილია, თავისი მამის ბატონი ედუარდ ქიქავას დაწესებული საქმე, სკოლამდელი მუსიკალური სკოლის სტუდიის ჩამოყალიბება, მიიყვანოს ბოლომდე.

ხათუნა ნინიძე 22.01.1971

ქალბატონმა ხათუნა ნინიძემ დაამთავრა თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია, პედაგოგ ნინო კერესელიძესთან. ამის შემდგომ გააგრძელა ასპირანტურა-სტაჟირება კამერული ანსამბლის განხრით პროფესორ ნათელა კვიციანიანთან.

2007 წელს ბათუმის კონსერვატორიის მიერ ქალბატონ ხათუნას მიენიჭა ასოცირებული პროფესორის წოდება.

მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო თანამედროვე მუსიკის ფესტივალში. კონფერენცია თემაზე „თავისუფლების პრობლემა რიხარდ შტრაუსის მაგალითზე“. ის აღიქვამდა ნეორომანტიზმს, როგორც თავისუფლების გამოსატვის საშუალებას, რომელიც მოიცავს მრავალფეროვანი საფორტეპიანო შესაძლებლობის მთელ სპექტრს.

ყავს აღზრდილები, რომლებიც პირნათლად აგრძელებენ პედაგოგიურ მოღვაწეობას. ესენია: ელენე ბურჭულაძე, მამუკა ბეჟაშვილი, თამარ ძველიაი.

მისმა ერთ-ერთმა ნიჭიერმა მოსწავლემ მე-IV კურსის მოსწავლემ ნათია ფოფხაძემ კამერული ანსამბლის განხრით მიიღო მოწვევა ამერიკიდან, სადაც სტაჟირება-დაოსტატება გაიარა.

თამარ თოფურიძე 10.01.1974

თამუნა ბავშვობიდან გამოირჩეოდა მუსიკის სიყვარულით, კარგად ფლობდა საშემსრულებლო ტექნიკას. კლასიკური მუსიკის მსმენელს ანებივრებდა ხშირი კონცერტებით. მონაწილეობდა ადგილობრივ გასვლით კონკურსებში, ფესტივალებში.

XX საუკუნის გაზეთის “საბჭოთა აჭარის ფურცლებზე” ხშირად დაუბეჭდავთ მასზე, როგორც ნორჩ პიანისტზე.

თამუნას დამთავრებული აქვს თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია.

**პედაგოგები:** ირინა ხერჯი (ბათუმი); სვეტლანა კორსანტია (თბილისი).

მოსწავლეები: თინათინ წულაძე, მარიზა აფხაზავა – ზ. ფალიაშვილის სახელობის სამუსიკო თერთმეტწლედის მოსწავლეები – თბილისი, საერთაშორისო

მანანა დოიჯიშვილის სახელობის კონკურსი. მიენიჭათ ლაურეატის წოდება მესამე ადგილი.

თამარი არის ბათუმის კაპელის მთავარი კონცერტმაისტერი. მრავალი კონკურსებისა და საგუნდო ფესტივალების მონაწილე.

თეა გოგოტიშვილი 29.10.1973

განათლება – თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია. კლასი – მანანა დოიჯიშვილი, ნათელა კვიციანი. 1997 წელს მიენიჭა ასოცირებული პროფესორის წოდება.

მოსწავლეები: 2014 წელი თბილისი კამერული ანსამბლის კონკურსი. მარი მიქელთაძე, ზურაბ ჯეგნარაძე – მიენიჭათ ლაურეატის წოდება III ადგილი.

2015 წელი თურქეთი, მარმარისი – I ადგილი.

ალექსანდრე შარაბიძე – აჭარის რეგიონალური კონკურსი 2015 წელი, I ადგილი ლაურეატი.

ნინო დევრიშიძე – 2013 წელი II ადგილი ლაურეატი.

ქალბატონ თეას 2012 წლის თბილისის კონსერვატორიის მიერ მიენიჭა სერთიფიკატი ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მეთოდური მუშაობა: ღია გაკვეთილი კამერულ ანსამბლში კონსერვატორიის სტუდენტებთან.

სვეტლანა გემიჯიანი 5.06.1952

დაამთავრა ერევნის სახელმწიფო კონსერვატორია. ბათუმში სწავლობდა თამარ ედუარდის ასული ლილიენბახთან. არის ამავე მუსიკალური სკოლის მეთოდკომისიის წევრი, უფროსი მასწავლებელი.

მოსწავლეები: ნინო მუჯირი IV კლასი. ბათუმის მოცარტის 250 წლისთავის საიუბილეო კონკურსის II ადგილის ლაურეატის მფლობელი.

რუსუდან კვახაძე 4.11.1981

განათლება ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია.

პედაგოგი: გულნარა ახვლედიანი.

არის ბუნებით საუკეთესო წამყვანი, დეკლამატორი, რის გამოც აღიარებული კონფერანსიე გახდა. საუკეთესოდ უძღვება საღამოებს ბალეტის თუ დრამატული თეატრის სცენებზე.

მოსწავლეები: მარიამ ლორთქიფანიძე, მარია შურის და აჭარის რეგიონალური კონკურსების I ადგილის ლაურეატი.

ელენე კოსაძე – თბილისში რესპუბლიკურ კონკურსში მიენიჭა I ადგილი ლაურეატი.

საბა მხეიძე – ბათუმის მარია შურის სახელობის კონკურსში მიენიჭა I ადგილი ლაურეატი.

2015 წელს ქალბატონი რუსუდანი დირექციის მიერ დაჯილდოვდა, როგორც საუკეთესო პედაგოგი, ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მეთოდური მეცადინეობები: ამერიკული კლასიკური სკოლის სწავლების მეთოდები.

2014 წლიდან ატარებს ყოველწლიურ საანგარიშო კლასის კონცერტებს.

თეონა წულუკიძე 30.08.1981

უმაღლესი დაამთავრა ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორიაში.

პედაგოგები: პროფესორი მარია შური, გულნარა ახვლედიანი, ლალი ჭელიძე.

მოსწავლეები: სესილი ბერიძე, მიიღო აჭარის რეგიონალურ კონკურსში IV ადგილი.

თეონა გამორჩეული კონცერტმაისტერია. დირექციის მიერ 2013 წელს მიენიჭა მაღლობა ნაყოფიერი მუშაობისათვის.

მეთოდური მეცადინეობები: უნგრული სკოლა, მუშაობა ეტიუდებზე დაწყებით კლასებთან ბარტოკის მეთოდით.

კვირიკაძე ნანა 07.09.1975

უმაღლესი განათლება თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია.

პედაგოგი: პროფესორი ედიშერ რუსიშვილი.

კამერული კლასი – ლალი ბაქრაძე.

ქალბატონი ნანა გახლავთ წამყვანი კონცერტმაისტერი. მუშაობს მუსიკალურ ცენტრში და არის საოპერო სტუდიის კონცერტმაისტერი.



მოსწავლე: თამთა ჭავჭავანიძე – ბათუმის რეგიონალური კონკურსი 2015 წელი I ადგილის ლაურეატი.

რუსუდან ზოიძე 17.07.1975

დაამთავრა ბათუმის, ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია.  
პედაგოგები: ჯინევრა ბაუჟაძე, პროფესორი მარია დავითის ასული შური, დ. ჭელიძე.

მოსწავლეები: საბა მიქელაძე III კლასი, რეგიონალურ კონკურსში მიენიჭა I ადგილი ლაურეატის წოდება. ამავე კონკურსში ქეთი განიევა II კლასი, მიიღო II ადგილი. თურქეთში მარმარისში I ადგილი.

მეთოდური მეცადინეობები: მუშაობა პოლიფონიაზე, მუშაობა პიესებზე.

მზევინარ ჯიჯეიშვილი 05.01.1971

უმადლესი განათლება – ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია.

პედაგოგი: ლალი ჭელიძე.

მოსწავლეები: ნათია ფუტკარაძე, მარია შურის სახელობის კონკურსის გამარჯვებული III ადგილი. სესილი დავითაძე ბათუმის რეგიონალურ კონკურსზე III ადგილი. მართა ბაღდადიშვილი მიენიჭა ნომინაცია ქართული პიესის საუკეთესო შესრულებისთვის.

აქვს თექვსმეტწლიანი სტაჟი. ქალბატონ მზევინარს მარია შურის კონკურსზე გადაეცა ჯილდო, როგორც წარმატებულ ახალგაზრდა პედაგოგს.

მეთოდური მეცადინეობები: ფრანგული მუსიკა.

ხათუნა მურადაშვილი 30.05.1980

უმადლესი განათლება ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია პედაგოგი იზო მიქელაძე, ციური რუსიძე.

მოსწავლეები:

**გიორგი ჩხაიძე** მრავალი კონკურსის ლაურეატია მათ შორის: თბილისის კონკურსი “მომავლის ვარსკვლავი”, ბათუმის რეგიონალურ კონკურსში 2015 წელს III ადგილის მფლობელი გახდა, მარმარისის საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი. გიორგი გახლავთ ვალერიან შიუკაშვილის სახელობის საპატიო დიპლომის მფლობელი.

**დები მართა და სალომე რუხაიები** – მიიღეს მონაწილეობა თბილისის კონკურს “მომავლის ვარსკვლავი”. გახდნენ ლაურეატები.

2016 წელს ზურიკო ჯეგნარაძე კლარნეტი, პედაგოგ ზ. გოგოტიშვილის კლასი, კონცერტმანისტერი ხათუნა მურადაშვილი მიიღო მონაწილეობა თბილისის ევგენი მიქელაძის სახელობის საერთაშორისო კონკურსში III ადგილის ლაურეატის მფლობელი გახდა. ამავე კონკურსში საუკეთესო საკონცერტმანისტერო შესრულებისათვის ქალბატონ ხათუნას გადაეცა ჯილდო.

მეთოდური მეცადინეობა – რუსული მუსიკა.

ია მოისწრაფეშვილი 24.01.1975

დაამთავრა ჯერ, თბილისის მედეა ფანიაშვილის სახელობის ხელოვნების აკადემია, მ. ალთუნაშვილის კლასი, შემდგომ ბათუმის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია, პედაგოგი ჯინევრა ბაუჟაძე.

მოსწაღებები: საბა კახიძე IV კლასი. აჭარის რეგიონალურ კონკურსში მიიღო პირველი ადგილის ლაურეატის წოდება. ასევე მიიღო მონაწილეობა თბილისისა და თურქეთის კონკურსებში.

ია მოისწრაფეშვილი დაჯილდოვდა თბილისის კონკურსში “მომავლის ვარსკვლავი” მიენიჭა ჯილდო-მადლობა, როგორც წარმატებულ პედაგოგს.

მეთოდური მეცადინეობები: მუშაობა პოლიგონიაზე, გერმანული სკოლა დაწყებითი კლასის ბავშვების მომზადება.

შორენა ფხაკაძე 16.12.1972

უმაღლესი – ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია. თეორიული განყოფილება.

პედაგოგები – ლიანა ტაბიძე, ედუარდ ქიქავა, ინგა ბოცვაძე.

სტაჟი 1994 წლიდან დღემდე

მეცადინეობები – ღია გაკვეთილები ფოლკლორში, მუსიკის ლიტერატურაში, კლასიკოსები.

ინდირა მუსხაჯბა 11.09.1973

ქალბატონმა ინდირამ წარჩინებით დაამთავრა თბილისის მედია ფანიაშვილის სახელობის ხელოვნების ინსტიტუტი საფორტეპიანოს განხრით. შემდეგ სწავლა გააგრძელა ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორიაში. არის მაგისტრი.

პედაგოგები – როზა რაჟოკი (თბილისი); ნ. ზამბახიძე ვ. გაბაი (ბათუმი)

სარგებლობს დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მოსწავლეებსა და კოლეგებს შორის, რაც განაპირობებს ბავშვებში მუსიკის სიყვარულს.

ღებულობს მონაწილეობას სხვადასხვა ღონისძიებებში არის წარმატებული პედაგოგი.

მუშაობს აგრეთვე ბათუმის საბალეტო სკოლაში კონცერტმეისტერად.

მოსწავლეები: ცირა ქვაჭუოდლი X კლასი ვოკალური განყოფილება. პედაგოგი გულნარა ამირჯანიანი, კონცერტმაისტერი ინდირა მუსხაჯბა. დაჯილდოვდა პირველი პრემიის ლაურეატის წოდებით კონკურსში „მომავლის ვარსკვლავი“.

მეთოდური მეცადინეობები მუშაობა სონატებზე, პოლიფონიაზე.

სვეტა ურუშაძე 04.05.1979

უმაღლესი განათლება ბათუმის ზ. ფალიაშვილის სახელობის კონსერვატორია.

პედაგოგი – მარია შური.

მოსწავლეები: რუსიკო ჯინჭარაძე, რომელიც დღესაც აგრძელებს მოღვაწეობას მუსიკის სფეროში.

ქალბატონი სვეტა გახლავთ მრავალმხრივ შემოქმედი ქალბატონი. არის აგრეთვე კომპოზიტორი. მისი ნაწარმოებები გამოირჩევიან ლირიზმით, დრამატიზმითა და ექსპრესიულობით. საფორტეპიანო პიესა „მუსიკალური მომენტი“ B-dur პრემიერა შედგა დრამატულ თეატრში. თანამედროვე ბალეტის მუსიკის ფონზე, რომელმაც დიდი მოწონება ჰპოვა მუსიკის მსმენელებს შორის. ბალეტმეისტერ ეკატერინე ღლონტი თანხლებას უკეთებდა თვით ავტორი. ასევე დაწერილი აქვს სიმღერა ბათუმზე, რომელიც შეასრულა ლაშა ღლონტის აღსაზრდელმა.

დიდი სიყვარულით და თბილი მოგონებებით იგონებს თავის პედაგოგს მარი დავითის ასულ შურს, რომელთანაც მეგობრული და მზრუნველი ურთიერთობა ჰქონდა. მისი გაკვეთილები – ეს იყო ნამდვილი ზეიმი. ერთ-ერთი მუშაობისას შოპენის IV ბალადაზე ერთ-ერთი პასაჟი მითითებული იყო ფორტეტი რედაქტორის მიერ. „ჩემი სურვილი იყო ეს პასაჟი პიანოზე გამეკეთებინა“ – იგონებს ქალბატონი სვეტა. „მან მითხრა – სვეტა შენს სულს თუ ასე მოსოწნს შეგიძლია ასე გააკეთო, ჩემთვის მთავარია მოსწავლე სულიერად გაიხსნას და იპოვოს თავისი თავი მუსიკაში“.

როდესაც სვეტა ჯერ კიდევ პატარა მუსიკოსი გახლდათ VII კლასში დაჯილდოვდა საქართველოს სახალხო ლაურეატის წოდებით. მიღებული აქვს პრიზები ნაწარმოებების საუკეთესო შესრულებისთვის. მერაბ ფარცხალავის „ფანდურული“. თავად კომპოზიტორმა მოიწონა.

ქალბატონი სვეტა მუშაობს აგრეთვე საბალეტო სკოლაში და ხელოვნების უნივერსიტეტში სოლო კათედრის კონცერტმეისტერია.

მეგი ნაკაშიძე 13.12.1973

უმაღლესი განათლება – თბილისის მედია ფანიაშივილისს ახელობის ხელოვნების აკადემია.

პედაგოგი – პროფესორი რეზო თავაძე.

მეგი გამოირჩევა დიდი პასუხისმგებლობითა და პატივისცემით თავისი პროფესიისადმი. დიდი გულმოდგინებით ეკიდება მოსწავლესთან შრომასა და მუშაობას. არასდროს იშურებს დროსა და ძალისხმევას, რაც ფრიად მნიშვნელოვანია პედაგოგისათვის. ძალიან თბილი და მოკრძალებულია როგორც სამსახურეობრივ გარემოში ასევე პირად ურთიერთობაშიც.

მეთოდური მეცადინეობები: თანამედროვე პიესები, სტრავინსკის, პროკოფიევისა და შოსტაკოვიჩის პიესები.

## დანართები

### მოგონება

ადამიანი ბედნიერი ხარ, როცა ღმერთი ხელოვნების სიყვარულით გაჯილდოვებს, როცა სწავლობ ხალხურ ხელოვნებას, ამუშავებ, ხვეწ და ხალხსავე უბრუნებ. ეს უდიდესი ბედნიერებაა და სხვა არაფერი. ბედნიერებაა, როდესაც გიხდება საქმიანი შეხვედრები და ურთიერთობანი რჩეულ პიროვნებებთან. ასეთი ხვედრი ყველას როდი აქვს.

ვიგონებ ჩემი გრძელი და საინტერესო გზიდან გავლილ ზოგიერთ ფრაგმენტს,

ამჯერად მინდა მოგითხროთ პიროვნებაზე, რომელმაც ხალხში დიდი ავტორიტეტი, სიყვარული და სიბოლო დაიმსახურა. ეს გახლდათ ბატონი რევაზ მურადის ძე კომახიძე. პიროვნება, ზედმიწევნით კულტურული, განათლებული, ხალხისათვის საყვარელი ადამიანი, რომელიც ადრე აჭარის კულტურის მინისტრის თანამდებობაზე მოღვაწეობდა.

ვესწრებოდი ბატონ რევაზ კომახიძის საქმიან შეხვედრებს:

ბათუმის ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის დასთან, საქართველოს სახალხო არტისტებთან: იუსუფ კობალაძესთან, მურად ხინიკაძესთან და ქალბატონ ნუნუ თეთრაძესთან. აგრეთვე საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტთან თეატრის მთავარ დირიჟორთან და სამხატვრო ხელმძღვანელთან ბატონ არჩილ ჩხარტიშვილთან, საქართველოს ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწესთან რეჟისორ შალვა ინასარიძესთან, რომლებმაც სპექტაკლი “ოდიპოს მეფის” ბრწყინვალე დადგმა განახორციელეს და საქვეყნოდ გაუთქვეს სახელი. შეხვედრას ესწრებოდნენ თეატრის მცირე სიმფონიური ორკესტრის დირიჟორი, კომპოზიტორი აჭარის ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვლადიმერ კორშინი და თეატრის მთელი დასი. ეს შეხვედრა იყო აუცილებელი და საჭირო, რათა ჭირვეული საკითხი გარკვეულიყო, რომ თეატრის დასში კმაყოფილება და ზეაწეული განწყობილება შექმნილიყო.

ვიგონებ მ. კუხიანიძის სახელობის საქართველოს დამსახურებული აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის კოლექტივთან და მის მხატვრულ ხელმძღვანელობასთან შეხვედრას. ამ შეხვედრაზე ბატონმა რევაზმა ანსამბლის წინაშე წამოაყენა საქმიანი წინადადებები, რითაც ხელმძღვანელობა კმაყოფილი დავრჩით.

ქვეყნად აღინიშნა ყოფილი საბჭოთა კავშირის კომპარტიის დაარსების 50-ე წლის იუბილე. საზეიმო თარიღს მიუძღვნეს ხალხური შემოქმედების საკავშირო ფესტივალი, რომელიც უნდა ჩატარებულიყო მოსკოვში. აჭარაში საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარე გახლდათ ბატონი რევაზ კომახიძე, მე ვიყავი კომისიის ერთ-ერთი წევრი, დამევალა აჭარის ქორეოგრაფთა საბჭოს გაფართოებულ სხდომაზე მოხსენების გაკეთება, რამაც ბატონი რევაზის მოწონება დაიმსახურა.

ფიქრები არ მასვენებდნენ, რათა საიუბილეო თარიღისათვის შექმნა სრულიად ახალი მხატვრული კოლექტივი. ჩემი ჩანაფიქრი ბატონ რევაზს გავაცანი, რომელმაც იგი მოიწონა და დაავალა ქალაქის პირველ ხელმძღვანელებს ბატონ ადერკინ კოპლატაძეს და ქალაქის თავს ზურაბ ვარშანიძეს, რომ ამ საქმით დაინტერესებულიყვნენ. მათი დახმარებით შეკვმენით სრულიად ახალი მხატვრული კოლექტივი და სახელიც შესაფერისი შევარქვით – “სალადობო”, რომელმაც საკავშირო ფესტივალის ლაურეატის წოდება და დიდი ოქროს მედალი მოიპოვა.

მოსკოვის სვეტებიან დიდ საკონცერტო დარბაზში დაინიშნა ანსამბლ “სალადობოს” საჩვენებელი კონცერტი, სადაც მიწვეული იყო ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნების მხატვრული კოლექტივების ხელმძღვანელობა. კონცერტმა მოწონება და დიდი ქება დაიმსახურა.

საკავშირო ჟიურიმ იგი ლაურეატად და სამაგალითო ანსამბლად აღიარა.

ერთ პერიოდში ბატონი რევაზი სამუშაოდ გადაიყვანეს ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დირექტორად. მე მთხოვა მასთან მემუშავა. მიუხედავად ჩემი დაკავებისა უარი ვერ ვკადრე.

ის დღე ჩემთვის მუდამ დაუვიწყარი იქნება. ბათუმში ცნობილი პროვიზორის იუსუფ ქათამაძის და ფატი კომახიძის ოჯახში, ერთ-ერთ წვეულებაზე შევხვდი რჩეულ და მეტად საპატიო საზოგადოებას, სადაც იმყოფებოდნენ საქვეყნოდ ცნობილი პიროვნებები: აკადემიკოსები ალექსანდრე და მისი ქალიშვილი ნინო ჯავახიშვილები, ალექსანდრე ჯავახიშვილის სიძე, ცნობილი ქირურგი, აკადემიკოსი მამია (მემედალი) კომახიძე, რომელმაც საქართველოში პირველმა გააკეთა ურთულესი და უნიკალური გულის ოპერაცია. დანიშნულ დროს სუფრას შემოუსხდნენ. სუფრის ხელმძღვანელობა ბატონ რევაზს სთხოვეს. ბატონი რევაზი შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას.

სუფრაც გამხიარულდა და დაიწყო ტრადიციული, უნიკალური სადღეგრძელოების, საინტერესო ამბების თხრობა, სიმღერა თუ ცეკვა, რომელიც აჭარული განდაგანით გააღამაზა პატარა მსახიობმა, დღეს ქალაქის საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა ჯემალ ქათამაძემ. ეს საღამო იყო მეტად საინტერესო და იშვიათი. რაც შეეხება ბატონ რევაზს ის გახლდათ ბრწყინვალე თამადა. ეს საღამო მუდამ დაუვიწყარი დარჩება ჩემთვის.

ქ. ბათუმში ჩატარდა აჭარის კომპარტიის საოლქო კომიტეტის მორიგი, გაფართოებული ბიუროს სხდომა, სადაც იხილებოდა ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადის მზადების საკითხი და მისი ჩატარების პროგრამას, რომელიც 1957 წელს უნდა ჩატარებულიყო ქ. თბილისში. ბედნიერება მქონდა მეც დავსწრებოდი ბიუროს სხდომას, როგორც დეკადის მთავარი ქორეოგრაფი და საორგანიზაციო კომისიის ერთ-ერთი წევრი. ამ ბიუროზე მოვისმინეთ აჭარის დეკადის სამხატვრო ხელმძღვანელის ა. ჩხარტიშვილის მოხსენება, ბატონ რევაზ კომახიძის საპროგრამო გამოსვლა, რომელმაც საერთო მოწონება დაიმსახურა. ბოლოს ბიუროს სხდომა ბრწყინვალედ შეაჯამა აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა, დიდად პატივცემულმა, ბატონმა დავით მამულაძემ.

1957 წელს ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა დიდი წარმატებით ჩატარდა. დეკადის დასკვნითი კონცერტი თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში გაიმართა, სადაც ბატონი რევაზ კომახიძის ქალიშვილი ლეილა მონაწილეობდა, რომელმაც შეასრულა “რიგოლეტო” – ვერდის ლისტი და ალ. მაჭავარიანის “ხორუმი”, რითაც მაყურებლის მოწონება და ოვაცია დაიმსახურა. დეკადის წარმატებაში დიდი როლი და წვლილი ჰქონდათ ბატონ დავით მამულაძესა და რევაზ კომახიძეს.

თბილისიდან დაბრუნების შემდეგ დეკადის მონაწილეებს სახეიმო ვითარებაში გადაეცათ საპატიო წოდებები, ორდენები, მრავალ ხელოვანთა ოჯახები დააკმაყოფილეს საცხოვრებელი ბინებით. დეკადის მონაწილეთათვის სასტუმრო “ინტურისტის” დიდ დარბაზში გაიმართა სახეიმო შეხვედრა. ვახშამს უძღვებოდა ბატონი დავით მამულაძე.

მეამაყება ჩემი განვლილი გზის, მოსაგონარი კი ბერვი მაქვს.

ენვერ ხაბაძე,

საქართველოს სახალხო არტისტი.

ქ. ბათუმი 2000 წელი, 22 სექტემბერი

გელოდი კობალაძე და ქართული ანსამბლი

“ჯორჯექსი”

ამ ახალი, მშვენიერი სასიმღერო ანსამბლის შექმნის ინიციატორი გახლავთ გელოდი კობალაძე, ფირმა “ჯორჯის” პრეზიდენტი, ბიზნესმენი, მრავალი კეთილი საქმის მოთავე და რამინ მიქაბერიძე – ქართული ხალხური სიმღერის დიდი მოტრფიალე და მოამაგე, საქართველოს სახალხო არტისტი, ანსამბლ “რუსთავის სოლისტი, ბათუმის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლის ხელმძღვანელი. ჩვენებური

სიმღერის ფანატიკურმა სიყვარულმა შვა კიდევ ერთი ღამაში შემოქმედი კოლექტივი, რომელსაც “ჯორჯექსი” დაანათლეს სახელად.

ანსამბლში გაერთიანებულია, 13 მომღერალი, მათგან ყველაზე უმცროსი 23 წლისაა, უფროსი – ორმოცდათექვსმეტის. ნაწილს მუსიკალური განათლება აქვს მიღებული, ნაწილი ზეინკალია, ზოგიც – ეკონომისტი, ექიმ-სტომატოლოგი, სამარტალმცოდნე... ყველას კი, ერთი დიდი სიყვარული აერთიანებს – ქართული ხალხური სიმღერის სიყვარული. იმ სიმღერისა, რომელიც ასეთი დიდი რუდუნებით შეგვიქმნეს და გადაგვირჩიეს ჩვენმა წინაპრებმა და რომელსაც სწორედ დღეს როკ თუ პოპ მუსიკის ხანაში სჭირდება ზრუნვა და მოვლა-პატრონობა.

ბატონი რამინი ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა საქმეს. გვერდით თავისი უცვლელი თანაშემწე და პარტნიორი, მასავით ქართულ სიმღერაზე გადაღებული რომან ცხოიძე ამოიყენა და სულ მოკლე დროში მშვენიერი ანსამბლი შექმნა.

“ 32 წელიწადია ჩვენებური სიმღერებით ვმოგზაურობ მთელს საქართველოში – სიამაყით აღნიშნავს ბატონი რამინი – სად არ აიტაცეს ჩვენი ჰანგები – იაპონიაში, საფრანგეთში, ამერიკაში. ჩვენს “ჩაკრულოს” კოსმოსში ამღერებენ, უცხო გალაკტიკელებს რომ აუხსნან როგორი ცივილიზაციის პატრონები ვართო. ჩვენში კი, ამ ბოლო დროს საიდანღაც შემოტანილი იაფფასიანი მელოდიები მეფობს. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ ტელევიზიის საშუალებით, ჩვენს სიმღერაზე უსაზღვროდ შეყვარებულმა ამერიკელმა შეგვნიშნა: “რა გჭირთ, ქართველებო, თურაშაულის პატრონი, რომ ტყეში პანტას ეძებთ, ისეა თქვენი საქმე”, გული ჩამწყდა ამის გამგონეს. კიდევ კარგი, რომ ბატონი გელოდისნაირი კაცები გვეყვანან საქართველოში და მათი თანადგომით უნდა გადავარჩინოთ ჩვენი ეროვნული საუნჯე.

რას შეეხება ანსამბლ “ჯორჯექსის” შესრულების მანერას დახვეწილია და მაღალი პროფესიონალიზმით გამოირჩევა. მათ მიერ ესტრადაზე შესრულებულმა “მრავალჟამიერის” უკვდავმა ჰანგებმა აავსო დარბაზი. სიმღერას სიმღერა მოჰყვა: “ჩაკრულო”, “მაყრული”, “ჩიტვიგერიტი”... მღეროდნენ მთელი გატაცებით, ხმაში ჩუქურთმებს აქსოვდნენ, ტკბილად ღიღინებდნენ, ვაჟკაცურად ბუბუნებდნენ, ათასგვარად იკლაკნებოდა და ჭერს ხვრეტდა კრიმანჭული, რომლის დიდებულმა პოლიფონიამ გულგრილი არავინ დატოვა. ყველას სურდა უწყვეტლივ გაგრძელებულიყო ქართული ხალხური გენიის ეს დიდებული გამვლინება.

ყველა მსმენელი მაღლიერებით აღივსო. გვიხაროდა, რომ ჩვენ გვეყავს ნაღდ ეროვნულ ფესვებზე აღმოცენებული ვაჟკაცური, ბატონი გელოდის სახით, რომელთა დიდი ენთუზიაზმი, დიდი სიყვარული არ გადაგვიშენებს უკვდავებას ნაზიარებ ქართულ სიმღერას.

2000 წლის 5 დეკემბერი

ქალბატონი ღამარა ბოლქვაძე და გამოჩენილი მუსიკოსები

ჩვენი მშობლიური გაზეთის “აჭარის” 2002 წლის 21 მაისის, ერთ-ერთ გვერდზე მანანა მიქელაძის წერილი “მთავარი საზომი ყოველთვის საქმეა” ეძღვნებოდა

ქალბატონ ლამარა ბოლქვაძეს. წერილის წაკითხვამ დამაფიქრა და სურვილი აღმიძრა შეეხმიანებოდი ამ მეტად ნიჭიერ ქალბატონის სამოღვაწეო ასპარეზის რამოდენიმე შტრიხს. აქსიომაა, რომ სიტყვები ადამიანის ნამოღვაწარს სრულად ვერ შეაფასებს. ყოველი ჩვენგანის გზაზე ყველაზე მეტად ჩვენივე საქმენი მეტყველებს. და კიდევ, სიყვარული, რომელსაც თესავ ადამიანებში – ახლობლებში, მეგობრებში, უცნობებშიც კი...

დამაფიქრა, იმდენად, რამდენადაც აჭარაში კულტურის სამინისტროს დაარსების დღიდან 1953 წლის 21 მაისიდან მამაჩემი რევაზ კომახიძე კულტურის მინისტრი გახლდათ და სამინისტროს სტრუქტურული მოთხოვნები ადრეულ პერიოდშივე ჩემთვის ასე ვთქვათ ცნობილი იყო და უფრო მოგვიანებით ახლობელი იმდენად რამდენადაც მე ამ სტრუქტურის ერთ-ერთი ნაწილი ვიყავი, როგორც სამუსიკო სასწავლებლის სასწავლო ნაწილის გამგე.

დაიბადა ბათუმელი მუშის ოჯახში. მამა ადრე გარდაეცვალა და ცოლს სამი ობოლი დაუტოვა. უფროსი ქალიშვილი ლამარა ამოუღია მხარში, თან ეხმარებოდა, თან სანიმუშოდ სწავლობდა. სკოლა ოქროს მედალზე დაამთავრა და უგამოცდოდ ჩაირიცხა ბათუმის პედაგოგიურ ინსტიტუტში აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე. აირჩიეს ფაკულტეტის კომკავშირის მდივნად და დაუნიშნეს ხელფასი – მესამე კურსზე ნ. ბარათაშვილის სახელობის სტიპენდია. სტუდენტი გადაიყვანეს კომკავშირის საოლქო კომიტეტის მესამე მდივნად, შემდეგ მეორე მდივანი გახდა, ცოტა ხანშიც – პირველი.

1960 წლის დეკემბრიდან 1965 წლის იანვრამდე ბათუმის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანია – 1965-1978 წლის იანვრამდე აჭარის ასსრ კულტურის მინისტრი, 1978-1985 წლებში აჭარის ასსრ კინემატოგრაფიის სახელმწიფო კომიტეტის, 1985-1992 წლებში აჭარის ასსრ ტელევიზიისა და რადიოკომიტეტის თავმჯდომარეა. მისი მუშაობის პერიოდში 1987 წლის 5 ნოემბერს გაიხსნა აჭარის ასსრ ტელევიზია.

1961 წელს, საზოგადოებრივ საწყისებზე შეიქმნა აჭარის ქალთა საოლქო კომიტეტი, რომლის თავმჯდომარედაც მომდევნო წელს ერთხმად აირჩიეს პარტიის ბათუმის საოლქო კომიტეტის მეორე მდივანი ლამარა ჯეფერის ასული ბოლქვაძე. რომლის საქმიანობა უფრო შრომატევადი და ეფექტიანი გახლდათ, ვიდრე მისი ძირითადი სამსახური. პრობლემებს რა გამოლევდა; წარსულის მავნე გადმონაშთებთან ბრძოლა, ქალთა ორგანიზაციები, კომიტეტები, კადრები, ქალთა-დელეგაციები, კორპორატიული წრეები, კომუჯრედები, კონფერენციები, მუშათა და გლეხთა კურსები. ჭრა-კერვის სკოლები, დამკვრელ ქალთა მოძრაობა, სტახანოველი ქალები, გმირი დედები – ასეთი იყო საბჭოს მიერ მისახედ საქმეთა შემცირებული ნუსხა. იგი 1992 წლიდან დღემდე აჭარის ქალთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე გახლავთ.

ქალბატონი ლამარას საზოგადოებრივი მოღვაწეობიდან, ჩემთვის განსაკუთრებით შთამბეჭდავია მისი კულტურის მინისტრად მოღვაწეობის პერიოდი.

ქალბატონი ლამარას სახით არასდროს არ დამავიწყდება მისი მჭერმეტყველური ნიჭი. მისი გამოსვლები თათბირზე, კონფერენციებზე, სამინისტროს კოლეგიის სხდომებზე, თუგინდ უბრალოდ, კერძო საუბრებში, ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულს, მნიშვნელოვანს და ორიგინალურს შეიცავდა.

ქალბატონ ლამარას კულტურის მინისტრობის თანამდებობაზე მოღვაწეობა საინტერესო ჰქონდა. მოკრძალებითა და მონდომებით უახლოვდებოდა განათლებას, კულტურას, ხელოვნებას, არ აცდუნდა სპექტაკლებს, კითხულობდა კრიტიკას, დადიოდა



კონცერტებზე. მისი მინისტრობის პერიოდი გამოირჩეოდა ქალაქში ჩატარებული საგასტროლო კონცერტებით.

ამასთან დაკავშირებით ერთი ეპიზოდი მინდა გავიხსენო.

ტარდებოდა სახელმგანთქმული ქართველი მევიოლინეს, საერთაშორისო კონკურსების ლაურეატის მარინე იაშვილის კონცერტი. კონცერტი ტარდებოდა ყოფილი ფილარმონიის თეატრში. კონცერტის მსვლელობის დროს დარბაზში ქალბატონ ლამარასთან ერთად ვიჯექი. ქალბატონი ლამარა თბილ სიტყვებს მეუბნება, მაქვს, უცებ მეკითხება – მარინეს შესრულებაში არაფერი ნაკლი არ ჰქონდა?

– რას გულისხმობთ ქალბატონო ლამარა?

– საერთოდ, ჩვენთან მიღებული არ არის ნაკლოვანებებზე წერა. არა და, არ შეიძლება შემსრულებელი უნაკლო იყოს. ეს ყველას ეხება. ძალიან მინდა, რომ კონცერტის ირგვლივ სტატია დაწერო. საქმე მარინა იაშვილზე კი არ არის, ყველას ეხება, როცა ნაკლზე, შეცდომებზე არ წერენ, საკითხავადაც ისე საინტერესო არ არის... არ გეწყინოს... ადამიანური სისუსტე უფრო საინტერესოა მკითხველისთვის ვიდრე – ქება.

– მაგას დიდი კულტურა უნდა – ვეუბნები... ვცდები წიგნს რომ დავწერ ნაკლი ჩაგიწეროთ.

ქალბატონ ლამარას გაეღიმა და მითხრა – “შენ წიგნი დავწერ და როგორი ნაკლიც გინდოდეს ისეთი გამომიჩინაო”.

მას შემდეგ 30 წელზე მეტი გავიდა და გამახსენდა ჩვენი დიალოგი, რომელმაც თითქოსდა მიწინასწარმეტყველა წიგნზე ფიქრი და მუშაობა.

ახლა კი, მომაგონდა “ნაკლზე” წერა და ვწერ...

ქალბატონ ლამარას უყვარდა სტუმრები, მეგობრები, საქმიანი შეხვედრები, სუფრები და რაც მთავარია, განთქმული თამადა გახლდათ. უზომოდ უყვარს პოეზია, თეატრი, მუსიკა, სიმღერა, ცურვა...

მთელი ცხოვრება მეცნიერებაზე ოცნებობდა. ცოდნა და შრომისმოყვარეობაც უწყობდა ხელს. წლების შემდეგ კულტურის სამინისტროში აიღო თემა: “აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურული მშენებლობა ომის შემდგომ წლებში”. დაიცვა დისერტაცია და მიიღო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის წოდება.

ამ პერიოდში მოხდა ერთი საინტერესო შემთხვევა. თბილისიდან დაურეკა თანაკლასელის – გულნარა გვარჯილაძის მეუღლემ, თბილისის კონსერვატორიის პროფესორმა, მევიოლინე ილარიონ ჭეიშვილმა “მსტისლავ როსტროპოვიჩი ჩამოდის ბათუმში”. მაშინ ეს დიდი მუსიკოსი პოლიტიკური მოსაზრების გამო შერისხული იყო და მოსკოვში მისი კონცერტები ადარ იმართებოდა. მინისტრი აეროპორტში დახვდა. თვითმფრინავიდან ჩამოსულ სტუმარს ხელთ თავისი ვიოლონჩელო ეჭირა. მინისტრის მძლოლი მამია ლორია პატივისცემის ნიშნად ინსტრუმენტს წაეტანა. მუსიკოსმა ცივად იუარა: “ Вы знаете, что это такое?! Сколько это стоит?! Я его никому не дам!”... ჩვენ იქ მყოფებს ყველას ჩაგვეღიმა.

კონცერტი ჩატარდა ბათუმის მუსიკალურ სასწავლებელში. დარბაზი მსმენელებს ვერ იტევდა. უნდა გითხრათ, რომ ეს იყო საოცრება. ამ კონცერტზე მიღებული

შთაბეჭდილება დღემდე გვანიჭებს სიხარულს. ვილონჩელი ქვერდა რაღაც ზღაპრულ ფერებში, ძლიერად, ტემბრული სისავსით და სიღრმისეული წვდომით. აღფრთოვანებული მსმენელი დიდხანს ვერ ტოვებდა დარბაზს.

ქალბატონი ლამარა არაჩვეულებრივად ერკვეოდა მუსიკალურ ხელოვნებაში. ერთი მნიშვნელოვანი შტრიხიც მინდა მოგახსენოთ. როდესაც საქართველოს კულტურის მინისტრს, გამომჩინელ კომპოზიტორს ოთარ თაქთაქიშვილს, საქართველოს კომპოზიტორთა თავმჯდომარე სულხან ცინცაძეს მსოფლიოში სახელგანთქმულ ვიოლინჩელისტს მსტისლავ როსტროპოვიჩს და ბევრ სხვა ამ რანგის მუსიკოსებთან ერთად სჯაბაასს გააბამდა, ბევრ მუსიკათმცოდნეს შეშურდებოდა მისი ანალიტიკური მჭერმეტყველება. დიახ, ის ყველგან და ყოველთვის სასურველი და მიმზიდველი გახლდათ.

აჭარაში კულტურის სამინისტროს შექმნიდან ჯერ კიდევ ადრე, დიდი მუშაობა გაიშალა კათოლიკური ეკლესიის საკონცერტო დარბაზად გადაკეთებისათვის ეს შესანიშნავი თაოსნობა გაგრძელდა ქალბატონი ლამარას მოღვაწეობის პერიოდშიც. ამ დიდებულ თაოსნობას აქტიურად გამოეხმაურა გაზეთები “ლიტერატურული საქართველო”, “საბჭოთა აჭარა”. 1977 წლის აგვისტოს №15 გაზეთი “სამშობლო” აღნიშნავდა “აღბათ სულ მალე ეკლესიის ძველთაძველ კედლებში აქედრდება დიდებული საორდანო მუსიკა”. შემდგომ წლებში დაიხვეწა მაშინ გურმანით ნაგრძნობი: რაც მეტია დაწოლა, მით მეტია ამომგდები ძალა, რომ საჭირო არ იყო რელიგიასთან ბრძოლა – პირიქით. დაე, დარჩენოდა ადამიანს ღვთის რწმენა და მოშიშობა, ისე ეშენებინა ახალი ცხოვრება, ...მაგრამ ეს ფიქრი ძალიან გვიან მოვიდა.

აჭარაში გაფართოვდა კულტურის ძეგლების სარესტავრაციო სამუშაოები. ფიზიკურ განადგურებას გადაურჩა სხალთის ეკლესია, ჭვანის, დანდალოსა და მახუნცეთის თალიანი ხედები, გამაგრდა პეტრას ციხე, გაგრძელდა ფიჭვნარის დინებაზე არსებული ძველკოლხური ნაგებობის არქეოლოგიური შესწავლა, რომელიც მიზნად ისახავდა გადაერჩინა შავიზღვისპირეთის ერთ-ერთი უნიკალური, ჯერ თითქმის შეუსწავლელი ძეგლი. თამარის ციხის რესტავრაციითა და შესწავლით დადგინდა, რომ უძველესი დასახლება ბათუმის ტერიტორიაზე წარმოდგენილია ძველი წელთაღრიცხვის VII-VIII საუკუნეებში (გაზეთ “სამშობლო” 1977 წლის აგვისტო №15 “ჩვენი მარგალიტი, ჩვენი აჭარა” სტატიის ავტორია ლამარა თელია) და... რაც მთავარია გონიოს ციხის უზარმაზარ ტერიტორიაზე აღმოაჩინეს უნიკალური ნივთები, რომლებიც აჭარის სახელმწიფონ მუზეუმს გადაეცა შესასწავლად, მარტო აღმოჩენილი ოქროს სამკაულების წონა 1.5 კილოგრამია. ბევრი ავბედობის მოწმე გონიოს ცოხეში უძველესი დროიდან ჩვენი ისტორიის ფურცლებია ჩამარხული. მე-10 საუკუნეს განეკუთვნება ძველი თეატრის ნიმუშები და მილგაყვანილობის რთული სისტემით აღჭურვილი აბანოების ნანგრევები.

მახსენდება 1975 წლის შემოდგომა. ბათუმში მეგობრული ვიზიტით ესტონეთის მუსიკალური ხელოვნების მოღვაწენი ჩამობრძანდნენ.

ქალბატონმა ლამარამ მთხოვა ერთ-ერთი შეხვედრის ორგანიზება მკომეწყო. გადავწყვიტე სახლში მიმელო საპატიო სტუმრები, მითუმეტეს ახლად გარემონტებული ბინა ამის საშუალებას მაძლევდა. ოჯახში ყოველმხრივ ვეცადე და რატომღაც, პასუხისმგებლობას ყოველთვის მხოლოდ ჩემ თავზე ვიღებდი, შევქმენი წინასახეიმო განწყობა. სწორედ, რომ მეხსიერების წყალობით ბრუნდება უკვე დიდხნის უკან მომხდარი სასიამოვნო სიტუაცია.

ქალბატონი ლამარა სტუმრებს შემოუძღვა. გარემოთი მოხიბლული და მხატვრულად გაფორმებული სუფრით კმაყოფილმა მომღიმარი სახით ჩაიდულუნა: “გული მწყდება, ხელოვნების ამ ნიმუშს როგორ უნდა შევეხოთ...”

ქალბატონ ლამარას ფორტეპიანოსთან სტუმარ-მასპინძლების საექსპრონტო გამოსვლები, ნამდვილ საფესტივალო დათვალიერებას მოგაგონებდათ. იყო კლასიკა, იუმორი...

ქართულმა “მრავალჟამიერმა” დაატყვევა აღფრთოვანებული ესტონელი სტუმრები და ბოლოს თავისი ეროვნული, იმპროვიზაციული სასიმღერო მოძახილით უფრო და უფრო შეესხიანდით რაც მეგობრობის, ერთობის ურყევი სიმბოლო გახლდათ.

ყველანი უცებ გახალისდნენ. მუდამ ფუტკარივით მოფუსფუსეს, საქმისათვის არასდროს არ უღალატია. მის გამუდმებულად დაძაბულ ცხოვრების რიტმს ოჯახი გაგებით ხვდებოდა. ბატონი სერგო მოსესოვი, მისი მეუღლე, რომელიც აშუამად აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს განყოფილების გამგედ მუშაობს, საქართველოს დამსახურებული ინჟინერი, რაციონალიზატორი, 24 წელიწადს ბათუმის ხის დასამუშავებელ კომბინატს ხელმძღვანელობდა და თავადაც ესმოდა მეუღლის დაძაბული შრომის რიტმი. თანადგომითა და სიყვარულით სავსე ოჯახმა სანიმუშო შვილები აღზარდა. ოთარმა მოსკოვში დაამთავარა საერთაშორისო ურთიერთობათა ინსტიტუტი და თავისი სპეციალობით მუშაობს. ცოლად შეირთო ბათუმელი თანაკლასელი ნინო ყუფარაძე, ყოფილი აჭარის ჯანმრთელობის მინისტრის, დიდებული პედიატრის ბათუ ყუფარაძის ქალიშვილი. ნინო აშუამად მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატია. მოსკოვის ერთ-ერთი ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკი. ჰყავთ 11 წლის ვაჟი. ბაბუას მოსახელე სერგო. ხოლო ქალიშვილმა ნინომ ჩვენი სამუსიკო სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, უმაღლესი განათლება მოსკოვში მიიღო პირველ სამედიცინო ინსტიტუტში, მუშაობს რემატოლოგიის ინსტიტუტში. გათხოვილია და ჰყავს ქალიშვილი ლამარა, რომელიც ბებიას სახელს ატარებს.

ქალბატონი ლამარა და ბატონი სერგო დღეს ყველაზე მეტად შვილიშვილებით ხარობენ.

ქალბატონი ლამარას აღიარება არა ერთხელ დაფასდა. 1960 და 1966 წელს მიღებული აქვს მედლები “შრომითი მამაცობისთვის”, 1970 წელს მედალი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილესთან დაკავშირებით, 1971 წელს “საპატიო ნიშნის” ორდენი. 1999 წელს – “ღირსების ორდენი”.

ბედნიერებით შემკული ქალბატონისთვის მხოლოდ ჯანის სიმრთელე და ხანგრძლივი სიცოცხლე მისურვებია.

2002.06.05

ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნებისა  
და ძველი აჭარული ცეკვების ჭეშმარიტი  
მეზაირახტრე ენვერ ხაბაძე

გაზეთი „ახალგაზრდა კომუნისტი“, 1934 წ. 3. ივნისს ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადის შესახებ წერდა: “1934 წლის 30 მაისს თბილისში გაიხსნა ამიერკავკასიის ხალხთა ხელოვნების ოლიმპიადა... ხალხური შემოქმედების... ხალხთა მანამდე არნახული ზეიმი. მთელი თბილისი აივსო ოლიმპიადის ნაციონალურ, ფერად-ფერად კოსტუმებში გამოწყობილი მონაწილეებით. ისინი თვით ქალაქის ქუჩებში უჩვენებდნენ მოსახლეობას თავიანთ საუკეთესო ნომრებს. „კარლ მარქსის ხიდთან დები თარხნიშვილები კახურ სიმღერებს ცაში აბნევენ, ორჯონიკიძის კლუბში ბაქოელები ცეცხლოვან ზეიმს აწყობენ. რუსთაველის თეატრის აივანზე მეგრელები ცეკვავენ და მღერიან. კომუნიკალურ მუზეუმთან აშუღები შაირობენ, თავისუფლების მოედანზე ქურთების ფერხულს უვლიან, გურულები ჩონკურს აკენესებენ და აჭარლები ხორუმს ასურებენ...”

როგორც ხელოვნების ყველა დარგს, ცეკვასაც თავისი ისტორია აქვს. სიამოვნებას მგვრის ის ფაქტი, რომ “ხელოვანთა ლიგა XXI-ს” ინიციატივით დაყენებულ იქნა წინადადება მოწყობილიყო ხორუმის ფესტივალი დევიზით: “ხორუმი – საქართველოს სიფხიზლის სიმფონია”, საბედნიეროდ, ეს მარტო ხორუმის ფესტივალი კი არა, ფაქტიურად ხალხების კულტურის ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორიაში ცეკვის ადგილის ფესტივალი იქნება.

ფესტივალში წარმოდგენილი იქნება როგორც აჭარის მაღალმთიან რაიონებში შემორჩენილი ხიხაძირის, ცხმორისის, უჩამბის, ოლადაურის, მახუნცეთის, ორთაბათუმის, ასევე ქობულეთის ხორუმი.

გაზეთები “ბანკები და ფინანსები”, (2001 წლის 6 თებერვალი; – 2002 წლის “ქობულეთი” 1 იანვარი, 10 მაისი) ოთარ კონცელიძის “ხორუმი ქობულეთური ცეკვაა”, მოწოდებით ირწმუნება, რომ ცეკვა “ხორუმი” წმინდა ქობულეთურია და მისი აღიარების არავის უნდა ეშინოდეს. იგი უპირველესად მკითხველს იპყრობს იმით, რომ ხორუმის მოცეკვავეთა ტრადიციულ ტანსაცმელად მიღებულია ჩაქურა (ჩაქვურა), ხოლო საოჯახო შეკრებებზე მას გალიფეჩაცმულები ცეკვავენ (იგიც ხომ აშკარაა, რომ გალიფე “გაკულტურებული ჩაქურაა”).

ცეკვა “ხორუმი” ქობულეთში იმდენად მასობრივი იყო, რომ იგი შესრულების მიხედვით ცალკეულ გვარებად დაიყოფოდა, – ცნობილია ვასაძეების, კონცელიძეების, ბაუჟაძეების, ნემსაძეების ხორუმი... ქობულეთში წარმოიშვა ანანიძეების ხორუმი და მის აღსანიშნავად გამოთქმა – “ახალი ხორუმი”, რომელიც ყველა დანარჩენი ხორუმებისაგან განსხვავებით სამი აუცილებელი ნაწილისაგან – ხორუმი, გადახვეული, ჩამოშორებული – შესდგება.

ქობულეთის რაიონის სოფელ ქვედასამების საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლის არჩილ კაიკაციშვილის მოკვლეული მასალებით, ხორუმის წარმოშობის რეგიონიდან საჩვენებელი გატანის შესახებ ხორუმი საქართველოს დედაქალაქის სცენაზე პირველბა 1921 წელს ქობულეთელებმა გაიტანეს. მათვე შეასრულეს 1924 წელსაც. 1929 წელს კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე,

საქართველოს ხალხთა მეორე ოლიმპიადაზე, ხორუმს სწორედ რომ ტრიუმფი ხვდა წილად ბათუმის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის შევქეთ ლორთქიფანიძის, შემდგომში ცნობილი ქართველი ქიმიკოსის ახმედ (ალექსანდრე) ნოლაიდელის და აჭყვისთვალი 14 წლის ყმაწვილის არიფ ანანიძის შესრულებით.

ყოველივე ამის შემდეგ ავტორი ასკვნის, რომ “ხორუმი ქობულეთური წარმოშობის ცეკვაა, შემდეგ დიდ ქორეოგრაფთა მიერ გამდიდრებული საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში. ჩვენ ეს გვეამაყება და არც ამის აღიარება დააკლებდა ხორუმს არაფერს.”

ავტორიტეტული სიტყვა ხორუმზე, მის ბრწყინვალეობაზე, კუთვნილებაზე, დახვეწა-გალამაზებაზე, ფაქტია სპეციალისტებს, ფესტივალს ეკუთვნის.

ძველი ქართული მეომრული ცეკვის ხორუმის პირველი პოპულარიზატორი და გამცნობი თბილისელი მაყურებლისთვის იყო კომპოზიტორი კ. ფოცხვერაშვილი, რაც მან პირველად 1917 წელს მოახერხა გურულ-აჭარული ეთნოგრაფიული გუნდის მეშვეობით.<sup>85</sup>

ვერაფერს ვიტყვით იმაზე თუ რომელი გურულები იყვნენ 1882 წელს ქუთაისის სცენაზე რომ იცეკვეს ხორუმი, როგორც ამის შესახებ წერდა მაშინდელი „დროშა“.<sup>86</sup>

1936 წელს კომპოზიტორმა ა. ფარცხალაძემ თავის კრებულში, სხვა სიმღერებთან და ცეკვებთან ერთად, შეიტანა ნოტებზე გადაღებული შეიდი აჭარული ცეკვა, ჩაწერილი ხულოს რაიონის სოფელ ხისაძირში ცნობილი მეჭიბონეს ადემ სურმანიძისაგან. კრებულში შევიდა ძველი ყოლსარმა, ახალი ყოლსარმა, ყარაბალი, თამზარა, ქურთბარი, ძველი ხორონი, ახალი ხორონი.<sup>87</sup>

სამეცნიერო ლიტერატურაში აღნიშნავენ საცეკვაო მელოდიების უპირატესობას. აჭარაში ბევრი საინტერესო ცეკვა და უძველესი ხალხური სანახაობის ნიმუშია გამოვლენილი, ამ კუთხემ შემოგვინახა უძველესი ქართული მეომრული ცეკვა “ხორუმი”, რომელიც დიდი ხანია გასცდა საქართველოს ფარგლებს და მისი რამდენიმე სახე არსებობს: “ძველი”, “ახალი”, “ქოჩახელა”, “სოფლისა”, “ხისაძირული”, “გადახვეული”, “გადაბრუნებული”, “ბეჩხორუმი”, “დელიხორუმი” და სხვა. ნაირსახეობა ძირითადად საშემსრულებლო წესებისს ქორეოგრაფიული შესრულების სპეციფიკიდან გამომდინარეობს. ზომა კი, რომლის გრძლიობა 5/4 – ზეა აგებული ძირითადად დაცულია, მელოდია ი ვარიაციულია.

მეორე მნიშვნელოვანი ცეკვა გახლავთ “ყოლსარმა” (ყოლსარმა), რომელიც დღეს “განდაგანას” სახელითაა ცნობილი. მუსიკალური და წეს-ჩვეულებრივი თვალსაზრისით მასთან ახლოს დგანან “ქოჩეგური”, “ფადიკო”, “თოლფალონი”, ცეკვა “ფადიკო-

<sup>85</sup> საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია, ბათუმის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტი. “აჭარის ფოლკორის კვლევის ისტორიიდან”. “ლიტერატურული აჭარა”, 1962 წ. №6, გვ 86-88 და “აჭარის მუსიკალური და ქორეოგრაფიული ფოლკლორის შესწავლის საკითხები”, მოხსენება-წაკითხული ხალხური სიტყვიერების ჟანრების შემსწავლელი საპრობლემო საკოორდინაციო საბჭოს III სამეცნიერო კონფერენციაზე ქ. თბილისში 1963 წლის იანვარში.

ა. მსხალაძე “ქართული ხალხური საკრავიერი მუსიკის ისტორიიდან” “მეცნიერება”. თბილისი 1969. გვ. 8.

<sup>86</sup> გაზეთი «ქობულეთი» მაისი, 10. ოთარ კონცელიძე “ხორუმი ქობულეთური ცეკვაა”.

<sup>87</sup> ა. ფარცხალაძე. აჭარული ხალხური სიმღერები და ცეკვები. ბათუმი 1936.

ქონგური” ბერიკაობის აჭარული ნაირსახეობაა, რომლის შინაარსი ნაყოფიერებისა და შეილიერების კულტს უკავშირდება.

აჭარაში გავრცელებულ ზოგიერთ ცეკვას, რომელთა მელოდიები ჭიბონზე სრულდება აშკარად ეტყობა აღმოსავლური წარმოშობა. ამ მხრივ დავას არ იწვევს, მაგალითად: “ყარაბალი”, “თამზარა”, “ქურთბარი” (ქართული ფერხული), “შამილი”, “ბაღდაღური”, “შალახო”, “ყარშიბერი”.

რაც შეეხება ე.წ. “ცეკვას”, რომელიც მოქმედების შეხედულებით განსხვავდება “ლეკურისაგან” იმით, რომ მისი ტემპი გაცილებით ნელია, იგი ადგილობრივი და ეროვნულია. მისი სახელი სხვა ფორმითაც გვხვდება: “ცეკვური”, “საცეკვაო”, ასევე მნიშვნელოვანია “ფერხულები”, “ლაზური” ან “ლაზური საცეკვაო”.

აჭარაში შემონახული ქართული ხალხური ცეკვების აღდგენა-გამომზეურების საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის ქართული ცეკვის გამორჩენილ ოსტატს, საქართველოს სახალხო არტისტს, მემედ აბაშიძის სახელობის სახელმწიფო პრემიის ლაურეატს ენვერ ხაბაძეს. მან დაუცხრომელი კვლევისა და შემქმედებითი ძიების გზით, აჭარული საცეკვაო ფოლკლორის საფუძველზე, შექმნა ქართული ცეკვის მარგალიტი “განდაგანა”. სახელწოდებაც თავადვე შეურჩია და პირველად აამეტყველა პროფესიულ სცენაზე 1945 წელს. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ სწორედ ენვერ ხაბაძეს ეკუთვნის ამ ცეკვაში ქალის შემოყვანის იდეაც.

მან ქართულ ფოლკლორს აღუდგინა დიდებული “გადახვეული ხორუმი”, “ოჰოი ნანო”, შექმნა ლაზ მეთევზეთა ბრწყინვალე ცეკვა, ენვერ ხაბაძის ხელმძღვანელობით აჭარის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლმა პროფესიული ოსტატობის უმაღლეს დონეს მიაღწია. წარმატებით მოიარა მთელი საბჭოთა კავშირი, ევროპის მრავალი ქვეყანა. საგასტროლოდ გაემგზავრა არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასა და სუდანში. მაყურებლის დაფასება მოიხვეჭა ანსამბლმა “ბათუმმაც”, რომელსაც ტაშს უკრავდნენ თურქეთში, დანიაში, ბულგარეთში, რუსეთში...

ენვერ ხაბაძე, პროფესიულ სცენაზე მოღვაწეობისას, წლების მანძილზე მუშაობდა ბათუმის სკოლებში. მისი ინიციატივით შეიქმნა დღეს ასე ცნობილი ბათუმის მოსწავლე ახალგაზრდობის პარკის ანსამბლი “გაზაფხული”, აგრეთვე “სალაღობო”.

ენვერ ხაბაძე შემოქმედებითად იღწვოდა ხელოვნების ისეთი დიდი კორიფების გვერდით, როგორც იყვნენ: არჩილ ჩხარტიშვილი, მიხეილ თუმანიშვილი, სოფიკო ვირსალაძე, გივი ოდიკაძე, ზურაბ კიკალეიშვილი და მრავალი სხვა. მოღვაწეობდა ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის გვერდით. ქართული ხალხური ცეკვის ამ დიდმა მოამაგებმა თავიანთ ანსამბლში მიიწვიეს ბატონი ენვერი, და “გადახვეული ხორუმი” და “განდაგანა” დაადგმევინეს.

დიდია ენვერ ხაბაძის წვლილი თეატრალური და კინოხელოვნების განვითარებაშიც. მან დადგა ცეკვები ბათუმის სახელმწიფო დრამატული თეატრის სპექტაკლებისათვის: “მოკვეთილი”, “ხევისბერი გონა”, “ოქროს სამაჯური”, “დაჭრილი არწივი”, “მე, ბებია, ილიკო და ილარიონი”, ქართული ცეკვები დადგა აგრეთვე გერმანულ ფილმში “ჩემი მეგობარი სიბილე”, ფილმ-კონცერტებში “როცა მეგობრები ერთმანეთს ხვდებიან” (ოდესის კინოსტუდია) და “მეგობრობის კონცერტი” (საქართველოს ტელევიზია).

ენვერ ხაბაძე წლების მანძილზე საზოგადოებრივ საწყისებზე ხელმძღვანელობდა საქართველოს საგუნდო და ქორეოგრაფიული საზოგადოების აჭარის ქორეოგრაფიულ

საბჭოს, იყო საქართველოს მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების კომისიის წევრი, ყოფილი საბჭოთა კავშირის მუსიკალური საზოგადოების სარევიზიო კომისიის წევრი, მიღებული ჰქონდა მთავრობის ჯილდოები.

ენვერ ხაბაძის შემოქმედების დიდი დაფასება იყო მისი დაბადების 75 წლისთავისადმი მიძღვნილი იუბილუე თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, სადაც ქვეყნის პრეზიდენტმა ღირსების ორდენი გადასცა.

ენვერ ხაბაძე არა მარტო დიდი ხელოვანი, უპირველესად დიდი კაცი გახლდათ, ასეთი კაცისათვის დამახასიათებელი ყველა თვისებით მოჭარბებული, ცხადია, დიდმა ხელოვანმა ჩინებულად იცოდა ეს, იცოდა, მაგრამ არ გამედიდურებულა, ზოგიერთებივით არ აუღერია თავი, პირიქით, ჩუმად, უხმაუროდ აგრძელებდა თავის დიდ საქმეს.

### დიმიტრი არაყიშვილი აჭარაში და ჩემი

#### მასწავლებლის - ლადო შარაშიძის მოგზაურობა

(დახვედრა)

“1952 წლის აგვისტოში ბათუმში ჩამოვიდა კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი,<sup>88</sup> – წერს ლადო შარაშიძე თავის წიგნში “ნარკვევები მოგონებები” – პარტიის საოლქო კომიტეტმა მისი მიღება მე დამავალა, როგორც ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსს. სადგურზე დახვედრისას ჩემი ყურადღება მიიპყრო ჩემოდნების რაოდენობამ. საქმე ის არის, რომ კომპოზიტორს აჭარის ხალხური სიმღერების ჩაწერა გადაეწყვიტა და საჭირო აპარატურაც თან წამოიღო. მას ახლდა მუსიკოსი თამარ მამალაძე და ოპერატორი.

ჩვენი საუბარი გაიმართა სასტუმროში. მან დაწვრილებით გაგვაცნო თავისი გეგმა და გვითხრა შეგვედგინა სია იმ გუნდებისა, რომლებსაც ყველაზე უკეთესად აქვთ შემონახული ხალხური სიმღერები. ამ დავალების შესრულება არ გაგვჭირვებია, რადგან ყველა გუნდის ადგილსამყოფელი და მისი რეპერტუარი კარგად ვიცოდით.

პირველად ქედას ვესტუმრეთ, ჩვენი წინასწარი თხოვნით ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს უკვე შეეკრიბათ გუნდები სარაიონო კულტურის სახლში. დ. არაყიშვილი მთელი გულისყურით ისმენდა და არჩევდა ფირზე ჩასაწერ სიმღერებს.

სასიქადულო კომპოზიტორი ისე გაიტაცა იქურმა სიმღერებმა, რომ ვერ დავითანხმეთ ცოტა ხნით მაინც შეგვესვენა. ჩვენს თხოვნაზე დიმილით გვპასუხობდა, რომ მისთვის შესვენებაზე უფრო ძვირფასია ასეთი მელოდიური მუსიკის მოსმენა.

მეორე დღეს ხულოსკენ გავსწიეთ. გზაში ხანდახან ვჩერდებოდით, დიმიტრი მანქანიდან გადმოვიდა და ბუნების სილამაზით ტკბებოდა, მთხოვდა, მთებში შეფენილი სოფლები გამეცნო.

<sup>88</sup> ლ. შარაშიძე, ნარკვევები, მოგონებები. გამომც. «საბჭოთა აჭარა», 1990 წ.

იგი დიდ გაკვირვებას გამოხატავდა სოფლების ერთმანეთისგან საკმაო მანძილით დაშორების გამო, ითვალისწინებდა იმ სირთულეს, რასაც ადგილი ექნებოდა აქ ზამთრობით ადგილობრივ მკვიდრთა ყოფა-ცხოვრებაში.

ხულოში უკვე შეეკრიბათ გუნდები. სადამოს დიმიტრიმ მოახერხა სულ ცოტა 20 სიმღერის მოსმენა, რომელთაგან უმრავლესობა ჩაწერის ღირსად სცნო. ხულოში ყოფნისას ჩვენ გადავიღეთ ფოტოსურათი.

დ. არაყიშვილმა აჭარაში დაპყო 10 დღე. თავს კარგად გრძნობდა, რაც მთავარია, მოპოვებული მასალებით მეტად კმაყოფილი დარჩა.

ერთ სადამოს სამუსიკო სასწავლებელში მივიწვიეთ. სამუსიკო სასწავლებელში ყოფნისას დეტალურად გაეცნო კომპოზიტორ ა. ფარცხალაძის მუსიკალურ ნაწარმოებებს, მოისმინა გუნდის კონცერტები, ბევრ რამეს ინიშნავდა უბის წიგნაკში. საზაფხულო თეატრში დაესწრო კონცერტს. ერთ დღეს ოჯახშიც მივიწვიეთ, ვისაუბრეთ აჭარაში მუსიკალური კულტურის მდგომარეობისა და პერსპექტივების შესახებ, სპეციალურად დამზადებული თევზის კერძით გავუმსაპინძლით, რითაც ნასიამოვნები დარჩა. თურმე ძლიერ მოსწონდა ზღვის თევზი, მაგრამ თბილისში ჭირდა მისი შოვნა, ხუმრობით კიდევ თქვა, ბათუმელები ძუნწობენ, არ გვიგზავნიანო.

დ. არაყიშვილმა მიაგმო ზოგიერთი რამ თავისი ბიოგრაფიიდან და ხაზი გაუსცვა მოსკოვში ცხოვრების წლებს, როდესაც 1908 წელს დაარსა ჟურნალი “Музыка и жизнь”. იქ იგი აქტიურად მონაწილეობდა საქართველოს მეცნიერების, ხელოვნებისა და ლიტერატურის საზოგადოების საქმიანობაში. ამ საზოგადოებას ა. სუბათაშვილი – იუჟინი ხელმძღვანელობდა. ამ პერიოდში მან შექმნა ბევრი რომანსი და პირველი ქართული ოპერა “თქმულება შოთა რუსთაველზე”.

ქართული მუსიკის სიყვარულმა საბოლოოდ ჩამოიყვანა საქართველოში. ეს იყო 1918 წელს. მანამდე კი საქართველოში მხოლოდ ექსპედიციების დროს ჩამოდიოდა (დაიბადა და გაზიარდა ვლადივასტოკში). გავბედე და ვთხოვე ჩვენს ოჯახში პიანინოზე შეესრულებინა რამდენიმე რომანსი, ახლაც მახსოვს როგორი გატაცებით დაუკრა “ვარსკვლავიანსა ღამეს”, “ნუ მღერი ღამაზო”, “ურმული”.

ჩვენი საუბარი კარგა ხანს გაგრძელდა, ამასობაში გაწვიმდა, ბატონ დიმიტრის ვთხოვე ღამით ჩვენთან მოესვენა, მან დიმილით მიპასუხა: არ მახსოვს სხვის ბინაში გამეთიოს ღამე, მაგრამ დღეს ამ წესს დავარღვევ და თქვენთან დავრჩებიო.

ჩვენი საუბარი გვიან დამემდე გაგრძელდა და დილას ისევ განახლდა... რკინიგზის სადგურზე, დამშვიდობებისას კომპოზიტორმა ბევრი ილაპარაკა ამის შესახებ, თუ რამდენი რამ გვაქვს გასაკეთებელი შეუდარებელი ხალხური მუსიკალური შედევრების შენახვა-განვითარებისათვის, რაოდენ დიდ პასუხისმგებლობას აკისრებს ეს ყველას, ვინც ეროვნული კულტურის სამსახურში დგას. განსაკუთრებით ისეთ მხარეში, როგორიცაა აჭარა, აქაურმა ხალხმა მრავალი უბედურება გადაიტანა, მაგრამ მაინც სათუთად შემოინახა შესანიშნავი მუსიკალური მემკვიდრეობა – უძველესი ქართული სიმღერები”...

ამ ნარკვევის ავტორი, როგორც უკვე დასაწყისშივე მქონდა მინიშნებული, არის ლადო შარაშიძე. ის იყო ხელოვნებისა და კულტურის დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნე მრავალი წიგნისა და ალბომის ავტორი. ლადო შარაშიძის “ნარკვევები, მოგონებები”, შინაარსობრივად აერთიანებს 40-მდე ნარკვევს, სადაც



შთაგონებული შემოქმედების ამდლით, ხატოვანი ოსტატობით იგონებს წარსულსა და აწმყოს.

სიამაყის გრძნობით და დიდი მადლიერებით მინდა მოვიგონო ჩემი მასწავლებელი ლადო შარაშიძე. სამუსიკო სასწავლებელში ის მასწავლიდა ქართულ ენასა და ლიტერატურას, ამავე დროს ჩვენი ოჯახის და განსაკუთრებით მამაჩემის უახლოესი მეგობარი გახლდათ.

მეხსიერებაში სამუდამოდ ჩაიბეჭდა შესანიშნავი ადამიანი და ნამდვილი კაცური კაცი. ახლაც თვალწინ მიდგას მისი სათნო გარეგნობა და ცოცხალი კეთილი სახე. მაგონდება მისი ახსნილი ლიტერატურული მასალის ფერადოვნება, რომელმაც ჩემზე წარუშლელი შთაბეჭდილება დატოვა.

### ქალბატონ ლეილა კომახიძეს

1961 წელს ბათუმის სამუსიკო სასწავლებელს სამი ახალი პედაგოგი შეემატა: ნანული ზამბახიძე, ლეილა კომახიძე, ლემან ხარაზი. სწორედ ლემანი გახდა ჩემი ფორტეპიანოს მასწავლებელი. იმთავითვე განისაზღვრა ჩვენი ურთიერთობების უფრო მეგობრული, ვიდრე მოსწავლე-მასწავლებლის ხასიათი. ერთადვე შევარჩიეთ პროგრამა, რომელშიც იკვეთებოდა ჩვენი გემოვნების, მიდრეკილებების, შესაძლებლობებისა და უნარის ერთიანობა. მოცარტი, შოპენი, ადრეული პერიოდის ბეთჰოვენი, სკრიაბინი, ამასთან, დიდი სიფრთხილედ FORTE-სთან და გამომსახველი მუსიკალური ბეგრა...

ვმეცადინებოდი ცოტას, მაგრამ ხარისხიანად. ვცდილობდი, მოუმზადებლად გაკვეთილზე არ მისვულიყავი, სხვა შემთხვევაში უბრალოდ ვაცდენდი გაკვეთილს. ერთ-ერთი ასეთი მარკირებისას, კინოში წავედი ახალ ინგლისურ კომედიაზე “სიცილი სამოთხეში”. ყველაზე თავშეუკავებულად მე და ჩემ გვერდზე მჯდომი ქალბატონი ვიციინოდით. როცა შუქი აინთო, ერთმანეთს შევრჩით “მატალოზე” გაპარული მოსწავლე და მასწავლებელი ლემან ხარაზი. ინციდენტი იმ შესანიშნავი კომედიის ჟანრში დასრულდა, იუმორის გრძნობდა ორივეს მომეტებული გვექონდა.

დაახლოებით მესამე კურსიდან ჩამესახა იდეა მხატვარი გავემხდარიყავი. მაშინდელი ჩემი აზრით მხატვრობა პიანისტის პროფესიასთან შედარებით ბევრად უფრო თავისუფალი პროფესია იყო. სოლფეჯიო, მოსაბეჭრებელი გამებისა და სავარჯიშოების შტუდირება, საათობით მუშაობა... მეგონა რომ ხატვა, მხოლოდ სიამოვნებაა... და ვხატავდი ყოველი წაკითხული წიგნის ილუსტრაციებს. ვკითხულობდი ბევრს, უსისტემოდ და უკონტროლოდ. ჩემი პედაგოგი კი მთელი სერიოზულობით გვემავდა ჩემს სამუსიკო მომავალს. ვგრძნობდი რარიგ ეწყინებოდა ჩემი გადაწყვეტილება, არ ვუტყდებოდი და ძალიან ვცდილობდი შესამჩნევი არ გამხდარიყო.

იმხანად ფირსაკრავი იშვიათობა იყო. მხოლოდ მუსლიტერატურის გაკვეთილზე გვასმენინებდა იმდროინდელი დირექტორი, ბატონი გურამ ხუჭუა ჩვენთვის საკმაოდ რთულ სიმფონიებს ან ოპერებს, ამიტომ, როცა ჩემმა უფროსმა დამ თბილისიდან ფირსაკრავი და საფორტეპიანო რეპერტუარის ფირფიტები გამომიგზავნა, ახალი გატაცება დამეწყო. ვუსმენდი და ვბაძავდი სხვადასხვა პიანისტების საშემსრულებლო

სტილსა და ინტერპრეტაციებს. ამასთან, ვმუშაობდი ორ ვარიანტზე ერთდროულად: I – ჩემი პედაგოგის მოთხოვნების გათვალისწინებით, II – იმიტაციური... ასე მოვამზადე მოცარტის სონატა, გაკვეთილზე პირველი ვარიანტით, ხოლო დახურულ კონცერტზე ანი ფიშერისეული ინტერპრეტაციით, რომელიც უჩვეულოდ და ოდნავ მანერულადაც უღერდა. გაოცებული მისმენდა ჩემი პედაგოგიც და კომისიის თავმჯდომარე, ჩვენი მუდმივი კონსულტანტი, ქალბატონი მარი შური. ფრიადი კი დამიწერა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაიხსენა ვის ვბაძავდი, მოცარტის თავყვანისმცემელი მესამეკურსელი მოსწავლე... ძალიან დიდი ხნის შემდეგ გამოვუტყედი ქალბატონ მარის, ბევრი ვიცინეთ.

მეხსიერებას შემორჩა უფრო კუროზული ეპიზოდები, ერთ-ერთია შოსტაკოვიჩის ფანტასტიკური ცეკვების ჩემბუური შესრულება. საქმე იმაშია, რომ ეს ნაწარმოები მხოლოდ ვიზუალური მეხსიერებით დავისწავლე. ყოველი პიესას შუა ადგილიდან ვიწყებდი ამ ნაბეჭდი ნოტების გახსენებას და ცოტა არ იყოს “დაბნეულად” ვუკრავდი. საგამოცდო კომისიის თავმჯდომარემ, დირიჟორმა ზაქარია ხუროძემ კი დახასიათებაში ჩაწერა, რომ შეექმნა შთაბეჭდილება, თითქოს ეს გოგონა კი არ უკრავს, არამედ ხატავს...

კუროზული იყო ჩემი აკომპანიატორობის მცდელობაც ვოკალის პედაგოგმა მეორე გაკვეთილზევე მაცნობა რომ მე მხოლოდ სოლოს ვუკრავ და საერთოდ არ მახსოვს ვოკალისტი, ამიტომ გამოცდაზე თითონ მომერგო, თითონვე “მიჭერდა” და მხოლოდ ის მოხოვა, ჩუმიად დამეკრა, რათა ეს ეშმაკობა არ გამოაშკარავებულიყო...

დირექტორის მკაცრი გაფრთხილებით, გოგონები უწინდოდ სასწავლებელში არ უნდა შემოსულიყვნენ. დილაობით სპეციალური კომისია იდგა კარებთან შესამოწმებლად. გაზაფხულზე კი ისე ცხელოდა... მოვიფიქრე ყავისფერი ფანქრით გოგონების წვივებზე ხაზების დახატვა (მაშინ ხაზიანი წინდები მოდური იყო). საკმაოდ დიდხანს გაგვიოდა ეს ეშმაკობა, შემდეგ ვიღაცამ გაგვცა, მაგრა მოსალოდნელი რისხვა ისევე იუმორის გრძნობამ გაანეღა....

ღემანი ხარაზი იმითაც დამამხსოვრდა, თუ როგორ არღვევდა სარგამარტო ტრადიციას, იმის ნაცვლად რომ ჩვენ გვეჩუქებინა მისთვის სუნამო და ყვავილები, თითონ ჩუქნიდა თავის ყმაწვილქალობაში შესულ პრანჭია მოსწავლეებს სუნამოებს.

ადამიანებს ჩვევით ბედნიერების მხოლოდ რესტროსპექტივაში აღქმა. ნამდვილად ბედნიერი ვიყავით, 60-იანი წლების სამუსიკო სასწავლებლის მოსწავლეები. გვეავდა თავდადებული პედაგოგები, ვუსმენდით ლექცია-კონცერტებს, ვკითხულობთ, ტელევიზორს არ მიჰქონდა მთელი ჩვენი ყურდალება და განცდა. დავდიოდით კინოში და რესტორან “აჭარის” კაფეში 22 კაპიკად ვჭამდით უგემრიელეს ნამცხვრებს, “ეკლერს”, “შუ“-ს და “ნაპოლეონს”.

ჩემი თანაკურსელები ახლა ცხოვრობენ ინგლისში, ისრაელში, ამერიკასა და გერმანიაში, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ყველას ახსოვს მშობლიური ბათუმი და ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები.

ნინო ნიჟარაძე, მხატვარი

## საარქივო მასალები

№26

1921 წლის აგვისტო 1. ბათუმის და მისი ოლქის რეგკომის განათლების განყოფილების მოსმენა ბათუმში მუსიკალური კომედიის ჩამოყალიბების შესახებ

გასულ სათეატრო სეზონის მსვლელობის დროს ჩვენ საბოლოოდ დაერწმუნდით, რომ ბათუმში ოპერის მოწყობა ყოველად შეუძლებელია, რადგან საამისო ძალები აქ არ გვეყავს, არ არის მამაკაცთა და ქაღთა კარგი “ხორი”, ბალეტი და სხვა. ამიტომ მოჯმაგვალ სათეატრო სეზონში ჩვენი ოპერა არ გვეყოლება, მაგრამ ჩვენის აზრით ბათუმში უნდა მოეწყოს მუსიკალური კომედია, საამისო ძალები კი აქ მოიძებნება და შესაძლებელია მისი სათანადო სიმადლეზე დაყენება. ჩვენის აზრით ამის მოწყობა სასურველია იმისთვის, რომ ბათომი ნავთსადგურიანი ქალაქია, სადაც აუარებელი უცხოელები მოდიან, რომელნიც უმთავრესად მუსიკას ეტანებიან. ასე, რომ ჩვენის მხრივ მათ უნდა მივცეთ საშუალება იმისა, რასაც ჩვენთვის აქვს უდიდესი მნიშვნელობა იმ მხრივ, რომ ჩვენ ამ დარგში ვმუშაობთ და გვაქვს უნარი საქმის რიგზე დაყენებისა.

ამასთან ერთად გიდგენთ ხელოვნების ქვე-განყოფილების თეატრალურ სექციის გამგის მოსხენებას და ხელოვნების კოლეგიის რეზოლუციას ხსენებული საქმის შესახებ.

განათლების განყოფილების გამგე, კუპრაძე

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 1, აღწ. საქ. 20, ფურც. 62, დედანი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№227

1921 წლის დეკემბრის 30. – ბათუმის და მისი ოლქის რეგკომისიის მიმართვა საქართველოს რეგკომს აჭარაში თეატრალური საქმის განვითარებასთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო საოპერო თეატრის შეფობის შესახებ.

ვინაიდან თეატრალურ საქმეს დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს აჭარაში და, მითუმეტეს, ქ. ბათუმში აჭარისტანის ასსრ რეგკომი გთხოვთ, აღმოუჩინოთ ყოველგვარი დახმარება გელოვანს, რომელიც იგზავნება ამ საქმეების გამო ქ. თბილისში და მისცეთ მას ზამთრის სეზონისათვის სახელმწიფო საოპერო თეატრიან 14 კომპლექტი კოსტუმებისა, 2. ნებადართოთ კლავირების დაწერისა და 3. მისცემთ ქართული დრამის მსახიობებს და რეჟისორს, რომელსაც ამოირჩევს ამხ. გელოვანი.

თუ რეგკომის შუამდგომლობა არ იქნება დაკმაყოფილებული ქ. ბათუმში სრულიად შეუძლებელია სამივე დასების მიერ სეზონის წაყვანა და ამით საშუალება მოგვესპობა მივცეთ მასას სულიერი საზრდო.

რეგკომის თავმჯდომარე: (ხელრთვა არ გააჩნია)

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 1, აღწ. 1, საქ. 35, ფურც. 141, პირი. საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

#### №228

1921 წლის დეკემბრის 3 – ამონაწერი აჭარის რეგომის სხდომის ოქმიდან ბათუმის მესამე საბჭოთა თეატრის აკადემიურად გადაკეთებისა და მასში ქართული და რუსული დასების ჩამოყალიბების შესახებ.

მე-3 საბჭოთა თეატრი გამოცხადდეს აკადემიურად და მასში იმუშაოს ორმა აკადემიურმა დასმა – ქართულმა და რუსულმა. სამი დღე კვირაში დაეთმოს ქართულ დასს, სამი რუსულს. ოპერა გადაყვანილ იქნას პირველ თეატრში. უფასო წარმოდგენები განთავისუფლებულ იქნას 20 პროცენტი გადასახდიდან. მიეცეს ქართულ დასს ერთდროული დახმარება სესხის სახით – კოსტუმების შესაძენად – 25.000 000 მან. და ყოველთვიურად დეფიციტის დასაფარავად, როდესაც ასეთს ექნება ადგილი, – არა უმეტეს 25.000 000 მანეთისა.

თავმჯდომარე – ხელრთვა არ გააჩნია.

აჭარის ასსრ ცსა. ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 16, ფურც. 68, პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

#### №229

1924 წლის ოქტომბერი – ბათუმის აკადემიური გუნდის ხელმძღვანელის მ. კუხიანიძის მოხსენებით ბარათი აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოების გამგეობისადმი “სიმღერა მუსიკის” სკოლის გახსნის შესახებ.

აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოება, თანახმად მთავრობის მიერ დამკვიცრებულ წესდებისა, მიზნად ისახავს შეკრიბოს, ნოტებზე გადაიღოს აჭარისტანის და საზოგადოდ ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხის ხალხური სიმღერები, დააარსოს მომღერალთა გუნდი, რომლის საშუალებითაც გამოიტანოს და გაავრცელოს ფართო მასაში, როგორც ხალხური, აგრეთვე ჩვენი და უცხოელი კომპოზიტორების ნაწარმოებანი და უმტავრესად კი გახსნას “სიმღერა-მუსიკის” სკოლა, საზოგადოებამ უკვე განახორციელა ზოგიერთი ამ მიზნებთაგანი, სახელდობრ: მან შექმნა ქალ-ვაჟთა მომღერალი გუნდი, რომლებმაც უკვე მიიპყრო ყველგან საზოგადოების ყურადღება, მაგრამ დანარჩენი მიზნების მისაღწევად, მისთვის დღეს აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს ცალკე, განსაკუთრებული მუდმივი ბინა – სამი ოთახის რაოდენობით მაინც, სადაც იგი თავისუფლად და შეუვიწროებლად ყოველ ჟამს, საჭიროებისა და მიხედვით, აწარმოებს გუნდის ვარჯიშობას. მოათავსებს – დააბინავენს დროებით აჭარისტანის სხვადასხვა კუთხეებიდან საგანგებოთ ჩამოყვანილ ხალხური სიმღერების მცოდნე პირთ, მათგან სიმღერების ჩასაწერად, აქვე შეინახება საზოგადოების ყოველივე უძრავ-მოდრავი ქონება, მაგალითად, მომღერალთა საკონცერტო ტანსაცმელი, ნოტები, მუსიკალური ინსტრუმენტები და სხვა. უპირველეს ყოვლისა კი გახსნის “სიმღერა-მუსიკის” სკოლას.

მომღერალთა გუნდი რომ იდგეს თავის სიმაღლეზე, სძლევედეს ყოველივე მუსიკალურ-ტექნიკურ სიძნელეებს და მხატვრულად ასრულებდეს ყოველგვარ

მუსიკალურ ნაწარმოებს, ამისათვის საჭიროა მათი დამუშავება და საზოგადოდ მუსიკალურად განვითარება. დასახული “სიმღერა-მუსიკის” სკოლის უმთავრესი მიზანი და დანიშნულება იქნება როგორც გუნდის წევრებს, ასევე აჭარისტანში და ჩვენი ქვეყნის სხვა და სხვა კუთხეში მყოფთ ხალხური სიმღერების მცოდნე პირთ მისცეს ამ სასწავლებელში თეორიული და პრაქტიკული მუსიკალური ცოდნა, რომ მათ კურსის დამთავრების შემდეგ თავიანთ კუთხე-მხარეში შესძლონ გალობის მასწავლებლობა. გუნდების შექმნა, მათი ხელმძღვანელობა, უკეთეს შემთხვევაში ხალხური სიმღერების ნოტებზე გადაღებაც და ამგვარად ხელი შეუწყონ ჩვენს მხარეში სიმღერა- გალობის აღორძინებას და აყვავებას.

“სიმღერა-მუსიკის” სასწავლებელში წარჩინებულად კურსდამთავრებულთ, როგორც გუნდის წევრებს, განურჩევლად სქესისა, აგრეთვე კერძო პირთ, სახალხო განათლების კომისარიატის დასტურით მიეცემათ პირველი და მეორე საფეხურის სკოლის გალობის მასწავლებლისა და ლოტბარის სახელწოდების მოწმობა და ამგვარად მთავრობისა და ლოტბარის სახელწოდების მოწმობა და ამგვარად მთავრობას საშუალება მიეცემა მომავალში სასწავლებელში სიმღერა-გალობის ბედ-იღბალი შედარებით უფრო მომზადებულ პირთ-მასწავლებლებს ჩააბაროს.

სიმღერა-მუსიკის სკოლის პროგრამაში იქნება შემდეგი საგნები: 1) ხმის დაყენება, 2) მუსიკის ელემენტარული თეორია, 3) ფორტეპიანო და ვიოლინო (სკრიპკა), 4) მუსიკის ელემენტარული ისტორია და სიმღერის სწავლების მეთოდები. თეორიულ საგნებში ლექციების კითხვა სხვა ეროვნებისათვის იქნება რუსულ ენაზე.

სიმღერა-მუსიკის სკოლაში საჭირო იქნებიან მასწავლებლები: ხმის დაყენებისა, ფორტეპიანოსი და ვიოლინოს კლასებისათვის; დანარჩენ საგნებში მუსიკის თეორია, სოლფეჯიო, მუსიკის ისტორია და გალობის მეთოდისა – სწავლებას ვიკისრებ მე.

განათლების კომისარს და მთავარ პოლიტ-განათლების განყოფილების გამგეს ვთხოვთ დაგვითმოს ზემოაღნიშნული სწავლებისათვის ერთი როიალი და მიწათ-მოქმედების კომისარს კი – პიანინო, რომელიც იმყოფება ჩაქვში და დღეს არავითარი დანიშნულება არ აქვს და არც ხმარებაშია.

## №230

1924 წლის დეკემბრის – 9 საქართველოს სსრ განათლების სახალხო კომისარიატისადმი აჭარაში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის ორგანოს შექმნის და მზარებში რწმუნებულების დანიშვნის შესახებ.

საქართველოს ტერიტორიაზე საერთოდ და, კერძოდ აჭარისტანის მიწაწყალზედ, როგორც მოგეხსენებათ, მრავლად მოიპოვებიან უძველეს დროში გაშენებული ეკლესია-მონასტრები, მეჩეთები, ციხე-კოშკები, სასახლეები, გვირაბები, ხიდები და სხვა მშენებლობათა ნანგრევები, რომელთაც, როგორც ძველ არქიტექტურისა და საერთოდ ხელოვნების მონუმენტალურ ძეგლებს, უდიდესი მნიშვნელობა აქვს მეცნიერებისათვის.

ამას გარდა ძველ ეკლესია-მონასტრებში, მეჩეთებში, სასახლეებში და სხვაგან დღემდე შენახულია ფრიად საინტერესო ისტორიული საბუთები, წიგნები, ხელთნაწერები, ეთნოგრაფიული ნივთები და სხვა ძველი ყოფაცხოვრებისა თუ კულტურის ნაშთები: რომელთაც აგრეთვე არანაკლები ღირებულება აქვს ისტორიული საიუბიუმების გამორკვევისა და გადაჭრისათვის. ყველა ესენი, როგორც საერთო და

რელიგიური კულტის შენობები და მათი ნანგრევები, ისე აგრეთვე ისტორიული საბუთები და ეთნოგრაფიული ნივთები, გარდა იმისა, რომ ისტორიულ-არქეოლოგიური თვალსაზრისით დიდ ღირებულებას შეიცავს ხოლმე, მასთან წარმოადგენენ იმ ნედლ ძვირფას მასალას, რომელიც უნდა დაამუშაოს თანამედროვე მეცნიერებამ ჩვენი ქვეყნის წარსულის შესწავლისა და გამორკვევისათვის. მაგრამ ხსენებული არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული მასალის ამგვარად დამუშავება და მეცნიერულად შესწავლა შესაძლებელია მხოლოდ თანდათანობით და ისიც მრავალ ათეული წლების განმავლობაში და ამიტომ ამ მასალის ისტორიული და მეცნიერული მნიშვნელობა-საჭიროება საკმაოდ დიდი ხნის მანძილით უნდა იქნეს განსაზღვრული: მეცნიერთა მთელი თაობის ხანგრძლივი და სისტემატური მუშაობაა საჭირო იმისათვის, რომ ჩვენს ქვეყანაში დარჩენილი ისტორიული ძეგლები, რომელთაც თავისი ბუმბერაზებით გასაოცარი მხატვრობით და მშვენიერი ჩუქურთმებით თანამედროვე ხუროთმოძღვარნი და მეცნიერებიც კი მოჰყავთ ხოლმე განცვიფრებაში, ჯეროვნად იქნეს შესწავლილი და ისტორიისათვის გამოყენებული. მხოლოდ ვიდრე ქართული ისტორიოგრაფია და საისტორიო მეცნიერება იმ დონეზედ დადგებოდეს, როდესაც ჩვენ წინაპართა მიერ საუკუნეთა განმავლობაში მედგარი შრომით გაკეთებული არქეოლოგიური ძეგლები უკლებლივ და ზედმიწევნით იქნება შესწავლილი, და ამის შედეგად კი ჩვენი ხალხის წარსული სავსებით გამორკვეულია, – საჭიროა ისტორიისათვის და კულტურისათვის, ჩვენდამი მიღწეული მონუმენტური თუ სხვა ამგვარი ძეგლები იქნან ხელუხლებლად.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის, თავისი არსებობის პირველ ხანებში, როდესაც ის სამოქალაქო ომისა და სამხედრო კომუნიზმის პერიოდში იმყოფებოდა, შეუძლებელი იყო საერთოდ კულტურული ფრონტისათვის შესაფერი ყურადღება მიექცია და კერძოდ სიძველეთა დაცვის საქმეში, რომელიც სრულიად მოუგვარებელი იყო, რაიმე დადებითი მ შაობა ეწარმოებია. მხოლოდ სამოქალაქო ომის ლიკვიდაციამ და სახელმწიფოებრივი აპარატის მტკიცე საფუძველზე მოწყობამ საშუალება მისცა მას კულტურული აღმშენებლობისათვის ჯეროვანი ყურადღება მიექცია და ამ დარგშიც ენერგიული მ შაობა გაეჩაღებინა. კულტურულ დარგში მრავალ ფრიად მნიშვნელოვნად და რაციონალურ ნაბიჯების გადადგმასთან ერთად კომუნისტურმა პარტიამ და საბჭოთა ხელისუფლებამ თავის სამშენებლო გეგმაში სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საქმეც შეიტანა და მისი პრაქტიკულად მოგვარებას ენერგიულად შეუდგა.

ამ მიზნით სრულიად საქართველოს ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა უკვე გამოსცა საგანგებო დადგენილება (№95-ით 1924 წ. ივნისის 4-ის თარიღით – სიძველეთა, ხელოვნების და ბუნების ძეგლთა დაცვის შესახებ, რომლის მიხედვით საქართველოს ტერიტორიაზე არსებული ყველა ისტორიულ-არქეოლოგიური ძეგლები და ეთნოგრაფიული ნივთები თუ განძეულობანი, რომელთაც სამეცნიერო-საისტორიო მნიშვნელობა აქვთ, უნდა აღებულ იქნას აღრიცხვაზე მათი ხეკლუხლებლად დაცვის მიზნით, ამ დადგენილების აღსასრულებლად და ცხოვრებაში გასატარებლად საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატთან დაარსებულ იქნა სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის განყოფილება, რომელიც უკვე სამი თვეა, რაც სათანადო მუშაობას აწარმოებს. განყოფილებამ თავისი არსებობის მცირე ხნის მიუხედავად სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის საქმეში მრავალი ღირსშესანიშნავი განყოფილების მიერ უკვე აღწერილია და აღრიცხვაზე აღებულია ყველა დაცვის ღირსათ ცნობილი ძეგლები გორისა, დუშეთისა, ზუგდიდისა, სენაკისა და სხვა მაზრებში და აგრეთვე სამხრეთოსეთის ავტონომიურ ოლქშიაც, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების მიერ, თანახმად საქართველოს ხსენებულ დადგენილებისა, გამოცემულ იქნა საგანგებო განკარგულება სიძველეთა დაცვის შესახებ. ყველა აღნიშნულ ადგილებში ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან ძეგლებს მიჩნეული ჰყავთ ადგილობრივი

მცხოვრებთაგან ამ საქმისათვის გულშემატკივარი მეთვალყურე, რომელსაც დავალებული აქვს ამა თუ იმ ძეგლის დაცვა და მოვლა-პატრონობა. ამას გარდა განყოფილებას საქართველოს ყველა პროვინციებში (მაზრებში) მათ შორის სვანეთშიც უკვე მოწყობილი აქვს სიძველეთა დაცვის აპარატი რწმუნებულის სახით და მიღებულია აგრეთვე ზომები დანარჩენ მაზრებშიც ისტორიული ძეგლების აღწერისა და დაცვის მზინით მათი აღრიცხვაზე ალებისათვის.

დასასრულს საჭიროდ მიგვაჩნია, მოგახსენოთ, რომ სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა დაცვის აპარატის პრაქტიკულად მოგვარების დაჩქარებისა და გადაადგილებისათვის, ჩემს მიერ წარმოდგენილი იქნება, უკეთუ თქვენ ამას საჭიროდ დაინახავთ, სათანადო გეგმა და დამატებითი მოხსენება.

სსრ განათლების სახალხო კომისარიატის რწმუნებული: აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 5. აღწ. 1, საქ. 82, ფურც. 34-35, დედანი. საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

№221

1924 წლის დეკემბრის...<sup>89</sup>

– აჭარის ასსრ ცენტრალური აღმსრულებელი კომიტეტის დადგენილება სიძველეთა ხელოვნების ძეგლთა დაცვის შესახებ

აჭარისტანის ავტონომიური რესპუბლიკის სიძველეთა და ხელოვნების და აგრეთვე ბუნების ძეგლთა სათანადოდ დაცვისათვის აჭარისტანის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რემონტი, რესტავრაცია, გადაკეთება, დანგრევა, ან რაიმე მიზნისათვის გამოყენება საერო და რელიგიური კულტის შენობათა (სასახლე, ციხე, ძველი ისტორიული ნაშთები) უნდა ხდებოდეს მხოლოდ განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებების წინასწარი ნებართვით.

2. მიღებულ იქნეს სათანადო ზომები არქეოლოგიურ ძეგლთა დასაცავად, მათი გათხრა და შესწავლა უნდა წარმოებდეს მხოლოდ განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებების ნებართვით.

3. ყოველგვარი აღმოჩენილი განძი და აგრეთვე არქეოლოგიური მნიშვნელობის ნივთები აუცილებლად უნდა ჩაბარდეს აჭარისტანის მუზეუმს.

4. თუ ვინცობაა მუზეუმის ლიკვიდაცია მოხდა სამუზეუმო ქონება გადადის განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებების განკარგულებაში.

5. სიძველეთა და ხელოვნების ძეგლთა სამუზეუმო მნიშვნელობის ყოველგვარი საგანი, რომელიც უპატრონო ქონებად ითვლება (სამოქალაქო კოდექსით მუხლი 68) აღმოჩენისთანავე აუცილებლად უნდა გადაეცეს განათლების კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებებს.

6. მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის ნებადაურთველად აკრძალულია:

<sup>89</sup> საბუთს თარიღი არა აქვს. თარიღდება შინაარსის მიხედვით

ა) თვითნებობით ხეების მოჭრა, მოსპობა და განადგურება ტყისა, მცენარეთა, შეცვლა და დარღვევა ისტორიულ მხატვრულ პეიზაჟებისა პარკებისა და ბაღებში;

ბ) სამეცნიერო მიზნით დასაცავ ადგილებში თვითნებობით გაჩეხა ხელშეუხებ ტყისა, აგრეთვე ნადირობა მხეცებზე და ფრინველებზე, თევზაობა, ბუდეთა დანგრევა, მიწის წიაღთა ექსპლოატაცია და სამელიორაციო მუშაობა.

7. სიძველის, ხელოვნებისა და ბუნების ძეგლთა დასაცავად განკარგულება გაიცემა ადგილობრივი სამაზრო აღმასრულებელი კომიტეტის მიერ.

8. ამ დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე მიიცემა პასუხისგებაში თანახმად სისხლის სამართლის კოდექსის 102, 105 და 110 მუხლისა – განათლებისა სახალხო კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო დაწესებულებების მიერ გამოცემულ ინსტრუქციის მიხედვით, ხოლო საჭირო შემთხვევაში მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის სათანადო განყოფილების თანხმობით.

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 5, აღწ. საქ. ფურც. 118, პირი, საწერ მანქანაზე დაბეჭდილი.

1936 წლის ივლისში აჭარაში შეიქმნა ხელოვნების საქმეთა განყოფილება. ამიერიდან ხელოვნების განვითარება აჭარაში დიდ სახელმწიფო საქმე დგადაიქცა, მის გამგებლობაში მოექცა კინოთეატრები, თეატრები, გუნდები, სახელმწიფო კაპელა (მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით), გურულ-აჭარული გუნდი (ა. ერქომაიშვილი), რაიონული ეთნოგრაფიული გუნდები, მოცეკვავეთა ანსამბლები, სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი, საესტრადო და საგასტროლო საქმის აჭარის განყოფილება მუსიკალური სკოლები, შ. რისთაველის სახ. თეატრთან არსებული სტუდიის აჭარული სექცია.<sup>90</sup> 1933-1940 წლები დაიწყო სახელმწიფო თეატრმა, ხულოს რაიონში გაიხსნა სახალხო კინოთეატრები, ტექნიკური და მუსიკალური სასწავლებლები, ქ. ბათუმში, ფართო განვითარება მიიღო საესტრადო ხელოვნებამ, აჭარაში გაიხსნა სამხატვრო სახელოსნო ფერწერის, კულტურის, ფერწერა-მღებავის განყოფილებებით; ისტორიული ძეგლების აღრიცხვა და მისი დაცვა-შენახვა სახელმწიფო მნიშვნელობის საქმედ გადაიქცა.<sup>91</sup>

გრიგორი პიანცის, საქართველოს სსრ კულტურის დამსახურებულ მუშაკის აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ცენტრალური სახელმწიფო არქივის თანამშრომლის მონაცემებით ქალაქ ბათუმში (1921-1029 წ.წ.) კულტურის ცენტრს წარმოადგენდა დასავლეთ საქართველოში აქ ფუნქციონირებდა 1) 1921 წელს კონსერვატორია, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი შიშკოვი. კონსერვატორიამ ადრე შეწყვიტა ფუნქციონირება.

2) 1921-1928 წლებში – სახელმწიფო ოპერა, რომლის ხელმძღვანელი გახლდათ პროფესორი ეგგენი ვრონსკი.

3) მუსკომედია რუსული დრამის

4) საგუნდო-საოპერო სტუდია – ხელმძღვანელი ვლადიმერ ალექსანდრე კორშონი.

<sup>90</sup> დოკ. №162. იხ. დოკუმენტებისა და მასალების კრებული 1933-1941 წ.წ. 1986 წ. ბათუმი, გვ. 18, I აბზ.

<sup>91</sup> შენიშვნა: აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების განვითარების შესახებ იხილეთ დოკუმენტებში №159-დან 175-მდე.



და კარლო ბარერა

1935-1940 წლებში ფუნქციონირებდა:

- 1) ბათუმის ქორეოგრაფიული სასწავლებელი
- 2) სახელმწიფო ეთნოგრაფიული გუნდი
- 3) სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი
- 4) ხალხურ საკრავთა ორკესტრი
- 5) ბათუმის თოჯინების თეატრი
- 6) ბერძნული დრამის თეატრი
- 7) სომხური დრამის თეატრი და სხვა სამხატვრო დაწესებულებები.

№232

1925 წლის მარტის 11. – აჭარის ასსრ მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარის მიმართვა განათლების სახალხო კომისარიატს აჭარის აკადემიური გუნდის რსფსრ-ში გამგზავრების შესახებ

აჭარისტანის მუსიკალური სასწავლებლის დაარსების I დღიდანვე მის უახლოეს მიზანს შეადგენდა არამც თუ ხალხური სიმღერების შესწავლა-განვითარება საბჭოთა საქართველოს ფარგლებში, არამედ შესაძლებლობის ფარგლებში განზრახული ჰქონდა და აქვს ქართული ეროვნული სიმღერები გააცნო საბჭოთა ფედერაციის სხვადასხვა კუთხეებს.

საზოგადოების გუნდის გასული წლის მოგზაურობამ ამიერკავკასიის ქალაქებში, ერთხელ კიდევ ცხადყო უდავო დებულება, რომ კულტურული თვითმოქმედება მხურვალე გამოცახილს პოულობს ყველა ეროვნებათა შორის, მით უმეტესად იმ შემთხვევაში, როდესაც ამ კულტურის გამავრცელებელი ერთეული საკმაოდ მომზადებული არის ტექნიკურად და მუსიკალური შესმატკბილებით.

მუსიკალური საზოგადოების 2 წლის დაუღალავ მუშაობას მუქთად არ ჩაუვლია და ამჟამად თამამდ შეიძლება ითქვას, რომ მისი გუნდი იმდენად მომზადებულია, რომ მას შეუძლია უნაკლოდ გამოაფინოს ქართული კულტურის სიმძლავრე და მრავალფეროვნება საბჭოთა რუსეთის მრავალ ქალაქებში და დიდ ცენტრებში. ყველასათვის უდაო მცნებად უნდა იქნეს მიჩნეული ის უაღრესი კულტურული მნიშვნელობა, რომელიც ეძლევა რომელიმე ერის შორის და ამ მხრივ ფასდაუდებელი საქმის შესრულება იქნებოდა, უკეთუ მუსიკალური საზოგადოება, აჭარისტანის სახალხო განათლების კომისარიატის დახმარებით შესძლებდა თავის გუნდის საშუალებით გამოაფინა მოეხდინა საბჭოთა რუსეთის დიდ ქალაქებში ჩვენი კულტურის სიდიდისა. ამ უკანასკნელის მოტივით ხელმძღვანელობს აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოება, როდესაც ნებას აძლევს თავის თავს მოგმართოს თხოვნით სათანადო ყურადღებით და დახმარებით მოეკიდოთ გუნდის გამგზავრებას საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში.

უკეთუ განათლების კომისარიატის მიერ პრინციპულად მიღებული იქნება საჭიროება გუნდის გამგზავრებისა. ამ საქმის ტექნიკური მხარეების გამომუშავება

შესაძლებელია დამატებით, მხოლოდ ამთავითვე საჭიროა მიექციოს ყურადღება იმ უმთავრეს მომენტს:

1. რონოდის,<sup>92</sup> და 2. საჭირო თანხების საკითხებს. გუნდს “ტურნე“-ს მოსახდენად დასჭირდება რონოდი ერთი თვის განმავლობაში და რა თქმა უნდა, თუ კი ასეთი მას არ მიეცა უფასოდ ან უკიდურეს შემთხვევაში მეტისმეტად დაკლებულ ფასებში, ვერ შესძლებს დასახული მიზნის განხორციელებას, ამიტომ ვითხოვთ, აღძრათ სათანადო შუამდგომლობა ვის წინაშედაც ჯერ არს ხსენებული საკითხის შესახებ.

გარდა ამისა გუნდის გასამგზავრებლად და მის მოსაწყობად საჭიროა ერთდროული თანხა – სესხის სახით დაახლოებით არანაკლებ რვა ათას (8 000) მანეთისა, რომელიც ანაზღაურებული იქნება გუნდის მიერ მოგზაურობის დასრულების შემდეგ; ამიტომ ვითხოვთ აღძრათ შუამდგომლობა აჭარისტანის სახალხო კომისართა საბჭოს წინაშე, რათა ხსენებული თანხა მოგვცეს ჩვენ სესხის სახით.

დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა. თუ რისთვის იქნება საჭირო ეს თანხა, წარმოდგენილი იქნება დამატებით.

აჭარისტანის მუსიკალური საზოგადოების თავმჯდომარე<sup>93</sup>

აჭარის ასსრ ცსა. ფონ. 96, აღწ. 1. საქ. 21, ფურც. 66, დედანი, საწერ მანბანაზე დაბეჭდილი.

1933-1940 წ.წ. აჭარაში ხელოვნების აღორძინების წლებად იქცა:

№157

1933 წლის 13 აპრილს – აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება ქ. ბათუმში სახალხო თეატრის მნიშვნელობის შესახებ.

მოსიძინეს: 1. სახალხო თეატრის მნიშვნელობის პროექტი მიღებულ იქნას ამხ. ს. ახმეტელის მიერ შეტანილი ცვლილებებით და დამატებით.

2. მისი აგების საბოლოო ვადა დაწესდეს 1934 წლის 1 თებერვლისათვის.

3. წინადადება მიეცეს აჭარის პროექტს სასწრაფოდ უზრუნველყოს სახალხო თეატრის მშენებლობა სამუშაო ნახაზებით.

4. მშენებლობა ცნობილ იქნას დაკვეთით მშენებლობად.

თავმჯდომარე – ზ. ლორთქიფანიძე

აჭარის ასსრ ცსა, ფონდი 4, აღწ. 1, საქ. 639, ფურ. 50 დედანი.

№158

1933 წლის ნოემბრის 3. – აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება აჭარის მუსიკალური ტექნიკუმისათვის კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

<sup>92</sup> რონოდი-ვაგონი

<sup>93</sup> ხერთვა გაურკვეველია

მოისმინეს: აჭარის მუსიკალური ტექნიკუმისათვის კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

დაადგინეს: დაკმაყოფილებულ იქნას აჭარის განსახკომისარიატის კოლეგიის შუამდგომლობა აჭარის მუსიკალური ტექნიკუმისათვის კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის სახელწოდების მინიჭების შესახებ.

აჭარის ასსრ ცსა. ფონ. 5, ანაწ. 1, საქ. 262, ფურც. 11, შემოქმედი პირი.

#### №159

1935 წლის თებერვლის 27. – აჭარის ასსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება აჭარის სარაიონო ცენტრებში ხმოვანი კინოს მოწოდების შესახებ.

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 4., აღწ. 1, საქ. 800, ფურც. 21. პირი.

#### №160

1936 წლის ივლისის 27.. – აჭარის ასსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება აჭარის ასსრ ცაკ-თან ხელოვნების საქმეთა განყოფილების შექმნის შესახებ.

საქართველოს სსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს მიერ “საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მოწოდების შესახებ. 1936 წლის თებერვლის 9 გამოცემული დადგენილების შესაბამისად აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. მოეწყო აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ხელოვნების საქმეთა განყოფილება, რომელიც იქნება საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ორგანო.

2. აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ხელოვნების საქმეთა განყოფილებას თავის გამგებლობაში გადაეცეს შემდეგი დაწესებულებანი და წამოწყებანი.

ა) საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებული კინო-ფოტო მრეწველობის სამმართველოს (სახკინმრეწვის) აჭარის განყოფილება მის სიტემაში შემავალ ყველა წამოწყებებით: კინო-თეატრით, მოძრავი დადგენილებით.

ბ) თეატრები:

1. ქალაქი თეატრი,
2. მუშა-ახალგაზრდობის თეატრი,
3. თოჯინების თეატრი,
4. ბერძნული თეატრი,
5. სომხური თეატრი,

6. ხულოს საკოლმეურნეო თეატრი,

გ) გუნდები:

1. სახელმწიფო კაპელა (მ. კუხიანიძის ხელმძღვანელობით)
2. სახელმწიფო გუნდი (ვ. გოგიტიძის ხელმძღვანელობით)
3. გურულ-აჭარული გუნდი (ა. ერქომაიშვილის ხელმძღვანელობით)
4. რაიონული ეთნოგრაფიული მომღერალთა გუნდები (ქობულეთი, ქედა).
5. რაიონული მოცეკვავეთა ანსამბლები (ბათუმი, ქობულეთი, ხულო).
6. სახელმწიფო სიმფონიური ორკესტრი.

დ) მუსიკალურ წამოწყებათა და საესტრადო საგასტროლო საქმის სახელმწიფო შენაერთის (“საქფილექტის”) აჭარის განყოფილება.

ე) მუსიკალური ტექნიკუმი, მასთან არსებული მუსიკალური სკოლები.

ვ) რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდიის აჭარული სექცია.

3. ზემოაღნიშნული დაწესებულებანი და წამოწყებანი გადაეცეს აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ხელოვნების საქმეთა განყოფილებას 1936 წლისათვის დადგენილი მატერიალური და ფინანსური ფონდებითა და ასიგნობებით.

4. აჭარის ასსრ ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ხელოვნების საქმეთა განყოფილებას დაეკისროს:

ა) ხელმძღვანელობის გაწევა ადგილობრივი აღმასკომების საბჭოს საქმიანობისათვის ხელოვნების სფეროში, აგრეთვე მუშაობის დაგეგმვა და საერთო ხელმძღვანელობის გაწევა თეატრალურ და სხვა სანახაობათა წამოწყებისა, სათანადო სასწავლებლებისა და დაწესებულებებისათვის რომლებიც ადგილობრივი აღმასკომების საბჭოს ორგანიზაციების უშუალო გამგებლობაშია.

ბ) საერთო ხელმძღვანელობის გაწევა ხელოვნების სხვა და სხვა დარგების მომუშავეთა გაერთიანებული შემოქმედებითი ორგანიზაციების საქმიანობისათვის.

5. წინადადება მიეცეს აჭარის ასსრ ცაკ-თან არსებულ ხელოვნების საქმეთა განყოფილებას აჭარის ასსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით შემუშაოს და ათი დღის განმავლობაში აჭარის ცაკ-ს დასამტკიცებლად წარუდგინოს:

ა) ხელოვნების საქმეთა განყოფილების სტრუქტურა და შტატი.

ბ) ორგანოების შენახვის ხარჯთაღრიცხვა.

გ) ხელოვნების საქმეთა განყოფილებაში შემავალი დაწესებულებების და წამოწყებების საფინანსო გეგმა.

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე – ზ. ლორთქიფანიძე

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 4, აღწ. 1, საქ. 914, ფურც. 7-75 დედანი.

## №161

1936 წლის დეკემბრის 11. – აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება აჭარაში ისტორიული ძეგლების დაცვის ღონისძიებათა შესახებ.

აღინიშნოს, რომ აჭარაში ისტორიული ძეგლების დაცვისა და მისი ღრმა შესწავლის საქმე ჯერ კიდევ არ დგას სათანადო სიმაღლეზე. დღემდე არ არის ჩატარებული მათი რესტავრაცია (აღდგენა) და პასპორტიზაცია. აგრეთვე არ მოიპოვება მათზე საფუძვლიანი მეცნიერული მასალები, განათლების ორგანოები. აგრეთვე ადგილობრივი რაიონული აღმასკომები ნაკლებ ყურადღებას უთმობენ ამ ძეგლთა წესიერი დაცვის, მოვლა-შენახვის საქმეს.

აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აძლევს რა უდიდეს მნიშვნელობას ისტორიული ძეგლების დაცვისა და მისი შესწავლის საქმეს, როგორც უდიდეს ფაქტორს მხარის შესწავლის საქმეში ადგენს:

1. წინადადება მიეცეს განათლების კომისარიატს, მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს და რაიადმსაკომების დაუყოვნებლივ მოიყვანონ წესრიგში აჭარაში არსებული ყველა ისტორიული ძეგლები და დააწესოს მათი დაცვა (დასუფთავება, შემოღობვა და დარაჯების გამოყოფა).

2. დაველოდოთ განსახკომს და მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს:

ა) ორი თვის განმავლობაში ჩაატარონ ყველა არსებული ძეგლების პასპორტიზაცია.

ბ) გამოყოს სამეცნიერო კომისია და 1937 წლის მანძილზე მოეწიოს ექსპედიცია ისტორიულ ძეგლთა ღრმა და საფუძვლიანი მეცნიერული შესწავლისათვის.

გ) ჩაატარონ კაპიტალური რემონტი და მოიყვანონ წესრიგში ეს ძეგლები.

დაევალოს განსახკომს 1937 წლის ბიუჯეტში გაითვალისწინოს საჭირო თანხები ამ ღონისძიებათა გატარებისათვის.

3. საჭიროდ იქნას ცნობილი (კომისიის დასკვნა) ვერნების როგორც ქართული ორნამენტის საუკეთესო ნიმუშების ქალაქში გადმოტანა. მიენდოს მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტს და მუზეუმს ამ ღონისძიების ჩატარება საჭირო ხარჯების გადაღებით.

4. აჭარაში ისტორიულ ძეგლთა დაცვის, ღრმა და საფუძვლიანი შესწავლის მიზნით აჭარის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან ჩამოყალიბდეს ისტორიულ ძეგლთა დაცვის ჯკომიტეტი.

5. კომიტეტის შემადგენლობა განისაზღვროს 11 წევრით. ისტორიულ ძეგლებზე სისტემატური ზედამხედველობისათვის იყოლიოს ერთი პასუხისმგებელი მდივანი და ერთი ინჟინერ-ინსტრუქტორი (შეთავსებით).

6. დაევალოს ფინსახკომის ისტორიულ ძეგლთა დაცვის კომიტეტის შესანახი ხარჯები 35 720 მანეთის რაოდენობით გაითვალისწინოს 1937 წლის ბიუჯეტში.

აჭარის ასსრ ცაკ-ის თავმჯდომარის მოადგილე – ი. ჟვანია.

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 4, აღწ. 1, საქ. 919, ფურც. 35-37 დედანი.

№ 162.

1937 წლის აპრილი 11. – აჭარის ასსრ ცაკის პრეზიდიუმის დადგენილება აჭარის სახელმწიფო თეატრის გახსნის შესახებ.

მოისმინეს: 45 აჭარის ასსრ სახელმწიფო თეატრის გახსნის შესახებ.

დაადგინეს: აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების თექვსმეტ წლისთავზე აჭარის სახელმწიფო თეატრის გახსნას აღნიშნავს, როგორც დიდ მიღწევას კულტურული მშენებლობის ფრონტზე, რომლის ძირითად კადრს შეადგენენ აჭარული მსახიობები,

აჭარის სახელმწიფო თეატრის შექმნა შესაძლებელი გახდა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დროს, იგი მჭიდროდ დაკავშირებულია აჭარის მშრომელთა სოციალისტური მშენებლობის მიღწევებთან და წარმოადგენს ლენინურ-სტალინური ნაციონალური პოლიტიკის გამარჯვების შედეგს.

თეატრის შექმნა მჭიდროდაა დაკავშირებული ქართველი ხალხის კულტურის არნახულ აყვავებასთან, რომელიც მოპოვებულია საქართველოს კპ(ბ) ხელმძღვანელობით.

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი განსაკუთრებით აღნიშნავს, ლენინის ორდენოსან რუსთაველის სახელმწიფო თეატრის ხელმძღვანელობისა და კოლექტივის როლს, რომელმაც გამოზარდა პირველი აჭარელ მსახიობთა კადრები.

აჭარის ასსრ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

ა) გაღებული იქნეს თეატრის შენახვისათვის 1937 წელში 6 000 000 მანეთი.

ბ) საჭიროდ იქნას ცნობილი ლენინის ორდენოსანი რუსთაველის სახელობის თეატრის შემდეგი მუშაკების დაჯილდოება:

1. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ამხ. ა. ვასაძე – 1000 მანეთით.

2. საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, თეატრთან არსებული სტუდიის ხელმძღვანელი ამხ. ა. ხორავა – 1000 მანეთით.

3. თეატრის დირექტორი ამხ. გუგუნავა – 1000 მანეთით.

4. თეატრის რეჟისორ-დამდგმელი ამხ. დ. ალექსიძე – 500 მანეთით

5. თეატრის მხატვარი ამხ. თავაძე – 500 მანეთით

გ) აჭარის ცაკთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა სამმართველომ ლენინის ორდენოსან რუსთაველის თეატრთან არსებული სტუდიის წარჩინებულ კურსდამთავრებულ არტისტების დასაჯილდოებლად გაიღოს 10 000 მანეთი.

თავმჯდომარე – ზ. ლორთქიფანიძე

მდივანი – ნუცუბიძე

აჭარის ასსრ ცსა, ფონდ. 4, აღწ. 1. საქ. 1000, ფურ. 40 დედანი.

№163

1937 წლის ივლისის 3. – აჭარის ასსრ ცაკ-ის პრეზიდიუმის დადგენილება აჭარის ცაკ-თან არსებული სიძველეთა ძეგლების დაცვის კომიტეტის გაუქმების და ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სიძველეთა ძეგლების დაცვის განყოფილების ჩამოყალიბების შესახებ.

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 4, აღწ. 1, საქმე 1000 ფურც. 131. პირი.

№164

1938 წლის ივლისის 1. – ხულოს საკოლმეურნეო თეატრის დირექტორის მოხსენებითი ბარათი აჭარის ხელოვნების სამმართველოსადმი ხულოს საკოლმეურნეო თეატრის მუშაობის შესახებ.

ხულოს საკოლმეურნეო თეატრმა მუშაობა დაიწყო 1938 წლი თებერვლიდან. თეატრში რეჟისორად მუშაობდა ყურაშივილი, პროფესიონალ მსახიობებად კომახიძე, სახნიაშივილი, ბოლქვაძე. დანარჩენ ძალებს შეადგენდნენ ადგილობრივი სცენის მოყვარეები – მათ შორის უმრავლესობა მოწაფეები იყვნენ, ვინაიდან 1938 წლის ბიუჯეტი დამტკიცებული არ იყო, ამიტომ ჩვენ გვეძლეოდა გასული წლის ანგარიშიდან – 20 000 მან. კვარტალში, რომელიც მხოლოდ ხელფასებს აკმაყოფილებდა, მაგრამ იანვრის თვის ეკონომიიდან ჩვენ შევძელით ორი პიესის ყიდვა “მეტი სიფხიზლე” და “აჭარის მთებში”, რომლისთვისაც ნაყიდი იქნა დადგმისათვის საჭირო მასალები. თებერვლის ბოლო რიცხვებში კი მიცემულ იქნა პირველი დადგმა პიესა “მეტი სიფხიზლე”, რომელიც შემდეგ, თანახმად სამმართველოს ბრძანებისა, მოხსნილი იქნა რეპერტუარიდან, როგორც უვარგისი პიესა, დაგმული იქნა მხოლოდ ორჯერ. შემოსავალმა ვერ უზრუნველყო დადგმის ხარჯები. მარტის თვიდან კი დაიწყო მზადება პიესა “აჭარის მთებში”. აქ გამოყენებულ იქნა პიესის “მეტი სიფხიზლის” დეკორაციები, რამაც შეამსუბუქა დადგმის ხარჯები. სპექტაკლი გავიდა სამჯერ, შემდეგ ამისა დაიწყო მზადება პიესისა “სამშობლოსი”, რომელიც დაიდგა მაისის თვის ბოლო რიცხვებში. ვინაიდან თეატრს არ ჰქონდა საშუალება იმისა, რომ შეეძინა ხე-ტყის მასალა დეკორაციების აშენებისათვის, ამიტომაც აქაც გამოყენებულ იქნა პიესის “აჭარის მთებში” დეკორაციები, შეძენილ იქნა წითელ არმიელთა ტანისამოსისათვის ზარკი. პიესა “სამშობლო” წარმატებით ჩატარდა. ეი დაიდგა ოთხჯერ, შემდეგ დაიწყო მზადება ა. ცაგარელის კომედიის “რაც გინახავს ვეღარ ნახავ” დასადგმელად. ეს წარმოდგენაც წარმატებით ჩატარდა სპექტაკლი გავიდა ერთჯერ, შემდეგ კი დაიხურა თეატრის სეზონი. სეზონის დახურვა გამოიწვია ადგილობრივი ძალების დაქსაქსვამ საზაფხულო არდადეგებთან დაკავშირებით, რომელთა უმრავლესობა მოწაფეებისაგან შედგებოდა. მონაცემური ფულადი გეგმა საშემოსავლო ხარჯებისა ვერ იქნა შესრულებული მთლიანად, რომლის უმთავრესი მიზეზია დამსწრეთა სიმცირე. ასე მაგალითად, ხულოს ადგილობრივი მცხოვრებლები, რომლებიც მხოლოდ ერთჯერ ესწრებოდნენ სპექტაკლს, მეორედ აღარ მოდიოდნენ. ახლო მდებარე სოფლების მცხოვრებნი კი საერთოდ ვერ ესწრებოდნენ სპექტაკლებს დიდი თოვლობის გამო. ეს გრძელდებოდა თებერვლის თვიდან მარტის თვის ბოლო რიცხვამდე. აი ამის გამო იყო, რომ ფინანსური გეგმა 100 პროცენტით ვერ იქნა შესრულებული.

უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება: 1937 წლის ხარჯთაღრიცხვის გათვალისწინებული ხელფასების თვიური ფონდი უდრიდა 7 730 მან. კვარტალში კი

23 190 მანეთს. ხელოვნების სამმართველო გვაძლევდა კვარტალში 20 000 მანეთში, რომელშიც გარდა ხელფასებისა და დადგმის ხარჯებისა შედიოდა სხვა სამეურნეო ხარჯებიც. ეს გარემოება ძლიერ აფერხებდა ნორმალურ მუშაობას, მაგრამ დანაკლისი იფარებოდა ნაწილობრივ შემოსავლით.

გარეშე ზემოსხენებულისა, მუშაობის შემფერხებელ მიზეზად ჩაითვლება სამუშაო ბინების უქონლობა, როგორც არის სარეპეტიციო დარბაზი და სამუშაო კაბინეტი დირექტორის. ამასთან თეატრის შენობა იმყოფებოდა კინო ბაზისა და კლუბის ექსპლოატაციაში, რომლებსაც თვეში 20 დღე დაკავებული ჰქონდათ, დანარჩენი 10 დღე კი იყო თეატრის, რის გამოც ხშირად ჰქონდა ადგილი სარეპეტიციო საათების დაკარგვას, რომელიც იწვევდა თეატრში არა ნორმალურ მუშაობას.

რაც შეეხება აღმზრდელით მუშაობას – ჩატარებული იქნა ლექციები შემდეგ თემებზე: 1. საბჭოთა და ბურჟუაზიული ხელოვნება, 2. მსახიობი და რეჟისორი, 3. დრამატურგია და თეატრი, 4. ქართული თეატრის დაარსება და სხვა საკითხებზე.

უნდა აღვნიშნოთ ერთი გარემოება, სახელდობრ, ის რომ თეატრმა ვერ შესძლო სათანადო კულტურული მომსახურება გაეწია კოლმეურნეობისათვის, რის მიზეზად ჩაითვლება სათანადო რეპერტუარის უქონლობა. ზემოთ ჩამოთვლილი დადგმული პიესების კოლმეურნეობაში გადასროლა კი მოსახერხებელი არ იყო.

საჭიროა შემდეგში ყოველივე ამას მიექცეს ყურადღება. აჭარის ხელოვნების სამმართველოდან უფრო მეტი დახმარების გაწევაა საჭირო. სახელდობრ, მასში, რომ გადიდებული იქნეს რიცხვი პროფესიონალი მსახიობებისა, ვინაიდან დაყრდნობა ადგილობრივ ძალებზე შეუძლებელია, რაც პრაქტიკამ უკვე დაგვანახა. აგრეთვე მკაცრად უნდა დაისვას საკითხი ადგილობრივი პრაქტიკული და საბჭოთა ორგანიზაციების წინაშე, რათა მეტი კონტროლი, ხელმძღვანელობა და დახმარება გაუწიონ ხულოს თეატრს შემდგომი მუშაობის ნაყოფიერად წარმართვისთვის.

თეატრის დირექტორი – ხელმძღვანელია – (ხელწერა გაურკვეველია)

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 986, აღწ. 1, საქ. 6, ფურც. 36-41. დედანი.

№165.

1938 წლის ივლისის 19. – საქართველოს ხელოვნების საქმეთა სამმართველოს მომართვა საქ. კპ აჭარის საოლქო კომიტეტის აჭარის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს ბათუმის საესტრადო მომსახურების საქვიდექტზე გადაცემის შესახებ.

...

№166

1938 წლის ივლისის 29. – საქართველოს აღკპ აჭარის საოლქო კომიტეტის ბიუროს დადგენილება კომკავშირის 20 წლისთავისადმი მიძღვნილი სახვითი ხელოვნების გამოფენის მოწყობის შესახებ ქ. ბათუმში.

...

აჭარის ასსრ ცსა. ფონ. 986. აღწ. 1, საქ. 9, ფურც. 5-6 შემოწმებული პირი.



№167

...

1938 წლის სექტემბრის 3. – აჭარის სამხატვრო სახელოსნოს მუშაობის გარდაქმნილ ღონისძიებათა შემუშავებელი კომისიის დადგენილება აჭარის სამხატვრო სახელოსნოს მუშაობის გაუმჯობესებული ღონისძიებათა შესახებ

...

აჭარის ასსრ ცსა. ფონ. 281, საქ. 10, ფურც. 25, დედანი 7.

№168

1938 წლის დეკემბრის – 30. – აჭარის ასსრ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს სიძველეთა დაცვის ინსპექტორის მოხსენებით ბარათი ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსისადმი აჭარის ტერიტორიაზე არსებულ სიძველეთა ობიექტებზე ჩატარებული მუშაობის შესახებ.

...

აჭარის ასსრ ცსა. ფონ. 281, აღწ. 1, საქმე 8, ფურც. 1. დედანი.

№169

1939 წლის თებერვლის 10. – აჭარის ასსრ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსის მომართვა საქართველოს ძეგლთა დაცვის საქართველოსადმი აჭარაში არსებული ისტორიული ძეგლების აღდგენა-შეკეთებითი სამუშაოების შესასრულებლად საჭირო დახმარების აღმოჩენის შესახებ.

...

აჭარის ასსრ ცსა. ფონ. აღწ. 1. საქ. 13, ფურ. 5 პირი.

№170

1939 წლის დეკემბერი – აჭარის ტერიტორიაზე არსებული მატერიალური კულტურული ძეგლების

სია

**ხულოს რაიონში**

ეკლესია ყინჩაურში

ციხე ხიხაძირში

ციხე ხირხათში

თალიანი ქვის ხიდები ფურტიოსა და დანდალოში

გვირაბი ბეშუმში

ქალაქის ნანგრევები ბორჯომში

ციხე სიჭაურში

ციხე სიჭაურში

ციხე სოფ. დარჩიძეებში

ციხე შუახევში

### **ბათუმის რაიონი**

ციხე გონიოში

თადიანი ქვის ხიდი მახუნცეთში

### **ქობულეთის რაიონი**

ციხე ციხისძირში

ქალაქის ნანგრევები ბობოყვათში

ელეას ციხე აჭყვისთაში

ეკლესია ცხრაფონში

თადიანი ქვის ხიდი ჭახათში

აჭარის ასსრ ცსა, ფონ.2, აღწ. 1, საქ. 1028, ფურ. 38, შემოწმებული პირი

#### **№171**

1940 წლის ივლისის 17. – აჭარის ასსრ კომსაბჭოს<sup>94</sup> დადგენილება აჭარის სახელმწიფო ქართულ დრამატულ სექტორის ჩამოყალიბების შესახებ

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 2, აღწ. 1, საქ. 1209, ფურ. 23. დედანი

#### **№172**

1941 წლის იანვრის 21. – აჭარაში სიძველეთა ძეგლების დაცვის ინსპექტორის მოხსენებითი ბარათი აჭარის ხელოვნების საქმეთა სამმართველოს უფროსისადმი ქობულეთის რაიონში ისტორიული ძეგლების დათვალიერების შესახებ.

...

აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 281, აღწ. 1, საქ. 30, ფურც. 8-9 დედანი.

#### **№173**

<sup>94</sup> კომსაბჭო – ე.ი. კომისართა საბჭო

1941 წლის ივნისის 5. – აჭარაში დაცული ისტორიული ძეგლების სია

აჭარის რაიონები საინტერესოა თავის ისტორიული ძეგლებით. მოსახლეობა მუდამ თავდასხმის მოლოდინში იყო და ამიტომ საიმედოდ ამაგრებდა თავიანთ ხეობას. მრავალი ასეთი ძეგლია მოღწეული ჩვენამდის, მაგალითად:

### **ხულოს რაიონში**

ხირხათის ციხე (ხირხაძირის სასოფლო საბჭოში)

სხალთის (12 საუკ.) ეკლესია (სხალთაშია)

ფურტიოს თაღიანი ქვის ხიდი 9სოფ. ფურტიოში)

ხიჭაურის ციხე (ხიჭაურის თემში)

ბეშუმის გვირაბი (სოფ. ბეშუმში)

ჭვანის ციხე (სოფ. ჭვანში)

ტაკიძეების ციხე (სოფ. ტაკიძეებში)

### **ქედის რაიონში**

დანდალოს თაღიანი ქვის ხიდი

მახუნცეთის თაღიანი ქვის ხიდი

კორომხეთის ციხე (სოფ. პირველ მაისში)

### **ბათუმის რაიონში**

მაჭახელის ციხე (სოფ. მაჭახელაში)

ქედ-ქედის ციხე (სოფ. ქედ-ქედაში)

ქვედა ჭუხუნეთის ციხე (სოფ. ჩხუტუნეთში)

თამარის ციხე (ბათუმი, ბნზ-ს დასახლება)

გონიოს ციხე (სოფ. გონიოში)

ბაბუნოღლის ეკლესია (სოფ. ბაბუნოღლში)

ზემო მახუნცეთის ციხე (სოფ. ზემო მახუნცეთში)

ცხემლარის თაღიანი ქვის ხიდი (სოფ. ცხემლარში).

ქოქოღეთის თაღიანი ქვის ხიდი (სოფ. ქოქოღეთში)

გვარას ციხე (სოფ. გვარაში)

საფუთკრეთის თაღიანი ქვის ციხე (სოფ. საფუთკრეთში)

გორგაძეთის თაღიანი ქვის ხიდი (სოფ. გორგაძეთში).

### **ქალაქ ბათუმში**

კათოლიკების ეკლესია

### **ქობულეთის რაიონში**

ციხისძირის ციხე (სოფ. ციხისძირში)

ელიას ციხე (სოფ. აჭყვისთავში)

ჭახათის თაღიანი ქვის ხიდი (სოფ ჭახათში)

ცხრაფონის ეკლესია (სოფ ლეღვაში)

კატის ციხე (სოფ. ალამბარში)

ამრიგად დღემდის აღრიცხვაზეა აყვანილი 17 ციხე, 4 ეკლესია, 8 ხიდი, 2 გვირაბი და 3 ძეგლთა ძეგლი – ნაქალაქები.

ე.ი. აჭარაში სულ 34 ძეგლია, ამათ შრომის მიმდინარე შეკეთება (რემონტი) სჭირდება შემდეგ ძეგლებს.

იხ. აჭარის ასსრ ცსა, ფონ. 281, აღწ. 1, საქ. 23, ფურც. 2-3, დედანი.